კირბისი
КИРБИСИ
CIRBISI


# NOSCE TE IPSUM

ყოველკვარტალური გამოცემა

თებერვალი, 2006 წ.



## ნომრის საკონსულტაციო საბჭო:

გიული ალასანია, ჭაბუა ამირეჯიბი, ლია ბერუაშვილი, თამაზ ბუთხუზი,
გიორგი გაჩეჩილაძე, ლაშა გვასალია, გიორგი დოლიძე, მაყვალა გონაშვილი,
ლადო თათარიშვილი, გულიკო თოიძე, ვაჟა თორდია, ფრიდონ თოდუა,
ალექსანდრე ლომაია, დავით ლორთქიფანიძე, ლევან მებონია,
რომან ტიკაძე, გიორგი ფარულავა, ნანა შალამბერიძე,
ლადო ჭიჯაშვილი, ნინო ხარჩილავა


მთავარი რედაქტორი **გულადი ფეტელავა**

სპონსორი **ვახტანგ მიშველია**

მენეჯერი **ნანა ხუფენია**

დიზაინი **კოკა ფეტელავა**

კორექტორი **მანანა უშიკიშვილი**

ფოტოსერვისი **ბადრი ვადაჭკორია**

წიგნის შემკონავი **თენგიზ თომაძე**

## ჩვენი თანამოსაგრენი:

ასოციაცია „ქართული კულტურა საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ“

„ენგურჰესი“

„თბილავიამშენი“

საქართველოს მწერალთა კავშირი

საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოება

სამედიცინო რადიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

„СТЕПАН РАЗИН“

„GEORGIA & GEORGIA“

## XXI საუკუნის საქართველოს უმთავრესი ამოცანა:

კოლექტიური პასუხისმგებლობა ერთობლივ მომავალზე!

# მონოლითი

„არ არსებობს სამშობლო სამშობლოს გარდა“
თამაზ ბუთხუზი

ნომრის გამოცემას უზრუნველყოფენ:

ვახტანგ მიშველია

და „ინდივიდუალური მეწარმე გულადი ფეტელავა
ჟურნალი ერთი ბელეტრისტის ტრიბუნა“; რეგისტრაციის №04/1-203, 21.12.01;

თბილისი,
კოსტავას ქ. №14:
ტელ.: 893 4041 33

თუ თქვენთვის ადამიანი საშუალებაა და არა — მიზანი;
თუ თქვენ ქვეყნის მომავალი არ გაფიქრებთ;
თუ თქვენ შვილების ღალატის გარდა აღარაფერი შეგიძლიათ;
თუ თქვენ დანაშაულამდე მხოლოდ იმიტომ არ მისულხართ, რომ არც შემთხვევა გქონდათ და აღარც გამბედაობა გეყოთ;
თუ თქვენ იჯერებთ მხოლოდ იმას, რაც თქვენთვის სასურველია;
თუ თქვენ განსხვავებას ვერ პოულობთ ზრდილს და ბრიყვს შორის;
თუ თქვენ პატიოსნებაში ზნეობის გარდა რაციონალიზმს ვერ ხედავთ;
მაშინ თქვენ ეს ნაშრომი არ დაგაინტერესებთ, შესაბამისად, არ მაინტერესებს თქვენი შეხედულება, ჩვენს შორის დისკუსია უსაფუძვლოა...

თამაზ ბუთხუზი



ვერცხლის წყლის — სინდიყის თვისებაა: დაცემისას იგი მსგავს ბურთულაკებად განიბნევა ხოლმე, მაგრამ რუდუნებით თუ შევეცდებით დაფანტულის შეერთებას, დაქუცმაცებული აღსდგება, განსხეულდება ერთმთლიანში.

უხერხულ შედარებად თუ არ ჩამომერთმევა, დაახლოებით ამგვარია დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური, სოციალური თუ თვით ლინგვისტიკური ვითარებაც.

აქვე ორიოდე სიტყვით ტრიადის ბუნებასაც შევეხები. თავი რომ დავანებოთ შუმერულ სამებას — ქრისტიანული მოძღვრების პირველწყაროს — ტრიადა ჯერ კიდევ ანტიკური წიაღიდან (პლატონი, პროკლე), მოგვიანებით გერმანული კლასიკური ფილოსოფიიდან (ჰეგელი) იღებს სათავეს და გაიაზრება, როგორც ნებისმიერი მოვლენის, განვითარების სამეტაპიანი გზა, სადაც პირველი საფეხური — თეზა, საწყისი სტადიაა, იგი უეჭველად უნდა გადაიზარდოს მის აბსოლუტურ დაპირისპირებულობაში, უარყოფაში — ანტითეზაში და უკვე მესამე ფაზაში — სინთეზში, უნდა მოხდეს ორივეს შერწყმა, შეერთება პროგრესულისაკენ, დადებითისაკენ, სრულყოფისაკენ და ასე — უსასრულოდ.

ქართულ აზროვნებას, ქართულ ფენომენს საერთოდ, ხსენებულ ჭრილში თუ განვიხილავთ, შევნიშნავთ, რომ სადღაც მესამე ათასწლეულში ზედმიწევნით განხორციელებულა ჩვენში სინთეზ — I, ასევე წარმატებით ვზიარებივართ სინთეზ — II-ს მეთორმეტე საუკუნეში და მართლაც, საქართველო, როგორც პირველ, ასე მეორე სინთეზის დროს მიაღწევს სულიერ ფასეულობათა ზენიტს.

მას აქეთ რა ხანია ვესწრაფვით სინთეზ — III — იგივე ოცდათექვსმეტი თუ რვა საუკუნის წინანდელ საქართველოს, ოღონდ უფრო მაღალ რეგისტრში აყვანილს, უფრო გლობალურს, სიღრმისეულს. აბა, სხვა რა ჯადო-თილისმა ამოაკაშკაშებდა „ოდოია"-ს, „ლილეო"-ს, „კრიმანჭულს"? აბა, სხვა რა გენია შეთხზავდა „ოქროს საწმისისა" და ღვიძლ დაკორტნილი ამირანის, პრომეთეს, იგივე არამხუტუს მითებს?! აბა, სხვა რა ძალა ჩამოაქანდაკებდა სწორუპოვარ „ვეფხისტყაოსანს"?! დიახ, სულ ცოტა ორგზის მაინც გაგვივლია ქართველებს სინთეზის, ანუ სულიერი წონასწორობის ფაზა, შეუთავსებლის შეთავსების ლაბორატორიული პროცესი — ტროასდროინდელ ეპოქასა თუ თამარის ზეობის ჟამს... („ღვთიური სამება", გვ. 184).



# შინაარსი


გუჯი ადონია
**უხმო მონოლოგები ალბერტ აინშტაინის**
**უკანასკნელ სურათთან**
(პოემა)
**005**
გური ოტობაია
**არამხუტუ**
(ეპოსი)
**020**
ლაშა გვასალია
**ჯასტაგანი**
(მოთხრობა)
**078**
თამაზ ბუთხუზი
**„გაახელ თვალებს — იქნება გვიან“**
( XXI საუკუნის წიგნი-სენსაცია)
**97**
რწმენა (99)
ცხოვრების აზრი (105)
პრობლემის ანატომია (120)
რა შეგვიძლია ჩვენ (126)
პალადიუმი (136)
უწესრიგობიდან — წესრიგისაკენ (146)
პალადიუმის რიტმი (151)

**პროექტი „გვიმარა“**
**170**
რომან ტიკაძე
**თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემია**
**179**
**ღვთიური სამება**
**183**
**ცოტნე დადიანის საუფლოში;**
**190**
ნინო ხარჩილავა
**ქართული დიასპორა**
(ქართული დიასპორის მოღვაწეობა
ქ. მოსკოვში 70-იანი წლებიდან 90 წ-ლამდე).
**198**
მაკარ ბაბრავა
**მკურნალობის ფსიქო-აპი-ფიტო ანტისტრესული მეთოდი**
**205**
რეკლამა
**„თერაპიის სახლი“**
**214**
**ჩვენი მილოცვა ბატონ გიორგი ფარულავას**
**217**
**ანონსი**
**218**

# გუჯი ადონია



## უხმო მონოლოგები ალბერტ აინშტაინის უკანასკნელ სურათთან

,,ის ბრწყინვალება, რომელიც
ნათს ამ ცის ქვეშ,
ყოველივესა და ყოველივეში,
ამ უმაღლეს სფეროებზე,
და ის ციალი, რომელიც ადამიანის
შინაარსებაში
კრთის — ჭეშმარიტად ერთია.“

**ჩჰანდოგია უფანიშადი პრანაბი**

მონოლოგი პირველი

### ფარდობითობის ხილული თვალი

გაცრიატებულ, გამორინდულ მაღლობზე ვდგავარ;
ფიქრთა რიალში მიჩქმალული,
აზრის ბურუსში თვალდანისლული,
დასავლეთისკენ მომზირალი...

გახუნებული სივრცეების მოთვალთვალე,
სახეგაცრეცილ ქვეყნიერების მოყურადე...
გაცრიატებულ, გამორინდულ მაღლობზე ვდგავარ...

მზე დასავლისკენ მიილანდება.
სივრცის უფერულ ნაოჭებიდან მოუხმობს სხივებს.

ხეობაში ცივი ქარი ქრის.
ცივი ქარი ნაცრის ფერებს აქსოვს გარემოს.
ნაცარწმულსა * ჰგავს ძველი კოლხეთის ეს მდინარეც
გათოშილი ღელვით მავალი...

სუნთქვაარეულ ქარისა და მდინარის ხივილს
ამოაქვს ხმები,
უსასრულობის სამალავიდან ოფოფივით წამოფრენილი,
ადამიანის ენით თქმული — ამოაქვს ხმები
და მათრახივით უტყლაშუნებს ნეხვას* და ტეხვრას*
ისედაც სუსხით გულგათოშილს,
ათასწლეულთა რიარიაში გამოტანჯულს,
მთებში ჩაკირულ ჩემს ყრუ ხეობას.

---

* შენიშვნები იხ. პოემის დასასრულს, გვ. 19. (რედ.)

ეულ სამყაროს აფორიაქებს ეული ქარი,
მზის ცეცხლოვან გარსს ელდად უვლის,
ცასა და მ იწას აჟრიალებს
იდუმალების უფსკრულიდან ამოხმობილი
სინამდვილის ცივი ციაგი:
,,სხეულის ენერგია ტოლია
ამავე სხეულის მასისა და
სინათლის სიჩქარის კვადრატისა!"
,,ყოველი სხეულის ენერგია ტოლია
სხეულის მასისა და
სინათლის სიჩქარის კვადრატისა!"
,,ამავე სხეულის სრული მასისა და
სინათლის სიჩქარის კვადრატისა!"
,,ენერგია ტოლია!"
,,ენერგია ტოლია!"
,,ენერგია ტოლია!"

შემოდგომის ფოთლებივით მიაქიაქებს ამ სიტყვებს ქარი.
უსასრულობის ფარდებიდან ჩამორწეულ შორეულ ჰანგებს
უკრავს ხეობის ღარტაფებში
ციურ ქნარზე ფრთაცივი ქარი.

,,ეს ხომ ყველაზე ტრაგიკული ცხადი ხილვაა
ცნობიერების ოროხ-მოროხ გზებზე დღემდე ხილულთა შორის?!"
ფუსფუსებს პლანეტის ბაგე მოწყენილი და გაბრუებული.

,,სხივების თვალი ციმციმებს ბნელში!"
,,ნაპერწკლების ქარავნებად მიილანდება სხივი სივრცეში!"
,,საგნებისკენ მიიზიდება სხივის მარცვალი
და მრუდეა სიმები სივრცის!"
გადაჰკივის ქარი ხეობებს...
და ეს სმენისთვის უწვდომელი ჩუმი კივილი,
ხმების უკან მიმალული ხმების კივილი
საარსოს სუნთქვას მსჭვალავს გულამდე...

მონოლოგი მეორე

**სახე სურათიდან გადმოსული**

ხემძევალივით* ვდგავარ მარტო უფსკრულის თავზე,
ზეხმელივით* ვდგავარ მარტო...
ვდგავარ და ჩემსკენ ჯანღიანი სივრცე მოცურავს.
ჯიბიდან ვიღებ დაკაწრულ სურათს,
სიკვდილის პირას მდგარი კაცის სურათს ვიღებ და
განმაარსებლის მზერას ვუჩვენებ...

ჩვეულებრივი მოხუცი დგას თვალნაღვლიანი,
გაოგნებული მოხუცი დგას ტანდარღვეული;
ჩამყუდროებულ ოთახში დგას სულდაფლეთილი:
საჩვენებელი თითი უდევს ბაგის კიდეზე.
ფიქრობს და ფიქრობს...
დაუსრულებლის საიდუმლოში ხეტიალით გამოტანჯული

ნაპირს მიჰყვება აჩრდილივით...
ცდილობს როგორმე კვლავ გახსნას ბაგე
და სამყაროს — გულკეთილ მშობელს —
უუმთავრესი საიდუმლო გამოუვლინოს,
დაუყენოს თვალწინ ცნობის თვალს...
მაგრამ სათქმელი?!
სათქმელი არ მწიფს!

დგას საბოლოოდ დამსხვრეული;
ფრთამოტეხილი ფრინველივით შიგნით ჩაბრუნებული
მოღლილი მზერით...
დგას იმ ერთადერთ ძალის წინაშე,
იმ ყოვლის შემძლე ძალის წინაშე,
რომელმაც სივრცეს შეაქსოვა მისი ხატება
და გაანდო საგნის გულამდე მიმავალი
ერთი ბილიკის საიდუმლო...

ამ უხილავი ძალთაძალის ხილვას შესწირა მთელი სიცოცხლე;
არსთა არსის საუფლო ველზე გასასვლელი კარების ძებნას
შეალია მთელი სიცოცხლე,
ყოველდღიური მოუსვენარი ძიების ჟამი მას შეალია...
მაინც უთქმელი რჩება მთავარი,
უხილავი რჩება მთავარი!

ყმაწვილკაცობის, ვაჟკაცობის ხანა იყო ერთობ ძლიერი,
გამაოგნებელი აღმოჩენებით, სწორუპოვარი ზეასვლებით
იყო ძლიერი!
გონების თვალით მომზირალთა შორის პირველი —
ძლიერი იყო... მაგრამ სხვებისთვის იყო ძლიერი.
თვითონ ყოველთვის კარგად გრძნობდა,
რომ ერთი ხედვის თვალსაწიერი დასაზღვრულია.
რომ ვერასოდეს შემოწვდება მთელს ნაწევარი
ყოველი მხრიდან.

მაინც უმთავრესს და უშორესს მიაპყრო მზერა:
მაგრამ ბოლომდე გზას ვით გაივლი?!
უწვდომელია დედაძალის იდუმალება.
ბურუსებიდან აღარ გამოდის ერთიანი ენერგიის
მქსოველი სახე,
იგი არ ამხელს თვისი ნაქსოვის საიდუმლოს.

დგას შეძრული, შეცბუნებული... ბინდს დაუჩრდილავს
მთელი ოთახი, მხოლოდ მისი სახე გამოკრთის...
მაგიდაზე და კედლების გასწვრივ გროვად აწყვია
სქელი წიგნები...
რა უნდა გითხრან ამ წიგნებმა
იმ ყველგანმყოფის გასაცნობელად,

რომელიც მუდამ უცნაურია?!
ისე გზრდიან, ვით ახალბედა მასწავლებლები;
ცოდნას იმდენად არ გაწვდიან,
რამდენადაც მცოდნეობით თავს გაწონებენ...
გაჯადოებენ, კეკლუცობენ და გზას გიბნევენ —
მომხიბლავი სხივის ციალით.
შეუცნობლისკენ მიმავალი გზა თავად შენ უნდა
გაიგნო ბნელში!

მონოლოგი მესამე

**ენრიკო ფერმი. 1942 წელი.**
**ჩიკაგო. ჯაჭვური რეაქცია**

ქშინავს ქალაქი...
უზარმაზარი ვეშაპის ფილტვი
ქშინავს და ღმუის.
მუდამ სურვილით გატაცებული,
მუდამ ეჭვებით აღელვებული,
მუდამ ვნებებით მონებივრე...

ყელგამოჭრილი ჟირაფივით მოხავილე,
თერების ელვას აყოლილი,
ბგერების რიალს აყოლილი
გემივით მიდის, მიირწევა მზის ქვეშ ქალაქი...

განმარტოებით დგას მოწბენილი, თეთრი შენობა,
შენობის ეზოს ფეხბურთის ძველი მოედანი ამშვენებს დღესაც.
ამ შენობაში ტანმაღალი, თვალებლამაზი ქალიშვილები
და ჭაბუკები დადიოდნენ ერთ დროს ღიმილით;
სწავლობდნენ, წერდნენ, კითხულობდნენ... იცინოდნენ,
მხარულობდნენ...
ხან ფიქრობდნენ, ხან ეზოში ბურთს თამაშობდნენ,
ხანაც კიდევ სიყვარულის ნექტრით თვრებოდნენ...

ახლა ეს ეზო ცარიელია, ჩამიჩუმი არ ისმის არსად,
შენობის ღია დარბაზებში სხივი არა კრთის ძეხორციელის,
დაგმანულია შესასვლელი კარი ურდულით.

ეზოს ბოლოში ჯოჯოსავით განაბული,
სარდაფივით იდუმალი ოთახები თვლემენ უგულოდ.

ერთ-ერთ ოთახში ამ დედამიწის მთლიანი ცოდვა შეკუმშულა...
უხსოვარ დროიდან მომდინარე ყველა ცოდვა ერთად შეკრულა.
ზემკვრივ სხეულზე ათასჯერ უფრო გამკვრივებულა...
ნემსის წვერზე მოქცეულა და ბელზებელის თვალივით ბრწყინავს...

ამ ნემსის წვერთან დღისით და ღამით
კაფანდარა ევროპელი კაცი ტრიალებს,
კაცი, რომელსაც ნიშანწყალიც არ ეტყობა რამე სიავის,
მაგრამ ასეთი იერსახის მიუხედავად

მისი ტვინის მოხაზულობას, მნემს *და ენგრამებს*
თვითონ კოსმოსიც შეძრწუნებული თვალით დასცქერის.
საოცარია! ეს კაცი თითქოს ამ სამყაროს უსასრულობას
ურყევი ნების ძალით ჭარბობდეს,
ისეთი ჟინით აკვირდება,
იმნაირი ყურადღებით ათვალიერებს ამ შემზარავ თვალს.

ოთახში ცხოვრობს მასთან ერთად უსხეულო, შავი ღამურა,
დღედაღამ ჭერქვეშ ჰკიდია იგი...
დღედაღამ თავზე დასწრიპინებს, დასჭყივის ამ კაცს:
— აბა, იჩქარე, იჩქარე და იჩქარე მუდამ!
— საჭიროა სიჩქარე მხოლოდ! სიჩქარე მხოლოდ — ჭყივის ღამურა.

იცნობს ეს კაცი ამ ღამურას, შეეჩვია მის საცოდავ
წრიპინს კიდევაც...
კაცობრიობის შეცდენილი და ჭირვეული სულის სახეა
ეს ღამურა და ამდენად, მისი სულის შეუმჩნეელი სახეც ეს არის...

შეეჩვია მის საცოდავ წრიპინს იგი, აჰყვა მის ხმას და
დღედაღამე ბზრიალასავით ტრიალებს იგი
ბელზებელის თვალს უტრიალებს გარშემო ახლა...
უნდა უსაზღვროდ გაუძლიეროს მას მხედველობა,
რადაც უნდა დაუჯდეს იგი...

„— დროზე ადრე!“ „დროზე ადრე!“ „დროზე ადრე უნდა აღსრულდეს
ეს საბოლოო ძლევა ძლევისთვის!“
ეპასუხება ღამურას ხმას მისი გონება.

რა ამოძრავებს? რა ამოქმედებს? წვდომის ჟინი, დიდების ხმა?!
ნუთუ არ იცის რას აკეთებს და რა მოჰყვება შედეგად ამას?
თუ ეს პლანეტა არ ებრალება თვისი სამშობლო მაინც არ უყვარს?!
ნუთუ მართლა არ აგონდება მისი ქალაქი?!
წმინდა პეტრეს ტაძრის გუმბათი — ცა გონებაში!
ყმაწვილობის ჟამს შენაგრძნობი სივრცის ფერები?
შაბიამნის ხსნარში გამდნარი ოქრო!
დამწიფებული ფორთოხალი — ნათურასავით რომ ახამხამებს
ღამეული ბინდიდან თვალებს?
არ აგონდება?!

ან უფრო დიდი და დიადი, განუზომლად უფრო მაღალი,
ის, რაიც რჩება წარმავალისგან წარუვალ სივრცეს, უფრო ხანგრძლივად?
თუნდაც ეს ერთი რომ ამოვიხმოთ ამ უთვალავი სანახავიდან,
და დავუყენოთ ახლა თვალწინ, რას იტყოდა მაშინ ნეტავი?!
თუნდაც ეს ერთი მიმქრალი სახე წაროღვნისებურ
თავსხმაში რომ დგას ხელაპყრობილი, ფეხშიშველი,
ტანისამოს ჩამოფლეთილი,
კაცთუგონობით გაწამებული სახე მდედრისა, რომ დაუყენოთ
ახლა თვალწინ, რას იტყოდა მაშინ ნეტავი?!

ნუთუ არარად ეჩვენება ეს ყველაფერი,
და არსებობის მთელს საიდუმლოს

მარტოოდენ ამ პეპლებივით მოფარფატე ფორმულებით ხსნის?!
ამ ხოჭოებივით დაღრეკილი ნიშნებით უნდა
ყოფიერების საილდუმლოს აეხადოს ფარდა?
ქმნადობას შინა საყრდენები გამოაცალოს
და გაარსების მშვენიერება ხანძრის ყვავილებს მიუგდოს ისევ?!
პირველელემენტს დაუბრუნოს სიცოცხლეში თავმოყრილი,
ან სიცოცხლისაკენ მიმავალი ყველა სულადი* ნივთიერება?
ეს უნდა მართლა?!

გადის დღეები, ფერმკრთალდება ცა და ხმელეთი...
კაცობრიობის მოქმედი გონი — მრუდედ მავალი ეს კიბორჩხალა —
ცოდვის და ცდომის მირიადი არსთაკვებით მიუახლოვდა
პლანეტარული უფსკრულის კიდეს
და დაჟინებით მიცოცავს მაინც...
კოსმიური ხმა გაისმის ამ დროს:,,ძალა საგანში როცა გადადის
ქმნადობა მაშინ იღვიძებს მხოლოდ, საგნიდან ძალის გამოდევნა
დაშლა არის და არა ქმნადობა!"

გამუდმებით წივის ღამურა და ჰა, მზადაა იგი, რაც ბნელს სურს!
უსახო სახის მკრთალი ლანდები დასტრიალებენ
საბედისწერო სივრცეებისკენ გამავალ კარებს...

,,ახლა ჩამრთველს ხელს დავაჭერ მე და დაიწყება ისეთი რამე,
რის დაწყებასაც დედამიწაზე ბუნება დიდხანს არ აპირებდა
თავისი ნებით!"
ასე ამბობს ამ უცნაური კაცის ტვინი...

გველის თავივით მისლიანებს ფერმკრთალი ხელი ჩამრთველისაკენ...

ამ ქალაქიდან იმ ქალაქში ტელეფონის ზარი წკრიალებს:
,,იტალიელი ზღვაოსანი გადავიდა ახალ ნაპირზე!"
,,იტალიელი ზღვაოსანი გადავიდა ახალ ნაპირზე!"
,,იტალიელი ზღვაოსანი გადავიდა ახალ ნაპირზე!"
მიჰკივის ასე ტელეფონის მავთული ქარებს.

ამბობს ერთი ხმა და ესმის ერთ ყურს.
სხვას აღარავის ესმის ჯერაც ამ შემზარავი სიტყვების აზრი —
აღფრთოვანების ბურუსებში გამოხვეული.
თუმცა ჯეროვნად ეს არც მთქმელს ესმის და არც გამგონეს...
იქნებ ეს არც იმ ზღვაოსანმა იცოდეს კარგად,
რომელიც ასე უნაღვლელად გადავიდა ახალ ნაპირზე.
არავინ უწყის სად გვისაფრდება ვერაგი დოქტაიგნორაცია.*

მაშინ ვინ იცის ნამდვილი აზრი ამ ზეარსული გასეირნების?
ეს სივრცემ იცის, ეს დრომ იცის ყველაზე კარგად,
საგანთა სივრცემ, საგანთა დრომ.
ამ დამფერფლავი გაღწევის შედეგს
სივრცე მომავლის რტოს დაუმწიფებს.
დრო მომავლის რტოს დაუმწიფებს,
ყველაზე კარგად და გასაგებად...

და მაინც მინდა რომ შეგეკითხო:
დოდო მოხუცო, შენ რომ არა
ასე იოლად გადავიდოდა ახალ ნაპირზე
თუნდაც ეს მარჯვე ზღვაოსანი?

დიდო მოხუცო, საით წაიღებს ამ პლანეტის ფერფლს
კოსმიური ქარებისა და ქარშოშინების * ზემძლავრი ქროლა
ძლევის სურვილი თუ ვერ დავძლიეთ?

,,ამით დაიწყო, ამით დამთავრდეს!“
,,ამით დაიწყო, ამით დამთავრდეს!“
,,ამით დაიწყო, ამით დამთავრდეს!“
წივის ღამურა.

მონოლოგი მეოთხე

**ისევ სურათიდან სურათიდან გადმოსული სახე**

დგას უგრძნობელი მაგიდა ჩუმად და მაგიდასთან
დგას სიღრმეებში მომზირალი... ეს ერთხელ კიდევ და ვინ იცის,
ამჯერად იქნებ უკანასკნელად უთვალთვალებს იგი ამ სიღრმეს...
ნათელმხილველის მისნური მზერა დიდი ხანია დალიბრულია.
ის სხვა კუთხიდან უთვალთვალებს ამ სიღრმეს ახლა,
ოღონდ იმგვარად შეეჩვია უცნაურობის მზერას თვალები,
მისი ბნელ-ნათელ გაურკვევლობით ტკბობის უნარი დაჰკარგა ხედვამ.
და დანაკარგის სანაცვლოდ იგი სახეთამქმედის ყოვლისდამტევ
მშვენიერებას ვერ ეზიარა გამომწვლილველი აზრის თვალებით...
ყინულივით ცივ ფორმულებში ვერ ჩაეტია ყოვლისდამტევის
თბილი ხატება...
ვერ ამოიხმო უმთავრესი ყოვლის გულიდან.
ხმებით ცდუნებას განერიდა უხმოდ მოქმედი
უსიტყვოდ მთქმელი აღარ აჰყვა სიტყვიერ ხმობას,
მისი აზრის ხმას, აზრის ძახილს აღარ დანებდა
უნიშნოდმქმედი და მსაზვრელი
ანდა ვინ რა გზით დაიყოლიებს უსასრულობის დამყოლიებელს?!

მაინც სად არის ერთიანი სათავე ყოვლის?
რანაირ ძაფით იქსოვება ერთიანი უსაზღვრო ველი?
რად განელტვიან ენერგიის ყველგანმყოფელი სიმები მზერას?

დამფუძნებელი ყოველი არსის, ყოველი არსის მაარსებელი
სად არის იგი, დასაწყისი, სათავე ყოვლის?!

თვითონ მის მიერ აღმოჩენილზე, ათასწილად უფრო დიადი
იქნებოდა გონის თვალებით დანახვა ამის,
აღმოჩენა ამ სასწაულის, მაგრამ ბოლომდე არ გახსნა
შესაცნობელის მარადიული კარიბჭე მძიმე.
გულით კი გრძნობდა ყოვლისმომცველი სიდიადის,
ერთიანი მრავალფეროვნების შვილი რომაა ყოველივე
ამ უბოლოო ორომტრიალში...
ძაფები მაინც აიბურდა, არ გაიხსნა საიდუმლო დასამტკიცებლად,
დამტკიცებულის სათავენი არ დანებდა
კაცის თვლწინ დგომას და ზეიმს.

დრო წარსულისკენ გასრიალდა როგორც მდინარე;
მოახლოვდა, ზღურბლს მიადგა უკვე სიკვდილი...
ბებერი, მაგრამ მაინც უკვდავი და თავნება ეს ქალბატონი
ლეჟუპოსფერ მარაოს არხევს მის წინ დღედაღამ
დაჟინებული ღიმილით უხმობს განსასვენებლად...

ადრე სხვა იყო, სხვა საცოდნელს ედავებოდა; ერთი უცნობი
ყმაწვილი კაცი — ცნობის უნარით, განსჯის უნარით გულმოცემული,
საგანთა წარმტაც საიდუმლოს მოუძლოდა სინათლისაკენ,
ბუნების ძალთა მიმოქცევას შეჰხარდა უხილავში ჩამდგარი სხივით.

მერე ამაღლდა ნისლმობურვილ დროის მწვერვალზე;
საუკუნეთა ასატანი ტვირთი აზიდა,
ნერვებდაცრეცილ კაცობრიობას თვალწინ დაუდო ახალი ძღვენი.

მაგრამ ევროპის მრუდე გზებზე ჩაბნელდა ჟამი:
უკუნეთიდან ამოტივტივდნენ განათლებული დუნკელმანები,*
სისხლის წვიმები დააყენეს
და ბანაობა იწყეს სისხლის გუბეში ურცხვად;
ადამიანთა ხორცის ხრუკით და ძვლების ფერფლით
დააბნელეს ევროპის ზეცა.

მანამ მეორე ნახევარსფეროს — პლანეტის ზურგზე ნავსადგურივით
ამოტვიფრულს — შეაფარა თავისი თავი, მაგრამ აქაც არ მოასვენეს,
მოდიოდნენ და მოდიოდნენ, სულ მოდიოდნენ...
ახალახალი შემზარავი ამბები მოჰქონდათ, იძაბებოდა გარემოება.
საყოველთაო შიშის მზერა ითხოვდა ნუგეშს:
ყოვლისდამშლელი იარაღის შექმნისთვის ზრუნვას
კაცობრიობის გადასარჩენად თვლიდნენ საჭიროდ.
აღმოჩენები აღმოჩენებს ისე მისდევდა,
როგორც თხის არვე მთის ვიწრო ბილიკს!
ოტო ჰანი, ოტო ჰანი, ოტო ჰანი იყო პირველი!
ახალ სივრცეში კარის გამღები!

ურიგო ადამიანებს არ ჰგავდნენ ეს მეცნიერები:
ნიჭიერებით, გონის წრთვნილობით განირჩეოდნენ —
საქმის ერთგულნი, და მაინც ყველას საიმდროოდ
აკლდა რაღაცა... რიგით საზრუნავს ასრულებდა ყველა მათგანი,
რატომღაც ყველა ბედისწერით ატანილს ჰგავდა...
დაარწმუნეს და დაიყოლიეს,
და იშვა დროის ღია წყლულიდან ახალი ბომბი,
გონდაბინდული საუკუნის უგონო შვილი,
უკანასკნელი ნაშიერი პატრიარქატის მძლეველი მამრის...

## მონოლოგი მეხუთე

### ჰიროსიმა და ნაგასაკი

იქ, იმ შორეულ
და ბავშვებით მოჟრიამულე
ქალაქებში აფეთქდა იგი.
ადუღდა წყალი,
გადნა ფოლადი...
ნივთთა კივილმა შეძრა სამყარო.

კიალ-ზრიალმა
გადაურბინა
კოსმიურ ნერვებს.

წამოდგა იგი
და წარმოსთქვა:
,,დიახ! ღილაკს მე დავაჭირე
თითი პირველად!‘‘
ასე თქვა მაშინ...

რა იყო ეს თქმა,
ირონია თუ
ნაღვლიანი აღიარება?!

სხვებს სათქმელი ასეც არ უთქვამთ,
ვერც იტყოდა, ალბათ, ვერავინ!

დიდი ბრალდების საკუთარ თავზე
მიღებისა და აღ იარების
უნარით მუდამ ღარიბია ადამიანი
ვინემ სხვა ნიჭით...

შიშის დამთრგუნველს
და უდიადესს ზიარებულს
ერთხელ გამსჭვალავს
ეს უნარი...

და მაშინაც კი
აღიარება ვერ მოხსნის
ცოდვას.

**დანართი**

ოტო ჰანი! ოტო ჰანი!
ოტო ჰანი!
პრომეთეს ხელი!
პრომეთეს სახლი!
ხელითუქმნელის
მქნელი ხელი!
ასე ჰკივის უსასრულობა...
და ამ დროს იგი,
ჩრდილოეთის ბურუსებში
მიჩქმალული ჩუმი კაცი
მგლოვიარე ფიქრებში დნება.

მონოლოგი მეექვსე

**გზა უსასრულო. წვდომის უცნაურობა**

ოკეანესავით აზავთებულ ამ ასწლეულში აღმოჩენილის
დიადი ნათლით, დიდმხილველობით დიდ ხანს ვერავის გააკვირვებ...
ვერც საკუთარ თავს აამებ დიდ ხანს!

შეცნობილს იქით გასაოცარი და მიმზიდველი შესაცნობელი
წამოსწევს თავს:
გიხმობს, გეძახის დემონურ ჟინით... ხელებს გიქნევს, სახეს იმალავს.
მისდევ, გაგირბის, შედგები და მოგიბრუნდება...
შენც მომძლავრდები, აელანდები უხილავ წიაღს,
აღსდგები მთელი შენი შეგნებით,
მოიმწყვდევ ხედვის ნათელ არეში.
გამოუვლენ დაფარულ სახეს, გულის შინაარსს...
დაგეუფლება სიხარული მცირედი ჟამით.
მერე მას იქით რომ გაიხედავ: უფრო დიდი და გონის მიმტაცი
საიდუმლო წამოეზრდება ტვინის სახედველს,
— აბა, მოდიო, — მოგაძახებს, აგიყოლიებს,
გაგიტაცებს და ამნაირად მიდის გზა ზევით...
ამ უსასრულო გზას საოცარი აქვს ჩვეულება:
პირველად მეორე იღვიძებს მუდამ...
გაღვიძებამდე რაც პირველი ჩანს,
გაღვიძების შემდეგ მეორედ იქცევა ისიც...
სადღაც ჯადოსნურ თავშესაფარში.
ასე ყოველთვის თავს იმალავს უპირველესი.
ცნობის არეში მხოლოდ წამით შემოდის იგი,
გაიელვებს და უჩინარდება...

ჩვენ არც ასახვა, არც გამოხატვა, ჩვენ უმთავრესის
გამოთქმა გვინდა სიტყვით, ნიშნებით...
გვსურს სახილველად მოვიარსოთ იდუმალება...
მაგრამ თვითონ ამ მოარსების ჟამს ხდება იგი —
გაუგებარი გადანაცვლება.

ჩვენ რომ ვართ ასე გატაცებული ამჯერად მაინც
ჩვენი საქმის ზედმიწევნითი შესრულებით,
ამ დროს ჩვენს მიერ შეუმჩნეველ ერთ მეყის მეყში
პირველი და მეორე თითქოს გაუცვლიან ადგილებს ერთურთს...
რაც ჩვენ გვინდოდა, ის სიღრმეში შეიმალება
და პირველის ნაცვლად მეორე ამოდის მუდამ ჩვენს განამხელში.

რა ხდება მაინც?
ჩვენ გვავიწყდება ამ უცნაურ ყოფიერების და იმის საგნებს
ერთი წამითაც რომ აღარ ძალუძთ დგომა სივრცეში.
ჩვენ ვაჩერებთ შეუჩერებელს...
ყველგანმყოფელი დაუცადებლად მიმოიძვრის ყოველივეში,
იგი ერთია, ერთნაირ რიტმზე ამაწყობელი ყოველივესი.
თანაც ისე სწრაფად მიმოდის,
სანამ ბოლომდე დასტოვებდეს,
მანამდის ისევ უბრუნდება ყოველ თითოეულს —
განახლებული ელვა-ციმციმით.
და ამიტომაც მზერას ჩვენსას არ შეუძლია ჯერჯერობით მისი დანახვა.
რა ვიღონოთ, რა ხერხს მივმართოთ?

ისევ უნდა მივსდიოთ ამ გზას და მივეჩვიოთ უმჯობესისკენ
სწრაფვას ისე რომ, უარესი არ გავახელოთ...

მონოლოგი მეშვიდე

**უმთავრესის სიახლოვე**

მართალკაცობა უცვლელია თვალსაწიერში:
ყოველ საფეხურზე იშვენიერება მოსავს მის სადგომს;
მზე უცინის და ნათელი აწვიმს...
დიდია მისგან ქმნილი მცირედიც.
დიდი ხანია გარესამზაროს რაც ჩაჰკირკიტებს ჩვენი მზერა...
დიდი ხანია ქვეყნიერებას რაც შევცქერით ბრმადმხედველი
მღვრიე თვალებით...
ხილვის ძაფები საიდანაც მოედინება ამღვრეულია ის სათავე
ცდუნების ჯანღით...
შინა უღრანებს ბნელი ქარები აშრიალებენ.
ცხოველების მშიერი ჯოგი შეჰყმუის მუდამ
ჩვენი შინა სივრცეებიდან ამ უსასრულო განფენილობას...
უკეთესი სინათლეების გამოღვიძება ჩვენსავე სულში
ჩვენ ჯერ კიდევ აღარ გვიცდია
მთლიანი ჩვენი შესაძლებლობით,
უარესთავის დავიწყებით,
სიმართლის ლამპრით...

მთავარ საყრდენს, მთავარ საზრისს
ჩვენ ჩვენს გარეთ ვეძებდით მუდამ
და დღესაც იმას ვეძებთ ჩვენს გარეთ.
შინა სივრცე არ გამოგვისხლავს,
გაგვიუღრანდა შინა სივრცე...

გარესკნელიდან მომცვრეულმა ცოდნის პაწია ნაპერწკლებმა
ვეღარ გვიშველა...

ულმობელია ტკბობის ჟინი, პყრობის კაცუნა.
დანაშაულის მყრალი ყვავილი გაიფოთლა
ჩვენს არსებაში.

ლექსთა ციმციმით, ფორმულებით და მცდარი ცნებებით
აჭრელებული
ცნობიერების რიოში სარკე აყირავდა,
ფეხი დაუსხლტა და სამუდამოდ წაიქცა მასზე
პატრიარქატის დიდი მამრი ძლევის ჟინით გახელებული...
შიგნით ხედვის ჟამია ახლა
დასაბამიდან გამოურცხელი
ჭურჭლის გამორცხვის ჟამია ახლა...

მონოლოგი მერვე

**ბოლო აკორდი**

ჩვენ სიყვარულის მდინარეში გვიბანავია,
ჩვენ სიკეთის მდინარესაც ვწვევივართ ხშირად...
დღეს სიმართლეა ის მდინარე, რითაც უნდა განიბანოს
ცოდვებით სავსე და ცდომილი ჩვენი არსება...

აღზევებულმა ბოროტებამ ჟამის მსახვრალმა
არია ჩემი სავალი გზები... სიმართლე მაინც არ დამვიწყნია!
თავდაპირველად სიმართლეს ვგავდი თვითონ მეც ქვეყნად:
სივრცის წიაღში მონებივრე ყოველი არსის შესაფერის
მართალგონებას შევხაროდი ყოველდღიურად,
ვით განთიადის ქვეყნიერება... შევხაროდი, მაგრამ შორიდან!

ახლა აქა ვარ,
აღსასრულის ბნელი ფარდა
ირხევა თვალწინ...

ჩემი მიზანი შესრულებულია.
ჩემი გული დაფლეთილია.
ჩემი გონება ნელთბილ მორევში
დალივლივებს...

რა ვქნა, ვერ ავალ, ვერ ავაღწიე იმ მონიშნული
მწვერვალის თავზე, სადაც უნდა ავსულიყავი...
საითკენაც მივისწრაფოდი.
ორმოცი წელი ვადექი ამ გზას!
გავიხედავ და გამოვლილი მანძილიც არ ჩანს.
ვერ შევიძელი, არ მეყო ძალა.
ჩემი მიზანი დრომ დაასრულა.

ისმის ფუსფუსი.
მისი შემძრავი დუმილიდან
გადმოფრენილი —
ფუსფუსი ისმის...
უთქმელად თქმული
ჟონავს სივრცეში.

და დგას ძლეულიც, უძლეველიც...
ბოლომდე სახეგამოუვლენელ
მშვენიერების წინ დგას კაცი,
საუკუნისთვის შემზარავი
სახის მიმცემი —
კაცი დგას ჩუმად.
დუმილის ღმერთივით უდევს თითი ბაგის კიდეზე...

„ხუთიათასი წლის შემდეგ ქვეყნად ვინც მოვა,
ვინაც იქნება...
ექვსიათას ცხრაას ოცდაცხრამეტ წელს
აქ ვინც დადგება, მისთვის ანდერძი ხომ მე დავწერე?!
ამის უფლება მე მომანიჭა ჩემმა დრომ,
ჩემმა კაცობრიობამ!
სხვა ჯილდო , ალბათ, მე არ მეკუთვნის
და აღარც მინდა!"

ისმის ფუსფუსი...

ულმობელი მუსიკის ნაწყვეტს
უკრავს ხეობის ღარტაფებში
განმაარსებლის ქნარი ჟღერადი
და კოსმიური ჰარმონიიდან
ცეცხლოვან ჰანგებს ახმიანებს
უდარდელი ფრთაცივი ქარი.

1958 — 1984,
კირცხი — თბილისი.

ავტორისეული კომენტარი
„უხმო მონოლოგებისა"

**რამ მიმიყვანა აქამდე, რომ ამეღო კალამი და დამეწერა ეს მონოლოგები?**

**გზამ, ჩემმა გზამ!..**

**ჩემი გზა კი ასე დაიწყო:**

**1941 წელია, 28 მაისს შემისრულდა 11 წელი. მესამე წელია, რაც ბავშვობის ასაკს გავცდი და უსუარობის ასაკში გადავედი; (რვა წლიდან თოთხმეტ წლამდელ ბიჭს უსუარს უწოდებდნენ ძველად, გოგოს კი — უსუარას, ისე არ იყო, ახლა რომაა: ოცდახუთი წლის ვაჟკაცს ბავშვს რომ ეძახიან) ჰოდა, ერთი თვეც არაა გასული ჩემი მეთორმეტე წლისა, და 22 ივნისს დაიწყო ომი, დიდი ომი; საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის.**

**ბავშვმა არ იცის რა არის ომი, არც — უსუარმა...**

**იცის მარტო ის, რომ იქ კაცები ერმანეთს ხოცავენ.**

**იცის, რომ ომს ახალგაზრდები სჭირდება.**

**მიჰყავთ და მიჰყავთ... მიჰყავთ ყველა, ვინაც მიყვარდა, ვინაც მზრდიდა... მანებივრებდა. ზოგი კალმებს მიტოვებს, ზოგი — ფანქრებს, რვეულებს, წიგნებს...**

**წაიყვანეს ჩემი ნათლიაც.**

**მათგან არავინ დაბრუნებულა... დარჩა მხოლოდ ხსოვნა, ხსოვნა სახეებისა, თავებისა, თმებისა, ვარცხნილობებისა...**

**შიმშილი შემოეპარა სოფელს.**

**დავიწყე ბარვა, თესვა, მარგვლა, მოროდი... ვმუშაობ არა როგორც ბავშვი, არამედ**

როგორც სრულწლოვანი მამაკაცი. მეზობლები მოდიან და მეუბნებიან: ასე არ იმუშაო, თორემ მოკვდებიო, მაგრამ არ ვკვდები და ძალიან მხნედაც ვგრძნობ თავს. სამაგიეროდ სიმინდი გვაქვს, ფქვილი გვაქვს... თუ ვინმე გზადმიმავალს გული შეუღონდება შიმშილისაგან და ჩვენს ჭიშკართან წაიქცევა, შეგვიძლია დაუნანებლად გამოუტანოთ მჭადი და ყველი, არადა, იყო ასეთი შემთხვევებიც...

## 1945 წელი!

დამთავრდა ომი, მაგრამ არავინ ბრუნდება...

პირველი სექტემბერი, მეორე გაკვეთილი, ფიზიკის... მასწავლებელი გვიხსნის: მეცნიერებმა ატომის ბომბი შექმნეს... გახლიჩეს ატომი! მერე ორი ასეთი ბომბი ჩამოაგდეს იაპონიის ქალაქებში, ჰიროსიმასა და ნაგასაკში: ორივე ქალაქი დაინგრა, დაიფერფლა... სამასიათასი ადამიანი იმსხვერპლა ამ ორმა ბომბმა.

— მერე თქვენ რა გიხარიათ მასწავლებელო?! — ვეკითხები ყვირილით.

— ეს უდიდესი მიღწევაა მეცნიერებაში, — მპასუხობს ღიმილით.

მთლად ვცოფდები:

— როგორ!!! შეუქმნელი შექმნა და ასეულ ათასობით ადამიანი ხოცო და ბუგო, ესაა მიღწევა?! ეს დაცემაა!

გაბრაზდა მასწავლებელი: დინჯი ნაბიჯებითა და განრისხებული სახით წამოვიდა, მარცხენა მკლავზე წამავლო ხელი, მიმიყვანა კარებთან, თვითონ გამოაცვლო კარი და გაკვეთილიდან დამითხოვა.

ვიდექი ჩემი ლამაზი სკოლის ეზოში, ვიყურებოდი იქითკენ, საითკენაც მეგულებოდა იაპონია და ვტიროდი. საშინელი, ჩალისფერი ღრუბლებიდან ვერ გამოდიოდა მზე. იდგა შუადღის წინარე ჟამი.

რამ მიიყვანა ადამიანი ატომური ბომბის შექმნამდე? იფეთქა ამ კითხვამ. რადაც უნდა დამიჯდეს, ამ კითხვის პასუხს უნდა მივაგნო, გახმიანდა ჩემს არსებაში ეს აზრი ჩუმად. ეს კითხვა კი გზადაგზა ასე დაზუსტდა: რამ მიიყვანა კაცობრიობა ატომური იარაღის შექმნამდე?

ვინაიდან ამ იარაღის შექმნაში, როგორც საკითხის შესწავლის ხანგრძლივ პერიოდში დავინახე, მთელი პატრიარქატი ღებულობდა მონაწილეობას, ჩემი, შენი და მავანის ჩათვლით; უხსოვარი დროიდან დღემდე არსებული და დღეს მოარსებე ყოველი ადამიანი ღებულობდა მონაწილეობას ამ იარაღის შექმნაში.

ამრიგად, 1941 წელს დამეკარგა ბავშვობა, 1945 წელს — სიყმაწვილე. შემდეგ იყო შრომა, სწავლა, ძიება... ტანჯვა და სულსჯა... ჯოჯოხეთში წრიალი დღემდე, ცოცხალთა ჯოჯოხეთში.

## ტრაგედია - მონოლოგი

ტრაგედია ისაა, რასაც დამნაშავე არ ეძებნება.

მონოლოგი გულის ხმაა ტრაგედიისა.

კაცობრიობამ ორი ტრაგიკული პერიოდი გამოიარა:

ერთი, პირველი: ანტიკური, არქაული ხანის წინა პერიოდი; მისი ნაგვიანევი ექო

**მედეას მონოლოგებში გაისმის. დედის უფლებები კვდება. მამრი იბრძვის დედამიწაზე დამკვიდრებისათვის. ვითარდება უკიდურესი ეგოიზმი.**

**მეორე პერიოდი: ინდივიდუალიზმის ტრაგედია, შექსპირი, ჰამლეტი... ჰამლეტის მონოლოგები: „ამ ყოლო დროს“, „ყოფნა-არბოფნა“.**

**მესამე პერიოდი მეოცე საუკნიდან იწყება: ესაა პლანეტარული კატასტროფის მოლოდინი და ამ მოლოდინის გაბგერებას წარმოადგენენ ეს „უხმო მონოლოგები“. ეს ასეა, ვარგა თუ არ ვარგა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს ესენი, და ასე იქნება მანამ, სანამ უკეთესად არ გამოსთქვამს ამ ტრაგიკული მოლოდინის შინაარსს ვინმე.**

**რამდენიმე სიტყვის განმარტება აუცილებლად მეჩვენება, დანარჩენს კი თვითონ გაიგებს მკითხველი, თუკი მოისურვებს გაგებას.**

ავტორისეული შენიშვნები:

**ნაცარწმული** — ნაცრის ნახარში წყალი;

**ნეფხვა** — მშრალი ყინვა.

**ტეხვრა** — ნესტიანი ყინვა.

**ხეძევალი** — გაშლილ სივრცეში განმატოებით მდგარი ხე; ოლე.

**ზეხმელი** — ზეზეურად გამხმარი ხე.

**განმაარსებელი** — არარსებულის მაარსებელი, უფალი.

**მნემი** — ადამიანის თავის ტვინის მიერ შეძენილი ცოდნა მთლიანად, ერთიანად.

**ენგრამები** — კითხვის, სწავლა-მეცადინეობის შედეგად ტვინში ჩაწერილი ცალცალკეული ცოდნა.

**სულადი** — თავდაპირველად საჭმელს სულადი ერქვა ქართულად, მერე — საზრდელი, ახლა კი საჭმელი ჰქვია. მე კი „სულადი ნივთიერება“ ვუწოდე ყველა იმ ბიოქიმიურ ნივთიერებას, რაც სიცოცხლისაკენ მოისწრაფის. უმშვენიერესია იმის დანახვა, თუ როგორ მოილტვიან ისინი უსასრულობიდან სიცოცხლისაკენ.

**Docta Ygnoracia** — ცდომილება მცოდნეთა, ამა თუ იმ ნიუანსის უცოდინრობით გამოწვეული.

**ქარშოშინი** — უდაბნოს ცხელი ქარი.

**დუნკელმანი** — გერმ. ბნელი კაცი, ობსკურანტიზმის ადამიანი.

გური ოტობაია

# არამხუტუ

## მეჯღუნა

ირფელს ოჭიშჷ ქურთინე დო ხალხიშჷ გური ვადინუა,
ომბოლს ცხირა დაცხირაფე, ტყურათ ვეგლახანდინუა,
ჸვერეს ხინჯი ქიმევჭიშე, სერეფიშა ვარჯგინუა,
ჸუნგას ბირა ქიდარზაფე, უკოჩანა ვარჩქილუა,
სი რექ სინთე იონაში, დუდო ღორონთჷ მიჸონჷ აში

ირფელს ოჭიშჷ ქურთინე დო შქას ქიმშანთხი გაზებელსუ,
დიხაშჷ გურშა ქენაჸუნი, ომბოლსუ დო მარსხებელსუ,
ვაგაშქურნას — სქანი ჟიშე უღურალა არსებენსუ,
ირჷ ჭუასუ გოიჭვარუნსუ, უგურზებჷ დო გარზებელსუ.
არამხუტუშჷ ნორცხვა რექუ, ირჷ ცოდებიშჷ მოსრსხა რექუ.

ირფელს ოჭიშჷ ქურთინე დო შარა გონწყი მობირეში,
ხუმლა ჩხვიჩხის დუხვანცალე, ნოჸულჷ პირით გოპირეში,
სანთელეფი ვაშქირიტა მოხვამე დო მოპირეში.
ხანგას ტანშე გეიშუფართხი, ალდაჩხირი ონკირეში.
სი იესოშჷ თანაფა რექ, რინაშჷ ეთოჭყანაფა რექ.

ხალხიშჷ გური ვადინე დო ირფელს ოჭიშჷ ქურთინედა,
დექექებუქ ერებამო, ცაშა გეშახურთქინედა,
მოთალეფი ეგკათხოზუ, ასე გოკონჷ უჩილე რდა,
ცინდა რინაშჷ მაძგაბალი, უღურალსჷ ურჩქილედა.
ახალი დო ირო ჯვეში, ქუმუძახათ ობირეში!

## ფაილი პირველი

### I. 1. იოანი

სიტყვაქ ეფუ ჟიმოლეშე, სიტყვა დუდო ღორონთი რე,
ღორონთწკჷმა ზოჯუნს თინა, ასეთჷ თიში ოროთჷ რე,
შურდგუმილსუ ვაჩინებე, ჭყოლოფა თუ ჭყორონთი რე,
თოლი მითინს ვაჭირინე ჟღამინი თუ ჩხორონთი რე,
უფალიში მოტოლუა რე სიტყვაში გოთოლუა.

შუმერული ფირფიტეფსუ მარგალქ ირფელჷ თაშჷ ეხანტუ:
ღორონთჷ მუში ნასაქვარას სამოთხეშა აშეღანდუ,
ბჟალარაში ხეშქაგურშა დიხა რთაფათჷ ქაშეხანდუ,
ხე ჯა-ნერჩს ქუპოტინუ, ღობერეფი ქაშეღანდუ.
იონა რდჷ მეხვამარდე, მუჟამს წყარქიმიღჷ ამარდე.

ამშვი დღაში დინარცხუა ირფელჷ ართო იკვარკვანტუ,
წკვერემიათ დოქუნილი ოჭმარესუ გიკარკანტუ,
დოლოს ჸინით გოსქანჩილსუ, შურჷ რინაშა აცაცუნი,
მარა ჸურენს სოიშახითუ ჩხურუ ვემკიკვაწაწუნი.
სიტყვეფით რე რაბადელი, ღორონთიში რაგადელი.

# არამხუტუ

## მიძღვნა

ყოველს ზურგი აქციე და ხალხის ნდობას ნუ დაკარგავ,
ობოლს კვერი გამოუცხვე, ამაოდ ნუ ამუშაკებ,
ბრმას ბონდები მიაშველე, ღამეს ნუ დააჩაგვრინებ,
ყრუს ჰანგები დააგზნინე, უკაცობას ნუღარ ასმენ,
შენ ხარ შუქი იონასი, მამა-ღმერთო, მოჰყვ აქეთ.

ყოველს ზურგი აქციე და შუა ჩადექ წეკიდებულს,
მიწის გულში ჩაედევნე ობოლსა და ხელგასამართს,
ნუღარ შიშობ — შენს ზემორე უსიკვდილო სუფევაა,
ყოველ ტკივილს გაგიკაფავს, ასატანს და გაუსაძლისს.
არამხუტუს ღველფი გქვია, ხარ საშველი ყოველ სენის.

ყოველს ზურგი აქციე და გზა გახსენი მომღერლისა,
ხმელ-ხმელ ფესვებსუჩიჩხინე, ტოტი ფთილით აყვავილე.
სანთლებს ნუღარ ჩაამქრალებ მოაჯე და მლოცველისას,
შეშლილისგან გამოფერთხე ცეცხლის ალი საკირეთის.
შენ იესოს აღდგომა ხარ, — საბადისი არსებობის.

ხალხის გულს თუ არ დაკარგავ, და ზურგს აქცევ ყოველივეს,
ამჩატდები ერთიანად ცისკენ გადაფათქუნდები,
შვილთაშვილი დაგესევა, დღეს უცოლო იყავ თუნდაც,
ციდა ყოფნის გამძიძგნავი ყურს მიუგდებ უსიკვდილოს.
ახალი და მუდამ ძველი, შემოვძახოთ სიმღერები!

## ფაილი პირველი

### I. 1. იოანი

სიტყვა მოდუღს ზემოთიდან, სიტყვა მამა-ღმერთი არის,
ცაბაოთთან ბრძანდება ის, ახლაც მისი ჩრდილითაა,
სულდგმული ვერ ამოიცნობს, წყალობა თუ წყრომისაა,
თვალს მიუწვდენს ველარავინ, სიავე თუ სიგლახეა,
თავად უფლის შესადარი არის სიტყვის გარანდვები.

შუმერების ფირფიტებზე ასე ხატავს სვეს მარგალი:
ღმერთი თავის ნამოღვაწარს სამოთხემდე აიტანდა,
მზიანეთის ხელისგული მიწის ბრუნვით ამუშაკა,
ხელი ხეცხადს წაუწვდინა ღობეები გადათქერა,
მეხომალდე იყო ღონ, ოდეს წყალმა გამიტაცა.

გაჩენილი ექვსი დღისა ერთად ბრუნავს ყოველივე,
უკუნეთით დაბურული ალიონზე განათდება,
მოლს ყინვისგან გასაგნებულს, სული ყოფნით ეხარბება,
მაგრამ ითმენს სანამდისინ სიცივე არ გადაივლის.
სიტყვითაა ჩაწინწკლული ცაბაოთის ნაამბობი.

ვითოჟირი მილიარდი წანაშჷ მეტჷ რე ქიანა ირთანს,
თუთა მინშა იშირუნჷ დო მინშა ცუჯეფჷ გილუფირთანს,
მეფურინუნს გალაქტიკა, მეუპონუ წყარეფჷ კირდას
დღამუშისუ იკილოთუ, ჩაფლაშჷ ნერჩიქჷ ვადუშირდას,
გასურება გოჭყაფა რე, ბეჭედუა მონჭყაფა რე.

ჩქიმდა მითინს ვოუკითხირუ ბჟას მუშენი ოფორჷ დიხა,
ვარა ვითი თანამგზავრი მუშენი რე ნაბორდიხა,
ჩქი ართჷ თუთა მაპალუნანჷ, ცოდა მერკურს შურო ვაცუნს,
მარსის ჟირი გათართალუ, ნეპტუნჷ ბრუოს გილამაცუნს,
ვითოხუთი გართანს ურანს, შხვამოლეშე მეტი ცურანს.

სინთე, ნამუთ ჩქი ბჭოფუნანჷ სუმკუთხულო მიშქუმალუ,
ეშჷ ცილინდრიშჷ ფორმა უღუ, საწმოხუნოთ დიშქუმალუ,
ვაგათქუე მუქჷ ეცაცუ სონჷ მალი დო მიშჷ მაგორუ,
სინთე დიხას ურთანსჷნი, ირჷ მირსხალსუ მიშმახორუ.
თე ამბეფით კიდა-კიდა, გებდგი ბრელი პირამიდა.

ქუა ქუას გენწკარილი ტორნადოეფს ურთანსჷნი,
ითამჷ დიხა უხონუდკო კიდირჩელა გურთანსჷნი,
ფარაონი შურიშჷ ლაფას ცაშა გეშაბურსანსჷნი,
ღორონთისუ მიაკათუ, ლალაქ — ღურუ დურზასჷნი.
სუმჷ დო ოთხით აკონწყილი, ეფურნელჷ დო აკონწყვილი.

ქურუმეფიშჷ წერილეფით ჭიჭეს ქეთიეფრსქემუა:
შუმერს აფუდჷ ეჭარილი ატლანტიდაშჷ ქვერსემუა,
მუჭო გეთოლჷ მურიცხიქ დო ირფელჷქ ართო მისიროტუ,
დიხაშჷ ღერძექ გეგნიკინუ, ნამუთ აიშახ ისირო რდუ.
ეკინა დო დოკინოლას, ცოდა კოჩიქ სო გინოლს?!

მართალი რე ვოუჩქჷინას ბედშა დუდიშჷ ათოდვალა,
მარა მი რე დობადონას კინი თიში მაცოდალა?
ღორონთიში თასი ჯოხო, მუსხი ოკო გეჩიუალე,
საწმოხუნოთ მელენჷ დღაშო მუთუნითჷ ვეჩუალე.
მეცენს ქუა ოხვამერი დო სისქვამე გოღანერი.

ქარღადიშა ვატყობინე კოჩის ფსქე დო სამოხიო,
გურწყორილო ქორძირუნსჷნ, თქუანს: „ხელეფჷ ამოღიო“,
დასქელენი — გიწოლენსუ: „მუშენ ბღოლი კინჷ ჩიხევა“,
დათხითხორენქ ძალამსჷ დო: „დომჩაჩო კვინჭიხევა“.
თიშჷ კუსაფჷ დო სოფინი, ვედინტირე სოთინი.

ოტყობინალჷ ვაგაში უმკუთვალუ მურიცხის,
ხვალე ღორონთჷ გიზალანს რინობუა ურიცხვის.
მენცარობა რსიროტუნს დებადებუქჷ მუ რიცხვის.
მუჟამს კითეფჷ ქიდოიჭყანს ხეკვარჩხულო ბურიცხის.
გოკო ირო თელუა დო შურს ისანთელუა.

ფაუსტცალო ბაღჷ მინშა ჯგირობუაშჷ ბანდღუა,
ვარა კიხანოცალო რინაშჷ ეკოლანდღუა.
დოსქილადა ვეპალუ, ჟირშა მითინქ ვეფალუ,
გესანწალინჷ — ცხოვრებაქ რობუს ქენგობებალუ.
შუბარზამჷ და რჯგინია: „მუშენ ემორჩქინია“.

თორემეტ მილიარდზე მეტი წელია რომ ბრუნავს ჟამი,
მთვარე ზოგჯერ ილევა და ზოგჯერ ყურებს აპარტყუნებს,
ფრინავს ვრცელი გალაქტიკა, წყლები ტინებს მიყუდვია,
დღენიადაგ დაფუსფუსებს, ვერ ცვეთს ლანჩას ქალამნისას.
გაჩენაა დასასრული, დაბეჭდვა კი — თავის მოხსნა.

მე არავინ დამკითხვია მიწა მზეს რად ეფარება,
ანდა ათი თანამგზავი რისთვისაა ნაბოდვარი,
ერთი მთვარე გვაბადია, საწყალს მერკურს სულ არა ჰყავს,
მარსს ორიღა დასტრიალებს, ნეპტუნი რვას მიმოხედნის.
თხუთმეტია ურანოსთან, სხვაგნით კიდევ მეტი ყმუის.

ჩვენ რომ გვიჭერს შუქდიადი, სამკუთხედით მობრძანდება,
ისე ცილინდს ემსგავსება, სამომავლოდ დაესობა.
ველარ იტყვი რამ მოჩმახა სით წამსვლელი, ვის მძებნელი,
შუქი მიწას რომ აბრუნებს ყოველ მისხალში ბინადრობს.
ამა ამბით კიდით-კიდე, დავდგი ბევრი პირამიდა.

ქვები ქვაზე დაწყობილი ტორნადოებს რომ აბრუნებს,
ვითომ მიწა გადაეხნას გუთანს გულ-მკერდ განათებულს,
ფარაონი სულხდომისას ცად რომ ამობობოქრდება,
ამაღლდება ზეციერთან მონამ ყლაპოს სიკვდილეთი.
სამი-ოთხით შეკონილი, აფრენილი-დაქცეული.

ქურუმების წერილებით ცოტას წავიკამარები,
შუმერს ჰქონდა აღწერილი ატლანტიდის წყალში დანთქმა,
ვით ჩამოწყდა ვარსკვლავი და რარიგ მოსრა ყოველივე,
მიწის ღერძი გადიწია ლარივით რომ იყო ადრე.
აწევა და დაწევისას კაცმა სადღა დაივანოს?!

მართალია, მან არ იცის სხვისთვის თავის დამონება,
თუმც ვინ არის საბადისში ისევ მასზე საცოდავი?!
ცაბაოთის თესლი ჰქვია, სხვანაირად როგორ გითხრა,
სამუდამოდ გაღმა დღისთვის ველარაფერს გადინახავ.
გაქრეს ქვები სალოცავი და სიმშვენე გუშინდელი.

ველარ დამალავს ქალალდზე კაცი ჯილაგს და გასაგისს,
როცა ამღვრეულს გიხილავს, იტყვის: ,,გამწირე რისთვისო‘‘,
განასქელებ და გაგკილავს: ,,რად მქმენ ასეთი მყიფეო‘‘,
ზომისად დაათხელებ და: ,,დამიმსხვრიეო ლავიწი‘‘.
იმისი შფოთვა და კვნესა ველარსად დასადგურდება.

სამალვისს ვერ იპოვი აურაცხელ ვარსკვლავში,
მარტო ღმერთი გპირდება უსასრულო სუფევას,
გულთმისნობა შეგმუსრავს რაჟამს დაიბადები,
როს დაიწყებს თითები კრუნჩხვებს ხელებმარცხიანს.
გინდა მარადისობა და სულს მოიშუქდიდებ.

ფაუსტივით კმარს ზოგჯერ კარგი საქმის ქმედება,
ანდა კიხანოსავით — ამტუტება საწუთროს.
გადარჩენა ფუჭია, ორჯერ არვინ ყვავილობს,
გამწარდი და ყოფამაც ხევში ჩაგაქვესკნელა.
ამ შურიან-მძლეველმა: ,,რისთვის გამაჩინეო‘‘.

სიტყვაშენი ბზოჯითი დო ღორონთჷ რე თიშჷ გოთოლუა,
შხვეფი გილაბანძღინი რე წყარიშჷ გილაკოდოლუა,
„გინძას ჭარჷ დო კუნტას იჩი“, რუსთველშე რე ზოჯოლუა,
იშენჷ ჰომეროსი პუნა, ირკოჩიში მოტოლუა.
სიტყვა ზელჷ რე მილიონი, მარა ართჷ რე ილიონი.

ჩხორო წანაშჷ ნალიმარი მავითასუ დაგვარგვალუ,
ფურინელი ისარეფი დოშქვილუ დო დაკვარკვალუ,
აქილევსიშჷ შურჷ დო გური ალდაჩხირო ქაპარპალუ,
დოზგუმონჯუ არიკეფი დო ეტლეფშო დაბარბალუ.
ულუნჭაფჷ რე ჰომეროსი, გოძჷ გოღანს დო ჭუმენორსი.

ჯოჯოხეთშა გენიცუნუ დანტექ კოჩი გოჟამილი,
ეთექ ბრელი ოგორაფუ ედემჷ რინათ მოჩამილი,
მინშა მარონჷ ქეწიცუნუ, მინშა ხოლო — ბეატრიჩა,
შურჷ ქიმიღუ უფალიშა კაკაბი დო ართო ქვიჩა.
ღურუს ხელეფჷ ქუდუვალუ, ჰომერს მაჟრათ ქემაცალუ.

ოჰანი გოეთე რე ფაუსტიში მახანტალი,
აკა შური აპალუდუ ძვალჷ დო ხორცის ნახანტალი,
თინათ გეგამჩამაფუ დო ქიანას დუდშა ქიგოულუ,
იშენჷ უფალს ქიმიაკათუ, მორო შორშე მიკოულუ.
ა, სუმჷ ბარჯგი სო ცოფერე, ანწი ღანდა იღობერე.

უკულჷ ბრელი ობირძღუდუ თოლუნჭაფუ თი კირდესუ,
მორახტილი ჩე რაშეფი უკუმელას მიკირდესუ,
მარა ბედჷ რე მარგალიში — სისმარეფქუ მიკირტესუ,
მინქ ჷ ხორცო მიდამჯუმუ, შხვეფქუ ძვალი იკირთესუ,
აკა ლერსი აფსქილადუ — ვამათელჷ დო ვამოშქვიდუ.

პოეტეფი ბრელი პუნა, ბო ძი უ თუ ხაიამი,
მონოლითი ვანდღულენა — წყუ მიხვარჩალჷ ხაიამი,
ფირდოუსი ამბეს რზვენუნს, შექსპირჷ ყამას ლასირანსუ
გილეფურფინჷ ბაირონი, შხვეფჷ კიკონნა ნაზირასუ.
მუ დროს ცხენიშჷ რულაფა რე, შურიშჷ ეკონდღულაფა რე.

„ნთხორილ რე ნინა ქორთული მაჟირა დღაში მულაშა,
ირჷ კოჩიშჷ ორწუნებელო ღორონთით ანდა რჯულაშა,
ასე ლურენჯი ტომბასჷ სისმარით ნამერთულაშა,
ლაზარე გემძნა სახელო ხარებათ ნასარჩულაშა“,
თქუანს იონა ზოსიმე: მარგალიშჷ ცქვაფა გოსიმე!

„ახალჷ ნინო დო ელენე მანათალჷ რენა თინაში,
მარიამი დო მართაში დალობათ გინათინაში,
მეფუჩაფილი ჯიმალეფჷ მოღეს თქუანა რჩქინაში,
„ნთხორილ რე ირ ი ფულირი დინახლე ცათე ნინაში“
ნინა რე ტომი ლაზარე, დუდო ღორონთშა მაზარე.

ოთხი დღაში რე ღურელი დავითიშჷ ნაზოჯაშითუ,
დღა წანა გოხოლჷ ანთასი ქურუმულჷ ნინა-ბჟაშითუ,
მათეშჷ წოხოლე წილი რე ოთხი ანთასო ბცაშითუ,
თიშჷ უკდებაშე ფულირი მაფალუთ გინორთაშითუ,
ნინა ტომი რე მოგვურო, ქიანას მეთხოზ ნოქურო.

სიტყვის გამო ვბრძანეთ და ის უფლისგან ითლება,
სხვა ამაო შრომაა, — წყალთა კოდვა ნამდვილი,
„გრძლად აღწერე, მოკლედ თქვი“, ნაბრძნობია რუსთველის,
მაინც ჰომეროსი გვყავს ყოველივეს მამფალი.
სიტყვა თქმულა ათასი, მაგრამ ტროა ერთია.

ცხრა წელიწადს ნაომარი მეათეში აამდუღრა,
გაფრენილი ისრიონი მომშვილდა და დაამრგვალა,
აქილევსის სული, გალი აბრიალა ცეცხლის ალად,
ჩამოგრიხა არაკები და ეტლთათვის შემორკალა.
ჰომეროსიუბადლოა, მკის გუშინდელს და ხვალინდელს.

ჯოჯოხეთში ჩაიყვანა დანტემ კაცი გათვალული,
იქ მრავალგზის აძებნინა ედემი ღვთით ბოძებული,
ხან მარონი წარიმძღვარა, ხანაც კიდევ — ბეატრიჩე,
სული უფალს ჩააბარა ანკარა და გადაშლილი.
სიკვდილს ხელი დაუქნია და მეორედ ეძმო ჰომერს.

იოჰანი გოეთეა დამხატველი ფაუსტისა,
ერთი სულიღა ებადა ძვალ-ხორცშიგან მოკიანთე,
ისიც გააყიდინა და სოფელს თავზე შემოავლო,
მაინც უფალს მიეახლა, თუმც შორიდან მოუარა.
აჰა, სარი სამეული, აწი ღობე მოიწნება.

მერე ბევრი ებღაუჭა თვალუწვდენელ იმ მწვერვალებს,
დარახტული თეთრონები გვება უკუნ სიბნელეში,
მაგრამ ბედზე მარგალისა შემომიჩნდნენ ზმანებები,
ზოგმა ხორცად წამიძღოლა, სხვებმა ძვლებმად დამიტაცეს.
ერთი ლექსი შემრჩენია, ვერც მხუთავს და ვერც მარჩენს.

პოეტები მრავალი გვყავს, ბო ძი უ თუ ხაიამი,
მონოლითს ვერ ადედებენ რუ კამკამებს ლერწმიანი,
ფირდოუსი ამბავს ზვინავს და შექსპირი ლესავს დაშნას,
დაგრიგალობს ბაირონი სხვები ნაკრებს მოციცქნიან.
რა დროს ცხენის ჭენებაა, ოდეს სული იჭედება.

„მარხულ არს ენა ქართული მოსვლა მეორე დღისამდის,
ყველასთვის სარწმუნებელად ღმერთისგან ათას რჯულისა,
ახლა მძინარე საღათით სიზმრებით ნამოგვერდალი,
ლაზარე ჰქვია სახელად, ხარებით ნასარჩულები“
იტყვის იონა-ზოსიმე, მარგალის ქება ცხადდება!

„ახალ ნინოს და ელენეს მოუნათლიათ ესერე,
მარიამის და მართასი დობისგან გადალარული.
და განდობილი ძმობილნი ფრიადს იტყვიან იმისას:
„მარხულ არს ყოვლი ფარული წიაღში ამა ენისა“.
ენა ტომია ლაზარე, მამა-ღმერთისკენ მეგზური.

გარდაცვლილია ოთხი დღის დავითის ბრძანებისამებ,
დღე წელი გახლავთ ათასი ქურუმულ ენამზიანით,
მათეს წინარე წილია ოთხი ათასად ვამრავლეთ,
მის საუკვდაოდ დაფლული და მოყვავილედ ქცევისთვის.
ენა ტომია მოგვურად, ჟამ-ჟამ ტოვებს ნატერფალს.

ამდღა ლურენჯი მარგალი ჭუმე იცუაფჷ მაფალუ,
თუმაშჷ ჯინჯიშა გორჩვილი, ნამსჷთ მუთუნი ვაპალუ,
ირჷ უბადობას დორანგუნს, წკვარამი გეგნიგვაგვალუ,
არძა ხალხიში მორსხათუ ჟინცაშა გეშებზაკალუ.
თე აკაბურცხა მარგალი, რე უკდებაში მარგალი.

ზღოდიშჷ დინახლე ნინა რე ფულირჷ რჩქინაში გურაფა,
ონაშჷ გამოცხადებას ბრელშა რე თიში წურაფა,
ნინალუათი დირქიენს თიში კართეში ფურაფა,
შხვა საქავარუა ქიანაშო რე საფულეშა ტყურაფა,
დიდა დო მუში მორდული — მარგალური დო ქორთული.

## I. 2. ᲣᲩᲐᲦᲐᲠᲗᲐᲛᲘ

თაში რენჷ თუ თეში რე, ნინა ტყურათ ვეშირე,
მართალჷ-ტყურა ჟირხოლო გოჭყოლადირჷ ჯვეში რე
დო გოშინა — ხარდანი ბინეხჷ ცურძენელიშო,
ფიქრიშჷ ეკმახართალი ღურელი დო თელიშო,
თეფერს — ჭერჭე კართამი, ქუმურს უჩაღართამი.

ვამათქუე ბჟაში მელე მუსხი ბჭყიში სიუკმელე,
ვამათქუე ღურუშჷ ჟინცა მუსხი გინომურიცხელე.
დღა ანთასი წანა რდჷ და, თოლქჷ ლურით დუმართუდა,
დანელხეთუ დობსქიდუქუ ლანდო ვარა დჷ მართუდა,
თეფერს — გვართა-გვართამი, გეფუნს უჩაღართამი.

დანე — თირი ატატია, წორო ქიდიბღვატათია,
ჭითა-ჭითა უშქურეფი, სერ-სერითუ ფხვატათია.
დიდა ცურე ვაფშუ ხალა, ვაფშუ ძვალიშჷ ეშაღალა,
დოჭვე ყებურს უსქანეთუ წვირალჷ თხუმუ ნახერხალა,
უსქანეთუ — ვარდა მი?! ირდუ უჩაღართამი.

ალდაჩხირი ელაფედკონჷ თიშჷ მანგურო იქვანთალუ,
ქირქეს ჯიშტი გელაფედკონჷ ტყებშე თეში ილვანდალუ.
ქოთჷ გერშუ დო ქოთი ვარშუ, ჩერიათუ კუდელს გარშუ,
იქარქაშუ მინჷ ლეკურო, მინჷ წყურგილო იკვარკვაშუ,
ბჟა დო თუთაშჷ ქართამი, ირთუ უჩაღართამი.

ქოსხაპუ დო დოფიგურუ, თეცალჷ სხაპინჷ სო დიგურუ?!
მინშა ამშვის მარყუჟანს დო მინშა შქვითი დოთიფურუ.
მიაბანძღუ ჩხანას ორო, იგი როხუ ჭყალაშორო,
თოფურს ჟღამი ეკაწყორუ, თოლეფც ორზანს ცალაშორო,
ქაცუამჷ დო ვარდამი, შქირტუ უჩაღართამი.

მართუ ფიქრის ვატყობუქუ, მოშქურჷ გური ქუჩასჷნი,
ოკონჷ — უჩას არჩიოლენს დო აჩელენს უჩასჷნი,
ოკონჷ ბჟასუ შქირიტუნსუ, ოკონჷ — ქუას ჭყილიტუნსუ,
ხირატილჷ ცას ელაჭანს დო წკირონტილსუ ხირიტუნსუ.
აკა ბიგა მუჩასჷნი, ქუკათუანდჷ ხურჩასჷნი.

ახლა მთვლემარე მარგალი ხვალ იყვევილებს ნამდვილად,
თმის ძირობამდე ნაძარცვი, რომ აბადია არარა,
ყოველ სიავეს დათრგუნავს, წკვარამი გადაშენდება,
კაცობრიობის სახსნელად ზეცამდე აზეითდება.
ეს პაწაწინა მარგალი მრგველია უკვდავებისა.

ერობის შიგნით ენაა დაფლული ცოდნის სწავლება,
იონას გამოცხადებით ბევრია მისი სამხილი,
ლმობიერებით დაჰბერავს მისი კალთების ალმური,
სხვა სამსახური ქვეყნისთვის ჩამგზავრებაა საფლავში.
დედა და მისი ნაშობი — მარგალური და ქართული.

## I. 2. უჩაღართამი

ასე არის თუ ისე, ენას ცრუით ვერ გაცვეთ,
ცრუ-მართალი ორივე დავიწყნილი ძველია.
და ხსენება — ხარდანი — მსხმოიარე ვენახის,
ფიქრის გადამხლართველი მკვდრებისა თუ ცოცხლების.
ამ დროს ჭრელკალთიანი მოვა უჩაღართამი.

ვეღარ ვიტყვი მნათის მიღმა რარიგ ვმწყემსე უკუნეთი,
ვეღარ ვიტყვი სიკვდილის ცა რარიგ გადამთიებულა.
დღე ათასი წელი თუა, თვალი ძილით თუ შევფუთნე,
დანელხეთი განვიკურნო თუნდაც ლანდად მომიბრუნდეს.
ამ დროს — ზვირთულ-ზვირთული მოდულს უჩაღართამი.

დანე — თოვლი ფუმფულა, ერთად მოვისარეცლოთ,
ჩაწითლული ვაშლები ღამღამობით ვინებოთ,
დედით შობა არ მახსოვს, აღარც ნეკნის ამოცლა,
კერიაზე უშენოდ დანაცრულა თხმელის ხე.
უშენობით — ანდა ვინ?! ზეობს უჩაღართამი.

ცეცხლის ალის ავარდნის მსგავსად მიმოირწევა,
მორევს ზვავის დანთქმაა მისი ტყავის გამოცვლა,
ქეც გახსოვს და ქეც — არა, ჯარად კუდს ექსოვება,
ხან ხამლივით ქარქატებს, ხან ლიკლიკებს რუსავით,
მზის და მთვარის გვირგვინით, იძვრის უჩაღართამი.

როკავს, ხაზავს ფიგურებს, ეს ცეკვა ვინ ასწავლა?!
ხან ექვსს ამარყუჟებს და ხან შვიდიანს ალაღებს,
იბურდება ჩრდილში მზე, იგრიხება წყვლისებრ,
შეერევა თაფლს შხამი, თვალებს აგზნებს ცოფიანს.
ეკლიან-ვარდიანი, ქრება უჩაღართამი.

მბრუნავ ფიქრებს ვემალვი, ვშიშობ მიხვდეს გასაგისს,
უნდა — თეთრონს აშავებს და ათეთრებს შავოსანს,
უნდა — აქრობს მზიანეთს, უნდა — წურავს რიყის ქვას,
გარღვეულ ცას კერავს და გაფხრეწს ჩაწიკწიკებულს.
ერთი ჯოხი მქონოდა, ხურჩას გავაყოლებდი.

გოკვეცჷ თექჷ დო გელუ ხათე, მარა შუროთ ვემუხათრე,
გაკიროკუ წოლამჷ ლარჭას, მულუცოთანს ფურკი მარჭვას,
მინშა დიხას ქიგიაჟღარტუ, მინშა ჩქიმდა მალაყარჭანს.
ყბურს დუდის უნაქუანს, ტუტას ზისხირჷ მინაფუანს
დო ჩილამურს ჩილამური მინაჭვენს დო მინათუანს.

„შურხირილო მაჯინესუ, ღორონთალა გაჩინესუ,
უღურალშა ვენტასია დო კარჷ ქოიტკვაჩინესუ.
უფით ზანდას ლეტასია, ნუნისი დო ხეთასია,
დიხა რდი დო დიხა იცქ — ეგებ გეითიხენდასია“ —
თაშჷ იჩიებჷ, მიქ დაბადუ? ელურ-ბელურს მირაგადუ.

„თოლონჭესუ დეკვირენი ირფელჷ ძვალანს ართიანსუ,
გორდი დომწურწჷ სქანობურო შურდინაფილჷ ღართიანსუ,
გორდჷ კოლონას ხუტორუნსუ, კოლო — ცურზენჷ ჯღარ-ტიანსუ,
ჰოდო, არძა იშენითუ მარდის ოგანს მარდიანსუ“,
პიჯშა მულუძჷ კუდელი დო შხვა ღურელი, მუ თელი დო...

„სითუ ხოლო ჩქიმნერი რექ შხვაშა გეიძჷ სქანი სხოლა,
ხეკვარჩხულო დომრთინუა ჯგირობუა მუდგა რღოლა,
მილიონშა გორცხონენი ართშა იშენჷ ქიდმაზღოლა,—
ირფელს გომიჭყოლიდუა გიჭყოლოფე მუდგა ჭყოლა“,
დოლოშჷ კართეთ ნაკართასუ, გვერი ათაშჷ ბლაკარტანსუ.

ნირსეფიშე ფერჩველერი მინმოქუნა თუთარჩელა,
ბორჯი ბორჯის მიარანწკუ უწყორუ დო უხარჯელა,
დოწუწელე ბაჯაღლოთუ ნაგორგოთა მართუეფი,
ნატრიშჷ თოლო გილერგინუ დიხა ბჟათუ ნარტუეფი.
„დღაში ლურით დოფრთვათია, ირო ართო ვორდათია“.

დიმანირსუ გონებაქუ, შურჷ წყარცალო იქვანთალუ,
თოლს მურიცხი ეწმოკვეცანს, ღორონთიშჷ ხე ითანთალუ,
მინშა გვერი ეწმალანტუ, ითამჷ ტყებშე იღვანდალუ,
შარას ვორწყექ ტაბაკელსუ — ბალანობა მიხანგალუ.
ცვაჩელა დო თეულეფი, ჯაშე მოცენს პეულეფი.

წყარჷ ურთანსუ წისქვილეფსუ, ქარმატე რე ლაზეფიშო,
ირო შხვაშო იკვარკვანტუ, საწმოხუნო ვაზეპჷ იშო,
არძა თოლი შქირენულჷ რე სფეროეფჷ დო ხაზეფიშო,
არძა შური შაყარელჷ რე გრაალიში ვაზეფიშო,
„მიდგა დუდის მასქიდუნი, ცაბაოთშო დასქიდუნი“.

ღორონთიშე ელაფშჷ თენა დო მუდგარენჷ მაშქურინე,
ეშმაკშა მუთჷ მინობღვენი ჟინცას კართეს აშჷ ქურინე,
„ჭკუა თიშენჷ გერზიებუ თეშჷ იდე დო თაშჷ ფურინე“,
ბარჩხალია ბჟალარონი ჟიდე გემწოფაშქურინე.
კუდელჷ პიჯშა მულუკვატუ, კისერს გვერი გობკარკატუ.

„სი მაქურქა მუშო გოკო მურიცხიშე მიკნახარცქა,
ნამშოთ ვარე ოშქაშელა, დონი, ქვინჯობი დო ვართჷ ძგა,
ჭვიტელეშე მუს ძირუნქუ კოჩი ჯღალით ეკნაფარცხა,
ვარა მის რე ოზნახუქუ: „ვადობჭვა დო ვადმამარცხა.“
ულიებუ ბარბალი რე ალდაჩხირიშჷ ფარფალი რე.

გაკვესა და მსწრაფლ აღსდგა, მაგრამ სულ არ ვუხათრე,
მრუმე ნაჭას ეხვევა, კვამლი ღრანჭებს მოუქცევს,
ხან ძირს დაესნატება, მოღვანკალებს ხან ჩემსკენ,
კერიას თავს ანარცხებს, ნაცარს სისხლი აწვეთავს,
და ცრემლს — ცრემლი მდუღარე დააწვიმს და დაათოვს.

,,სულგაკმენდით მომზირალს მეუფება შეგატყვეს,
არ წვდეს მარადისსო და კარი მიგიჯახუნეს.
ოფლით ზელდეს ტალახსო ნუნისსა და ხეთაში,
მიწა მიწად იქეცი, იქნებ გაიხედნოსო.“—
რას საუბრობს, ვინ შობა, აბდაუბდას სისინებს.

,,რომ შეხედო საწიერს ყოვლი ძვალავს ერთმანეთს,
ბაყაყს ვწუწნი შენებურად: წარწყმედილი შავჩოხა,
კოღოს სანსლავს ვასაკა, კოღო — მტევნებს ყურძნისას,
ჰოდა, მაინც სუყველა მადლს მიაგებს მადლიანს“,
კუდი პირში გაჩრია, სხვა მკვდარი და თავად— მხნე...

,,ჩემგვარი ხარ თავადაც, შენს ზადს უცხოს აბრალებ,
ხელუკუღმა გადმიხდი, რა სიკეთეც მოგაგო,
რომ დაგვარცხნო ათასჯერ ერთხელ მაინც ჩამქოლავ —
დაივიწყებ სრულებით გიწყალობო რა მადლიც,“
მდელოს კალთით დაკალთულს, გველი მგესლავს ამგვარად.

ნისლებისგან გაცლილი მთვარიანი გვიფარავს,
მიეწყობა ჟამს ჟამი სუფთა და უასაკო,
დაწდევდება ბაჯაღლოდ ნაშფოთვარი მორევი,
ნატვრის თვალად დაგორავს მიწა მზისგან ნალბობი.
,,ძილით დღე დავხუროთო, მარად ერთად ვიყოთო“.

დამენისლა გონი და სული წყლისებრ მღვრდება,
თვალწინ ხომლი ცრიატებს, უფლის ხელი კიანთებს,
მელანდება უნასი, ვითომ პერანგს იხდიდეს,
ვხედავ შარას დატკეპნილს — სიყრმის წლები გიჟმაჟობს.
შუბლთეთრი და კიოფა ხიდან ცვივა ფთილები.

წყალი წისქვილს ატრიალებს, ქარმატეა ლაზებისთვის,
მუდამ სხვისთვის დაფუსფუსებს თავად არცრა აბადია,
ყველა თვალი დამშეულა შეღამებულ ხაზებისთვის,
ყველა სული შეკრებილა გრააალის ვაზებისთვის.
,,ვინც უარყოფს მეობას ეზიაროს ცაბაოთს“.

მახსენდება უფლისაგან და ერთგვარად შევკრთები,
რაც ეშმაკთან მიმქონდა ზეცის კარს მოვაყენე,
,,ჭკუა მისთვის გებოძა, ჟამთა წესით იფრინო“,
მოჩახჩახე მზის გული ზეზეურად ბრდღვიალებს.
პირში გაჩრილი კუდით მომხვევია ყელს გველი.

,,შენ ჩქერალი რისთვის გინდა ვარსკვლავისგან მონაწყვეტი,
ვინც შუალა აღარ იცის, წელი, ძირი და კიდური,
ჭუჭრუტანით რას იხილავ კაცი ნესტრით შეკონილი,
ანდა ვიღას ექადნები: ,,ნუ მდაგავ და ნუ დამაქცევ“.
უსასრულო ბორბალია, ბრიალია ცეცხლის ალის.

საპონიში ბუშტეფს გუნა მურიცხეფი კვარკვალია,
ჩვეგე ოსურქ ბრელი გიზუ ღუმუ თეშნერჷ მარკვალია,
ანთასიშა მოირჩქილუაფჷ შურიშჷ თენერჷ ხარკალია,
მუჟამს პიტა ენგაცვათ დო თოლს აჭყაფუ სარკალია",
ზოჯუნს: „ჟირშა ვეურქია, მუთუნვარშა მეურქია".

მანგარნე და „ვენგარავა, პეულჷ, ბჟა დო ქვიშაშენი,
ბოლოს ირფელჷ წეგეკოლებჷ ჩხეთ შვენი თუ ღიჟას შვენი,
გოკონჷ თოლი ორიჟინე, გოკონჷ შქვითშა მიჟაშხენი,
სოთინჷ ვაიღჷ ონტებელი ღურუ მუდგა გიშაშქვენი,
ვედგენარღას ოგვაჯექუ, საჩქიმოთ რე გოფაჩექუ".

თქუ დო ხეთე გემიბჟვილი ძიაძია უკორნელი,
გილაღაზას შარაშჷ მტვერი, ღურუს ვორექ მუკორნელი,
„გონძღილირჷ რექ — ქუწი—შხამით, ვარჯერსუ და ქიმაჩამი,
სქანჷ თოლითუ ქოძირუნქუ ღურუქ მუჭო დიმარჩანი.
ჩქიმჷ ღორონთი თაშჷ იჭარუ", დიკვარკვაშჷ დო დეჭიჭარუ.

სი ჸოროფას უძახუქჷნ ინა ჩქიმო დინაფა რე,
სიახალეს გიოდვანქჷნ, ინა ჩქიმო რჩინაფა რე,
ტანწირილი გიჯოხონი ინა ჩქიმო ფშინაფა რე,
გეგნოლი დო გეგნოდინი, ღორონთჷ ტანით გინაფა რე",
ვორწყექ წალე ფერი გოფშა, ვაჩოდჷ დუდიშჷ მიწაჭოფშა.

კუდელითუ გემწოდირთუ დო თოლეფით ბლისმარანსუ,
მარა შხამშე თქუალირი ცხადი რე თუ სისმარანსუ,
ვეიშაგორჷ დო ვეიშანწყუ, იკვანწალუ თიზმა ხანსუ,
ვართჷ ჩამინსუ მიბედუ დო ქოთჷ ლაკარტის გითმარზანსუ,
ეშობასუ დოხელერდუ, მოლენჷ რდჷ და დომელენდუ.

ოთხი ნერო ეკმირთუ დო ოთხი ნერო მიკეკუანს,
ავრე დუღათ მუნობწენსჷნ, ევრე ღურუს მიქექუანს,
მინშა ბჸინუს ჯიშტეფითუ, მანშა კიბირს მიგერგუანს,
უკულჷ ართათ ეკიკათნა დო წყურკაკას მიბერგუანს,
თოლს იღულოზჷ მურუჟეფი, თელარა დო ღურუშეფი.

„მორთჷ დო დობლაკარტე-მაქჷ, გავამორსათ სქანჷ ჸოროფა,
სოვრეთინი ვემენტებნა ჸათე ქიანაშჷ მახორობა,
მურიცხეფო ეკიფაფჩუქჷ ღორონთიში ნაკორობა,
ჰე-მაქჷ, სოთინჷ ვაბდინუქუ სქანი შხამიშჷ ნაგოლოფა".
ვითოსუმი დაჩხირჷ ონტუ, თოკიცალო იწკუმონტუ.

კინჷ დიმანირს გონებაქ დო ბირგულეფქჷ ქეთმაკიჩუ,
მის უჩქჷ უკულჷ ჟინ-ბორიაქ ელურ-ბელურჷ მუსხი იჩუ,
მა მოგონუდჷ უჩაღართამქჷ უშქურცალო ქჷმომრიჩუ,
ხასლას წყარი მიხვარჩალუ, თუდო მოლი ეთომირჩუ.
ვამასჷმე „ხი" დო „ორე", სო რე-მაქ დო ქიმიბგორე.

„ალბათ, გეგნილიმინწელე," ფიფქრენექ, სოთინჷ ვეპალუნი,
კინჷ წოხოლე ქიგეპანჯუ ეკალჷ მაფუდჷ ეკალუნი,
დოლოს შარეფჷ დუნაბადუ, ორტვინეფი ვეკვალუნი,
დალანჯებულჷ კირდეფჷ შქასუ ქირქე მიშაფეკალუნი.
შურსჷ გობკაშჷ ხიოლითუ, პუხუს გობთინჷ ხიორითუ.

საპნის ბუშტებს ემსგავსება ვარსკვლავები სფეროვანი,
ცოლმა ბევრჯერ ჩაგიზილა ღომი ასე დაკუშტული,
ათასგზის გაქვს მოსმენილი სულის ესე ხროტინები,
ოდეს წვეთი ლიკლიკებს და თვალი იწყებს გადასარკვას'',
ბრძანებს: ,,ორჯერ ვერ მოხვალო, მიდიხარო არაფრისკენ.''

მეცრემლვის და ,,ნუ ტირიო მზის, ფთილის და ქვიშის გამო,
ბოლოს ყოვლი ჩაგმწარდება, ცხლად ინებებ თუ — ნელ-თბილად,
გინდა თვალი აბრიალე, გინდა შვიდგზის იშაბათე,
არსაით გაქვს გასაქცევი კვდომა რაგინდ ამოწრუპო,
ნუ მისტირი ნავთსაყუდელს, საჩემოდ ხარ გადაშლილი''.

თქვა და მყისვე მოვიგლიჯე ყულსაბამი უსანდომო,
მიმოხაზოს გზათა მტვერი, სიკვდილსა ვარ მიბჯენილი,
,,გატენილხარ — ვუთხარ —შხამით, თუ არ გჯერა ჰა, მიკბინე,
თავად ნახავ ყოველივეს სიკვდილი ვით დამეფინოს.
ჩემი ღმერთი ასე ბრძანებს'', დაიგორგლა მუჭისხელად.

შენ სიყვარულს რომ ეძახი, ეგი ჩემთვის გაქრობაა,
განახლებას რომ შეარქმევ ეგი ჩემთვის სიბერეა.
ტანწყობილი რომ გიქვია ეგი ჩემთვის მსივნობაა,
განქარდი და გადაშენდი, ღმერთი ტანით შეგრძნებაა''.
წაერთმევა ფერი სავსე, თავაწევას ვეღარ ბედავს .

კუდით წამოიმართა და ავბედითი თვალით მლურსმნავს,
მაგრამ შხამზე ნაამბობი ცხადია თუ სიზმარია,
ვეღარ არჩევს ერთურთისგან, თან ირწევა მოყოყმანე,
ვეღარც კბენას მიბედავს და კიდეც ენას ალავლავებს.
ეს არის და თავსხმაც მოვა, გაღმა იყო? გამოღმავდა.

ოთხნაირად იყოფა და ოთხნაირად მიჩიჩინებს,
აქეთ მდუღრით რომ მეღვრება, იქით სიკვდილს მამსუბუქებს,
ზოგჯერ მაზრობს ჯიშტის მსგავსად, ხან კბილებით მახრამუნებს,
მერე ერთად შეიყრება და კოჭებში გამომთოხნის.
იდრიკება საწიერზე ლანდი სიკვდილ-სიცოცხლისა.

მოდი, დამგესლე-მეთქი, ვცადო შენი ტრფიალი,
ვეღარსაით გაგვექცეს წუთისოფლის ტრიალი,
განვიბნევი მთიებად შეკრებილი უფლისგან,
ჰე-თქვა, არსად გამექცეს შენი შხამის გვალვები.''
ათცამეტი ცეცხლით იწვის, ბაწარივით იგრიხება.

გონი ისევ დამენისლა და მუხლები მომეკეცა,
ვინლა უწყის მერე ქარმა რა შტერული იჩლიფინა,
მე მეგონა შავჩოხიანს ვაშლის მსგავსად მოვეკბიჩ,
გერდით წყარო მიჩუხჩუხებს და ძირს მდელო მიფენია.
აღარ მესმის ,,კი'' და ,,არა'', სადღაა-თქო, მოვიძიე.

ალბათ, გადაშენდა-მეთქი, გავიფიქრებ, რომ არსად ჩანს,
კვლავ წინარე დადღლეზილა ასავლელი ის აღმართი,
მდელოს გზები დაუნაბდავს, ბოსტნები არ იკვალება,
დაჟანგებულ კლდეებს შუა გაჩრილია უფსკრულები.
სულს მოვითქვამ სიხარულით, მხრებში ლაღად გავიშლები.

მარა სვანჯი გეკმალასუ, ჩილამურით ლურა მარტუ,
ჩქიმჷ ჩამინი ვაგაბედუნჷ მუში დუდი დულაკარტუ,
ამარჷ კისერს გჷმოკირუ, გვერი თოლი გვირა ფალო,
ზისხირიში მაცინეთ დო შურიშჷ გიმანქრაფალო.
„მუ თოლსერი ცოფეთია, ტერი ქიცოროფეთია“.

მუთუნჷ ვეიშურს ჯამანგარი არგუნეფით ბკვათათუნი,
ვარა უფალს ნდურიათუ ცაშა ეშვაკათათუნი,
წორო ირთანს დღაშჷ დო სერი, საჭირო რე კაჭათუნი.
ჰავა დირქენს აბრეშუმო ესხირჷ გეგნიჭაჭათუნი.
ჯგირჷ დო ფურჷ რე ხურჯინცალო, ჟინს ურჩქილე წურწინცალო.

## I. 3. ნოე

ვორექ სქანი კამეში, ლეთაშჷ ჩალამს თორსილი,
სქანობრა გილჷგამეში, წკონდა — ლანდღვეთ ფორსილი,
წკვერემიას ქა მეფჩინჷ — მაფუ ეკომორსილი,
ვამაგორე შხვა ნერჩი, მუდგა ვორდე მორსილი,
მუდგა ვორდე მორსილი, ცვა, ნოე!

ასე ნოეს გიძახჷქჷნ, დუდშე რჯოხოდ ზიუსუდრა,
უთნაფიშთიმ გევდვალუნა, უკვდება რე სქანი ჭყუდრა.
ღურელცალო ნოფსვანჯუექ ამშვი დღაში გინასდრა,
ზოჯი: „დირთი ურუქშავა, უჯგუ სქანი ბინასუ რდა.“
უჯგუნია ბინასუ რდა, ცვა ნოე!

„მი რე მოიღანს უკდებასუ ნისორი დო ბარქაშითუ,
უჯგუ დირთე ურუქიშა ჯვეშობური ქარქაშითუ,
უჯგუ ჩაფლა გილაშირე ხოჯიშჷ ტყები ჯარგაშითუ,
ურუქიში ლუდი ყურწი ისირია ჭარგაშითუ“,
ისირია ჭარგაშითუ, ცვა ნოე!

უკულჷ ოსურქ დირაგადუ: „ზღვში ქვინჯის გეჩანსია
უკდებაში ოდიარე. ღოროთჷ ძალას მერჩანსია.“—
მიდეფხეკი, გემკობწილი — მოიკათუანს ფერჷ-ჯანსია,
ჩაირცხინუანს ჭუეფსუ დო ღურუს გინოჲფერჩვანსია,“
ღურუს გინოჲფერჩვანსია, ცვა ნოე!

მომიღუ დო მოფხიოლე, მიმნჭუაფუქ უკდებაშა,
წყარსუ ტანი გიფხვარჩალე, ოდიარე გემიძჷ გაშა,
უჩალართამს ქეთუხირაფჷ, გოვტყობინუ ტკუცი-ტყაშა,
უჩა დღასუ ერჩქინელი ქენუტებუქ უჩა დღაშა.
ქენუტებუქ უჩა დღაშა, ცვა ნოე.

ლეტა რე ჩქიმჷ ოდაბადე, ტუბუხჷ რე ჩქიმჷ დობადონა,
დოო ბრელი მოთა მარდე, ღურუს ძალამს ქოპაპტონა,
თოლონჭესუ გოფართონა, მუდგა ჩელა გონთე მარდას,
მობარჷ ჟინცა დო ბარდონა შურიშჷ მუდგა ცოთამა რდას,
შურიშჷ მუდგა ცოთამა რდას, ცვა, ნოე!

თუმც სიმშვიდე მომესპობა, დამლბობია ცრემლით ძილი,
ჩემი კბენა ვერ გაბედა, მაგრამ თავი დაუგესლავს.
აგერ ყელზე მახვევია გველი დიდრონ თვალიანი,
სისხის გასამყინვარებლად და ტკბილ სულის გასაქრობად.
,,რა ფარსაგი ყოფილხართო, შეიფყარეთ დუშმანიო‘‘.

არ გამოვა ხეკოძულა რომ ავჩეხოთ ნაჯახებით,
ანდა უფალს სამდურავით მაღალ სხვენზე ავაკითხოთ,
გაზავება უნდა ავ-კარგს, თავად მრუდიც საჭიროა,
ღამე იძვრის აბრეშუმად ნასესხები როს გადივლის.
ავ-კარგია ხურჯინივით, უსმენს სტვენას ზენაარის.

## I. 3. ნოე

მე ვარ შენი კამეჩი, ლეთას ლამში დაფლული,
შენფერი გილგამეში, სუფთა მღვრიით მოცული,
ბნელს რომ რქები ვაძგერე, სრულად გავაცამტვერე,
ვერ მოვძებნი სხვა ნათელს რაიც ვიყო დავსილი,
რაიც ვიყო დასილი, ჰე, ნოე!

ახლა ნოეს რომ გეძახი, ადრე გერქვა ზიუსუდრა,
უთნაფიშთიმ დაგანათლეს, შენი წილი — უკვდავება.
მთლად მკვდარივით დამასვენეს განასუდრი ექვსი დღისა:
ბრძანე: ,,ურუქში დაბრუნდი, სჯობს რომ იყო შენს ბინაში‘‘,
სჯობს იყოო შენს ბინაში, ჰე, ნოე!

,,ვინ მოგიტანს უკვდავებას ხონჩითა და ბარქაშებით,
სჯობს დაბრუნდე ურუქშიო ძველებური სილაღითა,
გიჯობს ცვითო ქალამანი ჭრელი ხარი ლაბასიო,
ურუქული ლუდი ყლურწო ლერწმის ღერო ჭრელითაო,‘‘
ლერწმის ღერო ჭრელითაო, ჰე, ნოე!

მერე ქალმა გადამიკრა: ,,ზღვათა ფსკერზე ბიბინებსო
უკვდავების ის მცენარე, ღმერთი მოგცემს გამძლეობას‘‘, —
წავხრიოკდი, ჩამოვწყვიტე — მოგიმატებს ჯანსა და ფერს,
განგაშორებს ყოველ ტკივილს, სიკვდილს შემოგიკაფავსო‘‘,
სიკვდილს შემოგიკაფავსო, ჰე, ნოე!

მომაქვს და თან მოვიხარი, უკვდავებას მოვესწრაფი,
წყალში ტანი გადვიბანე, ბალეხი დევს ხაბის პირას,
მოუპარავს უჩალართამს და უღრანში გადუმალავს,
შავ დღესკნელში გაჩენილი შავ უფსკრულშიჩავრჩენილვარ,
შავ დღესკნელშიჩავრჩენილვარ, ჰე, ნოე!

ტალახია ეს მამული, ეს სამშობლო ჭანჭრობია,
ჯერ გამოვზრდი მრავალ ბადიშს, სიკვდილს ძალუმ ვიმორჩილებ,
თვალსაწიერს მოდიდროვნო რა თეთრონი შუქიც ადგეს,
მაბარია ცა და მიწა, რარიგადაც მეძრას სული,
რარიგადაც მეძრას სული, ჰე, ნოე!

მინილ ჭერჭე არგუსოქ, ოძგვიბინანს მოლეხი,
ჩალამეფსუ ნარგუსელს გეფშუ სქანი ,,ორე-ხი“,
გილერჩაფუ ხაია, იქარქაშუ ცირა წყუ,
გურქუ: ,,ახავაია“ დო ჩილამურქ დირანწკუ,
ჩილამურქუ დირანწკუ, ცვა, ნოე!

ქუდუძახეს ომბოლეფს, უჯინჯე დო ჯინჯიანს,
ურთხელეფი მომბელეს, მინჷ ღურუ დო მინჷ — ჭვიანს,
არგუნეფით დომფელეს, ფიცარეფო ირანდუ,
ნოცელეფით მომპელეს დიხა ნამუთ პირანდუ,
დიხა ნამუთ პირანდუ, ცვა, ნოე!

არძა ართო იფუცორუ, ცას მუნაფა იბუძოლუ,
ფიცარეფცუ რჭიპუნანჷ დო ნახაფულო იფუცოლუ,
ოჭკორიეფს სირსუნანჷ დო მელე-მოლე ფირსუნანჷ დო
ცაშე ჭვემა მიხურჩოლუ, ყაზაყეფი ყირზუნანჷ დო
თოლეფჷ ელაღირზუნანჷ დო ცვა, ნოე

ბალანები ჭაჭალანა, ოსურეფი ღაჭალანა,
პეტელანა თხალეფი დო გერიშჷ თოლეფჷ ბარჩხალანა,
ცა ფერს ვითშა ითირანსუ, ცხენჷ ცალჷ ბორკით კიდირანსუ,
წკუმონტილი შურდინაფილჷ მუშჷ კუდელსუ კიბირანსუ,
მუშჷ კუდელსუ კიბირანსუ, ცვა, ნოე!

ქუა წყარსუ მიაზაფუ, წყარჷ დაჩხირსუ მიარსაპუ,
ელჷ დო ვალი იკიონტუ დო ართიანს მიარზაფუ,
ჟინჷ ბორია იღილონტუ, ოში მართუ იკილოთუ,
მურსიოლუ ჯარგვალეფცუ დო ფურკამო დოყლონტუ,
ჩხე ფურკამო დოყილონტუ, ცვა, ნოე!

მინორთელი ცაში ნერო გეხუ ჩელა კიდობანი,
ირფელჷ ართო მაშინენო — მუსხი წკვარამჷ მითვოფანი!
ვარა სო რე ოჭკორია მურიცხშორო დიყურშენი,
ხელეფჷ ვამწომპოტინეს დო ბღვარანქჷნ რე თიშჷ გურშენი,
ბღვარანქჷნ რე თიშჷ გურშენი, ცვა, ნოე!

ირინერი შურიდგჷმა, ზოხო-ზოხო ეშმაცუნა,
ცალანგერეფჷ შხურეფწკუმა ხიოლითუ გესხაპუნა,
დოსქილადირჷ იზჷმოთუ, ეწმაფორუ თოლსუ კუმა,
შური სუმო ისუმოთუ, შქას პელაგონჷ ეშაპუნა,
შქას პელაგონჷ ეშაპუნა, ცვა, ნოე!

მინჷ ინწყუ დო მინჷ იფაფუ, მინჷ ფიჟვცალო მინიფაფუ,
ირთუ წყარი ჩერიათუ, ზღვაქ გინირთ მაჭვერიათუ,
მა გებძუდუ სქანჷ ოღალი ჟიშეიანჷ სქიბუცალო,
ვამონარღუ სქანო ღალი გეგნობრდღვბე ჯიკუცალო,
გეგნობრდღვბე ჯიკუცალო, ცვა, ნოე!

მუჭო ირფელჷ ქიგიშინი ჩქიმჷ დო ჩხომეფიში გარდა,
ზვიგენეფშე იფელეკუ კამეშჷ ვარი ჭყონიშჷ ჯა რდა,
ქიანა ჯოხო ჩქინობურო, შონურო რე გიმჷ დო ლარდა,
ცაბაოთშა მუთჷ ეშაფრთა შური ჩქიმით ვეგიბლარდა?!
შური ჩქიმით ვეგიბლარდა?! ცვა, ნოე!

მოდგა ჭრელი აგვისტო, აბურძგნილა მოღმეთი,
ჭაობებში ჩაძირულს მახსოვს შენი „ორე-ხი“,
დანანავებს ლერწამი,დაქარქატებს რუ-ცირა,
გულმა: „ახავაიო“ და ცრემლი დაირაზმა,
ცრემლეთი დაირაზმა, ჰე, ნოე!

ობლებს ჩამოუძახეს, უფესვოს და ფესვიანს,
ურთხელები მოსხიპეს, ვინ კვდება და ვინ ღვივის,
ნაჯახებით დააპეს, ირანდება ფიცრებად,
გადახერგეს ტოტებით მიწა, რომ ყვავილობდა,
მიწა, რომ ყვავილობდა, ჰე, ნოე!

ყველა ერთად დაფუსფუსებს, ცაში ღრუბლის გნიასია,
მძიმე ფიცრებს მსჭვალავენ და ნაფოტებად ნამცეცდება,
ჭუჭრუტანებს ამოგლესენ და ფისავენ ორივ მხრიდან,
ციდან წვიმა მოთქრიალებს, მამაკაცნი ყლურწავენ და
თვალი გადმოექაჩებათ, ჰე, ნოე!

წიოკობენ პატარები, დიაცები წაწანებენ,
თხათა არვეს პეტელია, მგელს თვალებიგაბრწყინვია,
ცა ფერს ათჯერ შეინაცვლებს, ცხენი ცალფეხ აყალყდება,
ტანდაგრეხილ უხსენებელს თვისი კუდი დაუკბინავს,
თვისი კუდი დაუკბინავს, ჰე, ნოე!

წყალს სიპის ქვა ეზილება, წყალი ალ-ცეცხლს ესნატება,
დაციბრუტებს ელ-ჭექი და ხელად ერთურთს მიეგზნება,
ზენა ქარი დაშლიგინობს, დაფუცურობს ასმორევი,
ძელურს თავბრუ დაახვია და კვამლიან გადაყლაპა,
ცხელ კვამლიან გადაყლაპა, ჰე, ნოე!

შებრუნებულ ზეცის მსგავსად დამხობილა კიდობანი,
ყოველს რაღა გამახსენებს — რა ბნელეთიც ვაქვესკნელე!
ან სადღაა ჭუჭრუტანა ვარსკლავივით დაივანო,
ხელები ვერ მივუწვდინე და რომ ვბღავის ამად არის,
ამად არის რომ ვღრიალებ, ჰე, ნოე!

ყოველგვარი სულდგმულეთი, ცალკე-ცალკე ამოდიან,
მგლები ცხვრების სიახლოვეს სიხარულით დაროკავენ,
სხვები ზედახორაზეა, თვალზე კვამლი მეფარება,
სული სამად განიყოფა, შუა ჩაგვდის პალაგონი,
შუა ჩაგვდის პელაგონი, ჰე, ნოე!

იძირება ზოგი, ფთონავს, სხვა ფილტვივით დატივტივებს,
ბრუნავს წყალი ჯარასავით, ზღვა გადიქცა მეხთატეხად,
ქედზე მედგა შენი ტვირთიზემოური დოლაბივით,
აღარ ვნაღვლობ შენთვის ღელე, თუ გავტოპე ჯირკის მსგავსად,
ჯირკის მსგავსად თუ გავტოპე, ჰე, ნოე!

ყველაფერი გაიხსენე გარდა ჩემი და თევზების,
ზვიგენისგან ნაფლეთდები, კამეჩი ხარ თუ მუხის ხე,
ჩვენებურად ქვეყანაა, გიმს და ლარდას იტყვის სვანი,
ცაბაოთთან ვით ავიდე, სული თუ არ გავირანდე?!
სული თუ არ გავრანდე, ჰე, ნოე!

რსხებას ველჷდ მოფურნელი ნინძჷ ღანჯამი ყორანიშე,
გორგალს გეფხედ ცინჩაფითუ, გინმიჯინედჷ ბორანიშე,
ვახოლუდუ ღურუშჷ შიში, ბოდიშჷ მოითხუ ორანიშე,
კიდობანშა ჟირშა დირთუ მოგვეფქ ვამაღორანჷ იშე,
მოგვეფქ ვამაღორანჷ იშე, ცვა ნოე.

მურიცხეფიშჷ ზოდიაქოს მორქიაქუ აცუ ძალო,
მალეფართხალჷ ტორონჯიქუ უკულჷ ღიუღაუცალო,
ღღა გინიბლიოშერგასი, ეგებჷ სიტყვაქ კოსჷ ერგასი,
ეგებჷ კინი მერეხუას, ეგებჷ კინი ღოხვერგასი,
წყარს ჟიმოლე მებკიდირა, ანწი ტყების ვემკიფთირა, ცვა ნოე.

ბრელჷ გობარუნჷ — ართი მუ რე, მუდგანერო ვარდე ფურე,
მორო ვოუჩჷქ მი ხანგასუ, ჩქიმჷ ყირყინსუ მუშენ ცურე?!
აკა მა რე დუგოსქიდი, ნამქჷთ სქანო იხანდასუ,
ერებამო, სკი დო სკითი, წყარი სოდგა მიღანდასუ,
წყარი სოდგა მიღანდასუ, ცვა, ნოე!

## I. 4. ზრიქსე

იქვანთალუ თაქ ირფელი ხუმლა გოჭყოლადირითუ,
ოცოფარი მინჭუაფუ ნოცელეფი ლადირითუ,
ბრელ უხერხს დო ბრელ მიორე არგუნეფი კვათირითუ,
იგვარგვასუ ბორჯალეფი მორსხებალა-ჭყვადირითუ,
წყარჷ დო დაჩხირჷ ართო ხენა, ართო გილაკატორღენა.

გემკოხარცქე შქა გურიშე მართუეფჷ დო ფაფალარა,
მესროტუნს ნოქურისუ ჰავა გილნაჯაქალარა,
ცუდეს დოლო მინოჩანსუ, თოლეფჷ ტუტათ ისილოგუ,
მინჷ იგვაჯჷ დო მინჷ ორჩანსუ, ტყა ოროთუ მიზილოკუ.
დახორინალჷ სოთინჷ ვეში, დიხა რე ჩქინჷ ოკვანეში.

გიმანტირენჷ თირანსუ დო გეწი-გეწი მერეხანსუ,
ურწყებელა ზღოურეფი თოლონჭესუ ბერეყანსუ.
ცინი გედგუ უღუცალო, გორგალეფსუ ჩერეხანსუ,
ბჟაკე წარსუ მიკმაბინუ მანჯას ზისხრჷ ჭერეხანსუ,
მოთალეფი მოჭიშენი, მარდი ღურა კოჩიშენი

გოთანდუნი მაკითხანსუ ქუჩუჩელი ოდოია,
ჩენჯაცალო გოლაფირჷ დო მუმაცალი ლოდოია,
მარულაშა ვეტყაბარე, ხუჯის გინაბჷ კოტოია,
წურფა თხირით ეფშაფილი, ჭითა, ქვარა გოდოია,
აიეტიშჷ უნჩაშჷ მოთა, ზორყანი დო მუნდგორგოთა.

ეჩდოამშვი წანაშჷ მელე ურუმიშე მოძუ ღურა,
თოლს უკმელა ქეწაფორუ, გუსქანჩუნსუ ძვალსუ ჩხურა,
შურო სოთინჷ ვაგმადირთუ ჰალიძონეფიში ნჯღურა,
მუშჷ ნაჭკადა ფულანდითუ მოძუ შურიშ გინოჟღურა.
ნტერჷ ხვამი დო ისქანებუ, კერძის ევძახჷ — ისქვამებუ.

ხსნას ველოდი მოფრენილი ნისკარტჟანგა ყორანისგან,
ქედზე მეჯდა მოყრანტალე, თითქოს მზერდა ბორანიდან,
არ აკრთობდა კვდომის შიში, რიდის გამო — ბოდიშები,
ორგზის გაშპა კიდობნისკენ, მოგვები ნუ გვატყუებენ,
მოგვები ნუ გვატყუებენ, ჰე, ნოე!

ვარსკვლავების ზოდიაქო წაჯირითდა ცაზე ძალუმ,
მერე მტრედი მოფრთხიალდა გამთენიის შესადარი,
დღე გავლიე ასერგასი: ,,იქნებ სიტყვა კაცს წაადგეს,
იქნებ ისევ ჩამომოეწყროს, იქნებ წარღვნა ისევ მოსკდეს?!“
წყალს ზემორემივჯირითობ, აწი ტყავს ვერ გამოვიცვლი, ჰე, ნოე!

ბევრს რომ მწყემსავ ერთი რაა, რარიგადაც იყოს ფიცხი,
თუმც არ იცის რომელ ხელმა ჩემს მუდარას რისთვის ითმენ ?!
ერთი მელა დაგრჩენივარ, ვინაც შენთვის იმუშაკოს,
ერთიანად, ჯიშ-ჯილაგით, წყალი სითკენ წამიღებდეს,
წყალი სითკენ წამიღებდეს, ჰე, ნოე!

## I. 4. ფრიქსე

აქ ყოველი დაქვანთალებს დავიწყებულ სიხროკით,
აწ საშობი მოიჩქარის ნელდზე ნედლი შიმალებით,
ბევრი უვლის, მისდგომია სხვა პირბასრი ნაჯახებით,
იგრაგნება ბორჯალები თანადგომა- იავარქმნით,
ერთად სუფევს წყალ-ღადარი, გადაბმულად ვაგლახობენ.

კაკალ გულში ამომსკდარა მორევი და ხაბოები,
ნაფეხურებს გააქარწყლებს მოქოთქოთე ქარიშხალი,
სახლზე მდელო ამოსულა, თვალი ნაცრით იგლისება,
ხან ბუდრაობს, ხანაც აფენს ზმორია ჩრდილს უსიერი.
ვერსად ჰპოვებ სამკვიდრობელს, მიწა ჩვენი აკვანია.

გადუღებლად ითოვლება და ზედი-ზედ იმეხება,
უჩინარი გრიგალები თვალსაწიერს ადროშებენ.
ყინულები უღელივით უდრეკელ ქედს უხეშეშებს.
წვერი წარბზე ეწებება, აბოჟირებს მაჯებს სისხლი,
ბადიშს როცა მოგესწრები, კაცის კვდომა მადლი არი.

ინათებს და მოაკითხავს თმახუჭუჭა ოდოია,
ალვასავით გავარდნილი, მამასავით ერთობ ლონდრე,
ვერ წაიყვან მარულაზე, მხარზე ჰკიდია ქოთანი,
მწიფე თხილით ავსებული, წითელი და მუცელ გორდა,
აიეტის ბადიშია, ტლუ, ზორბა და ფაფაყუა.

გავა წელი ოცდაექვსი და ბერძნისგან ელის კვდომა,
თვალს შავეთი გადაფარავს, ძვალს გაჭექავს ყინულეთი,
წამითაც არ წაადგება ჰალიძონთა წინამძღვრობა,
მის დაჭედილ ფოლადისგან ელის სულის ამოხდომა.
მტერი ლოცე — გიმოყვრდება, ღვიძლს შესძახე — იფხიანებს.

ფრიქსე მუშქვანს მალ-მალასუ ოჯალეშამჲ ფოხალითუ,
ეგებ მუთუნქ დაღალინას ჭუეფიში გოღალითუ,
ხეთე ცუჩა ქარულუანს საწმოხუნო ოღალითუ,
მოცუნს კირდეს ოდოია კუსაფი დო ღოღალითუ.
ბატიცალო მიჩერჩელუნჲ, მირდუ დო ჭეს გიჯერჯელუ.

უციცონუნს ფუჩხაშორო ბონიში დო ღულაშისუ,
ჭაბუცალო მიკიჭოფანს სქიდირი დო ულაშისუ,
ირო თხირსჲ გილეგუდორჲ კიბირჲ ცხენიშჲ რჯულაშითუ,
მევხარჭუანს ჭითა კოტოს, ნამთინეშა — კულაშითუ,
ვაფსინჲ კოლხიშჲ მოგვერდალა, კოჩი მუ რე ოგვერდალა?!

ეპისტროფო იჟღილინუ ფართო ტუჩამჲ მართახითუ,
სანდალეფსუ ძიუთ ჭოფუნს ბოჭოკეფიშჲ არტახითუ,
მალას ცუდე ქიდასქიდუ ნოხორი დო პარტახითუ,
ილიონსუ გეგნარკვანუ ჰამო რინა კვარწახითუ,
მორო წანა ეჩიშჲ მელე — ასე ორტყაფჲ მოშქუმელე.

შორშე ვორწყექ: მედეია წილუნს უჩა მუციასუ,
ძიგირიში ნაცხაბარას კარკაცითუ ურკიანსუ,.
ჭოროფა რენჲ — დიხიროკუ ურწყბელე გოლოფათუ,
გოლოფა რენჲ — დიზღვარზღვალუ უძირაფუ ჭოროფათუ,
ართი ჯაჭვით ვოკირუთუნჲ, ინა დირშუ ჩხორო ფათუ.

ურუმეფი ცურუმულო სქვილჲ რენა დო იბანძღუნა,
პუხუს ცოდა მუნორძუნი კაბაცალო ეკანწყუნა,
ნარკვანა რე ჯვეში კილი ქურს მოგამილჲ კაკილარო,
კირიბჲ რდენი გენგოშქვანა ალალჲ ჯიმაშჲ მაცვილარო,
თოლსუ ვადუფაფუანა, სქუას გოშქვიდაფუანა.

აქილევსჲ დო მედეიაქ ლეთა გეგნოლოჟურესუ,
მუჟამს რინშე გეწირდეს დო გეკიკათეს ოშურესუ.
სო რე ღვანწკი ჭვეჭვერია, ჩელა ხურხი დო კიდირი,
აგაშჲ ფერსუ ელაშუშუ პეულეფით გოქიტილი.
ოხვამერჲ დო პიჩუანუ, ირფელჲ ჰავას იჩუალუ.

მედეია ჟღირტალი რდუ ზღვა პიც ორქოქ აკათუნი,
მარა თქვიშალჲ ქალკიოპეს ბირგულეფი მაკვათუნი:
ერჯის გეხე ჩეშმანჲ ბოში სოთინჲ უჩა ვაკათუნი.
მარდის ოგანს დიდჲ დო ჭიჭე ცუჩა გემნიკაკათუნი.
რე შუმა დო ტურინუა, ცაშა ბირათ ფურინუა.

სინჯაშჲ მენდით მი რე ცოფე, ვარა — ოსურსქუაშითუ,
ეტახილი მუნტიკალათ გეჰენიას ქუაშითუ.
ცირა წყარსუ კაკურანსუ ოროდონი ქუაშითუ.
სინჯა ცვანას ტატურანსუ კუჩხი ნიგა ჯგუაშითუ.
ჟირჲ ქვარაში ირცხონდითუ რინა წვანჯშა გოფცხონტითუ.

იშენჲ ქიმნიფსინჯალეთუ ჭყიში ორქო შხურეფიში,
ანწჲ თენა რე მათხილარი აიეტხეშჲ ქურეფიში,
მელე-მოლე რჩხვიათი რე ოსური დო ტურეფიში.
მოთალეფიშჲ ჭირხოლს მერცხუ ჩერია დო წყურეფიში.
ჩხვიჩხვი წვანჯშა ვათიშირე, ბაბუშჲ მენდი ბადიში რე.

ფრიქსე ხშირად მოუგზავნის ოჯალეშიანი კოკით,
იქნებ რამე წამოცდესო ტკივილების მოსარჩენი,
მყისვე სახლში გააქანებს სამერმისო არმაღანად,
მოსდევს კლდეებს ოდოია კვნესითა და ღოღიალით.
ზაქივით რომ იზლაზნება, გავა დრო და იფხიანებს.

მოუციცქნის ნამცეცივით საიდუმლოს სწორ-მრუდისას,
წებოსავით ეწებება წასვლისა და გადარჩენის,
თხილს ნიადაგ ახრამუნებს ცხენის მაგვარ კბილებითა,
აჩხრიალებს წითელ ქოთანს ხან დიდსა და ხანაც — მომცროს,
ვერ გრძნობს კოლხის გულთმისნობებს, რაა კაცი სანახევროჲ!

ეპისტროფო დაშლიგინობს ფართე ტუჩა მათრახებით,
ძლივს ამაგრებს მჩატე სანდალს გალეული კოჭ-სახსარით,
მალე სახლი დაურჩება ნასახლარი და პარტახი,
ილიონში ეკმაზება ტკბილი ყოფნა კვაწარახად,
წელიწადი ოცის შემდეგ, დღეს ქამარი მოშვებულა.

შორით ვხედავ: მედეია კრეფს გზადაგზა შავ-შავ მაყვალს,
ეკალ-ბარდის განაკაწრებს შეკივლებით უკისკისებს.
წარღვნაა და იხრუკება უჩინარი გვალვებითა,
გვარვაა და დაილბობა უხილავი წყალმეტობით.
ერთ ჯაჭით რომ ვაბივართ, ის ცხრაკეცად დაიხლართოს.

ურუმები უკუღმართად განასკულან და ზეობენ,
მხრებზე ცოდვა რომ გკიდია ზეახდიან კაბასავით,
ნაკმაზია ძველი ნაკლი ქუსლს სჩარჩენილ ეკალივით,
კრავიც იყო, დაგსახავენ ალალი ძმის დაცამკვლელად,
თვალს არ დაუხამხამებლად, შვილებს დაგახოცინებენ.

მედეამ და აქილევსმა ლეთა გადაინაპირეს,
როს ყოფნისგან დაიწრიტნენ და სულეთში შეიყარნენ.
გაქრა ღაწვი ალანძული, ბროლის ყელი და გულ-მკერდი,
აგას ფერი ყვავილებით გაუჩრია სიკდილს ყბაში.
სამარხო და სალოცავი სრულადჰაერს ინახება.

მედეია ჭყიტი იყო როს ზღვას ოქრო შეერია,
მაგრამ სავსე ქალკიოპეს მოეკვეთა ლამის მუხლი:
ზის თეთრონი ბიჭი ვერძზე, არსად შავის ნატამალი,
მადლს მიაგებს დიდ-პატარა შინ რომ შეიპატიჟებენ.
არის სმა და ტაშ-ფანდურა, ამაღლება ცაში მღერით.

სიძის იმედს ვინღა ჩივის, ანდა კიდევ — ქალიშვილის,
ატეხილი ატროკებით გეჰენიას ვდურთეთ თავი,
წყალს ხილალუდ ნაყავს გოგო ქვისგან თლილი როდინითა,
სიძე ყანებს გადათქერავს უშველებელ ფეხებითა.
ორი ტოლი მუცლის გვრემით, ვკაფეთ ყოფნა კენწერომდე.

ჩავისიძეთ ფრიქსე მაინც, მწყემსი ცხვრების ოქროვანის,
აწ ესაა მოთვალთვალე ქალკიოპეს ქუსლებისა,
აქეთ-იქით ჩხავილია ქალისა და ტურებისა,
ჰგავს ჟრიამულს შვილიშვილთა ჯარას რთვა და საჩეჩელა.
ფესვს ვერ გაცვეთ კენწერომდე, ბადიშია ბაბუს ხვალე.

უნჩაშჷ მოთა ოდოიას უცორს თხირიშჷ გუდორუა,
ბიგაშჷ ცხენით ქუდუჭყაფუ მახანეფიშჷ დუდორუა.
მინჷ მედეას დესაჭირებჷ ცალენჷ მინთაშჷ პუტორუა.
ეშობასუ ვით წანაქუ რობუს ქენიპუტორუა.
ირჷ ჭუასუ გურს უჩანსუ, ხამუთ ჭინეფს ქუჩუჩანსუ.

ურუმჷ რენ დო ქურუმეფი ხორუმს ოსხაპაფუანა,
ტიამჷ ჩხოუს უფულუნა, თხალეფს ოძლვაკაფუანა,
ქეთაბუნა ჯულაბისუ, ჭვახას ოცხაკაფუანა,
ჩენთერია კუჩხეფითუ ცურზენს ოჭყანჭყაფუანა.
ხვამა რენი — ეკოცუნა, ჩამა რენი — ეწოცუნა.

თუმა ჩელა აიეტიშჷ შურს იბურჯანს მართუეფი,
გურსუ ჭიჭეს ელუკინაკნს მოთალეფი მარდუეფი.
არამხუტუშჷ დოკირუა რკინაშჷ ჯაჭვით ვარდუ ეფი,
ბრელი სერი ქუმკოკვალე ცვაში უფით ნარტუეთი.
ცავავაი გესოფუდა, ცავავაი მესოფუდა.

დობადონაში მათაგა ბჟაში ნოცელა ,,უთუ" რე,
უმუხარცქუო შუმერსუ მონკა უღუსუ უთურე,
,,ერეხჷ"ნოღა რე თევრენი, ეშობას გეგნოუთურე,
მობრთი დო დუდშე გევონწყი ჟინჷ ხონარითუ მუთუ რე,
ბჟაში სინთელე მუკუსუ გენგეზი არამხუტუსუ.

ფირფიტას ამბეს მეჭარუნდჷ სუმწკენტა ასოთ მარგალი,
გოთოლირჷ ქუას ონწკარანდჷ სუმწკენტას თიში ფარგალი,
სიმეტშა ეშმეშჷ სუმწკენტა ქუა-კირბიშიშჷ ვარკალი,
დიხა მაძუდუ ჩაფლათუ, ქუდო გიორთუდჷ ცარგვალი.
ასე მა ვორექ მობირე დო ირფელს დუდშე ბცოფირე.

ჩინელქ გემრავლუ კიდელათ მარღვაწითელო ჩინესუ,
ურიაქ ფარა შაყარუ დო ორქოს ქენმარჩინესუ,
,,კორობითია უფალი!" ჟინცაშე გიმომჩინესუ,
,,მიდგა შურსუ დო გონებას ღორონთის დუმორჩილესუ,
დღას ვეცილებუ ნათოლი, იცუაფჷ ირიათონი."

ატომიშჷ მაფეთქებელი აკაბუცხა რე ფიტილი,
თოლსუ მურუჟო იძირე ტყალეფი ნირსით ქიტილი,
ჰო, გოლვაფირო, მუთჷ რენი საღათა ლურშე გითილი,
შორო-ბორო რე ქიანა, ღულოზირჷ ოჭიშჷ გითინი!
უდუშქირატუ ნორცხვა რექ, ერკებულჷ რინაშჷ მორსხა რექ.

რე მარგალური გვიმარა მილიონიშა ნაცალა,
მურიცხეფიში მენდული ომბოლო ვეგლეტაცალა,
ანთას ყებურიშჷ მარზაფუ ჩხურენჯო ვეგლეცანცალა,
ვერეხი ტანიშჷ მენდული ცოდებო ვეგლექვაცალა.
სი რექ ჭუაში სქილადა, ღურუშე გინოზგილატა.

ჩხორო მილიონჷ სიტყვასუ ურგინუანქუ შველათი,
მუჭოდგა გოკონჷ თეშჷ ბეჭუნქ ღობერსჷ ჭინი ჭველათი,
სანთელიშჷ ორქი მორხვადუ ღორონთშე ომონჭკელათი,
გოლვაფრო, აკა კაკაბი ოჭმარე გიმონს ჩელათი,
სი რექ შურიში მალამო, ხორც-ტყებამო დო ძვალამო.

უფროს ბადიშ ოდოიას უყვარს თხილის ხნამუნება,
ცხენ-ჯოხებით დაუწყია თავკაცობა ტოლებს შორის.
ხან მედეას დასჭირდება ტყის ბალახის შეგროვება,
ესაა და ათი წელიც ჩაინთქმება უფსკრულეთში.
ყურს მიუგდებს ყოველ ტკივილს, თლის ჯოხისგან ჩიჩილაკებს.

ბერძენია და ქურუმნი აცეკვებენ ხორუმებით,
ცურსავსე ფურს უმალავენ, უწველიან თხა-ცანცარას,
აყლაპებენ მწარე წამლებს ხელს როდესაც დარევს ხველა,
ყურძენს დააჭყლეტინებენ ზორბა-ზორბა ფეხებითა.
თუ ლოცვაა — მიჰყვებიან, თუ პურობა — წინამძღვრობენ.

თმათეთრონი აიეტის სულში ასი მორევია,
გულს ცოტათი გაუკეთებს ბადიშების ჟრიამული,
არამხუტუს ჯაჭვით დაბმა არ ყოფილა მთლად იოლი,
ბევრი ღამე გაკრეფილა შუბლის ოფლით დანალბობი.
ვაი, თუკი აბობოქრდა, ვაი, თუკი აიწყვიტა.

მამულის შესადარისი მნათობის ტოტი ,,უთუ‘‘-ა,
შუმერში განუწყვეტელად გმინავს უმძიმეს უღელ ქვეშ,
,,ერეხი‘‘ ქალაქს გვიქვია, აწი რომ გადანათლულა,
მოველ და ახლად დავრახტე ზენაარ ხმებით როგორღაც.
მნათობის შუქი ჰფენია გმირ არამხუტუს მეობას.

თიხაზე ამბავს აღწერდა სამკუთხა ხაზით მარგალი,
ქვებს ალაგებდა გათლილებს სამკუთხად მისი ფარგალი,
სვეტზე ვიდოდა სამკუთხად ფილა-კირბების კამკამი,
მიწა ქალამნად ჩაეცვა, ქუდად ეხურა ცარგვალი,
ახლა მე მოველ მეჰანგე, და ვქმნი სამყაროს თავიდან.

ჩინელი მრავლობს კედლითა აღურიცხველად ჩინეთში,
ურიამ ფული აგროვა ოქროში ჩაგვიმხცოვანდა,
,,შეაგროვეთო უფალი‘‘!‘‘ ზეციდან შემოგვითვალეს,
,,ვინაც სულსა და გონებას დაუმორჩილებს ცაბაოთს,
ვერასდროს გაიმზაკვრება იქნება სამარადჟამოდ‘‘.

ატომის მაფეთქებელი პაწაწინაა ლაღუმი,
მზერაში მოჩანს ლანდებად ტყეები ნისლით ნაბური.
ჰო, შემოგევლე, როგორღაც ძილს დაეხსენი საღათას,
გიჟ-სულელია ქვეყანა მოხრილიზურგი გამართე!
ჩაუქრობელი ცეცხლი ხარ, აკლებულ ყოფნის მხსნელი ხარ.

არის მეგრული გვიმარა ნათიბი მილიონჯერა,
ბატონ-პატრონი მთიების ნუ დატანტალებ ობლობით,
ათას კერიის დამგზნები ნუ დაცანცალებ მცივანი,
შენ, სიზვიადით ქებული, ნუ დაცერცეტებ საწყლობით,
შენ ხარ მორჩენა ტკივილის, შენ ხარ ასხლეტა სიკვდილის.

დიახაც, სიტყვა მილიონს ხვითოსებრ ეთამაშები,
იმგვარად ბეჭავ ღობეებს, ვით გლეხი თხმელის წკნელებით,
გეცემა სანთლის ალმური უფლისთვის შესატრუსავად,
მარტოკა დილა ანკარა, გჯაბნის, თოლიგე, თეთრონით.
შენა ხარ სულის მალამო, ხორც-ტყავიან და ძვლიანად.

მითინს ვათქუე გურიში სქანჷ მეტის ართი ბგერათი,
დინაფილი რე პლანეტა სით ვეციქჷდა ჭკვერათი,
გორჩვილ ჷ რექ, მარა გარზება ჭუმენშო დონაბკვერათი,
უდუნდებელეფ ჷ გეკანწყი, ირკოჩჷ იცუაფჷ ყურათი,
მოროსხა რექ თინჷ დო ღულაში, მორსხა რექ ანდა რჯულაში.

ველარუ ეფერჷ კიდალა გოჩიხას თე პელაგონი,
ყორყულშა გიგოკარკაზჷდ ტანქაცუამი დრაკონი,
შურჷ გაყვიტაფე არძასუ, გოცხონტი დო ქელაპონი,
გოჭვირთი მართუ ბზიორა, ვითომდა რდუკონი შქაფონი,
სი რექჷ მორსხა დიხაში, ჟიმოლე ნაბორდიხაში.

ირნერი რჯუალას ქაწისე თე მარგალური წუწელე,
ჟირხოლო მანგას მიცორა, ჩელა ვარდი დო ჭუჭელე,
ჰავას ჩუალირჷ კირბიში ქიანაშო გეგნოფურცელე,
გალაქტიკეფი მელუნა, მურცხი გეგნოკურცხელე,
სიტყვა მიჭვირთუ ფაილსუ ულაგამე დო უცხენე.

## I. 5. მარგალეფი

ჩქინდე მოურს ფსქაშჷ წონუა — გურიშჷ ქვინჯიშჷ ფარგალეფი,
ბორჯიშჷ მანჯას ევარკენდით, ჩელაია მარგალეფი.
ხეშქაგური ჩქინობრა რდუ, — რზენეფი დო წყარ-გვალეფი,
მაფაცალო ეკოფთხოზდეს ჩე ნირსეფი ტარკალეფი,
მუშჷ მენდული სო რე ფხეთუ, სო რე ენოფჩამახეთუ?!

ჩქინდე მიშუ წოწინარი, გონიო დო ბარბალია,
კვერცხშა მარქვალჷ მიჯოხოდეს, მუშენდა რე კვარკვალია.
ადრე ტანი წიორილი ასე მიღნა დღვარკალია,
ღურელ ჷ ჯაშა ეშამღუდეს — ბაღუ გილაძარგვალია!
ბჟაშე მულირჷქ ბჟაშა დირთუ, შქაბანჷ სინთეს ქიმშადირთუ.

„მარქვალი“ დო „მარგალჷ“ შქასჷ ხინჯი ვარე გადვალარი,
ჩქი ვორდითუ მურიცხეფიშჷ მაზიმალჷ დო მათვალარი.
ჩქი ვორდითუ მირსხალიში სიტომბაში ენმაჯინე,
ეშმაკჷ ბრელსუ მიზინდუანს, მარა შური ვემმაჩინე.
სამოთხეში აბარწასუ კვარჩხის ღორონთჷ ლაბარწანსუ.

მოხოლდეს ვითოსუმშა შქვითიანიშჷ მერცხუაფა,
ჩქინდე მიშუ ერჩქინაშა ჩქიჩქიშჷ ბედიშმ გერცხუაფა.
ეფი ვარე ქექე დუდიშჷ სიტომბაშა ენწყუაფა,
გვალო ართო საფარსაკო სიტყვეფიში გენწყუაფა, —
ღორონთიში სინთე ონტუ, იწკანტუ დო იწკირონტუ.

კუჩხიშჷ კითით მებგორჷნდით ნოსალეფს დო სინჯალეფსუ,
წყვირთალეფსუ გუხუანდით დო ბკვათუნდით ქვინჯალეფსუ.
გურშა იფხუტოლუანდით თოთორო დო რჩინჷ ჯალეფსუ,
მიდგას დუდი მიკობდვითინჷ მითინჷ ქ ვემემინჯალესუ.
ცოდები რე ომინჯარი, ნარჩაშჷ გიოხომინჩალი.

ვერავინ იტყვის გულისას შენს მეტი ერთი ბგერითა,
დაღუპულია პლანეტა შენც უგუნურად თუ ივლი,
გაძარცული ხარ, თუმცაღა გმართებს ხვალისთვის დათმენა,
წაკიდებულნი ამოყვრე, ხვავი აავსებს სუყველას.
სწორის და მრუდის შველა ხარ, შველა ხარ ათასნაირის.

ვერ აღიმართოს კედელი შემჩერებელი ამ ჩქერის,
კისერზე შემოგხვეოდა ტანეკლიანი ურჩხული,
სული აართვი ყოვლიარს, გაჩხოტე და მიაყუდე,
გასჭერ მორევი ბზრიალა, ვითომ კოჭამდე გეფონა,
შენ დედამიწის შველა ხარ— დანაბოდვარის ზენარე .

ყოველ რჯულისას აგემე ეს მარგალური ბაჯაღლო,
ორივე გვიყვარს თანაბრად ყოჩივარდა და ჭინჭარი,
ჰაერს დაფლული კირბიში საქვეყნოდ გადაგვიშალე,
გალაქტიკები გველიან ვარსკვლავებს გაღვიძებიათ,
მიქრის ფაილში სიტყვები უაღვირო და უბელო.

## I. 5. მარგალები

ჩვენგან მოდის სკის აწონვა და ფარგალი გულის ფსკერის,
დროის მაჯას დავითვლიდით თეთრგვრემანი მარგალები,
ხელისგული ჩვენგან იყო, ზეგნები და წყალ-გორაკი,
ალის მსგავსად უკან გვსდევდა თეთრი ნისლი ტიტლიკანა.
რის პატრონი სადღა ვსხედვართ, სადღაა რომ ჩავმხობილვართ?!

ჯალამბარი ჩვენგან იყო, ბორბალი თუ გონიონი,
კვერცხს მარქვალი გვიქვიოდა ვინაიდან მრგვალი არის,
ადრე ტანი აშხვართული აწ საბრალოდ დაგვარჯღულა,
ცხედარს ხეზე ავიტანდით: კმარა ძუნძულ-ხეტიალი!
მზით მოსული მზეს ჩაბარდა, ნათელს შიგან დაივანა.

ცნება ,,მარქვალ-მარგალისა‘‘ ბოგირს აღარ საჭიროებს,
ჩვენ ვიყავით ვარსკვლავების დამთვლელი და მოთვალთვალე,
ჩვენ ვიყავით უმცირესის სიღრმეების მოყურადე,
ეშმკი ბევრს მექაჩება, მაგრამ სული ვერ დამსტყუა,
სამოთხეთა აივანზე აცამტვერებს ღმერთი ბოროტს.

გვიხაროდა ცამეტისთვის შვიდიანის გადაბმები,
ჩვენგან იყო გაჩენამდე ბავშვის ბედის განჩინება,
ძნელი არის მჩატე თავის სიღრმეებში ჩაყუდება,
ანდა — სულაც საარაკო სიტყვის მწყობრად დალაგება, —
უფლის შუქი შენთებია, ლარდება და ინაკვთება.

ფეხის თითით დავეძებდით სარძლოებს და სასიძოებს,
აწვართულებს ვალაღებდით და მოვსხეპდით დაგვაჯულებს,
გულში ჩავიხუტუნებდით უნორჩეს და ბეხრეკ ხეებს,
ვისაც თავი მივაყრდენით აღარავინ გვიერთგულა.
საწყალია საპატრონო, ლანჩით გადასათქერალი.

ოჭკორიეფს გითმირზანდუ სერიშჷ ტყბამჷ ჯარგვალეფი,
ღურუს უღუს უსქუანდით, ჩელაია მარგალეფი.
უჯინედეს ჩქინჷ ცხვაბარსუ თოლზისხირელჷ კარკალეფი,
ბრელი ლეტა მიკიფრჩხითუ ნარჩათ გილნატკარტკალეფი.
დუს გეიშელა სქვამას სოდგა, ცვაშჷ ჯერღვჷ სქანით ვაგოსოფდა.

სუმჷ დო ოთხიშჷ ნაზგუმონჯას უძახუნდით სამოთხესუ.
დიდი თუნთიშჷ ომურიცხექ მუჟამს ხელეფჷ ვამოფთხესუ,
სალათათუ ქიდიბრულეთ გიბკურცხინეთ ნამჷ ონდღესუ,
ბონჷ შარაშა ვეიშმართინეს ლეტას ქიმშმოჩამონთხესუ.
გოჭყოლადაშჷ წყარ ჷ რე ლეთა, ქვინჯის ვორეთ ჟიმოლეთა.

ლურენჯას თუ კურცხალასუ კოჩიშჷ თასის ოლჷ აფ ჷ ირო,
დუდო ღორონთს ვოხვეწუდით: „სქან ჷ ოროში გოლვაფირო“.
ირო ცაშა მიბრულედით ჩაფულია მოლაფირო,
ოდაბადეს ბლობერანდით გური ეთონჭყოლაფირო.
ასე ირფელ ჷ გოხილი რე, მორთჷ დო კარეფ ჷ ოღილინე!

ბჟაშჷ სინთეშე მიკნახარცქა, რინაშჷ ჯაშე მოჟვილირი,
ცას ქუხოლეთ სარანჯცალო ოშჷ თელი დო ოშჷ ცვილირი.
ვაიძირნანო ჩენჯალეფი კონკერიშა დოშქვილირი,
ტანქექე რე მართალჷ კოჩი, ტყურას უცორს გოჟღილინი.
გეგნობჟვენგიოშჷ ალაგე, მუჭო ირფელჷ მოჯალაგე.

ოლაფარეს ელამჩანდეს ღურუშჷ წამალჷ ვაღურია,
ჭითა დიხას ჭაპულანდეს ცელვერე დო ჭაკურია,
ჭითა ჭკიდის მიაბიხვუდჷ სელეგინი ჭაფურია,
ბიწკის გერდუ დიდჷ დო ჭიჭე, მით ცას ველანჭაფუნია,
ქიმურჩქვანეთ ანწჷ თოლჷ დიხას, ირკოჩჷ ართო გილადირხანს.

ადრე არძა ჩელა ვორდით, აყალოშჷ ფერს ვოხოლუდით,
ჟინჷ ღორონთის იფხვამანდით დო შქვილს გითმოფხოხოლუნდით,
სოდეთ ღურელჷ მეკვენწელჷდ, მურიცხეფჷ შქას ვოხორუდით,
ხემორძგვიშე იფრთუდით დო რინას ეწვაწოხოლუდით.
დუდო ღორონთჷ, მარდიანი, მიცორდესუ ართიანი.

ჭითა დიხას ეთეშჷ ბზანდით ვაკათუდკო მარკვალეფი,
ბალადეფით ბრაბადანდით ფირფიტეფცუ მარგალეფი.
ჰო, ჩქი ვორდით კირბეფიშა ჟინჷ ხონარიშჷ მარგალეფი,
ჯამფეზიაშჷ ლაფილს ქოგჷდ ბორჯღალი დო ჯვარ-ქალეფი.
გოფაჩუა ფარგალიში, ემიჩინედჷ ანგარიში.

ავრე ხედეს ჩე დუდამო რჩინეფი დო ხუგეგეფი,
ჭითა ატარს მეხაზუნდეს ედემშამო უკეკეფი.
სიმბოლოებს უძახუდეს ჩიებაშე ძუბეკეფი,
ხვალე კითეფ ჷ ქასჷქილადდეს, შხვა აფუდეს ურგებეფი.
გურჷ დო გონჷ შქას ცალა ხურგი, ტყორტყოშითუ მალაფხურგი.

მიაბეჭუდჷ ართიანსუ ეკინელჷ დო დოკინელი,
ჩალამეფსუ ინტყოლუდეს ბატეფჷ გინოძოკინელი.
ჭიე-ჭიეთ რჩქინაქ გეგნოლჷ, ბოგიშჷ ბოგიშჷ ბოგინელი,
უჩა აკარდამასჷ რე ტომბას ენოჩოქინელი.
ჯვეშობურო ვეთინჩვალე, წკონდა ღალეფჷ დოჩვარჩვალე.

ჭუჭრუტანებს აბზინებდა ღამის ტყავა ძელურები,
სიკვდილს უღელს დავადგამდით, თეთრგვემანი მარგალები,
შესცქეროდა ესე გარჯას ზოგიერთიშურიანად ,
ბევრი მწიკვლი მოვიცილეთ სხვათა ლანჩით მონშხეფი,
თავს ლამაზად გამოიტან, შუბლის ძარღვი თუ მთელია.

სამ-ოთხისგან დაგრაგნილი გვიქვიოდა სამოთხისთვის.
დიდი დათვის ვარსკვლავეთმა ოდეს ხელი არ ჩაგვჭიდა,
სალათა ძილს მინდობილებს შუა დღისას გაგვეღვიძა,
სწორ გზაზე რას გავაღწევდით, ტალახშიგან ჩაფლულები.
დავიწყების ლეთა-წყალი, ფსკერზე გვძირავს ზემოურთა.

ძილია თუ ღვიძილია, სულ გზაშია კაცის მოდგმა,
მაღალ უფალს ვფიცულობდით: ,,მაგ შენს ნათელს შემოვევლე‘‘.
მუდამ ცისკენ მივილტოდით ტყავ-ქალამან მოშვლეპილი,
მამულს შემოვაკავებდით ღობეებით გულნაკლულად.
დღეს ყოველი გარღვეულა, მო, კარები აღრიალე!

მზის შუქისგან მონაწყვეტი, ყოფნის ხისგან მოგლეჯილი,
ცას ვაახლეთ გოლეულად ასი მხნე და ასი მკვდარი.
არ გინახავთ ალვის ხენი წვივებამდე დახრილები?!
მართალი სულ ტანმჩატეა, მტყუანს უყვარს მრისხანება,
ათას ღობეს გადავევლე, ყოვლი როგორ შემუსრილა!

ლაფაროსთან ყვავილობდა სიცოცხლის რტო ,,ვაღურია‘‘,
წითელ თიხას აზილავდა კვიცუნა და ჭაკუნია,
იჭმებოდა წითელ მჭადთან სულუგუნი საარაკო,
ცერზე იდგა დიდ-პატარა, ისიც ცას რომ ვერ შემწვდარა,
აწ ხმელს თვალი მივაჩვიეთ, ყველა ერთიანად მიმოხვნეშის.

ყირმიზები ვიყავით სულ, ფერი გვედო აყალოსი,
ზემოურ ღმერთს ვლოცულობდით და მშვილდის ქვეშ გავძვრებოდით,
სად ცხედარი ქანაობდა, ვბინადრობდით მთიებს შორის,
მარჯვენა მხრით ვტრიალებდით, წინ მისვდევდით წუთისოფელს.
დიდო, ღმერთო, მადლიანო, ერთმანეთი გვიხაროდა.

წითელ თიხას ისევ ვზელდით, კუშტი მიწა არ ხლებოდა,
ბალადებით დავრაზმავდით მარგალები თხელ ფირფიტებს ,
ჰო, ჩვენ გახლდით კირბიშებზე ზენა ხმებრის დამრგველები,
ჭიაფერით ხატულს ჰგავდა ბორჯღალი თუ ჯვარ-ნიშნები,
გაშლილობა ფარგლებისა იყო ერთობ უსასრულო

აქეთ ისხდნენ თეთრ თავება, მხცოვანნი თუ ბეხრეკები,
იმ ფირფიტებს მოხატავდნენ ერთიანად უკმეხები,
სიმბოლოებს ეძახოდნენ წუწურაქნი საუბრისას,
თითებილა შერჩენოდათ, სხვები ჰქონდათ უსარგებლო.
გულ-გონს შუა ავი მიჯნა ტალახ-ტალახ გადმოვლახე.

ერთურთს მჭიდროდ ეწნებოდა ზეითა თუ ქვემოური,
ტლაპოებში იფლობოდნენ შიშაგი ცურს მოსხლეტილი,
ცოდნა ნელ-ნელ გადაეგო შორზე შორი ბოგინითა,
ვართ უშავეს სამარეში ჩაყუდებულები მკვიდრად.
ძველებურად ვერ დაილხენ, ანკარა დღე დარუჯულა.

ბჟა ჯოხოდუ ნაჭვალასუ, დიდა ხოლო ჩელა ბჟა რდუ,
მუჟამს ნირსი მაკინანდუნჷ თოლი ჭვემათ ელაფშა რდუ,
ბჟა ასეთუ ბარჩხალანსუ, გიმე ინგირ ჷ ელაჟღვართუ,
დღა ანთასი წანას უმონს, მარა თიჟამს ირფელჷ შხვა რდუ.
ღორონთიში ზოჯინჷქ გეფუ: გავამორსით უმორსებუ:

ჸბურეფი გუმინუნდეს ფურკით კილე ხარგილეფი,
ფირფიტეფსუ ირგუაფუდჷ რინა სიტყვათ ქარგილეფი,
ვაგაშინედჷ ოსტატისუ ოჭკუმალი ნარგილეფი,
მელე ცვანეფ იქვაჩალდეს ძგაში-ძგაშა ბარგილეფი.
გილეფშითუ საღას ონდო, პაპტონანდეს საღორონთო.

ფირფიტეფცუ გოქუნუნდეს ბაღანეფი ბჟალარათუ,
ლაკაციაშჷ ნო ცელში თოფურჷ გიმოჟვალარანდუ.
ჩენჯალეფიშჷ გორგალეფი სუკის გინმოშვალარანდუ,
ზანდუ ართი, ჭარუნდჷ მაჟრა, მასმა ჭუნდჷ დო შხვა ლარანდუ.
იშუაფუდჷ ირფელჷ ართო ხანტურელი რჩქინაშჷ ღართო.

ჭინიშჷ ღობერს მეუპონუდუ თხუმუიაშჷ დღვარკალეფი,
ისისმარანდჷ მელენჷ დღასუ ბარბალჷ გილნახარკალეფი,
ჭოროფილჷ დო გოლოფირიშჷ, მომინჯე თუ მარგალეფი,
დიხას ანბანს მებრგუნდითჷნ, თიშენჷ ვორდით მარგალეფი.
ასე ნტებულჷ ვორეთ ხეშე, მარა მენდჷ რე ჟიმოლეშე.

აბა, თიჟამს მუ ირგედუ, ცჷ, ტუნგო თუ მაგნოლითი...
ღუმუშჷ კაკალს ფთასუნდითჷნ თიშენი რე ვაგნობლითი.
მოჯგირალათ გემშაკათეს დო ნტერქ რინა წამპროლესუ,
დომსანწალეს ჰამო ლური, კურცხა — ართო წამკოლესუ.
შორიშჷ ნტერი ქონება რე, ხოლოშიანჷ — მონება რე.

მათასალსუ დომძახუდეს, ვარა — გვალო მაბარგალსუ,
ცვანეფც ბორკეფჷ ასე ხოლო ჟინ-ბორიათ აფარკალსუ.
თოლონჭეშე გინმაჯინე ოტობარი ანარკალსუ,
ამარჷ გალი, ა — მარგალი, ანწჷ მიძახნა ნამარგალსუ.
მუნაფასუ წკვარამჷ ორუ, მორო ირფელქ გესინთორუ.

ბერეს ასეთ მარღვანა დო თაქ რჩხუნა დო თაქ ნახუნა,
იჯალაგუ თენეფიში აშნანჯირა-აშნახუნა,
ერებამო იწკვერემუ თენეფიში აწნაცუნა,
ნაჭვემარეფჷ უჯოხონა — წყარკაკიეფჷ წყარც კაკუნა.
დღას ვაგორნა მოწყალესუ, წკალეფჷ ცორდუ ოწკალესუ.

უბადოშა კუნტა გოძუ, ჯგირშა მევლა ეფი ვარე,
კოკუჩანა ართიანსუ, ღორონთიში ჭყაპი ვარე.
მინჷ ხეკულე გერჩქინე დო მინჷ გერჩქინე თოჭუ-ცუნგა,
დუდჷ გედგუნა შინკაცალი, ენინტირე კალათჷ გუნგა.
ჩიტჷ რე ჭინჭა თენერჷ რჯულა, უკვე მუში ნაწკინტულა.

არძას ღულა ელაშუშუ, ბონი ირკოჩქ გიჭყოლიდუ,
მუ წამალსუ ასქილიდე ტანჷ ლისმარით მინჭყოლითუ?!
დღაში წანა ანთასი რდუ, ბრელი შარა ბჭინჭყოლითუ,
ბრელი ღვინი ბყირტითუ დო ბრელი ფუჩხა ბჩხინჩხოლითუ,
ვარაგუთუ მინჷ თეს, მინჷ— თის, გილებგაგუთ ლაბირინთის.

მზეს ვარქმევდით ჩამონაწველს, დედაც თეთრი მნათი იყო,
როცა ნისლი მოდგებოდა, თვალი წვიმით სავსე იყო,
მზე ბრდღვიალებს ძველებურად, ძირს ენგური გაშხლართულა,
დღე ათას წელს ეტოლება, მაშინ ყოვლი სულ სხვა იყო,
ცაბაოთის თქმული ახდა: გამოვცადეთ უნახავი.

კერიები გუგუნებდნენ კვამლით მკლავებ დატვირთული,
ფირფიტებზე ირგვებოდა ყოფნა სიტყვით დაქარგული,
ოსტატი ვერ იხსენებდა ხემსს სიცივე შეპარებულს,
გაღმა ყანა ღაღანებდა გამარგლული კიდით-კიდე.
ვინემ საღად დავდიოდით, გვიფარავდა საუფლისო.

პატარები იმ ფირფიტებს მზიანეთით შემოსავდნენ,
აკაციის ტოტებისგან თაფლი ჩამოწკურწკურებდა
და გორგალი ალვის ხეთა ზეგანს გადააბინდებდა.
ზილავს ერთი, წერს მეორე, წვავს მესამე და სხვა ლარას,
ყოვლი ერთურთს ექსოვება დარახტული ცოდნის ჩოხად.

მიყრდნობოდა წკნელის ღობეს თხმელის ჯღები დაგვარჯღული,
ისიზმრებდა გაღმითა დღეს ბორბალი გზად მოხანხალე.
დატბორილ და დაგვალულის ჭირისუფალ-მეპატრონე,
მიწაზე რომ ანბანს ვრგავდით, მიტომ გახლდით მარგალები.
ახლა გაქსუებული ვართ, მაგრამ ზენა მაიმედებს.

აბა, მაშინ რას დავრგავდით, სუროს, ტუნგს თუ მაგნოლიას,
ღომის მარცვალს რომ ვთესდით, მიტომ აღარ გადავშენდით,
სიახლოვით შეგვერივნენ ყოფნა მტრაულად წაგვისწრაფეს,
მოგვიშხამეს ტკბილი ძილი, ღვიძილი მთლად ჩაგვამწარეს.
შორის მტერი ქონებაა, ახლოისა — დამონება.

შეგვარქმევდნენ დამთესველებს, ანდა სულაც მემოროდეს,
ყანებს მუხლი, აი, ახლაც ზენა ქარით უკანკალებს,
გადახედავს თვალსაწიერს ანაკლიელს ოტობელი
აგერ, გალი, ა — მეგრელი, აწ გვარქმევენ ნამეგრელარს.
ღრუბელს ფარავს წკვარამეთი, თუმც ყოველი გასინათდა.

ბავშვებს ახლაც მოაყრიან, აქ ბანენ და აქ რეცხავენ,
მაისრება ამეების დანაწოლი-დანასხდომი,
ერთიანად ჩამრუმდება ამეების წანაძღოლი,
ნაწვიმარ ხალხს ეძახიან — წყალკოდანი წყალს კოდავენ.
არ ეძებენ მწყალობელ ღმერთს, თესლი ლპება სათესლეში.

სიავემდე მოკლე გვიძევს, კარგთან მისვლა ძნელი არი,
დაჩინჩლავენ ურთიერთს და საღლაა ღვთის გასაგისი.
ზოგი კუტი გაჩენილა, ვინაც — ყრუ და უსინათლო,
თავი ადგათ ნესვის მსგავსი, გოდორ გუგას რომ ჩაიტევს.
არის ჩიტი ამნაირი, უკვირს თვისი მოსკინტლული.

ყველას მრუდი აუტვირთავს, სწორი ყველამ დაივიწყა,
რა წამალმა მომირჩინოს — ტანი ლურსმნით დასვრეტილი?!
დღე ათას წელი იყო, გზები ბევრი მიმოვკეცეთ,
ბევრი ღვინო დავლიეთ და ბევრიმჭადი ვანამცეცეთ.
ვეჯახებით აქეთ-იქით, ვბოდიალობთ ლაბირინთში.

არიადინაშჷ ძაფი ვარე ვართი— მოსეშჷ ბიგა-კვერთხი,
იროდუდი გემკომცოთი მუმალურო ხელეფჷ მერთხი,
მუ ეფერი დჷგავალი, ვაგმაგინუ მუ თეფერჷ რთხი,
ირო ინდურუაფუქუ, ირო ინდღურუაფუქუ,
მუშუნჷ ემორჩქინია დო ნჯარით ინდღულუაფუქუ?!

სქანჷ დუდიში გოჭყოლადას ჯოხო ანისტორესია,
ლეთაშჷ წყარი გეიხუპუ, ქოგუქ ჯიმაცონერსია,
ვარა გიჭკუმჷ ლოტოსი დო ქოგუქ მინაჯღონერსია,
ვარშუ სქანი ანჷ დო განი, უჭყანეს დო ჭყონერსია,
დაჩხირიში საქვარელი, ნოჩეჩო რე ქვაქვალერი.

## I. 6. არამხუტუ

ართჷ მიწონებ თენეფჷ შქასუ კირდეს მიკოკარკაზელი,
არწივჷ თიჟამს მაკითხანსუ — ნირს ჩეთხიებჷ გვარგვასელი,
ჩხონჩხის ეთეშჷ უძირძონუნს ღუმუ ორდას მარკვას ზელი,
ქუდოსქიდუ შურჷ მალაფუ, ზისხირს მიშაჩარგაზელი.
პრომეთე რე ჭარამჷ-ჭყუთუ, ჩქინობურო — არამხუტუ.

მუკიმუკი შოლარეფი ბჟალარათ რე წიორილი,
ოჭკადჷრეს მიკონწკარუ ნოწკერიეფჷ ღიორილი,
ჭკადუეფი ისვანჯჷნა, ვემოხენა ხიოლინი —
ანთასშა რე ხაჯალერი, ღურუს კიბირჷ ქეთაჩქვაჩვუ,
ქორთულო რე ამირანი, არამხუტუთ გილეჯგვაჯგვუ..

ნიტე მუს რე აზნახჷნა, ვარა ეფერჷ მუ დუშებუ?
ნირსილჷ სოფელც ქიგნაჯინე დო შურჷ გეშეხუნტუშებუ.
ღორონთის დაჩხირჷ ქეთახირუ, კოჩშა ჭუა მუშუშებუ,
კვათუნა დო ვეკვათირუ, ბრელს ნახაფულჷ მუშუშებუ.
ფულირჷ რჩქინა თეს ობარუ, ღორონთეფი გულამბარუ.

არამხუტუს უძახუნა, სამართალიშჷ გონიო რე,
გიმე სოფელჷ ილცხვაბარუ, ხაჩქილჷ აფუ ონიორე,
გეწურაფა ქოიღუნდა სითჷ ქიმიცონიორე,
მორო ბრელი იგვარგვასუ, ჭყულო გილაძჷ კირდეშჷ გასუ:
მუშით მუთუნჷ ვარჩქინუდას, შხვაშათ ვადუჯერებდასუ.

თექ დაგურუ მარგალეფსუ ჯღუნა უმართჷ-სამართიში,
ბანძღილიში დონწყუალა, ამერჷ — თეშჷ დო ამარჷ — თიში,
ნდღულაფა დო ზგუმონჯუა, ნამჷ — ოში დო ნაჷ— ართიში,
ოდეფიში ეფურნაფა, წკირონტუა ხვამარდიში.
მარა მუ რე გურაფილი?! მარა მუ რე წურაფილი?!

თექ დაგურუ ცირეფიში ფალოსიშა მეჯღუნალა,
ოსურალათ ვაღურანინჷ განჩურალჷ რე ეჩჷ ღურალა,
ქოიცორსუ და ბეჭედჷ მუ რე?! თაკარიაქ ვეჩხურალა,
ქოჯოგუქ და გემკოირთანსუ, გოკონჷ ქიანა მეჩჷ ტყურალა.
სქანჷ დუდიში მანგიორო, გეიშაგორი მანგი ორო.

არიადინას ძაფიარ გვაქვს აღარც— მოსეს არგან-კვერთხი,
მუდამ თავი ამარიდე როს მშობლურად ჩაგეჭიდე,
ისეთი რა დაგავალე, ან რა გთხოვე იმნაირი,
ნიადაგ რომ მემდური და ნიადაგ რომ იბღვირები,
რატომ გამაჩინეო და რომ ილევიჯავრისაგან?!

შენი თავის დავიწყებას ჰქვია ანისტორესია,
ლეთას წყალი შეგიხვრიპავს, დაემსგავსე ნახევარძმას.
ან ლოტოსი გიჭამია, გამოგზავნილ ქისას ჰგავხარ,
თავს და ბოლოს ვერ იხსენებ უღონოს თუ ძალგულოვანს.
ცეცხლის მიერ ნამაშვრალი, ქცეულია ნაცარ-ფერფლად.

## I. 6. არამხუტუ

ამათ შორის ერთი არის ფრიალო კლდეს მიხლართული,
მყის არწივი მოფრინდება, როცა ნისლი გაეცლება,
ღვიძლს იმგვარად დაუკორტნის, თითქოს ქვაბში ღომს ზილავდნენ,
ტინს შერჩება სულთმობრძავი, სისხლის ღვარში მოტივტივე.
პრომეთეა წარბშეყრილი, ჩვენებურად — არამხუტუ.

ირგვლივ ყინულს მნათობისგან ტანი დაწერწეტებია,
სამჭედლოზე აყუდია შეშა სიგრძივ დაპობილი,
ისვენებენ მჭედლები და არაფერი უხარიათ,
უთვალავჯერ დახლართულმა, სიკვდილს კბილი ჩაულეწა,
ამირანი — ქართულითა, არამხუტუდ დატორტმანებს.

ნეტავ ვინ რას ემართლება, ისეთი რა შეუცოდავს,
გადახედავს ნისლულ სოფელს სული ამოხროტინდება,
ღმერთს მოჰპარა ნაპერწკალი, კაცს ტკივილი მოუშუშა,
ჭრიან, მაგრამ ველარ მოჭრეს, ბევრს ნაფოტი უშოვია,
მფლობელია დაფლულ ცოდნის, ცაბაოთი გაუძარცვავს.

არამხუტუს ეძახიან, სამართალის გონიოა,
ძირს სოფელი დაფუსფუსებს, გათოხნილა ბაღ-ბოსტანი,
მითითება თუ გელირსა, ძალი შენაც მოიკრიბე,
თუმცა ბევრი დაგნიასებს, წყევლით ბმული ხაზოს პირას:
შენით არრა გცოდნოდეს და აღარც სხვისი დაგეჯეროს.

მარგალს იმან დაასწავლა მართვა უმართ-სამართისა,
აბურდულის დალაგება, ეგერ — მისი, აგერ — ამის,
გადნობა და გამოწრთობა, რომელ ასის, რომელ ერთის,
ოდის შეკამარავება, გალაღება ხომალდების.
მაგრამ რაა დანასწავლი?! მაგრამ რაა მითითება?!

მან ასწავლა გოგონების მიძღვნა უფალ ფალოსისთვის,
ქალწულობით რომ არ გაწყდნენ, ბევრი კვდომა უნდა სძლიო.
გიყვარს? ბეჭედი რაღაა?! მხურვალე ნუ შეიმცივნებ,
თუკი სძულხარ, გიღალატებს, გინდ ქვეყანა მიუბოძო.
შენი თავის სამაგივროდ მსგავსი ჩერო მოიძიე.

თექ დაგურუ ცოროფალას მანგიქ მუჭო გამანგასუ,
ორქოთ მუჭო ვედიცვერას დო რინჷ ვედიღამანკასუ,
თექ დაგურუ ღუმჷ-კაკალი დათასანი ნამჷ აკანსუ,
სო გახაჩქანჷ ზანდურსუ დო ხონილს სო მი ტაბაკანსუ.
ღორონთიშე დოკვანწილი, ეშმაკის აფჷ დობანძღილი.

თექ დაგურუ მარგალეფსუ ღულა პუხუშჷ გოთინუა,
კორკონტიას ველანჭუქ და ხელეფჷ ვემწუპოტინუა,
ვემიარკა დო ვეგნუძინა — ბორჯის ტყურათ ოდინუა,
რინა ჟირშა ვეგერზიებჷ, კულა ღვინჷ რე მოდგინუა.
ტაბაკონა ჭეჭეთელი, ეშმაკშე რე ბეჭედელი.

თექ დაგურუ მარგალეფსუ სიმართალე ნაკაბეტა:
ასე წონწით გულურქუნი, ჟინჷ ნდურია ვაგაბედა!
მუდგა უფის დაბუნქუნი უფალს ბაჟო ვაგაფე და
საწმოხუნოთ გაჩუალუ, ჟინცათ გეგნოკაკაბედა.
მორო კოჩის მუ რუცნდასუ, შურჭიფე დო შურკუნტასუ?!

გაჭყუ ანი, ბანი, განი, დონი, ენი, ვინი, ზენი,
საღორონთო ჰე-მაბრუო, თანი — შურშა მინირზვენი,
ინი, კანი, ლასი, მანი, ონი — ცაშო ინირზენი,
პარი, ჟანი, რაე, სანი, ტარი — ღურუთ დინირსენი,
უნი, ფარი, ქანი, ღანი — შურჷ წკონდაშა გაშეღანი.

გაჭყუ ყარი, შინი, ჩინი, ცილი, ძილი, წილი, ჭარი,
გაჭყუ ხანი, ხარი, ჯანი — ლანჭაცალო ოლანჭარი,
ქორე ჰოე, ხოლო სუმი: ური წკენტა, ლი დო ფონი,
რჩქინაშჷ ქუა ქიგუდვალი — დუშაყარუ მუთ ოკონი,
დუდშენო ხომ სიტყვაქ დირცხუ, კოჩიქ უკულჷ ეკიბირცხუ.

თექ დაწკანტუ ცოლკინიში სიტომბე დო ასაგასა,
ვითოსუმი განი უღუ, სიგინძა ეჩჷ — ნაზაკვაზა,
კოჩიშჷ თასი ენმიხანტუ, თექ ვალიში ნოცელათუ,
სიჩქარეში ენერგია დოჯვარუ დო დოგელათუ,
ბჟაშჷ ჩხორიათ გოსკვჷ დო გოჭუ, უკდებათუ გოსკუბოჭუ.

სუმკუნთხულო ეხანტუნსუ ბჟაშე მულირჷ სინთელესუ,
პირამიდა ცილინდრი რე სო მუმია ცვინთელენსუ,
ტორნადოში ჭარკინტითუ ფარაონი მინჷ თელენსუ,
ჩქიჩქიცალო მეპინტანა ხუგეგი დო ჭყინტელეფსუ,
რჩქინას უცორს მაჟირუა, რე ღორონთიშჷ ნაჟირუა.

ნასრენ ჟაკეს უძახუნა ცხენით ცქვაფილ ყაბარდოსუ,
დუდჷ ხოკილს დო ბჟაკე ფიფალს, წელჷ ჭიფეს დო ცვა ფართოსუ.
ფოქვეშისუ მითოკირუ გინოთილჷ დო ტყამჷ ართოსუ
კოჩიშჷ გეშა წიროხილი ცხირას ძგაბუნს სამარდოსუ —
კინჷ კოჩიში ფაჩალერით, წკვერემს ენოხაჯალერი.

აბსრკილი რე აფხაზაშო, მოჭუმინუნს არაშითუ,
მეხის ორღვანს ტომარეფით ნაშაყარას მარაშითუ,
ანცვას სინთე გეიოსქირუ, ომბოლიში ნგარაშითუ,
ბორიეფი იფართხალუ გოფარაქელჷ ქარაშითუ,
არძაშჷ ყებურჷ ხერზე რენი, ხვალე თიშჷ რე გესერელი.

მან ასწავლა ტრფიალისას ტოლმა რარიგ ითანასწროს
ოქრო-ვერცხლის დახარბებით ყოფა რომ არ ჩაიმწაროს,
მან ასწავლა ღომის თესლი სად იხარებს უკეთესად,
სად მოთოხნონ ზანდური და და რომელი ტკეპნის ნახნავს.
უფლისაგან დაწყობილი აუბურდავს ეშმაკ-მაცილს.

მარგალებს მან დაასწავლა მრუდი მხრების გასწორება,
კენწეროებს თუ ვერ წვდები, ხელებს მაინც ნუ აიწვდენ,
ნუ აკლებ და ნუ რც ამეტებ — დროს ამაოდ ანიავებ,
ყოფნა ორჯერ არ გეძლევა შარბათია ერთი ყლუპი.
ტაბაკონა-ალქაჯეთი დაბეჭდილა ეშმაკისგან.

მარგალებს მან დაასწავლა სამართალი მეთაური:
ახლა ძონძით რომ დადიხარ, უფლის გმობას ნუ გაბედავ!
ოფლს დაანთხევ რაოდენსაც თუ ღმერთს ბაჟად არ მოსთხოვე
საიმდროოდ გენახება როს ცით გადახასხასდები.
თუმცა მოკვდავს რა გიშველის, სულმოკლეს და სულწვრილმანას?!

შექმნა ანი, ბანი, განი, დონი, ენი, ვინი, ზენი,
საუფლისო ჰეი-მერვე, თანი — სულში ჩაიზვინე,
ინი, კანი, ლასი, მანი, ონი — ცისთვის რომ იდავო,
პარი, ჟანი, რაე, სანი, ტარი — კვდომით დაინისლო,
უნი, ფარი, ქანი, ღანი — სული მნათზე აიტანო.

შექმნა ყარი, შინი, ჩინი, ცილი, ძილი, წილი, ჭარი,
შექმნა ხანი, ხარი, ჯანი — ნაჭასავით ასაკინძი.
არის ჰოე, კიდევ — სამი: კუთხა უნი, ლი და ფონი,
ცოდნის ლოდი დაანათლა — შეუკრიბავს რაიც უნდა.
თავიდან ხომ სიტყვა იშვა, კაცი მერე მოიბრჭყალა.

მან დარახტა ცოლკინისა სიღრმეები და არსობა,
ცამეტია ზომა განით, სიგრძე — ოცი გამიზნულად,
კაცის თესლი იხატება იქ ელვათა შიმალებით,
ენერგია სიჩქარისა შეყარა და აატაძრა,
მნათის შუქით განასკვა და უკვდავებით შემოგარსა.

სამკუთხედით გამოსახავს მზისგან მოსულ სინათლეებს,
პირამიდაც ცილინდრია სად მუმია ჩაყვითნულა,
ტორნადოთა ბორიაყით ცოცხლობს ზოგი ფარაონი,
ჭინჭში ჩვილებრ გაახვევენ მიხრწნილებს და სულაც ნორჩებს.
ცოდნას უყვარს მოროდები, ცაბაოთის ხატებაა..

ნასრენ ჟაკეს ეძახიან ცხენი ქებულ ყაბარდოში,
თავნაპარსს და წვერგაბებლილს, წელწვრილსა და ფართო შუბლას,
დაბმულია გამოქვაბულს, გადათოვლილ უსიერში,
კაცის გამო დაწურული ხმიადს ლოღნის დამადლებულს —
ისევ კაცის ნაბოდვარით უკუნეთში ჩათოკილა.

აბრსკილია აფხაზისთვის, მოქრის მალი არაშითა,
მეხებს ფანტავს ტოპრაკებით, კვირაობით დაგროვილებს,
ანცვას შუქი აალაცა, ობლის ცრემლით გალდამწვარმა,
ფართხალებენ ბორიონი გაფხრეწილნი როკებისგან,
ყველა კერა ფხიზელია, მხოლოდ მისი ჩაქრობილა.

უქომოლეთ ერჩქინელი დიდა ქორთულს უბიწო რე,
გეგნუსქვესუ ორქოშჷ ჩუპა, ანწი ქიანას უბიწორე,
ჩქვალამჷ დემი აშლატონა ჯინჯამჷ რდუ და უჯინჯო რე,
ქიმკაკირეს რკინაშჷ პალოს, მუსხი გოკონჷ უჩინჩორე,
მოფურინუნს მასაქელა ცაშჷ კუდელით მაზაფელა.

მორხინუნსუ უროსუ დო მაბზაკუნათ ქიმკიკვალუ,
ურო პალოს ქაზეპუნი დიხაშჷ გურშა ქენინკალუ,
ავრე ყურშა შქურნაფილქუ კუდელჷ მუნდშა ქიმთიმპალუ,
იროკოჩჷ ართო გორსიმნაფე მით ვარე დო მით იპალუ,
კინჷ ქასქიდუ ფირქიშჷ მართუს, ულიებჷ დო უზოგართუს.

სასრიყვა რე ალანიშო, გერე დემი ქალამიში,
მორსხა ირი შურდგუმაში, ხორცამი დო ძვალამიში,
რკინას რკინა მიაზორთუ უჭყანე დო ძალამიში
კვათირჷ კირუ, ზისხირჷ სქირუ უხანტელა კალამიში,
მეზობელი მედაჩხირე არამხუტიშჷ გამრანყი რე.

ფჰარმათი რე ვაინახშო, ხემანჯღვერი აფუ ნართის,
ნორცხვა მიდულჷ სიელასუ ელჷ დო ვალიშჷ კართეთ ნარდის,
ნახჩოუშო — აურა რე ღილღა უძახჷ ჸინცაშჷ კვართის,
ნაცხაცხელიშჷ კუდელჷ ხანტუნს თურფალიში მისამართის.
ვეიშუგორუ კოჩი ფსქეთუ, უღურალო ქიმეფსქვეთუ.

მობირეში ჩიტი სათა გურს უმარგენს ღურჭულითუ,
თურბალჷ თეში მეჭუმინუნს ვარწყქ თოლიშჷ ჭურჭულითუ,
დაჩხირჷ ეშმულჷ ბაშლიმიშა კოჩანაშე გურჭვილითუ,
დოხართანსუ თოჭუ უჸა, ვემიაძინე ცინდა ტკუშა,
იდა ნინძგით ჯღვალიკანსუ ოში ნძორით ნაბუჸბუჸა.

სომეხჷ ურძახჷ არტავაზდის, მინშა — გვალო ცალა მჰერსუ:
„აჯახაკიშჷ ოსურეფშე ბრელჷ ხანგური ალამრქენსუ.“
ოჭოფნა დო ჭკადუშჷ მანჯა ხაჯალურეფს ვადარკენსუ,
მესისიში ფოქვეშისუ წკვარამეფი ამარგენსუ.
სოდგა ურო გიანარცხუ, თექ ეკირდუ ლარჭა ნარცხუ.

ვითომ ვაულჷ ეიორთაფუ როკაპიში შერობაშე,
მის გუგონებ ოცქვანდესუ გერეს კოჩიშჷ ნტერობაშე,
შხურსუ ხესუ გინუსვანა, გერს ცვილუნა გერობაშე,
მჰერი კირუ ფოქვეშისჷნ — კვარჩხიშჷ უდუჯერობაშე,
მჰერი ტერშო როკაპი რე, უკმელაშა ორკაპინე.

ალუეტშო არამხუტუ იელი რე ოხვამერი,
პოლინეზიას რე მაუ გვალო ჯვეშჷ ვარჷ — გოღანერი,
მაიასუთ უძახუნა ჭარგა რენჷ თუ ჭოლა რენი,
ბრაზილიას — სერჷ დო კამე — წკვარამიშა დოღალერი,
მითრა რექ თუ ამარანტა, დუსუ ვენისამარანდა!

ურემეფი ქიგიოდვანა მენცარ კოჩი პრომეთესუ,
„პრო“ წოხლე რე მარგალურო; უჩხიჩხუანს კომეტეფსუ,
„მეთე“ — გედანს მიძირუანს, ჰავას ჭოფუნს მომენტეფსუ —
საწმოხუნო ჯგირობუა სო ბზირით დო სო მენტესუ.
ტანით ცოფა გინაფილი, გეხე გორსჷმინაფილი.

უმამრობით გაჩენილი ტკბილ-ქართულით უბიწოა,
გადუნასკვეს ოქროს ჭიპი, აწ ქვეყანას უჩიჩხინე,
ეშვიან დევ აშლატონას, ძირი ჰქონდა? უძიროა,
მიაჯაჭვეს რკინის პალოს რამდენიც გსურს ეჯაჯგურე.
მოფრინდება მაზზაკუნა, კუდით ზეცის მონიავე.

შემოუქნევს უროს და მყის მაზზაკუნაც აფრინდება,
ურო პალოს ენარცხება და ჩააღწევს მიწის გულში,
აქეთ ყურშა უღალატო შიშით კუდს ამოიძუებს,
ყველა ერთად გალურსულა, მკვდარია თუ ცოცხალია,
კვლავ შერჩება ფიქრის მორევს, ულევსა და დაუზოგველს.

სასრიყვაა ალანისთვის მძლე რქიანი ბაყბაყ-დევის,
შვება ყოველ სულდგმულისა, ხორციანის და ძვლიანის,
რკინას რკინა ემატება უძლურის თუ ღონიერის,
ბასრი ბმულა, სისხლი შრება ყალმისაგან უხატველი,
გახლავთ კარის მეზობელი, არამხუტუს ნაშიერი.

ფჰარმათია ვაინახში ნართს მიუძღვის მეწინავედ,
ღველფს წაართმევს სიელა-ღმერთს, ელვა-ჭექის კალთით ნაზარდს,
ნახჩოუსთვის — აურაა, ღილღა უხმობს პერანგს ცისას,
ნაპერწკლების კუდი ხატავს მისამართებს თურბალისას.
კაცს ზნეობით გამოარჩევს, უსიკვდილოდ შევენასკვე.

მომღერალი ჩიტი სათა გულს უმაგრებს გალობითა,
ისე მიქრის თურბალ-რაში თვალი ცქერას ველარ ასწრებს,
ცეცხლი ბაშლიმს აიტანა ხალხისათვის გულდამწვარმა,
შეკრავს უჟა თვალ-ელამი, ციდას გოჯს რომ ვერ შეჰმატებს,
იდა ნისკარტს მოუნაცვლებს, ასი მძორით ნალაღები.

სომეხი ხმობს არტავაზდის, ზოგჯერ — სულაც ცოფიან მჰერს:
,,აჯახაკის დიაცთაგან მრავალი მაქვს საშფოთვარი‘‘
დაიჭერენ მჭედლები და ჯაჭვის ბორკილს დაადებენ,
არარატის წკვარამ ქვაბში დააოკებს უკუნეთი.
ურო გრდემლს რომ ენარცხება, გამრთელდება ჯაჭვი მყისვე.

ვითომ არ აქვს ასაქცევი შერობისგან როკაპისა,
ვის სმენია უმადლოდნენ მოყმეს კაცთა მტრობისათვის,
ცხვარს ხელს გადაუსვამენ და მგელს ქოლავენ მგლობისათვის,
მჰერი ქვაბს თუ დამწყვდეულა — ხალხის ერთგულების გამო,
მჰერი მტრისთვის როკაპია, მიდი და ბნელს შეაჭიდე.

არამხუტუ ალუეტთან იელია სალოცავი,
მაუ არის პოლინეზში, ძველი არა — გუშინდელი,
მაიასაც ეძახიან ჭრელია თუ ფერსაღარი,
ბრაზილშია სერ და კამე — უკუნისთვის წართმეული,
მითრა ხარ თუ ამარანტა, თავი აღარ დაიმარხო!

ურუმები გულთმისან კაცს ეძახიან პრომეთეოსს,
,,პრო‘‘ წინაა მეგრულითა: აწ კომეტებს უჩიჩიხინე,
,,მეთე‘‘ — ხვალეს მოიაზრებს, ჰაერში კრებს სამომავლოს —
საწუთრისო სიკეთენი სად ვკრიბოთ და სად ვაპნიოთ,
ტანით მერმის შეგრძნობილი, დაყუდნილა გასაგნებით.

შხვეფშე უმოსო პრომეთეს მიკუსჷ ბჟალარა-კოჩიში,
მორო დღამუშის ვოუძირჷ არამხუტუში ოჭიში,
მიშეფაფურუ ზისხირს დო მეტიში ვარე მოჭიში,
გოფართხუნს უჩალართამეფს შური წურწუფა-მონჭკიში.
შხვას ჟვენდერობა ხვადუდა, უკდებას ელუ ნადუდა.

სანსკრიტული „პრომატა“ რე ჩქინობრათუ თარხვანტია,
ყამბარს წკირი იკვარკვანტუნჷ, დიფა ელუ ბარხატია.
ღაბაჩელა ყებური რე უკდებაში ქარღადია:
„ცათე რჩქინა, ცათე ჩინა ტუტაცალო ვარღვათია“
რაგადჷ რე თუ ჰავაშჷ კუსა? გილედაჩხირჷ პრომათუსა.

## I. 7. ცოლკინი

რე ჩინელშო დაოშჷ ცნებას მეკვანწილი ხუმა ძინი,
„კუჩხი სოდგა გუვობიჯგენჷ იმენდეფო ქუვაძინი.
ქუა ქუას მინვონდღულე, ბრელშა ბრელი ღურა ბძირი,
ლეხის კეთრი დუშქირიტი თხუმურეფით ტყურაცილი“.
უცორს ზოჯინჷ მარსხებელსუ: „ურჩქინჯელათ ვარწყექ ბრელსუ“.

„უჯინჷ უნთხორნა ართიანს აკარდამა დო საფულეს,
გეგნიდიარეს შუმერი, ეგვიპტე დონახაფულეს,
ცოდას ჭოფუნა ჭაბუთუ, ნახაჩქა დონაჩაფულეს,
დაჩხირს მიშე რე იხირდი, კოს მუს გინარექ დღაკულეს?!“
ჩიებას უჯგუ ინკორე, ტკილშე მუ ეშელინტკორე.

კინჷ გევცვანგუანს არწივი: „ირი უბადო სი თასი,
დუდი ღორონთო მოიღუ, მარა ონარღუქ მითასი,
ჭკადუეფი რე სამარდოთ მიკოიტახუნა ხიტასი,
ვასაჭირუდე ზევსისჷნ გეშაიღა შურიშჷ ყიტასი!“
ზევსის გელაფუ გონთხაფა, ვოუჩქ მიშე მოძჷ დონთხაფა.

„მუჭო რე შურსუ იხირქუ, დუდი მოიღუ ბოროთი,
შხვა ართშა რენდა, სი ყვაბრა, გითოღალირჷ რექ ჩხოროთი,
ნინა ქვარაშა ქენორლაფჷ, რინას მეცუნქუ ცქოროთი.“
ავრე ოხვეწუ ზევსისუ: „ო, ჩქიმი დიდი ღორონთი,
თეშჷ ჯღვალიკუას გინმოტე, ქანა გინომშქვი ოროთი!“

ტიტანი ტომბას იჯინე, „საცოდალი რექ სარალო,
მა კისერჷ გებდგუ ცინჩალი ნირსიში მიოსვარალო,
ვითშა გოსხაპუნს სქვერი დო ვაგაჭიშენა „ჰარალო“,
ვეგორე თქვანი ძვალეფი ჭკუდიში ენანწკარალო.
თაქობასი დო თეურე, არძა მუშჷ დღასი გეურე.

ასე სქანი რე დიარა, ცერბერიში რდას ჭუმანი,
უქვინჯე სტიქსიშჷ მულაშა, გეღანჷ ქარპიეფქ ბჭკუმანი,
გოხარცქილი რე ცვაშჷ ჯერღვი, ნაცარშა ღორონთწკუმანი,
გოხარხაშანა — დიდასუ კართესუ ეკანწყუნანი.
უღუამო დო ხოჯამო, ოსურამო დო კოჩამო,

სხვებზე მეტადრე პრომეთეს აცხია შუქი მზე-კაცის,
თუმც არ უნახავს მის დღემში ბეჭები არამხუტუსი,
სისხლშია ამოვლებული, სხვა სიკეთე არ რგებია,
გაფერთხავს უჩალართამებს გოგირდის წამოხრჩოლება,
სხვას რახად ყოფნა თუ ერგო, — მარადისია თავკვერი.

,,პრომატა‘‘სანსკრიტულია, ჩვენებურად კი — დიდგულა,
ყავარში ჩხირი ტრიალებს ალი აჰყვება ბარხატი,
მოაგუგუნებს კერია ქალალდებს საუკვდავოებს:
,,ეს ცოდნა, ესე თვალთვალი ნაცარივით არ გაფანტოთ‘‘,
თქმაა თუ კვნესა ქარისა? დაცეცხლიანობს პრომეთე.

## I. 7. ცოლკინი

ჩინელისთვის ,,დაოს‘‘ ცნებას, მიგზნებია ჟღერა ,,ძინის‘‘:
,,ფეხი საცა კი დავადგი იმედებად წავემატე,
დავადუღე ლოდზე ლოდი, ბევრზე ბევრი კვდომა ვნახე,
სნეულს კეთრი დავუშრიტე ჩირქისაგან დატენილი‘‘.
ბრძანებს ხოლმე გადამრჩენი: ,,უვიცობით ბევრს ვერ ხედავ‘‘.

,,შეხე, უთხრიან ერთმანეთს აკლდამებსა და სამარეს,
გადაიძოვეს შუმერი, ეგვიპტე დაანაფოტეს,
ზადს წებოსავით იჭერენ, ნათოხნი დააქალამნეს,
ცეცხლს იპარავდი ვილასთვის, კაცს რას ემხრობი დღემოკლეს?!‘‘
თქმას სჯობია რომ იცოხნო, ტინისგან რას გამორჩები!.

კვლავ უნისკარტებს არწივი: ,,შენ თესავ ყოველ სიავეს,
თუმც ეტოლები მაცხოვარს, მაგრამ არავის ენაღვლი.
კიდევ მჭედლები სამადლოდ ლუკმა-პურს მოგიციცქნიან,
ზევსი რომ აღარ გწყალობდეს, სულს სრულად ამოგაცლიდი!‘‘
ზევსი შიშშია, არ იცის საიდან ელის დაცემა.

,,ხმა ისე გაგიკმენდია, თითქოს და იყო სულელი,
სხვა ერთხელ როა ქვეშქვეშა, შენ ცხრაგზისა ხარ, ბოგანოვ!
ჩავარდნილი გაქვს მუცელში ენა და მისდევ ჭაობებს‘‘.
აქეთ ზევსს დაღრიჯება: ,,ო, ჩემო დიდო უფალო,
მაშორე ამის დაბრჭყალვა, ქვეყანა ჩეროდ მიქციე!‘‘

შორს იმზირება ტიტანი, ,,საცოდავი ხარ საბრალოვ,
მე ქედი მადგას ამაყი ნისლებთან საკამეთებლად,
ათჯერ გასხლტება შველი და ველარ მოასწრებთ ,,ჰარალოს‘‘,
თქვენს ძვლებს ვერავინ იპოვის კუბოში ჩასალაგებლად.
აქაური თუ იქითა, კაცი თავის ბედს ემონვის.

ახლა შენია ლხინები, ცერბერის იყოს ხვალიდან,
უძირო სტიქსის მოსვლამდე ზეგ ქარპიებმა მათრიონ.
შუბლ-ძარღი გაწყვეტილია ნამყნობი ცაბაოთთანა,
ხარხარი არის — ღვიძლ დედას კალთას რომ მოუშიშვლებენ.
უღლიან ხარიანადა, ქალიან-კაციანადა,

თახსირჷ რე მთელი ურუმი, გოკონჷ — ტროა დო აია,
აძირუაფნა ორქოთუ მურიცხეფი დო ბაია,
ხასლაშა ელუჯანუნა ოფუჩაფალი დაია,
დაჩხირს კვარჩხულო ხვარენა დო ქანას მორსუნს „ვაია“,
წყარს მინიფაფუ ლაქვათი, ხენცფეშენი რე რაგადი.

„ბშოლუნდას ჭვემა მუდგასი, ბლოლუნდას ვალი მუ დღაასი,
შურო სარხოშათ ვამკიმბჭა სქანი ჭყორული ბურდღასი,
ვამაჸი გიმაჩამალი შური ქვარა დო პიჯიშე,
ვამაჸი გიმაჟღამალი ლური ბიცო დო ჯიჯიშე,
გოკონჷ ეიოპონჷ ლაგაში, შურიშჷ მანგიორჷ ვაგაში!

სქანჷ დუდი გიჭყოლიდე დო შხვაში უტურე ყუბურსუ,
კოჩანაშჷ ჭვეთი ვემშადგუ ჭყორიშჷ ზოჯინსუ მეფურსუ,
არძა გვიმარაქ ვამაჯინჯჷ, არძა ძიგირქუ ვექურსუ,
წირახილჷ ხეთი ვემვანჭი დაღანჯებული ლეკურსუ.“
მარა თანაფა მონჭაფე დო შური ცაშა ქონჭაფე.

ანდა ხონარს მირჩილუანს ხეთურსუ დო შუმერულსუ,
ეგვიპტეშე გეიშენტებუ სარკოფაგიშჷ რუმე ლურსუ.
იოანის უძახუნა წყარიშჷ მუმა ჸუმენულსუ,
ედემიში მოვარიე ცხირას ძგაბუნს ღუმენულსუ.
თეში მეტი მი მიმინჯუ, შური გეგნომსილიმინჯუ.

დარჯელანიშჷ ბოში ჯოხო შონეს ჯვეში ქორთულითუ,
არმაზიშე გიმიკეკუ გაიმ-გაციშჷ მორდულითუ,
ბრელი ქართა გეიოპონუ ხირხალუა-ჭორთულითუ,
ბრელი დუდი გასინთორუ გურგინჷ ჟინცათ მორთულითუ.
უძახუნა მენდიშჷ კართეს დო ღორონთეფქ ქუდუკვარტეს.

თის სახელი ბრელი ჯოხო ჸათე ჩქინი პლანეტასუ,
არძა ოკო გეკობჭოფე, პიტაქ ოკო ვამენტასუ,
პერუნი რე სკვითეფიშო, გოკონჷ ქრისტეშჷ „ამენ“რდასუ,
მუ შარა რე მარჩქილექუ ჯითა ჯინშა ვამენდასუ.
მუდგა გილართ ფარამჷ ხუთუ, დღასჷ ვეჸიქ არამხუტუ.

ირანელიშჷ აჰრიმანსუ ორქოთ გინვონდღულუანქუ
ნირვანასუ თორსილჷ ბუდას სქუაცალო ულუანქუ,
თიშე ეფალჷ ზარატუსტრაქ, კვარჩხის უბურჭულუანქუ,
მინშა ნირზით ბზგუმონჯუნქუ, მინშა უღურჭულუანქუ.
ჭერჭე რინაქ ძალამჷ ბხუთუ, მარა მოხვარჷ არამხუტუ.

ატლანტიდას უძახუდეს პლატონი დო ხოლო შხვეფი,
ცაშე გემკოლჷ მურიცხიქ დო ზისხირელი გეჭოფჷ შხეფი,
ირფელჷ ართო მოჯალაგუ ქვალონი დო ვარდობუა,
წოხოლეშე დუხვამილუ ჟინიშჷ უდუმარდობუა.
ართი დღათუ მიძინჷ წანაქ, ლუღჷ გვერცალო მიძიცანა.

ლუმერული მახორობა უჯოხოდუ შტაინერსუ,
ირკოჩჷ ართათ ქენოცუმე პელაგონი შხვაინერცუ,
დინოზავრქუ ხვლიკო გინირთ, ჯა-გვიმარაქ — ლიმხონათუ,
„ორტყაფეფსუ მუნჭირათ დო ირიათო იფხონათუ“ —
არამხუტუშჷ ზოჯუა რე, ოჭმარე თუ ონჯუა რე.

ბილწია მთელი ურუმი, გნებავს ტროა და აია,
მოელანდებათ ბაჯაღლოდ ვარკვლავები და ბაია,
მოუწვენიათ ლოგინში დასაფიცარი დაია,
ცეცხლს უკუღმართად ხმარობენ და სოფელს მუსრავს ,,ვაია'',
წყალზე ტივტივებს ფელოზი, ნათქვამი მეფეს ეკუთვნის.

,,წვიმა რაოდენ მასხამდეს, ელვა მრუჯავდეს რა დღესაც,
ახლოსაც არ გავიკარებ შენს ფაფუკ ბუმბულს მონისას,
გასაყიდი არ მექნება სული კუჭი და პირისთვის,
საჭმუხნი აღარ მექნება ძილი ბიცოლა-ბიძისთვის,
გინდ ააყენე ლაგაში, სულის სანაცვლოს ვერ ჰპოვებ!

განაგდე შენი მეობა, სხვისთვის დააგზნე კერია,
კაცობის წვეთი არ ახლავს მეფურ ბრძანებას მონისას,
ვერ ამოვძირკვე ჩადუნა, ვერ გადავთქერე ჯაგნარი,
დაწნეხილ ხელით ვერ მივწვდი ღანჯმოკიდებულ ორლესულს'',
მაგრამ ახლოა აღდგომა და სული ცამდე ამწვდარა.

ყურს მიუგდებს მრავალ ხმობას, შუმერულს თუ სულაც ხეთურს,
ეგვიპტიდან გაექცევა ძილს უამურს სარკოფაგის,
ეძახიან იოანის ნამწყურვალებ წყლის მეუფე ს,
უარმყოფი ედემისა ხმიადს ლოღნის წუხანდელსა.
ამის მეტი ვინ მომხედავს, სული გადაჯავშნულია.

დარჯელანის ბიჭი ჰქვია სვანეთში ძველ ქართულითა,
არმაზიდან ჩამოვანდა გაც-გაიმის გაზრდილებით,
აღუმართავს ბევრი ღობე ტყრუშული თუ ლატანისა,
ბევრი თავი გაანათა ცით მორთული ქუხილებით.
ხმობენ კალთას იმედისას და ღმერთები აუხიდნენ.

სახელი აქვს უამრავი მას ჩვენეულ პლანეტაზე,
ყველა უნდა შემოკრიბო, ერთიც აღარ გამისხლტება,
პერუნია სკვითებისთვის, გნებავთ ქრისტეს ,,ამენ'' იყოს,
სხვა რა გზაა მოყურადე ძირძირამდე აღარ მენდოს.
რა გინდ ფულიანი იყავ, ვერ გახები არამხუტუ.

ირანელთა აჰრიმანი ოქროს ზოდად გადავადნე,
ნირვანაში დაფლულ ბუდას თავს ვევლები შვილივითა,
მისგან იშვა ზარატუსტრა, უკუღმართებს გადავწალდავ,
ზოგს კამათში ვამთლიანებ, ზოგს — გალობა საამურით,
ჭრელი ყოფნა დია მხუთავს, მაგრამ მშველის არამხუტუ.

ატლანტიდას ეძახოდნენ პლატონი და კიდევ სხვები,
ციდან მოწყდა ვარსკვლავი და აღიმართა სისხლის სვეტი,
ერთიანად მოსრა ყოვლი, ქვიანი თუ სავარდეთი,
დაუხვედრა წინ სიმკაცრით ზეცის დაუფასებლობა.
წელმა ერთი დღით იმატა ლეღვი გველებრ იღმინჭება.

ლუმერული სამოსახლო ერქვა შტაინერისაგან,
ყველა ერთად ჩაცვენილა განსხვავებულ პელაგონში,
დინოზავრი გახვლიკად იქცა და ხე-გვიმრა გაგვიმრუჭდა,
,,მოვუეჭიროთ წელს ქამარი, გამუდმებით ვიმარხულოთ''—
არამხუტუს ბრძანებაა, დილაა თუ შებინდება.

დიხას მუჟამჷ დოცაშუნსუ შურდგუმილით ბჟალარონი,
კირდეცალო გემწოდირთუ ჭოლეფი დო ჯალარონი,
კოჩი ცაშა მინჭუაფუ, დაკუნტარებჷ ჩქვალარონი,
ეთერული ოხოლჷ ნოთე, გეამშვებუ თი ბონჷ დღასუ
დო ცურუმულჷ ცხოვრებაქუ ჰამო ლურით დიბონდღასუ.

ფულირჷ ბრელჷ აფჷ არამხუტუს, ირფელჷ ამბე ვეგნიფაჩე,
ლოდოს კურცხე ცუნს ეშმაკი, ჟღამჷ დო თოფურჷ ვეკიფაჩე,
ირო ქურშა ვეგისხაპე, ირო კარშა ველიმაჩე,
მურიცხითუ შქირტუ ართშა, ღორონთი რე ურთაფელა,
ხოლო — რიცხვი დო კოჩანა, შხვას ძირძონუნს ურძღაფელა.

მუნერო რე მონწყილჷ ქიანა, თეშა გური მის აჩინე,
წყარსუ ხოლო დაჩხირი რზჷ შქაბანიას მიშაჯინე,
ბრელს უტახუ თეშენჷ დუდი, ბრელჷ ყუბურსუ მიშარჩინე,
უღურალშა მი დოიძახუ, გოკონჷ შქვითშა მიშაჩინე,
ჩქიმჷ მინჯე რე არამხუტუ, ნჭყოლირჷ გურშა ქალამხუტუ.

შქვით ჷ რე კოჩიშჷ ანჷ დო განი, მარა ბრუო ოკო რდასუ,
ცეთი ართიქჷ ვემიაძინდა ჭყანაქ ირო ოკორდასუ,
დიო ყვინგი დუბჟღირდუ დო უკულჷ კილექ დოცორდასუ,
ფართო შარას ქიგლადინუ მიკორთა დო მოკორთასუ.
გიჩქუნანო ტყურათუნი გილგამეში ცურანდუნი?!

ვითოსუმი მიკეკუანს: ,,ჩქიმჷ წესჷ დიზუკოლითია,
შურჷ დო გურით ეზიმილი ვესხუნუათ თოლითია,
ჭირჭიხელი ბორჯალიშე რინა გიშათოლითია,
ქა-შქვილო დო ქა-საგანო ღორონთიშა გოლითია".
თაშჷ ღაბაჩანს ყუბურს ლალა, მარა ჯოგუ მოქმედალა.

ჰოდო, ქიდიჭყჷ არამხუტუქ ღულა კოჩიშჷ გოთინუა,
საღორონთო ქაბირაფუ — ბორჯის ტყურათ ოდინუა.
ქასხაპინუ ხორუმეფი, ძვალი შვერთის აგურუდუ,
ქახურთქინუ ულიებშა, ნამუთ გილეგაგურუდუ.
გოთინუ დო გაბონარუ, ღორონითიშა ქაპონარუ.

ქიდაგურუ ბრელჷ მუთუნი საწმოხუნოთ სარგებელი:
მიოძინალს მევძინანი, გუმურკანი დარკებელი;
დღას ვეკირთუ კოჩლანდარი — ბჟაშო უდუმარგებელი,
ირიათო ეკათხოზუ შარა უდუნარღებელი.
ქიდაგურუ, მარა რჩქინა რე უმოსო დუდიშჷ რჯგინა.

აკა მა რე ქუმოსქიდუ არამხუტუშჷ გურაფაქუ,
მაზაკვალეფს ვეიშურთესუ კარშე გინოტყურაფაქუ,
ქირქეს გეცუ წელიშჷ რთაფაქ დო სამოთხეშჷ წურაფაქუ,
ვაგაგინეს მუშენჷ ვემენჷ ღვინიშჷ გინოშურაფაქუ.
კოჩიშჷ სოთინჷ ვარჩქუ ნალი, დუდშენო რე გარჩქინალი.

მარა ჟიშე ზოჯინი რე: ტერი რდასჷნ ქიცოროფე,
სი იხანდი, შხვეფქ ილანი, უფი მუდგა გიოროფე,
ვედენარღა ცურუშენი, ჭუა გეგნილიორობე,
რინა მისაჯებულჷ რექუ, სერი გეგნიხიორობე!"
გურიშჷ ფიცარს გიმახანტუ დო ჟითუო გიმახანგუ.

მიწას, როცა გაალღვივებს სულდგმულისგან მზიანეთი,
კლდეებივით აიმართოს ისლები და ურანები,
კაცი ცისკენ მიისწრაფის, ეშვი დამოკლებულია,
ეთერული ახლავს შუქი, გაექვსდება იმ სწორ დღეში
და უკუღმართ ყოფიერობამ ტკბილი ძილით გადაბინდოს.

არამხუტუ მრავალს მალავს, ყველა ამბავს ვერ მოჰყვები,
ლონდრეს ფხიზლად ჰყავს ეშმაკი, შხამს ვერ შერევ გოლეულში,
ვერ იცეკვებ გამუდმებით, ვეღარ გახსნი კარს ნიადაგ,
ვარსკვლავიც კი ქრება ერთხელ, მარადისი უფალია,
კიდევ — რიცხვი და კაცობა, სხვებს ღრონის კვდომა უძლომელი.

სამყარო ვით მოწყობილა, ამას ჭკუას ვინ დაატანს,
წყალშიც ცეცხლი დაგზნებულა შუაგულში რომ ჩახედო,
თაავი მრავალს უმტვრევია, ბევრი კერას ჩაბეხრეკდა,
უკვდავეთში ვინ მიგიწვევს გნებავს შვიდგზის შეუთვალო,
ჩემი მწდეა არამხუტუ, დაჭრილ გულში ჩამიხუტა.

შვიდი — კაცის ყისმათია, თუმცა რვაა სრულყოფილი,
ის ერთი თუ არ დაირთო ღონე მუდამ ისაკლისოს,
ჯერეთ ქედი დაუჭკნება, მერე მკლავი ჩამოერღვას,
ფართო გზაზე დაილევა მიდგომა და მოდგომაში.
თქვენ გგონიათ უმიზეზოდ დაყმუოდა გილგამეში?!

ცამეტი კი მიჩიჩინებს: ,,ჩემს წესს დაემორჩილეთო,
გულ-გონებით აზომილებს, თვალით ნუღარ აირჩევთო,
დაწნეხილი დრო-ჟამისგან გამორანდეთ სუფევაო,
მშვილდის ნატყორცნ ისარივით წასწრაფდითო უფლისაკენ “.
ასე ყბედობს ოტროველა, მაგრამ ზარავს მოქმედება.

ჰოდა, იწყო არამხუტუმ მრუდე კაცის გასწორება,
საუფლისო დაამღერა — დროს ტყუილად ნუ კარგავთო,
ააცეკვა ხორუმები ძვალი ღვედებს დაუმგვანა,
ააფრინა ულეველში, ვინაც ტყე-ღრე ეთრეოდა,
გამართა და გამორანდა, ააყუდა ცაბაოთთნ.

დაასწავლა ბევრი რამე, საჟამისოდ სასარგებლო:
სამატებელს დაუმატონ, ჩამოაკლონ დასაკლებელს;
ვერ წააქცევ კაც-გონოს — მზისთვის დაუდეგარია,
გამუდმებით წარუძღვება გზები დაუნაღვლებელი.
დაასწავლა, მაგრამ ცოდნა არის უფრო თავის ძლევა.

ერთი მეღა შემრჩენია არამხუტუს დანასწავლი,
ვეღარ შეძლო ბელზებელმა გზიდან ჩემი გადაცდენა,
წყალში ცვივა თეძოს რხევა და სამოთხის მითითება,
ვერ ხვდებიან რატომ არ მვნებს, ღვინო გესლში ალესილი,
აღარსად ჩანს კაცის კვალი, ხელახლაა გასაჩენი.

მაგრამ ციდან ბრძანებაა: მტერიც იყოს შეიყვარე,
შენ იშრომე, სხვამ წაიღოს, დაანთხევდე ოფლს რაოდენს,
ნუ ამადლი შეუსმინარს, გადიხაფრე ტკივილები,
გქვია სიცოცხლე მისჯილი, ღამე გადაინაპირე“!
მეხატება გულის ფიცარს და აღმანთებს ზეზეურად.

აიეტის დალეფჷ ბრელჷ ჸუნს — ჰეკატე დო ევრე კირკე,
მედეასუ ურცხონუნა ფრევალჷ რენჷ თუ შქაბანჷ კვირკვე
არამხუტუშჷ ნაზუკოლა — ჭუათ მუჭო ვამოდირკე,
რჩინათ მუჭო ვამობჟლირდე, ბორჯით მუჭო ვადოჭირკე.
უჯერს მუდგას ელუჩანა, ორთუმელშა ელუჩანა.

## I. 8. ოდოია

ართჷ ძლაბჷ ბერზენს ქეკუხუნეს, მაჟრათ თევრე მიპაღურუ:
„ქიანაშჷ ჩუპა ვორეთიი“ — ფრიქსე ათაშჷ იფახურუ,
ირო ჸუჩა მირხინუ დო ირო ზღვაპის მიკაღურუ,
ქომოლჷ სქუა ქოჸუნს, მარა ღორონთის უჩქ მის აგურუ.
ართჷ ქიანაში ვეჸი მინჯე ჟირჷ კველაში გიმახვინჯე.

ურთხელეფსუ კვათუნსუ დო ბირდაბირით ლანდარანსუ,
ზღვა პიჯიში თხუმუეფსჷ წვანჯშა ეშმაკანტარანსუ,
მუშჷ ნერჩი დო ოხვამეში ჸოროფალა მანდარანსუ,
კირიბცალიოდიია გურს ოხუტოლჷ მანგარასუ.
ქომოლსქუაშჷ ნაღობერას, ოსურსქუა ჩვარჩვალანსუ.

ოდაბადე უძახუნი ვითჷ წანა რე კაჭალია,
ტყაბარელი ორქოშჷ ერჯი, ჭყონს გითობუ ქვაჩალია,
ხართელი რე ბორიათუ ხაიეფჷ დო ნაჭალია,
თესჷთ ჸოროფალა ბორკუნს ჩხორო ფა დო ხაჯალია.
დაჩხირს ხელეფს გულუანსუ, ფურკი ოქურქულუანსუ.

ხარანი დო ნუნისიშა მი რე ენაზაკვაფუანს,
მოგვეფჷ გითაწკვირინანა — ქუას დაჩხირჷ აკაფუანს,
ბჟა პელაგონს ქელანჯირუ, ძალამს ქუდულაჸაფუანს,
კერძჷ დო მოჯგირეში ნატრი ირო გილაგაგაფუანს,
მუს გოხვარუ დუს განგარე, ჭყულჷ რე კოჩიუსანგარე.

თესხი ქიბლაბაჩითუნი, ანწჷ ოხანტალს დჷვართათი,
მუ შხურს მუფურინუდკო დო ბღურედითკო მუ ართათი,
ხორცი ხორცო დობშიშონით, წკირს ყბურო გუართათი,
მოფუნს ცოდა ჟიმოლეშე გვართა გვართა გუართათი.
ვორწყქ ღურუშჷ მონჭაფასუ, ცა დო დიხაშჷ გონჭაფასუ.

ჸანჭიშჷ თასი ნახირა რე ბამბუკიში ბიგეფითუ,
კოლხშა რჩქინა ვემდიღინე ლეკური დო ლიკვეფითუ,
კოლხშა ნინა ვემდიღინე ხართუა დო რიკეფითუ,
ხეძლვინი რე აჸვერენსუ, ორქოშჷ ფერი წუწელია,
ტანს ნორჩალო ეხაზირებჷ ნორცხვაცალი ჭუჭელია.

არამხუტუს ანგარინე, მარა მირე მარჩქილაფუ,
ხონარჷ მუჭოთ გეკიღუნი, არწივქ ნინძგი ქანჯგვილაფუ,
ავრე შუმა-სხაპუათუ ჸუჯეფჷ ეკორანგვილჷ აფუ,
თოლიშჷ სინთე მაკვეცარა უკუმელასჷ დანქილაფუ,
„ხეძლვინი რე მაჸვერენა, ჟინცა ვემკმანაკვერენა“.

და ბევრი ჰყავს აიეტის — ჰეკატე და იქით — კირკე,
მედეიას უვარცხნიან თიზათვეა თუ აპსისი,
არამხუტუს დანასწავლით — ტკივილს როგორ გაუმკლავდეს,
ყოფნით რარიგ არ ჩამოჭკნეს, არ მოხუცდეს ჟამით რაფერ.
სჯერა რასაც ასწავლიან, მისხდომიან სასთუმალთან.

## I. 8. ოდოია

ერთი ბერძენს მიათხოვეს, იქით იწევს მეორეცა:
„წუთისოფლის ჭიპი ვართო“ — ფრიქსე ასე დაფაფხურობს,
სულ შინისკენ იზზიკება, სულ ზღვის კიდეს მიკრობია,
ვაჟიშვილი კი ჰყავს, მაგრამ ნეტავ ვიღას ემგვანება?!
ერთ ქვეყანას ვერ მოუვლის ორ ჯორკზე ჩამომჯდარი.

წამოაქცევს ურთხელებს და ლარავს მერე ბირდაბირით,
ზღვთისპირეთის მურყან-თხმელას წამოკაფავს კენწერომდე,
თვისი ფუძის და ტაძრების სიყვარული მოინელებს,
კრავის მსგავსი ოდოია ჩახუტვია გულში მაგრად.
ვაჟიშვილის გრაგნილ ღობეს ქალიშვილი აცამტვერებს.

მამულეთი რომ ეძახის ათი წელი არის სრული,
გატყაული ოქროს ვერძი მუხაზე თვლემს ხუჭუჭელა,
დახლართულა ქარაშოტით ისლები და ჭალიანი,
მათაც სიყვარული ბორკავს ცხრაკეცი და ცხრანაკვანძი,
კოცონს ხელებს შემოავლებს, აქვითინებს მწარე კვამლი.

ხარანსა და მისნურ ნუნისს ახლოსაც ვინ გააკარებს,
ჭვრეტენ ეჭვით ქურუმები, ქვას ამდუღრებს ცეცხლის ალი,
მზე პელაგონს მოუწვება, გაეთამაშება ძალუმ,
ნათესავთა მონატრება, მადუმ დააბორიალებს,
რას გიშველს თავს დასტირო, წყეულია კაცი უფხო.

ამდენი რომ ვილაყბენით, აწი სათქმელს დავუბრუნდეთ,
გინდა ვერძი მოსულიყო და გინდ მიწა გაგვსკდომოდა,
ხორცი ხორცად გეახელით, ძვალი კერას შემოვუგზნეთ,
მოდუღს ცოდვა ზემოთიდან, ზვირთ-ზვირთად და ჩანჩქერებად,
ვხედავ კვდომის მოსწრაფებას, ცის და მიწის გასაყარზე.

ყაჭის თესლი მოპარულა ხელ-ჯოხებით ბამბუკისა,
ვერ წაართმევ ცოდნას მარგალს ბლიკვებით და ორლესულით,
ვერ წაართმევ ენას მარგალს ალიკაპით თუ გათოკვით,
ძლვენია რომ გვაყუყჩებს — ბაჯაღლოთა ოქროსფერი,
ტანს საბნები ექსოვება ღადარივით ჭინჭროვანი.

არამხუტუს ეტირება, ყურისმგდები — აღარვინ,
ხმა როგორც კი ამოიღო, არწივმა კვლავ უნისკარტა,
აქეთ ლხინი, ტაშ-ფანდურით წართმევია ყურთასმენა,
თვალთა შუქი მონაპერწკლე უკუნეთით დაგლეჯილა,
„ძღვანია რომ გვასულელებს, ზეცას ვეღარ მოვიხელთებთ.“

მუჭოდგა რდუნ გეგნიპცოთით ვითოხუთი კინტირობა,
მინჲ გოლოფას ქუგურზითუ, გეგნიბღითუ მინჲ თირობა,
ღუმუშჲ ღუმუ იჩხვერუნჲ დო ორქოშჲ ფერი ივარკალუ,
ევრე ჭითა ფირფიტეფი სიტყვეფითუ იმარგალუ.
რე ღურჯოლჲ დო რე ტურინი, ეშობასუ გეთუ რინი.

მასქურჲ ირქენს წენდიხასუ ასე ხოლო თეშმანგურო,
არამხუტუ დირხანსჲნი რკინას ჭკადნა ეშმაკურო,
ოღონც მითინქ ვეგეგასუ სინთელე დო შარა ბონი,
მეხი მეხის მიანდღულუ, იჯალაგუ ჭალა-ფონი,
ღორონთი დო კოჩი შქასუ ჭვიტე უკმელქ გოჭიშქასუ.

ეშობასუ ქიმადირთუ ფაზისისუ ხვამარდჲ არგო,
დუდმანჯღვერი იაზოჲნ რე გურონჯია თუმა-სარკო,
შხურიშჲ ტყებჲ აფჲ ოხირალი, ჩინელეფიშჲ ცანჭიშჲ პარკო,
ეგებ მუთუნჲ დიგურუანჲ საღორონთო რჩქინა — ,,ვარ-ქო",
,,ჩქინი შხური ქომჩითია, ვარდა ტუნკი მომნჭითია."

აიეტი ქიმეხვადუ სო რე კუჩხი ტუცესჲნი,
ტყების ჯადო მუ აღვენუ ორქო-ვარჩხილჲ უცენსჲნი.
მარა ირფელჲ გეჭარილჲ რე საღორონთო კანონეფი,
კოჩიქ მუჭო ეიაშქვასუ მურიცხეფსუ ჯალონეფი,
ჯინჯამო დო ღერეფამო წკირს გეფხორანთ ერებამო.

ენა ხოლო პოტიკი რე უმოს ტომბათ გოფაჩესუ:
მუშენჲ ბეჭუნს მაფშალია თხუმონარას ოგვაჯესუ,
დადული დო მუმულჲ შქასუ მუსხი ჯღა რე მეპონილი,
უსქილადუ მუთჲ რე სქიდუ სოიშახჲ გარზუ გეცონილი,
თე ქიანასუ მე რე ურთანს, მირე ნჯღვერუნს სინთეშჲ გურთანს.

თექ გეჭარუ ქვიშონაშე ორქოეფიშჲ კორობუა,
თექ გეჭარუ წყარეფიშე წისქვილეფიშჲ გოროფუა,
მუსხის ლანდღუნს მეძინა დო მუსხის ჭყონჭყჲნს მერკებალა,
მუჭო ოკო გალადირე ხუმლა კეტი ურგებალა.
გირზინე დო გურზენინი მურიცხეფიშჲ ყურზენინი.

,,ირფელს უმონს პატიება ნტერიში დო უბადოში,
კოლო ბჟა რდას — ქიმიდგინი, თოლწკურილო უმბარჲ დო შვი..
რხუტორუნდას ჟითუონი იშენჲ ოკო ღურჯოლუნდე,
იშენჲ ოკო ხვამანდე დო თიშო გილებურჯონუდე."
გეჭარილჲ რე თეფერეფი, შელორსა დო მეფერეფი.

გეჭარილჲ რე ირჲ საგანი, მუშენჲ ტყობუ ომანესუ
შხურეფს მუშენჲ ტყაბარანა, თულეფჲ მუშენჲ გომანესუ,
ირინერი ერთი-მორთი, ქექე ჰავას ჩუალირი,
ნაფირქალსჲ თ ტანი უღუ , ხურხამი რე თქუალირი,
ირფელჲ გერე მუშჲ აკანსუ, წკვარამს სინთე მიშაგანსუ.

რსხება ირო ხასლას პუნა, გილებგოროუნთ მორო განშე,
იქვერსემუ პალიასტომი მერეხელი კოლობანშე,
ირო თოლეფჲ მირიჟანა ჟიშეიანჲ ჭყოლოფაშე,
შურეფჲ მახიროკუნანი — ჩქინჲ დუდიში გოლოფაშე.
ართშა ჯათუ მინწყუ რგილი, სქანი წყუშე შვი წყურგილი!

როგორც იყო გადავიგდეთ ათთხუთმეტი კიტრობანა,
ხან ვეომეთ წყალმეტობას, ხანაც გვალვას გავუძელით,
ღომის თაველს ცეხავენ და დალივლივებს ოქროს ფერი,
სად წითელი ფირფიტები სიტყვებისგან იქარგება,
არის ხვევნა, არის როკვა, ამეებში ყოფნაც მორჩა.

მასქური ქრის წალენჯიხას ახლა ზუსტად იმნაირად,
არამხუტუ ოდეს კვნესის რკინას ჭედენ ეშმაკურად,
ვეღარავინ მიწვდეს ოღონდ სინათლეს და მართალ შარას,
მეხს მერეხი დაედნობა, მოისრება ჭალა-ფონი,
ხორციელს და უფალს შუა ღრიჭო ბნელმა ამოავსოს.

ეს არის და მოადგება რთონს სწრაფი გემო ,,არგო‘‘,
მესვეურობს იაზონი, თმახვეული საარაკოდ,
ცხვრის ტყავი აქვს წასაღები ჩინელების ყაჭის თესლად,
იქნებ რამე შეისწავლონ ძველი ცოდნა საუფლისო,
,,ჩვენი ვერძი მოგვეცითო, ან ჩაგვცხეთო თავში კეტი‘‘.

აიეტი იგუმანებს თავი რარიგ ჭირში დურთეს,
ტყავს რა ჯადო დაჰყვებოდა რომ მოაცვდეს ოქრო-ვერცხლი,
მაგრამ ყოვლი წარწერილა საუფლისო კანონები,
კაცმა როგორ გაახაროს ვარსკვლავებზე ხეივანი.
ვცხოვრობთ ფესვებ-კენწეროთი წკირის წვერზე ერთიანად.

ესეც კიდევ არარაა, მეტი სიღრმით გაავრცელეს:
რისთვის ბეჭავს მაფშალია პეშვა ბუდეს თხმელიანში,
დედალას და მამალს შუა რა მანძილი ჩატეულა,
მოურჩენელს რა მოარჩენს, სანამდე ძლებს დამყნობილი,
ამ ქვეყანას ვინ აბრუნებს, ვინ მიუძღვის შუქის გუთანს.

იქ წერია ქვიშნარიდან ოქროების შეგროვება,
იქ წერია წყლებისაგან წისქვილების ქოთქოთები,
რამდენს ამღვრევს მიმატება, რამდენს ზინზღლავს ჩამოკლება,
რარიგ უნდა გაანედლო უსარგებლო ხმელი ჯოხი,
რარიგ უნდა მოიხმარო ვარსკვლავების აკიდონი.

,,ყოველს მეტობს მიტევება, დუშმანის თუ ავთვალისა,
მწარე რძეა? მოიყუდე, შეუბერე სული და სვი,
ზეზეურად რომ გძვალავდეს მაინც უნდა ეხვეოდე,
მაინც უნდა ლოცავდე და მისთვის დასაქმიანობდე‘‘.
წარწერილა ამგვარები, შელოცვა და დაყვავება.

აწერია ყოვლი ნივთი რად იმალვის საბუდარში,
ცხვარს რის გამო ატყავებენ, რად ტრუსავენ გოჭ- ბურვაკებს;
ყოველმხრივი მიხვრა-მოხვრა ჰაერს მკვიდრად შეუნახული.
ნაფიქრალსაც სხეული აქვს, თქმული ქედით განირჩევა.
ყოვლი სუფევს თავის ალაგს, ბნელში შუქი შეიჭრება.

ხსნა ყოველთვის გვერდითაა, თუმცა ვეძებთ მოშორებით,
პალიასტომს უფსკრულდება დამეხილი კოლობანი,
თვალებს მუდამ ვაფაციციებთ ზენაარულ წყალობისკენ,
სულები რომ გვეხრუკება ჩვენი თავის უმეცრებით.
ერთხელ ხეც კი წაიქცევა, შენი რუდან შესვი წყარო!

ვითოჟირი ანთას წანა მუ ეფერი ბორჯალი რე,
კვარკვანტია სამყაროშო მეცეკუნტა ნორჩალი რე,
ცას მურიცხეფჷ მეროფუნი ოჭმარეში ორჩვალი რე,
მარგალჷ ბრუო ფსუათ ხანტუნს, ბჟაშჷ სიმბოლო ბორჯღალი რე.
შხვა რე ნინაშჷ დარგალია, ირფელი რე კვარკვალია.

მურიცხჷ გეგნილიმინწუნი — ბჟაშჷ ჩხორიაქ გეითოფალუ,
უკმელჷ ქიცოთ მერთულიშა დო რობუსუ ქენამბალუ,
სინთელექუ გეფართონუ, ვარდის ბარდი მებარდონუ,
გინეფჷ ტისუ ნჯღვილუნა დო ჭყიშიქ ხელეფჷ ქიკართონუ.
ეშე ცუნას ოკო ცვალი, თოლსინთეშიმაბორკალი.

გოლანერი ეშნაღელი ციცნათელიშჷ მარჩია რე,
ევრე ტიოზჷ მინდორიას ცხენეფიში თარჩია რე,
მუშვანეფიშჷ მაჩუბისუ ჯვეში ამბეშჷ გარჩია რე,
ირფელჷ გეჭარჷ დედაბოძის, უსიტყველო ნაჩიარე:
ქიანაშჷ წესჷ რე ირო რთაფა, ალდაჩხირო გინორთაფა.

მორო თოლიშჷ ნაძირეფუს შური სოვრე აჩხონებე,
ევრე ქვირით ენოძუდუნჷ ამარჷ ართო გაჩხომებე,
მუშჷ შობელეფს ძირძონუნა, შური ცაშა ვაჯღონებე,
წყარშა ნწყვილი თხუმუია როკიშჷ მეტო გაჭყონებე,
ნოშქერი დო ალმასისუ, ართნერჷ ტანი ალმაციციუ.

ალმასობა-ნოშქერალა ართჷ ტანი დო ოშჷ ღერალა,
ანთასნერი ფალუა დო ანთასნერი დოჟღერალა,
გვალო შვადოშხვანერი რე დონწყუალა ატომიში,
ოქროშჷ კვეთას უძახუნა შარას ჟინი პატონიში.
დოკვანწუა თითჷ ოგურუ, შხამი ხოლო ითოფურუ.

ზევსიშჷ სახელჷ ბჟასკუა რე, მარა სქვილჷ რე ცურუმულო,
დღამელენი ვაჩინებე, ღორონთენსუ ურუმულო,
არამხუტუშჷ ნაგურეფის მიშერდღვებუ დურუმულო,
დუდჷ დაჩხირით აფუ ეფშა, რინი ოკო ქურუმულო.
ქურუმჷ დაჩხირს ორზანს წყარშე ულანდღვუ დო უმუნჭყაფშე.

კინჷ ქუა დო კინი ბიგა, კინი შქვილი დო ბარბალი,
კინჷ ზანდურჷ დო კინჷ ლაზუტი, კინი ცვანა ობარგალი,
ჟიშე პიჯი ქასქილადუ, თუდო — ქვარა ოფართხალი,
თოლს მეთხოზუ ჩილამური, ნინას — სიტყვა-გობარდღალი,
ვარცუნს ხეში მოკიდირე, გეინჭირესჷნ — ქოკიდირე.

ათაშჷ გილებაჯული დო ოშჷ რჯულაშე გილამბარი,
მინშა ქვარაქ ქიმთქარტყაპუ, მინჷ ჩუჩუბა კილამბარი,
ევრე ხაჩქი ოხაჩქალი, ავრე ბარით გილამბარი,
მუ ეფერი კანიში რდი, ედემშამო კილამგარი?
ეფერჷ მუ დღა მიზალესუ, ეკვოდინკო ბიზალებსუ?!

ბრელი გილებგაგითუ დო ბაღუ ანწი გოძიკინი,
დღა დო სერჷ შქას ირემიში გოსხაპუა გოძჷ კინი,
ჩქი რე მანჭუაფუნანი, მორო მის რე დინაფუქუ.
ბორჯისუ დო განგებასუ კუჩხიშჷ კითის გილაბუქუ.
კვირდი რე თუ ცონიერი, ცურუ რენჷ თუ გონიერი?!

წელი თორმეტი ათასი ისეთი რა დრო-ხანია,
მარადმბრუნავი სამყაროს ლოგინი ცეროდენაა,
ვარსკვლავები რომ ასხია, საძარცვი არის აისის,
რვა ფრთიანს ხატავს მზეს მოგვი, ბორჯღალის სიმბოლოებით,
სულ სხვაა ენამასწარა, ყოველი არსი მრგვალია.

ვარკვლავი რომ გადიკარა მზის სინათლე შეიფოთლა,
ბნელი კისრულით წაიღო და უფსკრულში ჩაანამქრა.
ნელ-ნელ შუქი გაფართოვდა, ვარდს ბარდნარი შეხლართვია,
ცურს ხბოები აგირისებს , მწყემსმა მკლავი მოიშიშვლა ,
ყველი უნდა ამოიღოს თვალისჩინის მომნუსხველი.

გუშინ ამოყვანილი ხომ ცის ნათელზე თეთრონია,
ცოტა იქით ტრიალს მინდორს ქურანების მარულაა,
მუშვანების მაჩუბებში გაარჩევაა ძველი ამბის,
დედაბოძზე წერია სულ უმეტყველოდ ნაუბნები:
ქვეყნის ზნეა მარად ბრუნვა, ცეცხლის ალად გადაქცევა.

თუმცა თვალით გამორჩეულს სული სითგან უცხონდება,
იქ ქვირითი თუ ეყარა, აგერ, გალიფსიტებულა,
თავის მშობლებს ძიძგნიან და სულს ცად ველარ ააგზავნი,
წყალს დაფლული ხე-თხმელისა მუხას მეტობს გამძლეობით,
ალმასსა და ბუხრის ნახშირს ტოლფარდი აქვთ აღნაგობა.

ნახშირობა-ალმასობა, ერთი ტანი, ასი ღერო,
ათასგვარი ყვავილობა, ათასგვარი დაჭკნობები,
ფრიად განსხვავებულია წყობა მათი ატომების,
ოქროს კვეთას ეძახიან გზას ზემოურ ბატონისას.
მისით ამცნო დალაგება, შხამიც კიდევ ითაფლება.

მნათის შვილი არის ზევსიც, განასკულა თუმცა მრუდედ,
დღე-ხვალინდელს ვეღარა ცნობს ღმერთი თავის ურუმობით,
არამხუტუს დანასწავლებს დასტივტივებს ღრმას და ვრცეულს,
თავი ცეცხლით ავსებია, ყოფნა კი სურს ქურუმულად.
ცეცხლს წყლისაგან აჩენს მოგვი, აუმღვრეველ-ანკარისგან.

ისევ ქვა და ისევ ჯოხი, ისევ მშვილი და ბორბალი,
კვლავ ზანდური და სიმინდი, ისე ყანა გასათოხნი,
ზევით პირი დარჩენია, ქვემოთ — კუჭი გასაფერთხი,
თვალებს მისდევს ცრემლის ღვარი, ენას — სიტყვა მოფაშფაშე.
არავინ გყავს მოსარჩლე და წაგიჭირეს?! შესდექ ყალყზე!

ასე იბორიალე და ასი ზნისგან გაიფცქვენი,
ხან მუცელი ჩაგივარდა, ხან ღაბაბი გამობერე,
იქით თოხნე სათოხნელი, ბარით მიწა ატრიალე,
რა ისეთი კანის იყავ, სავსებით რომ მომიგლოვე?!
რა ისეთი დღე მისურვე, შევწირვოდი ზონზროხოებს?!

ბევრი ვიხეტიალეთ და კმარა აწი ღმეჭობა,
დღის და ღამის გასაყარზე ისევ ირმის გახტომა ძევს,
ჩვენაა რომ მივსულსწრაფობთ, თორემ ვისღა დაკარგვიხარ,
დრო-ჟამსა და ტრელ განგებას უკიდიხარ ფეხის ფრჩხილზე.
ღვიძლია თუ შორებელი, ტლუ არის თუ გონიერი?!

მადგა გიოდვჷ ილიონსუ — ტროა, ვილუ, ხოლო მითჷ რე,
ზისხირითი ურძლაფელე მინოტავრიშჷ ლაბირინთჷ რე,
ჩხორო წანას მელე-მოლე ზღვა ხალხჷ რყინტუ ართო ჭყინტრე,
ქაშა მაგუ ორქოშჷ კურთა, კარკაცანცუ ოჩოპინტრე,
მაჟრა კახმა ორქომენი, ფარათ აფსო ბორქომელი.

## I. 9. კირიბიში

ოდოიაქ მუშიანშო ფულადიში ლეკურჷ ჭკადუ,
შხვეფსუ ლინჯი უტატურუ, მორქიაშახჷ გეშაჭყვადუ,
დუდო ღორონთჷ, ჰელიოსი, თეშჷ მანეწარათ მი რე ჭყანდუ,
ვოუჩქუდუკო სო იდკონი, ყუბურს მიშო მოჩხვიჩხვანდუ.
არამხუტუშჷ გიმაშინე: „ბოში იშენჷ მუმაში რე.“

სქუაცალო ულუანდეს აფსირტეში ცვილუაშა,
უკულჷ დახე გურქუ ქაცის ქოქა ფოქვეშჷ ხვილუაშა,
შურჷდგუმილსუ ვაგარზინე ირო თოლით თხილუაშა,
გურჷ ეიოლუ დამარდებულჷ ხოზოეფიშჷ ნოტყვილუაშა.
კოლხშო ჭარგა ურუმი რე, ურუმიშო — წკურუმი რე.

მედეიაშჷ გეწურაფათ ხირილი რე კირიბიში,
ქეკაპანტალჷ იაზონსუ, ქისხუნარუ ჭირი თიში,
ჰელეშჷ პონტის კიდირუას ფურით იში, ჯგირით იში,
ჯიმაქ დასუ ქიგიათხოზუ: სო რე ბორჯიჯინითიში?!
მასმა დღასუ ქიგიოჭიშუ დო ღურალათ ეთექ ქიშუ.

ეშჷ უფერუ იაზონქუ: „შხურიშჷ ტყები იღანია,
სი მითინშა ვამმაჩინექ ჩქიმი ხურხი ღვიღვალია,
ეფერს მუს რე გუმმობუდი, გური მუშენჷ მიხალრია,
ირფელს ღორონთ გინოიგანსუ, ჭუმე ვარა გიღანია,
დო დაქ ჯიმა ქიმიძირუ დო ჩხე ზისხირს ქეშანჯირუ.

ენა ართო ნარკვანა რე ანწი ეკეწამებუნი,
მარა ტროას დუვართათუ — მურიცხამი ცა მებუნი,
ცუდე სოთინ ვაგაგორე ორქოშჷ ჩარდახჷ ვამედგუნი,
მუშენ იცუგასაკვირი ურუმჷ გილეჟღამებუნი,
ურუმშე რე თაკარუა, გლახაშჷ ეთოსაქვარუა.

ჩხორო წანა ისურებუ ართიანსუ ჭარხალანა,
ირთანს სქიბუ ლიმუაში დო ბოშეფსუ ღარღალანა,
უმინჯური ორღაშეფი ქირქეს გინოჯარღალანა,
ზისხირითუ მოქვანთილი ღალშე გორდეფჷ ყარყალანა.
მერცხონილჷ რე ბჟაკე მოლსუ, ვეშერხვადუ ჯა გემოლსუ.

ტროაშჷ განი— შქვითი ცინდა დო სიგინძა — ვითოსუმი,
დიხა ვაბაღჷ საფულეთუ კოჩიქ ცხენშე გითოცუნი,
ცას მურიცხი ვეკოროცხე დიხას ძვალი მითოძუნი,
ზღვასუ წყარი ვექვანთალუ თექ ჩილამურქ მითოწუნი.
იჩიებნა: „ელენეშე“, მოლეშე დო მელენეშე.

ილიონს რაც გსურდეს უხმე: ტროა, ვილუ, კიდევ ვინცხა,
არის სისხლით უძღომელი ლაბირინთი მინოტავრის.
ცხრა წელიწადს იქით-აქეთ ხალხი ყლაპა სულ თოთორო,
რქით დააქნევს ოქროს ნიფხავს, დაკარკაცებს ოჩოპინტრე,
კახპა — ორქომენის დარი, ფულით საშო დაკლიტული.

## I. 9. კირიბიში

ოდოიამ თავისიანს ხმალ-ფოლადი გაუჭედა,
სხვას სპილენძი შეუთითხნა, მოქნევამდე სასიკვდილო,
დიდო ღმერთო, ჰელიოსი, ასე მწარედ ვინ წყვლიდა,
არ ცოდნოდა საით ევლო, კერას ვისთვის აღვივებდა.
მახსენდება არამხუტუ: ,,ბიჭი მაინც მამისაა‘‘.

პატრონობდნენ როგორც პირმშოს ვიდრე მოკლავდნენ აფსირტეს,
მერმე ლამის იგუნებეს გამოქვაბულში დამწყვდევა,
ვერ გაუძლებს ხორციელი ეჭვით თვალთვალს გამუდმებულს,
მოგბეზრდება დამადლება საუფლისო კვერეულის.
კოლხისათვის ურუმია, ურუმისთვის — შავ-ბნელეთი.

მედეიას დანასწავლით ოქროს ვერძი მოპარულა,
გაეკიდა იაზონს და ამჯობინა მისი ჭირი,
ჰელეს პონტის გრაგნილებში, ავსაც ჰპოვებ, კარგსაც ჰპოვებ,
გაედევნა ძმა დაიას, სადღა არის დაცდის ჟამი?!
მესამე დღეს დაეწია და სიკვდილიც იქვე ჰპოვა.

ისე — მოლბა იაზონი, ,,ვერძის ტყავი წაიღონო,
ვერ დავუთმობს შენს თავს ვინმეს ჩემო ყელ-მკერდ მშვენიერო,
რას მერჩოდი ნეტავ ისეთს, გული რისთვის დამიდაგე,
ყოველს ღმერთი გადაგიხდის, ხვალ თუ არა, მასზეგ მაინც.
და მოიხმო დამ ღვიძლი ძმა, და ცხელ სისხლში ჩააწვინა.

ყოველივე ნაკმაზია აწირასაც დასწამებენ ,
მაგრამ ტროას მოვუბრუნდეთ — ცას რომ ერთვის ვარსკვლავიანს,
სამოსახლოს ვერ იპოვი, რომ არ ებას ოქროს კიბე,
რატომ არის გასაკვირი ურუმი თუ იგესლება?
მისგან მოდის წამონთება, ავი საქმე ქვეშქვეშური.

წელიწადი ცხრა სრულდება, ერთმანეთს რომ მიმიმოლეწენ,
დოლაბები ბრძოლებისა მძლე მოყმეებს სრულად ფქვავენ,
უპატრონო ოღრაშებიხევებს გადაევლებიან,
სისხლით სავსე ღელეებში ყიყინებენ ბაყაყები.
მივარცხნილა წვერი მდელოს, დაღმართში ხეს ვერ შეხვდები.

ტროას განი — შვიდი ციდა, სიგრძე კიდევ — ცამეტია,
მიწა საფლავად არ ყოფნის კაცს ცხენიდან ჩამოცვენილს,
ცაში ვარსკვლავს ვერ დაითვლი, მიწაში რომ ძვლები ყრია,
ზღვაში წყალი არ ლივლივებს, იქ რომ ცრემლი დადენილა.
კამათობენ: ,,ელენესგან‘‘, გაღმელი თუ გამოღმელი.

მედეიაშჷ ხვამილაფას წურაფლენა სამანჯელო,
ითამჷ თინა იცუნესკო ბოჭოკეფი ღამანჩელო,
მორო სარჩულჷ გვალო შხვა რე სამართალით ღაბაჩელო,
ამბე ჰავაშჷ ჩუალირი მოპუნს გონოკაკაჩელო.
შარა ორცა-ირიბიში — ხირუა რე კირიბიში.

დოლიმინწეს შხურიშჷ ტყები მუჭოთ რინაშჷ თილისმანი,
მარა სო რე მენცარობაშჷ მაკითხირე თი ლისმარი?!
ურთანა დო გაჯინენა, მუ რენჷ გური ვაჩინუნა,
ეკი-დიკი გულულნა დო ძალამს გილეხვარჩინუნა.
შხურიშჷ ტყები ჭეჭეთელი, რე უფალშე ბეჭნედელი.

გინულუნა არეშუმიშჷ ზენწარი დო ბერეყიშა,
მეულუნა ბაბილონიშჷ ჯიხაშკარი ვერეხიშა,
ვერჩქილინე ქურუ მეფიშჷ ჩაჩახი დო ჩერეხიშა,
სქვილჷ რე შარა, ჭვილჷ რე ჭარა, ცინჷ რე წყარი, ჩხე რე ქვიშა.
კინჷ დართესუ მედეასუ: „მუნერჷ ამბე რე თენასუ?“

ჰელიოსიშჷ თია ქორდკონჷ ოსურჷ ლაგვანს ვენთხორუდუ
მედეიაქ მუ ქიმინას, რჩქინას თექით ვენტყოლუდუ.
თუმა გინძე, კუნტა ჭკუა, მარჭვას ტყურათ ულარჭკუა,
ჟირჷ ბაღანა ელაშუშუ, ერთი-მორთი ქულაჯგუა.
ფუი, დიდაშჷ მაცვილარი, კუჩხის მიმოგჷ კაკილარი,

ავრე სპარტაშჷ ხენცფეშჷ ცირა ეფალირჷ რე მეტოქეთუ,
მურუჟცალო ეკართელი ჰამო რინაქ მეტო გეთუ.
უწირსფალეს ანგარინე, შხვაშო იშენჷ მანგარი რე,
ცოროფალათ ჩილათირსუ ართჷ კირდეშა ვამკარინე.
ხანგაცალო აძიცინე: „ნჯარი წვანჯშა მაწიწინე!“

„თიშჷ კითხირსუ შიბლებუა, მოკონია მორო ხანი,
ჩხორო თუთა ეფერჷ მუ რე, ნოხი შხვეფქუ გოროხანი,“
კაბა დუშუ მოჭყუდუსუ: ბაღანეფი წორო ხანი,
საქმეშჷ ტომბას გოჯინალათ მაყურყეფი წიროხანი.
ვითომჷ ქალკიოპე აფუ, ჰოდო, შური გაყვიტაფუ.

გამათხოზეს მედეიას ეთექ ომაღურეთია,
„ვითჷ წანა რე შურჷდინათილჷ სქანჷ ლაკარტის ბ ცურენთია,
გოკო კოლხიშჷ გახენცფება, მარა მიგამპურენთია!“
ქიმლუჭყანჭყეს ოხვამეშა ბაღანეფი ტყურეთია.
ვაგუგონებჷ ქანას კოსუ დო რინქ რობუს ქანაქოსუ.

ურუმს ვაჭარჷ მედეაშე კირბიშიში კითხირუაქ,
მუთუ წკურუმჷ ჰადესის რე დუს გამალეთ ითხილუანქ,
გილულუნა ძღვენჷ დო ფარა, ითამჷ ცოდას ჩითხინუანქ,
სქუალეფი დაცვილაფეს ევრიპიდეშჷ ტყირტყინუათ.
მორო მუ რე იფულარუ, მუდგას სინთექ მიკულარუ!

შხურიშჷ ტყების ქეკადინუ ურუმიში ლურჷ დო სვანჯი,
ცხენიშჷ ნალჷ დო ეტლიშჷ ბარბალს ვაჭარაფუ პიტა ლანჯი,
მინს ქონქიშა ქეთორშვაფუ, გოხარცქილჷ აფჷ მინსუ ბანჭი,
ქურს გულულათ ზიორილსუ გაბუძოლუ ცვერე ჭანჯი.
კოჩჷ ჟითუო გეწირადე დო მითინშა ვეძმრაფე.

მედეიას მოტაცებას იმიზეზებს დიდ-პატარა,
ვითომ იგი წაეყვანოთ ხელ-ფეხშეკრულ, გაკოჭილი,
თუმც სარჩული სულ სხვა არის, მართებულად ნაამბობი,
ჰაერისგან შემონახულს ამბავს ვყვები გადასარკულს.
გზა მიკიბულ-მოკიბული— მოპარვაა კირიბიშის.

წაასწრაფეს ვერძის ტყავი, როგორც ყოფნის თილისმანი,
თუმც სადღაა გულთმისნობის წამკითხველი ის ლურმანი?!
აბრუნებენ და უმზერენ, რა ჭირია ვერ მიმხვდარან,
აღმა-დაღმა მიმოაქვთ და ძაანადაც ლაყუნობენ.
მონუსხული ვერძის ტყავი ღმერთისაგან დაბეჭდილა.

გადიტანენ აბრეშუმის ზეწარსა და ბაირაღზე,
წაიღებენ ბაბილონის თვაუწვდენელ გოდოლისკენ,
ვერ მოუსმენ ქურუმების ხაფხაფსა და ფახიფუხებს,
სკვნილა შარა, კრულა ბედი, წყალი ყინავს, ხვატობს ქვიშა.
კვლავ მოადგნენ მედეიას: „აქ რეები აღწერილა?!"

ჰელიოსის ყოფილიყო ქალს ჭურში არ დამარხავდნენ,
მედეიამ რა იღონოს, ცოდნით იქაც არ ბრწყინავდა.
თმა გრძელი და ჭკუა მოკლე, ღრანჭებს ფუჭად აღლაჭუნებ,
ორი ბავშვი გასჩენია, მიხვრა-მოხვრა — კოჭლის მსგავსი.
ჰოი, დედა გაღლეტილი, ქუსლს ეკალი მომსობია.

აქეთ სპარტის მეფის გოგო სამეტოქოდ შეღერილა,
ბურუსივით აკრეფილი ტკბილი ყოფნა მსწრაფლ მოსრულდა,
ეტირება უთვისტომოს, სხვისთვის მაინც მაგარია,
სიყვარულით თავარეულს ერთ კონცხთან არ მიესვლება.
ეცინება შეშლილივით, „ალიფლიფე ჯავრი სრულად".

„მის წაკითხვას მოვახერხებ, ოღონდ უნდა დრო საკმაო,
ცხრა თვე რაღა ბედენაა, ხალიჩები სხვებმა რეცხონ".
მოუქსოვა კაბა სასძლოს: შვან გვერდი-გვერდ პატარები,
საქმეში ბრძნულ ჩაკვირვებით საქამანდე თოკი გრიხონ.
ვითომ დაა ქალკიოპე, ჰოდა, სულიც გააცალა.

დაედევნა მედეიას მაშინ ყველა სასიკვდილოდ,
„წარწყმედილო, ათი წელი გადის ვითმენთ შენს შხამს რაიც,
გინდა კოლხის გამეფება, თუმც ვერასდროს ეღირსები!"
გაუჭეჭყს სალოცავში უცოდველი ბიჭუნები.
მსგავსი ქვეყნად არ სმენილა და ყოფამაც მორევს დანთქა.

არ ეღირსა მედეასგან ბერძენს კირბის ამოკითხვა,
თავად უკუნ ჰადესშია, თავს ყასიდად უფრთხილდები.
დააქვთ ფული და ძღვენები, ვითომ ცოდვას მოიშორებ,
დაახოცვინეს შვილები ევრიპიდეს შეთითხნილით.
მაგრამ ქრება საიდუმლო, რასაც შუქი შეეხება.

ვერძის ტყავმა შეილია ბერძნის ძილი თუ ღვიძილი,
ცხენის ნალს და ეტლის ბორბალს ფთილა ჟანგი არ ეღირსა,
ზოგს შეკვრია ბადე-ქონი, ზოგს ელენთა გახეთქვია,
სიარულით დამსკდარ ქუსლებს დაესევა ხარაბუზა.
კაცს, ჩამომდნარს ზეზეურად, ვეღარავის დაანახებ.

ცირასქუა მეჩირთუ დო ძალჷ ვეღოლე ოსურიშა,
მუთუნჷ კირდს ვეწარინე ხასიათი ბოზურიშა,
მუთუნჷ რაშის ვაგასხაპე ,,ქო-ვარია“ ღოზურიშა,
ოშჷ ქომონჯის ვებაღუანს, ართი რენი— ოშქურჷ იშა,
ოსურჷ ზღვა რე უქვინჯელა, რობუცალო უხინჯელა.

თაშჷ რე სპარტელჷ ელენეთჷ, ზისნახეთუ შინაფილი
ქვარა დირგალჷ მითეფიშე ნძორიცალო ფშინაფილი,
აიშახჷ ართის ღურჯოლუნდუნჷ, შხვათჷ რე გოშიშინაფილი,
ოსურიში ან დო განი ნორჩალი რე ბჟინაფილი.
ბოში ღანდას ღობერანსუ, ძღაბჷ დაჩხირშო ნოკვერანსუ.

,,იხვამიმლეთ ჰესიონენჷ, ანწი ელენს რტაცენთია,
ბარიბარსუ იპუაფუთ, პატის მუჭო ვარცენთია?“
დუდის თაში იმართლენა, ბონშა მუჟამს მიმართენა,
ირფელს ორწყ ჟინჷ ღორონთი, სოიშახჷ ტიბინჷ მიმართენა,
მარა მი რე დაიჯერენსუ?! ა, მუ ისამანჯელესუ.

გიჭყოლიდეს გამაღნეთუ კირიბიში ქვეჩერია,
ეთექიანჷ გეჭარილი წყურიშელა დო ჩერია,
შხურიშჷ ტყებიშჷ გიმოთირე ელენე რე ტკვეჩერია,
ანწი ქომოლჷ ქორექჩდა ლიმუასუ ვეჩერია!
დო გეკანთხუ ჟირი შერი უსქილადუ ჭირიშენი.

სამანჯელჷ რე ელენეში ხვამლაფა დო ზესნახალა,
ვარა მის შუ მედეიაშჷ ნარგუსელი ეშნახალა?!
ქურსითუ რე ჩაბახელი ცვალი ბჟაშე ეშნაღალა.
ურუმს შური დოხიროკუ კირბიშითუ ეშნახალა.
ირჷ ღამაკი ცოფინელი, რე რჩქინა თექ ტყობინელი.

,,—მუშუ მოკო ცვანა ფხაჩქე აიეტიქ მიდამღუდა?!
— მუშო მოკო ღვინი დობდგე პრიამეშე დითახუდა?!
— მუშუ მოკო ჯიხა გებდგე ენეასიქ იკარღუდა?!
— მუშო მოკო ცირასქუა პარისიშე დიჯარღუდა!“
თეს შიშენა ურუმეფი, ცურუეფჷ თუ ქურუმეფი.

სოვრეთინი ვემკირინუ კირბიშიში ტკილეფიშა,
ვემიჩინე ანგარიში ქილიბერი კილეფიშა,
იპუტორუ გინძე ბჟაკე, უფი ბაცუნს ტყილეფიშა,
მუდგანერო ვეკიონტე მიკმირთუქუ კინე თიშა.
გოკონჷ ქიანა ოშა მილი, მენცრობათ რე გოჟამილი.

ჰოდო, ჩხორო აკარდამა ართმაჟრასუ მეუტკვაჩუ,
რე ქომოლიშჷ სიროტუა დო ოსურიშჷ ფიჩუფაჩუ,
ფსქას ქოფეშე ქოვფურინუ, ცხიმურონსუ ვაცუნს ტყაჩუ,
ლეკურს ჭკადუნს ოდოია დო ფარასუ მიშექვაჩუ.
ამარანტაშჷ ოჭკადურე — ირი ქიანაშჷ ოჭყვადურე.

ამარანტაშჷ გვალაშჷ დუდი ტაბაკონათ ისურებუ,
ჯაქალა დო ქარ-ბორიას უროეფქუ თის ურეფუ,
ქიშილებე თუდო ქიანას გერგეოზრობაშჷ ღირსუ რექუ,
მარა თიში მარჩქილინე ჩქიჩქიშორო იზურებუ.
რანგვილჷ ხუმა კირდეს ხუნსუ, ჭვეთი ქუას კილარხუნსუ.

ქალიშვილი შეცდება და დიაცს ძალას ვერ დაატან,
რა გალავნით დააოკებ ავხორციან კახპას სურვილს,
მერანიც ვერ გადაევლოს „კი“ და „არას“ პაწა ნაპრალს,
ასი ქმარი არ ეყოფა, ერთი როა — მისით ბნდება.
ქალი ზღვაა უსასრულო, უფსკრულივით უხიდბონდო.

ამნაირად სპარტელ ელენს ადარებენ მზეთუნახავს,
მუცელ მსხვილი მითებისგან მძორზე მეტად გასივებულს,
აქამდე რომ ერთს კოცნიდა აწი სხვისგან დანაყრულა,
დედაკაცის ანი, განი მზედაკრული საბნებია.
ბიჭი ღობეს ჩამოგრაგნის, კერიასთვის არღვევს გოგო.

„ჰესონე რომ წაგვართვით , აწი გტაცებთ ელენესო,
ბარიბარში ვიქნებითო, თორემ პატივს ვინ არ გცემთო,“
თავს ამგვარად იმართლებენ, როს გავაღწევთ მართალ-სწორზე,
ყოველს ამჩნევს ზეციერი, სანამ გვფარავს მისი მადლი,
მაგრამ ვინღა დაგიჯერებს?! აი, რაღას მიზეზობენ.

განგებ ყველამ დაივიწყა კირიბიში ხუჭუჭელა
და იმაზე წარწერილი საჩეჩელა-თითისტარი,
ვერძის ტყავის სანაცვლოა ელენ-ქალი გათქვერილი,
აწი მამაკაცი თუ ხარ ომში ნუღარ ჩაერევი!
და შეებმვის ორი ხელი მოურჩენელ წყლულის გამო.

საბაბია ელენესი მშვენება და მოტაცება,
თორემ ახლა ვიღას ახსოვს მედეიას კრული ძენი?
ქუსლითაა გათელილი ყველი რძისგან ამოსული,
ურუმს სული დახრუკვია კირბიშისგან მოშანთული,
ყოვლი ავი გარდახდილი იქ დაფლულიცოდნა არი.

„— რისთვის მინდა ყანა ვთოხნო აიეტმა თუ წამართვა?!
— რისთვის მინდა ღვინო ვწურო პრიამესთვის თუ იმაჭრა?!
— რისთვის მინდა ციხე დავდგა ენეასმა თუ დალეწა?!
— რისთვის მინდა ქალიშვილი თუ პარისმა დააგრილა?!“
ამას კრთიან ურუმები, ახლები თუ ქურუმები.

ვერსაიდან მისდგომიან კირიბიშის პიტალოებს,
აგნარიში ვერ ჩააგდებ გადაქლიბულ საკეტურებს,
იპუტება გრძელი წვერი, ოფლი ჟონავს ხალებიდან,
რარიგადაც უტრიალო, მაინც იმას უბრუნდები.
ასჯერ მოვლე გინდა ხმელი, გულთმისნობით გაჩხიბულა.

და სამარე ცხრაკეცული ერთურთს მიჯრით მიწყობილა,
წყდება კაცის სინსილა და არის ქალთა ჭორ-ხარბები,
ფუტკარი სკით გაფრენილა, არ ჰყავს ტყაჩუ* უსიერებს.
ჭედავს მახვილს ოდოია და ტივტივებს ოქრო-ვერცხლში.
ამარანტას სამჭედლოა ყოველ ქვეყნის სასაკლაო.

ამარანტას მთის მწვერვალი ტაფობელით ბოლოვდება,
მტრისას რაც კი იმ ალაგეთს უროებმა უზათქუნეს,
შესაძლოა ქვემო სოფლად ღირსი იყო დევ-გმირობის,
მაგრამ მისიმოყურადე შიშნეულობ ბავშვის მსგავსად.
კლდეებს არღვევს ხმა-დგანდგარი, გახვრეტს ტინებს წვეთისვარდნა.

* **მეტყევე ეგერი** (მეგრ.)

ჯანგარამი ჭკადუეფი დღა დო სერით ვესვანჯუნა,
ღანჯამჷ რკინას აჩეშმანენს დაჩხირიში თეზმა ჯუნა,
ომბარეშეფჷ ხუმინუნა, ნაცხაცხელეფჷ მესკვანჭუნა,
ვარვალია ლეკურეფით შხურეფს დუდის მესქანჩუნა.
რკინას რზვენნა ირჷ აკანსუ, მერეხითუ დინაკვანსუ.

## I. 10. ტაბაკონა

ჸიმოლეშე ჩანჩქერეფი გოთმოწენა გურჯინითუ,
ჯორეფჷ ფერდის მაგაგანა გოდორეფიშჷ ხურჯინითუ,
ქუა გემკოლჷ დო ქირქესუ ქენიქოსუ ჭურჭინითუ,
ეპისტროფო ეკი-დიკი ქოღურჷ გილაპურჭინითუ.
რკინა ნდღულჷ დო იგვარგვალუ, დინაქუ დო იკვარკვალუ.

ჸირპიჯამი არგუნეფსუ კვერუნა დო ლასირანა,
ჭვირთეფსუ დო ლეკურეფსუ დასტა-დასტათ მაზირანა,
„არქა ვედმერგალანია“, უბადო თოლს ვაძირანა,
ორჩხეს ოტყობინუანა დო ტროაშო ხაზირანა.
ადრე ორქოს წეწუნდესუ, თუმაცალო ბეჭუნდესუ.

ასე ჭკადნა მალიმარი ცხენეფიში მოსართესუ,
რკინაშჷ ზოდი ჯაჭვეფიში ოსარეთუ დოზარდესუ,
ძალ-კიდირიშჷ გარჩია რე, ნამუთჷ ძალამს ოზარდესუ,
ყბურს ქეკოსქილადენა, მიდგა გოღათ ქოსა რდესუ,
ბოშკოჩალათ გაბაჯანა ფართო-ფართოს ღაბაჩანა.

„აფროდიტა გეიშუგორუ პრიამეში ბოშისია,
მუჸამს ნირზი სისქვამეში დედუფლეფშქას დოშისია,
ქეკუხუნუ შხვაში ჩილი, ვაწონულენს ნოშირსია,
ფერჷ ამბე რე ეცაცილი, ნინას თხულენს ოშისია.“
დო ურუმქუთ თუმა გიხუ დო ტროას გემჷ ქიმაჩიხუ.

ანთასიში ჭე მეტი რე ელუაფირჷ წკვარამიშა.
მუ ჯიხას რე აწარინე თიჯარიში ვარამიშა?!
აფრა დოშქუმალირი რე ანძეფიშე ჯვარამიშა,
მანგარას რე მონჭირელი ხე ლეკური ტარამიშა.
ჩხორო წანა თეშჷ გოზგირტუ, ხელეფს მუთუნჷ ვეშქოსქიდუ.

ქულამურეფჷ დოშირელე ჩხორო უროშჷ რანგვაფითუ,
ჩხორო რემა მოსირელე შარაშჷ გილაცვანგაფითუ,
ჩხოროფა რე ჩიებული ოსურეფიშჷ ტვანგაფითუ,
„ლიმა მევტებუნიავა აქილევსის დრანგაფითუ,
ბრისე მიდულესია დო გილურსია ხანგაფითუ.

ეპია დო ოდოია ტროაშჷ ლეტას ტატურანა,
ანჯარქ გემით ვემიჭიშუ დო რკინას თექ ჭკადურანა,
მუნეფჷ ხენა ფალურო დო შხვეფჷ ართიანს ჭყვადურანა,
ზისხირიში მაგურჯალსუ ლეკურს გითოწკანტურანა.“
დიფა ამბეთ ნატრუეფი რკინას ჭკადნა ჭკადუეფი.

ხვამარდეფითუ მეულუდეს მესრეთშა ცეთი ანჯარი,
სარწყუშჷ მანგურო ქარგილი რკინა დო ლინჯიშჷ ნაჯვარი,
გეკისოფუანდჷ ირფელსუ ფარამჷ კათაში ჯგარჯგალი,
მალახუშანდუ ტროაშა ოლაჭკანდრეში ქვანჯალი.
კუჩხი მუჭოდგა ეკურქი, მაჸრაშა დღასი ვეკურქი.

და მჭედლები გამურულნი, დღე და ღამ არ ისვენებენ,
ათეთრონებს ჟანგულ რკინას ესოდენი ხვევნა ცეცხლის.
ქშენენ დონდლო საბერველნი, ნაპერწკლები დახტუნავენ,
მოელვარე ორლესულით ვერძებს თავებს წააცლიან.
ყველგან რკინა დაზვენილა მეხ-გრიალით დავანებულს.

## I. 10. ტაბაკონა

ზემოთიდან ჩანჩქერები იღვრებიან გრუხუნ-ზათქით,
ფერდს მოსდევენ სახედრები გოდრის ხურჯინ გადაბმული,
ქვა მოწყდება და ქარაფში დაინთქმება წუილებით.
ეპისტროფო აღმა-დაღმა სიარულით გალეულა,
რკინა დნება და თუხთუხებს, იგლინება და მრგვალდება.

ორპირიან ცულ-ნაჯახებს კვერავენ და აბასრავენ,
შუბებსა და ორლესულებს დასტა-დასტად აგროვებენ,
ეჰა, აღარ გაგალდესო, ავთვალს აღარ ანახებენ,
მყის მალავენ ქარქაშებში და ტროასთვის ამზადებენ.
ბაჯაღლოებს წეწდნენ ადრე და ბეჭავდნენ დალალივით.

ახლა ჭედენ მეომარი ულაყების მოსართავებს,
რკინის ზოდი ჯაჭვეული პერანგებად დაბრტყელდება,
ძალ-ჭიდილის გარჩევაა, რაც ზარავდათ გვარიანად,
კერიასთან დარჩენილა, ვინც გუშინაც ქოსა იყო.
ვაჟკაცობით მდოგვისხელა, ბაასობენ ფართო-ფართოს:

,,აფროდიტე  აირჩია პიამეის ვაჟიშვილმა,
სილამაზის პაექრობა როს აგორდა დედოფლებში.
სხვის მეუღლეს შეაწყვილა, აღარ წუნობს განაცვეთარს,
ისეთი რამ აწეწილა ენას ითხოვს ასკეცეულს.“
და ურუმმაც თმა გაშალა  და მოაწყდა ტროას გემით,

ცოტათი რომ ჭარბობს ათასს, წკვარამებით მოგლესილი.
რა სიმაგრე აღუდგება იმ მრისხანე ჯარის ვარამს?!
აფრა ჩამოშვებულია ჯვარიანი ანძებიდან,
ხელი მაგრად მოჭერილა ორლესულის მძიმე ვადას.
ისე გასხლტა წელი მეცხრე, ხელში არრა შეგრჩენია.

ბევრი გრდემლი დალეულა ცხრა-ცხრა უროს დაგადუგით,
ცხრა-ცხრა რემა წარხოცილა შარა-გზაზე ლაყუნითა,
ცხრაკეცია ნაამობი დიაცების ჩამიჩუმში,
,,ბრძოლა მიუტოვებია მოწყვეტილად აქილევსსო,
ბრისეი და წაართვეს და იარება გახელებით.

ეპისტრო  და ოდოია  ილიონის ზელენ ტალახს,
ვერ მიესწრო გემით ხმალი და რკინას იქ არბილებენ.
თვითონ სხედან თავადივით, სხვები ერთურთს შემუსრავენ,
ცხელი სისხლით გაუმაძღარს, ხანჯალს ააფხიანებენ.“
მდუღარ ამბით დანალბობი, რკინას ჭედენ ხალიბები.

მიჰქონდათ ასი ხომალდით მესრეთში იგი აბჯარი,
ხელსახოცივით ნაქარგი რკინა-სპილენძის ნაჯვარი,
დაიტაცებდა ყველაფერს ფულიან ხალხის გნიასი,
წამოხვეტავდა ტროისკენ ოლაჭკანდრეთა ტორტმანი.
გინდ გამალებით გივლია, ვერასდროს მოხვალ მეორედ.

ანჯარჷ მეუღუდეს ჯორითუ,  აქლემითი დო ნიშითუ,
ლიმაშო ლეკურჷ ნაფთირე ირზამუ ვაი-ვიშითუ,
ლინჯჷ-ვარჩხილი დო ფულანდით გვარიანჷ ფარა ბჭკვიშითუ,
ჭკვერულჷ თელაშო ვარი და ბორულჷ ღურაშო ბჭიშითუ,
ჭკადუეფჷ რკინას ჭკადუნა, ოსურეფჷ გილეჟგართუნა.

მიღანა ჩხე-ჩხე ამბებსუ კარკაცით ოჭკადურეშა,
თოლი ქაისქიდუ რკინაშა ჸვინთელო მოჭვათურეშა:
„ძოკო მოქოსე, ძეკერეს ვემიართე ოჭმათურეშა.
მონჭაფე ტროაშჷ ფსირუა  თოლიში ონჭაფურეშა.“
რე უროეფიშჷ გუმინი დო ოსურეფიშჷ ტუმინი.

„მუ ოხვარჷ ბრისეიდასუ, ვარადა მიშა იდასუ,
აქილევსიში ხელუას ანწჷ აგამემნონჷ შქიდანსუ.
ნამუ რე ეფერჷ ბორსოფი დიჭყანდას დუდშჷ შქვიდასუ,
ცოდა რე გერეშჷ სახელქუ დუცულაფირო სქიდასუ!“
რე ფარეფიში ქვაჩალი დო ოსურეფიშჷ ფაჩალი.

დუდშენო მის რე ათქუე: „ლიმუას თეზმა დინუნი!“
სო გინოტირხუ ლეკური მორქიას ქევზადინუნი,
მელე  დო მოლე ზღვა ხალხისართი ვაკათუ თინუნი
ორქო-ვარჩხილიშჷ ვარვალქუ ორინჯო ვაგნართინუნი.
ბჟაკე ტკუცითუ მოჩანა, მარა ვეპალუ კოჩანა.

არწივჷ ოგვაჯეს იჸონუ, გერი ომანეს იმანუ,
კოჩიქ ცინდაჸა ორქოშენჷ ქიანა გეგნილიმანუ,
გვერთას მეთხოზუ გვართა დო ვაჭარჷ ფარაშე იმანუ,
შუბარზამქჷ შური გოკაშუ დო თოლი ქიგირწკიმანუ.
ოსურჷ ფარაშა კართესუ მეჸიდენს მოსამართესუ.

გოდირგილი რე მემფისი,  გვალო სანგარო სოდომი,
მუმულჷ მარქვალსუ მინოხე, ჸაშე ჸონუნს ქოთომი,
მიჯირქუანა სარწყუთი ვამათქუელე სო დო მი,
დუდშა მისხუნნა განთხეფი თვეთვერია დო თოთომი,
ჟიშე ღორონთიშჷ ორთა  რე, თუდო — მხეციშა დორთა რე.

არამხუტუშა მუღუდუ ტროაში ამბე არწივსუ,
ჯღვალიკეფჷ ელასირელს დო ზღოურით ფსუა წარწილსუ,
ზისხირჷ მალურსუნჷ ბორია  ქიდიჭყანს გილაკვანწინსუ,
იდაშჷ ქიანაშე მიჯინე, თოლეფით მუთუნს ვამწინსუ,
ჩვარჩვალერს მუდგა უტურე, უშქირატჷ — არამხუტუ რე.

ასე გევარკათ უკახლე ეჩიშა წანაშჷ მარჭვალი,
ჰერაკლექ გიმილჷ არგოშე, ქიდიტუ აფრა ნაჭვალი,
გვერდო კოლხირე, ოონჯღორჷ, ჯიმადი აფუ გარჩვალი,
ორქოშჷ საწმისიშჷ ხირუა  რე ოდიდალეშჷ ჩვარჩვალი.
ეს გემკიჸოთანს ძალათი, გვალო ვარ — ოგვერდალათი.

აქილევსითუ კოლხი დო ელინიშირე ნაჸაშა,
ქიმინატრუა სტიქსისუ ქეშაიჸოთუდა აკაშა,
ირემიშჷ კუჩხით მირულე, გერი მითუხე ლაჸვაშა,
ცაშა მიანჭუ უგუთხუ ცირეფიშჷ შური ნაკაშა.
ამარჷ გიმარე ხვამარდის, ათხოზას ოკონჷ ნამჷ ართის.

ჯორით მიჰქონდათ აბჯარი, აქლემებით და ნავებით,
ომისთვის ხმალი ნავთია ვაით და უით იგზნება,
ვერცხლ-სპილენძით და ფოლადით ფული ყელამდე ვიშოვეთ,
ჭკვიანურ ყოფნით თუ ვერა ხეპრულ სიკვდილს გავჯერდით,
მჭედლები რკინას ჭედავენდა სხმარტალებენ ქალები.

მოაქვთ ცხელ-ცხელი ამბები სამჭედლოებში კარკაცით,
თვალიზოდს მიაცივდება მოყვითლო ფერით მწვეთარეს,
„ძოკო მომსპარა, დილამდე ველარ მიატანს ძეკერე,
მომდგარა ტროას დაცემა თვალსაწიერის არეში.“
არის უროთა დგანდგარი და დიაცების ქოთქოთი.

„რა ეშველება ბრისიდას, ანდა წავიდეს რომელთან?!
ხელობას აქილევისას აწი აგამე შეჰკადრებს.
მთლად უკარება ვინ არის, თავის დახრჩობა რომ სცადოს,
ცოდვაა გმირის სახელი რჩებოდეს თავლაფდასხმული!“
არის ფრიალიფულისა და ჩუმათობა ქალების.

ვინლა განსაზღვრავს თავიდან: „ომში ამდენი მოკვდება!“
სად გადატყდება ხანჯალი, რომ ეგებება მოქნეულს,
იქით და აქეთ ზღვა ლაშქარს ერთიც არ გამოერევა
ოქრო და ვერცხლის კრიალმა პირუტყვად რომ არ აქციოს.
წვერი ტყდ მოშვებულია, მაგრამ კაცობა მომსპარა.

არწივი მკვიდრობს ბუდეში, მგელი იმალვის ბუნაგში,
კაცი ნამცეცა ოქროსთვის ქვეყანას გააპარტახებს,
ზვირთს ედევნება ზვირთი და ფულისთვის ბნდება ვაჭარი,
ამოიოხრებს გულხარბი და მღვრიე თვალებს დალურსავს.
ფულისთვის კალთას მიჰყიდის ქალის ქმრის სანათესაოს.

გავარდნილია მემფისი, უფრო სასირცხვო სოდომი,
მამალი აზის კვერცხებს და ყივის ტოტიდან დედალი,
ხელსახოცივივთ გხმარობენ, ველარ გაარკვევ სად და ვინ,
თავს გვირჩევნია ლაჯები ფაფუკელა და თონთოლო,
ზევით მაცხოვრის ნებაა, ქვემოთ — გარდაქმნა ტყიურად.

მოჰქონდა არამხუტუსთან არწივს ამბავი ტროისა,
წამობასრებულ კლანჭებით და ფრთა დაწურულს ზღვაურით.
როს სისხლი წამორუვდება, ქარი დაიწყებს ბორიალს,
იდას ქვეყნიდან მიყურებს, ვერარას მიმხელს თვალებით,
დანაცრულს რაღას შეუგზნებ?! უქრობი — არამხუტუა.

ახლა დავთვალოთ უკნიდან ოცამდე წლების ამალა:
არგოს დასტოვებს ჰერაკლე, დააგდებს აფრას გაჭვალულს.
კოლხია სანახევროდ და ბიძის გაძარცვა რცხვენია,
ოქროს საწმისის მოპარვა მოსრაა დედულეთისა.
კი აირიდებს ამეებს, მთლად ვერა, ნაწილობრივად.

თვით აქილევსიც კოლხის და ელინისაა ნაჯვარი,
სტიქსშიდახრჩობას ინატრი თუ საიდანმე გიხელთა,
ირმის ფეხებით დარბის და მგელი ჩაუსვამს ფერდებში,
მაღალ ზეცამდე მიმწვდარა ქალწულთა ამონაოხრი.
ა, გადმომდგარა ხომალდზე, აწ სდიოს ვინაც სწყუროდეს.

ენა ლეკურსუ ირქენდჷნ, ატრიდი ორქოს ზირუნდუ,
ენა დღალეფსუ ირკენდჷნ, ატრიდი ფარას კირუნდუ,
ცირა მიდუღუ წყვირთალი, უჯგუშის თოლჷ მუს ძირუნდუ?!
გერეშჷ კოჩანა ჩაბახუ, დუდის ჟითუო ჭკირუნდუ.
იშენჷ ხიოლით ეფშა რე — ნათესეშჷ ცოდას ვემშარე.

უჩა ფერდამი ხვამარდი ჩელა კართამიონწე რე,
ილიონიშე ელეხი კვარიეფითუ გონწერე,
ბიწკის გილულა ცირეფი შურიშჷ ხირუა გონწერე,
ბაღანობაში დღალეფი თოლეფსუ ქენოწონწერე.
დიხაშა მუ რე ნაღელი?! გოსქიდუ აკა სახელი.

ნათესალუა-ზისხირი ბრელი რე მელე-მოლეშე,
თავრე ტიბინი დორხვადუ, ოღონც მაცალეთ მოლეშე,
მევტებუ ფარჷ დო ლეკური, ნამუშჷ ვარკალით ქოლჷეშე,
ცუჯეფი ეკარანგუ დო ეცენს კიბირი ნოლეფშე,
ვარექ ხუმლა დო ლადირი, შქასჷრექ გოსქილადირი.

არფაშჷ ხასლასუ გეპონუ ლარმოლაფირი ქა-შქვილი,
ქირონჷქ დაგურუ ჟირხოლო: თეშჷ მიოგი დო თაშჷ ცვილი!
ეთარჩუ ჯიქიშჷ ტყბეფი უჩა-ცვინთელო ფაშქილი,
ლაგამერი რე კუნტასუ ჩქინჷ სისქვამე დო შხვაშჷ კილი.
აკა პატროკლე მანჯასი, ვაჩურცხინუანს ანჯარსი.

თე მუზარადი დაჩხირო ივარვალუდუ თებესუ,
სო ლირნესიში ჩვარჩვალით ლიმუაქ ვაგათებესუ,
ჩხორო წანა რე ტროაშა მუთუნქი ვადარკებესუ,
ჩხორო წანა რე მახარექ ცუდეშა ვაგატებესუ.
ანწი კითისი აჩანი დო რობუს ქენიტკვაჩანი.

ქერიში ლუდი მუღუნა, უცორდუ გილგამეშისუ,
თისხის გურჯუნდუ გერგეზი ვაშვინედჷ ვითჷ კამეშისუ,
იზმირიშჷ ღვინი კაკაბი... ფერჷ დაწკონდებუ ჯვეშისუ,
ვაკო მუთუნი... ჩილიმი... ფურკის ყურწუნდუ თეშისუ,
ქენაორცხონდუ ბორია ბჟაკე დო ბჟა ოშმეშისუ.

აქილევსიში ერჩქინათ დონთხაფა გემკიჩილითუ
მეხიშჷ მახინწალჷ ზევსიქუ და ხარენს თესხი ჩილითუ.
„მენცარჷ პრომეთეშჷ ნაზოჯას, კრონიდი, დემორჩილითუ!
თეტისას ვემკანჭასია, შხვა კოჩი ქიმევრჩქინითუ.
მოღური ქიდებადებუ, თქვა იცითია რჯგინითუ“.

ჰოდო, გერჩქინე თენათი, დღაკუნტა, მორო გერგეზი,
ქურს უღუ აკა ოშური, მუთუნნერჷ დაჩხირს ვერკენსი,
პელაგონი რე იშჷ გურსუ, — ლიმუას ლეკურს ვერქენსი,
კიდაშე ჭვიანს ანჯარი, უშულადუ დო ლექერთი,
ჩერქულა ჰეფეშჷ ნაჭკადა, წკანტი დო კუჩხის ვეგერდი.

ცირეფი ჩხეშას ურთანა, თოლეფი ვაგუ მაჯინეს,
ტანსუ უზანა ზეთითუ, სო რენი გურქუ ვაჩინეს,
მინშა პოპორანს ქიანას, მინი ფირქეფქუ დარჩინეს,
გალუ, მუჟამსუ ნდურიათ კარეფი ქიმუტკვაჩინეს.
„ლიმაშა მალართასია“, აგამემნონშე მაჩინეს.

ეს რომ ორლესულს იქნევდა , ატრიდი ოქროს ზვინავდა,
ეს რომ საწუთროს იკლებდა , ატრიდი ქისებს კონავდა,
გოგო წაართვა მწყაზარი, რას იხილავდი უკეთესს?!
გმირის კაცობა გათელა, ლაფი დაასხა საჯაროდ.
მაინც სავსეა ხალისით — მოშორდა მოძმის განსაცდელს.

შავფერდიანი ხომალდი თეთრონისარწეველაა,
აღმოსავლეთი ტროისა ჩაძაძებულა ყვავებით,
ცერზე მომოვლენ ცირანი, სულის გაკმენდა ვრცელია,
ყმაწვილბიჭობის დღეები თვალებში ჩანაძენძარა.
რა წაგიღია მიწისგან?! გრჩება მარტოკა სახელი.

სისხლი და ნათესაობა გაღმა-გამოღმა ბევრია,
აქეთ წყალობა დაგხვდება ოღონდაც მომხრედ წამოდი,
ფარი და ხმალი დააგდო, ზეატყორცნილა რომლითაც,
დახშვია ყურთა სმენანი, კბილები ცვივა ნუნითგან,
არა ხარ ხმელი თუ ნედლი, გახირული ხარ შუაში.

მიყუდებულა არფასთან მშვილდი ლარ გარდატეული,
ორნივ ქირონმა ასწავლა: „ასე დაუკარ! ასე ჰკალ!“
გემბანზე ჯიქის ტყავები შავ-ყვითლად გადაფეთქილა,
ალაგმულია მოკლეზე ჩვენი შნო, სხვისი ზადები.
პატროკლე არის მარტოკა ფხას რომ უსინჯავს იარაღს.

ეს მუზარადი მუგუზლად დავარვარებდა თებეში,
სად ლორენსოსის გარგარით ომი ვერ მოინაპირეს,
მეცხრე წელია ილიონს ვეღარაფერი დააკლეს,
მეცხრე წელია მაცნენი ვეღარ აფრინეს სახლებში.
აწი ცერა თითს უკბინონ, და სამარეში ჩალაგდნენ.

ლუდს მოიტანენ ქერისას, გილგამეშს რომე უყვარდა,
იმოდენს ნთქავდა დევგმირი, მუხლს მოკვეთავდა ათ კამეჩს,
კამკამებს ღვინო იზმირის, ფერი წდევდება ძველისა,
არარა უნდა... ჩელიმი... ყლურწავდა ზოგჯერ ბოლს მისას.
ჩაევარცხნება ნიავი წვერსა და ქერა ულვაში.

აქილევს-ბიჭის გაჩენით დაცემა აისხტომილა
მეხის მტყორცნელმა კრონიდმა და ლაღობს ამდენ ქალღმერთით.
„მისან პრომეთეს ნაამბობს დანებდი, ზევსო, მაღალო!
არ გაეკაროს თეტისას, სხვა კაცი მიუჩინოსო,
მოკვდავი დაიბადება, თქვენ იქნებითო მარადის.“

ჰოდა, შობილა ესეცა, დღემოკლე, მაგრამ დევ-გმირი,
ერთი სასულე ქუსლში აქვს, ცეცხლს არანაირს დაიკლებს,
პელაგონია მის გულში, ხანჯალს არ იქნევს ბრძოლაში,
კედლიდან ბზინავს აბჯარი, მოუღლელი და პირბასრი,
კოჭლი ჰეფესტოს ნაჭედი, ჰაცე და ფეხზე არ იდექ.

გავას არხევენ ცირები, მაგრამ ვინ არის მნახველი,
ტანს უზილავენ ცხიმებით, სადღაა ვეღარ მიმხვდარან,
ზოგჯერ დააქცევს ქვეყანას, ხან დააბერეს ფიქრებმა,
შეკრთება, რაჟამს გაბუტვით კარებებს აჯახუნებენ.
„დიდ ომში წამოვიდესო,“ აგამემნონი შეუთვლის.

# ჯასტაგანი

(მოთხრობა)

ლაშა გვასალია



საკუთარ თავს შევარქვი ამგვარად. მე ვიცი და მაღალმა ღმერთმა მხოლოდ. ამგვარად იმისთანაზე იტყვიან, მუთუნ ვეკლა ცათანსუნ. როგორია ახლა ქართულად? არაფერი რომ ვნებს. არა. სულ სხვაა თარგმანი. უფრო ადრე უნდა გამოვეპანღურებინეთ ედუს აფხაზეთიდან. უკეთესად ვისწავლიდით დედა ენას. ჯასტაგანს პირდაპირ ვღარაფრით მიუდგები. აი, კაცი შუბლზე კამეჩის ტყავით. ჰო, ჯასტაგანია, ურჯუკელი ვინმე.

ორსართულიანი სახლი ახოს პირასაა. დამთავრდება ტყე და სამოციოდე ნაბიჯი მიგასწრაფებს ჭიშკართან. თითქოს ბექობიც ეთქმის, ტრიფოლიატას ძონძორო, ცოცხალი ღობითა არის ეზო შემოკავებული...ლამაზად გაუსხიპავთ ტრიფოლიატა. სეკატორი და წალდი არც სჭირდება, თუ წამოზრილ დუყებს ხელჯოხით დროზე დაერიე და თავები მიყოლებით წააწყვიტე. თოვლი ალაგალაგ დოლბანდის სახვევვივით გამოუკრთება მიყრუებულ ადგილებს. ოწინარიანი ჭის მოშორებით, კერამიკის წითლად მოხასხასე გვიმის დაცილებით სამფეხზე უშველებელიზავოტის ქვაბი შეუდგამთ და კვამლ-ოხშივარში გახვეულა მანქანების მიმოსვლებით გაზუნზლულული ეზო. ფართო აივანზე ნარდს აჟღარუნებენ. ვხედავ ქონგურებიან გისოსებზე მიყუდებულ კალაშნიკოვებს. დაბლა მოასფალტებულ ლაფაროსთან, მუგუზლისფერ თვალებიანი თხების თავები ყრია, ათი თუ თორმეტი. იქვეა ბოჭოკებიც ოთხჯერ მეტი და სისხლშემხმარი შავ-თეთრი ტყავები.

— უზუხთადა უარა?

რომელი ხარ მანდო, მეკითხებიან, მაგრამ ხმის ამოღების თავი ვისა აქვს?! შიშველი ვარ წელს ზევით. დაფლეთილი შარვალი მაცვია. უკანალთან საცრისხელა ორი დანაკერი ფანარით. ფეხები კოჭებთან გადაჭრილ ჩექმებში გამიყვია და კიდევ — რუკზაკი, მეგობრებმა რომ მომიხაზირეს საგანგებოდ.

— იუმანხაძო სზჷსწაუდა?

არ გესმის, შენ გეკითხებიანო, მიბღვერს გიმნასტურათი აივანზე გადმომდგარი. თავს მაღლა როგორ ავწევ. აკვარჩხალებულ წყალში ვურევ ხელს და ზორბა-ზორბა ნაჭრებს აუღელვებლად ვაწყობ ბრეზენტის ზურგჩანთაში.

— ღჷზუსთადა? ითახდი?

ვინ არის, რა უნდაო, წამოსწევს ტახტადან თავს აქამდე უჩინარი ბოევიკი.

— სჷზდჷრძომ, დჷბნაუავზარ ყალაპ!

არ ვიცი, ტყის კაცი უნდა იყოსო, შეეხმიანება აივანზე გადმოყრდნობილი. თან მარცხვენა ხელი ავტომატის ლულაზე მოუმუჭავს. ვამჩნევ ყველაფერს წარბების ტევრიდან, რომელიც შუბლის ოფლით და ქვაბის ოხშივრით ერთობ დამ ლტობია.

— აკუაც აჩუან ითჷიგეიტ.

ხორცი მიაქვს, ქვაბიდან ამოიტანა, გაოცება შეპარული ხმით ეუბნება მოაჯირზე გადმოყუდებული ტახტადან წამომდგარს, აქვე თვალშისაცემია ნარდის მოთამაშეებიც როგორ შეწყვეტენ კამათლების ჩხრიალს. ნარდის დაფა გაირაჩხუნებს. დაცვივდება იატაკზე ხურდა ფული, სიგა რ ეტის ღერები და დოლარები.

— იშფა? აძირშჷნტ ითიგამა?

როგორ, მდუღარე წყლიდანო? ერთდროულად აღმოხდებათ მოთამაშეებსაც და იმ ტახტადან წამომართულსაც. ახლა ყველა მოაჯირზე გადმოშლილა, მაგრაამ მე აინუნშიაც არ ვაგდებ მათ განრისხებულ სახეებს. აღარც ავტომატების მეშინია მაინცდამაინც. დამაყრიან ტყვიებს? მოვისვენებ, მოვითქვამ სულს და უყველაფრობით დაღლილ ხორცსაც ეშველება.

— აი, აძჷრშჷნტ.

ჰო, მდუღარედანო, არ ცხრება ის პირველი, რომელსაც მხოლოდ ხმით აღვიქვამ. ხმით ვაცოცხლებ მის აღნაგობას და გუნება-ხასიათს. მესმის ავტომატის საკეტის აჩხაკუნება. ზურგი ბურძგლით ამევსება. თმა ჯაგარივით აიწეწება კეფიდან თხემისკენ. შუბლზე არაფერია ასაჯაგრებელი. იქ სრული სიმელოტეა, მაგრამ ბურძგლისათვის სამყოფი არე-განი მასაც მოეძევება ბლომად და ვარ ამ გაუბედავ ყოყმანში. ისევ იმ

დალოცვილის ხმა მომანიჭებს შვებას. ტახტადან წამომდგარის ხორხიდანაა ამოსული ის სიტყვები.

— დოუშთ, ანცეი, აფსგცეი რხუ იგეიტ!

გაუშვი, ღმერთების და მიცვალებულების წილი მიაქვს, წაიღოსო.

მივძუნძულებ დათვივით. ყურებში ქარიშხალი მიშხუის. ფოთლების ფხაკუნია ჩექმების გადანაჭერის ქვეშ. ნეშოსაც ეძახიან აქეთურები.

ორ ფერდობს გადავიძუნძულებ ამგვარი ტემპით. არც გული ამოქოშინდება, არც... ქონქშა ქეთმარშუ. უკირკიტე ახლა ჯიმას ლექსიკონე ბით! ცხრა თანამებრძოლი მელის იქ. დამეძგერებიან და წამში გაფხრეწენ ისედაც გაცრეცილ რუკზაკს. ძლივს დავსტაცებ ხელს გვარიანად მომსუქნო ბარკალს. ვილოღნებით. ვილოღნებით. რომელიღაცას სლოკინი აუვარდება. ზურგზე მუშტებს მიუბაგუნებენ და წყალს მოაყლუპებენ მათარიდან. ახედავს ზეცას ქათამივით ჩემი ცოდვით სავსე და: მარილი ვერ წამოიღეო, მტკიცავს სილასავით. მიდი და ჰქენი სიკეთე!

ჯერ ტყის კაცი ვარ აივანზე გამოშლილი აფხაზებისგან შერქმეულისამებრ. ესენი თუნთიას მეძახიან. გუდა მიწერია მოგვიანებით ალებულ პასპორტში, ეროვნებას რომ ვერსად დალანდავ და მამის ავანჩავანსაც. ჯასტაგანს თავად შევირქმევ საჩემოდ, გნებავთ ურჯუკელს თუ კამეჩის ტყავშუბლას.

სისხამი შორსაა. არაშენდას გარშემო, დუმბაძის მოედანზე მარშუტკების ჯარი ჯერაც არ ჩამომწკრივებულა. თექვსმეტსართულიანი შენობა აყუდია ქაჯეთის ციხესავით, ალაგ-ალაგ გამოშიგნული, ტყავნაცვალი უნასივით აყლყლავებული. ოცდაშვიდი წლის წინათ აუშენებიათ კომუნისტებს, მაგრამ დღემდე ბინადარი არ ღირსებია მის კედლებს. გამოარიწკინეს ერთხანობას და გაიძარცვა მყისვე. შემდგომ მძღოლებს გაუფორმეს ხელშეკრულება: თქვენ ორ-სამ წელიწადს მუქთად იმუშავეთ და ბინებით უზრუნველგყოფთო. გაგონილა?! მერია, ქალ- აქის სამშენებლო სამსახური და სხვანი ატრიალებენ ამ ბინებს წაღმა-უკუღმა. ხან ვის მიაშავებენ და ხან — ვის. ეს მწერლებიო. ეს მსახიობებიო. ეს ნაღები ინტელეგენციაო. ისე მონოლითურსაც ეძახიან რატომღაც. თითქოს ათ-თორმეტბალიან მიწისძვრას უძლებდეს და სარფიც გვარიანია მისი აბსტრაქტული მობინადრესათვის.

ჩემი კადილაკი „ფორდის" მარკისაა. წითელი. 144-ე ხაზზე დავიარები მესამე წელიწადია. მანქანა ბაზრობაზე შემიძენია ოთხი ათას დოლარად. ხაზის მეპატრონე სხვაა. მხოლოდ ამისას ვიხდი. ძაან სარფიანი მარშრუტია. დღეში 60-70 ლარი გრჩება სუფთა. დღეს ხუთშაბათია, ცაშხა, ცის ღვთაების დღე. მიცვალებულთა დღე. დედაჩემის გასვენებაა ენგურსგაღმა. გავაგზავნე ყველაფერი რაც ქელეხს და ხელისგახსნას სჭირდება — ოთხასი ლიტრი მანავის მწვანე, აგერ, მიმაქვს. ადღემდე კარალიოკის არყით და ადესათი გაიტანდნენ თავს. არც ფული შემინანებია. თანასოფლელ ის ძმას გავატანე. ისიც შოფერია ჩემსავით. აქამდე ფეხი თუ ავითრიე, ინფარქტი მაქვს ორგზის გადატანილი-მეთქი, დავაგდე სიტყვა ნაცნობ-უცნობში. ჩემი კარდიოგრამები არაშენდადან ახმეტელის მეტრომდე მისწვდება რომ გაჭიმო. ვერაფერს ვუხერხებ სიმსუქნეს. რომელი კლინიკა არ შევაწუხე, მაგრამ ზედმეტ წონას ძვრაც ვერ ვუქნი. ქუთაისშიც გახლდით ერთხელ. იქ ჩემზე წონიანი დამხვდა პალატაში. სამასს ურაკუნებდა. დასვარკულ საწოლზე იდო უშველებელი მასა. ყველაფერს უმარილოს ნთქავდა მოხარშულს. დღეში თორმეტი ქათამი არ ჰყოფნიდა. პური ნურას უკაცრავად. ბოსტნეულს კალათებით ახრამუნებდა. თვენახევრის შემდეგ გაწერეს. ას კილომდე ჩამოვიდა. გასივებული თავი დაუვიწროვდა. მუცლის კანი ფეშტამალივით კოჭებამდე სცემდა. პლასტიკური ოპერაცია გაუკეთეს და მოჭრილი ტყავი მფრინავ ხალიჩასავით გაატანეს. მე კი არაფერი მშველის. სიდენია საიმედოდ დამისვარკავს. ჩავჯდები მანქანაში და ხელად გადმოიფერდება მარცხნივ ფორდი. სად არის პატრონი, თორემ სუმომოტოს მოჭიდავედ ვივარგებ იაპონიაში. სულ სიდენიაზე ვაგდივარ მთელი დღე. არ ღირს ჩამოსვლა. ძეხვსა და პურს დილიდანვე ვიმარაგებ. პლასტმასის ბოთლები გავსებული მაქვს წყლით. საჭიროებამ თუ მოითხოვა, აგერ არ არის არაშენდას პირველი სართული?!

მოედანი ვრცელი აქვს დუმბაძის პროსპექტს, მაგრამ ქოჩორა ნაძვები დაუღლაჭნიათ უპატრონო ძროხებს. აქ ველურად მიუშვიათ ღორები და ნახირი. ძაღლების სიმრავლეა. სადღაა ჯანდაბაში გადაკარგული ჩემი დეიდაშვილი, თორემ ვაცხონინებდსულს. ძროხები დილიდანვე ესტუმრებიან თუჯის სანაგვე ყუთებს. იქიდან ჯერ ძაღლები გადმოყრიან პოლიეთილენის პარკებს. ახლა ძროხები იცოხნებიან ნარჩენებს. თუკი რაიმე სახეირო ვერ მოიხელთეს, არც პოლიეთილენის პარკს წუნობენ და ამათი ტოქსიკური რძის მაწონს კი თავგამოდებით გთავაზობენ ტროტუარზე ჩამომწკრივებული დედაბრები.

თავად დუმბაძის ბარელიეფი მოშორებითაა, პროსპექტის თავში. მიმაყენა ერთხელ იქაუ- რობას ჯიმამ და და მანახა დაფა, სადაც რუსული ასოები ამოუძვრია მარმარილოდან ვიღაც ხელუკუღ მართს. არადა, როგორ ეთაყვანებოდა ეს ნათელი გონების კაცი ჩვენს უფროს ძმას. რომელი ერთი გავიხსენო. მარტო სოსოიას რუსი რად ღირს?! ბოშები... არ დაუფასდა.

ჯიმაც ჩვენსავით ბოგანოა. ბეტონის კედლებში ახრჩობს ვერცხლისწყალივით ბავშვებს.

ჩვენგან განსხვავებით თავი ქუდში ჰგონია, რადგანაც ბინა მერიამ უფეშქაშა. უკვე პრივატიზაციაც მოასწრო, რკინის კარები ჩასვა და არის მეშვიდე სართულზე ღამურასავით გამობმული. ერთი გულჩათხრობილი ვინმეა, სანამ ალკოჰოლში არ შეტოპავს. მერე ორკვირიანი ზეიმი აქვთ ჩვენებს. ენდობიან მაღაზიებისა და ჯიხურების მეპატრონენი და ნისიად ატანენ პურ-მარილს. რაღაც-რაღაცეებს ჩხაპნის, როგორც თავად უყვარს ხსენება. ჰომეროსს აღმერთებს, კიდევ — დანტეს და გოეთეს. დანარჩენს ამათი ნასუფრალის მცოხნავებს ეძახის. საკუთარს არაფერს წაგიკითხავს, გინდა ცნობისწადილისგან სკდებოდე. ორი წელიწადია ,რაც აქ დამკვიდრებულა და ერთი სტრიქონიც არ წასცდენია ბაგეთაგან. არაშენდაში ჯიმას გადმოსვლა მთლად მისი ნებით არ მომხდარა. ჩვენი ,,გრუპა ზახვატას“ ქალები რომ შეიჭრნენ სართულ და სართულ, მაშინ გადმობარგდა დედაბუდიანად. შეეშინდა მთავრობის ბოძებული ბინა არ დაკარგვოდა. ჩვენი თოთქორო ქალები ერთობ მოხერხებულები არიან, არაფერში დაგიდევენ შენს ორდერს და პრივატიზაციის ფარატინა ფურცლებს. მიიწევპე ერთ ადგილასო შემოგიტევენ ჯიქურ. და კარს ცხვირწინ მოგიხურავენ. ცენტრალურ შემოსასვლელში ამათ დაკიდეს რკინის კარები. ინგლისურ საკეტზეა. ქვედა სართულის ფანჯრებში ყველგან გისოსები ჩაასმევინეს და აყუდია ასე მოედნის ცენტრში ჩვენი ქაჯეთის ციხე აუღებელ სიმაგრესავით. ღენი მეზობელი მაღაზიებიდან და ჯიხურებიდან შემოუყვანიათ. აბა, გაბედონ და არ გაუმართონ ხელი ნოქრებმა, ეგრევე გადაუწვავენ დუქნებს. მერე მიდი და უყარე კაკალი, საიდან აბრიალდა ცეცხლი, ელექტრონისაგან თუ გაკვესებული ასანთისაგან. თითქმის ყველა უქმროა. მეთაურიც ჩინებული ჰყავთ, ხორბლისფერი, წყობილი სახის. შვილიშვილები ახვევია თავზე და ამასობაში ბიჭის გაჩენაც მოახერხა. კანონები ზედმიწევნით აუთვისებია. არასამთავრობოები მფარველობენ. ადამიანის უფლებების დამცველიჭილყვავივით მომრავლებული ინსტიტუტები. ასე რომ, ათრევენ მობინადრეებს სასამართლოზე, თავადაც დახეტიალობენ, ინსტანციებს ინსტანციები ცვლის და ამასობაში ოცდაოთხი თვეც გასრულებულა.

მე მეხუთე სართულზე დავითრიე სამოთახიანი. გაჯი, ცემენტი, ბლოკები და აგურები ჯალამბარით ამიტანია. სხვებს მუშები მოჰყავთ ელიავადან. ჯალამბარით უფრო იაფია. თითოეული ტომარა ათი თეთრია ყოველ სართულზე. მოკლედ , ,,გრუპა ზახვატას“ ქალები ჩემი ჯილაგისანი არიან — შურეკოხოხილი ჯასტაგანები. მერე და როგორ ემარჯვებათ ყარტა-ყურტა დედაქალაქელების დაბრიყვება?!

თქვენ რა კაცები ხართო, შეაფრინდებიან სახეში, ბაზარში თავად დაიარებით ქინძისა და მაკინდოლისათვის, თქვენი ქალები პაპიროსს ეწევიან და, ალბათ, მეზობლის კაცთანაც რომ შეასწროთ რომელიმეს, ხმას არაფრისდიდებით ამოიღებთ შიშის გამოო. ეს ყველაფერი ნაეკმაზია. უფრო გესლიანი სიტყვებიც მოეძევებათ სასაუბრო არსენალში, მაგრამ გააჩნია როდის და რა შემთხვევისათვის. თუ ვინმე შეეპაექრა, კოლექტიურად დააცხრებიან და ბდღვირს გაადენენ წამში. თანაც პოლიციას მოუხმობენ, ამან სიტყვიერი შეურაცხყოფა გაგვიბედა, ხელიც დაგვაკარაო. ადამიანის უფლებების დაცვას მოითხოვენ და გადიან ასე იოლას. ბაწელაშვილს და ხოდაშნელს ამათ შეჰყარეს ინსულტი. მოფამფალდებიან ახლა ეს საწყლები ამოგმანულ შესასვლელთან. აკაკუნებენ, აკაკუნებენ პარკინსონიანი ხელებით და როდის როდის გაუღებენ ციხის კარებს. აიპატიჟებენ მაღლა, მეორე სართულზე. სკამებს მიართმევენ. ხილითაც გაუმასპინძლდებიან, ტკბილ სიტყვებს არ იშურებენ მათთვის.

აგერ, დეკემბერში გაიმართება უზენაესი სასამართლო. გაგვყრიან აქედან და თქვენც მოისვენებთო.

ვიგემებთ თხის უმარილო ხორცს და გავიტანთ მეორე დღემდე ცეცხლის დაუნთებლად. აფხაზების გარემოცვაში ვიმყოფებით. დაცემულია სოხუმი. ენგურამდე აკონტროლებენ მთელს სივრცეს ბოევიკები. ჩეჩენიც უამრავია აქ, კაზაკიცა და სომეხიც. ყველა ქართველების წინააღმდეგ ამხედრებულა. დაუნდობლობით ერთმანეთს უჯოკრავენ. თხრილები სავსეა დახოცილი ღორებით, პირუტყვითა და ადამიანებით. დამმარხავი ვინ ეყოლება, როცა დედაწულიანად გასულა ენგურს გაღმა მთელი მოსახლეობა. დარჩე ნილები დაუხოცავთ საკუთარ ოჯახებში და დაუნაცრავთ საბძელსა თუ სამზადში კვალის წასაშლელად. თანდათან ამათაც ისწავლეს ჭკუა. გენოციდი არ დაგვაბრალონ ჟურნალისტებმაო და მიცვალებულს არსად აჭაჭანებენ. ჩვენ სოხუმის მისადგომებთან ვიბრძოდით სამუშიას ბატალიონში. მერე მოვწყდით უკან დახევისას ძირითად ძალებს და მიყოლებით გადაგვიცურავს ბზიფი, კოდორი. ზოგმა ლათას ხეობით გაგვასწრო. სხვებმა — ენგურზე რუხის ხიდით. ბევრი გემებით გაიხიზნა. ღღისით ფეხს ვერსად გაადგამ. ღამით კი როგორ გინდა იბოდიალო დანაღმულ ტყე-ღრეში ტყვიაგამოლეული ავტომატებით?! ვიღაცის უკაცრიელ ოდაში შევმყუდროვდებით ერთხანობას. მოვაქოთებთ იქაურობას. ჯერ ვერ მოუსწრიათ გაძარცვა. ეს წუთია და ერთი ჩვენი ამხანაგთაგანი ქალის ზიმზიმა ჩექმით არ გამორბის?!

ახალი წელი გვიახლოვდება და ქალის ფეხები მენდომება ახლა! ჩექმა გაშტიკინებულია. ეშმაკურად იცინის ამხანაგი.

მოროდიორობაში არ ჩამომართვათ ბიჭებოო, და ჩექმის ყელიდან შამპანურის ბოთლს ამოაცოცებს. საბჭოური შამპანურია. ბრიუტი. ყელს ჩავისველებთ თითო ყლუპით და ვიმღერებთ მოგუდულად. ახლა ჩიხში ვართ მომწყვდეულები. ყველგან მტერია. ყოველ ნაბიჯზე ისინი დაძვრებიან. ურანიდან გამოსვლას ვერ ვბედავთ. არც ისინი იწუხებენ თავს აქ ხეტიალით. მოგშივდება და სად ბებიაშენთან წახვალ?! ისევ დამიბრიყვებენ მეგობრები.

იყოს თხის ხორცი, თუნდაც უმარილოო, მეხვეწებიან. ისევ ორ გორაკს იქით მოგულვებული სახლისკენ მივალაჯუნებ. შემოფლეთილი, ქვაყინულად ქცეული კიდურებით. სამფეხზე ძველებურად თუხთუხებს ქვაბი, ოღონდ ახლა თხების თავები აღარსადაა. ძროხის ტყავი აგდია მოშორებით. ეტყობა თავიც ქვაბში ჩაუძახებიათ. აივანზე ახლა მეტი ბოევიკია. ათამდე მსუბუქი მანქანა და ტყვიამფრქვევიანი ბეტეერი აყენია ჭიშკართან. რუკზაკს მართმევენ. პანღურებითა და ჯიკავ-ჯიკავით გამიგდებენ წინ. ხორხოცებენ, ხარხარებენ. აღრეულია ერთმა ნეთში რუსულ-ჩეჩნურ-აფხაზურ-სომხური. პირველი სართულის სარდაფისმაგვარ ოთახში შემაგდებენ წიხლით. იატაკზე ხალხი ყრია. სულ კაცებია გარშემო. წკვარამი სიბნელეა, მაგრამ მე კატასავით შემიძლია საგნების გარჩევა. ამდენი შიშჩამდგარი თვალების მნახველი არა ვარ. თხუნელებივით იმზირებიან ისინი სიკვდილის მოლოდინში. შმორის და კიდევ მრავალი სისაძაგლის სუნი მხუთავს.

საჭესთან მე როგორ დავჯდები, ორჯერ ნაინფარქტალი კაცი! ჩემი ნაპარნიკი იჯგიმება. მარჯვენა სიდენიები ავაძრობინე და დასვარკული ვიწრო ლოგინი ჩავდგი მათ სანაცვლოდ. ჯიმას ნათქვამი მახსენდება: რილკეც არ წავიდა დედის გასვენებაზეო. დუინურ ელეგიებს წერდა და ვერაფრით მოერია შემოქმედებით აღტკინე ბასო. მე რა მერილკეება ან რა მედუინება, მაგრამ დედა მაინც დედაა. არც მამის საფლავზე სიარულით მომიკლავს თავი. ჩემი და-ძმა აკითხავს იქაურობას. იმ სურათის შემდეგ ენგურს გაღმა ფეხს რანაირად გავდგამ! შემოაღებენ კარს წიხლით და ჟირქ გიმილითია, დაიღრიალებს ჭროღათვალება ახმახი.მე ბატინკებს ვხედავ ძონძებზე წამოწოლილი. ნამსუთ ჭკუმუა ოკონ, ჟირქ გიმილითია, როხროხებს ის ბოევიკი.

გალასლასდება ორი, ზედ კართან მყოფნი. .ეტყობა შეჩვეულან სახრავად გადმოგდებულ ძვლებს.

ქიდიჩუცია, ეტყვიან უფრო თონთოროს, აივნის კიდესთან მიყუჟულს. ჩაცუცქდება ისიც.

ძიქვა გემინწყია, უბრძანებენ და ბედოვლათიც უსიტყვოდ ასრულებს დავალებას. ახლა მეორეს გაახსნევინებენ ხვანჯარს, სარცხვენელს მიაშვერინებენ იმ ჩაცუცქულისათვის. თანაც ეს სარცხვენელი დაბლა გართხმულს მოუბღუჯავს ხელში, რათა შარდის ნატამალი არსად დაიკარგოს. ამ საარაკო სცენას ვიღაც ფოტოგრაფი უტრიალებს ყოველი მხრიდან. აჩხაკუნებს აპარატს და არის გაუთავებელ ქირქილში. მერე წალაწავენ ყველას მანდარინების პლანტაციისაკენ. იქ ყუთებია დასატვირთი ძარაგადახურულ მანქანაზე. პლანტაციაში ჩვენი ქალები და ასულები ტრიალებენ. მაკრატლების და სასხლავის წკაპა-წკუპაა გარშემო. გამოირეკავენ კაცებს და დაამწყვდევენ პირველი სართულის სარდაფში. აგურა პურს მიაშავებენ და წყალს — თითბრის დოქით. ხოლო ქალებს შედარებით ყუათიანი სუფრა ელით მეორე სართულზე. უშველებელი ღუმელი გაჩაღებულია, გუგუნებს. ცხელი წყლის ჩხრიალია ტაშტებზე. ნახმარ წყალს ფანჯრიდან ღვრიან. ბატინკების ხახუნისგან გაზინთული ლოგინების სიმრავლეა.

ნისლიანი თებერვალია. „ფორდში" ვიწრო ლოგინი შეკვეხებულა. ქვეშაგებიც ზედვე ალაგია. შვიდი მეზობელი მომყვება ჭირისუფლად. ჯიმა დარჩა თავის მეშვიდე სართულზე. აკი, განაცხადა შეცხადების დღესვე:

რილკე დედის სატირალში არ წავიდა დუინური ელეგიების გამოო.

სამი ქალია და ოთხი მამაკაცი. მე ამომაღლებულ ბალიშებზე მივწოლილვარ. ჩემი ნაპარნიკი მერამდენედ დაუვლის მანქანას. საბურავებზე სქელტუჩებიან ბათინკებს უბაგუნებს. იმდენად სქელი ნისლია, დანით გაიჭრება. მოედანზე კანტიკუნტად გამოჩნდებიან მარშრუტკები—ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე... თითოეულ ხაზზე ოციოცდაათი მანქანაა. სადაც არის მეტროს გახსნიან და აჭრიალდება ქალაქის ჟანგიანი კიდურებიც. არაშენდა ძველებურად ჩაბნელებულა. კაბელი შევიძინეთ მამასისხლად, უფრო სწორედ ფულს კი დავდებთ, მაგრამ „გრუპა ზახვატას" მეთაური ამორძალი მოღუნავს და ფანქარივით წვრილწვრილ სადენს ჩამარხავენ ტროტუარის გაყოლებაზე. ზოგი ფულის დადებას ვერ მოახერხებს, მეთექვსმეტე სართულზე ასატან ტომრებს ავსებს ქვიშით. სახურავია მოსაწესრიგებელი. გვაწვიმს და აბა, სხვანაირად როგორ მოიქცევი?! თვენახევარსაც ვერ გაუძლებს თვითნაკეთი პლიტკების შემოტევას.

დავიძარით და დავიძარით. პლასტმასის ორი ბიდონია უკანა სიდენიის ალაგას, ორას-ორას

ლიტრიანი. თევზი, ყველი და მისთანანი შეძენილი ექნებათ ძმებს. ფული მართლაც არ დამიზოგავს. ენგურს გაღმა ფეხის დამბიჯებელი არა ვარ სანამ პირში სული მიდგას.

ახლა მეორეს აშარდავს სხვა დაჩმორებული. ის ორი გაყენებულია შორს გზას მარილზე. ბოევიკები ხორხოცებენ. ფოტოგრაფი აჩხაკუნებს აპარატს. ღრიალით გამოვიჭრები აივანზე. წიხლებს წავაყრი ერთსაც და მეორესაც. აფხაზები ახლა მთლად გადაფიჩინდებიან. გამბედაობას მიქებენ ტყის კაცს. იქიდან მოყოლებული მათი ორგიების განუყრელი თანამგზავრი ვხდები. ჩემსავით ხომ არავის ემარჯვება ცეცხლის დანთება და ნაკვერჩხლების ხელისგულზე ბზრიალ-თამაში. ეს ახალისებთ, ეს აოცებთ. ხელისგულს მისინჯავენ. ნამდვილი ტყის კაციაო, გადაულაპარაკებენ ერთურთს. ბარსა და ნიჩაბსაც ვერავინ ხმარობს ჩემზე უკეთესად. გადახერხილი ნაძვების გაყოლებაზე ვმარხავ ხოლმე სხვადასხვა სოფლიდან წამოსვენებულ გვამებს. თოკივითაა დაგრეხილი მათი კიდურები. ბევრს თვალები ღიად დარჩენია. ავიტაცებ ბუმბულივით და გადავუძახებ ძმათა სასაფლ აოზე. რომ არა ჩემი მონდომება, ჩაყრიდნენ ხევში ყორნებისა და ღორების საჯიჯგნად. მუნჯსა და უენოს მეძახიან. ჩემი ერთადერთი შეხმიანებაა „მმმმმ...“ ზმუილისმაგვარი, ძროხა რომ მოადგება პატრონის ჭიშკარს ჯიქანსავსე.

ჯიმამ ბევრი წიგნი წამაკითხა სანამ კაფანდარა ქუჩის მეწიგნეს ჩააბარებდა თავის ბიბლიოთეკას. ჰომეროსით დავიწყეთ, „ილიადათი“. შემდეგ „ოდისეა“ მომართვა. მერე დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ და გოეთეს „ფაუსტი“. ამ თხზულებებში ყველგან ამაზრზენი კოშმარებია მე რომ ცხადლივ გამივლია ტყვეობის ჟამს: ტრიალ მინდორზე ველოსიპედით მოჩხაბარკე ზარენ ქარდავას კაბინიდან დაუმიზნებენ ავტომატს და ყირამალა შეატრიალებენ ერთი ჯერით. როდესაც თავზე დავადგებით, ველოსიპედში გახირულა ეს წითური და ჭორფლიანი დევკაცი. გაცოფება უყვარდა ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, თუ სიმინდის ყანაში ვინმეს ღორი შემოეტეოდა. იქამდე გამოენთებოდა, იქამდე მიასავათებდა სირბილით, რომ არაქათს გამოაცლიდა. აიტაცებდა მერე ბარაქიანი ყურებით, აჭყვიტი ნებულს და შავტარიანი დანით წააცლიდა სათითაოდ. თანაც ორმეტრიანი ღობიდან კუნძივით გადაისვრიდა ტახს თუ დედალორს და ბაყანს გაიღებდა საბრალო. ამას აქეთ ოდნავად ჭკუა თუ უჭყაოდა დაქანებულ გოგრაში საცოდავას, არაფრისდიდებით გაეკარებოდა ზარენის ყანას. დააგდეს ტრიალ მინდორზე. სოფლელებმა გააპატიოსნეს, ისე რომ, ღორებმა დინგი ვერაფრით მიუწვდინეს შურისგების წადილით.

ბაკვა სახეიშვილსაც ყანის თოხნაში გართულს ესროლეს ავტომატიდან. ის იშვიათი სიმარდის მოჭიდავე იყო, რკინასავით ჩასხმული და ტყვია უცებ ვერ მოერია. თოხს ეყრდნობოდა ოფლში გახვითქული და საშინელი გინებით იკლებდა ჩვენს ორხიდიანს. მერე დაბარბაცდა, დაეცა და წისქვილის დოლაბივით დატრიალდა მუხლებამდე ყანაში. მიატოვეს ასე სულთმობრძავი. ნათესავებმა გააპატიოსნეს ის უბედურიშვილი.

არდა დგებიას შეურაცხად ყოყოჩიას შუაგზაზე მომავალს გამოაყრევინეს წელები ავტომატის ჯერით ბოევიკებმა. შეზარხოშებული ყოყოჩია წკრიალა ხმით მოიმღეროდა. შორიდან მომავალ მანქანას აინუნშიაც არ აგდებდა. ის ხმა ახლაც ჩამზუზუნებს ყურებში. ჩაჩოქილი შემოგვეგება, გაოგნებული თვალებით. გადმოყრილი წელები მაჯაზე დაეხვია. ჩაუქროლა ორხიდიანმა მანქანამ და შევნიშნე, როგორ გაიშოტა ტლაპოში. იმასაც უშველეს სოფლად დარჩენილმა მოხუცებმა და დედაბრებმა.

კოკი ო ცუჯავას კი ვერაფერი დააკლეს ძაღლის გაგდებულებმა. კოკი პირველი დამრტყმელი იყო დაბალ ზონაში, ჯიქივით მოქნილი. თავური ენვერ ჯოჯუას ემარჯვებოდა. ის მუშტის იმედზე იყო ყოველთვის, მკლავის იმედზე. მშვილდივით დრეკადი აღნაგობა ჰქონდა ახლაც, იმის მიუხედავად, რომ წლებს გვარიანად შეერყია სასმელს მიტანებული. დაიჩოქეო უბრძანეს ტროტუარზე მომავალს გალში. ამან კიდევ მარცხენა ხელი გადმოიღუნა მარჯვენაზე და ინებეთო, მიართვა სამურზაყანოული საჩუქარი. დაახალეს ტყვია. საჯაიებმა ჩამოასვენეს სოფელში. არც მისი სხეული წაუბილწავს ღორის კოლტს.

გალშივე დაცხრილეს ბოევიკებმა პუჭიკო თაკალანძე. პლატონ ესტატევიჩი ადრე რუსულის მასწავლებელი იყო სოფელში, მერე დაწყებითი სკოლის დეირექტორად გადავიდა გალში. შეუბღვირეს მომხდურებმა და მიაფურთხეს ზიზღით. ჯიქურ წაიწია მათკენ, როცა უკმეხურად შეაგინეს ოღროჩოღრო მეგრულით. დაცხრილეს და დააგდეს გზაზე. არც მის სხეულს გაკარებია ღორის ეშვები.

უარესი დღე დამართეს საზიდრით შემოფეთებულ ბოჩია მეფორიას და ალფენიძის ბიჭს. ის დღეები მთლად გიჟებს ჰგავდნენ ბოევიკები ქალიან-კაციანა. გზაზე ჩაფლულ ნაღმზე აუფეთქდათ თანამებრძოლები უფროსიანად და საკბილოს ეძებდნენ გაფაციცებით გამოცარიელებულ სოფელში. ჯერ კონდახები უხათქუნეს თავკისერში. მერე ბატინკებით შედგნენ და სისხლი

ანთხევინეს პირიდან. ბოლოს მაჯაზე თოკი შეაბეს და მანქანას გამოაბეს. ვამჩნევდი ასფალტზე ზოლად დატოვებულ წითელ ხაზს გადატყაული ქუსლებიდან. იმ ნანაღმარ ადგილას ჩაყარეს ორივე, ორ-ორი რაჟოკი ტყვია მიაყოლეს სათითაოდ და გაეცალნენ იქაურობას შურისძიებით გულმოფხანილები. მოგვიანებით შევიტყვე, ამოუსვენებიათ ღამით ნათესავებს და ენგურსგაღმა განმუხურში გაუპატიოსნებიათ.

გზაზე დაყრილი მოხუცები ბევრი დაუჯიჯგნია უპატრონობით თავაშვებულ ღორების კოლტს. ვისაც ჭაში ჩახრჩობა ერგო წილად, იმასაც ეღირსა რიგიანად დამარხვა, თუმცა ძვლებისგან ხორცი ძვრებოდა ზოგს. უმეტესი საკუთარ საბძელსა თუ ნალიაში დაინაცრა უკლებლივ. კვალს არ ტოვებენ სადმე სამხილ მასალად, არიქა, ქართველების გენოციდი არ დაგვწამოს ცივილიზებულმა მსოფლიომო. სხვა სოფელში დახოცილებს აქეთკენ მოხვეტავენ ჩემი მკლავების იმედით.

ვარდანა კვიტიას ბღავილი ახლაც მიგუგუნებს ყურებში. ცოცხალ ადამიანს დანით აჭრიდნენ ხორცს და მარილს აყრიდნენ იმ დანის წვერითვე. ის ცხრა თანამებრძოლიც მე მივაბარე მიწას მანდარინების პლანტაციის სიახლოვეს, კოხორაში.

ბენზინგასამართს მიამუხრუჭებს ჩემი ნაპარნიკი.

ფული ბარდაჩოკშია-მეთქი, ვეუბნები თავის აუწევლად. სალიარი ჯერჯერობით ბენზინზე გაცილებით იაფია.

სამოცი გამოუშვიო, გადასძახებს მებენზინეს წოწოლა ბიჭი.

ქალები ენას არ აჩერებენ. კაცები გარინდებულნი თვლემენ თუ ფიქრობენ, ვერაფერს გაიგებ. ჯერ კიდევ რიბირაბოა. სველ ტრასაზე ბრწყინავს ბორბლების ნაკვალევი.

,,ხმაური და მძვინვარებიდან ბენჯამენმა მომხიბლა. წარუშლელია მისი გაშტერებული გამოხედვა გაჩაღებულ ღუმელთან. რაღაც საერთოს მაგრძნობინებს. ასევე მშობლიურს ვიგრძობ რასკოლნიკოვის ნაჯახის მოქნევასთან ბებრუხანას კეფასთან. მეც ბევრი მიცვალებული დამიჩეხავს, როცა სამარეში ვერ ვატევდი. მრავალი შეხების წერტილი აღმომიჩენია ინდიელთან კევინ კიზის რომანში. და უამრავ საერთოს ვპოვებ ოსტატსა და მარგარიტაში ბერლიოზის ჰანგებით.

ოცდაათი ტომარა და ყუთი ჩამოვტვირთეთ თავისუფლების მოედანზე. იქ ერთი კაფანდარა ბუკინისტია, წიგნებს მეორე სართულზე დაქირავებულ პაწაწკინტელა ოთახში ინახავს. თავად ვერ ერევა ამ მასას და ულუკმაპურო პოეტებს ათრევინებს აღმა-დაღმა. ორი ლარი, სამი ლარი, ხუთი ლარი.. ათსაც გამოიმეტებს ის მეწიგნე ზოგიერთ გამოცემაში. ,,ვეფხისტყაოსანსაც“ კი შეელევა ჯიმა. სისხლ-ხორცი ჰყავს შეუძლოდ და აბა, რას იზამს?! ათვალიერებენ წიგნებს ქესეტა პოეტები და თავს სინანულით აკანტურებენ. ვერც სანუგეშო რამეს ეუბნებიან. ხუთას ლარზე მეტი მოუგროვდება ჯიმას გვარიანი ბიბლიოთეკიდან. ორმოცდაათს ძმაკაცებთან დაამღერებს. ოცს მე მიფეშქაშებს გზის ფულად. ჩაიკეტება მერე თავის მეშვიდეზე, მაგრამ რამდენიმე კვირაში კვლავ გამიხმობს განზე და ,,ზავოტობაზე“ წავიდეთ ქიზიყშიო, მეტყვის. უბატონო კახეთით ხარობს. ძელქვასავით ურყევს ეძახის. ყველგან მეგობრები გაუჩენია. ყველგან უშურველად ეპატიჟებიან. ღვინოს და არაყს ბლომად გამოგვატანენ. ჩურჩხელებს,შოთის პურებს, გუდის ყველს... ნანადირევივით გამიყოფს შუაზე. ვგონებ ფულსაც უსახსოვრებენ მეგობრები, ვინაიდან ორმოცდაათი ლარი სალიარის ფული მაინც გამომართვიო, აიჩემებს და თავისას გაიტანს. შტოფის ატანაში ბიჭებს შემოვიშველიებთ. დამესევიან ,,გრუპა ზახვატას“ ქალები. ღვინოს მოყვარულები გვიანობამდე რჩებიან. ტელევიზორს მიუჩოჩდებიან ეშმაკური ღიმილით, მაგრამ მე დასვარკვებულ ლოგინზე პირაღმა გავიშოტები. ამათ არ ვწყალობ. ეგრევე... უთარგმნელია, ქენგაჩილებუნა.

ცოტა ფული გვასესხეო, დამეღრიჯებიან კარში გახირულები. ფულის სესხებას ესენი ფულის ჩუქებას ეძახიან. აბა, სახელმწიფო დახმარება რა ბედენაა?! იმ დღესვე შემოეხარჯებათ და ოცდაცხრა დღე არიან ჩემს კართან ატუზულები.

ათ-ლარიანი აიღეთ ფანჯრის რაფიდან-მეთქი. არა, ამათთან თავის შორს დაჭერა გერჩიოს..

ჩემიმაფშალიები ცირკის ტროტუარიდან გახლავან. სულ ნაირ-ნაირი. ბოლო რეისს გამოვტოვებ ხოლმე. ტრაფარეტს მოვხსნი. ათლარიანი გოგონები მიყვარს, გამხდრები არიან და მუხლში მოხრილი ფეხით ეყრდნობიან ქვითკირის გალავანს. ძუ მგელის მადა აქვს თითოეულს, ამიტომაც სასუსნავი ყოველთვის მომეძევება მოგუგუნე მაცივარში. უკუნ ღამეში ამომყავს უსახელურებო კიბეებით. დილაბნელზე მივათხოვებ ცირკის არენას და ვართ ასე ქაჯეთის ციხის ბინადარნი, ქაჯეთის სახელმწიფოში. **მებრალვის ხალხი**. ჩვენი ,,ზახვატჩიკები“ თვისტომს ეცილებიან საცხოვრისში, მაგრამ ტყვია გვაწვიმდა და ესენი დუბაიში რომ დარბოდნენ?! გლოვის მაგივრად ტაშ-ფანდურას რომ მართავდნენ ტელევიზიით?! ესეც რომ არა, ხელის ერთი მოსმით როგორი მუქთა მუშახელი და მესარეცელე იშოვა დანარჩენმა საქართველომ — სამასი ათასი მამრი და მდედრი! კალმით ნახატი მათი ნაშიერი ზოგი სახემურიანმა მიკირტუმამ ჩაისიძა. სხვა გალაღდა საუნებსა და ბორდელებში. რაც იქაურობამ ვერ მოცოხნა,

რძლებად შეიხიზნა რაქიტიანების საჯილაგომ.

სიტყვა „ლტოლვილზე" მეტად არაფრის მეშ-ინია. ნაღმზე უფრო მაძაგძაგებს „დევნილის" გაგონება. მოგვიანებით შედარებით მოსათმენ „ადგილნაცვალს" დაამკვიდრებენ. მოგვეპოვება ქართულში თურმე გაქცეულის მნიშვნელობით — ოტებული, მეოტი. გვასწავლა ედუმ დედაენა უთვისტომო მეგრელებს. მუხტია ჩვენგან ამოზ-ლეტილი, ვალენტობაა წართმეული ათასწლეუ-ლების მანძილზე გარეული თუ შინაური მტრის-გან. ჯიმა გაჰყვირის წარამარა დიდსიმთვრალე-ების პერიოდში: გურიაში გურულებად გადავიქ-ცე ვით ხოლმეო. იმერეთში— იმერლებად, აფხა-ზეთში — აფსუებად. თანაც იქამდე ვჩემულობთ მერე ამა თუ იმ კუთხის წარმომავლობას, რომ საკუთარ დებსა და ძმებს თვალის დაუხამხამებლად გავწირავთ სათოფედო. მათი სრასასახლეების გადაბუგვით მოგვაქვს თავი. ჩვენი გამარჯვება არ იქნება. რამდე-ნიც უნდა იძახოს ჯიმამ ოქროს საწმისის ხალხი ვართო, პრომეთე და ამირანი ჩვენი არამხუტუს ანასხლეტიაო. იქამდე გავხრწნილ ვართ, ღორების კოლტიც კი სათოფეზე არ გვეკარებაო.

ჩხოროთოლი ლაცუზბაიების სტუმარი ვარ. მე ვამარაგებ აქაურობას ვეტამბულატორიის წამ-ლებით. თხების არვეს მწყემსავენ ლაცუზბაიები. გულის გასახარია ფერდობზე შეფენილი რინტუ-ები. მარაკაში შემორეკავენ ბინდის პირზე და ერთ ოჩაგას თავს წაალაგიან სტუმრის საპატივ-ცემულოდ. ვოი, ნანა... დასტირიან აფხაზებსა და ქართველებს... უარესის მოლოდინით მიხურთქი-ნებს ამაყი ენგური. და კაც და არზაყან ზვამბაი-ების არჩდილებს მიიტყუებს ტალღოვან რიალში.

არა, არ ჩახვიდეთ, დაკარგული აქვს ფონი, ვერაგია ენგური, გამოდარებას დაველოდოთ, დადგება და მეც წამოვალო. დიდოსტატი კონსტანტინეს ხმა წამოეწევა მამა-შვილს. „ნათ-ქვამი გვაქვს უკვე, სიტყვას ვერ დავიბრუნებთო" იტყვის დადრა. „მართალი გზიდან მიბრუნება არ ივარგებსო", დაამტკიცებს ვარა.

აბა, აბაყა ტყუილად აგვიგია მეგრელებს და აფხაზებს, აღვირი წაუჭირეს ულაყებს, მაგრამ დადრა წითელ ნაბადს დაინახავს გაღმა ნაპირზე — უნდა მოვიგზუროთ, ვერ გავჩერდებითო,— ერთბაშად შეჰყვირებს მამა-შვილი.

ვინ გაუხარებია ჭითა ფერს, თქვენ რომ გაგახაროთო, არ მოეშვება კოწია ბატონი, მაგრამ აიწყვეტენ ზვამბაიები, ჩაჰყვებიან ენგურს და წითელ შავში ამოიბნელებენ ვარსკვლავა თვალებს.

დიდოსტატი კონსტანტინე მარტო ზის აბაყაში და წრუპავს აფხაზურ ამილახუს. უცებ მოჩვენე-ბასავით, წამიერად გამოცხადდება მოხუცი თავადი მარშა, სპეტაკ წვერზე მეხრე ხარის თვალებისხელა სისხლის სადაფები დააჩნდება. ნაღველჩამუქებული თვალები აქვს აფხაზს. პირდაპირ მიუჯდება განმარტოებულს. ერთ ფიალას გამოცლის ჩურჩულით ნათქვამი ლოც-ვისმაგვარი სადღეგრძელოს შემდგომ და სიმ-ღერას დაიწყებს:

**ვარადოო, ვო რირავოოო ვარადააა.**
**სი ვარადა... ჰოოო...**

აჰყვება დიდოსტატი კონსტანტინე მეორე ხმით. ანგელოზები შეეხმიანებიან ზეციდან. დიდებუ-ლად გამოუვათ. გუდაც აჰყვება. კარგი სიმღერის თქმა იცის გუდამ.

ამიტომ არ შეიძლება ჩვენი მტრობა და ჩვენს შორის ომიო, იტყვის თავადი მარშა და გაუჩი-ნარდება. გაქრება კონსტანტინე ბატონიც გონ-საწიერიდან. გაქრებიან ანგელოზებიც. „ფორ-დის" ნჯღრევაა. ალაიანს გამოვმცდარვართ. წუხან დელ ნაარაყალს ძილი გაემქცევა. ვერა და ვერ მომ-იხუჭავს თვალი. რა არ მომაგონდება, რა არ მომელანდება. უკვე მერამდენედ ამესვეტება თოლის-ბეი ლაცუზბაია.

გასაოცარი კაცია ეს კაფანდარა მოხუცი. რას არ გაიგებ მისგან. როდინდელ ამბავს არ გაიხსენებს ყალიონის პლაკუნში. ვინ იცის საუკუნეს რამ-დენად გადაცილებულა. შვილებისა და შვილ-იშვილების უმრავლესობა აფხაზეთში დაუხოცეს. ამაზე საუბარი არ უყვარს. ერთხელ წამოცდება საწყალს: სიკვდილს ვერ გაექცნენ, უიღბლო ყისმათის მსხვერპლნი შეიქმნენო! ცხრა შვილიდან მხოლოდ ქალ-ვაჟი დარჩენია ცოცხალი. როგ-ორც ხალხი ამბობდა, მისი ქალიშვილი ადა მეტისმეტად ანტაგონისტურად ყოფილა განწყო-ბილი ქართველების მიმართ და თავის აფხაზ მეუღლე— ადუ ქავთარაძესთან ერთად, დღესაც დაუძინებელი მტერია ჩვენი. ვაჟიშვილი კოკო და მისი სამი ძე კი იბრძოდნენ აფხაზების მხარეს, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ იძულებით აკეთებ-დნენ ამას, თორემ მრავალი იქ ჩარჩენილი ქარ-თველი შეუკვეთლებიათ და გადმოუყვანიათ ენ-გურს აქეთ სამშვიდობოს.. ვინ აპატიებდა ასეთ რამეს აფხაზს, მაგრამ მის უფროს ვაჟს გამოჩენილი სეპარატისტის ანჯიმ არგუნის ქალიშვილი ალა ჰყავდა ცოლადო. ამბობდნენ, ადა ლაცუზბაიას თვალის დასანახად არ უნდოდა მამამისი, ქართვე-ლების მხარე რომ დაიკავა და მათთან წავიდა საცხოვრებლადო. კოკო და თოლისბეი ჩუმ-ჩუმად ხვდებოდნენ ერთმანეთს დარჩელში. თუ რატომ არ დარჩა მამაპაპურ სამკვიდრობელში, ამას ასე ხსნიდა მოხუცი აფხაზი:

„დედა მეგრელი მყავდა — სალიას ქალი. ძიძაც მეგრელი — ანუ ფაცია, ძიძიშვილები დარჩელელი

ოთხოზორიები, ცოლი მეგრელი შევირთე — სანაიას ქალი, ლილი და საერთოდ, რაც უგუნურობით გაკეთდა მე ამას ვერ ავყვებოდი და მხარს ვერ ავუბამდი. ენგურს აქეთ გადმოსვლით ვაჩვენე ყველას, რომ ჩვენს შორის ბრძოლა და ომი არ შეიძლებოდა. ჩვენ ერთნი ვიყავით. თანაც მე ისე დავიტანჯე თავი ჩემი მამაპაპეული სახლ-კარისა და ოდაბადეს მიტოვებით, როგორც ეს საბუდრიდან ძალით აყრილ მრავალ ქართველს ერგო. უღმერთო მტრებმა წაგვკიდეს ერთურთს ეს ორი ერთმიწა ხალხი. ჩვენ სისხლით, ხორცით და ყველაფრით ნათესავები ვართ ერთი ნაფლეთა ღრუბლის იმედად მცხოვრებნი. და ჩვენი ასე სამკვდრო-სასიკვდილოდ წაკიდება ეშმაკის გახარებააო. ნაღვლიანად ამოთქვამს ზვავად მოწოლილ სევდას მოხუცი და შორეული ფიქრების მოგონებებს ჩაიღრმავებს დარდისაგან დაჭმუხნილ შუბლზე.

ენატრება მშობლიურობა თოლისბეის. ერხანობას წასვლასაც დააპირებს, მაგრამ იცის, რომ იქიდან მერე ან არ, ან ვერ წამოვა და საყვარელი მეუღლის — ლილის საფლავის დატოვება ეძნელება, უჩემოდ რა ეშველებაო და გადაიფიქრებს.

აფხაზურმა სიომ საამურად დაჰბერა. ეგ აფხაზური აკაციაა. ეგეთი თაფლი ჩვენთან, აფხაზეთში იცის. აფხაზურ ადესას და ამილახუს კახური ღვინოც ვერ შეედრება. რქაწითელი ციდან ჩამოფრენილი კი არაა. მეგრული ღვაჭითასგანაა გალაღებული იმ სვეკურთხეულ მიწაზე. ჩვენებური ბეწვათუთუნისაუკეთესოა მსოფლიოში. აფხაზები ძალიან მარდები, ლამაზები და ჭკვიანები არიანო, იტყოდა ხოლმე თოლის-ბეი. **გმირი აფხაზი მკვირცხლობით.**

მუშაობით და შრომით, როგორც იქ, ჩხოროთოლში, თავს აქაც არ იწუხებს მაინცდამაინც. რომ იტყვიან: ცალი თვალის მოვლება სასიმინდე და საბოსტნე ალაგი ჰქონდა დაგულებული. არვე კი მოგეცა ლხენა, მაგრამ მწყემსებად სხვა დაექირავებინა. ახლა ამაყი და მდიდარი გახლდათ იმით, რომ ლილის საფლავი ჰქონდა, რომელსაც თავს ევლებოდა და კიდევ — აფხაზეთზე განუწყვეტლივ საუბარს, ფიქრს, ოცნებასა და სიყვარულს სხვა ვინ დაუშლიდა, საერთოდ აფხაზებისგან და კოლხებისგან განსხვავებით, მეუღლის ხშირად ხსენება და ქება უყვარდა თოლისბეის. წინათ, ახალგაზრდობაში, არც ცოლის სიცოცხლეში ასე არ იყო. სხვასთან ცოლის სახელს როგორ წამოაცდენინებდი, მაგრამ მისი გარდაცვალების დღიდან ნამეტანი გაუჭირდა მოხუცს. ეტყობა სიკვდილი თანდათან მოუახლოვდა.

აფხაზეთის უკანასკნელ მთავარზე ხშირად იტყოდა სხვადასხვა ამბავს, მაგრამ იმ დღის მონაყოლი მაინც გამოირჩეოდა.

**ეს ამბავი აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის — ჰამუთ-ბეის, იგივე მიხეილის, სუფერ-ბეი შერვაშიძის გადასახლებიდან ორ წელიწადში მოხდა.** თოლის-ბეი იშვიათი მეგრულით გადმოსცემს ამ ამბავს. ხანდახან აფხაზურსაც გაურევს ხოლმე, როცა ფრაზის თარგმნა უჭირს. მეც ასე არა ვარ განა?! დედაენაზე საუბრისას გავიჭედები ხოლმე და იძულებული ვარ მეგრული სიტყვა ხელუხლებლად წარმოვთქვა.

**აფხაზეთის მთავარი 1864 წელს იძულებით წაიყვანეს რუსეთში, ხოლო ორი წლის შემდეგ, 1866 წელს მთელს აფხაზეთში რუსული მართვა-გამგეობა შემოიღეს. მაშინ გადაწყდა ჩვენი ბედი. იმ დროს რომ არ დავემონებინეთ უღმერთოებს, ეს დიდი ტრაგედიაც არ დატრი- ალდებოდა. დაგვაშორეს ერთურთს. იმდენი ქნეს, რომ გაგვაუცხოეს ერთმანეთისათვის. ამიტომაც ადვილად შეძლეს მტრობის მარცვლის ჩათესვა, რომლის აღმოცენებასაც ჩვენც შევუწყვეთ ხელი ჩვენი უნიათობითა და უჭკუობით, გუდაშ შურმე. შვილები, შვილიშვილები, მეუღლეები, ძმები, დები, უახლოესი ადამიანები დავუხოცეთ ერთმანეთს და ჩამოვარდა ზიზღისთვალება სიძულვილი. ახლა კი ისე აირ-დაირია ყოველივე, ღმერთი თუ არ ჩაერია ჩვენს საქმეში, ვერაფერი გვიშველის. რუსეთმა საქართველო-აფხაზეთი, სამეგრელო და სხვა კუთხეები, რომ დაიპყრო, შემოვიდა ჯარით, კაცით, ქალით, ბორშჩით, პურით, სიმღერით, ალაქვით, რია-რიით და ჩადგა კუთხეებს შუა. სანამ არ გავაპანღურებთ ამ უღმერთოებს, მანამ ჩვენი საშველი არ იქნება. გამოსავალი ერთია ბაბაია — წავიდეს რუსეთი და ერთმანეთის პირდაპირ დარჩენილ აფხაზებს, მეგრელებსა და სხვებს, სიყვარულის გარდა სხვა გამოსავალი არ დარჩებათ.** თოლის-ბეი ყალიონს გამართავს, ხარბად გააბოლებს და გააგრძელებს. **მთავარ ამბავს გადავუხვიე. მთავრის აფხაზეთიდან გაძევების მერე რუსებმა ოჩამჩირეში კაცმანი დანიშნეს, სოხუმში — პოლკოვნიკი კონიარი და მთელი აფხაზეთის მმართველობა ამ უკანასკნელს ჩააბარეს. ეს ტკივილიანი ამბავი, რომლის მოყოლასაც ახლა ვაპირებ, დადრა, ჩვენი წინაპრები რომ იტყოდნენ: მზისა და მთვარის წლიურ გასაყარზე, შუა ზაფხულში მოხდა. მოსახლეობის დასაშინებლად — საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების მიზნით, სოხუმიდან ლიხნში ჩამოვიდა კონიარი სალდათებითა და ამალით და დაუწყო ხალხს ღრიალი, დაშინება. მისი უპირველესი მოთხოვნა იყო — ჩაეტარებინათ მიწების აღწერა და გადასახადებზე მკაცრი კონტროლი დაეწესებინათ. გიორგი ტკეციშვილი ჰყოლია თარჯიმნად რუსს. აფხაზები ამის გაგონებაზე გადარეულან, უფიქრიათ მიწას გვართმევს ძაღლიშვილიო და**

ალიაქოთი და ჩოჩქოლი ამტყდარა. თოლის-ბეი რამდენიმე წამს დდუმარებს. ალბათ, უნდა თქვას მტრისასო, მაგრამ მეგრულად ვერ თარგმნის და გაჭედილშია. გაგულისებულ კონიარს მიუმართავს თარჯიმა- ნისათვის — რა უნდათ ამ ჭუჭყიან ტურებს, სიცოცხლე ხომ არ მობეზრებიათ, მათ არ იციან, როგორ მოექცნენ უფროსსო?!

ვერ გაიგეს თქვენო აღმატებულებავ, აუხსენით რიგიანად და დაწყნარდებიან. ეს ხალხი უაღრესად კეთილშობილი ხალხია და არ იმსახურებენ აუგსო, მიუმართავს თარჯიმანს.

როგორ მიბედავ ძაღლო, ტი ტოჟე სვოლოჩ, მე ამათ რა უნდა ავუხსნა! ვინ არიან კეთილშობილები ეს ძუკნა ძაღლის გაგდებულები? ხა...ხა...ხა... მე ამათი დედაც! გადმოუკარკლავს თვალები პოლკოვნიკს და ახლა მთავრის უფროსი ვაჟისთვის, პატარა გიორგისათვის, რომელიც ყოველი შემთხვევისათვის საგანგებოდ წამოეყვანათ, უთქვამს: გადაეცი ამ მაწანწალებს, რომ თუ არ დაშოშმინდებიან, ერთმანეთზე მიჯრით მივაწვენ და ზემოდან დავაშარდავო.

როგორ კადრულობთ ამას, ბატონო. ეს ხალხი არ იმსახურებს ამისთანა მოპყრობასო, ანთებულა მთავრის ვაჟი.

ამის გაგონებაზე მთლად შეშლილა კონიარი და ბოღმის ბურთად ქცეული სათქმელი, რომელიც ყვირილით უნდა ამოენთხია, წვრილსა და ყარყატა ყელში გაჩხერია და მწითურ სახეზე თეთრი გადაკვრია. ამის შემყურე ვინმე ვასია ჩერპოვს, მოხელესა თუ სტრაჟნიკს თავი გამოუდვია, იმედიანად გადაუხედავს რუსი ჯარისკაცებისათვის და უყვირია: ეს მთავრის შვილიც ძაღლის ლეკვია. ეგენი ერთი თესლისანი არიან სუყველა. მომეცით ნება პოლკოვნიკო ამ ბრბო საგან მხოლოდ საფლავები და მოგონებები დარჩესო.

ამისი თქმა იყო და აფხაზებს გამოეყო თურმე განთქმული ჯიგიტი დათა მარღანია, როიმელსაც სცოდნია, რომ იტყვიან: საყველპურო რუსული, ყოველივე გაუგია, რაც კონიარს და ვასია ჩერპოვს უბჟუტურიათ. შეუძახნია: ჰაჰაიტ, ჰაჰ აიტო! და თოფის ერთი გასროლით პირაღმა დაუგდია შენი მოწონებული ჩერპოვი. ამის დამნახავი აფხაზები დარევიან თურმე ყაზახებს. კონიარს ბრძანება გაუცია ყაზახებისათვის: დახოცეთ, ამოჟუჟეთ სუყველაო. თავად კი სასახლეში შევარდნილა და შიშისგან აძაგძაგებული ბუხარში შემძვრალა.

სულ ერთიანად ამოუხოცავთ ჩვენებს ყაზახები. შემდეგ კონიარიც გამოუთრევიათ ბუხრიდან და მოკვლა რომ დაუპირებიათ, მთავრის ვაჟი წინ გადადგომია გააფთრებულ თანამემამულეებს და დაშოშმინება უბრძანებია. ამ დროს შემოვარდნილა გაგიჟებული თადა მარღანია და შეწინააღმდეგებია მთავრის ვაჟს: შენ არა გაქვს ბრძანების უფლება გიორგი-ბეი. შენ უღალატე შენს სისხლსა და ხორცს. შენ უსმენდი იმას თუ როგორ ლანძღავდა შენს აფხაზ ძმებს რუსი ღორი. შენ რაღაც უთხარი სასხვათაშორისოდ, მაგრამ შეგეშინდა და პასუხი არ მოსთხოვე. შენ ამით შეურაცხყოფა მიაყენე ბაბუაშენის, დიდი მთავრის სეფერ-ბეი შერვაშიძის ხსოვნას. შენ ლაფი გადაასხი რუსებისგან წამებული და გადასახლებული მამის ჰამუთ-ბეის სახელს. შენ სიკვდილი დაიმსახურე და აღსრულდეს უნდა ნება უფლისა და წინაპართა ჩვენთა სულებისო. აჰაჰ აიტ, აჰაჰაიტო, შემოუძახიათ გაგულისებულ აფხაზებს და გაწეულან გიორგისაკენ, მაგრამ ანთარ-ბეის — აფხაზთა უხუცესსა და ბრძენკაცს უთხოვია ყურადღება. სმენად ქცეულა ყველა.

ჩემო კარგებო, მიუმართავს ანთარ-ბეის, აჩქარება სიბრძნის მტერია. ისე არაფერი ბღალავს სიბრძნეს, როგორც დაუფიქრებლად მიღებული გადაწყვეტილება. თქვენ, ჩემო სისხლისებო, გავიწყდებათ ის, რომ გიორგი-ბეი არასრულწლოვანია. მის თვალის ფერს არ შემატებია ჯერაც ფერი სისხლისა და მის გულში არ ჩაბუდებულა, უასაკობის გამო, შურისძიების მოუსვენარი გველი. თქვენ მისგან ითხოვთ იმას, რასაც მოთხოვდით მოწიფულ ვაჟკაცს. ეს უსამართლობაა.

დიდო ანთარ-ბეი, ჩაერთო თურმე საუბარში დაუდეგარი ვაჟკაცი თადა მარღანია, მაპატიეთ, რომ საუბარში ჩაგერიეთ. ეს არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს თქვენდამი უპატივცემლობას. პირიქით, მე და აქ მყოფი აფხაზები დიდად ვაფასებთ სიბრძნესა და გონიერებას თქვენსას. გვესმის თქვენი, მაგრამ ეს ბატონი, არც ისე პატარაა, ვერ შეძლოს დაიცვას ღირსება საკუთარი ოჯახისა, გვარისა და მერე თავისი ხალხისა. თითოეული ჩვენგანი, ვინც აქ ბრძანდება, უფრო მცირე ასაკიდან შევჭიდებულვართ იარაღს და ჩვენი ერის სიმცირის გამო მუდამჟამს ვომობდით! ჩვენ ბავშვობა, სიყმაწვილე არასდროს გვქონია. ჩვენი სიმღერა იარაღსა და ომის ღმერთის სადიდებელი გალობაა. ჩვენ, აფხაზი ჯიგიტები, მისი ტოლები და მასზე უფროსები, მოვითხოვთ მისგან — აღასრულოს უზენაესის ნება, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მოიკვეთება ჩვენი გულებიდან და ჩვენს შორის ჩადგება წყვდიადი, რომელსაც მხოლოდ ტყვია ან სატევარი გაანათებს სისხლისფრად.

მართალს ბრძანებს თადა, აღასრულოს უზენაესის ნება,მოკლას რუსი, თორემ... აყვირებულან აფხაზები.

მე არა მაქვს მითითების უფლება. ის ჯერაც პატარაა. დე, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

**მიაყურადოს უზენაესს. აჰყვეს მის ნებას. არ ვიცი, არ ვიცი, ბატონებო, ის ჯერ უასაკოაო, ამბობდა ანთარ-ბეი და ხელებს ასავსავებდა.**

**მაშინ აყაყანებული აფხაზები კოჩ ჩაჩბამ გააჩუმა. ის ნათესავად ერგებოდა თავადის ვაჟს.** ამ წინადადების თქმისას თოლის-ბეი მტკაველზე მომიახლოვებს სახეს. მწარე თუთუნის ოხშივარი მეცემა. **და მიმართა მათ: ძვირფასებო, გულზვიადო აფხაზებო, დიდად პატივცემულო ანთარ-ბეი, მე მოხუცი კოჩ, დედით შარვაშიძე, სისხლხორცით ნათესავი ჩვენი დიდი სეფერ-ბეი შარვაშიძისა, უფლებას ვიტოვებ, თანახმად ჩვენი ღირსეული წინაპრების ადათისა, აღვასრულებინო შთამომავალს ჩვენი მთავრისა ნება უზენაესისა. გთხოვთ მომგვაროთ კონიარი.**

**უმალ შეასრულეს უხუცესის ბრძანება ჯეელებმა. თვალის დახამხამებაში ჩაკალ-ჩაკალით მოიყვანეს ბუხრიდან გამონათრევი გაზანგული და გამჭვარტლული პოლკლვნიკი.**

**ახლა ხალხს მიუბრუნდა კოჩ ჩაჩბა. კიდევ ერთხელ ითხოვა სიტყვის უფლება და განაგრძო: აფხაზებო, რუსები ჩვენი თვასუფლების მტრები არიან. მათ მოგვაჭრეს ფრთები, რომლითაც ჩვენ თავისუფლად დავფრინავდით ამ ლამაზ მთებსა და შემოგარენში. მათ ძალით, სისხლითა და ბრძოლით დაიპყვრეს ჩვენი ქვეყანა 1810 წელს. დააყენეს რუს-კაზაკთა მრავალრიცხოვანი ჯარი და როგორც მათ სჩვევიათ, თურმე, ცალსახად განაცხადეს: ეს ბარაქიანი მიწა, ეს კრიალა, უქარო ცა, ეს ულურჯესი ზღვა, ეს მწვანე ნაბდიანი მთები, ქალებით, კაცებით, ბავშვებით, ფრინველებით, ცხოველებით — შინაურით, გარეულით — ჩვენიაო! მათ ნება-სურვილს პირდაპირ, ადვილად არ დამორჩილებია აფხაზი. რუსების ღორულად გაუმაძღარ მადას მრავალი ჩვენი ღირსეული მამულიშვილის სიცოცხლე შეეწირა. ისინი ცეცხლითა და მახვილით ახშობდნენ ჩვენს ნებას. გვაფურთხებდნენ სულში. აგერ, აიხედეთ ცაზე.** თოლის-ბეის ცისკენ გაექცევა მზერა. მეც. იქ ფუმფულა ღრუბლების თავგამოდებული მსვლელობაა აღმოსავლეთისკენ. **ხედავთ მიმინოს. მრავალი მზერა აიჭრება ცისკენ და სევდიანი ამოოხვრით შემზერს ფრინველის ნარნარ ირაოს. აი, თქვენ ზღვისფერი ზეცისკენ გაგექცათ მზერა, ისინი კი გვიკრძალავენ ამას და თავის აწევის უფლებას არ გვაძლევენ. კარგად უწყოდა ყოველივე ეს დიდმა მთავარმა — სეფერ-ბეიმ. იფიქრა, ჩვენ, ისედაც მცირერიცხოვანნი ვართ, რას გავხდებით ამოდენა თეთრი დათვის, სისხლიანი ურჩხულის წინააღმდეგ. ამოგვწყვეტენ, ამოგვჟუჟავენ და თავად დაეპატრონებიან ჩვენს დედულეთსა და მამულეთსო. ამიტომ აღიარა რუსთ-ხელმწიფის „ერთგულება“. მოინათლა და ქრისტიანული სახელი გიორგი დაირქვა. რუსებმა უბოძეს უმაღლესი ღრამოტა, რომლის ძალითაც შერვაშიძეები ცნობილ იქნენ აფხაზეთის მთავრებად, მაგრამ დროებით... ეს იყო მზაკვრული გეგმა. 1821 წელს აი, ამ უმცროსი გიორგის სეხნია გარდაიცვალა და მისი ადგილი დაიკავა პეტერბურგის პაჟთა კორპუსის აღზრდილმა, მისმა უფროსმა ვაჟმა დიმიტრიმ, რომელიც მეტად ჭკვიანი მმართველი გამოდგა. მოიკითხა დაკარგული მიწები. ურჩ თავად-აზნაურებს, რომლებიც გადასახადებს გაურბოდნენ, ისედაც გადმოფიშქინებული ყურები აუწია. ხაზინა ძველთან შედარებით ერთი-ორად გაზარდა. მრავალი ყმაწვილი სასწავლებლად პეტერბურგს გაგზავნა. ღარიბ-ღატაკებს ხელის გასამართად და სულის მოსათქმელად სესხი გამოუყო. ჯარის აშენებას მიჰყო ხელი. მეზობელ ძმა მეგრელებთან კეთილი ურთიერთობა დაამყარა და ამ ურთიერთობის გასამტკიცებლად დადიანის ქალი — თოლისქვამი შეირთო ცოლად. ეს ცუდად ენიშნათ რუსებს. კარისკაცი სომეხი ანიკა დაიქირავეს და მოაწამლინეს შხამით. სულ ორად-ორ წელიწადს იმთავრა სულმნათმა.** არ მყოფნის ჰაერი. დაბალია ცა. ახლოსაა, მაგრამ შორია მაინც ზღვამდე. მშია სივრცე, მტკივა ყველაფერი ტკივილის გარდა. ნამდვილი ჯასტაგანი ვარ. აუ, როგორია ტკივილის ატკივება ნეტავ?! ღმერთო, ჩამოდი ერთხელ მაინც და დაენახე ამ ურწმუნო ყაყლაჩებს, მუცელღიპა მატრაბაზებსა და უთვალმზერო ცუცურაკებს და დაარწმუნე, დააჯერე იმაში, რომ მაძღრობა და შიმშილი არაა ცოდვილი სულის გადამრჩენი, რომელსაც უციალებენ ბოროტების წითელი ალები. ო, ღმერთო, დიდებულო მიშველე, გადამარჩინე, ვიხრჩობი, ვიგუდები... **მისი სიკვდილის მერე აი, ამ ყმაწვილის მამაზე, მცირეწლოვან მიხეილზე, იგივე ჰამუთ-ბეიზე გადავიდა სამთავრო უფლება. ჰამუთ-ბეი ამ ყმაწვილის, გიორგის ტოლი იქნებოდა მაშინ. დიდებულად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. ძმაზე არანაკლებ გამჭრიახი გონების პოლიტიკოსი, მეურნე და სახელმწიფო მოღვაწე გამოდგა და ახლა რუსებმა მის გამოსწორებაზე დაიწყეს ფიქრი და ზრუნვა**. ო, ვერაგო წუთისოფელო, როგორ გაგისისხლიანდა ლაშები და ზიზღით აგევსო შურისძიებისათვის მომზირალი ეშმაკის ფერი თვალები. **რუსებმა ოჩამჩირის ნავმისადგომში სამი ორთქლმავალი გემი შემოიყვანეს, ექვსი ათასი ჯარისკაცი გადმოსხეს გენერალ შატილოვისა და მოღალატე, პოლკოვნიკ როსტომ მარშანიას მეთაურობით. ამას მიემატა ათასამდე ოჩამჩირეში დაბანაკებული ყაზახ-რუსი და თვალის დახამხამებაში ალყა შემოარტყეს მთავრის**

საზამთრო სასახლეს. რუსების განზრახვა ასეთი იყო: მთავარს წაიყვანდნენ რუსეთში, ხოლო უპატრონოდ დარჩენილ აფხაზეთს ადვილად მოუგრეხდნენ კისერს. მთავარი სასახლეში არ დახვდათ მომხდურთ. ის ერთი კვირის წასული იყო ტყვარჩელის მახლობლად, სოფელ კვასკეში, ამალასთან ერთად სანადიროდ. სასახლეში შეჭრილ რუსებს მთავრის მეუღლე, ქუთია კოზმავა, ცამეტი წლის დიმიტრი ხოჭოლავა და ასევე მცირეწლოვანი დედოფლის ნათესავი გური დადიანი დახვდათ შინამოსამსახურეებთან და სასახლის მცირერიცხოვან მცველებთან ერთად. ქუთია კოზმავა დროზე მიუხვდა ვერაგობას, ამიტომაც მოახერხა დასხლტომოდა მტერს, მოკლეზე ფეხით გადასულიყო და ეცნობებინა მთავრისთვის ყოველივე. ამ ხნის განმავლობაში რუსებმაც შეიტყვეს მთავრის ადგილსამყოფელი და შატილოვი ათასი მეომრით კვასკეში გაემართა. მთავარმა დაასწრო მტერს და სოფელ გუთფში გადავიდა მარშანიებთან. თავისი უმცროსი შვილის, არზაყანის მორდუ- ებთან. და შველა სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო მარშანიებისაგან. უაზროდ გავწყდებით, უსაზღვროდ ბევრნი არიანო, ბრძოლას აზრი არა აქვს, დღეს თუ ამდენნი არიან, ხვალ ათჯერ და ოცჯერ მეტნი იქნებიან და ერთი მუჭა ხალხი რას გავხდებითო, დაასკვნა უხუცესმა დემი მარშანიამ, მარშანიებზე იმანაც იმოქმედა, რომ რუსების ჯარს შატილოვთან ერთად მეთაურობდა მათი ნათესავი როსტომ მარშანია, რომელსაც დიდი ამაგი ჰქონდა თავის ნათესავებზე. მან ათეულობით ახალგაზრდა წაიყვანა რუსეთში განათლების მისაღებად. ამასაც მტკაველის სიახლოვით მელაპარაკება თოლის-ბეი მწარე თამბაქოს ოხშივრის მობოლებით. ბზიფელებმაც უარი შეუთვალეს მთავარს — აზრი არა აქვს ბრძოლას. ძალიან ბევრნი არიანო. თანაც ინფორმაცია გვაქვს — ხვალ-ზეგ კიდევ ორი ორთქლმავალი მოადგება ჩვენს ნაპირებს და ახალ ძალებს გადმოსხამენ რუსებიო. დადიანთან შიკრიკის გაგზავნა უკვე გვიანი იყო. იფიქრა მთავარმა, დავიწყებ ბრძოლას და შემდეგ შემეშველებიან ჩემი ცოლისიანები — დადიანებიო. გადაწყვეტილება რუსების მიერ გამოგზავნილმა შიკრიკმა შეაცვლევინა მთავარს. რუსი გენერალი ფიცს დებდა, რომელიც დიდი იმპერატორის ბეჭედდასმული ქაღალდითაც იყო გამაგრებული, რომ მთავარს ცოტა ხნით გადაიყვანდნენ ქუთაისში. აქ მოაგვარებდნენ გარკვეულ საკითხებს. ეს იქნებოდა მაგალითი სხვა სამთავროებისათვის და შემდეგ, როცა ყოველივე მოწესრიგდებოდა, მთავარს უკანვე დააბრუნებდნენ სამთავრო უფლებამოსილებით. მთავარმა როსტომ მარშანიას სიტყვაც ითხოვა, მაგრამ როსტომმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ისიც საკმარისია, რასაც იძულებით ვაკეთებ, სიტყვის გატეხვა კი ღმერთის უარყოფაა. ვერ ვიზამ ამასო. მეორე დღეს ყელგამოჭრილი უპოვიათ როსტომ მარშანია ზღვის ნაპირას. ასე იყო თუ ისე, გამოსავლის უქონლობის გამო დაიყოლიეს მთავარი რუსებმა. მხოლოდ ერთი მსახურის წაყვანის უფლება მისცეს ბედკრულს. ქუთია კოზმავა გაიყოლია. ნაღვლიანი თვალებით შეჰყურებდა გემში მყოფი მთავარი მშობლიურ მიდამოებს. ემშვიდობებოდა აბჟუას, საყვარელ აფხაზეთს. ავის მოლოდინით უცემდა გული, მაგრამ იოტისოდენა იმედი მაინც უციალებდა — იქნებ მართლა წამიყვანონ ქუთაისში, იქნებ არ უღალატონ სიტყვას, იქნებ სიმართლეა ყოველივეო, ფიქრობდა მთავარი, მაგრამ რუსებს როდის უთქვამთ მართალი, როდის ყოფილან სიტყვის ერთგულნი, მაშინ რომ ყოფილიყვნენ და მოხდა ის, რამაც მოუშორებელი უბედურება მოგვიტანა. გემმა პირი რუსეთისკენ იბრუნა. აფხაზეთში ჩაყენებული ჯარისთვის სარდლად ვინმე პოპოვი დაეყენებინა გენერალს და თანაც მისთვის სასახლეში დარჩენილთა ამოხოცვა დაევალებინა. ამ უკანასკნელმა ბრძანება უმალვე შეასრულა. ყელი გამოაჭრევინა დადიანისთვის და ცამეტი წლის ხოჭოლავასთვის. ხმლით აკუწეს ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე, მთავრის მოძღვარი. დეკანოზი ბასილ მიქაბერიძე, მთავარდიაკონი ივა ჩაჩბა, მედავითნენი: ივანე თვალთვაძე, იოსებ ტიტვინიძე, გრიგოლ კასრაძე, ალექსი დგებია, ბაზიერი ოტია კახიანი, მარეკები მანჩა შარაშია, ძაბრა არშბა, კალე ხინკუბა და სხვანი... აქ შევწყვეტ. ვიცი თავი შეგაწყინე დადრა, მაგრამ უნდა მეთქვა ეგ ყველაფერი გიორგისთვისო. აი, შენ სატევარი, ამოიღო ქარქაშიდან ცანდილი და გაუწოდა მის წინ მდგარს, მოსმენილით გაოგნებულს და თვალებდაქორებულ ყმაწვილს. ეს სხვათა შორის ბაბუაშენის ნაჩუქარი ყამაა, სწორედ ამით უნდა აღსრულდეს უზენაესის ნება და საწადელი, აი, ამ აფხაზებისა, რომლებიც მტრედებივით მართლები არიან. ჩვენი გზა მართალი გზაა, ეუბნებოდა გიორგის ჩაჩბა, სხვა სავალი და თვალსაწიერი ჩვენ არ გაგვაჩნია. შენ თუ ამ ხალხს უღალატებ, ესე იგი არ აღასრულებ მათ ნებას, შენი ღირსება მიწას განერთხობა და შენ მკვდარი იქნები მათთვის. ახლა თარჯიმანი იხმო ჩაჩბამ. გადაეცი ამ ძაღლიშვილს, არ მოუხედავს თითი ისე გაიშვირა კონიარისკენ, მისი ყველა ჯარისკაცი ამოხოცილია. ჩვენი მხრიდან კი ერთი მებრძოლიც არ დაღუპულა. ეს იმიტომ, რომ ღმერთს სურდა ასე, ზენას ნება იყო ასეთი. უთხარი ილოცოს, შეავედროს უფალს თავისი და თანამებრძოლთა სულები

**და მოემზადოს განაჩენისათვის, რომელსაც მას ეს ყმაწვილი გამოუტანს. თქვა და სახეზე მიაშტერდა მთავრის მემკვიდრეს ჩაჩბა, რომელიც დაბნეულობისგან აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, მაგრამ მოხუცის დაჟინებულმა მზერამ გამოაცოცხლა გიორგი. ამ ქვეყანას დააბრუნა და თანაც ისეთი ძალა ჩაუსახლა გულში, რომ თავი დევკაცად აგრძნობინა. გადაუთარგმნა თუ არა ტკეციშვილმა კონიარს ჩაჩბას ნათქვამი, რუსმა ღრიალი მორთო, შეაგინა აფხაზებს. ველურები, ტყიურები და ვინ იცის კიდევ რა არ უწოდა მათ. მთავრის ვაჟს კი უთხრა: შენ ამათი მსგავსი ხომ არა ხარ, შენ კეთილშობილი პიროვნება ბრძანდები. შენ ჩემი შვილობილი გახდები. ყველაფერი გექნება — პატივი, დიდება, სახელი. ეს ტყიურებიც შენ დაგემორჩილებიან, შენს ნატერფალებს დაკოცნიან. ჩვენ ერთად გავაკეთებთ ამას, ჯარს შემოვიყვანთ, დიდ ჯარს და ნახავ — სინამდვილეში ვინც არიან ეს ლაყუები! შენ დიდი რუსეთის ღირსეული შვილი ხარ. უკვე არაფერი ესმოდა ყმაწვილს. მიუახლოვდა კონიარს და თვალის დახამხამებაში მუცელში ატაკა სატევარი. ამის დამნახავმა აფხაზებმა დაკვნესებაც არ აცალეს რუსს, ისე აკუწეს, ფიაფიათ გეკიდეს. იმედი მიეცათ აფხაზებს. იმედი კიდევ საოცარია. იმედზე დიდი ღმერთი და დედაა მხოლოდ!** შენ შეგეშინდა გუდა, სიყვარულის შეგეშინდა. ასე რომ არ ყოფილიყო, წინ ვერაფერი დაგიდგებოდა, ვერც ომი, ვერც ესა და ვერც ისა. თავის მართლებაა, როცა ამბობ: ხალხს ხოცავენ და ჟლეტენ, მე ახლა ცოლი რომ შევირთო უგულოს მიწოდებენო. არაა ასე ჩემო კარგო, სწორედ ომსა და უბედურებაში უნდა გაამარჯვებინო სიყვარულს. „ფორდი" ჯვრის მონასტრის ფერხთით მისრიალებს უკვე. დავით აღმაშენებლის ხეივანს რა ხანია გამოვმცდარვართ. კაზარიანცის სასახლეს მოარიდებენ მის შემართულ თითს და კიდევ ნაზარბაევის ნაყიდ სასტუმროს, ოდესღაც ცაშია და მაღალიაო რომ უმღერა ჩარკვიანმა. დიახ, ჩვენით იწყება ცა და ხმელეთიო, ჯიმამ აიეტის დროინდელ კოლხეთში, მაგრამ ოქროცურვილი ვერძის ტყავით გაიტანენ ჩვენს საკრალურ საიდუმლოებებს და რაჟამს იმ სიბრძნის წაკითხვას ვერ მოახერხებენ უბირები, მილეწმოლეწავენ ტროას მისი გასაღების პოვნის იმედით. თუმცა ამაოდ და მხოლოდ შემდეგ გაიხსენებენ კავკასიონის ქედზე მიჯაჭვულ არამხუტუს, რათა მთავარ ქურუმს ამოაცალონ გულის კუნჭულში შენახული საგანძური ჩვენი. თუმცა მისანი კაცი არ გაანდობს საკაცობრიო ცოდნას ბერძნებს, გაუნათლებლებს არ გაუზიარებს მის სიღრმეს და ანიაგანს, რამეთუ შეიძლება ბავშვს ატომური იარაღის სამართავი პულტი მიაჩეჩო ხელებში გასართობადო და მოაკვდინებენ მასაცო. ამგვარად იტყვის ხოლმე აღვირახსნილი ორგიების ჟამს. არამხუტუ ხალხისთვის ეწამა. ხალხისთვის გავიდა ჯვარზე იესო ქრისტეც. შემდგომში ფართხი-ფურთხობდა ზოგიც, როგორ და რანაირად, მაგრამ პირდაფჩენილ ექვს მილიარდს თითო-ოროლას მოწამეობა მოუშუშებს დაუსრულებელ ჭრილობათა წყებას?! არც იეღოველი ვარ ბატონო, და აღარც — მასონი, მაგრამ სამშობლოს ცნებამ მუსრი გაავლო სრულიად დედამიწას. პირჯვარი რანაირად გარდაისახოს ხელშეკრულმა, ანდა სულაც კიდურებმოკვეთილმა?! ნუთუ ფიქრით აღარ ძალუძს ადამიანს უფალთან მიახლოება?! რა საჭიროა ეს არტახები. ხოლო სამშობლოს ავადმყოფურმა გაგებამ მამასისხლად წაკიდა პატარა თუ დიდი ერები ერთურთს და ვართ მოურჩენელ წიოკობაში. სრულიად დედამიწას არავინ ეძახის სამშობლოს, პლანეტის პრობლემები უცხოა ლამის ნებისმიერი დიდი თუ მცირე ქვეყნისათვის. მაგრამ, აგერ, თვალის დახამხამებაში რომ დალეწა ჩინეთის კედლის პირქუშობა კომპიუტერმა?! რამდენი ფული მეხარჯება და ერთი ჯღანი „პენტიუმ-ორი" ვეღარაფრით შემიძენია. ინფორმაციის ეპოქამ შეავიწროვა სამშობლოს საზღვრები და ნებისმიერი დაპირისპირება ახლა გლობალიზაციას ბრალდებაო, იტყვის ჯიმა და მთლად გაქანებული შეურაცხადი თუ ხარ, შეეწინააღმდეგე. ბაქრაძის თარგმნილმა მანქურთმა გამაოგნა. განსაკუთრებით მენშევიკი თოხაძისა და ჩეკისტი სანდროს ფენომენმა. მოსისხლე მტრები არიან და მაინც ერთად მღერიან, შეწყობილად აბრიალებულ კოცონთან. ფილტვები დასკდომამდე დაბერილა. და ამ თავაშვებულ მრავალხმიანობაში ერთმანეთზე მიაწვენს თანამოძმე ექვს თეთრს ჩეკისტი სანდრო. შემდეგ დამფრთხალი ცხენების მოყურადე, შუბლზე მიიბჯენს მაუზერს და ისიც ჯიშ-ჯილაგის გვერდით აღესრულება. ცეცხლის ძალა მე ადრეული წლებიდან მიგრძვნია, განსაკუთ რებით ცხრათვიანი ტყვეობის ხანაში.

ყირმიზ დედა-შვილს მოიყვანენ იანვრის მიწურულს. აშოლტილი ქალია, ჯეირანივით ჯიშიანი. ხორბლისფერი თმა სულ დაწნული აქვს წელამდე რომ სცემს მკლავზე უფრო მსხვილი. ქალიშვილიც დედის ამნახატია. ცისფერთვალება. თორმეტი წლის ძლივს იქნება, ჯერაც გაუშლელი კოკორი. მომდევნო დღეს დედას ქალების ამალაში გარევენ მანდარინის მოსაკრეფად. ბავშვი კი წაიწევა მშობლისკენ სლუკუნით, მაგრამ თაქ ქორდასია ბაღანა, ჩხურუს ცოდა რენია, დააიმედებენ და ვერავინ გამოესარჩლება მისი თვალების ჟუჟუნს. ოდაში დარჩენილი ბოევიკები ხელებს ასარსალებენ. დაპობილ შეშას ავუტან გოგონას.

კუთხეში მიკუჭულა შიშჩამდგარი, ნუკრის განსახიერებაა.

შეუნთე-მეთქი ბუხარს, გათბი.

პირველად დაძარღვული კაპიტანი აკითხავს, ჭროღათვალებიანი. ერთხანობას ჩამიჩუმი არ ისმის ზედა სართულიდან. შემდგომ წივილად და კვნესად იქცევა მთელი სახლი. დაუძლურებული კაცები სარდაფში დაყრილან. მეც ამათი ჯილაგისა ვარ, ჯასტაგანი. ომით თავი არ მომიკლავს. მანქანას დავაგორებდი და პროდუქტით ვამარაგებდი ფრონტს. ვერავინ ბედავს ხმის გაღებას. ის კი არა დახველების ეშინია მრავალს.კიდევ სამ მამაკაცს დააპურებს იმ დღეს კენარი გოგონა. დედა თვალებს არიდებს ამხანაგებს, ქალიშვილსაც. მომდევნო დღესაც იგივე განმეორდება. რატომღაც თითოეულ ბოევიკს ამ გოგონასკენ მიუწევს გული, თითქოს თაფლი აცხიაო. ყველა მასთან სიახლოვეს ნატრობს და გაორმაგებული ჟინით იკლავს საწადელს. კვირის თავზე ბოევიკები დედასაც დაიტოვებენ და ახლა გვერდიგვერდ წურავენ ქალებს. მანდარინის მკრეფავი დედაკაცები ამრეზილან. მათი სახსენებელი გადავიწყნია დუშმანს. დედა-შვილი თვალწინ აცლის ყველას ძვირფას საგანძურს და დაიწყებენ ენის წაგდებას:

თქვა ჯუა-გოდირგილეფია. თითქოს თავად ფეხაჩაჩხულებს არ ეწვნიათ მათი ბედი.

გათახსირებულებიო, თითქოს ეგენი უცოდველები იყვნენ დიანასავით.

გააგდეთ ორივე პლანტაციაში, თორემ ფეხს არ მოვიცვლით აქედანო, იგესლებიან. უთავაზებენ კონდახებს გავა-თეძოზე და დააშოშმინებენ ცოტას, იკადრებენ ფერდობებისკენ წაწკმუტუნებას. ამასობაში მე გვარიანად მომიგროვდება ხიხილა შეშა და ბენზინ-სალიარი კანისტრებით. ყველაფერს რკინის კარებიან გარაჟში ვინახავ. ექვსი-შვიდი თვე გრძელდება ეს დაუსრულებელი ორგია. ჯერ გაზაფხული შემობრძანდება, შემდეგ მცხუნვარე ზაფხული მოახალვათებს მკლავებს და ძუძუებს. ახლა მთლად დაიჩაგრებიან მანდარინის მკრეფავი მანდილოსნები. დედა-შვილის უპირატესობა ასწილ გაზრდილა. ხელჩართულ ბრძოლაშიც შევესწრები აღვირახსნილ დედაკაცებს. თვალსა და ხელს შუა დაქალდება ტანკენარი გოგონა. გაითქვირება. მოგვიანებით მუცელიც წამოუმრგვალდება დედასავით. სიცილკისკისსაც უხშირებენ. ესენი კი მიდიან და მოდიან. ანაშა და თრიაქი რა სახსენებელია, როცა ბუხარი შპრიცებითაა სავსე. ნარკოტიკი ჯიბით დააქვს ყველას. სადაც მოუნდებათ იქ გაგაჩერებინებენ მაქანას და გაირჭობენ მედდის შესაშური გაწაფულობით. ქუთუთოები ჩამოეზლიტებათ. ტუჩები გადმოებურცებათ. ლეზვა ჩამოედინება ზოგიერთს. გაირინდებიან და მივხვდები, რომ მეტის ატანა შეუძლებელია. კაცთაგან უკვე არავინ შერჩება სარდაფს. ზოგი თავისით აღესრულება, სხვებს სიურჩის გამო მიახვრეტენ კედელთან. ყველას მე მივაბარებ მიწას გადაბელილი ნაძვის ხეების რიგთან. დროს ვიხელთებ ნაშუაღამევს. სამი-ოთხი საათისთვის ადამიანი უღრმეს ძილშია დაფლული. უროები რომ უხათქუნო, ძვრასაც ვერ უზამ. ჰოდა, დავივლი გისოსებიან ფანჯრებს. ორსართულიანი გარეთ ქვიტკირისაა, შიგნით წაბლის ფიცრებით გაწყობილი. ორ კალისტრა ბენზინს ვასხურებ იატაკსა და კედლებს. ოთახებს სათითაოდ ჩავრაზავ, იმ ქალების სამყოფელსაც და ბოევიკების ცხენის გასაჭენებელ ზალასაც. იარაღს ხელს არ ვახლებ. არ არის ეგ საჩემო საქმე. ვერ ვიხსენებ რომელი თვის რომელი რიცხვია, ან რა დღე კიანთებს ვარსკვლავიან ცაზე. გავკრავ ასანთს და გადავაგდებ აივანზე. ამისთანა სასწაულს აწი ვერასდროს შევესწრები. თვალის დახამხამებასაც რომ ვერ მოვასწრებ, ისე წითელი სარტყელივით შემოეხვევა ცეცხლი ცოდვიან სრასასახლეს, დიახ, წითელი სარტყელივით , გნებავთ დრაკონი გიწოდებიათ. ტკაცუნებს და გარგარებს ორსართულიანი. საქალეთიდან შემართულ ხელებს დავლანდავ. დედაშვილისას მივამსგავსებ რატომღაც, შესაძლოა სულაც იმ დაფეხვილებისაა. რა მენაღვლება, მე ხომ ჯასტაგანი ვარ?! ერთადერთი ცრემლი გამეხირება გულში, როცა ბუხართან მიჭუჭკული გოგონას ხატება აღმიდგება წამით. აღარც მანქანებს დავაკლებ ყურადღებას. მესამე კალისტრით სათითაოდ მოვალბობ თითოეულს. ორხიდიანს საჩემოდ მოვიტოვებ. არის ზურგს უკან ყურისწამღები ბათქა-ბუთქი. ზოგი სასახლის შიფერისგან, ზოგი ოდაში შეტანილი ტყვია-წამლისგან და ზოგიც— მანქანების ძრავისგან. ცრის. ფიფქსაც გაურევს აქა-იქ. მივგრიალებ ენგურის გაყოლებაზე. თაგილონი სამია. შემდეგ — ხურჩა და ნაბაკევი. ფონს ვეძებ გადასასვლელს. მამა-შვილი ზვამბაიები არ დაერიდნენ გადარეულ ენგურს, მაგრამ მე ცურვის შნო არ დამყოლია, თანაც სუსხი ძვალ-რბილში ატანს. ენგური მთელი ძალმოსილებით მოგრიალებს. ნამდვილი მაქურქაა. აღარ ვთარგმნი ედუს ჯინაზე. ეტყობა კაშხლიდან ერთიანად მიუშვიათ წყალგამშვები სარქველები და პელაგონი ნაპირებს ეპირქუშება ყანყრატომდე. სადღაც ოტობაიის სიახლოვეს ვიმყოფები. ტანი მიგრძნობს ყოველივეს. ფარულუებთან თუ საშენგელაიოსთან. იქ ენგურის ტოტია და მერე თავად მთავარი ნაკადი. მანქანას დავაგდებ ნაპირზე. ბენზინს ვღვრი მოთრთვილულ ხაბოზე, პლასტმასის კანისტრებს ვათავისუფლებ, მოვხუფავ ცარიელებს, გავუყრი სახელურში ფართო ქამარს და თამამად შევალ მდინარეში. მანქანის აფეთქებას მყისვე გადავიფიქრებ, ვინაიდან შესაძლოა ცეცხლმა ჩემი

ადგილსამყოფელი გამოააშკარაოს და მომაყარონ ტყვიები. ქვემოთ და ქვემოთ წამიღებს მდინარე. სანამ ნაპირამდე მივაღწევ, ორ კილომეტრზე მეტს დამაცურებს ზღვის მიმართულებით. ამოვაღწევ ნაპირზე და ზამთრის სუსხს მთელი არსებით შევიგრძნობ. შუქი არსაიდან ცრიატებს. უშველებელი სიკვდილივით დამხობილა ღამე. მოყინულ გზაზე მივაბიჯებ ფეხშიშველი და ჩაწკვარამებულ ოდა-სახლებს შევბღავი: მასპინძელო, მასპინძელო-მეთქი, მაგრამ ვინ არის გამგონე, ნუგეშისმცემელი. სველი ტრუსიკი ხანჯალივით შემომეტკიცება გავა-თეძოზე. სად არის შენი ავლა-დიდება. ტყავის პერჩატკში ვმალავ მას, თუმცა კაკლები ჭაჭებისკენ გაქცეულა. ფირთხია მარტო და ცრემლი— ჩემთვის ესოდენ უჩვეულო. მეტს ვეღარ გავუძლებ. დაბოქლომებულ ჭიშკარს გადავევლები. არ შევუშინდები ძაღლების გნიასს და საზარელი ღრიალით წამოვშლი მასპინძლებს ფეხზე. რემიკო ბესელიას ოჯახს მოვსდგომივარ თურმე. მდინარისპირა ორსანტიაში, ოტობაიის უბანი რომ ჰქვია რატომღაც. ჯერ მაცივრის ყინულით დამზელენ. შემდეგ ჭის წყლით განმბანენ. მოგვიანებით მასხურებენ ნელ-თბილს და ბოლოს მდუღარეში მიტუცავენ თავს. მიწყალობებენ ძველმანებს, სინამდვილეში ახლებზე უკეთესს და კვირის თავზე ზუგდიდისკენ გავუტევ. იქიდან დარჩელშიც მოვხვდები ერთ ხანობას. თოლის-ბეის თაობაზე მომიხსენებია. არა, სამშობლოს ცნება ადამიანის უმთავრესი თავსატეხია. ჩვენი უბედურების სათავე აღვირახსნილი განსხვავებულობაა. წყალი კი გამორჩეულია, ყველგან თანაბრადაა გადანაწილებული დონის თვალსაზრისით. სიღრმე გნებავთ ათასწილ ჩაუფსკრულებული ჰქონდეს, მაგრამ დონე ერთია მსოფლიო წყლებისათვის, ჯიმას მტკიცებით. ან ზვიადს რანაირად დაეჯერება, როცა სამშობლო არა აქვს ცხოველსო, ბრძანებს ?! ბუდე, სორო, ბუნაგი, ნუ გვგონია ჩვენ სამშობლო და ნურც — ეკლესია. ამ მიმართებით ყველაზე დიდი სამშობლო ჩვენი სხეულია, სადაც ვცხოვრობთ დროებით ავად თუ კარგად და რაჟამს ამ უკანასკნელს გადათელავენ, გჯიჯგნიან, რომელი ერთია შენს კონკრეტულ ტანჯვას მიყურადებული, იმ სულის გადარჩენის იმედით,რომელიც სავალალოდ არსაიდან ილანდება?! ცნობიერების წაშლის მხარდამხარ ქვესკნელდება სამუდამოდ. რომელმა ერთმა მოიძია სული გარდაცვალების შემდეგ. მიშნაღურუეფი ჩმახავენ ზღაპრებს, შავ ხვრელებს და ათას სისულელეს მოიშველიებენ, რათა უფრო პოპულარულები გახდნენ ხალხში, გამორჩეულები, რომ შედარებით იოლად გალიონ წუთისოფელი. თოლის-ბეი უეჭველად მოვა იქ, ენგურთან. დედაჩემის ცხედარს დაუტირებელს არ დატოვებს. მეც ხომ გამომიღია ხელი მათი უბედურებების ჟამს. არც ფული დამიზოგავს. რას შვრები მერე?! დაადებს თავს სასაფლაოსკენ ის მხცოვანი აფხაზი და მოკვდი შენ გუდა ჯასტაგანი. არა ჩემი წამოდგომა არაფრით იქნება. ორგზის ნაინფარქტალ კაცს ვინ მოსთხოვს სალ-სალამათივით იკუნტრუშეო. ვეგდები ჩემთვის ამ დასვარკულ ლოგინზე და ასე გავაცილებ უბედურ დედაჩემს. ოტობაიის ხიდით მაქანით მაინც არ გადაისვლება. კიდევ კარგი, დღემდე რომ არ აღუდგენიათ ჩანგრეული. იქვე ვიტყვით გამოსათხოვარ სიტყვას და მშვიდობით იყოს დედაჩემის სახსენებელი. რიკოთს მოვდგომივართ. როგორ ამოკლებს ფიქრი და ოცნება გზას?! ესეც ჯიმას წყალობაა. კაფანდარა დედაჩემი თორმეტი წელიწადია არ მინახავს. ტყვეობის პერიოდში მქონდა შესაძლებლობა წამით მაინც შემეჭვრიტა ჩვენს ოჯახში, მაგრამ მანქანიდან გადმოსვლას ვერიდებოდი სულმუდამ: არიქა, ვინმემ არ მიცნოს-მეთქი. სახელს ვუფრთხილდებოდი, აფხაზების დამქაშად მომნათლავ დნენ და იარე მერე დუნიაზე შერცხვენილმა. ჩვენი ოდა-სახლი განგების წყალობით გადარჩენია დახანძვრას. კი დაეშინათ ლაფანის კარებისათვის ,,ტრასირუიუში‘‘ ტყვიები, ცეცხლიც გასჩენია, მაგრამ ბედზე ქარს ჩაუქრია. იმდენი გაგვაჩინა ცხონებულმა, უბორნიაში შესვლას ვერ ვასწრებდით და თუ უფრო სერიოზული არ გვაწუხებდა, პირდაპირ მოფარებულში ღობეს ვაშარდავდით. ჩემს უმცროს დასაც აქედან მოსდგამს მამაკაცური ჯარღალი. ერთი ძმა შორეულ ნათესავებში გააშვილეს ჩვენებმა. თითქოს გოჭი ყოფილიყო. აკვნით და ჭინჭებით მოგვადგა ის წითური დედაკაცი, დატოვა საჩუქრები და აკვანში ჩაკრული მოჭყლიპინე ჩვილით უტია თავის გზას. დავიფანტენით. ზოგი სად და ზოგი— სად, მაგრამ ყველა ჩვენგანი, თითქოს კომპასის ისარი ვყოფილიყავით, ჩრდილოეთს მივაწყდით: ლენინგრადი, მოსკოვი, მაიევკა, სოხუმი. დავლაგდით თითქოს. მე საათფთიაქო სამმართველოს მანქანას დავაგრიალებდი, ძარადახურულს. სარგებელიც მქონდა უამრავი. ,,რიბი ჟირის‘‘ დაცლილ კასრებს ვყიდდი სოფელ და სოფელ. ამას გვარიანი გასავალი ჰქონდა მაშინდელ სამურზაყანოში. საარაყედ იყენ ებდნენ ,,ოგნენაია ვადას‘‘ მოყვარული ჩვენებურები. ლაცუზბაიებთანაც ამ კასრმა დამაახლოვა. ათამდე გავასაღე მათ სამეზობლოში. ყვაპუს და ჭირის წამლები ხომ მიმქონდა და მიმქონდა უშურველად?! რა ხანია ინათა. ქარელთან მოგვისწრო დილამ. სანამ ორსანტიაში ჩავგრიალდებოდეთ, ოტობაიის უბანში, შუადღეც მოურაკუნებს, მაგრამ ეგ არაფერი, ჩვენთან მიცვალებულის გასვენება სამხარზეა მიღებული, ანუ ხუთი-ექვსი საათისათვის. მანამდე ცხონებული დედაჩემის გამოტი-

რებასაც მოვასწრებ და გზის დალოცვასაც. ზომაზე მეტად გამიფრთხილდნენ , როდესაც აქეთ შემომთავაზეს მიცვალებულის მოსვენება, ჩანგრეულ ხიდთან, ორსანტიის მხარეს. იქ რემიკოსიანები, ან გნებავთ პერტაიებისგან გასაშლელ მაგიდებს ინათხოვრებდნენ, ჭურჭელ-მურჭელსაც და ლოგინიდან წამოუდგომლად პატივს მივაგებ მშობელს. ცხვირში ახლაც მიღიტინებს სუნელების სუნი. ამისი ნამდვილი ოსტატი გახლდათ შედანხე. გასაოცრად უზავებდა წიწაკას ქინძს და ოხრახუშს. დარიჩინი, ნიორი, პრასი, უცხო სუნელი, საკუპატე ცალკე, ცალკე საქონლის ხორცისათვის მარილნაზავი პილპილი. სალობიე. განსაკუთრებული გემოიანობით კაჭაბე გამოირჩეოდა, დანაყულ თხილთან არეული. იგი მისწრება იყო ყოველთვის ნესვთან თუ მოხარშულ სიმინდთან. დაუმატე ამას გებჟალიასთვის გამზადებული პიტნები და კიდევ ათასი მიქსტურა: არაყზე დაყენებული ვარდი თუ წყავი. ამით არჩენდა ოჯახს. ამით გვაცმევდა ჯალაბს. ამით გავდიოდით იოლას ქელეხსა და ქორწილში. გაირბინეს წლებმა და მუჭისხელად იქცა ჩემი შედანხე. ნამგალივით მოიხარა წელში. სათვალე სამჯერ ჩამოვუტანე, მაგრამ თვალის ჩინი იქამდე შეუსუსტდა ძლივს არკვევდა ნათელს ბნელისგან. თავის ეზოში ყველაფერს გუმანით აგნებდა ჭამდე, ალღოთი მიფრუტუნებდა საქათმესა და სასიმინდეშიც. ბედნიერებაა, ადამიანი თავის სამკვიდრობელში რომ ბრძანდება. განა სხვაგვარადაა სამყაროში?! დედაჩემის პრუტუნს არაფრით სჯობია კაცობრიობის ხვანცალი მზის სიტემაში. გადიან ღია კოსმოსში გაგარინები, პოპოვები, არმსტრონგები და ხან მთვარეზე სტოვებენ გაუბედავ ნაკვალევს, ხანაც უჰაერო სივრცეში აფათურებენ ხელს რაიმე ჭეშმარიტის მოხელთების იმედით, მაგრამ ვერაფერი გაიგეს ამ ღმერთის ამოსუნთქული ჰაერეთისგან.

რიკოთზე თოვლის თხელი საბურველია ტროტუარებზე, ფოთლოვანი თუ წიწვოვანი ხეების ტოტებზე. ფრჩხილისოდენა ფიფქებს პენტავს, მაგრამ წყლიანია, მიწამდე მიუღწევლად დნება. ჩემი ჭირისუფლები უფრთხილდებიან ნაინფარ- ქტალი კაცის მდგომარეობას და აქეთ მოაქვთ პურმარილი: ცხელ-ცხელი ხაჭაპურები, კარტოფილიანი პერაშკები, შოთის პურები და იმერული ყველი. ხორცეულზეც არ იტყოდნენ უარს ჩემი თანამეინახეობა რომ არა. კახეთში ჯიმას დამგზავრებულმა ბევრი შილაფლავი და ხაშლამა ვინებე ვიღაც მიცვალებულის ჭირის სუფრაზე. ჩვენთან განსხვავებული ადათ-წესია. ესენი მკვდარს მეოთხე დღეს ჩააქანებენ სამარში, ჩვენთან კი ერთი კვირა უცილობლად უნდა ესვენოს ქრისტიანული წესით. არა, განსხვავება უამრავი შემინიშნავს ამ თორმეტი წლის მანძილზე რიკოთს გაღმა-გამოღმა, მაგრამ ეგ არაფერი გასაკვირია, რომ იტყვიან: ყველა სამზადს და ჩეჩმას თავისებური ოხშივარი ასდის. ჯიმას თეთრი ნაბადი უსახსოვრეს ვაშლოვანის ნაკრძალში ჩალაბაშვილებმა და ნატროშვილებმა. მირზაანში ნახევარი დღე დასტრიალებდა თავზე ფიროსმანის ნახატებს. გაგაძეებსაც მიაკითხა და მათი სამასი წლის აკვანი მოიძია. ზავოდობა მოიმიზეზა კაცმა და თურმე გულის ამობერტყვა ნდომოდა. ათობით ლექსი წაიკითხა ზარის მაგვარი ხმით, სულ მამულზე, და ომახიანი, უბატონო, კუთხით ხარობდა და ხარობს დღესაც. ამგვარს ერთადერთს ხედავს ჯიმა დასავლეთით და იმასაც — კოდორის ხეობას, იქაური მუშვანების უდრეკელობას. ამისი ქომაგია, ამისი მქადაგებელი. დმანისშიც ვიყავით ერთხელ, წმინდა გიორგის ეკლესიის გახსნაზე. იქ ერთი კაი კაცი, პოეტი, უძღვებოდა ღონისძიებას და ხალხში მდგომი ჯიმა რომ იხილა, ამოუხმო სცენაზე. სიტყვა სთხოვეს სახელდახელო. ვერაფერს მოაბა თავი, მხრები აუცახცახდა, გულთან მიიკრა ორივე მაჯა და ეგრევე წაუჩოქა დამსწრეებს. დაინგრა კინაღამ ცა და ხმელეთი ტაშის თუ „ლილეოს" გუგუნით. იქაც გვიწყალობეს პურ-მარილი და კვლავაც ნამუსიანად გამიყო ჯიმამ. თავად ხუთ სულიანი ოჯახი აქვს და მე, გალოკილი თითივით მარტოხელას, თანაბრად რომ მიზიარებს მეგობრულ ნობათს, დიდი უსამართლობაა, მაგრამ თავს ზემოთ ხომ ძალა არ არის?! იცის ჩემი სტომაქის ამბავი ჯიმამ და ვებრალები.

ჩემი სანჩო პანსა ხარო, წამეხუმრება შიგადაშიგ. „დონ კიხოტი" ისე ჩააბარა კაფანდარა მეწიგნეს, რომ წაკითხვასაც ვერ მოვასწრებ. კახი კავსაძის შესრულებულს კი ვკიდებ ერთხელ თვალს ეკრანიდან, მაგრამ ბევრი ვერაფერიშვილი აღმოჩნდება. კინო ორადორი ვიხილე ამ თორმეტი წლის მანძილზე — „ანდრეი რუბლოვი" და „ერთხელ ამერიკაში". ორივე მომხიბლა, დამარეტიანა.. აღარაფრით მცილდება თვალებიდან ზარების ჩამოსხმის სცენა და კიდევ— შეუდარებელი მუსიკა. ნიუ-იორკის ქუჩებში ებრაელების სიმრავლეს მაგონებს ზუგდიდის დადიანების ხეივანი. იქით ურიების ზედახორაა და აქეთ — მეგრელებისა. იქ ცილინდრები ახურავთ წვერმოშვებულ მამაკაცებს და აქ — უწინაფრო ქუდები სახეჩაღამებულებს. იქ საზიდრების თრევაა და აქაც, ოღონდ ჩვენი დედაკაცები ირჯებიან მეტადრე. კაცები მოედანზე მუსაიფობენ. აფხაზეთის დაცემის წლისთავზე შემოვუერთდები ამ ამალას. დილიდან საღამომდე მასლაათში გაგვაქვს თავი, რათა შებინდებულიდან ჰუმანიტარულ ლობიოს და პურს მუცელი ამოვაყორინოთ, შევძვრეთ ჩვენთვის განკუთვნილ კუთხეში და მივეცეთ მძლეთამძლე თვლემას. ენგურზე გადმოსული ფეხს ვერსად მოვიკიდებ. ორსანტიაში ჩემი მოგვარეები უარს მტკიცავენ მიღებაზე. ოცი-

ოცდაათი ოჯახი შეკედლებია თითოეულს. იგივე განმეორდება ახალკახათსა თუ დარჩელში. აქაც რამდენიმე ათეული ჯალაბი შეუხიზნავს თითოეულს. ერთ ხანობას თოლის-ბეი გამიწევს კვირიან მასპინძლობას, მაგრამ ოჯახის უფროსი მაგრძნობინებს დელიკატურად ზედმეტი რომ ვარ, და ზუგდიდ-ქალაქისკენ გავუტევ. ჯიბეში ჯერაც მიჭყავის რემიკო ბესელიას ნაწყალობევი კუპონები. ბიძაშვილს მივადგები საჯვაროსთან. დევნილების ტევა აღარც აქაა. ოცდაშვიდი ოჯახი შეუხიზნავს ორსართულიან სახლს. ჩეჩმის ამოსუფთავებას ვერ აუდიან. გაიხარებენ ჩემი გამოჩენით. ყველას მკვდარი ვეგონე თურმე. ტახტაზე დამითმობენ ადგილს საპატივცემლოდ. პირველ კვირას გასაძლისია სტუმრიანობა. კუპონებიც თავისას შვრება. მეორე კვირას ბუზღუნი იმატებს თავად ხიზნებისაგან. მესამე კვირას უკვე ჭურჭლის მომეტებული ჩხარუნია და მეოთხე კვირას ის ჭურჭელიც აღარსად ჩანს, ყველა თავისას დაპატრონებია. თორიას ლაზარეთი მახსენდება თუთაშხიადან. ნამდვილი კაციჭამიების კასრად ქცეულა ჩემიანების კრებული ულონობის წყალობით. პირველად თავად ოჯახის უფროსი გადაიკარგება შინიდან. ამით თითოეულს გვაგრძნობინებს: კმარა, ბატონებო, კმარაო! მერე, როცა გამოცარიელდება ნალიაში სიმინდი და ლობიო; როცა ჭურჭლის გასაჩხაკუნებელი აღარაფერია სხვენსა და საკუჭნაოში, აიკრავენ გუდა-ნაბადს და მეც იმ ტალღას წავყვები ქართისაკენ, სადაც მრავლად და უზომოდ გამომწოვს სისხლს თავკომბალა ქალაქი. ,,ივერიაში'' შემიკედლებს ერთი ღვთისნიერი ბერბიჭა. საბუთებსაც თვითონ მოათადარიგიანებს. ვართ ასე კაზარიანცის სახლს და ანდროპოვის ყურებს მიშტერებულები. მაგრამ აფხაზეთის ხელისუფლებასთან სიახლოვე, მაინც თავისას გაიტანს. მივდგებ-მოვდგებით, მარშუტკაზე დასაჯდომ ფულს მოვუყრი თავს. რამდენიმე თვეში ცოტა მომიგროვდება და ბერბიჭა მეგობრის რჩევით პროცენტზე გავასესხებ. ერთ წელიწადში ფული ორჯერ გაიზრდება. ამას წავუმატებ კიდევ გზა და გზა მოზოგილს და თორმეტი წლის ,,ფორდის'' მარკის მარშუტკას შევიძენ ბაზრობაზე. იქიდან მოყოლებული სხვანაირიად შეტრიალდება ჩემი იღბალი. მუხიანიდან, სადაც ჩემი ხაზია, მიჭირს რუსთაველზე სიარული. ბენზინიც მეტი მეხარჯება და ავყვები ,,გრუპა ზახვატას'' ქალების ფეხის ხმას, შევიჭრები ვინმე ჭეიაძის კუთვნილ ბინაში. სხვებისგან გამორჩევით ერთადერთი ეს ღვთისნიერი არ მაწუხებს თავისი მობინადრეობის პრეტენზიებით. ვართ ორივე ჩვენ-ჩვენთვის. ზახვატ ჩიკები ფულს რომ მცინცლავენ, იმისი დიდგულობით, საშვილიშვილო ბინა ჩამაგდებინეს ხელთ, რომელიც ხან ათი ათასი დოლარის ღირებულებისაა და ხანაც — ოცდაათისა. მართმევენ და მეც დიდად არ ვიწუხებ თავს განიავებული ფულით. სამაგიეროდ მეხმარებიან დაუზარლად, გაჯის ამოტანაა ეს თუ ბლოკცემენტისა. იაფ ხელოსნებს გამოძებნიან მიწის გულიდან. კანალიზაცია და ელექტრობა ამათ გააყვანინეს. ჩემი ფული იყო მხოლოდ, ელიავას ბაზრობაზე ესენი გამეგზავნენ და ხარისხში არავის დავუღალატებივარ. ახლა, ოდნავ მეტი თუ გაეხარჯათ, ცალკე გზის ფული იკითხე, ცალკე — პივისა და სუფ-ხარჩოსი. კარები ფიჭვის ჩამისვამს და მივქარე კიდეც. ყოველ ზამთარზე ჩამოშალაშინება უწევს ჩვენს განუყრელ დურგალს. გამოზაფხულდება და ნეკა თითი ეტევა ღრიჭოში, მაგრამ ყველაფერი ჯანდაბას, მთავარია, თავზე ჭერი მახურავს, ძირს იატაკი მიგია, ზედ— დასვარკებული ლოგინი. ,,ივერიიდან'' გადმობარგებით რამდენადმე მოგებული დავრჩები. მართალია, იმათ მიაშავებენ კომპენსაციას სამი ათას დოლარამდე, მარამ ჯერ ერთი, იმ კომპენისაციაში ბერბიჭა ამახანაგს ხომ არ ჩავეზიარებოდი. იქ ხომ ოთახების მიხედვით გაიღეს გასამრჯელო. მერედა, ავარიდებ მზერას აღმაშენებლის ცხენის ყვერების მოურჩენელ ყურებას, თუმცა აქაც ივარგებს რომელიღაცა ფხიანი და ჭენებ-ჭენებით გააბრძანებენ ჩვენს მეფეს კონსტიტუციის მოედნიდან დიღმის შემოსასვლელისაკენ. ახლა ვეფხვისა და მოყმის ორთაბრძოლას გამორიდებულ მძღოლებს დავითის ცხენის გავა და ბეხვე-ბეხვე ავლადიდება ხვდებათ გზის დამლოცავ ავგაროზად. არც ანდროპოვის ყურების დემონტაჟით ვიწვრილებ გულს. წელიწადზე მეტია გოჯობით დაჰყავთ ცოკოლისკენ ეს საბჭოური სიმახინჯე და ასაფრენ სივრცეს უთავისუფლებენ სამოცდაათიან წლებში შეკრეჭილ კაზარიანცის სასახლეს. სამარ- თალ მა პური ჭამა. არაშენდაში ყოფნა მირჩევნია.

ქუთაისს გამოვმცდარვართ . ვიკითხავ დროს და თერთმეტის თხუთმეტი წუთიაო, შემეპასუხებიან. კარგად გვივლია. რომ არა ჭინჭყლი ამინდი, უკვე ჩანგრეულ ხიდთან ვიქნებოდით. საათნახევარსაც მოითმენს კაცი რამდენადმე. აქეთკენ ამინდი შედარებით ლმობიერია. გაჯავრებული ღრუბლებით მეგებება კოლხეთის ზეცა. საუკუნედ ქცეული საათნახევარიც საპონივით შემომელევა ფიქრებში. აღარსად შევყოვნდებით. ,,ჩემნაშ კართან'' გადავუხვევთ და ორსანტიისკენ მივეშურებით, იმ ჩამტვრეული ხიდისკენ. ჩვენს გამოჩენაზე ატყდება ერთი ვაი-უშველებელი. მთელი სანათესაო აქეთ გადმობარგებულა. ორასამდე ჭირისუფალს მოუყრია თავი ხიდისთავთან. მიცვალებულის გალაქული სასახლე პირღიაა. კუშეტკაზე შეუდგამთ. მოშორებით ჭირის სუფრაა გაშლილი და ტაბურეტებზე გადებული ფიცრები. ,,ფორდის'' საბარგულიდან ვამჩნევ დედაჩემის გაპუდრულ სახეს. სისუფთავის განსახიერება იყო ცხონებული. ერთ ნაჭერ მიტკალს არ გადააგდებდა, სადმე მიაკემსავდა, გამორღვეული თუ ეგულებოდა.

ჩემს წამოყვანებას შეეცდებიან ძმები, ბიძაშვილები, მამიდაშვილ-დეიდაშვილი, მაგრამ ნურას უკაცრავად, ორჯერ ნაინფარქტალი კაცის ხელის ხლება არ იქნება, თან რომელი „პადიომნი კრანი" დამძრავს ადგილიდან?! მოდიან და „ფორდის" კარებიდან მართმევენ ხელს. მკოცნიან, იცრემლებიან, ვიშვიშებენ. მანქანასთან ჩამომწკრივდებიან ჩემიანი კაცები შავი სატინის პერანგებით და კვირის მოუპარსავი წვერით. მხცოვანი თოლის-ბეი თავთით მიდგას. ვენური სკამი გამოუტანეს რემიკო ბესელიას ოჯახიდან და იმაზე ჩამოჯდება. აფუტებს ძველებურად ყალიონს, ზედ ცხვირთან მილიტინებს გულის შემხუთავად თამბაქოს კვამლი, მაგრამ ამეებზე რანაირად შევნიშნავ მხცოვანს. კარაკულის ქუდი მუხლზე უდევს. ბარაქიანი წითური ყურები უფრო გამოკვეთილა ჭირისუფლების შავების ფონზე. ზღვაური პირდაპირ ჩემი „ფორდისკენ" მოაქუჩებს ჭირისუფლის გამონაბოლქვს. სული მეხუთება. ვგონებ მესამე ინფარქტი გამოსაგონებელი არ არის. მარცხენა მხარეს მჩხვლეტს მიყოლებით. წამოვდგე ბოდი და სუფთა ჰაერისკენ გავეცლებოდი მოზღვავებულ ხალხს, მაგრამ ამეებზე ფიქრი თავიდან უნდა ამოვიგდო. ერთხელ ამორჩეული როლი ბოლომდე შეუცდომლად უნდა გავითამაშო. შინიდან წამოძღოლიებულ პურ-მარილს შლიან სუფრა გადაფარებულ მაგიდაზე. არის სინანულით თავის კანტური. ეს ყოველივე ჩემი უნუგეშო მდგომარეობითაა. უშვილძიროდ გადაეგოო. ამასაც მომიფრიალებს ზღვაურის ქშენა. ფერხთით დები მისხედან. მუხლისთავებზე მეფერებიან. დათბუნებულ ადიალას მისწორებენ. ცრემლიც წასკდებათ აქა-იქ და ძნელია მათ სიწრფელეში შეეჭვება. აკი, ტყუილად არ თქმულა, სადაც დის ცრემლი დაეწვეთება, იქ ბალახი შვიდ წელიწადს არ ამოვაო. ახლა მარჯვენა მხრიდან გამსჭვალავს გულის ძახილი. ცივი ოფლი მასხამს. ტუჩები მიშრება. მაინც ვითმენ ყოველივეს. მე ხომ ჯასტაგანი ვარ. ნელ-ნელა სუფრისკენ გაიკრიფებიან ჭირისუფლები. რემიკო ბესელიას ვენურ სკამიანად იქითკენ მიუპატიჟიათ ტანთხელი თოლის-ბეი. აზიურები უკრიალებს მოხუცს. გალიფე შარვლითა და კიტელით მივიწყებული საუკუნიდან გადმოსულს დამსგავსებია. ორასლიტრიანი ბიდონი გადატანილია „ფორდიდან" და საჭიროებამ თუ მოითხოვა, მეორესაც ჩააბრძანებენ სადაც არის. მაგრამ მე ამეებისთვის არ მცხელა. გულის მუჯლუგუნები ყოველი მხრიდან მომძალებია. ჭიქა ღვინოს მაინც მომაწვდიდეს ვინმე. თავიდან უჩინარი რომ მგონია მკერდის ქვეშ შემოხიზნული ბიძგები, ახლა თვალნათლად ვამჩნევ, უპატრონო ღორებისგანაა . აი, უფალმა ლეგიონის სულისგან რომ განდევნა და ზღვის ღვარცოფში დანთქა. კოლტის გაუმაძღრობას საშველი არ უჩანს. წამში შესანსლავენ ჩემს ფასდაუდებელ მეგობარს და ახლა გასლიპინებულ ბადექონს მოსდგომიან. არა, ამ სხეულში დარჩენა უკვე სახიფათოა. ცხადლივ ვხედავ რანაირად გაეყრება ჩემი სული მთასავით დაზვინულ სხეულს. ღრუბლების სიმაღლეზე ავიტყორცნები წამში. აეროსტატი მიხილავს კინოფილმიდან ბავშვობაში, კალათმიბმული და ცეცხლის ალით მქშენავი. დაახლოებით ამგვარია ჩემი მდგომარეობა. მოდიან სამადლობელი სიტყვის სათქმელი სადღეგრძელოთი შუათანა ძმები, მაგრამ მათი ბღავილი მიწას შეძრავს. დაუჯერებელი ჩოჩქოლი და ფორიაქია ირგვლივ. გამომათრევენ დასვარკებული ლოგინით დედის სასახლის სიახლოვეს და ხელოვნურ სუნთქვას არ მაკლებენ. ერთმანეთში არეულა სახე და მოძრაობა.

**დავგრიალებ აღმა-დაღმა ჩემი ძარადახურულით. ადრე ხამსას დავატასავებდი დედაქალაქისაკენ. ახლა ომია და დავაჭყვიტინებ ღორებს, ძროხებს და კამეჩებს. რუბენას ბოინიასთან შევყრი მათ. წამში სიქას გააცლიან ფეშტამალიანი ბიჭები. შლანგით გამორეცხავენ ჩემს მანქანას. გაშლიან ცელოფანს და ზედ დაალაგებენ კუჭმაჭ და თავებაცლილ საქონელს. გადამიხდის რუბენა მოღუნული ხორცის საფასურს და ფრონტის ხაზს მივაშურებ. ტომრებით მიმაქვს პური. გაჭირვების ტალ-კვესს მეძახიან. არა, ესენი ნამდვილი გმირები არიან: ადამია, ახალაია... მხედრიონელები. ამათი სიკვდილზე მეტად ეშინიათ აფხაზებს. მათი სამკერდე ნიშანი კაცის წონა ოქრო ფასობს. მოგვიანებით მკვდარ ქართველში ცოცხალ აფხაზს გაცვლიან. გააპატიოსნებენ მიცვალებულს. დედა ჭრილობებს უკოცნის ვაჟიშვილს. უცებ აბრეშუმის ძაფი მოედება ფრჩხილს. ამოსწევს მშობელი და ავგაროზივით სამკერდე ნიშანი არ შერჩება ხელთ?! ლომგულები! აი, ტყვიას კბილებით რომ იჭერენო, ამათზე თქმულა. აკობებში სხედან კვირაობით, თვეობით. გამხმარი პური და კონსერვია მათი საზრდო. ედუმ გვასწავლა ომის წაგება, მოგებული პაზიციების ჩაბარება. აიღებენ სტრატეგიულ ადგილს ჩვენები. ათი-ოცი-ოცდაათი სიცოცხლე შეეწირება ამ ოპერაციას. მერე მოვა ბრძანება გენშტაბიდან:**

**საჩქაროდ გაეცალეთ იქაურობას, რას იფიქრებენ რუსებიო და მალე იმ პაზიციებიდან წამოვა ტყვიების წვიმა. ნირწამხდარი და სისხლგამშრალია ჩვენი მხედრობა. ედუმ გვასწავლა მოგებული ომის სხვისთვის ხონჩებით მირთმევა. პერემირია შეარქვეს დაგამოსის ზავს. მოაყრის მოსახლეობა სოხუმის სკოლებს ბავშვებს, სტუდენტებს — უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებს. ორმხრივად გავყვანთ მძიმე ტექნიკას — ჩვენ რკინიგზით, გემით. ისინი გაახრიგინებენ თვალთმაქცურად ფსოუმდე და შემოგვიტრიალდებიან ორ-სამ კვირაში. საცოდაობაა პირდაპირ. შიშველი ხელებით ებრძვიან ტანკებს ჩვენი ლომგული ბიჭები, ხელნაკეთი გრანატებითა და AKM-ით. ხოლო, როცა მასირებულად შემოგვიტევენ ციდან, ზღვიდან თუ ხმელეთიდან, დედა შვილს ვერ აიყვანს ხელში. ენით აუწერელი პანიკაა. ჯარისკაცს ცალი ფეხი სანგარში უდგას და ცალიც — ოჯახში. აქეთ სამშობლოს ებღაუჭება, იქით — ჯალაბს. აქეთ მტერს იგერიებს და იქით — სისხლ-ხორცის გახიზ-**

**ვნაზე ზრუნავს. მივაკითხავ ბინას კიროვზე, სადაც სარდაფში გადადნობილ ოქროს ზოდს ვინახავ, მაგრამ სად არის ცხრასართულიანი?! ცოკოლია მხოლოდ და ბეტონის ნაყარ-ნუყარი. ახლა ფრონტის ხაზისკენ წავიწევი, იქაც გადამიმალავს შედარებით მომცრო, მაგრამ სად არის შენი შტაბი?! ამგვარად დაემართება მამაჩემსაც: ხვნისას ქვევრს წააწყდებიან ძმები,შრომის იარაღით სავსეს. ოქროსი ეგონებათ, გაასინჯებენ ზუგდიდ-ქალაქში იუველირს, მაგრამ სპილენძისა აღმოჩნდება. გადამალავენ მერე სხვაგან — არიქა, არ აგვყარონ აქიდანოო, ამისი შიშით. მოგვიანებით, სანამ ვინმე მალხაზია დაიწყებდეს იმ დიხაგუძბაზე არქეოლოგიურ გათხრებს, მიმიყვანს მამაჩემი ქვევრის საძებნელად, მაგრამ მოუჭრია ხეები, სახნავად უქცევია ჩალის ფასად შეძენილი მამული ახალ პატრონს და ისტორიული ის განძეულობა დაეკარგება ქვეყნას, ხალხს. თავქუდმოგლეჯილი გამორბის დიდ-პატარა. მაშინ შემოვიხიზნავ ჩემი ბატალიონის ბიჭებს:**

**თქვენთან მოვეშურებოდი-მეთქი. მკოცნიან. მეხვევიან. ისედაც ამათთან ვირიცხები მომმარაგებლად. აბმუნდიროვანიაც მათნაირი მაცვია. ტრასაზე დაგვაყრიან გრანატამიოტებს გაღმა ხევიდან და სამოცდაშვიდიდან ათი ძლივს გადავრჩებით.** ჯოჯოხების ქერათმიანი ბიჭი არაფრით მეშვება. ახლა ყველა მისი დასტაქრობის იმედითაა. უშველებელ ნემსს გამიყრის მკერდში, მორფიუმით სავსეს, იქნებ განმიახლოს გულის ძგერა, მაგრამ იქ რომ უკვე გამქრალა მისი სახსენებელი?! ფიჩხივით ნეკნებია და გამოქვაბულის მსგავსი სიცარიელე. ვხედავ როგორ ჩაუსრიალდება კისერზე ჩამოკიდებული ფონენდოსკოპი. მწარედ ჩაიქნევს ხელს. მორჩაო, იტყვის და დების გაბმული კივილი მიმოსწევს ცაზე შეჯარებულ ღრუბლებს. აი, ამ სიმაღლიდან ვუთვალთვალებ ყოველივეს. ერთმანეთს ახუტებენ თავებს. არის ცრემლის ფრქვევა და თავში ხელების ცემა. მაგრამ მოდიან ყველასთვის უჩინარი, უსხეულო აჩრდილები და თავდაღმა გადამატრიალებენ ისედაც მისავათებულს. კიდევ კარგი ქამარზე არავინ მწვდება, არც ხვანჯარზე, უამისოდაც მოხერხებულად მომადგებიან და ორი მეტროს მოშორებულიდან ერთდროულად მომაშარდავენ. ე, ბიჭო, ე, რჯულგამწყრალო, ამდენ შხაპუნას რომელი ჯასტაგანი გაუძლებს, მე რომ გავუძლო?! ერთადერთი კაფანდარა დედაჩემია ამ აუტანელი მდგომარეობის მფარველი, ძვალტყავა სხეულით წამოიმართება თავისი უკანასკნელი საცხოვრისიდან, ზედ გადამეფოფრება, და ამისი შემხედვარე აგაგები უკუდგებიან ოდინდელი სიმორცხვით. იოტისოდენა გულშემატკივრობა არ ამომყვება ფიქრიდან. არანაირად ვექომაგები დაზვინულ სხეულს, რომელსაც ადრე სამშობლოზე უკეთეს პატივს მივაგებდი. გიხაროდეს ჯიმა! ძალა რომ შემწევდეს, სამარის ნაცვლად საწნახელში გადავუძახებდი მის სახსენებელს და საკუთარი აკარწახებული ფეხებით გვარიანად გამოვადენდი უმაქნის წვენს, რომელმაც ესოდენ გააფუა მისი გასაგისი. ყველა მიცვალებული აქ გადმომდგარა სეირის საყურებლად. გამქრალა სინანულის გრძნობა. რაღაცნაირი ეშმაკური ღიმილი დასთამაშებს ტუჩებზე თითოეულს. ამ დასახიჩრებული სახეების ერთადერთი მალამო ჩემი გაცამტვე რებაა. ვხედავ რანაირად უსწორდება თითოეულს მოქცეული გამოხედვა, გამოღადრული ყელიუმრთელდებათ. მოჭრილი კიდურები და ხორცი რაღაც ჯადოსნური მანქანებით აესხმებათ ჯირკისმაგვარ ტანზე. წკრიალახმიან ყოყოჩიასაც მუცელში ჩაუბრუნდება ხვიარასავით მოფრიალე წელები. მწყაზარი დედაშვილიც მოხრეშილ შუკაზე გამოდიან თავშალში შეხვეული რამე-რუმეთი და ჩანგრეული ხიდის გეზს დაადგებიან. დაბეჭილი თმა კვლავაც წელამდე სცემს დედას და წელზე ხელშემოხვეულ გოგონასაც ცისკრის ვარსკვლავი უკიანთებს თვალებში. სად არის წამობურცული მუცელი. ე, ბიჭო, ცოტათი ჩასწიე ეს ღრუბელი. ამნაირ სიმხურვალეს არაა ჩვეული ჩემი ანიაგანი. სხეულს კი არა რკინას დაადნობს მისი თუხთუხი. როგორ, თავით მიპირებ იმ უფსკერო ქვაბში ჩაყუდებას?! ოდნავად არ გეცოდები მაღალო, ნუთუ იოტისოდენა სიკეთე არ დასცვენიათ ამ კედლებს?! იქით შარდისგან დნება ჩემი სხეული, როგორც ლოკოკინა მარილის მოყრის შემდეგ. აქეთ გავარვარებული ღრუბლის ზვირთები ნთქავს ჩემი სულის გალავნებს. ვიმუსრები ორივეგან. ვპარტახდები ორივეგან. ვნადგურდები უკუნითი უკუნისამდე. ესეც შენი ჯიმა, ესეც შენი რუსთაველი: **ავნებს ხორცსა, მერმე სულსა.** დაუჯერებელია, ყველასთვის მოულოდნელი, ერთ დროს ჯეირანივით გამსხლტარი ხიდი, ლაღუმებმა და დინამიტებმა რომ ააყირავეს და დააკუზიანეს, წელში იშლება, შვებით იზმორება. აღიდგენს პირვანდელ მდგომარეობას. მანქანა თავისით იქოქება. შესრიალდება ფენიქსივით განახლებულ ხიდზე და გამეტებული სიჩქარით გაუტევს წინაპართა საძვალეთისკენ. ე, ბიჭო, მადროვეთ ცოტა ხანი! ერთი კვირა მაინც დამაცადეთ! ხომ არ ვიხვეწები, ორმოც სუტკას?! მოვიდეს ვინმე ღვთისნიერი, ჭიანჭველამჟავას ალდეჰიდი მაძგეროს მუცელში, დამაბალზამოს. არა, გამკითხავი წარხოცილა. ვგონებ დედაჩემის ცხედარს გადავასწრებ და ასე განუკითხავად ჩავსრიალდები პირღიად მოჩერებულ აკლდამაში. აბა, სხვა სიკეთეს ელოდი წუთისოფლისგან თუ მაცხოვრისაგან, ჯასტაგანი ტერფით — თხემამდე?! ეს საჩემბედოდ, მაგრამ დედაჩემი ტირის, ჩემი კოხტა და თვალებთაფლა დედა! მიყვარხარო, ნანა, შენზე ფიქრმა და დარდმა დამლიაო ასე სანთელივით. სულ გამირბოდი, მაგრამ ახლა ხომ მოგი-

ხელთეო სიკვდილდატანებულმა. რა იციო შენ დედაშვილური სიყვარული. მეორე ასეთის შექმნა თავად ღმერთსაც გაუჭირდაო და ამიტომაც დარჩაო სამყარო დედაშვილური სიყვარულის ანაბარა! ჯვარი სწერიათ! შენ კი, მოდი, მოგეფერები და დაგიკოცნიო ბუთხუზია ლოყებს. ადრე სიზმარში გიხელთებდიო მხოლოდ, ახლა კი უსიზმრო ქვეყანაში ვიქნებითო ერთად!

არ მინდა დედა, მაცალე ცოტა ხანი, გავიხედ-გამოვიხედო! წუთისოფლის მტვერი და დარდუბალა ჩამოვიფერთხო მხრებიდან-მეთქი.

რას ამბობ საყვარელოო, მე კი არა იღბალი არ გაცლის, თავის დროზე მიწად ქცეული, მიწადვე იქცევა უცილოდ. შენც ჩემი მიწის ნაწილი ხარ და ჩემით შეუერთდები მიწიერსო.

არადა, რა გვინდა, რას ვხოცავთ, რას ვიბრძვით, რას ვეძებთ, რას ველით?! ყველანი ხომ მიწის შვილები ვართ: მე — ჯასტაგანი, თქვენ და ყველა, ყველა... ღირდა კი სიცოცხლე სიცოცხლედ?!

— **არა!**

—**კი!** იქმნება ცა და მიწა. მიწა უსახოა და უდაბური, ბნელი დევს უფსკრულებზე და სული ღვთისა იძვრის წყლებს ზემოთ. **იყოს ნათელი**! და იქმნება ნათელი. ნათელი კარგია და გაიყრება ნათელი და ბნელი.ნათელი — **დღე**! ბნელი — **ღამე**! იყო საღამო, არის დილა — პირველი დღე!

— **არა!**

— **კი! იყოს წყალთა შორის მყარი და გაიყაროს წყლები**! ეყრება ერთმანეთს წყალი, რომელიც არის მყარს ქვემოთ, და წყალი, რომელიც არის მყარს ზემოთ. **ცა**. იყო საღამო, არის დილა — მეორე დღე.

— **არა!**

— **კი! შეგროვდეს ერთგან ცისქვეშეთის წყალი და გამოჩნდეს ხმელეთი.** ხმელეთი — **მიწა.** შეგროვილი წყალი — **ზღვა. აღმოაცენოს მიწამ მცენარეული — ბალახი, თესლის მთესველი, ხე ნაყოფიერი, თესლოვანი ნაყოფის მომტანი მიწაზე თავისი გვარისდა მიხედვით.** წარმოშობს მიწა მცენარეულს... იყო საღამო, არის დილა — მესამე დღე.

— **არა!**

— **კი! იყოს მნათობები ცის მყარზე დღისა და ღამის გასაყრელად, დროჟამის აღმნიშვნელად — დღეებისა და წელიწადებისა. იყვნენ მანათობლებად ცის მყარზე რომ გაანათონ მიწა**. ჩნდება ორი მთავარი მნათობი, — დიდი მნათობი დღის გამნათებლად და მცირე მნათობი ღამის გამნათებლად — და ვარსკვლავები. სხდებიან ისინი ცის მყარზე, რომ გაანათონ მიწა, განაგონ დღე და ღამე, გაყარონ ნათელი და ბნელი. იყო საღამო, არის დილა — მეოთხე დღე.

— **არა!**

— **კი! აფუთფუთდეს წყალში სულდგმული, მიწის ზემოთ კი, ცის მყარზე, ფრინველებმა იფრინონ!** იქმნება დიდი თევზები და ყოველი სულდგმული, მცურავი თავ-თავისი გვარისდა მიხედვით, რაც კი წყალში ფუთფუთებს, და ყველა ფრთოსანი თავისი გვარისდა მიხედვით. ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ ზღვები. ფრინველებმა იმრავლონ მიწაზე. იყო საღამო, არის დილა — მეხუთე დღე.

— **არა! არა!**

— **კი! კი! კი! წარმოშვას მიწამ სულდგმული თავ-თავისი გვარისდა მიხედვით — პირუტყვი, ქვემძრომი და მიწის მხეცები თავ-თავისი გვარისდა მიხედვით.** ჩნდება ნადირი თავ-თავისი გვარის მიხედვით და ქვემძრომი თავ-თავისი გვარისდა მიხედვით. **გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად. ეპატრონოს ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელს დედამიწას და ყველა ქვემძრომს, რაც კი მიწაზე დახოხავს!** იქმნება კაცი, ღმერთის ხატად იქმნება იგი, მამაკაცად და დედაკაცად იქმნებიან ისინი. **ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დახოხავს. აჰა, მომიცია თქვენთვის ყოველი ბალახი, თესლის მთესველი, რაც კი დედამიწის ზურგზეა და ყოველი ნაყოფიერი ხე, თესლის მთესველი, ეს იყოს თქვენი საზრდო. მიწის ყველა მხეცს, ცის ყველა ფრინველს, ყველა ქვემძრომს, რასაც კი სიცოცხლის სული უდგას, მწვანე ბალახი ჰქონდეს საჭმელად!** იყო საღამო, არის დილა — მეექვსე დღე. აბა, აფეთქებული ტყემლით გაქათქათებული გაზაფხულისპირი სად და როგორ გეხილა. ან ,,ჩელას‘‘ და ,,ჩაკრულოს‘‘ სხვანაირად რაფერ მოისმენდი?! მთლად დავბნეულვარ. მე რისი განმსაზღვრელი ვარ, სიკვდილი ჯობია თუ სიცოცხლე, როცა თავად უფალთუფალი დაუსაბამოდ ორჭოფობს — ჰო თუ არა?! იქნებ ორივე ერთადაა ნაგულისხმევი, ხელიხელგაყრილი, სიამის ტყუპი. ტანდემურიო, იტყოდა ჯიმა. უკე- თესია მივყვე აღმართებს. ან რა ჩემი საქმეა ამნაირი ფიქრების კორიანტელში ლაყუნი?! მე ხომ კამეჩისტყავა ჯასტაგანი ვარ, ნამდვილი ჯასტაგანი!

**07. 01. 2006 წ.**

**თბილისი.**


SOSSOSSOS
თამაზ ბუთხუზი
„გაახელ თვალებს — იქნება გვიან“
SOSSOSSOS
თამაზ ბუთხუზი
„გაახელ თვალებს — იქნება გვიან“
SOSSOSSOS
თამაზ ბუთხუზი
„გაახელ თვალებს — იქნება გვიან“
SOSSOSSOS
თამაზ ბუთხუზი
„გაახელ თვალებს — იქნება გვიან“
SOSSOS
თამაზ ბუთხუზი
„გაახელ თვალებს — იქნება გვიან“
SOSSOSSOS

**სურვილი ძლიერი იყო – გრძნობდე საყრდენს, გახდე იმაზე მეტი, ვიდრე ხარ. ალბათ,** ეს მისთვის ისეთი მნიშვნელოვანი იყო, რომ უდაბნოს სიცხე, წყურვილი, შიმშილი აღარ აშინებდა.

მან იცოდა

იქ სადღაც შორს, იყო სამყარო, სადაც ღმერთებმა ადამიანებს გრანდიოზული პირამიდების აღმართვა შეაძლებინეს.

მან იცოდა

დროის ყველას და ყველაფერს ეშინია, დროს კი, ეშინია პირამიდების. . .

იქ, ეგვიპტის წმინდა ტაძრებში, ცხოვრობდნენ მაგები, იეროფანტები, რომლებიც უდიადესი ჭეშმარიტების გააზრების სირთულის საიდუმოლებას ფლობდნენ. მხოლოდ ისინი ფლობდნენ იმ პაპირუსებს, რომლებზეც სიმბოლური ფორმით იყო გამოხატული სიცოცხლე-სიკვდილისა და სიკეთის დაქვეითებით ბოროტების აღზევების საიდუმლოება.

უკიდურესი დაძაბვით გადაღლილ ადამიანს აღარაფერი ახსოვდა, ის უსაზღვრო ინტერესით ისმენდა ასტრალური გარსის გაწმენდის ამოუცნობ საიდუმლოს.

ამიტომაც მიისწრაფოდნენ ეგვიპტისკენ ამაღლებული აზროვნების ადამიანები.

"ყველაფერი ეს იზიდამ და ოსირისმა იციან." – ჩურჩულით უხსნიდნენ ქურუმები ადამიანებს.

ვინ იყვნენ ის ღმერთები, რომლებზეც, მაგები, ტუჩზე თითის მიდებით ლაპარაკობდნენ?

. . . ადამიანი ამ ღმერთებისკენ იდუმალი სიჩუმის თანხლებით მიჰყავდათ. წმინდა ტაძარში ის კოლონების გავლით შეჰყავდათ, რომელთაც თავისი სიმძლავრითა და სიწმინდით მზისა და ცის კაბადონის შეკავება შეეძლოთ. ადამიანის საიდუმლოებისკენ სწრაფვას ამძაფრებდა ქურუმის გამჭოლი თვალები, რომლებიც ამ იდუმალებას მალავდნენ. მოკვდავის სულს ქურუმის მზერა ალესილი შუბივით განჭოლავდა; ადამიანი ხვდებოდა, რომ ის ისეთი უდიადესი არსების პირისპირ იდგა, რომლის წინაშეც, რაიმეს დამალვა შეუძლებელია. სწორედ ეს ქურუმი წყვეტდა გაენდო მისთვის მისტერია, თუ უსიტყვოდ, ფოლადისებრი ჟესტით ტაძრის დატოვება ებრძანებინა.

თუ ქურუმი "ცხოვრების აზრის მაძიებელში" ნდობისა და ჭეშმარიტების გულწრფელი ძიების ჟინს დაინახავდა, მხოლოდ მაშინ გაუძღვებოდა წინ და გაატარებდა კლდეში გამოკვეთილ დერეფანში, რომელსაც ორივე მხრიდან სფინქსები გადმოჰყურებდნენ.

ისინი მიწისქვეშა გამოქვაბულის კარიბჭეს (რომლის კარს იზიდას, იდუმალების ღმერთის, შოკირებადი ქანდაკება ფარავდა), სრული სიჩუმით უახლოვდებოდნენ.

იზიდა მდუმარედ იჯდა, მუხლებზე დახურული პაპირუსი ედო, მისი პოზა უდიადეს ფიქრში ჩაძირვას გამოხატავდა, მის სახეს საბურველი ფარავდა, ქანდაკების ფუძეზე კი, წარწერა იყო ამოკვეთილი:

**"ვერც ერთი მოკვდავი ვერ შეძლებს საბურველი ამხადოს ".** აი, საიდუმლოს კარი – უხსნიდა მოკვდავს ქურუმი. – შეხედე ამ ორ კოლონას, წითელი სულის ამაღლებას, სიკეთეს გამოხატავს, შავი – ესაა ტყვეობა, დაცემა, სულის განადგურება. ის, ვინც იზიდას საიდუმლოს გაგებას შეეცდება, სიცოცხლესა და სიკვდილს, სიკეთესა და ბოროტებას შორის დგება.

**აქ სუსტსა და უზნეოს უაზრობასა და სიკვდილს მიაგებენ. მხოლოდ ძლიერი და კეთილი ჰპოვებს სიცოცხლესა და უკვდავებას.**

აქ მრავალი თავქარიანი მოსულა, ეს კარიბჭეც გადაულახავს, მაგრამ უკან დაბრუნება არ ღირსებია. ეს ის უფსკრულია, რომელიც უკან მხოლოდ სულით ძლიერთ აბრუნებს. თუ შენი სიმამაცე არასრულფასოვანია, უარი თქვი სიკეთისა და ბოროტების შეცნობის სურვილზე; თუ შენს უკან კარი მიიხურა, უკან დახევა უკვე შეუძლებელი იქნება.

მხოლოდ მამაც ადამიანს შეეძლო ზღურბლზე გადაბიჯება; მის უკან კარი იხურებოდა. წინ, გზის ორივე მხარეს, ადამიანის ტანისა და ლომის, ხარის, არწივის ავი

გამომეტყველებისთავიანი ქანდაკებები იყო ჩამწკრივებული. გზის ბოლოს მას ადამიანის ჩონჩხი გვირაბისკენ მიუთითებდა, სადაც მხოლოდ ჩოქვით შეიძლებოდა შესვლა. ქურუმის უკანასკნელი გაფრთხილება მას შორიდან ესმოდა:

– შენს უკან კარი არ ჩარაზულა, შენ ჯერ კიდევ შეგიძლია უკან დაბრუნდე, ეს უკანასკნელი გაფრთხილებაა, კიდევ ერთი ნაბიჯი წინ, და უკან ვეღარასოდეს დაბრუნდები.

ამის შემდეგ მერყეობა უაზრობა იყო. "მაძიებელი" გვირაბში შედიოდა, ხვდებოდა მიწისქვეშეთში, სადაც, უცებ, სიჩუმე ირღვეოდა, და საიდანღაც ქურუმის ხმა ისმოდა, მრავალჯერადი ექოს თანხლებით:

**– აქ იღუპება ყველა სულმდაბალი ადამიანი, რომელმაც ხარბად ისურვა უმაღლესი ძალაუფლება – ცოდნა სიკეთესა და ბოროტებაზე.**

თუ საკუთარ ზნეობრიობაში დარწმუნებული პიროვნება გზას გააგრძელებდა, ის კიდევ მრავალ გამოცდას გაივლიდა. . .

ამ მისტიური გამოცდის ფინალი მიწისქვეშეთიდან გამოსასვლელ გვირაბში სინათლის დანახვა იყო, და ისმოდა ქურუმის უკვე კეთილი ხმა –

**"ნებისმიერი სურვილი, მცდელობა, ქმედება, რომელიც ჭეშმარიტი სიმართლის გამოვლენასა და მის სამსახურს ეთანადება, წარმოადგენს იმ ძალას, რომელიც ცხოვრებას, სულიერსა და უსულოს მართავს. ეს არის ის მუდმივი ჯილდო, რაც ათავისუფლებს შენს სულს და განიჭებს უმაღლესი ჭეშმარიტების, ანუ ღმერთის რწმენას".**

ადამიანები უძველესი დროიდან ხვდებოდნენ, რომ სიკეთესა და ბოროტებაში – ცხოვრების აზრში – ჩაწვდომა მხოლოდ მამაცი და ზნეობრივად ამაღლებული ადამიანის პრეროგატივაა.

ჭეშმარიტების ძიების ასეთი ფორმა, ალბათ, გამართლებული იყო.

იმ დროიდან მოყოლებული კეთილი ნების, ზნებრივი, საკუთარი ქვეყნის ბედზე მოფიქრალი ადამიანები ენერგიას არ იშურებდნენ, რათა ადამიანი სიკეთის, სილამაზის, სიმართლის, **ღმერთის** რწმენამდე აემაღლებინათ.

**რწმენა – ადამიანის ადამიანურობის უცვლელი ფასეულობა . . .**

**შეუძლებელია არ მოვიდეს ცდუნებანი,**
**მაგრამ ვაი მას, ვისი მეშვეობითაც მოვა."**
**(ლუკა 17, 1)**

# რწმენა

**" მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე".**
**(იოანე 14,6)**

"რწმენა" – ალბათ, ამ ცნებაში ადამიანის ის თავისებური სულიერი მდგომარეობა იგულისხმება, როდესაც ჩვენ თანახმა ვართ, ეჭვი არ შევიტანოთ იმაში, რაც ჩვენთვის თავისთავად ხილული არ არის.

ალბათ, რწმენა ნიშნავს ვირწმუნო ის, რისი მტკიცების სფეროში მოქცევაც შეუძლებელია, ანუ რის შესახებაც დამაჯერებელი თეორია არ არსებობს.

რაც უნდა დადებითად ამაღელვებელი იყოს რწმენის ეს დიდებული საიდუმლოებრივი განმარტება, ის ჩვეულებრივ მოკვდავში მაინც შეუცნობელ ეჭვსა და უარყოფის ელემენტებს აჩენს. შევეცადოთ, რწმენის აზრი პოსტულატის ფორმით ჩამოვაყალიბოთ:

**"ჩვენი დაჯერებულობის უდრეკელობა არის რწმენა".**

ერთი შეხედვით, რწმენის აზრი ამ კუთხით ლოგიკურია, თუნდაც იმიტომ, რომ ამ დროს ნებისყოფა იძაბება, ეს კი აუცილებელია, რათა დარწმუნდე, არ მოიდრიკო, აღიარო ის, რაც თავისთავად, ე.ი. გააზრებული შემეცნებისათვის საეჭვო რჩება.

ალბათ, ერთეულებისთვისაა საკმარისი რწმენისადმი ასეთი მიდგომა, ასეთი პირდაპირი ამაღლება. სამწუხაროდ, ასეთი პირდაპირი ამაღლება მრავალისთვის მიუღწეველია. დამაეჭვებელი დამაეჭვებლად რჩება, არადამაჯერებელი – არადამაჯერებლად.

ვირწმუნოთ ის, რაც ლოგიკით ეჭვს ექვემდებარება – საკუთარ გრძნობასთან, სურვილთან, აზრთან კომპრომისს ნიშნავს.

ეს კონფორმიზმამდე პირადპირი გზაა.

კონფორმიზმმა, ანუ შემგუებლობამ რა დღეში ჩაგვაგდო, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ამიტომ ვართ ტანჯულნი და ქედმოდრეკილნი.

ჩვენ საკუთარ გონებაზე ვძალადობთ. უკეთეს შემთხვევაში, საკუთარ თავთან მუდმივ "დიპლომატიურ მოლაპარაკებაში" ვართ,და ვცდილობთ საკუთარი თავი დავარწმუნოთ იმაში, რაც გულის სიღრმეში მაინც საეჭვო რჩება. ამ მდგომარეობას ჩვენ შინაგან გაორებამდე მივყავართ. ეს გაორება მეც და თქვენც ნათლად გვინახავს:

**გაიხსენეთ ეკლესია, თუ რა მოწიწებით უჭირავს სანთელი ხელში საკუთარი მოყვასის მტერს, ან რა სინაზითა და სიფაქიზით იწერს პირჯვარს არშემდგარი ადამიანი.**

ამიტომ შეუძლებელია სრულიად უყოყმანოდ ვთქვათ "დიახ", ან "არა"; როდესაც გონებაში ეჭვი ბოლომდე არ გაფანტულა, წარმოუდგენელია რწმენის ჭეშმარიტება მივიღოთ. უფრო მეტიც, ამაში ვერც აუცილებლობას ვხედავთ და ვეღარც ვინმეს დამსახურებას.

ამგვარად, ადგილი აქვს მუდმივ შინაგან მერყეობას, და ამ მერყევ, გაუწონასწორებელ, არშემდგარ ადამიანთა "საზოგადოების" არსებობა კრიმინალური ელიტისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. ასეთ მდგომარეობაში, თვითშემეცნებით გამსჭვალული ადამიანის სიტყვა "მწამს" ხშირად, თუ მკაცრად ჩავიხედავთ საკუთარ სულში, ნიშნავს **"მართალია არა მწამს, მაგრამ ძალიან მინდა, რომ მწამდეს; მინდა დავარწმუნო საკუთარი თავი იმაში, რომ "მწამს".**

შეიძლება ღრმად ვცდებით, მაგრამ ეს ცოდვად მიგვაჩნია ღმერთის, ანუ უდიადესი სიმართლის წინაშე. შეიძლება, ეს ცოდვა სულაც არ არის, და ადამიანის ერთ უნიკალურ, მიწიერი ცხოვრებისგან მიღებულ, თავისებურებას ეფუძნება. ეს თავისებურება ყველაზე ნათლად დევიდ იუმმა გამოხატა.

იუმის აზრით, პრაქტიკული, ყოველდღიური ცხოვრება რწმენას ეფუძნება. უფრო ნათლად მოგახსენებთ: როდესაც საღამოს დასაძინებლად ვწვებით, ღრმად ვართ დარწმუნებული იმაში, რომ გავიღვიძებთ და დღე დაგვხვდება. ამ თავისთავად ცხად ჭეშმარიტებას თუ მკაცრად მივუდგებით, აღმოჩნდება, რომ საქმე არც ისე მარტივად არის, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. მართლაც, ვინმემ რომ მოგვთხოვოს ამ ჭეშმარიტების "დამტკიცება", მივხვდებით, რომ მტკიცებულების მოყვანა შეუძლებელია.

მართლაც, ჩვენ ვერ დავამტკიცებთ, რომ ღამის განმავლობაში დედამიწას მეტეორი არ დაეცემა და დღე-ღამის ასტრონომიული ცვლილება არ დაირღვევა; ან კიდევ, უბედური ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენი უაზროდ აშენებული, ან მოუვლელობით დაზიანებული სახლი არ დაინგრევა; ასევე ღამით, სახლშიც კი, იარაღიანი, ნიღაბაფარებული ბანდიტის თავდასხმისაგან არავინ არის დაცული.

ჩვენ რომ ამ შესაძლო უბედურებათა შესახებ ვიფიქროთ, მაშინ საერთოდ არ უნდა დავიძინოთ, და შესაბამისად, სიცოცხლეც შეწყდება. ამიტომ, ყოველგვარ "მტკიცებას", "ლოგიკას" უგულებელვყოფთ და დარწმუნებულნი იმაში, რომ არავითარი კატასტროფა არ მოხდება, ყოველ შემთხვევაში ამ ღამით მაინც, მშვიდად ვიძინებთ.

ამრიგად, ცხოვრებისეულ რწმენას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ჩვენც ამით ვხელმძღვანელობთ და არა "ბუნების კანონებით", მიუხედავად იმისა, რომ ასეთი "მწამს" არაფრით არის გარანტირებული, მაშასადამე ბრმაა.

**როგორც ჩანს, იქ სადაც მტკიცება შეუძლებელია – რწმენა გვშველის.**

ცხოვრება დაფუძნებულია რწმენაზე, რომლის "მტკიცებას" აზრი არა აქვს.

ზემოთ აღწერილ რელიგიური რწმენის ფორმულირების აღქმაში, თითქოს, ასეთი მსჯელობა უნდა დაგვეხმაროს; თითქოს ამაზე მეტი არაა საჭირო, რომ დავასკვნათ:

**რწმენა არის იმის გააზრება, რომ არსებულზე ღრმა საფუძველი ჩვენთვის მიუღწეველია, ამიტომ ის მტკიცებულების გარეშე უნდა მივიღოთ.**

მაგრამ, იუმის შემდგომმა ცივილიზაციამ შემოიტანა, უფრო სწორად, გაიაზრა ცნება – ალბათობა. ამიტომ ზემოთ აღწერილი მაგალითები შეიძლება ალბათობის ცნების გათვალისწინებით განვიხილოთ. ის, რომ ხვალ გათენდება, არც მკაცრ მტკიცებას, არც რწმენას არ მოითხოვს. უბრალოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დიდია ალბათობა იმისა, რომ ხვალ გათენდება, ხოლო ის, რომ დედამიწას მეტეორი დაეცემა, იმდენად მცირედალბათურია, რომ შესაძლოა მხედველობაში არც მივიღოთ, ანუ ამ პროცესის ალბათობა ნულის ტოლად მივიჩნიოთ.

ასეთი ხელოვნური, "მეცნიერული" მიდგომა რელიგიური რწმენის მიმართ პროტესტის გრძნობას იწვევს, უარეს შემთხვევაში კი, "სოფიზმამდე", ფალსიფიკაციამდე, შესაბამისად, ურწმუნობამდე მივყავართ.

**რელიგიაზე, რწმენაზე, ღმერთზე ალბათობით საუბარი მკრეხელობა და უაზრობაა, და შესაბამისად, არაფრამდე მიგვიყვანს.**

რჩება ავტორიტეტზე დაფუძვნებული რწმენა – ასეთი რწმენის ძირითადი აზრი შემდეგშია: ბავშვს უჭირს დამოუკიდებლად არსებობა, ამიტომ ის შეუცნობლად უჯერებს მშობელს, სწამს მისი. ბავშვი სამყაროს ვერ აცნობიერებს, მას ამისათვის მშობელი ან მასწავლებელი, ანუ ავტორიტეტი სჭირდება.

**დასკვნა: ჩვენ ჯერ ბავშვები ვართ, ამიტომ "ასეა საჭირო და მიტომ".**

ასეთ ავტორიტარულობას "რომის პაპის უცოდველობასთან " მივყავართ. ეჭვს არ იწვევს, რომ რწმენის ამგვარი ახსნა, ანუ სუფთა ფსიქოლოგიური რწმენა, თითქოს, ისტორიულადაც გამართლებულია და რეალობასაც ეპასუხება, რადგან ადამიანი ყველა რელიგიაში იმ ობიექტად ითვლება, რომელმაც რწმენა თვალდახუჭულად უნდა აღიაროს.

პირველ სტადიაში, როცა საქმე ეხება ბავშვს, ლოგიკაგანუვითარებელ არსებას, ავტორიტარული რწმენის არსებობა აუცილებელია. ასეთ ადამიანს რწმენისათვის "ზეციური საიდუმლოს მფლობელის" არსებობა სჭირდება.

რწმენასთან ასეთი მიდგომაც არ არის, თავისი არსით, ბოლომდე გამართლებული. ბავშვისთვის ავტორიტეტი აუცილებელია, მაგრამ ბავშვი იზრდება და მის ავტორიტარიზმზე დაფუძვნებულ რწმენას ცხოვრების სირთულე ათეიზმად გარდაქმნის. ეს პროცესი თანდათანობით, შეუმჩნევლად, შეუჩერებლივ, მეთოდურად მიმდინარეობს.

განვიხილოთ კათოლიკე. მას სწამს პაპის უცოდველობა, აქედან გამომდინარე, ის თავს ვალდებულად მიიჩნევს ირწმუნოს, და თითქოს, **რწმენის საფუძვლის ძიება არ უნდა სჭირდებოდეს,** ეს არ უნდა იყოს მისი საფიქრალი. თითქოს მან მიიღო რაც რწმენამდე მისვლას სჭირდებოდა.

ცხადია, ამგვარად მიღებული რწმენა ადამიანის სულში ეჭვის გაჩენის შესაძლებლობას ტოვებს. ხომ შეიძლება იმაზე დაფიქრება, რომ "რომის პაპის უცოდველად" აღიარება თვით პაპის გამოცხადებულია. აქედან გამომდინარე, დოგმამ – "პაპი უცოდველია" შეიძლება რწმენაში ბზარი გააჩინოს.

**ავტორიტარულობის პირველწყაროდ აღიარების პრინციპით ღვთის რწმენა, ღვთისმოშიშობა, ან მისი ყოველშემძლეობის წინაშე მუხლის მოდრეკა, მორჩილება – მრავალი ინტელექტუალისათვის დამაფიქრებელი და საეჭვოა; ამ არადამაჯერებლობამ კი, შეიძლება მკრეხელობამდეც მიგვიყვანოს.**

ღვთის მორჩილებისათვის – აუცილებელია დარწმუნებულნი ვიყოთ, **მის** არსებობასა და **მის** უმაღლეს სამართლიანობაში. მხოლოდ ეს მოგვცემს საფუძველს ვირწმუნოთ **მისი** მოციქულის უმაღლეს ჭეშმარიტებასთან ზიარება.

ავტორიტეტის აუცილებელი და საჭირო აღიარება, საბოლოო ჯამში რწმენის დამაჯერებლობას, შემეცნებულ რწმენას უნდა ეყრდნობოდეს, რათა “სამყაროს ვეშაპზე დგომის” თეორიამდე არ დავიდეთ.

მცირერიცხოვან რჩეულთ **ღმერთი** ჭეშმარიტი, უძლიერესი სინათლით ეცხადება, და ისიც იშვიათად. დანარჩენებისთვის **მისი** ხმა ისმის – როგორც მეგობრის ჩურჩული ბოროტების ხმაურში, ამიტომაა საჭირო განმარტოება, ჩაფიქრება, სიჩუმე.

არა აქვს მნიშვნელობა იმას, ჩვენამდე **მისი** ხმა როგორ მოდის – ძლიერად თუ სუსტად, ნათლად თუ გაუგებრად, ახლოდან თუ შორიდან. საბოლოოდ, ეს ის ჭეშმარიტი რეალობაა, რომელსაც საკუთარი არსითა და გონებით აღიქვამ.

მართლაც, დავუკვირდეთ იმას, რასაც ვეყრდნობით. ღრმად დასაფიქრებელი, გასააზრებელია სპინოზას ლოგიკური მსჯელობა:

**“ჭეშმარიტება თავისივე თავისა და შეცდომის საზომია”.**

ვცადოთ და რწმენას ამ თვალთახედვით მივუდგეთ.

უმთავრესია **ღმერთის** თვითაღმოჩენა, საკუთრივ **მისი** მოვლენა ჩვენს სულში, **მისი** ხმის გაგონება, და თუ ჩვენ **ის** აღვიქვით, ჩვენი ამაღლებაც მაშინ იწყება.

ამისკენ ილტვის, ისწრაფის ჩემი, და ალბათ, თქვენი სულიც. ესაა ის, რაც ჩემში შინაგან, თავისუფალი ნებით აღიარებულ დამაჯერებლობას ქმნის. აქედან, ჩემთვის ფასეული და მისაღებია რწმენის მხოლოდ ერთადერთი განმარტება:

**რწმენა არის ადამიანის სულის შეხვედრა ღმერთთან, ადამიანის სულში ღვთის მოვლინება.**

არა აქვს მნიშვნელობა ღმერთის ადამიანთან დამაკავშირებელი “გამტართა ქსელი” რთულია თუ მარტივი, არც იმას, როგორია მასში გამავალი “დენის სიმძლავრე”, რომელიც სულში უდიადეს “სინათლეს” ანთებს,

**მთავარია, რომ ეს “სინათლე” პირველწყაროდან, ე.ი. უდიადესი ჭეშმარიტებისგან, ანუ ღმერთისგან მოდიოდეს.**

მნიშვნელობა არა აქვს, თვით მორწმუნე მაშინვე შეიცნობს ამას, თუ მთელ სიცოცხლეს მოანდომებს; დრო უკვე არაფერს შეცვლის, რადგან სულში რწმენის სინათლე უკვე დანთებულია. სხვანაირად ჩვენთვის ძნელი გასაგებია, როგორ გარდაიქმნება ურწმუნო – მორწმუნედ.

მართლაც, საოცარია, როგორ ინთება სულში რწმენა, როდესაც ურწმუნობის ატმოსფეროში ვსუნთქავთ და ვცხოვრობთ. ამ შემთხვევაში ამის “წმიდა ავტორიტეტებით” ახსნა შეუძლებელია. თუნდაც იმიტომ, რომ ურწმუნო სუბიექტი ავტორიტეტს საერთოდ არ ცნობს, საერთოდ არ ესმის, “წმინდა ავტორიტეტის” აზრი. გამოდის, რომ ის განწირულია.

რჩება კითხვა, ნუთუ საშველი არ არის?

– არის.

ჩვენი აზრით, ეს არის ღმერთთან პირდაპირი კავშირი. ეს კავშირი შეიძლება საკმაოდ ბუნდოვანი იყოს ურწმუნო სუბიექტისთვის, მაგრამ ოდესმე, ის ამას მაინც აღიქვამს.

იმ ფაქტის მოწმენი ჩვენც ვართ, სიკვდილის პირას მისული ყველაზე ურწმუნო, ათეისტიც კი, მაინც იმ ღმერთზე ლოცვას იწყებს, რომელსაც ის მთელი ცხოვრება უარყოფდა. ასევე შესაძლებელია, რომ ბიბლიაში ამოკითხულმა რამდენიმე ფრაზამ, ათეისტი უცებ ჩააფიქროს და მან უდიადესი სიმართლის ბრწყინვალება შეიცნოს. ასეთს უცებ გონება ეხსნება, თვალი ეხილება, და მაშინ შეიცნობს მისი სული უდიადესი ჭეშმარიტების ძალას.

ვისაც ეს, ან მსგავსი რამ არ უგრძვნია, მე მას მორწმუნედ ვერ მივიჩნევ, თუნდაც ეკლესიის მიერ გამოცხადებულ ყველა წმიდა ავტორიტეტს თანამიმდევრულად აღიარებდეს.

გასააზრებელია ერთი მნიშვნელოვანი რეალობაც, ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც გარდა ქრისტიანულისა, მრავალი რელიგიური მიმდინარეობაა გავრცელებული: ებრაული, მუსულმანური და ა.შ.

დავსვათ კითხვა – **საერთოდ, არსებობს თუ არა რომელიმე რელიგიური მიმდინარეობის მრწამსის “უპირატესობის მტკიცების” ლოგიკური, დამაჯერებელი საფუძველი?**

მაგალითად, შესაძლებელია თუ არა ჩვენი ქრისტიანული რელიგიის უპირატესობის მტკიცება, სხვა რელიგიასთან შედარებით?

შესაძლებელია თუ არა სხვა რელიგიის მიმდევარი ჩვენი რწმენის საფუძვლის უპირატესობაში დავარწმუნოთ?

ზოგიერთ შემთხვევაში მისიონრებმა ეს შეძლეს. ჩვენ, ამ კუთხით, მათი საქმიანობის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია არა გვაქვს, მაგრამ გვეეჭვება, რომ ეს პროცესი მხოლოდ “ავტორიტეტების გამოყენებით” იყოს შესაძლებელი.

ალბათ,“ავტორიტარულობის პრინციპით” შესაძლებელი იყო რომელიმე აფრიკული ტომის ამა თუ იმ რელიგიურ მრწამსზე მოქცევა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ასეთი მიდგომა აზრს კარგავს ებრაელებთან, მუსულმანებთან, ბუდისტებთან და ა.შ.

მათ, ჩვენი მხრიდან, რამდენი “ავტორიტეტიც” არ უნდა წავუყენოთ, იმდენივე “ავტორიტეტით” გვიპასუხებენ ისინიც. ბიბლიას გვერდზე თალმუდს,ან ყურანს,დაუდებენ, რომის პაპს – დალაი-ლამას დაუყენებენ.

არც ის გვიშველის, რომ ყველაფერი ინფორმაციის ნაკლებობას დავაბრალოთ. თუ ბიბლია თარგმნილია მსოფლიოს ყველა ენაზე, ასევეა – მათი წმიდა წიგნებიც.

ასეთი გზით ვერ დავადგენთ, არსებობს თუ არა ჩვენს შორის საერთო ენა და გვაქვს თუ არა ერთი მიზანი, ან როგორი სახისაა ის. აქ მეცნიერული და ლოგიკური მსჯელობაც უძლურია.

“რაც ჩვენია, ის კარგია” – ეს ლოზუნგი აღარ გამოგვადგება.

“დავიბადე საქართველოში და ქრისტიანი უნდა ვიყო” – ვინმეს რწმენას ეს ლოზუნგიც ვერ შემატებს.

და აქ მტკიცებულების მიზნით ინფორმაციის მოყვანა, რომ მოსეს **ღმერთმა** მრავალი რამ გაანდო, და მათ შორის ისიც, რომ გაანადგუროს ყველა სხვა რწმენის ადამიანები, ხოლო **ქრისტემ** მოგვიწოდა – “**გიყვარდეს მოყვასი**. . .” – არაფრის მომცემია. ან ის, რომ მუჰამედი მდიდარ ქალბატონზე დაქორწინდა, ხოლო **ქრისტეს** მსგავსი რამ არ ჩაუდენია – ბავშვური მსჯელობაა.

ის დრო გავიდა, როცა ყველა სხვა რელიგიის არსებობას ბნელეთით მოცულთა, ბრმადმორწმუნეთა მიმდევრობად აღვიქვამდით. ამჟამად მსგავსი წარმოდგენა მხოლოდ ჩვენი სისუსტის მაჩვენებელია; საზოგადოება კი, ამ სისუსტეს, რატომღაც, გულგრილად ადევნებს თვალყურს.

**ქრისტეს** სიყვარულმა სხვის მიმართ არ უნდა დაგვაბრმავოს. უდიადესი სიმართლე იმიტომაა უდიადესი, რომ ის ყველგან და ყველაფერშია.

**შესაბამისად, ყველა რელიგიაში სიმართლის ელემენტების დანახვა შეიძლება, და ალბათ, აუცილებელიცაა.**

ჩვენი რწმენის საფუძველს ის უნდა ქმნიდეს, რომ ის სიტყვა, რომელიც **ქრისტესაგან** გადმოგვეცა, აბსოლუტური უდიადესი სამართალია, ამიტომ გვჯერა, რომ ის **ღმერთის** ხმაა. ეს ხმა ყველას უნდა გაეგონა და ამიტომ სხვა მიმდინარეობებს ცრუს ვერ ვუწოდებ, და მგონია, რომ ვინც ამას აკეთებს, მას ეჭვი თვით **ღმერთში** შეაქვს. აი, ესაა ჩემთვის მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანია, მრავალში ამოვარჩიო ის, რაც ჩემში **ღმერთის** სიყვარულს მეტად აანთებს. ამიტომაა, რომ **ქრისტე** მიყვარს, ამიტომაა, რომ ქრისტიანი ვარ. ამიტომ ვარ მართლმადიდებელი.

გაიხსენეთ, **ჭეშმარიტება ხომ თავისივე თავისა და შეცდომის საზომია.**

**ღმერთსა და მის ჭეშმარიტებაზე, საბოლოო ჯამში, თვით ღმერთი მოწმობს.**

**“მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე”** (იოანე 14, 6).

ჩვენ გვწამს **ახალი აღთქმის**, რადგან მისი საშუალებით, მასში შემონახული **ქრისტეს** ხატით, ჩვენ თვით **ღმერთი** შევიცანით. **ახალი აღთქმით** დავინახეთ ჭეშმარიტება. მრავალი ჭეშმარიტება გვაქვს წიგნებიდან ამოკითხული,მაგრამ მისი მსგავსი ვერსად ვიპოვეთ.

ამიტომ მივიჩნევთ მას წიგნთაწიგნად, და თუ რაიმე სხვა წიგნში გამოთქმულმა აზრმა აღგაფრთოვანათ, დაუკვირდით და მიხვდებით – თქვენი აღფრთოვანების საზომი აღმოჩნდება ის, თუ ეს წიგნი **ახალ აღთქმასთან** რამდენად ახლოსაა.

**"წიაღში ჩაუდებ მათ ჩემ რჯულს და გულზე დავაწერ. მათი ღმერთი ვიქნები მე და ისინი ჩემი იქნებიან"**

**"აღარ დაუწყებენ სწავლებას ერთმანეთს, მეზობელი მეზობელს და ძმა ძმას: შეიცან უფალიო! რადგან ყველას შეცნობილი ვეყოლები დიდიდან პატარამდე"** (იერემია წინასწარმეტყველი, 31, 32 –33).

**"ყველა ღმერთისგან განისწავლება"**

**"არავის შეუძლია ჩემთან მოსვლა, თუ იგი მამამ, ჩემმა მომავლინებელმა, არ მოიყვანა; და მე მას აღვადგენ უკანასკნელ დღეს"** (იოანე 6.44).

ეს სიტყვები კონტექსტიდან შემთხვევით არაა ამოღებული, ეს ის სიტყვებია, რომელიც ყველაფერს ამტკიცებს. ამ სიტყვებშია **ახალი აღთქმის** გააზრების მთელი არსი, ახალი დამოკიდებულება ადამიანის სულსა და **ღმერთს** შორის, ამ დამოკიდებულების მუდმივად ახალი გააზრება, რომელიც შეიძლება ახლადდაბადებულმაც კი შეიცნოს, და ამავე დროს, "წიგნით განათლებულთ" გაგება გაუჭირდეთ.

# ცხოვრების აზრი

დღეს, ისე როგორც არასდროს, ჩვენს წინაშე მთელი სიმწვავით დგება კითხვა: რა აზრი აქვს ასეთ ცხოვრებას, თუ მე ისეთი უსუსური ვარ, ისე ვარ მოქცეული ბოროტების მარწუხებში, რომ ვერაფრის შევცვლი?

ან იქნებ საერთოდ აზრი არა აქვს ასეთ ცხოვრებას?

ნუთუ ცხოვრება მარტო ბუნებრივი ბიოლოგიური პროცესია, ანუ დაბადება, მომწიფება, სიკვდილი; ე.ი. დავიბადეთ არაფრისთვის?

მაშინ ბავშვობაში რატომ გვეგონა, რომ წინ რაღაც "დიადი" გველოდა, რატომ ვიყავით დარწმუნებულნი, რომ რაღაც ისეთს გავაკეთებდით, რაც ყველასათვის სიკეთე იქნებოდა?

იყო თუ არა ობიექტურად გამართლებული ყოველივე ეს?

ჰქონდა თუ არა აზრობრივი საფუძველი ჩვენს თანდაყოლილ მომავლის იმედს, და თუ ჰქონდა, როგორი?

თუ ეს თაობათა ბიოლოგიური ცვლის – ინსტინქტის, ბრმა ვნების ცხოველური ნაპერწკალი იყო?

მაშ, რატომ მომწონდა, რატომ მიყვარდა, ვინ ჩადო ჩემში სიცოცხლის წყურვილი, სიკეთისათვის თავგანწირვა?

თუ ეს სანთლის ალისკენ მწერივით უაზრო სწრაფვა იყო, რატომ მაწვალებს ეს მუდმივი შეკითხვა – რაა ცხოვრების აზრი?

ნუთუ მხოლოდ გზის პირას, ან გზის ბოლოს ჩასაფრებული სიკვდილი გვაიძულებს ამ კითხვაზე ვიფიქროთ, ან კიდევ დაუბრუნებელმა წლებმა დაგვაფიქრა?!

ეს, მეცნიერულ თეორიულ საკითხს, რაღაც არა ჰგავს, რადგან ამ შეკითხვას გვერდზე ვერასოდეს გადადებ.

მართლაც, არა ჰგავს ეს მხოლოდ გონების გავარჯიშების ამოცანას, რადგან, როგორც ჩანს, ეს შეკითხვა უფრო შემაძრწუნებელია, ვიდრე – რა ვჭამო მშიერმა?

**იქნებ ამ კითხვას თვითონ სიცოცხლე გვისვამს. ვაი თუ, თვითონ სიცოცხლე ეძებს ჩვენში პასუხს?**

**და, ალბათ, მოვა დრო, რომ ერთხელაც, ღამე უცებ გაიღვიძებ კოშმარული ძილისგან და საკუთარ თავს დაბნეული ჰკითხავ: "რა მოხდა"? და მიხვდები, რომ მოხდა საშინელება, არა, საშინელებაზე მეტი – ისე გავიდა ცხოვრება, რომ არ გიცხოვრია, რადგან ვერ მიხვდი, რატომ იცხოვრე!**

ალბათ, ამიტომაა, რომ მრავალი ჩვენგანი ამ შეკითხვას თავს არიდებს, ემალება და მალვით ცდილობს ცხოვრებას მოუგოს.

ეს თამაში შეიძლება მხოლოდ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გაგრძელდეს. ეს უკანასკნელი წუთები მაინც ჩაგვაფიქრებს, და ეს ზემოთნახსენებ საშინელებაზე მეტია, რადგან უკვე ვეღარაფერს მოვასწრებთ.

**კმაყოფილად (და არა ბედნიერად) განვლილი ცხოვრების გახსენება აღარ გიშველით, და რა ღრმა კმაყოფილებასაც არ უნდა განიცდიდეთ განვლილი ცხოვრებით, მით ღრმა აღმოჩნდება ის საფლავი, სადაც ეს შეკითხვა თქვენთან ერთად სამუდამოდ ჩაიმარხება.**

ამ კითხვის დასამარებით, მომავალ თაობას ცხოვრებას სატანჯველად ვუტოვებთ.

ესაა ჩვენი ტკივილი, და ტკივილი, იმიტომაა ტკივილი, რომ ეს კითხვა მთელი სიღრმით გააშიშვლოს.

**გადახედეთ იმედდაკარგულთ, ძაღლური ცხოვრებით გატანჯულთ, გონება და ქონებადაკარგულთ, იძულებით უსაქმურთ, ჩახოცილთ.**

**მეტი რა უნდა დაგვემართოს, რომ მივხვდეთ:**

**დავკარგეთ ყველაფერი. ვკარგავთ სამშობლოსაც, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ შეკითხვას ვემალებოდით, ხვალისათვის გადაგვქონდა. თავისუფლებაზე ვოცნებობდით, და თავისუფლებასთან ერთად ყველაფერი დავკარგეთ.**

რისთვის ვცხოვრობთ? – ამისთვის?

რით გავამართლოთ ეს ტანჯვა? რას დავეყრდნოთ, რათა ამ საშინელი ცხოვრების სიმძიმით არ გავისრისოთ?

მოდით, დღეს მაინც ნუ გადავდებთ ამ კითხვას, ნურც იმ ტონით შეგვეკითხებით, როგორც მკურნალს: რა მოვიმოქმედო, რომ ამ მდგომარეობიდან გამოვიდე?

**არა, ნუ გვკითხავთ – რა ვაკეთოთ, საით ვისწრაფოთ, როგორ გავერკვეთ მიზანთა იერარქიაში? – ჩვენი ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ერთად უნდა ვიფიქროთ!**

**დიახ, ერთად უნდა ვიფიქროთ, რა ვქნათ, როგორ მოვაწყოთ ცხოვრება ისე, რომ ბედნიერება ჩვენთვისაც ხელმისაწვდომი გახდეს?**

**როგორ ვიპოვოთ ის საერთო საქმე, რაც ყველას სიცოცხლეს აზრს მიანიჭებს?** ანუ რა უნდა ვაკეთოთ მეც, შენც და სხვამაც, რომ გადავარჩინოთ სამშობლო, მომავალი და ამით ჩვენი არსებობა პირველად გავამართლოთ.

ვიმეორებთ – ყველას გვეგონა, აი, მივაღწევთ უმაღლეს მიზანს – "თავისუფლებას" და ყველა პრობლემას გადავჭრითო.

მივაღწიეთ!

დიახ, მივაღწიეთ სრულყოფილად დახვეწილ უაზრობას, სისხლს, ქაოსს, სიძულვილს, ბოროტებას!

**ეს კი იმის შედეგია, რომ რწმენაზე მაღლა თავისუფლება დავაყენეთ.**

შევეცადოთ, გავერკვეთ იმ ფასეულობაში, რამაც ეს კითხვა წარმოშვა.

**ეს გადაგვარჩენს და ცხოვრების შეცნობის უდიდეს სიხარულს მოგვანიჭებს.**

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კაცობრიობის ისტორია ადამიანის სრულყოფისკენ სწრაფვაა.

**ჩვენთან კი ეს ბრმა ძიება იყო.**

ჩვენში ეს ძიება საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობს, ჩვენი წინაპრებიც ასევე ცდილობდნენ, მაგრამ შედეგს მაინც ვერ მიაღწიეს. აქ იბადება კანონიერი კითხვა

– რით დავამტკიცებთ, რომ ჩვენ უფრო ჭკვიანები ვართ, ვიდრე ჩვენი მამა-პაპანი?

რით დავამტკიცებთ, რომ ბედნიერებას ვიმსახურებთ?

რატომ გვგონია, რომ რაც მათ ვერ შეძლეს, ჩვენ შევძლებთ?

რომ – ჭეშმარიტ გზას სწორედ ჩვენ ავირჩევთ?

რომ – ჩვენ გაგვიმართლებს ამდენი ტრაგიკული შეცდომების შემდეგ?

ამ კითხვებზე კითხვითვე შეგვიძლია ვუპასუხოთ:

რამდენმა ქვეყანამ შეძლო ეს?

და თუ მათ შეძლეს, ჩვენ რაღა დაგვემართა? – განა ჩვენ არ ვუმღერით ერთმანეთს: "რაც კარგები ვართ, ქართველები ვართო"?

**ჩვენი აზრით, გადარჩენის გზის ძიება კი არ არის მთავარი, არამედ იმ მასალისგან დამზადებული ადამიანების მოძებნა, ვინც ამ კითხვას არ ივიწყებს.**

**გავერთიანდეთ და ერთიანი ძალით ამ კითხვაზე პასუხს აუცილებლად ვიპოვით!**

ისევ კითხვა – შესაძლებელია ვირწმუნოთ, რომ თვით ბოროტებით სავსე ცხოვრება, რაღაც შინაგანი, ჩვენთის გაუგებარი პროცესებით, შეძლებს თვითგანწმენდას, თვითგამორკვევას? ნუთუ ის ძალები, რომლებიც შეიძლება მასში თვითგანვითარდნენ, მას გადაარჩენს? ნუთუ შეიძლება უაზრო ცხოვრებით გაჟღენთილ ადამიანში ის ძალა დაიბადოს, რომელიც მას საკუთარ თავზე გაამარჯვებინებს და "მე"-ში ჭეშმარიტებასა და აზრს გაამეფებს?

ეს ბარონ მიუნჰაუზენის საკუთარი თავის ჭაობიდან თმით ამოთრევის მცდელობას ხომ არ ჰგავს? მით უმეტეს, რომ მარტო ჭაობში კი არა ვართ, სულშიც ჭაობია.

თითქოს ეს კითხვა თავისთავად უარყოფით პასუხს ითხოვს.

დავუშვათ, რომ ადამიანსა და საზოგადოებას ცხოვრებაში სიკეთის დამკვიდრების უნარი შესწევს; დავუშვათ, გავბედეთ და დავიწყეთ ამისთვის მზადება, ქმედება; თავი გადავდეთ სიცოცხლისთვის აზრის მისანიჭებლად!

ხომ არ ვიქცევით ფერფლად, სასუქად იმ ნიადაგისთვის, საიდანაც მომავალში სიკეთე უნდა აღმოცენდეს?

– რთულია არა?

– დიახ, ძალიან რთულია! მაგრამ . . .

**ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მრავლად მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, ვინც ჩვენსავით, ჩვენი შვილების ბედნიერი მომავლის შესაქმნელად, თანახმაა სასუქად იქცეს, იამაყებს და ბედნიერიც იქნება ამით!**

**ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენს საზოგადოებაში მრავლად არიან ისინი, რომელთა სინდის-ნამუსი და გონება ამ სასტიკ უსამართლობას ვერ შეურიგდება! ვერ შეურიგდება სიკეთისა და ბოროტების ამგვარ უსამართლო განაწილებას, აზრისა და უაზრობის ასეთ პროპორციას, რადგან სწორედ ეს აქცევს ჩვენს ცხოვრებას ჭაობად!**

**უნდა გავერკვეთ, თუ რატომაა ჩვენი ცხოვრება ისე უსამართლოდ მოწყობილი, რომ ჭეშმარიტებამდე მისვლა, სამართლიანობის დამკვიდრება, ასეთ უდიდეს მსხვერპლს, ტანჯვას მოითხოვს?!**

**რამდენი ხანი უნდა ვიყოთ ჯოჯოხეთში, რით ვეღარ მოვინანიეთ დანაშაული?!**

**სანამ ამ კითხვებს პასუხს არ გავცემთ, ცხოვრება უაზრობად მოგვეჩვენება!**

**და ამ უაზრობაში აღზევებულნი მხოლოდ "ბრმანი" და უგრძნობნი იქნებიან, რომელთაც უნარი შესწევთ, ბოროტებითა და სიბნელის დამკვიდრებით კმაყოფილება მიიღონ!**

**ეს მათი დროა! . . .**

**ჩვენ ულმობელი დილემის წინაშე ვდგავართ — ცხოვრებას ან საერთოდ არა აქვს აზრი, ან არსებობს ასეთი, და ის ყველასთვის ერთია! ვინაიდან, გლობალური არ შეიძლება დანაწევრდეს და ინდივიდში ჩაეტიოს.**

**მართლაც, შეუძლებელია ცხოვრების აზრი ერთი მთლიანი არ იყოს,** ცხოვრება მთლიანობაში უნდა აღვიქვათ, და არა როგორც ფრაგმენტი, ნაწილი. . . და შესაბამისად,

**პირადი ცხოვრება და ყველას ცხოვრება განხილული უნდა იყოს როგორც დუალიზმი.**

**არ არსებობს მარტო მე და მარტო ჩვენ — ეს ერთი არსის ორი სახეა.**

**რა თქმა უნდა, ჩვენში იგულისხმება ყველა, ვინც იყო ჩვენამდე, ვინც არის და ვინც იქნება ჩვენს შემდეგ.**

**ან ასე, ან არაფერი.**

აქედან გამომდინარე, ცხოვრების აზრი მუდმივიც უნდა იყოს და მუდმივის საწყისიც. ის ყველაფერში უნდა იყოს. იმაში, რაც ხდებოდა, რაც ხდება და რაც მოხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, უბრალოდ იმ გაუგებრობას, უაზრობას მივიღებთ, რასაც ჩვენი ცხოვრება ეწოდება.

**რა მოვიმოქმედოთ, რომ შეწყდეს ეს უაზრო ყოფა?**

იკვეთება წყნარი და თითქოს ლოგიკური პასუხი — არაფერი.



– თუ თქვენთვის ადამიანი საშუალებაა და არა მიზანი;
– თუ თქვენ ქვეყნის მომავალი არ გაფიქრებთ;
– თუ თქვენ შვილების ღალატის გარდა აღარაფერი შეგიძლიათ;
– თუ თქვენ დანაშაულამდე მხოლოდ იმიტომ არ მისულხართ, რომ არც შემთხვევა გქონდათ და არც გამბედაობა გეყოთ;
– თუ თქვენ იჯერებთ მხოლოდ იმას, რაც თქვენთვის სასურველია;
– თუ თქვენ განსხვავებას ვერ პოულობთ ზრდილსა და ბრიყვს შორის;
– თუ თქვენ პატიოსნებაში ზნეობის გარდა რაციონალიზმს ვერ ხედავთ;
– მაშინ თქვენ ეს ნაშრომი არ დაგაინტერესებთ, შესაბამისად, არ გვაინტერესებს თქვენი შეხედულება, ჩვენს შორის დისკუსია უსაფუძვლოა.

არასამთავრებო ორგანიზაცია
"მეცნიერება და ტექნიკა საქართველოში"
**E-mail: tamazbutkuzi@posta. ge**

ტელ.: 893 25 61 94; 893 51 27 04.

– დაიხ! არაფერი, იმიტომ, რომ ამგვარი მიზნისთვის ქმედება ადამიანურ ძალას აღემატება...

და ყველაზე საოცარი ის არის, რომ არაფრის კეთება, არაფრის შეგრძნება და არაფრის სურვილი ადამიანის შესაძლებლობას გაცილებით აღემატება.

**პიროვნებისთვის არაფრის კეთებაზე დამანგრეველი და დამთრგუნველი არაფერია!**

აქედან გამომდინარე, მთელი სიცხადით იკვეთება კითხვა საკუთარ თავთან:

**პირადად მე როგორ ვიცხოვრო, რომ ამ უსამართლო ცხოვრების ჭაობში არ ჩავიძირო, არ ჩავიხრჩო?**

რას ნიშნავს "ვიპოვოთ პირადი ცხოვრების აზრი"? – ზოგიერთისთვის,ეს პირადი სურვილების ფეხის აწყობას, სიმდიდრის შოვნას, მაღალი თანამდებობის დაკავებას ნიშნავს. **ძნელია ამის წინააღმდეგ წასვლა და არცაა საჭირო**.

ზოგიერთი ამას მართლაც ახერხებს, ე.ი. თითქოს ის რაციონალურად ცხოვრობს, მაგრამ ეს პროცესია და არა მიზანი. ეს პროცესი კი, უაზრო წრებრუნვათა, ქმედებათა ნაკრებია, რომელსაც სიკვდილი ძალიან მარტივად აჩერებს და ყველაფერი უკვალოდ ქრება.

**და ხვდები, რომ ეს ჩიხში შესვლას ნიშნავს – ეს არაა ცხოვრების აზრი!**

**ყველაფერი დროებითი იმითაა საშინელი, რომ ილუზიის სამყაროდან რეალობაში სწრაფად გვაბრუნებს.**

**ცხოვრების აზრი დროის მონაკვეთზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, ის დროში მუდმივი, უცვლელი ფასეულობა უნდა იყოს.**

ცხოვრების აზრი გონებისა და გრძნობის იმ წიაღში უნდა ვეძებოთ, სადაც დრო უსუსურია. სიცოცხლის აზრი მაშინ იკვეთება, როცა **საკუთარი თავისთვის ის სიკეთე გვინდა, რომელიც ჩვენთვისაც სიკეთე იქნება და შენთვისაც. თუ ჩვენთვის სიკეთე – შენთვის ბოროტება აღმოჩნდა, ამგვარ სიკეთეს არ ვაღიარებთ!**

ჩვენს სამყაროში ყველაფერი ფარდობითია – სინათლეს აზრს სიბნელე აძლევს, სამოთხეს – ჯოჯოხეთი, თუ ჩვენს ცხოვრებაში უაზრობას კანონზომიერება აქვს, მაშინ მის დასათრგუნავად უდიადესი სიმართლის კანონიც უნდა არსებობდეს.

იმისათვის, რომ ცხოვრებას აზრი ჰქონდეს, ჩვენ ორი ჭეშმარიტება უნდა ვაღიაროთ:

**პირველი – უდიადესი სიმართლის კანონი!**

**მეორე – თავისუფლებისკენ სწრაფვა!**

რადგან ამ ამოცანის მიუკერძოებლად ამოხსნა, ჭეშმარიტი პასუხის პოვნა მხოლოდ თავისუფალს შეუძლია.

**"შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ."** (იოანე 8, 32)

ყველა სხვა "აუცილებლობა" სურვილების ბრმა ძალებს ემორჩილება, უაზროდ, ბრმად ნასროლი ქვაა, და ის აუცილებლად მიწაზე დაეცემა.

ჩვენი სიბრმავით შეიძლება წავიბორძიკოთ და ქვასავით მიწაზე დავეცეთ. ეს კიდევ არაფერი, თუ უფსკრულთან წავიბორძიკეთ . . .

უმარტივესი აგებულების ვირუსი გენიოსსა და იდიოტს ერთნარად კლავს. სიკვდილის პირას, კითხვის დასმას – "როგორ, სულ ეს იყო ჩემი ცხოვრება?" – ორივე ასწრებს.

ბედით განებივრებული გოეთე – ასე უწოდებდნენ მას. მან დიდხანს იცოცხლა ნაყოფიერი ცხოვრებით. ის უიშვიათეს სიკეთეს ფლობდა, მასში შემოქმედებითი ენერგია, უზომო შრომისმოყვარეობა, მძლავრი ნებისყოფა და სიცოცხლის წყურვილი იყო თავმოყრილი; მან ყველა ცხოვრებისეული ნეტარება განიცადა, სიცოცხლის სიხარულის აღქმაც მოახერხა; და ეს, ღმერთისა და ხალხის მიერ რჩეული ადამიანი, ცხოვრების ბოლოს გამოტყდა, რომ მან ბედნიერება მხოლოდ რამოდენიმე დღის განმავლობაში შეიგრძნო.

თუ ღმერთის რჩეულმა ასე იცხოვრა, მაშინ ჩვენ?

გამოდის, რომ ბუნების ამ ჰარმონიაში ოცნებისა და იმედისთვის ადგილი არ რჩება?

ამ პრობლემაზე ელინელებიც ფიქრობდნენ. მათი აზრით: "ღმერთებს შურთ ადამიანთა ბედნიერების, ამიტომ მთელი მათი საქმიანობა ადამიანთა დაპყრობა-

დამცირებაა, და მწარე ხვედრს უმზადებენ მათ, რათა შემთხვევითი ბედნიერებაც არ შეარჩინონ.”

დახვეწილი რელიგიები მოგვიანებით გვარწმუნებენ, რომ ჰარმონიის კანონი ცხოვრებისაგან რაიმეს მითვისების ან მიტაცების უფლებას საერთოდ არ გვაძლევს. ადამიანმა თავისი ადგილი უნდა იცოდეს. ინდივიდუალიზმიც კი ცოდვაა და უმაღლესი სასჯელით ისჯება. ეს პესიმიზმი იმდროინდელ მოაზროვნეთა ჩანაწერებიდანც კარგად ჩანს:

“გვამში მხოხავი და მსუნთქავი მწერები”. ან კიდევ: “მთელ ამ სამყაროში ყველაზე უბედურია ადამიანი, მიწაც და წყალიც ადამიანის უბედურებითაა გაჟღენთილი” – ჰომეროსი.

“‘უსუსურია ადამიანი, უნაყოფოა მისი ქმედება, წამიერია მისი სიცოცხლე. მწუხარებას მწუხარება მოჰყვება. ადამიანი სიზმრის მცირე აჩრდილია”.

“ამაოება ამაოებისა”. . .

“ადამიანთა და ცხოველთა ბედი ერთნაირია. კვდება ისიც და ესეც. ადამიანებს ცხოველებთან უპირატესობა არა აქვთ.”

**“და ვარწმუნებ მე მკვდრებს, რომლებიც დიდი ხანია მოკვდნენ, უფრო ცოცხლებს, რომლებიც ცოცხლობენ. ორივეზე ნეტარია ის, ვინც ჯერ არ გაჩენილა და არ უნახავს ის ბოროტი საქმეები, რაც ხდება მზის ქვეშ. აქ მოქნილი ვერ იმარჯვებს სირბილში, მამაცს არ ერგება გამარჯვება, მშრომელს პური, ჭკვიანს სიმართლე” –** ეკლესიასტე.

პოეტებსა და ტრუბადურებს ანტიკური ფილოსოფოსები – ანაქსიმანდრედან, პლატონამდე ამ პესიმიზმის გარდა, სხვა არაფერში ეთანხმებოდნენ. ამაზე მსჯელობს ბიბლია და მაჰაბჰარატა; ბაბილონის ეპოსი,წარწერები ძველი ეგვიპტის საფლავებზე.

**მაშ, განწირულები ვართ, აღარაა ჩვენი საშველი?**

დავუშვათ, რომ ყველა დროისა და ხალხის სიბრძნე შეცდომაა. დავუშვათ, რომ შესაძლებელია ბედნიერი ცხოვრება, რომ ყველა ჩვენი სურვილი ასრულდება, რომ ჩვენი ცხოვრების წყურვილის თასი სავსე იქნება არა სოკრატესთვის განკუთვნილი საწამლავით, არამედ ღვინით.

მართლაც, სიცოცხლე “ცხოვრების აზრის”, ბედნიერების გარეშე, რატომღაც უდიადეს სევდას გვგვრის.

თურმე, სიცოცხლის მხოლოდ კვლავწარმოება, პროცესისთვის ცხოვრება არ გვაკმაყოფილებს. ის ტკივილს ნარკოტიკივით, მხოლოდ დროებით გვიყუჩებს, სიკვდილი კი, ყველაფერს უაზრობად აქცევს.

სამშობლოს, მისი ბედის, კულტურის, შემოქმედების, სიყვარულის გარეშე, ჩემი და საერთო ბედის გაიგივების გარეშე, შეუძლებელია განვახორციელო საკუთარი “მე”; ხოლო საკუთარი “მეს” გარეშე, ბედნიერების მიღწევას, ცხოვრების არსში ჩაწვდომას ვერ შევძლებ.

**უაზრობაა ერთი ადამიანის ცხოვრება.**

**უაზროა თითო ადამიანის ცხოვრებით აკინძული კაცობრიობის ცხოვრება.**

და როდესაც, ჩვენ, კაცობრიობის ისტორიაზე, ადამიანთა საერთო ბედზე ვფიქრობთ და დასკვნის გამოტანას ვცდილობთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ადამიანთა ისტორია – კოსმიური ისტორიის ნაწილი, მცირე ნაწყვეტი, კადრი, ფრაგმენტია.

გვეყოფა გონება ამის გასააზრებლად თუ ლიბრი გვაქვს თვალებზე?

გამოდის, რომ ან ღმერთი არ არსებობს, და სამყარო ბრმა ძალების შემოქმედების შედეგია, ან ღმერთი არსებობს, მაგრამ ის ყოვლისშემძლე არ არის.

“ჩვენ ცხოვრების აზრის ღრმა გააზრების შემდეგ ვაღიარებთ, რომ ღმერთი არსებობს, თუმცა, ამ უკიდეგანო სამყაროში, ერთი ტკივილისგან დაგრეხილი მატლიც კი, საწინააღმდეგოს ამტკიცებს” – მაქს შილერი.

გამოდის, რომ ორივე შემთხვევაში ჩვენი ცხოვრება უაზრობაა; ადამიანი ამ საშინელი სამყაროს ნაწილია და ამიტომ ამ ბნელ, უაზრო ძალას მონებივით უნდა დაემორჩილოთ?!

**არა!**

**უაზრობა უაზრობის შესახებ კითხვას არ ბადებს!**

**აი, ესაა ჩვენი იმედის სიმტკიცის საფუძველი!**

**ჩვენ ვხედავთ ჩვენს სიბრმავეს, ე.ი. ჯერ ბოლომდე არ დავბრმავებულვართ!**

არსებას, რომელიც უაზრობის შედეგია, საკუთარი უაზრობა ვერ უნდა შეეცნო. . . და წამოიძახო თეატრალური აღმაფრენით: "ჭეშმარიტება არ არსებობს!" – უკვე უაზრობაა.

თუ ცხოვრების აზრისა და ჭეშმარიტების გააზრებას ვცდილობთ, თუ ეს კითხვა გაგვიჩნდა, ჯერ კიდევ, ყველაფერი დაკარგული არ არის.

ეს კითხვა აცამტვერებს აზრს ჩვენს უაზრობაზე!

ბოროტების წინააღმდეგ ჩვენი უძლურობის გააზრება – ჩვენში უდიადესი ძალის აღმოჩენის იმედია.

ჩვენ შეგვიძლია მივხვდეთ, ვინა ვართ; აი, ესაა ადამიანის გონების უდიადესი სინათლე!

ნუ შეგექმნებათ ილუზია, რომ ამ "სიბნელეში" მოაზროვნე ადამიანი აბსოლუტურად უსუსურია და კითხვის დასმა გამარჯვებისთვის საკმარისი არ არის!

პასკალი ადამიანს მოაზროვნე ლერწამს ადარებს.

"თუ მთელი ეს უაზრო სამყარო თავზე ჩამომენგრევა და თან ჩამიტანს, ამ დროსაც კი, ჩემი დაღუპვის ამ წამსაც, მე მასზე მაღლა ვიდგები, რადგან მან არ იცის რას აკეთებს, მე კი, ეს მეცოდინება".

მართლაც, ადამიანი, ეს უსუსური ლერწამი, რომელიც სუსტ ნიავზეც კი, იხრება, მისდამი მტრულად განწყობილ სამყაროზე მაღლა დგას, თუნდაც იმიტომ, რომ გრძნობს და ხედავს, გაიაზრებს მას და ამიტომ, ის მარადისობის მფლობელია.

**ადამიანი ხედავს წარსულს, აწმყოსა და მომავალს.**

თითქოს სუსტია ეს გამხნევება

– სიკვდილის წამს სამყაროს შეცნობა რას გვიშველის?

სუსტია იმ შემთხვევაში, თუ ვერ ვხვდებით, რომ ეს, საერთო გამხნევებისა და გამარჯვების, უძლიერესი დასაწყისი შეიძლება იყოს. უნდა შევიგნოთ, რომ, თუ ბერკეტი მოიძებნა, ეს ის საყრდენია, რითაც ყველა ფორმისა და სიძლიერის ბოროტების უფსკრულში გადაგდებაა შესაძლებელი.

**ყველა, ვინც ცხოვრების უაზრობაში მცირეოდენ ეჭვს შეიტანს, ავტომატურად ხვდება რაღაც ჭეშმარიტებას, და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენ "რაღაც" უდიადესი აღმოაჩინეთ. ყველა, ჭეშმარიტების არარსებობაში დაეჭვებული, რაღაც ჭეშმარიტებას ფლობს.** ეს აზრი ნეტარ ავგუსტინს ეკუთვნის.

ჩვენ ცხოვრების აზრს ვეძებთ.

დიდია იმედი, რადგან სიმართლის ძიების აუცილებლობა მარტოოდენ კი არ გვესმის, **გვაწუხებს კიდეც.**

ვკითხოთ ჩვენს თავს – საიდანაა ეს ძალა, ეს ინტერესი, ეს მცდელობა, ეს უკმარისობა, რატომ ვცდილობთ,ვიპოვოთ უდიადესი ჭეშმარიტება,ანუ **ღმერთი**?

ეს ძიება **ადამიანის** რეალური არსებობის უდიადესი ფაქტია.

და როცა ჩვენ სიმდიდრეს, პატივს, ღირსებას ვეძებთ, გვეშინია, ვმარცხდებით, როცა არსებობისთვის ვიბრძვით, როცა გვინდა ყველაფერი საშინელი დავივიწყოთ, გავექცეთ და დავემალოთ მას – ფაქტობრივად **"საკუთარი მეს გადარჩენას"** ვესწრაფვით, ჩვენი ყოფის საყრდენისკენ მივილტვით.

**საიდან ეს ყველაფერი?**

ჩვენ უაზრო ცხოვრების ტყვეობაში ყოფნა არ გვინდა, ე.ი. თავისუფალი არსების მახასიათებელი ძირითადი ნიშან-თვისება გაგვაჩნია.

ჩვენ უდიადესმა სიმართლემ, **ღმერთმა** შეგვქმნა და ჩვენი გული, აზრი, გრძნობა მანამ არ დაწყნარდება,სანამ **მას** არ ვიპოვით.

თუ ყველაფერი დროებითი უაზრობაა, მაშინ საიდან გაჩნდა ცნება მარადიული, უსაზღვრო?

საიდან გაჩნდა უსამართლო ცხოვრებაში სიმართლის ძიების მოთხოვნა?

საიდან გვაქვს იმედი, რატომ გვწამს, რომ სიმართლე გაიმარჯვებს?

რატომ გვაქვს იმედი, რომ სიმდიდრეს დავაგროვებთ, დიდებას მივაღწევთ, რომ ყველაზე ლამაზი შეგვიყვარებს?

ჩვენს ოცნებას, უსამართლო ცხოვრების გარედან მოსული, "რაღაც" საფუძველი აქვს.

ეს ფაქტია და ამაზე უნდა დავფიქრდეთ.

იხსნება უდიდესი ჰორიზონტი, ე.ი. ის, რასაც ვეძებთ – ჩვენშია, ჩვენ მას ვფლობთ.

**ნებისყოფაგანვითარებული ადამიანი (თუ ის ადამიანია) აუცილებლად დაიწყებს უდიდესი ფასეულობის სიმდიდრის – სიმართლის ძიებას.**

ეს ჩვენში **ღმერთის** ქმედების შედეგია. **სიმართლის** ძიება არა "სადღაც", აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტულად "მე"-ში მიმდინარეობს.

**"ნუ მიდიხარ გარეთ, წადი შენს შიგნით და თუ შინაგანი "მე" შენ შეგზღუდავს, მაშინ გადააბიჯე საკუთარ "მე"-ს (ნეტარი ავგუსტინი).**

უნდა მივხვდეთ, რომ

**მთავარია უდიადესი სიმართლის კანონი**;

**ესაა სიკეთის ძალის გონივრულობის მარადიული საფუძველი;**

**ესაა ბოროტების უაზრობად აღქმის რეალური გარანტიც.**

ყოველივე ამის გააზრებლად ბოროტების ტყვეობაში მოვექცევით. მთავარია, რომ სიმართლე ჩვენშია, თუნდაც მცირე ნაპერწკლის სახით; ჩვენი გადარჩენისთვის კი, საჭიროა ამ ნაპერწკლის გაღვივება.

დავფიქრდეთ, და მივხვდებით:

სიმართლე და ჭეშმარიტად ცხოვრება ერთი და იგივეა. სიმართლე განყენებულად, თავისთავად, არ არსებობს.

**ჭეშმარიტება, სიმართლე – ცხოვრების აზრის, ყოფის ურყევი საფუძველია**. მის გარეშე ყველაფერი ილუზიაა; ესაა გაქრობის, არარაობად ქცევის, სიკვდილის საპირწონე; მხოლოდ მისი არსია მდგრადი და მტკიცე.

ამ დიად ჭეშმარიტებასთან მისვლა სხვადასხვა მხრიდან შეიძლება. ავირჩიოთ რაციონალური გზა!

ყოფა – შემეცნებას ნიშნავს, ურომლისოდ გიჩნდება ილუზია, რომ მხოლოდ შენ არსებობ; გარე სამყარო ხომ მხოლოდ მისთვის სუფევს, ვინც იგი შეიცნო.

უდიადესი სიმართლის გააზრებლად, შემეცნება შეუძლებელია, და თუ ეს ვერ შევძელით, მაშინ ცხოვრება გაუგებარ საზიზღრობად მოგვეჩვენება.

**ღმერთის** გარეშე, ყველაფერი უაზრობაა; **ღმერთის** არსის გააზრება მხოლოდ **მისი** საკუთარ თავში აღქმითა და ჩვენი **მასში** შესვლითაა შესაძლებელი.

**"თუ ჩემში დარჩებით და ჩემი სიტყვები თქვენში დარჩება, რასაც ისურვებთ, ითხოვეთ და გექნებათ."** (იოანე, 15, 7).

**ჩვენს თავს ღმერთთან ვერ გავაიგივებთ, მაგრამ ვერც გამოვეყოფით მას. ხოლო კითხვები**

რა საჭიროა ეს უაზრო ცხოვრება?

რატომ არ შექმნა **მან** უკეთესი?

ვის რაში სჭირდება ჩვენი ტანჯვა, ჩვენი სიბრმავე? – საკუთარ თავს უნდა დავუსვათ.

ვიცით კი რა არის ტანჯვა?! . . . ის ღმერთს არ შეუქმნია. ის ჩვენ შევქმენით.

ვიცით, რა არის სიკეთე?

თალმუდის კვლევისას, არასრულყოფილი აზროვნების ფანტაზია იმ აზრამდეც მივიდა, რომ არსებობს ნეტარი ქვეყანა, სადაც არა თუ ადამიანი, ბუნებაც კი, უსიტყვოდ ემორჩილება ღმერთს: შაბათობით მდინარეც არ მიედინება, ყველაფერი ისვენებს.

როგორ გგონიათ ეს არის სიკეთე?

**დავფიქრდეთ, ცხოვრება მოძრაობისა და ქმედების გარეშე, ხომ აბსოლუტური აუაზრობაა?**

**ვინმესგან საჩუქრად მიღებული "იმედი", რომ ჩვენი მონაწილეობის გარეშე, ჩვენს ირგვლივ, რაიმე, ჩვენდა სასიკეთოდ შეიცვლება, ჩემი აზრით, მკვდრის დასაჩუქრებას ჰგავს; უმოქმედოდ, უბრძოლველად, ენერგიის გაუხარჯველად, რაღაცის მიღება, მიცვალებულის ყვავილებით შემკობას ხომ არ გაგონებთ?**

როგორც აღვნიშნეთ, პრობლემის გასააზრებლად მთავარი ორიენტირი ერთია:

**ცხოვრების აზრი, მარადიული და მარადისობის საწყისი, ყველაფრის მომცველი უნდა იყოს.**

**გამოდის, რომ იზიდას კი არა აქვს დაფარული სახე, ეს ჩვენა გვაქვს ლიბრი გადაკრული თვალებზე.**

რა ვუყოთ ყოველდღიურ საქმიანობას, ჩვენს მიწიერ სურვილებს, ყველა იმ წვრილმანს, რომელიც, ჩვენი გაგებით, ჩვენს ცხოვრებას ავსებს? თანაც რა შთამბეჭდავი რაოდენობით არის ყველა ეს ყოფითი ფასეულება: ოჯახი, ახლობლის ბედი, მეცნიერება, კულტურა, ადამიანთა შორის ურთიერთობა.

არის თუ არა ყოველივე ეს უაზრო, ილუზორული, მოხეტიალე სინათლის ნაპერწკალი, რომლისკენაც სწრაფვა ხელს გვიშლის ვიფიქროთ და ვიმოქმედოთ "უდიადესისთვის", თუ ეს ასეა, მაშინ რა ვქნათ?

ყველაფერს ზურგი შევაქციოთ, უარვყოთ?

შეუძლებელს ხომ არ ითხოვენ ჩვენგან?

ადამიანის არსი პასუხს ითხოვს და რადაც უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ ამ კითხვას პასუხი უნდა გავცეთ.

ცხოვრების არსში გარკვევას თან უდიადესი სიკეთე უნდა მოჰყვეს. ყველაფერი ის, რისი უარყოფაც გვაშინებს, ამ უდიადესი სიკეთის მხოლოდ ნაწილია. ეს ერთის მხრივ.

მეორეს მხრივ, ამ კითხვის დამსმელს ნამდვილი წყურვილი არ უგრძნია.

**"ვინც უდიადესი სიმართლისთვის დაიღუპავს თავს, ის იხსნის მას"** (ლუკა, 9, 24).

ასეთი ადამიანი მზადაა ცხოვრების აზრის საძიებლად. ის არასდროს შეურიგდება მარადისობის კანონის, ცხოვრების აზრის გამორიცხვას. მისთვის ნათელია – ძალისხმევის გარეშე, ვერაფერს შეძლებ, გლობალურ ცვლილებებს ვერ მიაღწევ; ცხოვრების აზრის მოძიებას – მით უმეტეს.

**ყველა მოაზროვნე ადამიანი, რომელიც საკუთარ, ოჯახის, ერის, სამშობლოს ბედნიერებაზე ფიქრობს, ჭეშმარიტების ძიების წყურვილით უნდა იყოს გაჟღენთილი.** ყველაფერი სხვა ბუნდოვანი და მოჩვენებითია.

**კერძო და ფარდობითი ინტერესები აბსოლუტურთან ჰარმონიაში უნდა იყოს და ამ ძიებას გააზრებულად უნდა ემსახუროს.**

ფასეულობათა იერარქია არასდროს უნდა დაირღვეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეორადზე დაფუძნებული – ყოველთვის მეორადი იქნება.

**აბსოლუტური ფასეულობა მხოლოდ მის საპირისპიროსთან წინააღმდეგობაში მოიძიება.**

ჩვენ უფლება არა გვაქვს **ღმერთი** ჩვენი ცხოვრებისგან გავაცალკევოთ; არც ის შეიძლება **ღვთის** კალთას ამოვეფაროთ და ჩვენს ცხოვრებას ქვეშიდან, ზიზღით ვუყუროთ.

**მან** შექმნა ყველაფერი და თავი ამით გაამჟღავნა. **მან** შთაბერა თავისი ძალა ამ სამყაროს და აზრი მისცა ჩვენს არსებობას. მხოლოდ **მისი** მიკვლევით შეიძლება ცხოვრების აზრისა და წესის გარკვევა. ამისთვის, შეძენილი ცოდნის კი არა, თანდაყოლილი გონისა და ინტელექტის გამოყენებაა საჭირო.

ჩვენი სამყაროსგან უდიადესი სიმართლის – **ღმერთის,** განცალკევება, **მისი** განყენებულად წარმოსახვა, შეუძლებელია. **ღმერთი** და ადამიანი, **ღმერთი** და სამყარო, ერთიანი და განუყოფელია;

სამყაროს არსი ადამიანშია. ადამიანთა ცხოვრება მხოლოდ ამ აზრითაა გაბრწყინებული. ადამიანი ღმერთსა და სამყაროს შორის კავშირს ამ აზრით გრძნობს.

**ბედნიერების მიღწევის მთავარი პირობა ღმერთისა და ადამიანის ერთიანობაა.**

თითქოს, რწმენა მოითხოვს, რომ ადამიანი სამყაროს არ ემსახუროს, არ უყვარდეს ის, და არც ის – რაც სამყაროშია;

**ორი ბატონის მსახური არ შეიძლება იყო? – არა და არა!**

მან გვიქადაგა, ხარკი მივცეთ კეისარს, იმ პირობით, რომ **ღვთისა** და კეისრის სამსახურს ერთმანეთში არ ავურევთ.

გვეუბნებიან – "ნუ გიყვართ სამყარო, და ის, რაც სამყაროშია". . .

როგორ მოვახერხოთ ეს?

ადამიანი ხომ **ღმერთსაც** და ქვეყანასაც ერთდროულად ეკუთვნის. მისი გული ამ ორი გზის გადაკვეთის წერტილია. მას ერთი ბატონი უნდა ჰყავდეს, და ცხადია, ესაა **ღმერთი**. **ღმერთი** კი, ამ უკიდეგანო სამყაროს შემქმნელია, ადამიანს **ღვთით** აქვს გამართლება. ამიტომ **ღმერთთან** შეუთანხმებლად შეუძლებელია ამ ქვეყანას გავუდგეთ, გავერიყოთ.

ის, რაც **ღმერთს** არ უთანხმდება, ბოროტებაა!

სწორედ რწმენის ბრმად მიღებაა ბარიერი ამ გზაზე.

ამ სამყაროში, რასაც ჩვენი რეალური ცხოვრება ჰქვია, ადამიანი თავისუფალი არსებაა. ის თავის ადგილს თავისი შეხედულების მიხედვით ირჩევს; მისი ქმედება, ყოველთვის ჭეშმარიტებასა და შეცდომას შორის განსხვავების აღქმაზეა დამოკიდებული; ის ცდილობს ამ ცხოვრებაში, თავის სასარგებლოდ, რაღაც შეცვალოს; რაც უნდა ირაციონალური იყოს მისი ქმედება, ცდილობს მას რაციონალური ახსნა მოუძებნოს.

ისეთებიც არიან, რომლებიც საერთოდ ახალ ჭეშმარიტებას, ანუ ფაქტობრივად ახალ რელიგიას ეძიებენ; მათი აზრით, რელიგია ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე უნდა იყოს, და მის არსებობას ამართლებდეს, ანუ მის ცხოვრებას აზრს ანიჭებდეს. ეს მოჩვენებითი ძიებაა, არსით ის უკვე რელიგია აღარაა, თუნდაც იმიტომ, რომ რელიგია ზერაციონალური ჭეშმარიტებაა, და ჩვენს ნება-სურვილზე არაა დამოკიდებული.

"ბუნებრივი რელიგიის" მაძიებლებმა უნდა იცოდნენ, რომ ის რელიგია, რომელიც აბსოლუტურად შეესაბამება ადამიანის ბუნებას, ადამიანის გულის არსს, უკვე საძებარი აღარ არის, ეს ქრისტიანული რელიგიაა.

დაუკვირდით და მიხვდებით, რომ ქრისტიანობა ადამიანის სულის, გულისა და გრძნობის რელიგიაა. წადით რაციონალიზმისკენ, შედით მასში, და როდესაც მას გასცდებით, იქ დაიწყება ქრისტიანობა – სილამაზე, სიკეთე, სიყვარული.

გავიხსენოთ, ადამიანები სოკრატედან დაწყებული, რუსთაველი, მიქელანჯელო, ბახი, ვაჟა. . . და ვაღიაროთ, რომ ადამიანში თვით ღმერთია განსახიერებული; ადამიანია უნიკალურად ზერაციონალური, შეუცნობელი, მიუღწეველი, რომელიც ჩარჩოებში ვერ თავსდება.

"**განა თქვენს რჯულში არ წერია, რომ მე ვთქვი – თქვენ ღმერთები ხართ?**" (იოანე 10, 34)

ადამიანის არსი ესაა სულის ღრმა ფესვები, რომელსაც თვით ადამიანი შეიმეცნებს, როგორც აბსოლუტურ ფასეულობას, გაუგონარ და აუხსნელ საიდუმლოს და თავისი "მეს" ჭეშმარიტ რეალობას; ყველაფერი, რასაც აკეთებს, რასაც ემსახურება, ის, რაც მის ცხოვრებას ავსებს, ამ პირველად საფუძველს ეყრდნობა.

დავუბრუნდეთ ძირითად პრობლემას: მაინც რა არის ცხოვრების აზრი?

ვიმეორებ: **ცხოვრების აზრის არსი მუდმივი უნდა იყოს და ის მუდმივ ფასეულობას უნდა წარმოადგენდეს. ჩვენ საკუთარი თავისთვის გვინდა ის სიკეთე, რომელიც ყველასთვის სიკეთე იქნება. თუ ჩვენთვის სიკეთე – შენთვის ბოროტება აღმოჩნდა, ამგვარ სიკეთეს არ ვაღიარებთ!**

რა არის ის მარადისობის დასაბამი, რაც ყოვლისმომცველია?

# პრობლემის ანატომია

უძველესი დროიდან ჩვენამდე მოსული ცოდნა, აზრები ნამსხვრევების სახით ჩავიბარეთ. ეს ცოდნა უსისტემოა, აქედან გამომდინარე, მოითხოვს არაორდინალურ მიდგომას.

ადამიანის აზროვნება – **ეს მუდმივი ფასეულობაა. ის უცვლელია. არ ექვემდებარება დროს.**

**დრო გავლენას ახდენს მხოლოდ ხელოსნობის განვითარებაზე, ანუ ჩანაფიქრის რეალურად ქცევის სიჩქარეზე.** დღევანდელობასა და წარსულს შორის განსხვავება იმაშია, რომ ინფორმაციის დაგროვება, შენახვა, გადაცემა დღეს უფრო სწრაფი და მოსახერხებელია.

**ჩვენ აუცილებლად გავუგებთ გასული დროის მოაზროვნეებს, რადგან დაგროვილი ცოდნის შემქმნელები ჩვენი წინაპრები იყვნენ არა მარტო დროით, არამედ სულითაც.**

ჩვენთვის მთავარია, ძირითადში გავერკვეთ:

**რა აწუხებდათ, რა აინტერესებდათ მათ, როგორი იყო პრობლემის გაანალიზებისა და გადაწყვეტის ხერხები.**

ელინები ძალიან ადრე მიხვდნენ, რომ მტკიცებულების ცნებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთი იდეა არ წარმოშობილა არც ეგვიპტეში,არც მესოპოტამიაში,არც ჩინეთში. აქ უმნიშვნელოვანესია ის, რომ ეს მათთვის არ იყო პირველხარისხოვანი ამოცანა, შესაბამისად, ამ მხრივ განვითარების მაღალ დონეს ვერც მიაღწიეს.

ძველი ელინების ინტერესის სფეროს მსოფმხედველობის ძირითადი პრობლემა წარმოადგენდა:

**ყოფა და ადამიანის ადგილი მასში.**

დაიწყო თალეს მილეთელიდან, რომელიც თვლიდა, რომ ყველაფრის საწყისი წყალია და "ყველაფერი სავსეა დემონებით". მან შექმნა საოცრად მახვილგონივრული სისტემა. მისი აზრით: "სამყარო არაა გაქვავებული მატერია, ესაა ცოცხალი არსებები, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთქმედებს, დედამიწა ცოცხალი ორგანიზმია, მთები, ბალახი ყველაფერი გაჟღენთილია სიცოცხლით, და ეს სიცოცხლე ჩვენგან განსხვავებულია, ამიტომ არ გვესმის ბუნების, ვერ ვიაზრებთ მის არსს".

შემდეგ ანაქსიმანდრემ განაცხადა, რომ ყველაფრის საწყისი აპეირონია – უსაზღვრობა.

თალესის თანამედროვე ანაქსაგორმა ყველაფრის საფუძვლად "ეთერი" – უთხელესი, უნაზესი აირი გამოაცხადა.

ჰერაკლიტემ გამოთქვა აზრი, რომ საერთოდ არ არსებობს ნივთები, ყველაფერი გრძნობის, ხედვის ილუზიაა, ის ყველაფრის საფუძვლად პროცესს თვლიდა (ამიტომ დაინტერესდა მდინარეში ორჯერ შესვლის პრობლემით). მისი აზრით – ომი მეფე და მამაა სიცოცხლის, ომმა აქცია ადამიანები ღმერთებად, მოკვდავებად და მონებად. მისდამი სიმპათიის დაკარგვას ნუ იჩქარებთ, მას თავისი ლოგიკა ჰქონდა: "თუ მთავარია ქმედება, პროცესი, მაშინ ადგილი უნდა ჰქონდეს ურთიერთდაპირისპირებას, სიცოცხლის ნაკადების შეჯახებას, ბრძოლას".

პითაგორამ ყველაფრის საწყისად აბსტრაქცია – რიცხვი გამოაცხადა. მისი აზრით – თუ რიცხვი საწყისია, ის ყველაფერში უნდა იყოს. მართლაც, სამ კაცსა და სამ აგურს შორის საერთოა რიცხვი სამი.

ზემოთქმულიდან, ჩვენთვის ერთი რამ არის საინტერესო, მართალია, მათი აზრები განსხვავებულია, მაგრამ მათ ჰქონდათ საერთო ამოცანა – ანუ

**იმ სამყაროს შეცნობა, რომელშიც ვიმყოფებით.**

მათ სხვა რამეზე ფიქრი აზრადაც არ მოსდიოდათ, დანარჩენი, უბრალოდ, არ აინტერესებდათ.

სპარსეთსა და აზიაში, ბერძნებისაგან განსხვავებით, ნაკლებად აინტერესებდათ ნატურ-ფილოსოფია, მათი ინტერესი სხვა იყო:

**რაა სიკეთე და ბოროტება, ვინ არის მეგობარი და ვინ მტერი, მუდმივია თუ არა მტრობა.**

ქალაქ ბალხაში (ირანის უკიდურესი აღმოსავლეთი) დაიბადა ზერდუშტის ფილოსოფია. ის ჩვენთვის ცნობილია, როგორც ზარატუშტრა, დიახ, ის, რომელიც ფრიდრიხ ნიცშეს ნაწარმოებიდან მსოფლიომ გაიცნო.

ზერდუშტის აზრით, **საქმე იმაში არაა, რა გვაკრავს გარშემო** – ამას ისედაც ყველა ხედავს. ყველამ იცის რა არის ზღვა, მდინარე, ქვა. მისთვის მთავარი იყო, რაა დღე და რაა ღამე, **სინათლე და სიბნელე, და რაც მთავარია, მათი ერთიანობა**. მან ეს ჩამოაყალიბა უნიკალურ ფილოსოფიურ კონცეფციაში და აქედან იწყება დუალიზმის გააზრება.

ჩინეთში კი, VIII-VII საუკუნეებამდე ჩვ.წ.აღ.-ით, სულ სხვა პრობლემა ჰქონდათ, მათ სულ სხვა რამ აწუხებდათ. ჩინეთი შედგებოდა მრავალი სამთავროსაგან, არავინ იცის რამდენი სამთავრო იყო. ყოველ საუკუნეში კი არა, ყოველ ათწლეულში იბადებოდა და ქრებოდა სამთავროები. მათ შორის ომი ჩვეულებრივი რამ იყო. ისინი დაუნდობლად ჟლეტდნენ ერთმანეთს.

ჩინეთში ქალი ყოველ წელიწადს აჩენდა ბავშვს, ამიტომ 15-20 ბავშვის ყოლა ჩვეულებრივი რამ იყო. ეს ინტენსიური გამრავლება ომის პროვოცირებას იწვევდა, რადგან მათთვის მთავარი იყო სივრცე, საცხოვრებელი ადგილი. როგორ გამოვიდნენ ჩინელები ამ ტოტალური, ძმათამკვლელი ომიდან? ძნელი იყო ამ კოშმარში ცხოვრება, ამიტომ გაჩნდა ამოცანის შესაბამისი იდეები.

ჩვ.წ.აღ. VII-VI იბადება ორი იდეოლოგია. პირველი – კუნ ძის იდეოლოგია. შემდგომ მას კონფუძი ("ფუ" – გამოხატავს პატივისცემას) დაერქვა და მეორე – მისი უმცროსი თანამედროვე ლაო ძი (ბიბლიოთეკარი).

კონფუძის აზრით, **ყველაფერი ამაზრზენი გაუნათლებლობის ბრალია.**

ლაო ძი კი სხვა გზით წავიდა. მისი აზრით, **ადამიანის მიერ დადგენილი წესები არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენს. ბუნების კანონებს უნდა ჩავწვდეთ, რათა გავიგოთ, როგორ ცვლის წარსულს მომავალი.**

ფაქტობრივად, ის საბუნებისმეტყველო მეცნიერების მქადაგებელი იყო. სამყარო კი მისთვის იყო დაო – ის, რაც არსებობს და ის, რაც არ არსებობს. შინაგან ამაღლებამდე, გასხივოსნებამდე, ვერ გაიგებ რა არის "დაო".

მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის სამყარო, რომლის დიამეტრი უსასრულობაა, ის ხან მცირდება წერტილამდე, ხან იშლება. შესაბამისად, ყველა სულიერი განიცდის გარდასახვას, ახალ გაშლას.

კონფუძის აზრით, ღმერთი არის თუ არა, ეს არ არის მნიშვნელოვანი, ამაზე არ უნდა იფიქრო. როგორ არის მოწყობილი სამყარო, ბუნება, არც ეს არის მნიშვნელოვანი.

**მთავარია, როგორ მოვიქცეთ ჩვენთვის განკუთვნილ საკუთარ ცხოვრებაში.**

შუა საუკუნეების დასასრული ამერიკის აღმოჩენით იწყება – 1492 წელი, 1250 წლის 13 დეკემბრითაც ათარიღებენ. დღე, როდესაც მეფე ფრიდრიხ II გოგენშტაუფენი გარდაიცვალა ფლორენტინოს ციხე-სიმაგრეში.

ჩემი აზრით, შუა საუკუნეების დასასრული მეცნიერული სისტემის ანალიზის დაბადებით იწყება. ჩნდება ახალი იდეა, ადამიანის წარმოსახვითი სამყარო და მასში ჩვენი ადგილი კი არ არის მთავარი, არამედ

**მთავარია სამყაროს რაციონალური მოწყობის გააზრება, მითების, საოცრებებისა და ღვთიური გასხივოსნების გარეშე.**

ეს იდეური გადატრიალება თავიდან არისტოკრატიულ ხასიათს ატარებდა. ბეჭდვის გამოგონებამ ეს იდეები ყველა ნათლად მოაზროვნე ადამიანამდე მიიყვანა. შესაბამისად, გასაგებია ეკლესიისა და ინკვიზიციის სასტიკი წინააღმდეგობაც.

**რა არის ამ მეცნიერული მეთოდის არსი?** – მარტივად რომ ჩამოვაყალიბოთ, ის საშუალებას გვაძლევს **დავაგროვოთ ცოდნა ისეთ მოვლენებზე, რომლებიც შეიძლება შემოწმდეს, შეინახოს და მომავალ თაობას გადაეცეს.**

**აქედან გამომდინარე, მეცნიერება სწავლობს არა ყველა, არამედ მხოლოდ განმეორებად მოვლენებს. უნდა შეიქმნას ისეთი კანონები, რომლებიც მოვლენის განვითარების კანონზომიერების ახსნას შეძლებს.**

მივყვეთ ამ აპრობირებულ მეთოდს და გავაანალიზოთ ის უაზრო სასტიკი განმეორებადი მოვლენები, რამაც დაიყვანა ჩვენი არსებობა იმ კოშმარამდე, რასაც უმრავლესობა მთელი სიმძიმით განვიცდით.

ყველა ზემოთ ნახსენები ხალხისაგან განსხვავებით, ეს არის ჩვენი ძირითადი პრობლემა და

**ჩვენ ვალდებულნი ვართ გავიაზროთ ჩვენი ყოფა და ამ საზიზღრობიდან გამოსავალი მოვძებნოთ. ეს ყველა მოაზროვნე ადამიანის ვალია.**

**პასუხისმგებლობას ვერ აიცილებს ვერც ერთი ჩვენთაგანი, მითუმეტეს ინტელიგენცია, არც-ერთ განვითარებულ ქვეყანაში განათლებული საზოგადოება მსგავსი უსამართლობის აღზევებას არ დაუშვებდა.**

**რამ გამოიწვია საზოგადოების და ინტელიგენციის ქმედითუნარიანობის ასეთი დაქვეითება?**

**აი, ამოცანა, რომელიც უნდა ამოვხსნათ.**

როგორც აღვნიშნეთ, განათლებულ ადამიანებს ყველა დროსა და სივრცეში აინტერესებდათ:

**ყოფა და ადამიანის ადგილი მასში.**

**რა არის სიკეთე და ბოროტება, ვინ არის მეგობარი და ვინ არის მტერი.** ვიმეორებ, ჯერ კიდევ 2700 წლის წინათ ადამიანები მიხვდნენ:

**ამ ქვეყანაზე ყველა ამაზრზენი დანაშაული გაუნათლებლობის ბრალია.** დავფიქრდეთ ჩვენც ამ უმთავრეს საკითხებზე:

**როგორ მოვიქცეთ ჩვენთვის განკუთვნილ საკუთარ ცხოვრებაში?**

**ყოფა და ადამიანის ადგილი მასში** – ჩვენი აზრითაც უმთავრესი პრობლემაა.

ეს არის მსოფლიო ცივილიზაციის უდიადესი ამოცანაც. იმისათვის, რომ ჩვენ ამ ამოცანის გადაწყვეტაში მონაწილეობა მივიღოთ, აუცილებელია, თავდაპირველად ამ ცივილიზაციის ნაწილი გავხდეთ.

ამისთვის აუცილებელია:

**გავერკვეთ, რა არის სიკეთე და რა – ბოროტება, გლობალური თვალსაზრისით ეს წარმოადგენს იმ ბაზას, რომელზე დაყრდნობითაც უკვე რეალური ხდება შევიცნოთ ყოფა და ადამიანის ადგილი მასში.**

აქედან გამომდინარე, დღეს ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ბოროტებასა და სიკეთეში გარკვევა.

ერთადერთი, რაც ნათლად, უცილობლად ექვემდებარება განკარგვას, ეს არის ჩვენი გონება. მაღალია მისი ელასტიურობა, ძვრადობა, სისწრაფე, შესაბამისად, მოაზროვნე ადამიანს არ უნდა გაუძნელდეს შეგნებულად, გააზრებულად შექმნას საკუთარი მე, ზუსტად ისევე, როგორც კონსტრუქტორი ქმნის რთულ მექანიზმს წინასწარი გააზრებული გეგმის, ნახაზის მიხედვით. ამ დროს კონსტრუქტორის არცერთი ახალი მიგნება ფუჭად არ იკარგება, ყოველი ახალი დეტალი ემსახურება მექანიზმის სრულყოფას, მის უნარს, შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

სწორედ ასევე, ადამიანს უნდა შეეძლოს წინასწარი გააზრებული გეგმის შესაბამისად შექმნას საკუთარი ხასიათი, რომელიც დაეხმარება მას დასახული მიზნის მისაღწევად.

**ადამიანს ქმნის აზრი, ფიქრი. რაზედაც ის ფიქრობს დღეს, ხვალ ისეთი ხდება.**

გავრცელებულია შეხედულება, რომ გარემო ჩვენს გონებრივ წყობას, აზრს, ჩვენს შინაგან და გარეგან მოთხოვნილებებს აყალიბებს, განაპირობებს. თუ ადამიანის შინაგანი სიცოცხლის დინებას ჩაუფიქრდებით, მაშინ ეს აზრი უმაღლეს ჭეშმარიტებად არ მოგეჩვენებათ. ის ალბათ, დიფერენციაციას უნდა ექვემდებარებოდეს. გააჩნია, ვის გონებაზე მოქმედებს, ან ვერ მოქმედებს გარემო.

არიან ადამიანები, რომლებზეც გარემომცველი გარემო გავლენას ვერ ახდენს. თუ ასეთი ადამიანების რიცხვი თითებზე ჩამოსათვლელია, ეს ამტკიცებს იმას, რომ ჩვენს გონებაზე გარემო კი არ მოქმედებს, არამედ

**ყოველი ჩვენთაგანი მიისწრაფის ისეთ გარემოში, რომელიც ყველაზე მეტად ეთანადება მისი ზნეობისა და ინტელექტის რეალურ დონეს.**

რა ქმნის, რა განსაზღვრავს იმ ადამიანთა შინაგან ენერგიას, რომელიც პირიქით, გარემოზე ახდენს ზემოქმედებას, ხანდახან ისე, რომ არა მარტო გარემოს, არამედ ცივილიზაციის განვითარების მიმართულებასაც საერთოდ ცვლის?

რა გარემო იყო სოკრატეს გარშემო?

ბერძნები ცხოვრობდნენ პლასტიკით, სილამაზით, მითებით, ზღაპრებით, ინსტიქტებითა და ინტუიციით. მათ ღრმად სწამდათ თავისთავად ზრდადი სიცოცხლის საკრალური, წმინდა ძალა. ამ გარემოში ადამიანი მოვიდა და ბავშვურ, უცოდველ სამყაროს (ძველბერძნული გაგებით), დემონურად – ანალიტიკურად, უძირო, ირონიული თვალებით შეხედა.

პირველად მოხდა, რომ ცხოვრებას შეხედეს არა შიგნიდან, არამედ გარედან. დაიწყეს ცხოვრების შეფასება. დაიწყეს ცხოვრების გასამართლება აზრის, ლოგიკის, გონების, იდეალების პოზიციიდან. ანალიტიკურმა აზროვნებამ გაანგრია კედელი, დაიწყო არსებულის დაშლა და ეს დაშლა მიმდინარეობდა გააზრებულად, მეთოდურად, იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს უცოდველი ფილოსოფია ისევე, როგორც არ არსებობს უცოდველი იდეები.

გონებით აღქმული იდეა რეალურ ქმედებას იწვევს, რადგან, როგორც შოპენჰაუერი თვლიდა: **"არავითარი რეალური სამყარო არ არსებობს. არის მხოლოდ ჩვენი წარმოდგენა სამყაროზე. სამყარო მხოლოდ ჩვენს ინტერპრეტაციაში არსებობს ".**

ადამიანში, რომელიც ყოფიერების მთლიანობის მიმართ სრულ ყურადღებას ავლენს, აუცილებლად ვითარდება თვითშეზღუდვის ეთიკური ძალა.

გარემოს გააზრებამ აიძულა სოკრატე ამ ძალაზე ამაღლებულიყო. მან იცოდა, რომ ადამიანში ყველაფერი ფიქრობს და ეს ქმნის მის მთლიან ბიოენერგეტიკულ სივრცეს.

სოკრატეს ფილოსოფიაში **ინტუიცია გადაიწონა "აზრით"; ეს მან მოახერხა ხალხი აზრის წინაშე დაეჩოქებინა.**

სოკრატე ცხოვრებიდან გავიდა და იქიდან შეხედა სამყაროს. მისგან გამომდინარე, მოგვიანებით გაჩნდა გამოთქმა:

**"ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ".**

მთელი ცივილიზებული სამყარო გაჟღენთილია ამ აზრით.

**გარემომცველი გულგრილი, ე.ი. ჭეშმარიტების მოძულე თანამოქალაქეები სოკრატესთვის, უპირველეს ყოვლისა, იყვნენ ავადმყოფები, პაციენტები, რომლებიც უნდა განიკურნონ, რადაც უნდა დაჯდეს და თუ, მათ არ ესმით მათი ავადმყოფობის დამანგრეველი ძალა, მაშინ მათი განკურნება უნდა მოხდეს მათი სურვილის წინააღმდეგაც კი, და არ უნდა მიაქციო ყურადღება იმას, როგორ იგრიხებიან და ღრიალებენ კლინიკური გაპრიალებული ფოლადის დანახვაზე.**

იმასაც არ უნდა მიაქციოთ ყურადღება, თუ რა ენერგიულად აცხადებენ პროტესტს, სისხლიანი გულის ყველა ფიბრებით. აუჩქარებლად, მთელი ყურადღებით, აბსოლუტური სიზუსტით, უნდა ამოვკვეთოთ მათი გონებიდან **ალოგიკურობა, სიცრუე, ჭეშმარიტებისგან გაქცევის სურვილი.**

სოკრატემ ეს მოახერხა. ნებისმიერი შემთხვევითი გამვლელი, როცა ხალხით გარშემორტყმულ, დაბალ, მსუქან, გაცვეთილ ხალათში გამოწყობილ მოსაუბრე კაცს დაინახავდა, მოსასმენად მას ჯერ ირონიული ღიმილით უახლოვდებოდა, მაგრამ, მის

პირველსავე ფრაზებზე, მსმენელს, გულიდან წამოსული ირონიული ღიმილი, სახეზე ეყინებოდა. გამვლელი გაოცებული ისმენდა. მეორე დღეს, ის სპეციალურად ეძებდა ამ შეუხედავ კაცს, რათა კიდევ ერთხელ მოესმინა მისთვის.

**იწყება ამაღლება.** აი, ეს უნდა იყოს ჩვენი ქმედების სიმბოლო. ნუ გეშინიათ აზრობრივი ძალადობის. ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს. ჩვენ იძულებულები ვართ, ასე მოვიქცეთ.

ადამიანთა ცნობიერებამ, გამოცდილებამ მკვეთრად განასხვავა აუცილებელი ქმედება და დანაშაული: მკვლელობა თავდაცვისას და მკვლელობა ძარცვის, ან შურისძიების მიზნით, ცდუნება და ძალადობა და ა.შ.

მე-19 საუკუნეში იყო მცდელობა გაეთანაბრებინათ აღნიშნული დანაშაულებანი და ეს, უსაფუძვლო აზრი იყო. ამგვარად, ცივილიზაციამ მოგვანიჭა უფლება, ვიბრძოლოთ ადამიანის ამაღლებისთვის, რადგან ეს გადარჩენისთვის აუცილებელი ქმედებაა და არა დანაშაული.

**მთავარია გვახსოვდეს, რომ რა წმინდაც უნდა იყოს მიზანი – ადამიანის კეთილდღეობისთვის ზრუნვა, ეს ფიზიკური, ან სხვა უხეში ფორმით ძალადობის საფუძველი არ უნდა გახდეს!**

სოკრატემ ევროპულ აზროვნებაში მიკრობი შემოიტანა და ამ მიკრობის მოქმედების შედეგის გააზრება დღემდე არ დასრულებულა. მან ცივილიზაციის არნახული ბიძგი გამოიწვია. სოკრატეს მიხედვით, გარე სამყარო ლოგიკური აზროვნებიდან გამომდინარე უნდა იქნას გაგებული.

**აი, ესაა თვითმყოფადი და მოზეიმე ძალა, ეს უნდა იყოს ჩვენი აზროვნების ორიენტირი!**

დიალექტიკა, ანუ განვითარების პროცესი, სოკრატესთვის იყო ცხოვრება, ეროსი, ეროტიზმი.

განვითარების პროცესს ჩვენც ასე შევხედოთ.

ჩვენი შინაგანი ენერგია, ინტელექტი ქმნის ჩვენს გონებას, და თუ, ეს ქმნილება მყარია, კარგია, ამ ქმნილების სიკეთით ჩვენვე ვსარგებლობთ, თუ არა – მის უკეთურ თვისებებზე ჩვენვე ვართ პასუხისმგებელნი; მაგრამ ეს არასაკმარისია: საქმე იმაშია, რომ აზრის შედეგი არა მარტო მის შემოქმედზე აისახება და არ არსებობს უფრო მეტად საპასუხისმგებლო ქმედება, ვიდრე აზრის გავრცელებაა.

**ინტელექტი – პასუხისმგებლობაა. პასუხისმგებლობა ნებისყოფას ავითარებს.**

გაიხსენეთ ვაჟას "გველის მჭამელი" – ადამიანი, რომელმაც ბუნება შეიცნო, მყისიერად უზარმაზარ პასუხისმგებლობას გრძნობს.

**გააზრება – ეს პასუხისმგებლობაა.** რის მიმართაც, ჩვენი უცოდინარობით, უყურადღებობა მიგვეტევებოდა, გათვითცნობიერების შემდეგ, მისი უგულებელყოფა დაუშვებელია.

**გააზრების შემდეგ თვალის დახუჭვა უკვე ბოროტებაა.**

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ არაფერი ისე მარტივად არ გადაეცემა სხვას, როგორც ჩვენი აზრები, ე.ი. ერთის აზრი გადაეცემა მეორეს, მეორისა – პირველს. ასეთი კომპლექსი აერთიანებს ადამიანებს და აკავშირებს ან სიკეთესთან, ან ბოროტებასთან, ჩვენი მომავლის მშობელს, მეგობრებს, მტრებს განსაზღვრავს.

**სურვილის უმაღლესი ფორმაა ნებისყოფა, რომელიც თავის მხრივ, ყველაზე მძლავრი შემოქმედებითი ძალაა.**

გარე სამყაროს საგნებთან გვიზიდავს სურვილი.

**სწორედ სურვილს მიჰყავს ადამიანი იქ, იმ გარემოში, სადაც შესაძლებელია მისი სურვილის დაკმაყოფილება. ამ გარემოში იწყება მისი, როგორც ადამიანის, სრულყოფილი ჩამოყალიბება, ანუ დაბადება.**

**თუ ის გარემო, რომელიც აკმაყოფილებს ჩვენს სულიერ და მატერიალურ მოთხოვნებს, არ არსებობს, მაშინ ის ჩვენ უნდა შევქმნათ.**

მოაზროვნე ადამიანი თავისი სურვილის შესაბამისად იბადება და ყალიბდება. ამიტომ სურვილის არჩევისას განსაკუთრებით ფრთხილნი უნდა ვიყოთ. სულში არ უნდა შევუშვათ ის სურვილი, რომელიც ჩვენს განვითარებას შეაფერხებს.

ჩვენი სურვილები მოქმედებენ ჩვენ გარემომცველ ხალხზე. ისე, როგორც ჩვენი აზრი, სურვილიც გადაეცემა სხვას. რადგან ჩვენ, ადამიანები, ევოლუციის ისეთ საფეხურზე ვიმყოფებით, სადაც სურვილი გაცილებით ძლიერია აზრზე, ამიტომ

**ერთნაირი სურვილები უფრო აკავშირებენ ადამიანებს, ვიდრე ერთნაირი აზრები.**

აქედან გამომდინარე, ადამიანთა უმრავლესობაში სურვილი ქმნის მომავალში მტრებსა და მოყვარეებს. სურვილს შეუძლია ხვალ დაგაკავშიროს ისეთ ადამიანებთან, რომელთა არსებობაზე დღეს წარმოდგენაც კი არა გვაქვს. შესაძლებელია, ერთის მძლავრმა სურვილმა ისე იმოქმედოს მეორეზე, თანაც ისეთ მომენტში და ისეთ გარემოებაში, რომ შედეგი წარმოუდგენელი აღმოჩნდეს.

არსებობს ისეთი შინაგანი მდგომარეობა, როდესაც შინაგანი ზნეობრივი, სიკეთესა და ბოროტებას შორის მერხევი, სასწორი არამდგრად წონასწორობაშია. ჩვენთვის შეუცნობელი ფსიქიკის სამყაროდან ნაკარნახევი უმცირესი ვიბრაციაც კი, მომენტალურად გადაწყვეტს, თუ სასწორის ისარი რომელ მხარეს გადაიწონოს.

ადამიანს უკვირს, როდესაც, მისი აზრით, დაუმსახურებლად, უეცრად, თავს უბედურება ატყდება. მის მოუმზადებელ ცნობიერებას ვერც კი წარმოუდგენია, ეჭვიც კი არ უჩნდება, რომ მისი უბედურების მიზეზი იყო ზიანი, რომელიც მისმა უარყოფითმა სურვილმა, შეუმჩნეველმა ჟესტმა, ირონიამ, მიმიკამ სხვა ადამიანს მიაყენა.

სამი ძალა აშენებს ჩვენს მომავალს.

**ჩვენი აზრები ქმნიან ჩვენს ხასიათს.**

**ჩვენი სურვილი ირჩევს იმათ, ვის გარემოცვაშიც მომავალში ცხოვრება მოგვიწევს.**

**ჩვენი ბედნიერების ზუსტ ზომას ჩვენი ქმედება აყალიბებს**.

არასდროს უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა ძალას თავისი მოქმედების არეალი, სფერო აქვს.

**თუ ადამიანი მიწაზე თესავს, მოსავალს ცაში ვერ მოიმკის.**

მან შეიძლება ხორბალი ბოროტი ჩანაფიქრით დათესოს, მაგალითად, იმისათვის, რომ ბოროტების ჩასადენად საშუალება მოიპოვოს, მაგრამ ამ თესლიდან ისეთივე ხორბალი ამოვა, როგორიც კეთილი აზრით დათესილი მარცვლიდან ამოვიდოდა. ამ პროცესის შედეგისთვის მნიშვნელობა არა აქვს, ხორბალი რა მიზნით დაითესა.

სულიერი, ფსიქოლოგიური, გონებრივი ძალა და მისი ზემოქმედების შედეგები შეიძლება აზრის, ქინის გაცხოველებით გამოიხატოს, ანუ სულიერ სფეროში; როდესაც აზრი, გრძნობა ქმედებაში გადადის, მაშინ ყველა შედეგი მიწიერში გამოისახება.

თუ ადამიანი ეკლესიას აშენებს, შესაძლებელია, ეს ჩანაფიქრი უარყოფითი განზრახვით, ქედმაღლობით, განდიდებით იყოს ნაკარნახევი, მაგრამ ეკლესიაში შემსვლელისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. აქ ისინი ისეთსავე შვებას იგრძნობენ, როგორსაც ეკლესიის კეთილი სურვილით აშენების შემთხვევაში მიიღებდნენ.

რაც უფრო მაღალია ის წყარო, საიდანაც მოდის ადამიანის შინაგანი ქმედება, მით ხანგრძლივი და ძლიერია მისი გავლენა.

**ავირჩიოთ ამაღლებული წყარო და დავიწყოთ ქმედება ყოყმანისა და შიშის გარეშე. უნდა ვიცოდეთ, რომ შეიძლება ქმედება აბსოლუტურად ჭეშმარიტი არ იყოს. მთავარია, რომ ავმოქმედდით, რადგან შეცდომა მხოლოდ მიწიერი გამოვა, ამიტომ მისი მიღება, როგორც მკაცრი გაკვეთილისა, და შესაბამისად, მისი გამოსწორება, შესაძლებელია.**

**მთავარია არ დავემორჩილოთ ჩვენი აზროვნებისთვის მიუღებელ, გარემოს მიერ თავსმოხვეულ ცხოვრების წესს.**

# რა შეგვიძლია ჩვენ

ზემოხსენებული მოსაზრებები, მასალა, ჩვენი ყოფის გააზრება პრობლემის გადაწყვეტისთვის საკმარისი არაა, აუცილებელია პრობლემასთან ბრძოლის ინსტრუმენტი – მეთოდი. შევეცადოთ, ჩამოვაყალიბოთ ამ მეთოდის არსი.

**ჩვენი ხვალინდელი ცხოვრების მოწყობის ორიენტირი მხოლოდ დღევანდელი რეალობა უნდა იყოს.**

ვაწყდებით უმნიშვნელოვანეს პრობლემას: **ვის დავუჯეროთ? ვის ვანდოთ ჩვენი მომავალი? არსებობს თუ არა ადამიანებში გარკვევის რაიმე საშუალება?**

**აი, ეს ამოცანაა დღეს ყველაზე აქტუალური. არჩევანის ცივილიზებული ფორმა ჩვენი მოსაძებნია.**

ამ ამოცანის **ამოსახსნელად შევარჩიოთ ჩიკაგოს უნივერსტეტის პროფესორის – ლეო ფონ ბერტალანფის მიერ შემოთავაზებული ანალიზის მეთოდი: სადაც ყურადღება ექცევა არა კონკრეტულ ობიექტს, არამედ მის დამოკიდებულებას გარემომცველ სამყაროსთან.**

მთავარია გავერკვეთ ადამიანი თავს კომფორტულად რა კონკრეტულ გარემო პირობებში გრძნობს.

ეს იდეა უფრო ნათლად გავარჩიოთ. ასეთმა მეთოდმა უნდა შეძლოს, მაღალი ალბათობით გაგვარკვიოს პიროვნების რეალურ თვისებებში, შესაძლებლობებში. მეთოდი იმითაცაა საინტერესო, რომ სიზუსტისკენ სწრაფვას გამორიცხავს. დეტალიზაცია მთლიანობის გაგებაში არაფერს იძლევა, მხოლოდ დაგვაბნევს. მართლაც, რას მოგვცემს ევერესტის მიკროსკოპში დათვალიერება? – არაფერს!

ჩვენი მიზანია – ადამიანებში გარკვევის რაიმე საშუალების გამონახვა.

ადამიანში გასარკვევად იმდენი რამ არის განსახილველი: თმის ფერი, სიმაღლე, გემოვნება, განათლება და ა.შ., რომ შეიძლება მთელი ცხოვრება შევალიოთ და მის პიროვნულ თვისებებზე წარმოდგენა ვერ ჩამოვაყალიბოთ; ამიტომ პიროვნებაში გასარკვევად, ნუ მივაქცევთ ყურადღებას მის დალაგებულ მსჯელობას, გემოვნებით შერჩეულ ტანსაცმელს და ა.შ., რადგან ასეთი წვრილმანები ისეთ ლაბირინთში შეგვიყვანს, საიდანაც ვერასოდეს გამოვალთ.

შესაძლოა, ეს საკითხი ზოგადად არც თუ ისე მნიშვნელოვანია, მაგრამ რა ვუყოთ არჩევნებს, როცა გვთავაზობენ მხოლოდ ორ სუბიექტს. გარკვეული ადამიანების ჯგუფი თავგამოდებით ამტკიცებს თავისი წარმომადგენლის უნიკალურობას, პატრიოტულობას, პატიოსნებას, განათლებას და ლაფში სვრის მოწინააღმდეგეს. ასევე იქცევა მეორე მხარეც; და მათი დისკუსია უსასრულოდ გაგრძელდება. ორივე მხარე თავგამოდებით დაიცავს თავის შეხედულებას და მსმენელი ისე დაიბნევა, რომ საერთოდ ხელს ჩაიქნევს და საკითხის განხილვას მიატოვებს.

თუ ასეთი სუბიექტებიდან, სახელმწიფო მართვაში ერთ-ერთის არჩევა, თქვენს ბედს ცვლის, აქ ხელის ჩაქნევა დაუშვებელია. რადგან თქვენ იძულებული ხართ, აირჩიოთ ერთ-ერთი მათგანი და ეს არჩევანი მონეტის აგდებას ჰგავს. ამგვარად, ხელში ან პატიოსანი პიროვნება შეგრჩებათ, ანდა ისეთი, რომელიც პირწმინდად გაგძარცვავთ.

**ამრიგად, სუბიექტის არსში გარკვევის მიზნით უმნიშვნელოვანესია მისი გარემოსთან დამოკიდებულების განხილვა; რაცააშკარავებს სუბიექტის ზნეობისა და ინტელექტის დონეს.**

ზემოთ მოხსენებული მოსაზრებები, მასალა, ჩვენი ყოფის გააზრება, პრობლემის გადაწყვეტისთვის საკმარისი არაა, აუცილებელია პრობლემასთან ბრძოლის ინსტრუმენტი – მეთოდი. შევეცადოთ, ჩამოვაყალიბოთ ამ მეთოდის არსი.

მოქალაქე, ჩვენს პირობებში, სამი მიმართულებით განიცდის ფსიქოლოგიურ შეტევას: არსებობს რეაქციული ოპოზიცია, რომელიც ყველა მის ხელში არსებულ რესურს ექსტრემალური პირობების შესაქმნელად იყენებს.

მმართველი ჯგუფი, პირიქით, თავგამოდებით ამტკიცებს, რომ ყველაფერი კარგადაა. აი, ჩაატარებენ რამდენიმე საკადრო ცვლილებას და ყველაფერი მოგვარდება ხვალ, ხვალ თუ არა, უახლოეს მომავალში. სხვა სიტყვებით, ჩვენ ვიმყოფებით ერთის მხრივ,

ექსტრემისტების ზეწოლის ქვეშ, მეორეს მხრივ, მოჩვენებითი კეთილდღეობის, იმედის სამყაროში და ეს ყველაფერი – საშინელი რეალობის ფონზე. ეს რეალობა, მესამე მდგომარეობა, იმდენად ამაზრზენია, რომ პიროვნება დაუფიქრებლად გადადის ან რეაქციულ, ან ილუზიურ სამყაროში. ერისთვის ორივე შემთხვევა დამღუპველია.

**ბერტალანფის თეორია ადამიანის გარემოსთან დამოკიდებულების გააზრებისთვის გამოვიყენოთ.**

**ამ მეთოდის არსი შემდეგშია**: მარტივად რომ ვთქვათ, თუ ობიექტი თავს კომფორტულად გრძნობს სამხრეთ პოლუსზე (სადაც ტემპერატურა –70 გრადუსამდე ეცემა), გამორიცხულია, რომ იგი იყოს არწივი, ის, უბრალოდ, პინგვინია.

ჩვენი გარემომცველი სამყაროს ნებისმიერი რეალური ობიექტი: ხე, ქვა, პლანეტები და ა.შ. არ შეიძლება იზოლირებული იყოს. ის, აუცილებლად ურთიერთქმედებაში, ურთიერთკავშირშია სხვა ობიექტებთან. პლანეტები ერთმანეთს იზიდავენ, ე.ი. ურთიერთკავშირში არიან. მზის გამოსხივების ენერგიამ, ანუ ურთიერთქმედებამ დედამიწასთან, შექმნა სიცოცხლე. სხვადასხვა ნივთიერების ატომები ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან და ქმნიან სხვადასხვა სტრუქტურებს: ლითონი, ქვა, ჰაერი. ამ ურთიერთკავშირში ნათლად ვლინდება ობიექტის თვისებები, მაგალითად, რკინა ადვილად შედის ურთიერთქმედებაში, ის იჟანგება და თავდაპირველ თვისებებს კარგავს. ოქრო ჟანგბადთან ურთიერთქმედებაში არ შედის და ინარჩუნებს თვისებებს, ამიტომ მას კეთილშობილ ლითონს უწოდებენ.

ცხადია, რომ გარემომცველი სამყაროს ობიექტების ურთიერთქმედების უსასრულო კომბინაციები არსებობს და მათში გარკვევა უდიდესი პრობლემაა.

მეცნიერებმა ამ ურთულესი პრობლემის გამარტივება შეძლეს. მათ ეს ურთიერთქმედება ჯგუფებად დაყვეს. მაგალითად, ვიცით, რომ ყველა ნივთიერება ატომებისგან შედგება, მაგრამ ისინი შეიძლება დაჯგუფდეს მყარ, თხევად და აიროვან მდგომარეობაში მყოფ ნივთიერებებად. როდესაც, საუბარია ალმასზე, თქვენ უკვე იცით, რომ ის მყარი სხეულების ჯგუფს მიეკუთვნება, კონიაკი კი, თხევადი ნივთიერებაა.

დაჯგუფება იმდენად ეფექტურია, რომ მეცნიერებმა შეძლეს მთელი გარე სამყაროს შემადგენელი ელემენტები დააჯგუფებინათ და ერთ ფურცელში ჩაეტიათ (ელემენტების პერიოდულობის სისტემა).

რა თქმა უნდა, დაჯგუფება იმის მიხედვით ხდება, თუ რა გვაინტერესებს. მაგალითად, ძაღლების დაჯგუფება შეიძლება სიმაღლის, ან ფერის მიხედვით, მაგრამ ამ ერთგული ცხოველის მოყვარულნი მათ სხვაგვარად ყოფენ: მონადირე, დეკორატიული და ა.შ.

ჩვენი პრობლემიდან გამომდინარე, ადამიანთა დამოკიდებულება გარემოსთან შესაძლოა სხვადასხვა კომბინაციებით დავაჯგუფოთ.

ადამიანი არც ცხოველია და არც ატომი. უსასრულოა ადამიანთა დახასიათების ვარიაცია, რადგან ყოველი მათგანი ინდივიდუალურად უნიკალურია.

ჩვენს მიზანს წარმოადგენს – ადამიანებში გარკვევის რაიმე საშუალების გამონახვა.

ამ პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია ჯერ ჩამოვყალიბდეთ და შემდეგ კი, გავარკვიოთ რომელ თვისებრივ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ესა თუ ის სუბიექტი.

შევეცადოთ, გამოვიყენოთ სისტემური ანალიზი ადამიანთა თვისებრივი დაჯგუფებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მიზანი დიფერენციაციაა და არა პიროვნებათა დისკრიმინაციის მცდელობა, მაინც დიდი სიფრთხილე გვმართებს. სიფრთხილე მეცნიერული გაგებით, რადგან შეიძლება წარმოგვექმნას ასეთი პრობლემა: როდესაც თქვენ ცდილობთ მსმენელს გააგებინოთ თქვენი მოსაზრება, თეორია, მას შეიძლება ეჭვი შეეპაროს, არ დაიჯეროს, უბრალოდ, ვერ გაიგოს, ან არ მოეწონოს თქვენი თეორია. ეშვება ფარდა, თქვენ აღარ გისმენენ. ეს კი ხელს უშლის გაგებას.

ასეთი პრობლემა ფუნდამენტურ მეცნიერებაში შემდეგნაირად გადაწყვიტეს. დიდი ხანია მიხვდნენ, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, მოსწონთ თუ არა თეორია. არა აქვს მნიშვნელობა თეორია კარგია თუ – ცუდი, მხატვრული, დახვეწილი, ადვილად გასაგებია თუ არა, ჯანსაღი აზრის ჩარჩოში ეტევა თუ არა.

მთავარი ისაა, რომ თეორიას მომხდარი მოვლენის ახსნა, მოვლენისა და მისგან გამომდინარე შედეგების წინასწარმეტყველება შეეძლოს.

**ჩვენი მიზანია გავიაზროთ თუ რა სოციალური ძალა უნდა დაუპირისპირდეს მათ, ვინც ერის განვითარების ძირითად საფუძველს ანადგურებს.**

**შევეცდებით სოციუმი ოთხ ძირითად ჯგუფად წარმოვიდგინოთ: ტრანსცენდენტული, ენტელექიური, პასიონარული, ინდიფერენტული.**

**ტრანსცენდენტული – კანტის ფილოსოფიიდან გამომდინარე – თანდაყოლილად გონიერი, შემეცნებისთვის მიუღწეველი თვისებების მქონე ადამიანი (ჩარჩოში ჩაუტეველი).**

**ურთულესია ამგვარ ადამიანთა დახასიათება-განხილვა.**

**მართლაც, იბადება, თითქოს, ჩვეულებრივი ბავშვი და უკვე მოცარტია.**

**ვინ აგვიხსნის როგორ გაჩნდა ვაჟა ფშაველი?!**

**ვინ ჩაატია მოკვდავში – გალაკტიონი, დავითი, ტატო, ვან გოგი, აინშტაინი, ბახი, ბეთჰოვენი, მიქელანჯელო?!**

მიქელანჯელოს მოსეს ქანდაკებით აღფრთოვანებული მოკვდავი ქანდაკებას ეკითხება:

– ვინ შეგქმნა ასეთი სრულყოფილი, ღმერთმა?

– არა, მიქელანჯელომ.

– სული ვინ შთაგბერა, ღმერთმა?

– არა, მიქელანჯელომ.

– ღმერთო, შენ რაღა შექმენი?

– მიქელანჯელომ!

ღვთისგან მომადლებული გენია; სხვაგვარი ახსნა ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება.

**ენტელექიური** – არისტოტელეს ფილოსოფიიდან – მიზანდასახული, მიზანმიმართული მამოძრავებელი ძალის, აქტიური საწყისის, შესაძლებლობათა რეალურად განმახორციელებელი ადამიანი.

**პასიონარი** – შარლ ფურიეს ფილოსოფიიდან – საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალა. ჟინის, ვნების, მგზნებარების, დაუდგრომლობის მქონე ადამიანი. პასიონარის **ძირითადი ნიშან-მახასიათებელი, ანუ დომინანტა, არის პიროვნების (ცნობიერი, ან გაუცნობიერებელი) ქმედებისკენ დაუოკებელი შინაგანი სწრაფვა. ის ადამიანის ფსიქიკური კონსტიტუციის ნიშან-თვისებაა. მას ეთიკასთან არაფერი აკავშირებს. ის ბადებს როგორც გმირობას, ისევე დანაშაულს, შემოქმედებასა და ნგრევას, სიკეთესა და ბოროტებას.**

**ინდიფერენტული – გულგრილი.**

**უფრო დაწვრილებით:**

**ტრანსცენდენტული ადამიანები**

ტრანსცენდენტული, როგორც ხვდებით, ისეთი ბუნების ადამიანია, რომელსაც ახასიათებს თვითგანვითარების შემოქმედებითი უნარი. თითოეულ ასეთ ინდივიდში უზარმაზარი პოტენციალია ჩადებული, ისეთი, რომ მათი სიკვდილის შემდეგაც კი, ათეული საუკუნეების განმავლობაში უსასრულოდ, შეუფერხებლად მუშაობს და ჩვენ მათი სახელი ვიცით თუ არა, მნიშვნელობა არა აქვს. ამ ადამიანების მიერ არის შექმნილი სამყაროს შვიდი საოცრება, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა აღარ არსებობს.

პარადოქსი შემდეგშია: მათი უზარმაზარი პოტენციალის კვალიც კი აღარაა, მაგრამ მგრძნობიარე ადამიანები, შემოქმედის პოტენციალით აღფრთოვანებულნი, უზარმაზარ ემოციურ დატვირთვას განიცდიან.

მაგალითად, ჩვენ განცვიფრებულნი ვართ როდოსის კოლოსის უნიკალურობით, რომელიც არც გვინახავს. თუ ტრანსცენდენტული ადამიანის შემოქმედების, დროის



– თუ თქვენთვის ადამიანი საშუალებაა და არა მიზანი;
– თუ თქვენ ქვეყნის მომავალი არ გაფიქრებთ;
– თუ თქვენ შვილების ღალატის გარდა აღარაფერი შეგიძლიათ;
– თუ თქვენ დანაშაულამდე მხოლოდ იმიტომ არ მისულხართ, რომ არც შემთხვევა გქონდათ და არც გამბედაობა გეყოთ;
– თუ თქვენ იჯერებთ მხოლოდ იმას, რაც თქვენთვის სასურველია;
– თუ თქვენ განსხვავებას ვერ პოულობთ ზრდილსა და ბრიყვს შორის;
– თუ თქვენ პატიოსნებაში ზნეობის გარდა რაციონალიზმს ვერ ხედავთ;
– მაშინ თქვენ ეს ნაშრომი არ დაგაინტერესებთ, შესაბამისად, არ გვაინტერესებს თქვენი შეხედულება, ჩვენს შორის დისკუსია უსაფუძვლოა.

არასამთავრებო ორგანიზაცია

„მეცნიერება და ტექნიკა საქართველოში"

**E-mail: tamazbutkuzi@posta. ge**

ტელ.: 893 25 61 94; 893 51 27 04.

მსახვრალი ხელის მიერ, წაშლილი კვალი თქვენში აღფრთოვანებას არ იწვევს, მაშინ, წადით და ნახეთ ჯერ კიდევ წარუშლელი – სამთავისის ეკლესია! ან სადღაც, წიგნებში ჩაკარგული ტატოს "მერანი",ვაჟას "ხმელი წიფელი" მოძებნეთ; ვერ იპოვეთ? – მაშინ გვერდით მდგომს მშობლიურ ენაზე დაელაპარაკეთ და თუ, ეს მოახერხეთ, მაშინ გაიხსენეთ, რომ ეს იმ უდიდესი პოტენციალის მქონე ადამიანის ქმედების შედეგია, რომელსაც დავით აღმაშენებელი ერქვა. იქნებ, მაშინ დავიჯეროთ, რომ მისი სული ყველა ჩვენთაგანშია განაწილებული.

**ინტელექტური ადამიანები**

ამ ჯგუფში ჰარმონიულად თავსდება ადამიანთა ის ნაწილი, რომელიც მიზნის მიღწევისადმი სწრაფვის დიდი პოტენციალით არის დაჯილდოვებული. მას შესაძლებლობების გამოსავლენად კომფორტული პირობები არ სჭირდება. ასეთი პიროვნება თვითონ იღებს გადაწყვეტილებას: ფეხით მიდის იტალიიდან მონღოლების მიერ დაპყრობილი ტერიტორიების გავლით ჩინეთში (სადაც ყოველი ბუჩქის უკან სიკვდილია ჩასაფრებული) და ცივილიზებული ევროპისთვის კომპასის, ქაღალდის, დენთის დამზადების ტექნოლოგიები (მარკო პოლო) ჩამოაქვს. აღარას ვამბობ, საპნის დამზადების ტექნოლოგიაზე,რომელიც იაპონიიდან ასევე **ინტელექტური** ტიპის ადამიანმა ჩამოიტანა.

მანამდე განათლებული ევროპის ფავორიტი ქალები მაღალი ტონის დარღვევას ერიდებოდნენ, ამიტომ პარიკის ქვეშ, ტილებით შეწუხებულნი, ფრჩხილით კი არ იფხანდნენ თავს, არამედ კეთილშობილი ლითონებითა და ქვებით გაწყობილი სპეციალური საფხანი ჩხირებით.

გთხოვთ, წარმოიდგინოთ შუა საუკუნეები, სადაც გაუპარსავ, შრამებითა და მძიმე მახვილებით შეიარაღებულ, ნახევრად კრიმინალურ ბრბოში, გამოჩნდა სუსტი უწლოვანი ქალიშვილი, რომელიც მშობლიურ ენაზეც კი, ცუდად ლაპარაკობდა, და განაცხადა: **"მე მიყვარს საფრანგეთი, მე მას გადავარჩენ!"** როგორც ცნობილია, მან ეს შეასრულა.

ჟანა და რკივით კოცონზე ასვლას ნუ მოვთხოვთ ერთმანეთს. საერთო სოციალური მოტივით გმირობა (ინდივიდუალურ გმირობას არ ვგულისხმობთ) სახელმწიფოს არ უნდა სჭირდებოდეს.

**ბედნიერია ის ერი, რომელსაც გმირი არ სჭირდება**.

ასეთი სახის გმირობა ყოველთვის ზემდგომი მმართველი სტრუქტურების შეცდომათა მყისიერი გამოსწორების მცდელობის შედეგია. თუ მწყობრიდან გამოსული თვითმფრინავი ილუპება და ამ დროს პილოტი, უკანასკნელ წამს, გმირობის ფასად, მანქანას არაწონასწორული მდგომარეობიდან გამოიყვანს, ის, საკუთარი სიცოცხლის ფასად, კონსტრუქტორის, ან მომსახურე ტექნიკური პერსონალის შეცდომის გამოსწორებას ცდილობს. რაც უფრო გააზრებულია მოქმედების გეგმა, მით დაბალია გმირობის გამოვლენის საჭიროება.

მართვაზე პასუხისმგებელობის შერჩევა უდიდეს მნიშვნელობას იძენს. ადამიანთა დასაჯგუფებლად სისტემურ ანალიზს სწორედ ამიტომ ვიყენებთ.

არც იმან უნდა შეგვაშფოთოს, რომ ზოგიერთ **ინტელექტურ** ადამიანებს, შესაძლებლობის მაქსიმუმის გამოსავლენად კომფორტული პირობები სჭირდებათ.

მაგალითად, უდიდესი მოჭადრაკე - რობერტ ფიშერი მონაცემებს სრულყოფილად ვერ ავლენდა, თუ განათების ინტენსივობა, ან ოთახის ტემპერატურა მისთვის არაკომფორტული იყო. მაშინ, როდესაც კომფორტული პირობები: მყუდრო ოთახი, სავარძელში უშფოთველი თვლემა, მეორე **ინტელექტური** ჯგუფის წარმომადგენლისთვის – ქრისტეფორე კოლუმბისთვის, ინკვიზიციური წამების ტოლფასია. როგორ ეხვეწებოდა ქალბატონი პენელოპე თავის მეუღლეს, ოდისევს, დარჩი სახლში, მშვენიერ სადილს და საუკეთესო ღვინოს მოგართმევთო. არა! მას მცირეოდენი მიზეზი სჭირდება, რათა ის ცალთვალა და ცალტვინა ციკლოპებთან საომრად წავიდეს.

ასევე არსებობენ ისეთი **ინტელექტური** ტიპის ადამიანები,რომელთაც საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად აბსოლუტური წესრიგი ესაჭიროებათ. ის იდეალურად,

ეფექტურად მუშაობს როცა ყველაფერი თავის ადგილზეა. საკმარისია, საწერ მაგიდაზე ფანქარი მან არ აღმოაჩინოს იქ, სადაც, მისი აზრით, უნდა იდოს, რომ ის სტრესს განიცდის და მისი შრომის ეფექტურობაც იკლებს. იმ დროს, როდესაც ზოგიერთი მხატვრის სახელოსნოში რაიმე ნივთის მოძებნას გამოცდილი დეტექტივი სჭირდება, მაგრამ ეს ხელოვანში შემოქმედების დაქვეითებას არ იწვევს.

განსხვავებული **ინტელექტური** ტიპის ადამიანებიც არსებობენ.

ცეზარი. ის ცამეტი წლის იყო, როდესაც თავისი "ბიძის", რომის სრულუფლებიანი მმართველის – გაი მარიის, პროტექციით იუპიტერის ქურუმად იქნა არჩეული. ამისთანა ფალშსტარტის მიუხედავად, მას რეალურ მმართველობამდე მისაღწევად ორმოცი წელი დასჭირდა.

"ყველა დროისა და ხალხის გენიის" შესაძლებლობების გამოსამჟღავნებლად ძალიან დიდი დრო ხომ არ არის ორმოცი წელი?

ორმოცი წლის იყო ცეზარი, როდესაც მოწყენილობისგან ამოიხვნეშა – "ეეჰ, ჩემი ხნის იყო ალექსანდრე და უკვე მთელი მსოფლიო ჰქონდა დაპყრობილი, მე კი ჯერ არაფერი გამიკეთებია". 10 წლის შემდეგ ის გალიის დაპყრობას მაინც ახერხებს და მათ სულიერ ცხოვრებას დაუნდობლად ანადგურებს; მისი ახირებით ალექსანდრიის ბიბლიოთეკა თითქმის მთლიანად გადაიწვა და რომში ჩამოიტანა შემთხვევით გადარჩენილი ეგვიპტური კალენდარი,რომელსაც "რატომღაც" იულიუსის კალენდარი დაერქვა. მისი ცხოვრება ძირითადად იმ ინტრიგებისგან შედგებოდა, რითაც მართვის სადავეები ჩაიგდო ხელში. გალიის დაპყრობის გარდა მან ისეთი მნიშვნელოვანი ვერაფერი მოახერხა, რომ რომის ხალხის აღფრთოვანება დაემსახურებინა. მას მართლაც არაფერი გაუკეთებია ისეთი, რაც მის წინამორბედს არ მოსვლოდა თავში.

მხოლოდ ადამიანთა რეალურ სიზმრებში შეიძლება დაბადებულიყო ის ცეზარი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ. საოცრად "გასხივოსნდა" მისი ცხოვრება სიკვდილის შემდეგ; ბრწყინვალეა არა რეალური, არამედ ლიტერატურული ცეზარი. რეალურ ცხოვრებაში, ის არაფრით გამორჩეული მმართველი იყო. ეს იყო პიროვნება, რომელმაც თავის "მჩქეფარე" ცხოვრებაში მეგობრებისა და მტრების გარჩევაც კი, ვერ ისწავლა. მან, ქონების გარკვეული ნაწილი, ანდერძით საკუთარ მკვლელს დეციმ ბრუტსს დაუტოვა. მისი საქვეყნოდ ცნობილი სიტყვები – "შენც ბრუტუს?!", მას არ ეკუთვნის. ეს, მის მაგივრად, შექსპირმა თქვა. არ იფიქროთ, რომ ცინიზმი, ან დაუმსახურებული ირონია გვალაპარაკებს; არაფერია ამის მსგავსი, უბრალოდ, ის უმრავლესობისგან არაფრით გამორჩეული პიროვნება იყო.

ის მაინც ცეზარია, ანუ მიზანდასახული ადამიანი, მაგრამ საკუთარ მომმეთა მიმართ ამაღლებული გულგრილობით.

ცხადია, ვერავინ გაბედავს ბატონი უინსტონ ჩერჩილი მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის უდიადეს პოლიტიკოსთა შორის არ მოიხსენიოს. და ეს ჭეშმარიტებაა, რადგან ისიც, რომელიმე ჩვენთაგანზე, ნაკლები არაფრით გახლდათ. იმ განსხვავებით, რომ ჰერცოგ მარლბოროების შთამომავალი იყო, და აგრეთვე დედამისს, საკმაოდ განათლებულ ქალბატონს, იმდროინდელ ელიტასთან მრავალმხრივი კავშირები ჰქონდა. მას უპრობლემოდ ილებდა დედოფალი ვიქტორია; და ეს პატივსაცემი ქალბატონი მთელ თავის ენერგიას შვილის კარიერის შექმნას ახმარდა.

უინსტონ ჩერჩილის ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ: ბერნარდ შოუ, ოსკარ უაილდი. . . საზოგადოებრივი იერარქიიდან გამომდინარე, უინსტონს განათლება საკმაოდ მაღალი მოთხოვნების იტონის დახურულ სკოლაში უნდა მიეღო; მაგრამ მისი მშობლების მიერ, დახურულ კარს მიღმა, გამოტანილ იქნა რეალური დასკვნა – მისი გონებრივი შესაძლებლობა და მომზადება ამ სკოლაში სწავლის იმედს არ იძლევაო. ამრიგად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი "ჰერროუს" სკოლაში შეყვანის შესახებ; იქ შედარებით დაბალი მოთხოვნები იყო. ის აქაც უკანასკნელი მოსწავლე იყო და სწავლა არა პრესტიჟულ, ფეხოსანთა სასწავლებელში, არამედ კავალერიის სასწავლებელში განაგრძო; ამ სასწავლებლის შიგა ინსტრუქციის თანახმად, საკუთარი სახსრებით ცხენის შენახვა აუცილებლობას წარმოადგენდა, რაც, გასაგებია, მრავალთათვის მიუღწეველი გახლდათ; შესაბამისად, ამ სკოლაში სწავლის მსურველთა რიცხვი გაცილებით ნაკლები იყო. მან კონკურსის დაძლევა მხოლოდ ამ პირობებში შეძლო.

ამ პერიოდში უინსტონ ჩერჩილი მხოლოდ ერთ რამეზე წუხდა, რომ ახლო-მახლო ომი არ მიმდინარეობდა, მისი აზრით, აუცილებლად ომში უნდა გამოეჩინა თავი. სწორედ ამ დროს კუბაში ესპანურ-ამერიკული კონფლიქტის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა; მან, არისტოკრატიული ელიტისთვის განკუთვნილი ხუთთვიანი შვებულება, გამოიყენა და კუბაში სამხედრო კორესპონდენტად წავიდა; მას წერა მართლაც ბრწყინვალედ შეეძლო. ამ მოგზაურობის შედეგად მიიღო ესპანური მედალი, ისწავლა სიგარის მოწევა და სიესტა – შუადღის ძილი, რომანიც დაწერა.

და როდესაც ჰკითხეს, რატომ გახდა პარლამენტარი, მან პირდაპირ უპასუხა – "პატივმოყვარეობა, აბსოლუტური შიშველი პატივმოყვარეობა, პოლიტიკაში მხოლოდ ამან მომიყვანა". ის დაუღალავად ებრძოდა თანდაყოლილ ლიყიანობასა და სიზარმაცეს.

პოლიტიკური კარიერა კონსერვატულ პარტიაში დაიწყო; და როდესაც, კონსერვატორობის პოპულარობამ დაიწია, სასწრაფოდ ლიბერალურ პარტიაში გადავიდა, რითაც იქ მინისტრის პორთფელიც დაიმსახურა. განაწყენებულმა კონსერვატორებმა მას შეუთვალეს – "ბატონო უინსტონ, დაიმახსოვრეთ, ხომალდს ვირთხები მხოლოდ ერთხელ ტოვებენ". ჩერჩილი, მოგვიანებით, კვლავ კონსერვატიულ პარტიაში დაბრუნდება, რითაც დაამტკიცა, რომ ვირთხას ხომალდის ორჯერ დატოვებაც მშვენივრად შეუძლია.

უინსტონ ჩერჩილი მხედართმთავრობაზე ბავშობიდანვე ოცნებობდა. და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ანტვერპენის დაცვის ხელმძღვანელობა მას ჩაბარებოდა. ის ანტვერპენთან განლაგებული ჯარების სარდლად დაინიშნა. მან არ იცოდა და არც დაინტერესებულა გაერკვია, თუ რა ხდებოდა ფრონტზე. მან მხოლოდ ის იცოდა, რომ ქალაქის გადამრჩენი გმირი უნდა ყოფილიყო.

შედეგი: გერმანელებმა ქალაქი დაიკავეს და ჯარის ნაწილი ტყვედ ჩავარდა.

ამის შემდეგ მან კონსტანტინოპოლის დაპყრობა გადაწყვიტა.

შედეგი: მისი გეგმის განხორციელებისას ნახევარი ინგლისის ფლოტი განადგურდა და 50000-მდე დესანტი ჯარისკაცი დაიღუპა.

უინსტონ ჩერჩილი 40 წელზე მეტის იყო, როცა ის სამხედრო სამსახურიდან დამამცირებელი პირობით გადადგა – არასდროს ეთხოვა სამხედრო სამსახურში დაბრუნება.

– ჩემი საქმე გათავებულია – გამოუტყდა ის ნაცნობებს. მას, ლოიდ ჯორჯთან მეგობრობამ, კვლავ მინისტრის სავარძელი არგუნა; თუმცა მას კვლავ პოლიტიკური კატასტროფა ელოდა. უსიამოვნება მისი აპენდიციტის ამოჭრით დაიწყო; მისმა პარტიამ არჩევნებზე ხმათა არასაკმარისი რაოდენობა მიიღო, მთავრობა დაითხოვეს.

ამ, მის ბიოგრაფიაში უმძიმეს პერიოდს, ჩერჩილი ასე აფასებს: – "თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი, რომ სამუშაოს, პარლამენტში ადგილისა და აპენდიციტის გარეშე დავრჩი"...

ყოველივე ამის მიუხედავად, უინსტონ ჩერჩილი ისტორიაში, და არა ლიტერატურაში, ცეზარის მსგავსად, დიდ პოლიტიკოსად დარჩება, რადგან მისი მიზანი ინგლისისა და საერთოდ, ევროპის გადარჩენა იყო. მან, პირველთაგანმა, მთელი სიღრმით აღიქვა და გაიაზრა ის საშინელება, რასაც ფაშიზმი კაცობრიობას უქადდა.

## პასიონარი

მათ დასახასიათებლად გავიხსენოთ, ის ადამიანები, ვინც კოლუმბის შემდეგ სამხრეთ ამერიკას ითვისებდნენ. მათგან 85% პირველივე წელს იღუპებოდა ავადმყოფობით, შიმშილით, აბორიგენებთან ბრძოლით, ერთმანეთთან შუღლის გამო. რისთვის? - გეთანხმებით, ოქრო! მაგრამ, მათთვის ოქროს აზრი ჰქონდა არა როგორც ოქროს, არამედ მიზნის მიღწევის მტკიცებულებას.

მათგან სამშობლოში დაბრუნებული 15% ისეთი გადაღლილი და იმუნურ-სისტემადაქვეითებული იყო, რომ ნაშოვნი სიმდიდრის გამოყენების თავიც აღარ ჰქონდათ.

ასეთ მდგომარეობაში დაბრუნდა ამაზონის აღმომჩენი ორლეანაც. ამ აღმოჩენისთვის მას მარკიზის ტიტული მიანიჭეს. მისცეს სოლიდური ჯილდო ფულის სახით და იცით, რა გააკეთა ორლეანამ? - მიღებული ფული ახალი ექსპედიციის მოწყობაში დახარჯა და ისევ ამაზონისკენ გაემართა, სადაც, თუ არ ვცდებით, ალიგატორებმა შეჭამეს.

ძნელია, სახელმწიფოს მართვა თავისი მიზნისადმი ასე ექსტრემალურად მებრძოლ ადამიანს ვანდოთ. მიზნისთვის ასეთი დაუნდობელი ბრძოლა, მხოლოდ ქაღალდზეა ერთობ რომანტიული; მაგრამ **ასეთ ადამიანს ვანდოთ ისეთი ფაქიზი მექანიზმის მართვა, როგორიცაა სახელმწიფო, მეტი რომ აღარაფერი ვთქვათ, საშიშია.**

## ინდიფერენტული

**ეს, ჩვენი აზრით, ბოროტების კვინტესენციაა და შესაბამისად, ამ ჯგუფის ადამიანთა არსის შესახებ სრული წარმოდგენის შესაქმნელად დროსა და ენერგიას არ დავინანებთ.**

**სიკეთეს აქვს საწყისი, საფუძველი — ეს არის ღმერთი — სამყაროს (რაც გვესმის და რაც ჩვენი შემეცნების მიღმაა) სამართლიანობის უდიადესი კანონი.**

ბოროტებას საწყისი არა აქვს — ის მარტივია — ის, უბრალოდ, სიკეთის უარყოფაა.

**სიკეთის უარყოფის ერთ-ერთი გამოვლინებაა გულგრილობა.**

ე.ი. **თუ გულგრილი ხარ — ხარ ბოროტიც.** სიკეთეს, როგორც სამართლიანობის უდიადეს კანონს, ვერ აღვიქვამთ ლოგიკის, აზროვნების გარეშე.

ჩვენი ქვეყნის თანამედროვე საზოგადოებისა და ინტელიგენციის უმეტესი ნაწილის დამოკიდებულება ლოგიკურ აზროვნებასთან, ფილოსოფიასთან, ზრდილობიანად რომ ვთქვათ, რთულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ამ დამოკიდებულების ანალიზმა უნდა დაგვანახოს ის ძირითადი სულიერი მახასიათებლები, რომელიც ჩვენი ტრაგედიის ძირითადი მიზეზი შეიძლება აღმოჩნდეს.

ინტელიგენციის ნაწილი საერთო ცხოვრებიდან ხელოვნურადაა გათიშული. მისი ფსიქიკა ორმაგ დატვირთვას განიცდის. ერთის მხრივ — შეუცნობელი შიში, არ დაკარგოს ის მცირედი, რაც აქვს და მეორე — ინერტულობა, კონსერვატულობა, გულგრილობა, ცინიზმი, ირონია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთ ფსევდო-"ინტელიგენტის" სულიერი წყობის კონსერვატიზმი ნებისმიერი სიახლისადმი ზედაპირულ დაინტერესებას არ გამორიცხავს. მათ შორის, ევროპული აზროვნების მიმართაც, რომელიც, სამწუხაროდ, არასდროს გაუთავისებია. შესაბამისად, ეს დაინტერესება, ხშირად, აგრესიული ფორმით მჟღავნდება.

თვალში საცემია ზერელე მიდგომა არა მარტო ფილოსოფიასთან, ლოგიკურ აზროვნებასთან, არამედ სხვა სულიერ ფასეულობასთანაც. ფსევდო-"ინტელიგენციას" არა მარტო ფილოსოფიური ცოდნის დაბალი დონე ახასიათებს (ეს ადვილად გამოსწორებადია), არამედ სულის წყობის ისეთი მოზაიკაც, რომ ვერ იღებს სულიერ ფასეულობას და მას აღიქვამს, როგორც წარმოსახვითი სამყაროს საიდუმლოებით მოცულ იდუმალებას, გაუგებრობას, არაპრაქტიკულს და შესაბამისად, გამოუყენებელს.

რა თქმა უნდა, ის ხანდახან რაღაცას კითხულობს, ხანდახან ჩაფიქრდება კიდეც, მაგრამ, ლოგიკური აზროვნების, ფილოსოფიის, ხელოვნების აღქმისა და ესთეტიური სიამოვნების მიღების უნარი, მასში უკვე მინიმუმამდეა დაყვანილი. ეს აიხსნება არა ინტელექტის დეფექტით, **არამედ ნებისყოფის, სურვილის ატროფიით**.

ფსევდო-**"ინტელიგენციას" უტილიტარული ფასეულობა უკვე ისეთი კონცენტრაციით აქვს გამჯდარი სისხლსა და ხორცში, რომ მის სულში რაიმე ფასეულობისთვის ადგილი აღარ რჩება.**

ის ამ უტილიტარულ აზროვნებას ეთაყვანება, რადგან მისგან, ასე ვთქვათ, რაღაც ხეირს ელის (რომელსაც ვერასდროს ვერ მიიღებს, თუმცა ეს მას არ ესმის). მუქთა ხეირი,

როგორც მიუღწეველი რამ, მის სათაყვანებელ “ღმერთად” იქცა. ეს “ღმერთი” მისგან დაჩოქებას ითხოვს და ისიც იჩოქებს.

ცხადია, ამ მდგომარეობაში, მას შემოქმედებისა ან წარმოების რაიმე ინტერესი, არ შეიძლება გააჩნდეს. ის ქვევიდან შესცქერის, თუ როგორ მიმდინარეობს კრიმინალურ ჯგუფებს შორის, ქვეყანაში ჯერ კიდევ შემორჩენილი, მატერიალური ფასეულობების გადანაწილების პროცესი და დაჩოქილი ელის, იქნებ ვინმემ რამე უწილადოს.

ანუ აინტერესებს – როდის წაართმევენ ვინმეს რამეს და მას მისცემენ. მისგან მატერიალური ფასეულობების (სულიერზე აღარაფერს ვამბობთ) შექმნაში მონაწილეობის მიღების მცდელობა გამორიცხულია.

**მას მხოლოდ იმის სუსტი სურვილი ამოძრავებს, რომ მიეტმასნოს რომელიმე პოლიტიკურ მიმართულებას, რათა ამ გზით მაინც იშოვოს რამე.**

ფსევდო-ინტელიგენტებში მატერიალური ნეტარებისადმი ასეთმა სწრაფვამ ჭეშმარიტების ძიებისადმი, ლოგიკისადმი ინტერესი გაანადგურა. შესაბამისად, მათში ამოტივტივდა ერთადერთი პრინციპი – “რაში მჭირდება ჭეშმარიტება, ლოგიკა, თუ მე დღესვე კმაყოფილი არ ვიქნები?!” (კმაყოფილების მიღწევას რომ პირადი აქტიურობა სჭირდება, ბუნდოვნად ახსოვთ, მაგრამ ეს მათი ცხოვრების სტილი არ არის).

მათი (და არა მარტო მათი) კრახის ძირითადი არსი იმ ყველაფრის პაროდიულობაშია, რაც გარს გვახვევია, რასაც ვაკეთებდით და ვაკეთებთ.

მათი პაროდიულობა მათთან კონტაქტში შესვლისას მჟღავნდება. ერთი პატრიოტის პაროდიაა, მეორე ინტელექტუალის, მესამე – ქრისტიანის და ეს სია, უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს.

**ამიტომ იყო პაროდია ჩვენი ომი, პაროდიაა არმიაც, პოლიციაც, სამართალიც, სახელმწიფოც და ვიღაც პაროდიული, არასერიოზული ფსევდო-ინტელიგენტი პოლიტიკოსები, პაროდიულ სახელმწიფოში პაროდიულ “დემოკრატიას” ამკვიდრებენ.**

შედეგი რაღაც სუბფეოდალური (არ გვინდა ფეოდალიზმის ცნებას შეურაცხ- ყოფა მივაყენოთ და ფეოდალიზმი დავარქვათ იმას, რაშიაც ვცხოვრობთ) წყობაა, სადაც ინტელიგენტის (და არა მარტო მისი) სულიერი ძარცვა მიმდინარეობს.

მატერიალურად ის დიდი ხანია გაძარცვულია. ასეთი ადამიანი საკუთარ თავს არასდროს მოსთხოვს ელემენტარული ზოგადსაკაცობრიო ფასეულობის აღიარებას და მისგან არც ამ იდეათა დამკვიდრების მცდელობას უნდა ველოდეთ. მისდამი მიმართული ყველა მოწოდება, ამაღლებული სიტყვები, ქმედება, საბოლოო ჯამში, მისი სულის სიცარიელეს აწყდება.

სერიოზულად გასააზრებელია ის, თუ როგორ მოხდა, რომ ჩვენი ინტელიგენციის საკმაოდ დიდი ნაწილის, თითქოს მდგრადი, ზნეობრივი პრინციპები, სულ მცირე დროში, რადიკალურად შეიცვალა? როგორ ავხსნათ, რომ სუფთა, პატიოსანი ქართული ინტელიგენციის ეს ნაწილი, რომელიც აღზრდილია ათასხუთასწლოვან საკუთარ ლიტერატურასა და ფილოსოფიაზე, ძარცვამდე და ცხოველურ ინსტინქტებამდე ასე სწრაფად დაეშვა.

როგორ მოხდა, **რომ ფსევდო-ინტელიგენციის ნაწილის, საკუთარი ხალხის მიმართ, პოლიტიკური დანაშაული სისხლის სამართლის დანაშაულს შეერწყა**.

ზნეობის დროებითი მოშლა შესაძლებელია ყველგან და ყოველთვის - ეს გასაგებია.

**გამაოგნებელია, საშინელებაა, რომ ზნეობის გაუფასურება გადადის ცხოვრების წესში – ე.ი. ადგილი აქვს ფასეულობათა გადაფასებას, ყალიბდება ახალი “იდეალი”.**

როგორ მოხდა, რომ ინტელიგენციაში ფეხი ვერ მოიკიდა მყარმა მორალურმა ტრადიციებმა, რომლებიც ენერგიულ წინააღმდეგობას გაუწევდა თავსდატეხილ კოშმარს?

ზნეობის კრიზისი მოითხოვს, ჩვენი ინტელიგენციის სულიერი ცხოვრება გადაისინჯოს. საჭიროა ამ დაავადების გამომწვევ მიზეზებში გარკვევა. საჭიროა აზრობრივი ანატომირება, რათა უფრო ახლოს მივიდეთ ამ კოშმარის ფესვებთან.

გასარკვევია, თუ უტილიტარული ფერებით მისი გონებრივი განვითარება და მორალი როგორ შეიღება.

**რათა მათ შეიყვარონ, ან დაიჯერონ ის, რაც არ უყვართ და არ სწამთ – ისინი შინაგანად უნდა განახლდნენ.**

შინაგანი განახლება ურთულესი პროცესია. აქ ცნობიერება თითქმის უძლურია. საჭიროა თავიდან შეიქმნას მისი სულიერი ქსოვილი. ეს ურთულესი ორგანული პროცესი უნდა მოხდეს იმ სფეროში, რასაც ნებისყოფის სფერო ჰქვია.

ერთადერთი, რაც აუცილებელია და ჩვენს შესაძლებლობაშია, არის ის, რომ ვურჩიოთ:

**შეეცადე, გახდე ადამიანი, და, თუ მან ეს შეძლო, მაშინ ის უჩვენოდ გაიგებს, თუ რა უნდა, რა უნდა უყვარდეს და სწამდეს, და როგორ, რათა არ დაკარგოს ბუნებრივი განვითარების უნარი.**

უნდა მივეხმაროთ მას, რათა მასში ცნობიერება და ნებისყოფა ერთნაირად განვითარდეს. თუ ეს ვერ მოვახერხეთ, მაშინ აუცილებელია ჩვენი შესაძლებლობის ფორსირება.

**რადგან, არსად ისე დესპოტურად არ ბატონობს ადამიანზე საზოგადოებრივი უტილიტარული აზრი, როგორც ჩვენთან.**

ჩვენი საზოგადოებრივი აზრი უშფოთველად ფუვდება იმ პრინციპის საფუძველზე, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს – "იფიქრე მხოლოდ საკუთარ თავზე" – და ისინიც უკვე სრულიად შეეჩვივნენ ასეთ მდგომარეობას და აზრად არავის მოსდის, რომ

**თუ რაიმე კორდინალურად არ შეიცვალა – ქვეყანა განწირულია**.

ეს საზოგადოების, ინტელიგენციის სერიოზული დაავადებაა, რომელმაც შესაძლოა ინტელიგენციის ისეთ მომაკვდინებელ სოციალურ ფენად გარდაქმნა გამოიწვიოს როგორიც არის ბრბო.

**ბრბო.** ოპტიმისტური, კეთილი წინასწარმეტყველება მორალურ ჩარჩოებში ეტევა. სულ სხვაა ნეგატიური მოვლენის წინასწარმეტყველება. აქ წინასწარმეტყველი ან თავხედი უნდა იყოს, ან ნეგატიური მომავალი – ისეთი ცხადი კოშმარი, რომ ეთიკის ნორმების დაცვა უკვე ინფანტილიზმად შეიძლება ჩაითვალოს.

ჩვენი ყოფა, წარსული, ისეთი დოზით შეიცავს ალოგიკურობასა და მისგან გამომდინარე ბოროტებას, რომ ნოსტრადამუსის გენია სულაც არ არის საჭირო, რათა დაინახო ის, რაც გველის. ვიმეორებთ – აქ უმნიშვნელოვანესია გვესმოდეს:

**ჩვენს საკუთარ აპოკალიფსზე ჩვენვე ვართ პასუხისმგებელნი!**

**ჩვენი უპრინციპობით, სიჩუმით კრიმინალურ ჯგუფს ქვეყნის განადგურების საშუალება მივეცით, ეს ერთის მხრივ. მეორე, უფრო საშინელი – თავის დროზე ვერ შევნიშნეთ რიცხობრივად მცირე, ინერტული სოციალური ფენის წარმოქმნა.**

სათანადოდ ვერ შევაფასეთ მათი ლოზუნგები: **"ჩვენ ყველაფერზე თანახმა ვართ, ჩვენ ვიშიმშილებთ, ძალიან მცირედიც გვეყოფა, გთხოვთ, ყველაფერს ნუ წაგვართმევთ!"** და **"მოგცლია, ამ ქვეყანას შენ ვერ გამოასწორებ!"**

ინერტულ ფენას არ აინტერესებს წარსული, აწმყო, მომავალი. მასში ჩამკვდარია შემოქმედებითი იმპულსი. ის მრავლდება, რადგან სხვა არაფერი შეუძლია, და უკვე, აღარ არის უმცირესობა, ეს უკვე მრავალრიცხოვანი სოციალური ფენა – ბრბოა. მათგან მოდის ბრძანება – "იყავი ისეთი, როგორიც ვარ მე, აბა, გაბედე რამე! ნუ ისწრაფვი იმისკენ, რაც არ იჭმევა და არ ისმევა . . . !"

ბრბოს ირონია, ცინიზმი მიმართულია აქტიური შემომქმედი ადამიანისკენ. არნახულ მასშტაბებს აღწევს მათი სიჩუმით წაქეზებული ძალადობა.

შესაბამისად, ეცემა ხელოვნებისა და მეცნიერების დონე.

მათი უკვე კრიმინალურ მმართველობასაც კი, ეშინია, რომელიც ბრბოს ყოველ ნაბიჯს, გამოსვლას გაფაციცებით ადევნებს თვალს. მათი რაოდენობრივი ცვლილება თვისობრივში გადადის. ეს უკვე "მორჩილთა" აგრესიული ბანდაა. მათ რიგებში ერთი აქტიური ავანტიურისტის გამოჩენაც კი, დეტონატორის როლს შეასრულებს და ბრბო დინამიტივით აფეთქდება.

**აი, მაშინ იქნება გვიან, ძალიან გვიან!**

**განუსაზღვრელი იქნება მათი ძალადობა.**

**ქვეყანა, კიდევ ერთხელ, ძვლების მტვრევას ველარ გაუძლებს.**

არნახულ მასშტაბებს მიაღწევს არა მარტო კორუფცია, არამედ ძარცვა და ძალადობაც.

**ერთი დემონი შეცვლის მეორეს** და აღსრულდება ჩვენი სუსტი თუ ძლიერი მტრების ოცნება.

**საშინელებაა დეგრადირებულ არაფრისმქონე, არაფრისმცოდნე და ყველაფრისმქონე, არაფრისმცოდნე დემონებს შორის დამოკიდებულება.**

ერთ-ერთი ასეთი დამოკიდებულების მკვეთრი მაგალითია ლათინური ამერიკა, რომლის მოსახლეობა ტემპერამენტით ახლოს დგას ჩვენთან. მიუხედავად ტემპერამენტისა, იქაც ბევრია გულგრილი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იმედოვნებდა, რომ ყველაფერი თავისით გამოსწორდებოდა. ერთი ძირითადი განსხვავება ჩვენს შორის ის არის, რომ ჩვენთან ასეთი დამოკიდებულების სისასტიკე ისტორიულად არ დაფიქსირებულა (ეტყობა, ჩვენს წინაპრებში მცირე იყო გულგრილთა ფარდობითი კონცენტრაცია).

XII საუკუნეში შეიქმნა აცტეკების (ანაგუაკი), ინკების (ტახუანტინსუიუ) და მუისკსოს (ჩიბჩა) სახელმწიფოები. ესპანელების გამოჩენამდე, ამ სახელმწიფოებში საოცარი დამოკიდებულება იყო არისტოკრატიასა და დაბალ ფენებს შორის.

განვიხილოთ, მუისკები (თანამედროვე კოლუმბია) – იქ არისტოკრატთან რაიმე საქმეზე მისული ჩვეულებრივი პიროვნების ქცევის წესი შედეგში მდგომარეობდა – ის აბსოლუტურად შიშველი, ზურგზე ხოხვით უახლოვდებოდა არისტოკრატს, შემდეგ ჩაკუზულ მდგომარეობაში, მუხლებში თავჩარგული, ისმენდა ბრძანებას, ან სთხოვდა რამეს. თვალებში შეხედვაც საკმარისი იყო, რომ მისთვის ცოცხლად გაეძროთ ტყავი; უკეთეს შემთხვევაში მას წყლით სავსე მღვიმეში ჩაგდება ელოდა, სადაც, აბსოლუტურ სიბნელეში, მისი სიცოცხლე გრძელდებოდა მანამ, სანამ წყლის შხამიანი გველი არ მოუღებდა ბოლოს (არ იფიქროთ, რომ ეს ხალხი ველური იყო. მათი ცივილიზაცია დღესაც აკვირვებს მკვლევარებს).

კესადამ ის ტერიტორია დაიპყრო და მას ახალი გრენადა უწოდა, იქაური არისტოკრატის შეშფოთება დამარცხებით კი არ იყო გამოწვეული, არამედ ესპანელის ხელქვეითებთან დამოკიდებულებით.

– რა უცნაურად იქცევი, კესადა?! როგორ ბედავენ ჯარისკაცები შენთან მოახლოვებასა და საუბარს? – იცინიან კიდეც ... – წუხდა დაპყრობილი არისტოკრატი.

ინკებს მკაცრი ადმინისტრაციული სისტემა ჰქონდათ (ზნეობის პოლიციის ჩათვლით). აკრძალვას ექვემდებარებოდა ერთი სოფლიდან მეორეში დაუკითხავად გადაადგილება და რიგითი მოქალაქეების განათლება, უმკაცრესი იყო შრომითი ბეგარა. აკრძალული იყო. ამჟამადაც, არისტოკრატიის უბრალო ხალხთან ურთიერთობისას გამოიყენება სისასტიკის ელემენტები – ურჩის დასჯის ასეთ პათოლოგიურ მეთოდს ჰქვია "კოლუმბიური ჰალსტუხი", რომლის აღწერასაც, უბრალოდ, ვერც ვბედავ.

ვაჭარბებთ?

– ვიცით!

**მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რა არის ადრე, ჩვენ ვიცით, რა არის გვიან!**

ბრბოს, ასეთი "არისტოკრატის" ხელმძღვანელობით, გაძლიერებას ჩვენს ქვეყანაში **წინ უნდა აღუდგეს ჩვენი ნებისყოფა, შემორჩენილი ინტელექტი, ყველა ჩვენს ხელთ არსებული რეზერვი.**

ჩვენი ძირითადი ამოცანაა – **ძალადობის გარეშე აღმოვფხვრათ არსებული ბოროტება და გულგრილობა.**

სწორედ არსებული რეალობის შედეგია ჩვენი სოციალური ყოფის ტრაგედიის ერთ-ერთი საფუძველი, ჩვენში გავრცელებული მომაკვდინებელი სენი – ნიჰილიზმი.

მიზნის მისაღწევად დახარჯული ენერგია, როგორც მოგეხსენებათ, პიროვნების შინაგანი სიცოცხლისუნარიანობის საზომია. ნიჰილიზმი ავტომატურად გამორიცხავს აქტიურობას და სურვილები არარეალურ, უტოპიურ სამყაროში გადააქვს.

გამოდის, რომ ჩვენი თანამოქალაქეების უმრავლესობისთვის ეს სიცოცხლისუნარიანობის საზომი ერთეული ნულს უახლოვდება.

ტრაგედია აქ რომ თავდებოდეს, კიდევ ეშველებოდა რამე, **საშინელებაა ის, რომ ნიჰილიზმს გულგრილობისკენ მივყავართ.**

ცამდე მართალია ბატონი სტეინბეკი:

**"არ არიან საშიშნი მკვლელები, რადგან მათ მხოლოდ მოკვლა შეუძლიათ, ნუ გეშინიათ მოღალატის, რადგან მას მხოლოდ ღალატი შეუძლია, გეშინოდეთ გულგრილი ადამიანების, რადგან მათი ჩუმი თანხმობით ხდება ყველა ამაზრზენი დანაშაული დედამიწაზე! "**

ამიტომ შევთანხმდეთ –

**გულგრილობა ბოროტებაზე უფრო საშინელია.**

გულგრილობა – ინდიფერენტულობა პირადი, და ზოგადად, პიროვნული დამცირების მექანიზმის შეცნობის მიმართ. ვიმეორებთ, არავითარი წინააღმდეგობა, უდიდეს ბოროტებას შეიცავს მათი ლოზუნგი: **"მოგცლიათ, მაინც არაფერი გამოვა!"**

გულგრილს მშვენივრად ესმის, რომ:

**ერი, რომელიც მატერიალურ და სულიერ ფასეულობას არ აწარმოებს, არის – მომხმარებელი, ანუ სხვის ხარჯზე მცხოვრები.**

იმასაც ხვდება, რომ მუქთად ვიტამინებს აღარ იძლევიან. გულგრილი იძულებულია დაემორჩილოს სხვის ნებას, ჟინს, ვნებას, შეასრულოს ყველა ბრძანება. რა ჰქვია ასეთ ცხოვრებას, მას ჩვენზე უკეთ მოეხსენება, მაგრამ ეტყობა მისთვის ნეტარებაა წამოგორებულ მდგომარეობაში ყოფნა. მას არ აწუხებს ტერიტორიების დაკარგვა, არავის სთხოვს პასუხს იმ დამცირებისთვისა და გამწარებისთვის, რაც იმ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ხალხმა გადაიტანა. სხვისი კი არა, საკუთარი უსუსურობაც კი, აღარ აღელვებს. ის მხოლოდ ფულზე ოცნებობს, მან არ იცის, რომ რაც უკვე მოხდა, ეს დასაწყისია, ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა. ვერ აცნობიერებს, რომ სანამ შემოქმედებითი მწარმოებელი არ გახდება, ანუ ლოგიკური და აქტიური, ყოველთვის საკუთარ სხეულზე იგრძნობს, თუ როგორ ექცევა ძლიერი სუსტს.

გულგრილების ჯიში დიდი ხანია გამოყვანილია.

II საუკუნე ჩვ. წ. აღ.-მდე. გულგრილების გულგრილობა ყველაფრის მიმართ, გარდა ფულისა. ვიმეორებ, ნუ გიკვირთ, გულგრილობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

რომი და კართაგენი.

რომი – სიძლიერისა და დაუმარცხებლობის სიმბოლო.

კართაგენი – ვაჭრობისა და უდარდელობის სიმბოლო. აი, აქ, კართაგენში, უდარდელი ხალხის გარემოში იბადება **უდიადესი მხედართმთავარი ჰანიბალი –** წარმოშობით ფინიკიელი. სწორედ აქ, ფინიკიაში, ქალაქ ბიბლიში იყო გაცხოველებული ვაჭრობა პაპირუსით, რომელიც მაშინ ქაღალდს ცვლიდა. აქედან გაჩნდა სიტყვა "ბიბლია" – წიგნი.

წარმატებულმა ვაჭრობამ კართაგენში ოქრო დააგროვა. ოქრომ მიიზიდა რომაელები. მოხდა საოცრება – **უძლეველ, მრავალრიცხოვან რომის არმიას წინ აღუდგა ჰანიბალი. მისმა მცირერიცხოვანმა ჯარმა პირველად შეარყია რომის უძლეველობის მითი. მან დაანოქა რომაული არმია.**

ჰანიბალი რომს მიადგა. მას სჭირდება რეზერვი, მცირე თანხა, რათა რომი აეღო, ამიტომ სამშობლოში გაბატონებულ არისტოკრატიას, ანუ უხუცესთა საბჭოს, დახმარება სთხოვა.

საბჭოზე მოკლე სიტყვით გამოვიდა გულგრილთა ლიდერი – ჰანონი. მან გამოთქვა "უნიკალური" აზრი:

**თუ ჰანიბალი იმარჯვებს, მაშინ რა საჭიროა დახმარება?! თუ ის მარცხდება, მაშინ რა საჭიროა ასეთი მხედართმთავარი?!**

ეს იყო ცინიზმისა და გულგრილობის გაუგონარი ნარევი.

ჰანიბალი დახმარების გარეშე რჩება. რომი იკრებს ძალას და უკვე რომაელები მოადგნენ კართაგენს.

რომაელების პირველი მოთხოვნა – უნდა განადგურდეს კართაგენის უნიკალური ფლოტი! ბრძანება შესრულებულია. უხუცესთა საბჭომ დაწვა ფლოტი. მეორე მოთხოვნა

– კონტრიბუცია, უდიდესი ხარკი. აი, მაშინ ატირდა უხუცესთა საბჭო, როცა მიხვდნენ, თუ რა თანხას ითხოვდა რომი. მათი ცრემლების დანახვაზე ჰანიბალმა თქვა – **"მაშინ რატომ არ იტირეთ, როცა არმია განადგურდა და ფლოტი დაიწვა, თქვენ ტირიხართ მაშინ, როცა ფული უნდა გადაიხადოთ".**

რომი ითხოვდა და ითხოვდა.

ჯერ უბრძანეს არმიის დაშლა; მერე ჩამოართვეს იარაღი; უბრძანეს მატერიკის სიღრმეში გადასახლება, რათა ზღვაზე აღარ ევაჭრათ. მხოლოდ უკანასკნელი ბრძანებისას მიხვდა უხუცესთა საბჭო, თუ როგორ ელაპარაკებიან ძლიერები სუსტებს. მიხვდნენ, რომ:

**თუ ოქროს ყველაფრის ყიდვა შეუძლია, მაშინ ფოლადს შეუძლია ყველაფერი წაგართვას.**

უკვე გვიან იყო წინააღმდეგობა. რომაელებმა შტურმით აიღეს კართაგენი. მაცხოვრებლები ტყვეებად გაყიდეს. ქალაქი დაწვეს. ადგილი, სადაც ქალაქი იყო, თვით კართაგენელებს გადაათხრევინეს და იმ ადგილას დასახლება საერთოდ აკრძალეს.

**ასე გაქრა ჰანიბალის სამშობლო – კართაგენი.** (დავფიქრდეთ).

იმ უამრავ პრობლემათა შორის, რომელიც ჩვენი და ჩვენი შვილების გადასაწყვეტია, უნდა შევძლოთ, დავინახოთ რა არის პირველადი და რა – მეორადი.

**აზრს ვერავინ შეგვაცვლევინებს, ვთვლით, რომ პირველადი პრობლემაა გულგრილობა.** ამიტომ ჩვენს ენერგიას, აზრს, გონებას შეძლებისდაგვარად გულგრილობის აღმოფხვრას შევწირავთ. მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი ყველა იმ პრობლემის გადაჭრაზე ფიქრი, რომელიც ჩვენს ხალხს ანადგურებს.

რაფირინებული განათლება არა არის საჭირო, რათა მივხვდეთ, რომ ეს ავადმყოფობა ადამიანის თანდაყოლილი დეფექტით არ არის განპირობებული, ის შეძენილია.

**საზოგადოება თვით ქმნის თავის მომაკვდინებელ ვირუსს – "გულგრილობას". ეს არის ჩვენი არაადამიანური ყოფის პირველი შესამჩნევი სიმპტომი და ყველა შემდგომი უბედურების ძირითადი მიზეზიც.**

ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის გულგრილობა უკვე ქვეცნობიერებაშია გადასული.

დიახ! ქვეცნობიერების, როგორც უნიკალური ფენომენის უარყოფითად ამუშავებაზე ხანგრძლივი გაუსაძლისი ცხოვრება ახდენს გავლენას.

მოკლედ შევეხოთ ქვეცნობიერის მნიშვნელობას.

ჩვენ ქვეცნობიერებას აქვს უნარი, სწრაფად და შეუცვლელად მიიღოს გადაწყვეტილება. რას ვგულისხმობთ ამაში? გახსოვთ, პირველად რომ დაჯექით ავტომობილის საჭესთან? ამ დროს ნერვული აღგზნება, დაძაბვა საკმაოზე მაღალია. გადის დრო, და ყველა ამ კოშმარულ დატვირთვას თავის თავზე იღებს ჩვენი ქვეცნობიერება. ქვეცნობიერება სიტუაციაზე რეაგირებას უკვე მომენტალურად ახდენს, ე.ი. მეხსიერებაში შესაბამისი მაგალითის მოძებნით ავტომატურად გმართავთ.

მოჭადრაკე რობერტ ფიშერი წერდა: "კულმინაციურ მომენტში მომგებიანი სვლა მომენტალურად ფეთქდებოდა ჩემს ტვინში. მე ვიწყებდი მის ანალიზს, ვიხილავდი ყველა შესაძლო კომბინაციას, სხვა ვარიანტებს, ვკარგავდი უძვირფასეს დროს, და ბოლოს, მე იძულებული ვიყავი მეღიარებინა, რომ ის პირველი, თითქოს გაუაზრებელი, უცბად თავში მოსული სვლა, იყო ყველაზე მომგებიანი". ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ქვეცნობიერება იდეალური მექანიზმია. მასშიაც არის დრამატული მოვლენები. განმეორებადი მცდელობები, ხშირად, ქვეცნობიერებაში წარუშლელ კვალს ტოვებს.

მომავალში ეს ინფორმაცია, საჭირო მომენტში, გასაოცარი სისწრაფით და სიზუსტით იწყებს ამუშავებას. ქვეცნობიერი ამ მხრივ, ცნობიერზე გაცილებით ძლიერია.

თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ამ ფენომენის, ქვეცნობიერების მართვას, ის შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს. მაგალითად, ყველას შეუძლია მიწაზე დაგდებული ერთი მეტრის სიგანის ბეტონის ფილაზე გავლა, რა გრძელიც არ უნდა იყოს ის, მაგრამ აიტანეთ ეს ფილა ასი მეტრის სიმაღლეზე და ნახავთ, რომ სიკვდილის შიშითაც კი ვერავის აიძულებთ მასზე გავლას.

გეთანხმებით, ტრივიალური მაგალითია, მაგრამ მასში ნათლად ჩანს ჩვენი ფსიქიკის პარადოქსები. ეს არის მაგალითი, როდესაც თქვენ ქვეცნობიერების მსხვერპლი ხართ. ქვეცნობიერებამ მომენტალურად მიიღო გადაწყვეტილება: სიმაღლეა? — ე.ი. საშიშია! ფრთხილად! კუნთები დაძაბულია, დაძაბულობა აქვეითებს ელასტიურობას, წონასწორობა დარღვეულია და რა ძლიერიც არ უნდა იყოს ცნობიერებისაგან მოსული ბრძანება — გავიაროთ ფილაზე, ეს შეუძლებელია. **ჯერ თქვენ ფილაზე ფეხიც არ შეგიდგამთ და უკვე ჩამოვარდნილები ხართ.**

ცხოვრება აქტიურ მოქმედებას ითხოვს. უმოქმედობა სიკვდილია. ამას ცნობიერების ანალიზით ვგრძნობთ. ამ წლებში დაგროვილმა ინფორმაციამ რაიმეს გამოსწორების მიზნით უშედეგო მცდელობათა შესახებ, თავისი კვალი დატოვა ქვეცნობიერში. როგორც ვთქვით, ეს გაცილებით ძლიერია ცნობიერზე.

ქვეცნობიერიდან მოდის ბრძანება — არავითარი წინააღმდეგობა, არავითარი აქტიურობა, მაინც არაფერი გვეშველება! . . . და ნელ-ნელა ვლპებით. არაფრის გაკეთება არ გვსურს, გვსურს ფული, ბევრი ფული და დღესვე. დანარჩენი აღარ გვაინტერესებს. შედეგად, გარდა ფულზე ოცნებისა, ყველაფრის მიმართ გულგრილები ვხდებით.

ვცადოთ, გავიაზროთ, როგორ მოქმედებს ხანგრძლივი გაუსაძლისი ცხოვრება იმ უნიკალური ფენომენის უარყოფითად ამუშავებაზე, რასაც ქვეცნობიერება ჰქვია.

გაუაზრებელი ადამიანი ვერ ხვდება, რას ნიშნავს აბსოლუტურად ლოგიკას მოკლებული საზოგადოება, ეკონომიური ქაოსი, რომელიც გარს აკრავს. ვერ ხვდება, რომ ის იმყოფება თავისმაგვარ იმედდაკარგულ, გაბოროტებულ თანამოძმეთა შორის.

ამრიგად ყალიბდება საზოგადოება, სადაც კრიმინალის გარეშე ვერავითარ საქმეს ბოლომდე ვერ მიიყვან. ეს არა ერთი დღე, არა ერთი თვე, არამედ გაცილებით მეტი დროის განმავლობაში გრძელდება, და ის აზრი, რომ ის უხეიროა, რომ მას არაფერი შეუძლია, ადამიანის ქვეცნობიერებას დაბეჯითებით, მეთოდურად იპყრობს.

საკმარისზე მეტი დრო გავიდა იმისთვის, რომ მის ქვეცნობიერებაში ჩაიბეჭდოს ინფორმაცია ფრაზებით:

**ყველაფერი უაზრობაა! არავის ენდო! ქმედებას აზრი არა აქვს.**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვეცნობიერი გაცილებით ძლიერია ცნობიერზე, ამიტომ ჩნდება უარყოფითი ემოცია ყველა იმ პიროვნების მიმართ, რომელიც ცდილობს, ამ ცხოვრებაში რაღაც მაინც გამოასწოროს. მისთვის ის არასრულყოფილი პიროვნებაა, დონ კიხოტია. საკუთარი არასრულფასოვნების შეცნობა კი, დეგრადირებული სუბიექტისგან კომპენსაციას მოითხოვს. მას უჩნდება ცინიზმი მისგან განსხვავებულის მიმართ, ე.ი. არის უთანხმოება ქვეცნობიერსა და ცნობიერს შორის, რაც უდიდეს ფსიქოლოგიურ სტრესს იწვევს მასში.

ამრიგად, წარმოშობილი ცინიზმი იწვევს შოკირებად ალოგიკურობას. ამ პიროვნებას შეუძლია უბრალო მიზეზის გამო, მისი ცინიზმის ობიექტზე საჩხუბრად გაიწიოს, დასცინოს, ჩაიდინოს მკვლელობა. იმავდროულად, **ის აბსოლუტურად მორჩილი მონაა** იმათ მიმართ, ვინც ღირსება დააკარგვინა. ვისი მიზეზითაც მან ფუნქცია დაკარგა, ვინც გაძარცვა არა მარტო ის, არამედ მისი შვილები და არდაბადებული შვილიშვილებიც. დააკარგვინა ღირსება. დიახ! მათ მიმართ წინააღმდეგობის გაწევის სურვილიც აღარა აქვს და ყველაზე საშინელია, რომ წინააღმდეგობას სხვასაც უკრძალავს.

**ძალიან გთხოვთ, გაიაზროთ ეს პარადოქსი!**

მასში, როგორც აღვნიშნეთ, გამჯდარია დასკვნა — ის არასრულფასოვანია. ცნობიერებას არ უნდა ამასთან შერიგება, მაგრამ ვერაფერს ახერხებს, გარდა პრიმიტიული თვითრწმენისა, რომ ის ძირითადი ფასეულობა, რაც აუცილებელია სიცოცხლისთვის — იდეა, მოქმედება, გამარჯვება — სისულელეა. უფრო მეტიც, ის აშკარად, აგრესიულად, დემონსტრაციულად დასცინის ამ ფასეულობას და მის დამცველებს, ანუ მათ, ვინც ჯერ კიდევ იბრძვის სიცოცხლისთვის. ვიმეორებ, ეს სჭირდება მას თვითრწმენისთვის.

დღევანდელი ცხოვრების წესი, ანუ ის მდგომარეობა, როცა არც შენ და არც შენი პროფესია არ სჭირდება სახელმწიფოს, ეს თქვენ ავტომატურად გაკარგვინებთ ფუნქციას.

თქვენ ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანი ხართ. იცით, რომ არა ხართ ზარმაცი, გაქვთ განათლება, პროფესია. ამ დროს არარაობა ხართ, თანაც ჩვეულებრივი კი არა, მშიერი არარაობა. ყველა თქვენი მცდელობა, გამოასწოროთ პირადი ფინანსური ან პროფესიული მდგომარეობა, უშედეგოა.

აი, ესაა მისი ცინიზმის საფუძველი. ასე იწყება ცინიზმი სხვის მიმართ.

**ცინიზმი აგრესიის გარეშე – ეს უკვე ნიჰილიზმია.**

ნიჰილიზმი არის ზრდილობიანი ადამიანის ცინიზმი და ეს რომ ქვეცნობიერიდან მოდის და არა ცნობიერიდან, ნათლად ჩანს, რადგან ნიჰილიზმის განმარტებიდან გამომდინარე, მას არაფერი უნდა სწამდეს; მაგრამ არა, მას მხოლოდ კეთილი წამოწყებისა არ სწამს. დაუკვირდით, როგორ იძაბება მისი ყურადღება. რა ინტერესით ისმენს ნებისმიერ ინფორმაციას უარყოფითი მოვლენების განვითარებაზე, და რა ჭაშმარიტ კმაყოფილებას განიცდის ამით.

**ადამიანის შესაძლებლობისადმი ნიჰილისტური მიდგომა სკეპტიციზმს ბადებს.**

ეს უკვე ჩამოყალიბებული, ცივი ბეტონივით გამყარებული აზრია, რომ მას და ადამიანებს არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ. ის უკვე პრიმიტიულ გრძნობებს კი არა, მთელ თავის შემორჩენილ ინტელექტს ახმარს, რათა ეს დაამტკიცოს, როცა ესეც სწყინდება **– უკვე ჩამოყალიბდა გულგრილი ადამიანი!**

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენთან საქართველოში, გულგრილობასაც თავისი ელფერი აქვს. ის გულგრილია ყველაფრის მიმართ, გარდა ფულისა და მას ფული უნდა სწრაფად, რაც შეიძლება სწრაფად. ვერ ხვდება და ვერც ოდესმე ჩაწვდება, რომ **მანამ, სანამ ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა გულგრილია, რაიმე მცდელობა ეკონომიკური აღმავლობისაკენ უტოპიაა!**

**ქვეცნობიერში ჩამჯდარი გულგრილობის აღმოფხვრა ჩვენი უპირველესი პრობლემაა.**

ჩვენთვის ეს პრობლემათა პრობლემაა, რადგან ადამიანის ქვეცნობიერებაში გულგრილობის გაბატონება დიდი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა.

აი, ეს ამოცანა უნდა გადავჭრათ სწრაფად, რაც შეიძლება სწრაფად.

**სისწრაფეს კი, მხოლოდ სიმძლავრე ქმნის.**

**სიმძლავრეს კი – რაციონალური აზროვნება.**

მოვსინჯოთ, სისტემური ანალიზის ეფექტურობა.

მაშ, ასე – **ტრანსცენდენტული. ინტელექიური. პასიონარი. ინდიფერენტული**.

ტრანსცენდენტული – თანდაყოლილი გონი, **ღვთის მადლი**, თითქმის ყველა ადამიანს ახასიათებს. **მის** წინაშე ყველა თანასწორნი ვართ. ამ მონიჭებული მადლის გამოყენებალა გვრჩება. უბრალოდ, უმრავლესობა ამ უდიადესი პოტენციალის გამოუყენებლობას როგორღაც ვახერხებთ.

ტრანსცენდენტულობა იმპულსს, საწყისს, საფუძველს ქმნის; ადამიანის ამაღლებას კი, მიზანმიმართული შრომა განაპირობებს.

"ჩემში მხოლოდ ერთი პროცენტია ნიჭი, დანარჩენი კი, შრომისმოყვარეობაა" – ალბერტ აინშტაინი.

ეს ერთის მხრივ, არის მეორეც – ზოგი ისეთი პოტენციალითაა დაჯილდო- ვებული, დროს იმდენად უსწრებს, რომ, მის თანამედროვეთა უმრავლესობა, მისი პოტენციალის შედეგის აღქმას, უბრალოდ, ვერც ახერხებს.

როდესაც ქ–ნ მერი შარვაშიძეს წაუკითხეს: "მესმოდა შენი უგონო ფიცი . . . " – მან აღშფოთებით, ოფიციალურად განაცხადა, რომ იმ ყმაწვილს უფლება არ ჰქონდა მასზე ასეთი სტრიქონები დაეწერა.

მიუხედავად მისი ქალური ბრწყინვალებისა, ჩვენც ოფიციალურად ვაცხადებთ – ერთადერთი შანსი, რომ ქ–ნი მერის სახელი კაცობრიობის ისტორიას შემორჩება, მხოლოდ იმ ყმაწვილის ყურადღებითაა განპირობებული.

მიქელანჯელო სონეტებში უდიდესი ნაღველით აღნიშნავდა, რომ ამ ქვეყნიდან ქალბატონთა ღიმილის დამსახურების გარეშე მიდის. იმავდროულად, განვითარებით

ინფუზორიის დონეზე მყოფი სუბიექტები, დღეში ათჯერ მაინც იმსახურებენ ამ საოცნებო ღიმილს.

ნიკალას რომ შეეძლოს მისი ტილოების დღევანდელი ფასის გაგება, ალბათ, ვინსენტ ვან გოგივით, ყურს მოიჭრიდა. ხოლო თვით ვინსენტს რომ გაეგო მისი ნამუშევრების ახლანდელი ფასი, აშშ-ის დოლარების კურსით გამოსახული, სხეულის შემორჩენილი ნაწილებიდან რომელს მოიკვეთდა, არავინ უწყის.

ილიას შემთხვევით რომ არ გადაეკითხა, ტატოს რვეულში, გაკრული ხელით ჩანაწერი ბწკარები, ცივილიზაცია რა სიმდიდრეს დაკარგავდა, ძნელი წარმოსადგენია.

ალბათ, დიდია მათი რიცხვიც, ვინც საფლავში ჩაიყოლა დაუფიქსირებელი გენიალური აზრები, გამოუყენებელი პოტენციალი, ამის დადგენა კი, უბრალოდ, ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება.

დანიის ფეხბურთის ნაკრების გოლკიპერს ცხოვრების მიზნად ფეხბურთის მწვრთნელობა რომ აერჩია, რას მოიგებდა ამით ფეხბურთი ამჟამად დაუდგენელია, ხოლო თუ რას დაკარგავდა, ნილს ბორის სახით, მსოფლიო ინტელექტი, ამაზე შრომების შექმნაც კი, შეიძლება.

ნურც ის შეგვაშფოთებს თუ ტრანსცენდენტული პიროვნება ზომაზე მეტ სიმკაცრეს იჩენს.

ფილიპე II-მ,ალექსანდრე მაკედონელის მამამ,შვილის აღსაზრდელად არისტოტელე მოიწვია; როდესაც მან შეამჩნია, რომ არისტოტელე პატარა ალექსანდრეს, გაკაჟების მიზნით, ცივ მდინარეში ცურვას აიძულებდა (რაც ცხადია, ბავშვის ისტერიკას იწვევდა). განრისხებულმა მამამ არისტოტელეს მიაძახა: “შენ ჩემი შვილი არ გიყვარს!” პასუხი, არისტოტელეს მხრიდან, ტრანსცენდენტულის შესაფერი იყო: “მე ისე ძლიერ მიყვარს შენი შვილი, რომ აღარ მეცოდება”.

ამრიგად, თუ ტრანსცენდენტულობა გაზავებულ არ იქნა ენტელექიურობითა და პასიონარულობით, **ღვთის** ეს საჩუქარი, საზოგადოებას ისეთივე სარგებელს მოუტანს, როგორსაც ტელესკოპი – თეატრში.

ეს უყაირათობა თავიდან როგორ ავიცილოთ, მოგვიანებით გავიაზრებთ.

როგორც აღვნიშნეთ, უდიდეს მნიშვნელობას იძენს ამ ჯგუფთა კომბინაცია.

აიზეკ ნიუტონი – ტრანსცენდენტული ადამიანის ნათელი მაგალითი. მისი უზარმაზარი შემოქმედებითი პოტენციალი ყველასთვის ნათელია, მაგრამ მას მხოლოდ ორი რამ აინტერესებდა: ფიზიკა და აპოკალიფსი. ამ ორ პრობლემას შეალია მთელი თავისი სიცოცხლე, ცოლი არ მოუყვანია, სიმდიდრე არ დაუგროვებია და, თუ გამოუჩნდებოდა თავისუფალი დრო, იმაზე ფიქრობდა, რა მეთოდებით გაენადგურებინა კათოლიკები (თვითონ პროტესტანტი იყო).

მეფე კარლ II-მ მას პერობა უბოძა და ის,როგორც დისციპლინებული ადამიანი, კეთილსინდისიერად ესწრებოდა პარლამენტის სხდომებს. პარლამენტში მთელი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობისას, მან მხოლოდ ორი სიტყვა თქვა: “დახურეთ ფანჯარა”. სხვა არაფერი აინტერესებდა, ამიტომ, ძნელია ანდო სახელმწიფოს მართვა, მხოლოდ ტრანსცენდენტულობით დაჯილდოვებულ ადამიანს.

მართლაც, ძნელი წარმოსადგენია ჩარლი ჩაპლინის პრემიერ-მინისტრობა ან პრეზიდენტობა, თუმცა ეკრანზე ცივილიზებული საზოგადოებისთვის, სამუდამოდ, დიდ დიქტატორად დარჩება.

როგორ აღვნიშნეთ, ასევე ძნელია საკუთარი ბედის მართვა მხოლოდ პასიონარ ადამიანებს ანდო – რომეოს, მხოლოდ ჯულიეტა უყვარს, სხვა არაფერი აინტერესებს.

ქვეყნისთვის ბედნიერებაა თუ **ტრანსცენდენტულ, ენტელექიურ, პასიონარულ** ჯგუფთა თვისებების კომბინაციის მატარებელი ადამიანები ჰყავს. **ისინი თავისი ერისა და კაცობრიობის ისტორიაში ლეგენდებად რჩებიან (დავით აღმაშენებელი).**

სწორედ ამ კომბინაციურ თვისებათა მატარებელი ადამიანია მზად ქვეყანაში ზნეობის დამკვიდრებისა და აღმშენებლობის, მისი კეთილდღეობისთვის მებრძოლთა რიგებში მოგვევლინოს. სწორედ ასეთი შეიძლება იყოს სახელმწიფოს **პალადინი**.

**პალადინი – (ფრ. პალადინ) – სახელმწიფოს მცველი რაინდი, გარკვეული იდეის, საქმის, მიზნის ერთგული ადამიანი.**

საკმარისია ამ სამ თვისებას, ადამიანთა ბედის მიმართ, **გულგრილობა** მიემატოს და მივიღებთ: ალექსანდრე მაკედონელს, ნაპოლეონს, იოსებ სტალინს. **ისინი კაცობრიობის კოშმარს წარმოადგენდნენ,** მათი დაწყნარება მხოლოდ ბიოლოგიური სიკვდილით, ან რამდენიმე სახელმწიფოს გაერთიანებული პოტენციალით არის შესაძლებელი.

უმრავლესობას ორი ჯგუფის თვისებები ახასიათებს – **ტრანსცენდენტულობა და ენტელექიურობა.** ასეთები კი, საკმაოდ ბევრნი არიან და ისინი ქმნიან კაცობრიობის ისტორიის მშვიდ ნაწილს, რაც ევოლუციას უზრუნველყოფს. მათ გარეშე სახელმწიფოს განვითარება შეუძლებელია.

**აქედან გამომდინარე, როდესაც ჩვენ, საკუთარ ბედის მართვას რომელიმე სუბიექტს ვანდობთ, მისი დამოკიდებულება გარემოსთან უნდა გავითვალისწინოთ ( რა გარემოში გრძნობს ის თავს კომფორტულად), ანუ მივაკუთვნოთ რომელიმე ძირითად ჯგუფს.**

**და თუ, მის დახასიათებაში, ქვეყნის მომავლის, რწმენისა და მოყვასის მიმართ, ინდიფერენტულ დამოკიდებულებასაც აღმოვაჩენთ, მის სახელმწიფო მმართველობაში მისვლას მთელი ჩვენი პოტენციალით უნდა შევეწინააღმდეგოთ.**

# პალადიუმი

კაცობრიობის ისტორია სამყაროს გააზრებისა და შემეცნების მცდელობის ისტორიაა. ამ უდიადესი მიზნისკენ სვლა მოაზროვნე ადამიანის დაბადებისთანავე დაიწყო; შეიქმნა უმძლავრესი ინსტრუმენტი, რასაც დღეს ჩვენ მეცნიერებას ვუწოდებთ. მან შექმნა ისეთი სიმძლავრე, რომელიც ყველაზე პრეტენზიულ ბრწყინვალე გონებასაც აღაფრთოვანებს; თუმცა ამ საერთო აღფრთოვანების ფონზე, მუდმივად არსებობს ნაღვლიანი შეგრძნება, რომ ჩვენი ცხოვრება მაინც უგუნურებითა და შესაბამისად, ბოროტებითაა გაჟღენთილი;

ამ მდგომარეობას ჩვენ გაორებამდე მივყევართ. ერთის მხრივ, თანდათანობით ვრწმუნდებით, რომ ამ საკითხის ლოგიკით გადაჭრა შეუძლებელია. მეორეს მხრივ, ლოგიკური აზროვნების, მეცნიერების, იმდენად გვწამს, რომ მისი მეშვეობით, მიმდინარე მოვლენების წინასწარმეტყველებასა და რაციონალურად მართვას ვცდილობთ.

**გარე და შიგა სამყაროს კანონზომიერების სრული გააზრებისგან – ჭეშმარიტებისგან, მაინც შორს ვართ.**

სამწუხაროა, რომ ამ მოვლენათა განვითარება არაა დამოკიდებული იმ პიროვნებებზე, რომელნიც სამყაროს კანონზომიერების, ჭეშმარიტების შეცნობას ცდილობენ.

**რა გვიშლის ხელს სიკეთისაკენ მიმავალ გზაზე?**

ამ მხრივ საინტერესოა ის ფაქტი, რომელიც უკვე დისკუსიას არ ექვემდებარება. მეცნიერების ყველა ის დარგი, რომელიც ბუნების კანონებს ეყრდნობოდა, შედარებით უფრო ეფექტური აღმოჩნდა, ვიდრე ის დარგები, რომლებიც ბუნების კანონებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ.

მართლაც, შეიძლება ადამიანს ეჭვი შეეპაროს, რაღაც გაუგებარი, ბოლცმანის თუ შრედინგერის განტოლებებით სოციალური პრობლემის გადაჭრას, ან კონსტიტუციის რომელიმე მუხლის გამოყენებით კომპიუტერის პროცესორის სწრაფქმედების გაზრდის ეფექტურობაში. ეს ეჭვი ძლიერდება ან სუსტდება იმის მიხედვით, თუ ვინ როგორ მიიკვლევს გზას ჭეშმარიტებისკენ.

ადამიანი მოაზროვნე არსებაა და შესაბამისად, ყოველ ჩვენგანს აქვს უფლება ეჭვი შეიტანოს როგორც ბუნების, ასევე სოციალური წყობის, სტრუქტურის გააზრების თეორიებში.

ბუნების კანონები უნივერსალურია. მაგალითად, გრავიტაცია (მიზიდულობის კანონი), ერთნაირად სამართლიანია თქვენს ოთახშიც, იუპიტერზეც და სხვა გალაქტიკაშიც.

ამაზე უკვე აღარავინ დაობს.

ჩვენ ეჭვი მაშინ გვიჩნდება, როდესაც ვცდილობთ, ცალკეულ ფაქტებზე დაყრდნობით, შევქმნათ ერთიანი, არაწინააღმდეგობრივი სამყაროს სურათი, რომელიც ჩვენთვის მისაწვდომ ყველა სხვა ფაქტებთან, მოვლენებთან და რაც მთავარია, ადამიანის ბუნებასთან, მის შემეცნებასთან სრულ თანხმობაში იქნება.

აქ მკვეთრად იკვეთება ერთი საკითხი: ჩვენ შევქმენით უამრავი კანონი, რომელსაც დაუნდობლად ვიტენით თავში და ესეც არ ვიკმარეთ, ამ კანონების ათვისებას მომავალ თაობასაც, ნებისმიერი ხერხით, ვაიძულებთ. იმავდროულად, გვავიწყდება დავფიქრდეთ თუ რამდენად მისაღებია იმ კანონების ფორმა და არსი, რომლითაც ცოდნის გამომჟღავნებას ვცდილობთ.

ამ საკითხზე კატეგორიული პასუხი არ არსებობს.

ყველა, ვინც მეცნიერების ისტორიით ოდნავ მაინც დაინტერესებულა, დაგვეთანხმება, რომ სხვადასხვა დროსა და სივრცეში, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ერთიდაიგივე მოვლენასა თუ პრობლემაზე, განსხვავებული ფორმის, ორი ან მეტი თეორია არსებობდა. თითოული თეორიის ავტორი ან მისი აქტიური თანამოაზრე, საკუთარ პროდუქტს უტყუარ ჭეშმარიტებად მიიჩნევდა. არც საკუთარ, არც სხვის ნერვებსა და ენერგიას არ ინანებდა, რათა სხვისი თეორია აეკრძალა, ან უსაფუძვლო სისულელედ გამოეცხადებინა; მაშინაც კი, თუ აღნიშნული, მისი თეორიისგან განსხვავებული თეორია, სამყაროში მიმდინარე მოვლენებს მშვენივრად ხსნიდა.

მაგ: სინათლის ბუნებაზე, უკვე დიდი ხნის განმავლობაში, ორი თეორია არსებობს – კორპუსკულარული და ტალღური და ერთი შეხედვით, სინათლის ქმედება-გავრცელებას ორივე მშვენივრად ხსნის. არა მარტო თეორიათა სიმრავლეა საოცარი, არამედ დახვეწილი მანერებისა და ბრწყინვალე გონების მქონე ადამიანთა დაუნდობლობა, ოდნავ განსხვავებული აზრის მქონე, თანამოღვაწეთა მიმართაც კი.

მეცნიერების ყველა დარგში შოკირებადია თეორიათა სიმრავლე; სოციალურ ფილოსოფიის გააზრებაც მრავალმხრივია. ეს პროცესი უძველესი ბაბილონის მეფის – ჰამურაბის, ინდოეთის – მანუს კანონებისა და არისტოტელედან იწყება; და არ ყოფილა მეტნაკლებად ცნობილი პიროვნება, რომელსაც ეთნოსის, საზოგადოების, სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, ან აზრი არ გამოეთქვას, ან თეორია არ შეექმნას.

რა თქმა უნდა, ამაღლებულ ინტერესს იმსახურებდნენ თომა აკვინელი, ჰიუგო გროციუსი, სპინოზა, თომას ჰოფსი, ჯონ ლოკი, ქრისტიან ვოლფი, ვოლტერი, მონტესკიე, ჟანჟაკ რუსო – და ეს სია უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს.

შედეგი კი, ისაა, რასაც გარშემო ვხედავთ.

არა, აქ ირონია არაფერ შუაშია, უბრალოდ, პრობლემაა ურთულესი.

იმედის მომცემი კი, ისევ მეცნიერების ისტორიაა, რომლის თანახმად, ყოველი შემდგომი პერიოდი, მრავალი თეორიიდან ან ერთს ირჩევს, ან რამდენიმეს აერთიანებს.

ერთის მხრივ, სამწუხარო ისაა, რომ დროს, ამ უნიკალურ ფენომენს, არაეფექტურად ვიყენებთ; მეორეს მხრივ კი, ის, რომ არსებული თეორიების ავტორთა უმრავლესობა ძირითადად არა ბუნების კანონზომიერებით იმართებოდა, არამედ იმ პოლიტიკური ელიტით, ვისი მფარველობის ქვეშაც თავს კომფორტულად გრძნობდა. იყვნენ და არიან ისეთებიც, რომლებიც სუბიექტურ აზრს უფრო მაღლა აყენებდნენ, ვიდრე იმ კანონზომიერებას, რაც სამყაროსა და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს მართავს.

ისეთი საინტერესო მეცნიერი, როგორიც, მაგალითად, ლევ გუმილიოვი იყო, პოლიტიკური ელიტისგან არაფერს ელოდა, მაგრამ ის თავისი ქვეყნის შვილი იყო. არავის აქვს უფლება ადამიანი, პატრიოტიზმიდან გამომდინარე სუბიექტური მსჯელობის გამო გაკიცხოს. ისიც გასაგებია რა იგულისხმება ამ მეცნიერის სამშობლოს უმთავრეს

იდეოლოგიაში “რუსეთი მესამე რომია, მეოთხე აღარ იქნება”. აქ გულდასაწყვეტი ისაა, რომ “მესამე რომს”, ანუ “ერთადერთ მართლმადიდებლურ ციტადელს”, ქრისტიანობა მხოლოდ მაშინ ახსენდება, თუ ის, საკუთარი იმპერიის შენარჩუნება-გაფართოვების, ანუ სხვათა დაჩაგვრისთვის სჭირდება.

შესაბამისად, მისგან გასაკვირი არ უნდა იყოს, ეთნოსის, საზოგადოების, იმპერიის წარმოქმნა-განვითარების “ბიოქიმიური” იმპულსით, ანუ ბუნების კანონზომიერებით, ახსნა; ამ პრინციპის გამოყენება ხომ მათთვის მომგებიანია – “მესამე რომი” ეს არაა ძალმომრეობა, ესაა “ბუნების კანონი” და უნდა მივიღოთ და დავემორჩილოთ მას.

ეს შენიღბული, ფუნდამენტურ მეცნიერებას ამოფარებული იმპერიალიზმია; ჩვენ კი, იგივე ისტორიული ფაქტების სხვაგვარ თეორიულ ახსნას მოგვიანებით მოგახსენებთ.

ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ამაღლებული გონებისა და ზნეობის მქონე იმ მეცნიერთა ნაფიქრალ-ნააზრევს, როგორებიც არიან: ვაჟა, პასკალი, სპინოზა, ფრანკი, მამარდაშვილი, ბაქრაძე და აგრეთვე, ყველა დროის მოღვაწენი, რომლებიც საზოგადოების არსებული ყოფის უკეთესით შეცვლას ცდილობდნენ;

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტების, მეცნიერული ცნებების, კანონების აღმოჩენა-დაფიქსირება შემთხვევითია, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი დადგენილია შემთხვევით დროში, შემთხვევითი ადამიანების მიერ, შემთხვევით მდგომარეობაში.

1896 წელს ქალბატონებს ბატონ ბეკერელისთვის პიკნიკის მოწყობა და სურათების გადაღება, შემთხვევით, რომ არ ეთხოვათ; მას, შემთხვევით, ის ფოტოფირი მინერალების კოლექციის უჯრაზე რომ არ ეპოვა, სადაც, შემთხვევით, ურანის მარილი იდო, და ერთი ფოტოფირი არ გაემჟღავნებინა, მის ვარგისიანობაში დასარწმუნებლად და ფირზე, ურანის გამოსხივებით განპირობებული, ნათელი კვალი შემთხვევით, რომ არ აღმოეჩინა, არავინ იცის, კაცობრიობის ისტორიაში, როდემდე გადაიწევდა ის ერა, რასაც შემდგომ ბირთვული ეწოდა;

**სამწუხაროდ, ეს აღმოჩენა უფრო სწრაფად დავიდა მეცნიერთა გონებამდე, ვიდრე ათი მცნება.**

ჩვენთვის ცნობილია, რომ ასეთ შემთხვევითობათა ერთობლიობა ერთიან კანონზომიერ სისტემას ქმნის, და მასში ყველაფერი ერთმანეთზეა დამოკიდებული; ამ რთულ სისტემაში ერთი პატარა კვანძის შეცვლაც კი, ისე, რომ ყველაფერი არ შეიცვალოს, შეუძლებელია; შესაბამისად, ახალი ფაქტები ჩნდება, ე.ი. სისტემა იხვეწება, მუდმივ ცვალებადობაშია და **ღვთის მადლით**, ამ ცვალებადობით, ერთიანობა არ იკარგება.

მეცნიერული ცნებების დღევანდელი სისტემა ხანგრძლივი ევოლუციის პროდუქტია. მისი კვანძები მეტ-ნაკლებად იცვლება ან უფრო სრულყოფილი ხდება. დასკვნა კი, ერთია:

**არ არსებობს ახალი აღმოჩენა, რომელიც ძველ ცოდნას არ ეყრდნობა.**

ამითაა საინტერესო მეცნიერება. ის გაქვავებულლი მკვდარი სისტემა როდია, ის ცოცხალი ორგანიზმია, სადაც აზროვნებისა და ქმედების უფლება ყველას აქვს.

ჩვენი მეცნიერული ცოდნა, ერთის მხრივ, სოციალურ მეცნიერებაში (და არა მარტო იქ), რეალური სოციალური მოვლენების რეალურის ჩრდილის გააზრების მცდელობაა; და მეორეს მხრივ კი, გვავიწყდება, რომ ამ ჩრდილის ზომა იმისდა მიხედვით იცვლება, თუ ეს მოვლენა რა კუთხით არის განათებული.

მეცნიერული ცნებების სისტემათა ევოლუცია, სამწუხაროდ, კონტროლს არ ექვემდებარება; თუმცა ის ისეთივე კანონზომიერი პროცესია, როგორც ცოცხალი სამყაროს ევოლუცია. მაინც მოგვიწევს ვაღიაროთ, რომ მეცნიერული შემეცნება ადამიანის გონების პროდუქტია და ის, იმდენადაა თავისუფალი, რა თავისუფლების ხარისხიც შემთხვევითი აზრის წარმოქმნას გააჩნია.

შესაძლებელია მეცნიერული შემეცნების ევოლუცია სხვადასხვანაირად, სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევებში გავიაზროთ; მან თავისი უცნაური თავისებურებებით შეიძლება გაგვაოცოს და აღგვაფრთოვანოს, მაგრამ თუ როგორმე მთლიანამდე მივალთ, ალბათ, ცხადად დავინახავთ, რომ აზრთა, თეორიათა განსხვავებას ან არ ექნება ადგილი, ან მინიმუმამდე დავა.

ჩვენ არ ვიცით როგორ წარმოიქმნა პირველი ორგანიზმი, პირველი აზრი, ან რა მოხდებოდა ეს პროცესი სხვაგვარად რომ წარმართულიყო, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ევოლუციის ყოველი ახალი ნაბიჯი წინაზეა დამოკიდებული.

ამიტომ შეგვიძლია სალვადორ დალივით სპილო – კოღოს ფეხებზე, ან ატომი – ქიშმიშიან ფუნთუშად წარმოვიდგინოთ, მაგრამ მთელი ცოცხალი სამყაროსა და მთელი მეცნიერული სისტემის განსხვავებულად წარმოდგენა, დღეს უკვე აღარ გამოგვადგება.

სოციალური თუ ბიო-ევოლუცია, მეცნიერული ცოდნის ფორმირება, თავის შინაგან კანონებს ექვემდებარება და ჩვენ მათი შეცვლა არ ხელგვეწიფება; და ნურც ვინმე დაიტრაბახებს, რომ მთლიანობის გააზრებას შეძლებს.

ჩვენ ფორმირებულ სახეობათა შორის, ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ წყობაში, დამკვიდრებულ მეცნიერულ ცნებებში ვიბადებით; ჩვენ შეიძლება კლონირება ჩავატაროთ, ან ცხენის ახალი ჯიში გამოვიყვანოთ, ერთი შეხედულება მეორეთი, ან ერთი აზრი მეორით შევცვალოთ, მაგრამ ჭეშმარიტებისა თუ სიცრუის დადგენა, ადამიანთა ზოგადი შემეცნების სისტემაში ურთულესი საქმეა და ჯერ კიდევ შემეცნების მიღმაა.

დიახ, ჩვენ სამყაროს კანონზომიერების გააზრებისგან ჯერ კიდევ შორს ვართ, მაგრამ უკვე აღმოჩენილია ამ კანონზომიერების ისეთი კვანძები, რომლებიც დახვეწისა და ცვალებადობის მიმართ მედეგობას ამჟღავნებენ, რაც მიგვანიშნებს, რომ ეს, ის ფუნდამენტური კანონებია, რომელსაც ჩვენი გონება შესწვდა.

**ადამიანმა მეცნიერება ადამიანისთვის შექმნა, ამიტომ ის ადამიანის შემეცნების ბუნებას უნდა შეესაბამებოდეს.**

სწორედ ამ ფუნდამენტურ კანონებზე დაყრდნობით იქნება შესაძლებელი იმ მდგრადი სოციალური სისტემის შექმნა, რაც ჩვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის.

ნებისმიერი, ვინც საკუთარი, ეგოისტური, სურვილების რეალიზების მიზნით, საზოგადოებრივი სტრუქტურის შეცვლას ცდილობს, საკუთარ ქმედებას, შეძლებისდაგვარად, ზნეობრივი იდეით ფუთავს.

ჩვენი აზრით, საზოგადოებაში ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი იდეალების დამკვიდრების მიზნით,საზოგადოების ნებისმიერი წევრი შემდეგი ძირითადი პრინციპებით უნდა ხელმძღვანელობდეს:

**პირველი – სოციალურ-პოლიტიკური იდეალი, მთელი თავისი კონკრეტულობით, ზოგად, მუდმივ, საზოგადოებრივი ცხოვრების პრინციპებს უნდა ეყრდნობოდეს.**

**მეორე – გათვალისწინებულ იქნას ის ემპირიული მასალა, რისგანაც შედგება საზოგადოება, ანუ ცხოვრების, მატერიალური პირობების, ზნეობის, ინტელექტუალურ-რელიგიური დონის ობიექტურ გააზრებას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს.**

**მესამე – გათვალისწინებულ იქნას სოციალურ ფენათა შორის თანაფარდობა და ურთიერთდამოკიდებულება.**

**მეოთხე და ძირითადი – გააზრებულ იქნას ის ისტორიული ამოცანა, რაც, დროის მოცემულ მომენტში, კონკრეტული საზოგადოების წინაშე დგას.**

მართლაც, როდესაც ექიმი ავადმყოფის მკურნალობას იწყებს, ის არა მარტო ფიზიოპათიის ზოგად კანონებს, არამედ პაციენტის კონკრეტულ მდგომარეობასაც ითვალისწინებს. ის აბსოლუტური ობიექტურობით იაზრებს მისთვის ხელმისაწვდომ კვლევის შედეგებს (სისხლის ანალიზის, ფლუოროგრაფიის, ექოსკოპიის და ა. შ. მონაცემებს) და დაავადების შესახებ დასკვნას მხოლოდ ამის შემდეგ აკეთებს.

ასევე პედაგოგი, რომელიც სასწავლო პროგრამებს ადგენს, არა მარტო ფსიქოლოგიისა და ეთიკის ზოგად პრინციპებს ეყრდნობა,არამედ აღსაზრდელის გონებრივ, ფიზიკურ და ზნეობრივ მდგომარეობასაც ითვალისწინებს.

შესაბამისად, საზოგადოების მართვის ხელოვნება – პოლიტიკა, მკურნალობას ჰგავს და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს იმის დადგენა, თუ მკურნალობის რომელი მეთოდი უფრო ეფექტურია – თერაპია, ჰიგიენა თუ ჰომეოპათია, რათა იმ გამოუვალ მდგომარეობამდე არ მივიდეთ, როდესაც ქირურგიული ჩარევა აუცილებელი გახდება (ქირურგია ხომ სასოწარკვეთილი, გზააბნეული თერაპიაა).

საჭიროა ყველა ჰუმანური მეთოდის გამოყენება, რათა საზოგადოებაში შინაგანი შემოქმედებითი ძალები განვითარდეს და თუ ზემოხსენებულ მოსაზრებაზე შევთანხმდებით, მაშინ არ გაგვიჭირდება იმ მარტივი დასკვნის გაკეთება, რომელიც, დემაგოგთა არმიის გარდა, ყველასთვის მისაღები უნდა იყოს.

**– კარგია ის მმართველობის ფორმა, რომელიც მოცემულ კონკრეტულ პირობებში, გაცნობიერებულ მოუსყიდველ ენერგიულ ადმინისტრაციას იძლევა.**

**– კარგია ის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც შრომის ნაყოფიერებას არა ზოგადად, არამედ მოცემულ კონკრეტულ პირობებში განავითარებს.**

**– კარგია მხოლოდ ის სოციალური დამოკიდებულება, რომელიც რწმენას, ზნეობას, განათლებას, ანუ, საბოლოო ჯამში, სოციალურ სამართლიანობას აამაღლებს.**

**და ყველაზე მნიშვნელოვანი – ეს ყველაფერი ერთმანეთთან ჰარმონიულ დამოკიდებულებაში უნდა იყოს, რათა საზოგადოების ორგანულ გამთლიანებას ჩაეყაროს საფუძველი.**

ყოველივე ამის გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს **ადამიანთა რაციონალური ურთიერთობის განმსაზღვრელი** – იდეოლოგია, სოციალური იდეალები, რაც ჩვენთვის საერთო ამოცანის გადაწყვეტას დააჩქარებს; ანუ მარტივად რომ ვთქვათ,

**ნათლად უნდა გვქონდეს წარმოდგენილი რა გვინდა, როგორ, რა სულიერ და ზნეობრივ საფუძვლებზე.**

ცხადია, ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით, იდეოლოგიის შემუშავებაში მკაცრად შერჩეული, ფართო საზოგადოების მონაწილეობა, აუცილებლობას წარმოადგენს; ეს პროცესიც, როგორც ყველა იდეალის დამკვიდრება, ფარდობით მიდგომას მოითხოვს, რადგან ემპირიულ პირობებზეა დამოკიდებული, ანუ გარემომცველ სამყაროზე, დროსა და სივრცეზე.

აქედან გამომდინარე, ერთის მხრივ, იდეა აღსრულებადი უნდა იყოს (არაუტოპიური) და მეორეს მხრივ, აბსოლუტურ ჭეშმარიტებას მაქსიმალურად მიუახლოვდეს.

ისტორია გვასწავლის, რომ მიწიერ სამოთხეზე ოცნება უტოპიაა, რადგან იქ რეალურად არ გაითვალისწინება ადამიანის არასრულფასოვნება, ცდუნება, ცოდვა.

საზოგადოებაში ასეთი უტოპიური იდეალების აქტიურად დამკვიდრების მცდელობას, არა თუ სასურველ შედეგამდე, არამედ პირიქით, არსებული პრობლემების კიდევ უფრო დამძიმებამდე მივყავართ.

იაკობინელების – აბსოლუტური სახალხო მმართველობისა და ბოლშევიკების – საყოველთაო სამართლიანობის დამკვიდრების ოცნებებიც, სწორედ ასეთი უტოპიური იყო.

იაკობინელებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ რაც შეეხება ბოლშევიკების "სამართლი-ანობას", ჩვენმა მამა-პაპამ, და ჩვენც, საკუთარ სულსა და სხეულზე გამოვცადეთ; ამიტომ აუცილებელია, ყველა კონკრეტულ მდგომარეობაში, გარემო პირობები, აბსოლუტურად იდეალურ და ემპირიულ ადამიანს შორის განსხვავება გავითვალისწინოთ.

**შესაბამისად, საზოგადოებისთვის სახიფათოა ისეთი აღგზნებული რეფორმატორი, რომელიც ვერ ხვდება, რომ ზოგიერთი სოციალური ავადმყოფობისა და დეფექტის მკურნალობას უდიდესი ენერგია, გარკვეული დრო და სივრცე სჭირდება**.

შიშველი ლოზუნგები – "გადავარჩინოთ საქართველო", "დავამარცხოთ ბოროტება", "მოვსპოთ კორუფცია" რა ლამაზიცა და ამაღლებულიც უნდა მოგეჩვენოთ, უმრავლეს შემთხვევაში, სულსწრაფი, რადიკალური, გაუაზრებელი ქმედებისკენ მოწოდებას ნიშნავს, ან კიდევ უფრო მეტ ბოროტებას ფუთავს, რაც **ინტერესთა სფეროს გადანაწილების სურვილში გამოიხატება.**

**ეს კი, ერთი ბოროტების, მეორეთი შეცვლის, პირდაპირი გზაა** და რა სამწუხაროც უნდა იყოს, ხშირ შემთხვევაში, უფრო სასტიკითაც; შესაბამისად, ახალი, უფრო რადიკალური ლოზუნგების შეთხზვის პირობები იქმნება.

ამიტომაა ადამიანთა ისტორია დრამატული პროცესი. ხალხთა ტანჯვის ხარჯზე, ცეცხლითა და მახვილით დამკვიდრებულ იდეალებს, მცირე დროში განხიბვლა და

გაუცხოება ელის; ეს კი, "რეფორმატორებს" იმპულსს აძლევს გამოიგონონ რაღაც ახლი იდეები, რომლებიც, ხშირად, თავდაპირველის საწინააღმდეგო და გამომრიცხავია.

ცივილიზაციის ისტორია ერებსა თუ შიგა დაჯგუფებებს შორის ურთიერთდაპირისპირების, ბრძოლის, კონსტანტაციას წარმოადგენს. ეს დაპირისპირება უდიდესი სიმძაფრითა და სისასტიკით, ყოველგვარი საშუალებებით მიმდინარეობდა და მიმდინარეობს; ამ წინააღმდეგობას ეწირებოდა მილიონობით ადამიანთა სიცოცხლეცა და ქონებაც; ამ ბრძოლას, უმრავლეს შემთხვევაში, რაღაც აბსოლუტურ აზრს ანიჭებდნენ, რათა აურაცხელი მსხვერპლი გაემართლებინათ და საკუთარი მიზნისთვის მიეღწიათ.

ყოველი ასეთი იდეა, საზოგადოებრივი ცხოვრების ქვენაგრძნობებს მოიცავს, რადგან, სხვაგვარად, იდეისთვის ასე ბრმა, უაზრო თავგანწირვა, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

არსებული მდგომარეობიდან გამოსავლის ძიებისას, როდესაც ისტორიული ფაქტების გააზრებასა და ჩვენს სასიკეთოდ გამოყენებას ვცდილობთ, ალალბედზე კი არ უნდა ვიმოქმედოთ, არამედ უნდა შევჩერდეთ და გავიაზროთ – **საიდან მოვდივართ, სად ვიმყოფებით და საით მივდივართ.**

სიცოცხლეს აღიქვამს და ცხოვრობს პიროვნება, ანუ "მე"; რაც შეეხება ცნებას "ჩვენ", ის თითქოს "მეების" სუბიექტური სინთეზია, ანუ აბსტრაქტულად გაერთიანებული "მეები". ასეთი გააზრება ყველა ბრწყინვალე გონებაში პროტესტის გრძნობას იწვევდა და ეს თემა, პლატონის დროიდანვე, დისკუსიის საგანს წარმოადგენდა. დისკუსიისას ერთნი ამტკიცებენ, რომ "ჩვენ" სუბიექტური ცნებაა და მათ "ნომინალისტები" ეწოდებათ; პირიქით მტკიცებულებების მოყვანას კი, "რეალისტები" ცდილობენ;

"ნომინალისტების" აზრით, საზოგადოების მართვა, რეფორმების ჩატარება, ახალი ნორმების შემოტანა-დამკვიდრება, კონკრეტულ ადამიანზე ზემოქმედებითაა შესაძლებელი, ანუ, რათა საზოგადოება იმართოს, საჭიროა ნების სიმტკიცის გამომჟღავნება; საკმარისია, კონკრეტულ ადამიანებს, ადამიანთა ჯგუფს, კორუფციას, არსებული წესრიგის დამრღვევთ ენერგიულად შეუტიოთ, დავიჭიროთ, გავანადგუროთ და ნათელი მომავალი გარანტირებული გვექნება.

ჩვენი აზრით, ასეთი წარმოდგენა მცდარია და ორთოდოქსი "ნომინალისტების" ფენა კი, რომლებიც საზოგადოებას "მეების" ჯამად განიხილავენ, სოციალურად საშიში.

ხომ უნდა დადგეს დრო, როცა აბსოლუტურ სიკეთესა და მაქსიმალურ სიკეთეს შორის, დიდსა და პატარა ბოროტებას შორის განსხვავების მოძებნას შევძლებთ. უნდა მივხვდეთ, რომ ცალკე აღებული კონკრეტული ლოზუნგი – "დავამყაროთ წესრიგი", "ავამაღლოთ ეკონომიკა", "აღმოვფხვრათ კორუფცია" და სხვა, თავის თავში ვერ ჩაიტევს საერთო იდეალს, რის გარეშეც, თვითგანვითარებადი საზოგადოების ჩამოყალიბება წარმოუდგენელია.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლოზუნგმა – "ავამაღლოთ ეკონომიკა", ანუ აბსოლუტურად განთავისუფლებულმა ბიზნესმა, შესაძლოა დაუცველობამდე, არნახულ ჩაგვრამდე, მეცნიერებისა და ხელოვნების განადგურებამდე მიგვიყვანოს, რაც, ეკონომიკის განვითარების გარეშეც, მშვენივრად მოვახერხეთ.

უნდა გვესმოდეს, რომ ბიზნესის განვითარების მცდელობა, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარების გარეშე, განწირული, მკვდრად შობილი ბავშვია; და იქამდე დაველით, რომ პრიმიტიულ ძარცვასა და ქურდობას ბიზნესს ვარქმევთ.

**რა ძირითად პრინციპებს უნდა შეიცავდეს საერთო იდეალი, რომ ქვეყანაში ადამიანური ცხოვრება დამკვიდრდეს? – ალბათ, ეს იდეალი უმაღლესი ფასეულობის – ადამიანის, ხედვის კუთხიდან უნდა იქნას განხილული.**

პიროვნების ცხოვრება არა საკუთარი ნების დამკვიდრებას, არამედ მეტნაკლებად სხვისი ნების შესრულებას წარმოადგენს; ანუ მისი ადამიანურობის "ხარისხი" იმით განისაზღვრება, თუ მას რამდენად შეუძლია ბუნებრივ ინსტინქტებზე ამაღლდეს; და რა დაბალიც უნდა იყოს ეს "ხარისხი", ადამიანი ინსტიქტებს აბსოლუტურად, პასიურად, მაინც არ ემორჩილება.

ადამიანის ეგოისტური მოთხოვნილების დაკმაყოფილების სურვილი მისი არსიდან გამომდინარეობს; სამწუხაროდ, მათი სურვილის "ხარისხი" კლებულობს, როდესაც საქმე

ეხება ოჯახს, შვილს; და ამ სურვილის "ხარისხი" კიდევ უფრო დაბალია, როცა საქმე ერისა და სამშობლოს ინტერესებს ეხება.

როგორც აღვნიშნეთ, სხვისი ნების შესრულება, ანუ ადამიანურობის "ხარისხის" ამაღლება, **ღვაწლის გაღება**, პიროვნების თანდაყოლილი, ბუნებრივი მოთხოვნილებაა.

**აქედან გამომდინარე, ჩვენი მიზანია საზოგადოება დავარწმუნოთ, რომ ყველა ის იდეალი, რომელიც პირდაპირ და ირიბად, ღვაწლის გაღების ფენომენს ეხება, არაუტოპიური, ანუ რეალურია.**

**ადამიანი ის არსებაა, რომელსაც უნარი შესწევს საკუთარ თავს სძლიოს, ამაღლდეს, ანუ თვითგადალახვის აქტი აღასრულოს. ალბათ, ეს არის უმაღლესი ჭეშმარიტების, მარადისობის კანონი და სამართლიანობის დამკვიდრების ერთადერთი რეალური გზა.**

ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანთა უმრავლესობა, უკეთეს შემთხვევაში, მიიჩნევს, რომ ეს მარადისობის კანონი მას არ ეხება. მათი აზრთა წყობა, თითქოს, რაღაც ლოგიკას ექვემდებარება, რაც შემდეგში მდგომარეობს: "მე ერთადერთი ვარ, შესაბამისად, ჩემთვის, ჩემზე ამაღლებული არაფერია, ყველაფერი მე მეწინააღმდეგება, ამ წინააღმდეგობაში ან ვიმარჯვებ, ან ვმარცხდები; მინდა ვიყო გამარჯვებული და სხვა არაფერი მაინტერესებს; დაბადებიდანვე ვცდილობ ჩემი ადგილი ვიპოვო იმ მორევში,სადაც სხვებთან ერთად ვტრიალებ; ყველაფერი, რასაც ვეხები, ცდილობს თავისი არსებობა, მნიშვნელოვნება მაგრძნობინოს. ყველა მზადაა, საკუთარი თავის დასაცავად, გარე სამყაროსთან წინააღმდეგობაში შევიდეს; სამყაროში, თვითდამკვიდრების მიზნით, გაუთავებელი ბრძოლა მიმდინარეობს: გამარჯვებული მბრძანებელი ხდება, დამარცხებული – ხელქვეითი; ამიტომ მინდა ვიყო გამარჯვებული. ჩნდება ბეტონივით გამყარებული აზრი:

"ფეხებზე მკიდია სხვა, მინდა ვიყო ჩემი ცხოვრების უმაღლესი განმკარგველი".

ასეთი ინდივიდების ერთობაში, საზოგადოებაში, გამეფებულია აზრი:

"ადამიანის ცხოვრება მისივე საკუთრებაა, მას უფლება აქვს სხვისი ნება-სურვილი უგულებელყოს და ისე იცხოვროს, როგორც სურს";

ეს აზრი, საბოლოო ჯამში, ყალიბდება ლოზუნგად:

"მე თუ არ ვიქენი გამარჯვებული, ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო".

ეს ლოზუნგი მისთვის მისაღები და ბუნებრივია; მას ნებისმიერი განსხვავებული იდეალი სიგიჟედ, აზრობრივ სიმახინჯედ, ანაქრონიზმად, გაუნათლებლობად, რელიგიურ სიბნელედაც კი, ეჩვენება.

ის ვერ ხვდება, რომ ამაღლებული საწყისის უარყოფით ავტომატურად, სტიქიური ვნებების მონად იქცა.

მისი აზრით, მან მშვენიერი ლოზუნგი შეარჩია, მაგრამ შედეგი მისთვის პარადოქსულია.

მართლაც, მისი ცხოვრება ამ "იდეალის" შესაბამისად წარიმართება და გამარჯვების ნაცვლად, გონების ჩათვლით, ყველაფერს კარგავს და ბოლოს, სხვისი ძალადობის მსხვერპლიც კი ხდება.

მისი ცხოვრების თანმდევია მუდმივი კითხვა: **რატომ მოხდა ასე?**

საჭიროა მას გავაგებინოთ, რომ **ადამიანი საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ისეთივე განმკარგველია, როგორც თავისი ბიოლოგიური სიცოცხლისა. რა თქმა უნდა, მას შეუძლია აკეთოს ის, რაც უნდა, მაგრამ საკუთარი ცხოვრების შენარჩუნებისა და დამკვიდრებისთვის, ის უნდა დაექვემდებაროს იმ ხელშეუხებელ კანონზომიერებას, რომელიც მის ბუნებას მართავს და განსაზღვრავს.**

მაგ. ის მორჩილად უნდა დაექვემდებაროს მისი ნებისგან დამოუკიდებულ კანონებს, თუნდაც ჰიგიენის წესს, რომელიც მისი ფიზიოლოგიური ბუნების კანონზომიერებიდან გამომდინარეობს. მან შეიძლება "გაიგიჟოს თავი", აღიაროს საკუთარი ნების უზენაესობა და კბილები არ გაიხეხოს, ან უსუფთაო საკვები მიიღოს, მეტი თავის მტვრევა არ დასჭირდება, რათა, უკეთეს შემთხვევაში, კბილის ტკივილით ან მუცლის ტიფით, უარეს შემთხვევაში კი, შიდსით იტანჯოს, ანუ დაკარგოს ყველაფერი, სიცოცხლის ჩათვლით.

საოცრება ისაა, რომ მეორე მიდგომა გაოცებას და ირონიას არ იწვევს; პირველი კი, მისთვის მიუღებელი, ცინიზმის ობიექტია.

ამიტომ, ჩვენს ხელთ არსებული ყველა რეზერვის გამოყენებით, მათ უნდა გავაგებინოთ, რომ, **რათა ყოფა და სიკეთე შევინარჩუნოთ, საკუთარი ნება უნდა დავუმორჩილოთ იმ უზენაეს კანონს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას განკარგავს.**

ჩვენ შევეცდებით, ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი, მოგვიანებით, უფრო ღრმად გავაანალიზოთ, ახლა კი, შემოვიფარგლოთ მოკლე განმარტებით, რომელიც, ჩვენი აზრით, დისკუსიას არ ექვემდებარება.

**იმისთვის, რომ სამართლიან საზოგადოებაში ვიცხოვროთ, ჩვენი ბედი და ცხოვრება ვმართოთ, აუცილებელია საკუთარ თავზე, საკუთარ ნებაზე, სტიქიურ, ბუნებრივ ინსტინქტებზე ვბატონობდეთ.**

ვიმეორებთ, საზოგადოების მეტნაკლებად განათლებულმა ნაწილმა უნდა შეძლოს გააზრება, რომ:

**ადამიანის ადამიანურობის "ხარისხი" საკუთარი ნების შეზღუდვასა და ღვაწლის გაღებაში გამოიხატება, ანუ იმ ჭეშმარიტების სამსახურში, რასაც კაცობრიობამ მარადისობის კანონი უწოდა.**

აქედან დასკვნა: **ღვაწლის გაღება მოვალეობაა, ესაა საზოგადოებრივი ცხოვრების, ადამიანის ზნეობის უმაღლესი, ჭეშმარიტად პირველი კატეგორია და არა ადამიანის უფლებამოსილების დამკვიდრება, ანუ ძალადობის საწყისი. ადამიანის პირადი უფლებები, მხოლოდ მეორადი რეფლექსი, მოვალეობის წარმოებული, ანარეკლია.**

აქედან გამომდინარე, ადამიანს უფლება არა აქვს, კონკრეტულ პიროვნებას უბრძანოს, ან საზოგადოებას საკუთარი ნება ძალით მოახვიოს თავს, ეს ერთის მხრივ; მეორეს მხრივ კი, არც საზოგადოებას აქვს პიროვნებაზე ძალადობის უფლება.

**თუ საზოგადოება პიროვნებისგან კაცობრიობის მიერ ჭეშმარიტებად აღიარებულ ფასეულებათა სამსახურს ითხოვს, მხოლოდ ამ შემთხვევაში უნდა იყოს ამ მოთხოვნის შესრულება კონკრეტული ადამიანის მოვალეობა.**

განსაკუთრებით იმაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, რომ საზოგადოების, "ხალხის ნება" შეიძლება ისეთივე უსაფუძვლო, უაზრო და დანაშაულებრივი აღმოჩნდეს, როგორც ერთი კონკრეტული ადამიანის ნება.

**გაუაზრებლად, არც კონკრეტული ადამიანის ნებას, არც საზოგადოების ნებას, არ უნდა მივანიჭოთ ტიტული – "წმინდა", "უმაღლესი", "განუმეორებელი".**

**კაცობრიობის მიერ აღიარებული ადამიანის უფლებები, საბოლოო ჯამში, პირდაპირ და ირიბად, მოვალეობის შესრულების, ანუ ღვაწლის გაღების, ერთადერთი, "თანდაყოლილი უფლებისგან" გამომდინარეობს.**

**დასკვნა: მთავარია უმაღლესი პრინციპისადმი სამსახური – ღვაწლის გაღება.**

ასევე უმნიშვნელოვანესია დიდი ყურადღება მიექცეს საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობას, ანუ **"მე" და "ჩვენის", როგორც შეკრული სისტემის – ერთობას.**

საზოგადოება – "ჩვენ", და კონკრეტული პიროვნება – "მე", როგორც მოწინააღმდეგენი, ერთმანეთს საზოგადოებრივი ყოფის "რინგზე" ხვდებიან; და ორივეს საკუთარ აბსოლუტურ პირველადობაზე, აბსოლუტურ საწყისზე, აქვს პრეტენზია. ეს იმ დროს, როცა მათი ერთობის დამკვიდრება, როგორც თვითგადარჩენის აუცილებელი ელემენტი, ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

"მე"-ში გაიაზრება აბსოლუტური ყოფა, სიცოცხლე და ეს გააზრება მის თვითრწმენამდე დადის. "მე" საზოგადოებას და სამყაროს აღიქვამს როგორც თვითდამკვიდრების საშუალებას, ამიტომ ის საზოგადოებას საკუთარი სურვილების განხორციელების საშუალებად მიიჩნევს.

ასეთი მიდგომა თითქოს ბუნებრივია, ამიტომ ძნელია ასეთი გააზრება უხეშ ეგოიზმთან გავაიგივოთ. "მე" თავისი არსის სიღრმეში გრძნობს, რომ ის ერთადერთი, განუმეორებელი, უმაღლესი ფასეულობაა და მას ამის უარყოფა არ შეუძლია, და ალბათ, არცაა საჭირო. აქ იწყება საბედისწერო კონფლიქტი საზოგადოებას – "ჩვენს" და პიროვნებას – "მეს" შორის, ანუ კონკრეტულ პიროვნებისა და "ხალხის" ნებას შორის.

საზოგადოების და პიროვნების დაპირისპირება დაძაბულობას ქმნის, ეს კი, ძალადობამდე პირდაპირი გზაა. შესაბამისად, ამ ორ სურვილს შორის ჰარმონიის დამყარება აუცილებელია; წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი საზოგადოება განწირულია იმ მუდმივად არასტაბილურ მდგომარეობაში ყოფნისთვის, რასაც ამ ორ ნება-სურვილს შორის მერყეობისას აქვს ადგილი; ხან "ხალხის" ნება იმარჯვებს, ხან – "მეს" ნება; პირველ შემთხვევაში, ანუ ამ რხევის ერთ უკიდურეს წერტილში, ვიღებთ "ხალხის", "საზოგადოების" ნების მაქსიმალურ გაბატონებას, ანუ დესპოტურ (ფაშისტურ, ბოლშევიკურ) სახელმწიფოს. მეორე უკიდურეს მდგომარეობას, ანუ "მეს" ნების გაბატონებას კი, ანარქიულ ქაოსურ საზოგადოებამდე (საქართველო) მივყავართ.

პრობლემას ის ართულებს, რომ ერთ საწყისს არ შეუძლია გამოეყოს მეორეს; ამ შემთხვევაში ყველაფერი აზრს კარგავს; შეუძლებელია ერთმა, მეორეს დაჩაგვრით გამარჯვება იზეიმოს; ნებისმიერ, ექსტრემალურ თუ არაექსტრემალურ პირობებში, ეს ორი საწყისი ერთმანეთსაა მიჯაჭვული; ერთის უფსკრულში გადაჩეხვას, მეორეს ავტომატური დაღუპვა მოჰყვება.

აქედან გამომდინარე, პიროვნებისა და საზოგადოების **მთლიანობის, ერთობის, დამკვიდრება უნდა იყოს იმ უმაღლესი მიზნის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც საზოგადოების ყველა წევრი უყოყმანოდ უნდა ემსახუროს.**

ჩნდება აზრი, რომ ორივემ რაღაც დათმოს, მაგრამ ამ შემთხვევაში კომპრომისიც არაფერს გვიშველის, რადგან შემადგენელი ნაწილების შემცირება, მთელის შემცირებას გამოიწვევს, შემცირებული მთელი კი, საწყისი ენერგიის მატარებელი აღარაა.

**ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ არც "ხალხის" და არც "პიროვნების" ნება, საზოგადოებრივი ურთიერთობების განმსაზღვრელი, მარეგულირებელი, არ შეიძლება იყოს.**

შესაბამისად, სოციოლოგიაში – "**მესამის**", სუპერარბიტრის შემოტანა აუცილებლობას წარმოადგენს.

ცხადია, ჩვენ ვგულისხმობთ იმ სუპერარბიტრს, რომელიც მოდავეთა შორის პრობლემას ერთიანობის დაურღვევლად გადაწყვეტს. სუპერარბიტრმა ამაღლებული პრინციპებისადმი სამსახური იდეალად უნდა დაამკვიდროს. მხოლოდ მას შეუძლია გადაწყვიტოს სამართლიანობის პრობლემა და მოხსნას წინააღმდეგობა. ყველაზე ჰარმონიულ შემთხვევაში, სუპერარბიტრის ამოცანაა ისეთი მდგომარეობის დამკვიდრება, რომ ერთმა მხარემ ასაზრდოვოს მეორე და პირიქით; ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა ორივე – "მეც" და "ჩვენც", პირველადობაზე საკუთარ პრეტენზიას, **"მესამეს" – სუპერარბიტრს,** გადასცემს.

**საჭიროა სუპერარბიტრად განვიხილოთ ამაღლებული პრინციპებისადმი სამსახური, რაც ჩვენი კეთილდღეობის მიღწევის ძირითადი საფუძველია; რადგან საზოგადოებაში აღმშენებლობა მხოლოდ მაშინ იწყება, როდესაც სიმართლისადმი, მარადიული ჭეშმარიტებისადმი სამსახური გააზრებულ ქმედებას ეყრდნობა და არა უტილიტარიზმს.**

უმრავლესობა თქვენთაგანი იტყვის: ეს ჭეშმარიტება ხომ მეც ვიცი, ეს მეც მინდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ხერხდება.

**ერთია ჭეშმარიტების ცოდნა და მეორე – ჭეშმარიტად ცხოვრების მცდელობა.**

გავიაზროთ, რა გვიშლის ხელს **ჭეშმარიტებით ცხოვრებაში?**

ადამიანთა ისტორიის ზედაპირული ანალიზიც კი, ნათლად აჩვენებს, რომ ადამიანთა ურთიერთობის საფუძველი შინაგანი სიახლოვის ქვეცნობიერი შეგრძნებაა; ესაა ორ ინდივიდს შორის ინტუიტიური ურთიერთგაგება, რომლის შემდეგ ცნება "ჩვენიანის" – საზოგადოების, დაბადება იწყება; და არა აქვს მნიშვნელობა, ეს განუვითარებელი ველური ტომია თუ ცივილიზებული საზოგადოება, სახელმწიფო. არც იმას აქვს მნიშვნელობა, ეს საზოგადოება იძულებით შეიქმნა,თუ ცივი,დიპლომატიური მოლაპარაკებით.

**ადამიანთა ურთიერთობის ქვაკუთხედი პირდაპირი და არაპირდაპირი ნდობა და პატივისცემაა**.

ამ ურთიერთობის ძირითადი არსი ისაა, რომ **ჩემი ბედი მასზეა დამოკიდებული, და პირიქით**.

**ეს ის უდრეკი და მარადიული პრინციპია, ურომლისოდ არავითარი საზოგადოება არ არსებობს.**

"ჭეშმარიტებაზე" დაყრდნობილი, "მჭევრმეტყველთა" მიერ გადმოფრქვეული აზრები, საზოგადოებაში კონკურენციისა და გამძაფრებული წინააღმდეგობის შესახებ, "უახლესი" ინდივიდუალიზმის მოდერნისტული თუ დაობებული, დახვეწილი, თუ დაუხვეწელი თეორიები, საზოგადოების არსს, საფუძველს, ვერც შეცვლიან და ვერც გააუქმებენ.

ასეთ "მჭევრმეტყველთა" ენერგიული მცდელობა, ეჭვი შეგვატანინონ ერთმანეთში, რათა ჩვენ მეორე ადამიანში "ჩვენიანი" არ დავინახოთ, მარტივი გააზრებითაც კი, შეიძლება დაიმსხვრეს; თავის მხრივ, ამ თეორიების შემქმნელიცა და დამკვეთიც – კრიმინალურ-პოლიტიკური ფენა, ბანდა, უზნეო, სულიერ-მატერიალური კანიბალიზმით გაჟღენთილ სუბიექტთა ერთობას, "ჩვენიანად" წარმოდგენას, ეფუძვნება. ბოლშევიკურ თუ ფაშისტურ მსხვილ კრიმინალურ გაერთიანებასა და ჩვენს უბადრუკ, კრიმინალურ-პოლიტიკურ ბანდაშიც,სწორედ ეს – "ჩვენიანის" პრინციპი,ბატონობს. ყველა აღნიშნული ბანდა, ძალადობის აღზევების მიზნით, "ჩვენიანის" იდეის სიმძლავრეს, უნიკალურად თუ პრიმიტიულად იყენებს.

**ამრიგად, ისინი "ჩვენიანის" იდეას, საკუთარი მიზნების განსახორციელებლად, მშვენივრად იყენებენ, და ამავე დროს, ცდილობენ ჩვენ მისი გამოყენების უსაფუძვლობაში დაგვარწმუნონ.**

**მათ, ამ შემთხვევაშიც, ეგოისტური მიზანი ამოძრავებთ – კეთილი ნების ადამიანების ერთმანეთისგან გათიშვა, გაუცხოვება.**

მთელი პარადოქსი იმაშია, რომ მათ "ჩვენიანის" ცნება უმაღლეს რანგში აჰყავთ, იმ დროს, როდესაც **კეთილი ნების, ინტელექტუალური, მაღალ-ზნეობრივი ადამიანები "ჩვენიანის" ცნების გათავისებას, ერთობის მიღწევას, ვერ ახერხებენ**. **სწორედ ესაა პრობლემის ძირითადი არსი**.

დავუბრუნდეთ ცნება "ჩვენიანის", სიცოცხლისთვის ფუნდამენტურ მნიშვნელობას. ისეთი მძაფრი დაპირისპირების შემთხვევაშიც კი, როგორიცაა ომი, გაითვალისწინება ის, რომ მოწინააღმდეგეც ჩემი ახლობელი ბუნებისაა, ამიტომ ომის წარმოებასაც კანონები მიუსადაგეს;

ეს გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო სამართალში, თუმცა, აქაც ადგილი აქვს პარადოქსს: თითბერის ან სპილენძის გარსით დაუფარავი ტყვიის გამოყენება აკრძალულია (ნუ შევეხებით ასეთი ტყვიის ტექნიკურ უპირატესობას); საერთაშორისო სამართალი ითვალისწინებს, რომ დამცავი ფენის გარეშე, ტყვია ადამიანის ორგანიზმის მოწამვლასაც გამოიწვევს. ეს იგივეა, რომ ჯალათმა მსხვერპლის ჯანმრთელობაზე იზრუნოს და თავის მოკვეთამდე, ნაჯახის სტერილიზაცია უზრუნველჰყოს.

დავუბრუნდეთ კეთილი ნების ადამიანთა ერთობის პრობლემას.

ამ, ისედაც ნათელ საკითხზე, მხოლოდ იმის დამატება შეიძლება, რომ საზოგადოება მცირერიცხოვანი "ჩვენიანების" დაჯგუფებებისგან შედგება. ცნება "ჩვენიანის" პირველ საფეხურს წარმოადგენს ოჯახი, რომლის საფუძველია ინტიმური სიახლოვე, ნათესაობა; ასევეა მეზობლობა ან საერთო საქმე, პროფესიული სიახლოვე, გემოვნებათა დამთხვევა, ჩემი ეზოს, სადარბაზოს, ქუჩის, ქალაქის სიყვარული, ადგილობრივი ადათი, დიალექტი, სიმღერა, "ჩვენთვის" გასაგები ანეგდოტიც კი.

აქედან, ნათლად ჩანს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ცალკეული ნაწილების, სისტემების ჰარმონიულ ურთიერთშედუღაბებას, ანუ სისტემები რამდენად გახსნილი, ღია, ურთიერთშეღწევადია. საზოგადოების, სახელმწიფოს სიძლიერე დამოკიდებულია იმაზე, თუ ნებისმიერ ინსტანციაში, შეღწევადობის ხარისხი რამდენად მაღალია; რამდენად "შეღწევადია" ადმინისტრაცია, სამართალწარმოება და ა.შ.

**საზოგადოებაში** ადამიანის ადამიანთან პირადი, ცოცხალი, აქტიური კავშირი, საზოგადოების, როგორც **მთელის, ერთობის, შეცნობა-გააზრება,** ცოცხალ ორგანიზმში სისხლის მიმოქცევის ტოლფასია;. ამის გარეშე, **მთელის** სიცოცხლისუნარიანობა

წარმოუდგენელია, რადგან საზოგადოების რეალური არსებობის საფუძველს **ერთობის** დამკვიდრება განაპირობებს.

**მხოლოდ ერთობის აღქმის შემდეგ შეიძლება გავიაზროთ თუ რას წარმოადგენს თავისუფალი საზოგადოება.**

# უწესრიგობიდან – წესრიგისკენ

რა მართავს სამყაროს? ბუნების რა ფუნდამენტურ კანონს ემორჩილება ის, რასაც ჩვენ სისატიკედ ან მშვენიერებად აღვიქვამთ? არსებობს თუ არა ბუნებაში უზენაესი კანონი, რომელიც ყველაფერს, და მათ შორის, ჩვენს სურვილს, ნებისყოფას, სიკეთეს მართავს?

და ჩვენთვის ყველაზე უმნიშვნელოვანესი:

**ვრცელდება თუ არა ეს უზენაესი კანონი სახელმწიფოს, საზოგადოების ჩამოყალიბება-მართვაზე?**

და თუ ეს ასეა, რა კანონია ეს? შეძლებს თუ არა ადამიანის გონება ჩასწვდეს მას და რაციონალურად გამოიყენოს?

უხსოვარი დროიდან, ყველა მოაზროვნე, აქტიური ადამიანი ბუნების ამ უდიდეს კანონზომიერებაში გარკვევას ცდილობდა.

ძველი ეგვიპტის, ანტიკური პერიოდის, შუასაუკუნეებისა თუ თანამედროვეობის აქტიური გონების ადამიანები, დროსა და ენერგიას არ იშურებდნენ, სიცოცხლესაც კი სწირავდნენ, რათა ამ უსაზღვრო ჭეშმარიტებაში გარკვეულიყვნენ.

ერთნი, საზოგადოებას მექანიკურ სისტემად, მექანიზმად, მანქანის მოდელად მიიჩნევდნენ და სახელმწიფოს მართვას მექანიკის კანონებით ცდილობდნენ; მეორენი კი, სახელმწიფოს ბიოლოგიურ სისტემად წარმოიდგენდნენ და მის მართვას გულის, ფილტვების,კუჭისა და თირკმელების მუშაობის პრინციპზე დაყრდნობით ცდილობდნენ. იყო ატომისტური თეორიების გამოყენების მცდელობაც.

კიდევ მრავალი განსხვავებული მოდელი არსებობდა და ყველა მათგანს, ერთიდაიგივე პრინციპი ედო საფუძვლად. მათ სწამდათ, რომ საზოგადოების განვითარების მოდელი ბუნების კანონებიდან უნდა გამომდინარეობდეს; ამას ამტკიცებდნენ ჯერ კიდევ ძველი ბერძნებიცა და ჩინელებიც. და თუ ვინმე, ამას უარყოფს, შედეგად იმას იღებს, რასაც ჩვენი დღევანდელი ცხოვრება ჰქვია.

კიდევ ერთხელ ლაო ძი:

**"ადამიანის მიერ დადგენილი წესები არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენს, აუცილებელია ჩავწვდეთ ბუნების კანონებს, რათა გავიგოთ როგორ ცვლის აწმყოს მომავალი."**

ამას გვირჩევდა სპინოზაც:

**"სანამ ბუნების ნაწილი ხარ, დაემორჩილე მის კანონებს!"**

და თუ, ამ რჩევებს არ გავითვალისწინებთ, არ ავმაღლდებით, ამ კანონზომიერებაში გასარკვევად განათლება არ გვეყოფა, დავიღუპებით, რადგან:

**"ყველაფერი ამაზრზენი, რაც ჩვენს გარშემო ხდება, გაუნათლებლობის ბრალია!" (კონფუცი).**

ყველა საზოგადოებრივი კანონი, თუ ის ბუნების უდიადესი კანონიდან არ გამომდინარეობს, არაბუნებრივი, ანუ ხელოვნურია და შესაბამისად, განწირულიც.

რა გვტანჯავს ჩვენ?

უწესრიგობა!

ჩვენი ყველა სხვა ტრაგედია – სულიერი თუ მატერიალური სიღატაკე, უსუსურობა, ბოროტება უწესრიგობისგან წარმოებული, მეორადი რეფლექსია.

წესრიგის დამკვიდრება – ყველა იმ პრობლემის გადაჭრის საწინდარია, რაც ჩვენს მრავალ-ტანჯულ მიწაზე, სიკეთისა და ბედნიერების ზეობას ხელს უშლის.

ამიტომ ჩვენი უპირველესი ამოცანაა:

უზნეობიდან – ზნეობისკენ!

უწესრიგობიდან – წესრიგისკენ!

შევეცადოთ და გავიაზროთ, როგორ ახერხებს ბუნება უწესრიგობიდან წესრიგზე გადასვლას?

გარე სამყაროსა და ადამიანთა საზოგადოებას ერთი რამ აქვთ საერთო – ორივე იმ ელემენტების, ანუ ნაწილაკებისგან შედგება, რასაც პირველ შემთხვევაში ატომს, მეორეში კი, ადამიანს უწოდებენ; ერთსაც და მეორესაც მრავალფეროვნება ახასიათებს, როგორც ადამიანები, ასევე ატომებიც, აღგზნებულ და დეპრესიულ, დაქვეითებულ, "საღათას ძილის" მდგომარეობაში მყოფებად იყოფიან; მათ შორისაც არიან დონორები – გამღებნი და აქცეპტორები – მიმღებნი, მიმტაცებელნი; არიან გულგრილნიც, რომელთაც არაფერი აინტერესებთ და არაკონტაქტურობით გამოირჩევიან (ჰელიუმი, არგონი); არიან მოუხეშავი, მძიმეცა და მსუბუქიც, ისეთი ცნობისმოყვარე ატომებიც, რომელნიც ყველგან და ყველაფერში ძვრებიან, ეჩხირებიან იქ, სადაც მათ არავინ ეპატიჟებათ. ქაოსური, უწესრიგო მოძრაობა, ყველა ჩამოთვლილი მდგომარეობის ატომებისთვის საერთოა, ანუ ისინიც, ჩვენსავით თავქარიანები არიან.

როგორ ახერხებს ბუნება ამგვარი უწესრიგობისგან ისეთი წესრიგი შექმნას, რასაც კრისტალი, მონოლითი ჰქვია, ანუ იმ წესრიგისა და სიმეტრიის შექმნას, რომელიც ბრწყინვალე მშვენიერებაში გადადის?

შესაძლებელია კი, ამ კანონებით საზოგადოებაში წესრიგის დამყარება?

დავუკვირდეთ თოვლის ფიფქს, და აუცილებლად ჩაგვაფიქრებს მისი განუმეორებელი სილამაზე, რაც მის სიმეტრიულობასა და მოწესრიგებულ ფორმაში გამოიხატება; ნუთუ შევძლებთ იმის გააზრებას, თუ რატომაა ამ პატარა, ბრწყინვალე, თეთრი ვარსკვლავის ყველა ქიმი აბსოლუტურად ერთნაირი? საიდან იცის ფიფქის ერთმა ქიმმა, როგორ იზრდება მეორე? მართლაც, როგორ ახერხებს ბუნება ერთიდაიმავე ატომებისგან უდიადესი სიმტკიცის, გამჭვირვალე – ალმასისა და ფხვიერი, მტვრადქცევადი გრაფიტის შექმნას? უბრალოდ ვთქვათ, რომ ალმასი მტკიცეა, ეს არაფრის თქმას ნიშნავს.

წარმოიდგინეთ, უმტკიცესი ფოლადისგან შექმნილი გრდემლი და ფოლად-საჭედი ურო, აიღეთ, წყლის წვეთივით მბრწყინავი, ალმასის კრისტალი, დადეთ გრდემლზე და ურო მძლავრად დაარტყით, შედეგი საოცარია, თქვენ უმტკიცეს ფოლადში შეჭრილ ალმასს იხილავთ. მიკროსკოპით დაათვალიერეთ, თქვენ მხოლოდ ფოლადის ნამსხვრევებს აღმოაჩენთ და თუ ძალა და მოხერხება გეყოფათ, ამოგლიჯეთ, უფრო სწორად, ამოანგრიეთ ფოლადიდან მბრწყინავი კრისტალი და ისიც მიკროსკოპით დაათვალიერეთ, მასში ჩამონატეხსა და ბზარს კი არა, ნაკაწრსაც ვერ აღმოაჩენთ, ის ისეთივე ბრწყინვალე დამთრგუნველი მშვენიერება იქნება, როგორიც ამ ბარბაროსული ცდის ჩატარებამდე იყო. ე.ი. ბუნება ნაწილაკებისგან, ატომებისაგან ისეთი მტკიცე მონოლითის შექმნის საიდუმლოს ფლობს, რომელსაც ჩვენი ფანტაზიაც კი ვერ შესწვდება.

**გავერკვეთ ამ უდიადეს კანონებში, რათა ყველა დროის მოაზროვნე ქართველის ოცნება აღვასრულოთ და ისეთი მტკიცე მონოლითი შევქმნათ, რომელიც ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხს დადებითად გადაწყვეტს, რათა გრაფიტივით რბილნი არ ვიყოთ და პირველსავე ვიგინდარას წინაშე, მტვრად არ ვიქცეთ.**

მართლაც, როგორ ქმნის ბუნება ქაოსიდან წესრიგს?

დედამიწის ქერქში ყველა სახის ატომები, ნაწილაკები ერთმანეთშია არეული. ვულკანური პროცესები, ქარი, წყალი, ამ ნაწილაკებს დაუნდობლად და შეუსვენებლად ურევს ერთმანეთში; სწორედ ისე, როგორც ჩვენ გვატრიალებს ცხოვრების მორევი. მიუხედავად ამისა, რაღაც საოცრებით, ამ უსასრულო, ქაოტურ მასაში, ქლორის ატომი, რატომღაც, მაინცდამაინც ნატრიუმს პოულობს, უერთდება და ქმნის კრისტალს, რომელსაც სუფრის მარილს ვუწოდებთ.

რა მოსაზრებით ეძებს, ალმასის შექმნისას, ნახშირბადის, სხვა ატომებისგან არაფრით გამორჩეული, ატომი, მეორე თავის მსგავსს? ან უფრო უცნაური, იგივე ატომებიდან რა ძალა წარმოქმნის გრაფიტს?

რატომ იერთებს ერთი ნაწილაკების ატომთა ჯგუფი მაინცდამაინც გარკვეული სახის ნაწილაკებს, ატომებს და გააფთრებით ეწინააღმდეგება, თავიდან იშორებს, ყველა სხვას?

დავუკვირდეთ, რატომ ვირჩევთ ერთს მეგობრად და გავურბივართ მეორეს? რატომ ვქმნით საზოგადოებას, ჯგუფს, ბანდას, რომელშიც ერთს სიხარულით ვიღებთ, ხოლო მეორეს დაუნდობლად ვიცილებთ თავიდან?

არის თუ არა რაღაც მსგავსება ამ პროცესებში? ერთიდაიგივე კანონი ხომ არ მართავს ამ პროცესებს?

დიახ, მართავს და შევეცდებით ამაში დაგარწმუნოთ.

**კაცობრიობას, ამ უდიადესი კანონის აღმოსაჩენად, დიდი ძალისხმევა დასჭირდა. სამყაროს მამოძრავებელ ძალას,უმცირესი ქმედების პრინციპის საფუძველზე შექმნილ, ამ უნივერსალურ კანონს, თავისუფალი ენერგიის მინიმუმის კანონი უწოდეს. აქ ცოტა დაკვირვება გვჭირდება, რათა ამ კანონის რაციონალური მშვენიერება შევიცნოთ.**

ეს კანონი მარტივად შეიძლება შემდეგნაირად გავიაზროთ.

ბუნებაში წესრიგი მხოლოდ იმიტომ იქმნება, რომ ერთი ნაწილაკი ისეთ მეორე ნაწილაკს ეძებს, რომელთანაც თავს კომფორტულად იგრძნობს, რადგან ის დაწყნარებისკენ, ანუ ენერგიის მინიმუმისკენ მიისწრაფის. ის მესამე ატომსაც ამ მოსაზრებით იერთებს, შემდეგ კი, დანარჩენებს და საინტერესო ეფექტი იწყება; წარმოიქმნება მცირე რაოდენობის ატომებისგან შექმნილი ჩანასახი, ის თავიდან არამდგრადია და ნებისმიერი გარე ზემოქმედება მას შლის. მაგრამ, თუ ასეთი ჩანასახი, საწყის მომენტში, მისდამი მტრულად განწყობილ ძალებს გადაურჩა, ანუ იმ ზომას მიაღწია, რასაც მეცნიერები კრიტიკულს უწოდებენ, მაშინ ის უკვე მდგრადი სისტემაა, ის სიცოცხლეს იწყებს და მისი დაშლა უკვე დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ასეთი ჩანასახის შემდგომი ზრდა ენერგიას აღარ საჭიროებს და პერმანენტული ზრდის პროცესი მიმდინარეობს.

აქ მთავარი ის არის, რომ თავდაპირველი ჩანასახის წარმოქმნაში სიცოცხლის წყურვილით ზომიერად აღგზნებული ატომები იღებენ მონაწილეობას. წყნარი, გულგრილი, დაუნურ მდგომარეობაში მყოფი ატომები კი, შორიდან, მთქნარებით უმზერენ ამ პროცესს. რა თქმა უნდა, იქვეა ზომაზე მეტად აღგზნებული, შიზოფრენული აქტიურობით შეპყრობილი ატომებიც, რომლებიც ამ ჩანასახის დანგრევას ცდილობენ, სწორედ ისინი ქმნიან გარემოს, რომელსაც არასასურველი გარე ზემოქმედება ვუწოდეთ. ამ გავლენის შედეგად სიცოცხლისმოყვარე ატომიც აღიგზნება, რადგან მას ქაოსი არ მოსწონს. ის ცდილობს უწესრიგობასა და უაზრობაში ისეთი ადგილი მოძებნოს, სადაც მას არეულობა ნაკლებად შეაწუხებს და თუ იპოვის,იქ მყარად თავსდება და წყნარდება.

ამრიგად, კრისტალიზაციას, როგორც ყველა სხვა პროცესს, თავისუფალი ენერგიის მინიმუმის პრინციპი განაპირობებს; შედეგად სისტემა მაღალი თავისუფალენერგეტიკული მდგომარეობიდან დაბალენერგეტიკულ მდგომარეობაში გადადის. გარდა ამისა, ჩანასახური მექანიზმის განვითარებისთვის განსაკუთრებული პირობების შექმნა აუცილებლობას წარმოადგენს (ესაა ტემპერატურა, წნევა და სისტემის იზოლაცია); ნებისმიერი ფლუქტუაციაც კი, ანუ სისტემის უმცირესი შეშფოთება, კრისტალიზაციის პროცესს საერთოდ წყვეტს.

ამგვარად, შექმნილ ატომთა ჯგუფი, კრისტალის ჩანასახი, ახალ ატომს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ ამ აქტის შემდეგ ჩანასახის აღგზნება, შეშფოთება, ანუ უაზროდ ენერგიის ხარჯვა შემცირდება.

**და მართლაც, საკუთარი ცხოვრების ასაფორიაქებლად, რომელი ჭკვათამყოფელი პიროვნება დაიჭერს საქმეს ფსიქიკურად გაუწონასწორებელ, ან სადათას ძილში მყოფ ადამიანთან?!**

რა იცის ალმასის კრისტალმა, რომ ნახშირბადის კიდევ ერთი ატომის განსაზღვრულ ადგილას მიერთებით მთლიანის, ანუ კრისტალის შეშფოთება შემცირდება. მართლაც, ის ერთი ატომის მოგლეჯვასაც კი, არ დაუშვებს, თუ ამით, უფრო აფორიაქებულ მდგომარეობაში გადავა.

სწორედ ამიტომაა ალმასი მტკიცე, რომ ის ნაწილის ჩამოტეხვას კი არა, ერთი ატომის წართმევასაც კი, უკიდურესად ეწინააღმდეგება.

შეეცადეთ იქ, სადაც სიყვარულია, ანუ მაქსიმალური სულიერი ჰარმონია, ერთი მეორეს დააცილოთ, ანუ ჯულიეტა რომეოს ააგლიჯოთ და რაც მოხდება, შექსპირზე კარგად ვერვინ აგიხსნით.

როგორც აღვნიშნეთ, შესაძლოა ატომი როგორც დაქვეითებულ, ისე აღგზნებულ მდგომარეობაში იმყოფებოდეს. მოდით, ჯერ დაუნს, ანუ დაქვეითებულ ატომს, ყურადღებას ნუ მივაქცევთ და ნორმალურ, სიცოცხლისმოყვარე ატომს დავუკვირდეთ. ისიც ჩვენსავით აღგზნებულია და იმ მდგომარეობისკენ მიისწრაფის, სადაც თავს კომფორტულად იგრძნობს.

მაშ როგორ ახერხებს ბუნება ამ თავქარიანი ნაწილაკებისგან ალმასის შექმნას? ან საზოგადოება როგორ ახერხებს ისეთი მონოლითური სისტემა ჩამოაყალიბოს, რომელსაც პოლიციაც კი, აღარ სჭირდება? (ნორვეგია)

– რატომ ხარ ასეთი მტკიცე? – ჰკითხა ნახშირმა ალმასს.

– რატომ ხარ ასეთი რბილი? – კითხვითვე უპასუხა ალმასმა. (ფრიდრიხ ნიცშე)

მართლაც, **რატომ ვართ ასეთი რბილები, ამორფულები?**

სახელმწიფო სტრუქტურის ამორფულობის გამომწვევ მიზეზებს, მოგვიანებით განვიხილავთ; ახლა კი, ალმასისა და გრაფიტის სიმტკიცის არაერთგვარობის შესახებ;

როგორც აღვნიშნეთ, ორივე – გრაფიტიცა და ალმასიც, ნახშირბადის ატომებისგან იქმნება.

იმისდა მიხედვით, თუ ბუნებისთვის ნახშირბადის განლაგება რა მანძილებზეა ხელსაყრელი, სხვადასხვა სტრუქტურა ყალიბდება, ე.ი. ნაწილაკთა ურთიერთობის ხასიათს ნაწილაკებს შორის მანძილი განსაზღვრავს. კრისტალო-ფიზიკის თეორიის მიხედვით, ბუნებაში ამგვარი წესრიგის 7 სინგონიაა (კრისტალთა დაყოფა კონფიგურაციათა მიხედვით) ცნობილი. ასე ყალიბდება სტრუქტურა, რასაც ჩვენ მატრიცად მოვიხსენიებთ. იცვლება მატრიცა და გრაფიტის ნაცვლად ალმასს ვიღებთ.

**ამრიგად, საკმარისია მიზანდასახულად შევცვალოთ მატრიცა და სტრუქტურის სიმტკიცის გაზრდაც გარდუვალია.**

უზენაეს ფუნდამენტურ კანონებს ემორჩილება მიკრო და მაკრო კოსმოსი, სულიერი და უსულო;

რაგინდ საოცარიც უნდა იყოს, სახელმწიფოთა წარმოქმნის ისტორიაც ასევე 7 კომბინაციას, თეორიას განიხილავს; ესაა თეოლოგიური, პატრიარქალური, პატრიმონული, ძალადობრივი, ხელშეკრულებითი, ორგანული, ფსიქოლოგიური.

**უნდა აღინიშნოს, რომ ბუნების უზენაეს კანონთა უნივერსალობა, ანუ ფუნდამენტური კანონების სოციოლოგიაში გამოყენების მცდელობის რაციონალიზმი, ამ დამთხვევის გარეშეც ნათელია.**

ჩვენი აზრით, კრისტალიზაციის თეორიის გამოყენება, სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესების მოდელირებისთვის, ეფექტური და მოსახერხებელია.

როგორც აღვნიშნეთ, ჩანასახის წარმოქმნა ფაქიზი მექანიზმია და განსაზღვრულ პირობებშია შესაძლებელი. ამრიგად, ჩანასახის ანალოგიურად, საზოგადოებრივი მონოლითის შექმნაც მკაცრად განსაზღვრულ პირობებს მოითხოვს.

მართლაც, დაუკვირდით, პირველი მძლავრი სოციალური, სახელმწიფოებრივი ჩანასახების წარმოქმნა სწორედ იქ მოხდა, სადაც მრავალმხრივ კომფორტული პირობები იყო. ჩანასახის განვითარებას იზოლირებული, წყნარი გარემოს არსებობა სჭირდება.

ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო (ეგვიპტე) ჩრდილო-აფრიკაში წარმოიშვა, რომელიც ჩრდილოეთიდან ხმელთაშუა ზღვით, აღმოსავლეთიდან წითელი ზღვით, სამხრეთიდან ლიბიის უდაბნოთი იყო იზოლირებული; ანუ სოციალური ჩანასახის წარმოქმნას ხელს ვერ უშლიდა დაბალ-განვითარებული აგრესიული ტომები. ასევე იზოლირებული იყო, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარე, ადრიატიკისა და ეგეოსის ხმელთაშუა ზღვით შემოსაზღვრული, ანტიკური საბერძნეთიც.

რომი – აპენინის ნახევარკუნძული, ჩრდილოეთიდან ალპები, სხვა მხრიდან ადრიატიკისა და ხმელთაშუა ზღვები.

ამრიგად, ცივილიზაცია იქმნება იქ, სადაც სოციალური ჩანასახის წარმოქმნას მეტნაკლებად აგრესიული გარემო ხელს არ უშლის, ანუ იმ პირობას აკმაყოფილებს, რასაც ზუსტ მეცნიერებაში ჩაკეტილ, იზოლირებულ სისტემას ვუწოდებთ.

ასევე არსებობს ადამიანთა მკაცრად განსაზღვრული, კრიტიკული რაოდენობა, რაც ჩანასახის წარმოსაქმნელადაა საჭირო.

ალბათ, რომულის გარშემო შემოკრებილი 500-მდე თანამოაზრეც კრიტიკულ რაოდენობას შეესაბამებოდა. ამ მონოლითზე შექმნილმა სახელმწიფომ, ბიზანტიის ჩათვლით, რეკორდული დროით იარსება.

სწორედ ასეთივე რაოდენობის თანამოაზრენი შეიკრიბნენ ჩინგიზ-ხანის გვერდით, რომელთაც "გრძელი ნებისყოფის ადამიანები" ეწოდათ. იგივე რაოდენობა შეიკრიბა კარლ დიდის გარშემო – ბარონები.

რა პიროვნული თვისებებიც გააჩნდა რომულის და მის 500-მდე მეგობარს, ანუ როგორიც იყო ჩანასახი, ისეთი იყო რომის იმპერია.

როგორიც იყვნენ ჩინგის-ხანი და მისი "გრძელი ნებისყოფის" თანამებრძოლნი, ისეთი მონოლითი შექმნეს.

კრისტალის ჩანასახური თეორიის თანახმად, გარკვეულ სიბრტყეზე, ბაზაზე მონოლითის შექმნისას წარმოქმნილ ჩანასახთა რიცხვი შეზღუდული არ არის. პროცესის მიმდინარეობისას ჩანასახთა ნაწილი იშლება და შესაძლოა ეს ნამსხვრევის ნაწილები სხვა უფრო მძლავრ ჩანასახს მიუერთდეს. ეს პროცესები სახელმწიფოს ჩამოყალიბებისას პარტიული თუ საზოგადოებრივი ჩანასახების არაბუნებრივ სიმრავლეს მოგვაგონებს; ამ შემთხვევაშიც, როგორც კრისტალიზაციისას, პარტიულ ჩანასახთა რაოდენობა, დაშლითა და სხვა პარტიებთან მიერთებით, მცირდება. ასევე შესაძლებელია რამდენიმე მძლავრი ბლოკის წარმოქმნაც.

ძველი საბერძნეთის მაგალითზე (ათენი და სპარტა) ნათლად ჩანს თუ ჩანასახური თეორია როგორ ეთანადება სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

აღსანიშნავია, რომ მონოლითი ფარდობითი ცნებაა. აბსოლუტურ მონოლითს ვერც ბუნებაში და შეაბამისად, ვერც სოციალურ სიტემაში აღმოაჩენთ. რეალურ სამყაროში ბლოკებისგან (მცირე ზომის კრისტალებისგან) შექმნილ კრისტალურ სისტემასთან გვაქვს საქმე (მას პოლიკრისტალს უწოდებენ). და თუ ბლოკის სიდიდე შთამბეჭდავია, მაშინ ის შეიძლება მონოკრისტალად მივიჩნიოთ.

კრისტალიზაციისა და სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესებს შორის კიდევ მრავალი ანალოგიის მოძებნაა შესაძლებელი, ჩვენ კი, ერთ საინტერესო მოვლენაზე შევჩერდებით.

წონასწორულ პირობებში კრისტალის შექმნის დაჩქარება შესაძლებელია, მაგრამ, ბუნებას ვერ მოატყუებ და თქვენს სულსწრაფობაზე ბუნება მაშინვე დეფექტთა რიცხვის გაზრდით გიპასუხებთ და ჩანასახის დეფექტებზე,ანუ დისლოკაციებზე,ზრდას მიიღებთ; შესაბამისად, მონოლითის ხარისხი მკვეთრად ეცემა და მისი მედეგობა მცირდება.

**– ბუნებას ვერ მოატყუებ – ეს ბუნების ფუნდამენტური გააზრებიდან გამომდინარე დაუწერელი კანონია.**

ასევე, რა თქმა უნდა, შესაძლებელია ფორსირებული მეთოდით, ერთი შეხედვით, მტკიცე სოციალური მონოლითის შექმნა (ალექსანდრე მაკედონელისა და იოსებ სტალინის იმპერიები), მაგრამ, როგორც ვთქვით, ბუნებას ვერ მოატყუებთ; და შედეგის არსი ყოველთვის უცვლელია. ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის ნგრევა მისი გარდაცვლისთანავე, გაციებისთანავე დაიწყო. რაც შეეხება იოსებ სტალინს, ეტყობა ისეთ დიდ ენერგიას ფლობდა, რომ მის "გაციებას" ათეული წლები დასჭირდა.

**შესაბამისად, ჩანასახური პროცესით მონოლითის წარმოქმნა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ საზოგადოების მამოძრავებელი ძალა შუალედურ ენერგეტიკულ არეალშია, ანუ საზოგადოების წევრთა უმეტესი ნაწილი არც საღათას ძილში იმყოფება და აღარც აღგზნების მაქსიმალურ მდგომარეობაში.**

გავიხსენოთ, არაბეთის ნახევარკუნძულის ტრამალებში ნახირის მწყემსობით დაკავებული, ერთი შეხედვით, არაფრით გამორჩეული ეთნოსი. მათი ერთი ნაწილი პალესტინაში მკვიდრდება,ნაწილი კი,ეგვიპტეში. სწორედ აქ ახერხებს,ერის სიყვარულით ამაღლებული იოსები, ეგვიპტის მმართველობის უმკაცრეს იერარქიაში მაღალი

თანამდებობის დაკავებას. ამ მდგომარეობას ის, არა საკუთარ სურვილთა ასრულებას, არამედ თანამემამულეთა დაცვა-პატრონობას ახმარს; თუმცა მან მიწასა და ცას შორის დესპანის როლის შესრულება ბოლომდე ვერ შეძლო, ვერ შეიცნო ის ზეციური "მესამე", რაც მის ერს დაიცავდა. იცვლება ფარაონი და ამასთან ერთად, იცვლება ებრაელთა მიმართ ფარაონთა დამოკიდებულებაც. იწყება მონობა, გაუსაძლისი ტანჯვა, ბავშვების უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა და ამ სისხლიან ორგიაში, **ღვთის** მადლით, გადარჩენილი მოსე; ის, ვინც მოგვიანებით, კაცობრიობას ზეციდან უმაღლეს ჭეშმარიტებას – ერთ ღმერთსა და ათ მცნებას, ანუ მატრიცათა-მატრიცას ჩამოუტანს. იწყება იმ სულიერი მონოლითის შექმნა, რომელიც ვერც სისხლმა შეარყია და ვეღარც – გაზის კამერებმა. საოცარია, რაც ღრმად ესმოდათ ამ მონოლითის არსი, მით მეტი იყო სიძულვილი მათ მიმართ.

**– რატომ ხარ სულით ძლიერი?**

**– რატომ აქციე საკუთარი ერის ისტორია რელიგიად?**

ყველა დროსა და სივრცეში, სწორედ ეს იყო ზნედაცემული, გაუნათლებელი ბრბოს სიძულვილის მიზეზი ებრაელი ხალხის მიმართ.

შესაძლოა ისტორიული ფაქტების ჩანასახური, მატრიცული თეორიით ახსნა თამამ ნაბიჯად მოგეჩვენოთ, რადგან ისტორია ეს ისეთი დარგია, რომლის ღრმად გაუცნობიერებელი გამოყენება სახიფათოა; მით უმეტეს თუ საქმე ეხება, ოდესღაც ცოცხალი, კონკრეტული ადამიანის, ან ადამიანთა ჯგუფის ცხოვრებისა და ქმედების რეკონსტრუქციის მცდელობას, გეთანხმებით, მისი გამოყენება სადისკუსიოა.

ადამიანის ბუნება მრავალფეროვანია და ქმედების მოტივების, გრძნობების, აზრების რეკონსტრუქცია (თანაც რეკონსტრუქცია მხოლოდ სიტყვიერი, აზრობრივი ფორმით) ძალიან საეჭვოა; და ამ მიმართულებით მსგავსება რეალობასა და ისტორიას შორის იგივეა, რაც ხეოფსის პირამიდასა და ქაღალდის პირამიდას შორის;

ჩვენი აზრით, ისტორია, იმდენადაა მეცნიერება, რამდენადაც უპირატესად აწმყოსა და მომავლის ორიენტირის ძიებისკენაა მიმართული და არა წარსულისკენ. ამიტომ მივიჩნევთ მას ერთ-ერთ მძლავრ ფუნდამენტურ მეცნიერებად; და რადგან, ის ფუნდამენტური მეცნიერებაა, ემოციებს ვერ ეთვისება; შესაბამისად, აღფრთოვანებული ისტორიკოსი (ასევე ფიზიკოსი, ან ბიოლოგი) ან უსარგებლოა, ან საშიში. ამიტომ მარტივი როდია ბოლომდე რეალურად გავიაზროთ რა მოტივი, რა აზრი, რა მიზანი ამოქმედებდა რომულის, კარლ დიდს, ჩინგიზ-ხანს.

ჩვენი აზრით, ჩვენი თეორიის გასამყარებლად, უახლესი ისტორიული მაგალითების მოყვანა, უფრო დამაჯერებელი იქნება; თუნდაც იმიტომ, რომ მკვლევარის შორსმხედველობის აბერაციას მაინც გამოვრიცხავთ.

ანტიკური და შუასაუკუნეების სახელმწიფოთა წარმოქმნის ისტორია სერიოზული გააზრებისთვის ნაკლებინფორმაციულია და შესაბამისად, ლოგიკის ნაცვლად ემოციების გაძლიერებას იწვევს. აქედან გამომდინარე, განვიხილოთ შედარებით ახლო პერიოდში, ცივილიზებული ევროპის თვალწინ ჩამოყალიბებული, სუპერსახელმწიფოს წარმოქმნის ისტორია. აქ ფაქტებში ეჭვის შეტანის ნაკლები საფუძველი გვაქვს.

# პალადიუმის რიტმი

განსაკუთრებული ყურადღებით განვიხილოთ კიდევ ერთი, თითქოს არაფრით გამორჩეული მოვლენა: თუ რა გავლენას ახდენს არა მხოლოდ გარემო, არამედ ინდივიდის, ან ერთნაირი რიტმის მქონე ინდივიდთა ჯგუფის საერთო რიტმი, პიროვნებაზე.

ჯგუფის ინდივიდთა უამრავი ვიბრაციიდან შეიძლება გამოიკვეთოს ერთი რომელიმე რიტმი, რომელიც, მოცემულ კონკრეტულ პირობებში, ყველაზე მეტი ინტენსივობით გამოირჩევა. ეს მაშინ ხდება, როცა **ჯგუფის წევრები საერთო მიზნით, ერთი პროცესით, ერთი ინტერესით არიან დაკავშირებულნი.**

ჯგუფის ამ რიტმს იგრძნობთ ეკლესიაში, სინაგოგაში, მეჩეთში, სამეცნიერო კონფერენციაზე და ა.შ.

ჩვენ მხედველობაში არ გვაქვს ის მიზნობრივად მიმართული რიტმი, რომელიც საკურთხევლიდან, მომხსენებლის კათედრიდან, სცენიდან მოდის.

არა – ჩვენ ყურადღება გავამახვილოთ რიტმზე, რომელიც **ახასიათებს ერთი კონკრეტული მოვლენის აღქმით დაკავებულ ინდივიდთა ჯგუფს,** ე.ი. მლოცველებს, სემინარის მსმენელებს და ა.შ.

გაცილებით მოხერხებულია იმ კონკრეტული სიტუაციის განხილვა, სადაც მიზნობრივი რიტმი (მღვდელი, მომხსენებელი) მკვეთრად არაა გამოხატული.

განვიხილოთ, საჯარო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი, სადაც არც საკურთხეველია (თუ წიგნებს არ მივიღებთ მხედველობაში) და არც სცენა. იქ მყოფი ინდივიდები დაკავებულნი არიან შემეცნებით, შესაბამისად, დარბაზი გაჟღენთილია შემეცნებისთვის დამახასიათებელი რიტმით. იქ, შემთხვევით მოხვედრილ სუბიექტს, უჩნდება ბუნდოვანი, მისთვის ბოლომდე გაუთვითცნობიერებელი სურვილი, რაღაც წაიკითხოს, რაღაც გაიგოს, რა თქმა უნდა, თუ მას ოდნავი ინტელექტი მაინც გააჩნია, თუ არა, რიტმის მოქმედების შედეგს მაინც შევამჩნევთ. ის მოკრძალებულად იქცევა, ხმადაბლა ლაპარაკობს, ფრთხილად გადაადგილდება და აზრადაც არ მოსდის, რომ ის უკვე იმ უხილავ რიტმს ემორჩილება, რომელიც მკითხველთა ჯგუფიდან მოდის.

ასევე მიაქციეთ ყურადღება, როგორ იქცევა ეკლესიაში შემთხვევით მოხვედრილი სუბიექტი, როცა იქ არავინაა და როცა იქ მლოცველები არიან. პირველ შემთხვევაში მისი ქცევა შედარებით თავისუფალია, იგი თამამად გადაადგილდება, ნივთებს წონას უსინჯავს და ა.შ. მეორე შემთხვევაში მის ქცევას მლოცველთა რიტმი კორექტირებას უკეთებს. ის მოწიწებით იხედება აქეთ-იქით, შეიძლება პირჯვარიც კი გადაიწეროს.

აღწერილი შემთხვევის განხილვას, ერთი შეხედვით, არც თუ ისე უცნაურ დასკვნამდე მივყავართ:

ერთნაირი აზრით, ქმედებით ორიენტირებული ჯგუფის საერთო რიტმს შეუძლია ეფექტურად იმოქმედოს სუბიექტზე – ანუ მისი რიტმი, დროებით მაინც, შეცვალოს.

**ჯგუფური რიტმი გაცილებით ძლიერია ერთი ინდივიდის რიტმზე.**

მართლაც, დაუკვირდით, როგორ იქცევა სუბიექტი, როდესაც ამაღლებული რიტმის არეში ხვდება და არა აქვს მნიშვნელობა, ეს რიტმი პასიონარულია, პასიონარულ-ენტელექტიური თუ ტრანსცენდენტული. სუბიექტი მის რიტმს ემორჩილება მიუხედავად იმისა, მაგ. პასიონარს, პირადად იცნობს თუ არა.

არა აქვს მნიშვნელობა პასიონარი დიდი მეცნიერია თუ კრიმინალური ჯგუფის ლიდერი. განსხვავება ის არის, რომ **პოზიტიური პასიონარიზმის რიტმი – ცნობიერებაზე მოქმედებს, ნეგატიური კი – ინსტიქტებზე ("კომპლიმენტარული" პრინციპი).**

ჩვენ მხოლოდ პირველ შემთხვევას განვიხილავთ.

**პასიონარულ-ენტელექტიურ** რიტმს საკმაოდ საინტერესო თვისება აქვს – შეიძლება მისი დაფიქსირება, შენახვა, გადაცემა.

დაუკვირდით, მრავალი საუკუნის წინ მოაზროვნეთა შემოქმედებაში გადასული პასიონარული რიტმი, სუბიექტზე დღესაც მოქმედებს. ეს რიტმი იგრძნობა ლეონარდო და ვინჩის, ვივალდის, ვაჟას, გალაკტიონის შემოქმედებიდან. ამიტომაა, რომ სუბიექტის ქცევაზე გავლენას ახდენს არა მარტო სამკითხველო დარბაზში მყოფი პირი, არამედ მუზეუმიცა და საგამოფენო დარბაზიც.

დარბაზში გამოფენილ ტრანსცენდენტული შემოქმედების მახასიათებელი რიტმები ერთმანეთს აძლიერებენ და მნახველზე შთამბეჭდავ გავლენას ახდენენ, ანუ მის რიტმს ცვლიან, შესაბამისად, იცვლება სუბიექტი.

უფრო ნათლად გავარჩიოთ პასიონარულ-ენტელექტიური ჯგუფის ძლიერი რიტმის გავლენა პიროვნების შინაგან ენერგიასა და აურაზე.

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანს ღვთისგან ჭარბად აქვს მინიჭებული ყველაფერი ის, რაც სიცოცხლისთვის მნიშვნელოვანია. აქ იგულისხმება შინაგანი სასიცოცხლო ენერგიაც და ამ ენერგიის მართვის მექანიზმი – ფსიკიქის სიმძლავრეც.

ზოგიერთ ადამიანში შინაგანი ენერგიის აკუმულირება, ანუ დაგროვება ვერ ხერხდება. მისი ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობა, შესაბამისად, ექსტრემარულ პირობებში სამუშაოდ მზად არ არის. ამ ენერგიის დასაგროვებლად მას ძილისა და დასვენებისთვის გამოყოფილი დრო არ ჰყოფნის. ის კარგავს აქტიურობას, შესაბამისად, მას რაიმე მნიშვნელოვანის შექმნის უნარი არ გააჩნია. ასეთი ადამიანი დეპრესიულ მდგომარეობაში გადადის, ყველაფრის მიმართ გულგრილი ხდება. ეს იმ დროს, როდესაც ადამიანების გარკვეული ნაწილი ყველაფერს ახერხებს, ფულის შოვნიდან დაწყებული, ფარდობითობის თეორიის შექმნით დამთავრებული.

ჩვენი აზრით, ადამიანის შინაგანი ენერგიის გადინება, დაკარგვა დამოკიდებულია იმ თხელი ფენის სიმტკიცის ხარისხზე, რომელიც მას გარს აკრავს – აურა. აურა უნდა იცავდეს მას, ყველა არასასურველი გარეშე რიტმისგან და როგორც ფილტრი, მხოლოდ კეთილ რიტმს უნდა ატარებს, დაწყებული ბიოლოგიური განვითარებისთვის საჭირო მზის ენერგიის რიტმიდან (სინათლე), დამთავრებული თქვენდამი კეთილად განწყობილი ადამიანის გამოსხივებული რიტმით.

დიდი ხანია ცნობილია, რომ ყველა ბიოლოგიური ობიექტი და რა თქმა უნდა, ადამიანიც, "პატარა სიცოცხლეების", ანუ უჯრედების უსაზღვრო რაოდენობას შეიცავს. აგრეთვე – ის, რომ უჯრედში ცვლილებები ელექტრული მოვლენების თანხლებით მიმდინარეობს. ისიც ცნობილია, რა უნიკალური წყობით არის განლაგებული ეს ბიოლოგიური უჯრედები და რა ორგანიზებულად მუშაობს მთელი ეს ურთულესი სისტემა.

ადამიანის მსგავსად, უჯრედები იბადებიან, ვითარდებიან, მრავლდებიან, იღუპებიან. მათაც აქვთ ფიზიკა-ბიოლოგიური მახსოვრობა (დნმ) და რაც მთავარია, "ის", რაც ჩვენი ცნობიერების მიღმაა.

ჩვენი ცნობიერება ჭრილობას – ტკივილით, ნერვული სისტემის მეშვეობით, აღიქვამს. უჯრედები იმ წუთშივე გრძნობენ, რომ ტრამვის მიღებისას, უჯრედების რაოდენობა შემცირდა და გამრავლების პროცესებს აჩქარებს, ცდილობს ქსოვილი საწყისი მდგომარეობის მიღწევამდე აღადგინოს.

ფიზიკური მახსოვრობის დაზიანება უჯრედის სიკვდილს იწვევს. თუ დავაზიანებთ "ფიზიკურ მახსოვრობას" – მას "შიზოფრენიკად" ვაქცევთ (ასეთი შიზოფრენიკების მომრავლების შედეგია მაგ. ონკოლოგიური დაავადება). ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირება ირღვევა. როგორც აღვნიშნეთ, მთელი ეს პროცესები რიტმის თანხლებით მიმდინარეობს.

მსგავსი პროცესის მიმდინარეობას შეიძლება სოციოლოგიაშიც ჰქონდეს ადგილი, ამას ჩვენ სოციალური სისტემის მოშლას ვუწოდებთ. როდესაც არამართვადი წრებრუნვა იკიდებს ფეხს, სოციუმში სწორედ მაშინ იწყება მთელის ნაწილებად დაშლა. დაშლის მამოძრავებელ ძალას კი, ასინქრონული ნაწილების ინდივიდუალური ენერგიების ზრდა წარმოადგენს. რომელიმე ნაწილის ენერგიის მკვეთრი ზრდა კავშირის გაწყვეტას იწვევს. ამ ნაგლეჯის თავისუფალი ენერგია კავშირის გაწყვეტაზე იხარჯება, და შესაბამისად, მცირდება. მიიღება მრავალი ნაწილისგან შემდგარი ნანგრევების გროვა – ქაოსი.

უჯრედი შეკრული, დამოუკიდებელი ელემენტია, მას ქმედების მექანიზმის საკუთარი კანონები აქვს, ანუ ის ჩვენი ცნობიერებისგან გამიჯნულია. ისინი მუდმივ მოძრაობაში არიან – ერთიანდებიან, იშლებიან, "კეთილ სიცოცხლეში" ნეგატიური – "ბოროტი სიცოცხლის" შეჭრას (ვირუსებს) ებრძვიან. უჯრედი – ეს ის მასალაა, რომლითაც ნებისმიერი ჩვენთაგანია აწყობილი. ამიტომ, ჩვენ ერთმანეთს უნდა ვგავდეთ. მიუხედავად ამისა, ზოგი ადამიანი აქტიურია, ზოგი – არა, ზოგი გენიოსია, ზოგი კი, ამის მსგავსს არაფერს ამჟღავნებს. ეს იმ დროს,როცა "სიჭარბის პრინციპიდან" გამომდინარე,ყველა ჩვენთაგანი დაჯილდოვებულია შინაგანი ენერგიის უსაზღვრო შესაძლებლობით, პოტენციალით.

მეცნიერებაში ისიც ცნობილია, რომ ორი ნაწილაკი ერთმანეთს უშუალოდ არ ეხება. ისინი ველის რიტმის საშუალებით ამყარებენ ურთიერთკავშირს. შესაბამისად, ადამიანი შედგება უამრავი ნაწილაკისგან და იმ ველის რიტმისგან, რომელიც ამ ნაწილაკებს აკავშირებს, ე.ი. აზრობრივად ადამიანი შეიძლება წარმოვიდგინოთ ორმაგი ფორმით.

პირველი – იდეალურად დალაგებული ნაწილაკების სისტემა და მეორე – ადამიანის ის რიტმული ველი, რომელიც როგორც არქიტექტორი, ამ ნაწილაკებისგან ადამიანს ქმნის. ეს რიტმი მათ უნიკალურ, იდეალურ მუშაობას უწევს ორგანიზაციას, ე.ი. გვაქვს ნაწილაკობრივი ადამიანი და მისი ორეული – ველის, ანუ რიტმის ადამიანი.

ამ ველის შესახებ ჩვენ, ფიზიკოსებმა და ბიოლოგებმა, ბევრი რამ ვიცით, მაგრამ უსაზღვროა ის, რაც ჩვენი ცნობიერების მიღმაა. ადამიანი ბიოლოგიური სიცოცხლის შესანარჩუნებლად საჭირო ენერგიის ნაწილს მზისგან იღებს. მზის ენერგია გროვდება ფაუნასა და ფლორაშიც, რასაც ჩვენ საკვების სახით ვითვისებთ. ენერგიის ნაწილი ადამიანში პირდაპირ, მზის გამოსხივების სახით აღწევს (მაგ., სითბო), ხოლო ენერგიის დანარჩენ ნაწილს, რომელიც ჩვენ ბოლომდე გააზრებული არ გვაქვს, გარემომცველი პიროვნებებისგან ვიღებთ.

სწორედ ეს, ველის, რიტმის ადამიანის ორეულია ჩვენთვის საინტერესო. ჩვენი ასეთი ორეული – რიტმული ადამიანი, ენერგიას, ველის, რიტმის სახით, არა მარტო იღებს, არამედ ასხივებს კიდეც; ამრიგად, ადგილი აქვს ენერგეტიკულ ბალანსს.

ალბათ, ჩვენი შინაგანი ენერგიის, რიტმის იმ ნაწილს, რომელიც ჩვენი ცნობიერების მიღმაა და რომლითაც გაჟღენთილია მთელი სამყარო, ინდუსები აღიქვამენ, როგორც "ჯივა"-ს, სიცოცხლის კვანტებს. სწორედ ის ღვივის ჩვენშიც. ალბათ, ეს იგულისხმება ძველებრაულ წმინდა წერილებში, როცა აღწერენ "სიცოცხლის სუნთქვას" იმას, რაც ღმერთმა ადამს შთაბერა.

თავისთავად ცხადია, რათა ადამიანისგან ენერგიის გადინება, გაფრქვევა არ მოხდეს, საჭიროა ამ ენერგიის დაცვა. სწორედ ამ ფუნქციას ასრულებს აურა. შესაძლებელია, რომ მისი მოვალეობაა "ბოროტი რიტმების", შეძლებისდაგვარად არეკვლა (შეკავება) და "კეთილი რიტმების" შეშვება ადამიანში, ე.ი. ის ორმაგი, სეპარაციული ფილტრის როლს უნდა ასრულებდეს. სწორედ ამ ფილტრზეა დამოკიდებული **ჩვენი სიცოცხლის ქმედითუნარიანობა, ტრანსცენდენტულობა, ინტელექტუალობა, პასიონარიზმი და რა თქმა უნდა, უდიდესი ტრაგედია – გულგრილობა.**

მართლაც, დაუკვირდით, თუ აურა "დაზიანებულია", ანუ მისი, როგორც ფილტრის უნარი, დაქვეითებული, მაშინ შესაძლოა ადამიანში გარედან შემოიჭრას "ბოროტი რიტმები", ხოლო შიგნიდან გაედინოს "კეთილი", ანუ სიცოცხლის აქტივობის ენერგია. ასეთ ადამიანს აქტივობა შემცირებული აქვს. მას ყველაფერი და პირველ რიგში აზროვნება, უჭირს, ეზარება.

კონფუცის აზრით, ასეთი უკვე ბოროტი, ანუ გულგრილი ადამიანია;

**ასეთი ადამიანი გულგრილია არა მარტო სხვის, არამედ საკუთარი შემოქმედებს უნარის მიმართაც.**

როგორ გავხდეთ აქტიური, შემოქმედი, ანუ როგორ შეიძლება აურის გაძლიერება?

აი, ეს არის ურთულესი საკითხი და ჩვენც შევეცდებით, ამ კითხვას როგორმე პასუხი გავცეთ.

ბუნებამ ჩვენ უკვე გაგვანდო აურის, როგორც ურთულესი სისტემის საიდუმლო. მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ მას აქვს ელექტრული ველი და მეცნიერებმა ის გაზომეს. ისიც ვიცით, რომ აურის შემადგენელი ნაწილია წყლის ორთქლი, რომლის უშრეტი წყაროც ადამიანის კანია. სწორედ ეს, წყლის ორთქლის მოლეკულები, რომელთა კონცენტრაცია ადამიანის ზედაპირის უკიდურეს მახლობლობაში მაქსიმალურია, აკავებს მზის გამოსხივების სიცოცხლისთვის საშიშ "ბოროტ" რიტმს – ძლიერი ულტრაიისფერი ნაწილი, და კარგად ატარებს მზის "კეთილ" გამოსხივებას – ხილულ ნაწილს, რიტმს.

ისიც ცხადია, რომ, რაც უფრო მკვრივია აურა, ის ფილტრის ფუნქციას მით უფრო კარგად უნდა ასრულებდეს.

**მაშასადამე, ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, თუ როგორ გავზარდოთ აურის სიმკვრივე, როგორ გავხადოთ ის "ფოლადივით"' მტკიცე.**

წარმოიდგინეთ ადამიანი, რომლის აურა არამტკიცეა. ცხადია, ის გარეშე ბოროტი რიტმებისგან დაცული არ იქნება. მასზე უარყოფითად იმოქმედებს გარემოს რხევები: ატმოსფერული წნევის ცვალებადობა, ამინდი, გარემოს ტემპერატურაც და აგრეთვე, მის

გარშემო მყოფი სხვა ინდივიდების არაკეთილი ზრახვების რიტმი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია კიდევ ერთი უარყოფითი მხარე – ესაა ადამიანისგან სასიცოცხლო რიტმის გადინება. ამ შემთხვევაში მისი აქტიურობა, როგორც აღვნიშნეთ, მინიმუმამდე ეცემა. ხანდახან აურა იმ დონემდე სუსტდება, რომ ფიზიკური ნაწილაკობრივი წყობაც ირღვევა, ე.ი. ბიოლოგიურ დეგრადაციას აქვს ადგილი; კერძოდ, ქვეითდება ჯანმრთელობა, ფსიქიკა და ა.შ. აქტიურობის დაქვეითება მაშინაც კი ხდება, როდესაც ადამიანი მზის ენერგიას, ანუ საკვების საკმაო რაოდენობას იღებს. საკვები აუცილებელია, მაგრამ არა საკმარისი, ე.ი. ადამიანს აკლდება ის ენერგია, ის რიტმი, რაც ჩვენს მიერ ბოლომდე შეცნობილი არაა. სწორედ ესაა ჩვენი განსახილველი პრობლემა.

საკმარისია, დაქვეითებული აქტივობის ადამიანი ამაღლებული პალადინის ველში მოხვდეს, რომ იწყება საოცრება. როგორც აღვნიშნეთ, ენერგია ასეთ ადამიანში ზომაზე მეტია. ის ამ ჭარბ ენერგიას მუდმივად ასხივებს (მისი სურვილის მიუხედავად). თუ დაქვეითებული აქტივობის ადამიანის რიტმი ფაზაში ემთხვევა პალადინის რიტმს (მიზანი საერთოა), ის ითვისებს ამ რიტმის ენერგიას და მისი შინაგანი ენერგია იმატებს; თუ მის გარშემო ერთი კი არა, მრავალი პალადინია, მაშინ მან შეიძლება მიიღოს ისეთი რაოდენობის რიტმები, რომლებიც გადააჭარბებს ბიოლოგიური არსებობისთვის საჭირო რაოდენობას და აქ იწყება ყველაზე საინტერესო – სად უნდა წავიდეს ეს ენერგია?

არის თუ არა ადამიანში ისეთი რეზერვი, რომელიც მიიღებს არსებობისთვის საჭიროზე მეტ რიტმს? – არის. ეს ის უდიდესი რაოდენობის რეზერვია, როგორიცაა თხუთმეტმილიარდიანი ნეირონების მასა. აი, სწორედ ეს რეზერვი ირთვება და იწყება შემოქმედება – **ადამიანის ამაღლება**.

ფიზიკაში (და არა მარტო ფიზიკაში) ასეთი რეზერვის ამუშავების ნათელი მაგალითია ცნობილი მეცნიერი ავოგადრო (ავოგადროს რიცხვი). ის პროფესიით ფიზიკოსი არ იყო. ის იურისტი გახლდათ. ავოგადრო შემთხვევით მოხვდა ტრანსცენდენტულ-ინტელექტური ფიზიკოსების მძლავრ რიტმულ ველში, მიიღო საჭიროზე მეტი რიტმი და უმოკლეს დროში, შექმნა ისეთი შედევრი, რომელიც კვანტური ფიზიკის განვითარებას დაედო საფუძვლად.

ასევე, გოგენი პროფესიით მხატვარი როდი იყო, მაგრამ იმპრესიონისტების რიტმმა ისე იმოქმედა მასზე, რომ ის უდიადეს მხატვრად აქცია.

ჩვენი აზრით, დასკვნა ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

**პალადინის რიტმის** გავლენა ადამიანის შინაგან ენერგიას ზრდის. ეს ენერგია, თუ შეიძლება ასე ითქვას, "შიგნიდან" აწვება აურას, ზრდის მის სიმკვრივეს, ანუ სიმტკიცეს. ამრიგად, იზრდება აურის, კეთილი რიტმების მიღება-შეკავების, უმნიშვნელოვანესი თვისება და იზრდება ენერგიის დაგროვების ალბათობაც. აქედან გამომდინარე, შემდგომში კვლავ მეტად იზრდება კეთილი რიტმების მიღება და დგება ისეთი მომენტი, როდესაც ის ჩვენს რეზერვს ავსებს. ირთვება ის მექანიზმი, რაც ქმნის უნიკალურ შემოქმედებას, რაც ქმნის "ფაუსტს", სვეტიცხოვლის ტაძარს.

ეს, რაც შეეხება **პალადინის რიტმებს**.

ახლა მოკლედ შევეხოთ გულგრილ ადამიანებს.

გულგრილთა რიტმის ქმედებაც ისევე შეიძლება დახასიათდეს, როგორც პალადინის რიტმების ქმედება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათ ამაღლებული მიზანი არ გააჩნიათ.

სამწუხაროდ, **ჩვენ ვიმყოფებით განვითარების იმ ეტაპზე, სადაც საერთო სურვილით გაერთიანება უფრო ძლიერია, ვიდრე ერთი აზრის გარშემო გაერთიანება და ეს სურვილია მატერიალური ფასეულობების მოპოვება.**

შესაბამისად, ადგილი აქვს სურვილის გაორებას: პირველი, როგორც აღვნიშნეთ, სიმდიდრის მოპოვება, და მეორე, უფრო ძლიერი სურვილი – მოპოვებულის გადანაწილება. ეს უკანასკნელი იმდენად ძლიერია, რომ მეორე მიზნის მისაღწევად ისინი ერთმანეთის განადგურებასაც არ ერიდებიან.

**გაორებული მიზანი დამარცხებაა.**

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, ადამიანთა ის ჯგუფი, რომლის აურა მინიმუმამდეა დასუსტებული. მათ სასიცოცხლო პოტენციალის შესავსებად, სუსტი აურის ადამიანებისგან, ენერგიის მიღება მუდმივად სჭირდებათ. ხშირად მათ ენერგოვამპირებს უწოდებენ.

იმისთვის, რომ ენერგოვამპირმა ენერგია ვერ წაგვართვას, საჭიროა ჩვენი აურის გაძლიერება. პალადინის ველში ენერგოვამპირი თავს ცუდად გრძნობს, რადგან პალადინებს მტკიცე აურა აქვთ და მათ ენერგიას ვერ წაართმევენ.

**შესაბამისად, პალადიუმში გულგრილთა ადგილი არ არის.**

ცხადია, პალადინს შინაგანი ენერგიის დიდი პოტენციალი "ნეგატიური სიცოცხლის" წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას აძლევს.

ჩვენი ორგანიზმი დაუსრულებლად აფრქვევს "სიცოცხლის" პორციებს – კვანტებს, რომელიც ბუნებას ერწყმის და ან აძლიერებს, ან ასუსტებს მას. ამ ზემოქმედების შედეგს ჩვენს მიერ გამოსხივებული სიცოცხლისა და გამოსხივების მიმღები ობიექტის არსი განაპირობებს.

შესაბამისად, თუ გამოსხივებული "სიცოცხლის" რიტმი, გამოსხივების მიმღები ობიექტის რიტმს ემთხვევა, მიმღები ობიექტის სასიცოცხლო პოტენციალი მკვეთრად იზრდება: "კეთილი სიცოცხლე" აძლიერებს პოზიტიურს, "ბოროტი სიცოცხლე" – ნეგატიურს.

ცხადია, თქვენდამი კეთილად განწყობილი ადამიანის რიტმი თქვენი დადებითი ემოციების რიტმს აძლიერებს. ეს კი, ადამიანისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ალბათ, მარტივად შეგიძლიათ გაიხსენოთ, როგორ უარყოფითად მოქმედებს თქვენზე თქვენდამი ბოროტად განწყობილი ნაცნობი თუ უცნობი, ინდივიდის ველი. ერთი ასეთი სუბიექტის შორიდან შემოხედვაც კი, საკმარისია, რომ ხასიათი მთელი დღით გაქვთ გაფუჭებული და იმ დღეს არაფერი გამოგდით.

ეს მოვლენა, შეიძლება, აურისა და გარე ველის (რიტმის) ურთიერთქმედებით აიხსნას. იმ შემთხვევაში, თუ ადამიანის აურა შესუსტებულია, ის ბოროტ, არასასურველ რიტმს წინააღმდეგობას ვერ უწევს. ასეთი რიტმის ნაწილი, თქვენს აურაში გავლას ახერხებს და იწყება შინაგანი ველის დასუსტება. ეს შეიძლება მოხდეს ორი გზით: ან დაზიანებული აურიდან თქვენი შინაგანი ენერგიის გადინებით, ან თქვენში შემოსული უარყოფითი ველის ურთიერთქმედებით თქვენს სასიცოცხლო შინაგან ველთან.

უმთავრესია როგორ შევინარჩუნოთ ძლიერი აურა, შესაბამისად, ის შინაგანი ენერგია, რომლის გარეშეც, ბედნიერებამდე მისვლა გამორიცხულია. ამ დროს, როგორც აღვნიშნეთ, განმარტოვება, დასვენება, ან ძილი, აურის გაძლიერებისთვის არასაკმარისია. რჩება ერთადერთი გზა – **შინაგანი სასიცოცხლო ენერგიის, ანუ ტრანსცენდენტულ-ინტელექტუერ-პასიონარული თვისებების ამაღლება. ის შიგნიდან ეხმარება აურას და ფოლადივით მტკიცედ აქცევს მას.**

მართლაც, დაუკვირდით, განა პალადიუმის თვისებების მქონე ადამიანები ბოროტი ადამიანების რიტმებით არ არიან გარემოცული? – დიახ, რა თქმა უნდა. რადგან აქტიურ ადამიანს უფრო მეტი მოშურნე ჰყავს, ვიდრე გულგრილს და რატომღაც, ბოროტი რიტმი მასზე დიდ გავლენას ვერ ახდენს.

ადამიანთა შორის დამოკიდებულებაში, ექსტრემალურ პირობებში, თავს იჩენს ერთობ საინტერესო მოვლენა, რომელიც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

მაგალითად განვიხილოთ ორი დაპირისპირებული პოზიტიური და ნეგატიური რიტმების კონფლიქტი, რომლის დროსაც მაგ. პასიონარის შინაგანი ენერგია, ნებისყოფა თითქმის უსაზღვროდ იზრდება. გავიხსენოთ ჯალათისა და მისი მსხვერპლის (ინკვიზიცია და ჯორდანო ბრუნო) ან კიდევ, გესტაპოსა და "**შშ**"-ის ხელში ჩავარდნილ პასიონარ ადამიანებს შორის დამოკიდებულება. ხშირად, აქ ისეთი ეფექტი ხდებოდა, რომლის აღწერა თითქმის შეუძლებელია. თითქოს, არაფრით განსხვავებული, პიროვნების ნებისყოფა იმდენად ძლიერდებოდა, რომ ის არაადამიანურ ტანჯვას უძლებდა (თუ წამების რა მეთოდები ჰქონდა ინკვიზიციას და როგორ დაიხვეწა ის ფაშისტურ გერმანიასა და რუსეთში, ჩემზე უკეთესად მოგეხსენებათ). ტანჯული ადამიანი ფოლადზე მტკიცე ხდებოდა.

შევეცადოთ ეს მოვლენა ავხსნათ რიტმული ველით.

ამისთვის შეგახსენებთ ფიზიკური სარკის (ჩვეულებრივი სარკე, ანუ გაპრიალებული ზედაპირი) ეფექტს. უფრო სწორად, განვიხილოთ საგანი და მისი სარკული გამოსახულება. ისინი ურთიერთშებრუნებულია, საწინააღმდეგოა. მაგ: თქვენი მარჯვენა ხელის სარკული გამოსახულება მარცხენაა. აქ ადგილი აქვს სიმეტრიას. სიმეტრია ბუნების, სიცოცხლის უეჭველი, განუყოფელი მახასიათებელია. სიმეტრიის ხილული, ნათელი მაგალითებია:

ფოთოლი, თოვლის ფიფქი და სხვა. არსებობს შენიღბულიც – კეთილი და ბოროტი, დღე და ღამე, ზამთარი და ზაფხული, დადებითი და უარყოფითი და ა.შ.

ახლა წარმოიდგინეთ ორი, აბსოლუტურად საპირისპირო, ანუ ორი "შებრუ- ნებული" პასიონარი, ან ინტელექტუალური ადამიანი. ამ ორ პასიონარს შორის შენიღბული სიმეტრიის სიბრტყე არსებობს, ანუ შენიღბული "სარკე". ეს "სარკე" პასიონარის მიერ გამოსხივებულ შინაგანი ენერგიის რიტმს აბსოლუტურად არეკლავს და უკან აბრუნებს, ე.ი. ფაქტიურად, მისგან ენერგიის გადინება არ ხდება. პასიონარი გამოიმუშავებს და ასხივებს ენერგიას და ის, ისევ უკან უბრუნდება.

როგორც აღვნიშნეთ, ასეთი დამატებითი ენერგიის მიმღები, რეზერვუარი ჩვენი გონებაა, მაგრამ გონება ამ ენერგიას მაშინ იღებს, თუ მას ამ ენერგიის, ასე ვთქვათ, "მიღება-გადამუშავება" (ამაღლება) შეუძლია. სასტიკ ექსტრემალურ პირობებში შემოქმედება აზრს მოკლებულია (ვერავითარ მუსიკას ვერ შექმნის მოცარტი, თუ მას შუბლზე გახურებულ უთო აქვს მიდებული). ამ შემთხვევაში აურა უმტკიცესი ხდება, ირთვება მეორე უნიკალური, უძირო რეზერვი, რასაც ნებისყოფა ჰქვია.

**ასეთი ადამიანის ფიზიკური განადგურება შეიძლება, მაგრამ მისი "გატეხვა", დამარცხება შეუძლებელია.**

და საერთოდ, თუ ადამიანი ხარ, ე.ი. დაუმარცხებელი ხარ.

**"ადამიანი იმისთვის კი არაა გაჩენილი, რომ დამარცხდეს, მისი განადგურება შეიძლება, მაგრამ მასზე გამარჯვება, შეუძლებელია!** (ერნესტ ჰემინგუეი, "მოხუცი და ზღვა").

ასეთივე შენიღბული "სარკეა" ალპინისტისთვის – მყინვარი და მეზღვაურისთვის – ოკეანე. მათი უდრეკი ნებისყოფა გაოცებას იწვევს.

აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ ჯორდანო ბრუნოს შინაგანი სასიცოცხლო ენერგია, ნებისყოფა მით უფრო ძლიერდებოდა, რაც უფრო მატულობდა მისადმი ზიზღით გაჟღენთილი ინკვიზიტორების აგრესია.

როგორ გგონიათ, ბარბარა სტრეიზანდს, თითქოს, გარეგნობით არგამორჩეულ მსახიობს, მოშურნენი არ ჰყავს? მათთვის ხომ მისი ფინანსური მდგომარეობაც საკმარისია, რომ ის ბოროტი რიტმებით ჩაახშონ? ბარბარას ირგვლივ, ალბათ, უამრავი მოშურნე კოლეგა უნდა ტრიალებდეს, შესაბამისი უარყოფითი რიტმის ველიც, იქვე ჰოლივუდში, საკმაოდ ძლიერი უნდა იყოს, მაშ როგორ შეუძლია ბარბარას ასეთი წარმატების მიღწევა?

როგორ ხდება, რომ ბოროტი რიტმებით ზოგი ნადგურდება, ზოგი პირიქით ძლიერდება? აი, ესეც უნდა აიხსნას.

ჩვენი აზრით, აქ უმნიშვნელოვანესია დავიმახსოვროთ, რომ **ველის გაძლირება შესაძლებელია ერთი მიზნით გაჟღენთილ ადამიანებში**.

აქ თავისთავად დაგებადებათ კითხვა – როგორ, თანამოაზრეთა შორის, განა შური არ არსებობს? და მართალიც იქნებით – რა თქმა უნდა, არსებობს; მაგრამ შეგახსენებთ, რომ ყველა ისინი ინტელექტუალები არიან.

**მათთვის კი, როგორც განვმარტეთ, მიზანი უმთავრესია.**

ამიტომ მათში ყველაზე ძლიერია მიზნის შესაბამისი რიტმი (წინააღმდეგ შემთხვევაში ის ინტელექტუალური არ იქნებოდა). ამ რიტმთან შედარებით, ყველა სხვა რიტმი უსუსურია.

მთავარია, თქვენი მიზნის შესაბამისი მიზნის მქონე ინდივიდის, ან ინდივიდთა ჯგუფის ველში მოხვდეთ და თქვენ უდიდეს ენერგიას შეიძენთ.

ჰოლივუდშიც ყველა ერთი მიზნის მისაღწევად იღვწის. ეს მიზანია პოპულარობა. ისინი მზად არიან პოპულარობისთვის სიცოცხლეც კი, გაწირონ. შესაბამისად, მათში ეს ყველაზე მძლავრი რიტმია და რაც უნდა შურდეთ ბარბარასი, მათი პოპულარობისკენ სწრაფვა ამ შურზე გაცილებით ძლიერია. ბარბარასთვისაც მნიშვნელოვანია პოპულარობის შესაბამისი რიტმი. ერთნაირი რიტმები (ერთი მიზანი), როგორც აღვნიშნეთ, ერთმანეთს აძლიერებენ. ამიტომაა ეს კინომატოგრაფიის ინსტიტუტი ყველაზე ძლიერი.

მიუნჰენის უნივერსიტეტში, სადაც კვანტური ფიზიკა დაიბადა, მეცნიერები შეხმატკბილებულად არსებობდნენ? – არა, მაგრამ მათ ერთი მიზანი ჰქონდათ. აქედან გამომდინარე, მიღწევაც უდიდესი იყო.

**საერთო მიზანი ადამიანის ამაღლების უმძლავრესი საშუალებაა. ამაღლება კი, ბედნიერებისკენ მიმავალი ერთადერთი ძალაა. გამოვიყენოთ, რიტმული ველის თეორია ჩვენი და ჩვენი მომავლის ბედნიერებისთვის!**

**ჩვენი ერთადერთი მიზანი სამშობლოს შენარჩუნება-გაძლიერება უნდა იყოს. ამ იდეით უნდა გავერთიანდეთ და ეს მიზანი, ჩვენთვის სიცოცხლის ტოლფასი უნდა გახდეს. შესაბამისად, უძლიერესი იქნება ჩვენი ველი.**

**მაგრამ თუ თქვენ, თქვენთვის საყვარელი ადამიანების, შვილების მომავლის ღალატის გარდა, აღარაფერი შეგიძლიათ, მაშინ ვერავითარი ველი გიშველით.**

პიროვნებაში ინტელექტუალური სიმარტოვის დამარცხების ერთადერთი საშუალება პალადიუმის რიტმია.

მარტოობა, ნებისმიერი ფორმით, ეს იქნება პროფესიული, ინტიმური, სულიერი, ინტელექტუალური, ავადმყოფობად ჯერაც არაა მიჩნეული. სოციოლოგები ცივილიზ- ებულ ქვეყნებში, ამ თემაზე ტრაქტატებს წერენ, ექიმები მარტოობის განკურნებას ფსიქოანალიზით ცდილობენ (ე.ი. მაინც ავადმყოფობაა!), პოეტები ლექსებს უძღვნიან ამ საშინელებას (გალაკტიონი, ტერენტი გრანელი).

სიმართლის მაძიებელნი მარტოობას ებრძვიან, როგორც **დონ კიხოტი** ებრძოდა ქარის წისქვილებს, სკულპტორები – ძეგლებს უდგამენ. მარტოობის მრავალფეროვანი სახეებიდან სოციალურად საშიში ინტელექტუალური მარტოობაა. თქვენს გარშემო ხალხის სიმრავლე მარტოობის პრობლემას არ წყვეტს.

**ინტელექტუალური მარტოობის ჯანმრთელობაზე გავლენის კვლევის მონაცემებზე, ევროპული და ჩრდილო-ამერიკული სტატისტიკის პროცენტული მაჩვენებლები, საოცრად ემთხვევა ერთმანეთს**.

ფსიქიკის დარღვევა, დეპრესია და განსაკუთრებით კი, პერმანენტული, მონოტონური მარტოობის ზემოქმედება ონკოლოგიური დაავადებების განვითარებასაც კი, უწყობს ხელს.

ფსიქიკის დარღვევის (ინტელექტუალური მარტოობიდან გამომდინარე) შედეგების გაანალიზებას, გააზრებას არავითარი სტატისტიკა არ სჭირდება, ეს ისედაც ნათელია. მთელი საშინელება ის არის, რომ ამნაირი სიმარტოვე შენიღბულია. ამიტომაა, რომ ცივილიზებულ ქვეყნებში საერთო ინტერესის მქონე ადამიანთა კლუბები (გოლფის, ოპერის მოყვარულთა, პოლიტიკური, სპორტული და ა.შ.) იქმნება.

გვერწმუნეთ, ინტელექტუალური ჯგუფის გაძლიერებულ რიტმში თქვენ ეს პრობლემა მოხსნილი გექნებათ. სხვა სიკეთესთან ერთად, თქვენ კომფორტულად იგრძნობთ თავს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში რიტმის, რხევის გავრცელების გარემოზე გავლენას "ველის" საშუალებით აღწერენ. უბრალოდ, ასე უფრო მოსახერხებელია. შევცვალოთ სიტყვა "რიტმი" – ველით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ პალადინის რიტმი, ანუ ველი, უფრო ძლიერია, ვიდრე გულგრილი ადამიანის ველი. თუ ეს ასეა, ვაწყდებით დიდ წინააღმდეგობას:

**რატომ არის გულგრილობა, ან სიზარმაცე უფრო მეტად გადამდები – შემართებასა და შემოქმედებასთან შედარებით?**

საქმე ის გახლავთ, რომ შემართებას, ქმედებას სუბიექტის პოტენციალის მობილიზება სჭირდება, მაშინ, როდესაც წვრილმანის კეთებისა და უსაქმურობისას ენერგიის ხარჯვა თითქმის არ არის საჭირო. ასეთ დროს პასიური ადამიანის ველიც კი, ეფექტურად იმუშავებს – "ხარი ხართან დააბი . . . " – პრინციპიდან გამომდინარე. ამ გენიალურ ხალხურ ანდაზაში იგულისხმება "ხარის" აქტიურობის დაქვეითება, რომელსაც თავისთავად ექნება ადგილი, თუ მათ ერთად დავაბამთ. სუბიექტის გააქტიურებას კი, საკმაოდ დიდი ენერგია, შესაბამისად, მძლავრი ველი სჭირდება.

**შესაძლებელია თუ არა, ისეთი მძლავრი ველის შექმნა, რომ მან ადამიანი შეცვალოს?**

**აი, ესაა მთავარი პრობლემა.**

დავუბრუნდეთ წინა თავებში განხილულ გულგრილ ადამიანებს – საშუალო რომაელს, არაბს, ინდუსს, საშუალო მოქალაქეს და ა.შ.

ზემოთ მოყვანილ ისტორიულ მაგალითებში განხილულია გულგრილი ადამიანისა და ენტელექტიური ჯგუფის ველის ურთიერთქმედება.

სოციალურ გარემოში **ტრანსცენდენტულ-ენტელექტიურ-პასიონარული** ველის მქონე ფენა ყოველთვის არსებობს. თავდაპირველად, მათში გამოიკვეთება უმაღლესი ტრანსცენდენტული ველის მატარებელი პიროვნება – **მოსე, ბუდა, ქრისტე, მუჰამედი;** მაგრამ, რა ძლიერიც უნდა იყოს მათი ველი, ის სოციალურ გარემოს კარდინალურად ვერ შეცვლის. ამიტომ ვერ გამოიწვიეს შესაბამისი ცვლილება უმაღლესი მძლავრი პასიონარული ველით დაჯილდოვებულმა ადამიანებმა: ანტონ ტაინელმა, ჰერმეს სამჯერ დიდებულმა, ფილონ ალექსანდრიელმა და სხვა მრავალმა, რომელთა სახელებიც უცნობია.

რატომ იმარჯვებენ ერთნი ხოლო ზოგის სახელებიც კი, არ შემოინახა ისტორიამ? **– იმიტომ, რომ ისტორია სანაგვე არ არის. მხოლოდ მის გარშემო ყრია გაუფურჩქნავი ღმერთები, გათელილი კერპები, იდეების ნაგავი, ავტორიტარული წიდა – ისტორია უმაღლეს ტრანსცენდენტულს, საკუთარი ველის გამოუყენებლობას, მოყვასის უსიყვარულობას არ პატიობს.**

**დაუშვებელია, ღმერთის ამ უდიდესი საჩუქრის, მხოლოდ საკუთარი განდიდებისთვის გამოყენება!**

მხოლოდ ენტელექტიური ადამიანი ხვდება, რომ მოძმეთა ბედნიერებისთვის მისი შესაძლებლობა არასაკმარისია. იგი იკრებს თანამოაზრეებს და მთელ ენერგიას ჩანასახის ან მატრიცის შექმნას ახმარს. მხოლოდ ამის შემდეგ, ყველა ერთად აღწევს იმ უდიადეს მიზანს, რომლის შედეგი უკვე ისტორიის ცვლილებაა.

ასეთი ჯგუფი, თავდაპირველად ერთი იდეის გარშემო ერთიანდება; ხდება მასში არსებული მრავალი რიტმიდან, იდეის შესაბამისი რიტმის გამოყოფა-გაძლიერება. ამგვარად, იდეით გაერთიანებული ინდივიდუალური ველები ერთმანეთს აძლიერებენ, პიროვნება ხდება რეზონატორი, ანუ ველის გამაძლიერებელი.

პირველ ეტაპზე, ეს გაძლიერებული ველი, ჯგუფის ველის არეალში შემთხვევით, ან მიზნობრივად მოხვედრილ ახალ ინდივიდზე მოქმედებს. მისი რიტმი ორიენტირდება ჯგუფის ველის გავლენით და ის აძლიერებს უკვე არსებულს. იწყება ჩანასახის ან მატრიცის კრიტიკული ზომის გადალახვა.

**ანუ დგება მომენტი, როდესაც ველის სიძლიერე აღწევს კრიტიკულ მნიშვნელობას – საკმარისია ერთი ასეთი პიროვნების დამატება, რომ ეს ველი კონცენტრირდება და მოხდება ლაზერული გამოსხივების მსგავსი გაბრწყინება.**

**ეს უკვე ისეთი სიმძლავრეა, რასაც წინ ვერაფერი დაუდგება, ყველაფერი ორთქლდება, ატომებად იშლება, პლაზმურ მდგომარეობაში გადადის.**

ეს არ არის ლეგენდა, ეს არ არის საწერ მაგიდასთან გამოგონილი მითი – ეს ბუნების კანონია, რომელიც ბოროტებას გაანადგურებს.

არ გჯერათ?

– აიღეთ ჩვეულებრივი ჭიქა წყლით და მასში ჩააგდეთ შაქრის მარცვალი, ის წყალში გაიხსნება და უკვალოდ გაქრება. თითქოს არაფერი შეიცვალა, მაგრამ თუ თქვენ დაუზარელად გააგრძელებთ მარცვლების ჩაყრას, მოხდება საოცრება, დადგება მომენტი, როცა ერთი პატარა, თვალით ძლივს შესამჩნევი შაქრის მარცვლის დამატება, ჭიქაში უნიკალურ ეფექტს გამოიწვევს; და თქვენს თვალწინ აბსოლუტურად სწორკუთხა მბრწყინავი დიდი კრისტალი დაიბადება. სწორედ ეს უკანასკნელი დანამატი იყო ის, რომელმაც წარმოქმნა სრულიად განსხვავებული რამ.

**ტრანსცენდენტულ-ენტელექტიურ-პასიონარული ველის მქონე ადამიანთა ერთი იდეის გარშემო ორიენტირება ერთადერთი საშუალებაა, რათა უმოკლეს დროში ჩვენი უსუსური ცხოვრება შევცვალოთ.**

**სწორედ ასეთმა მატრიცამ განაპირობა სულიერი კომფორტის შექმნა საშუალო რომაელის, არაბის, და ა.შ., რამაც მონოლითის შექმნა-განვითარებას შეუწყო ხელი.**

**რას გვაძლევს მატრიცა?** – ცხადია, მან უნდა შეცვალოს ჩვენი გარე სამყაროსთან, ანუ ცხოვრებასთან დამოკიდებულება. რა თქმა უნდა, ეს ცვლილება ჯერ ინდივიდისთვის

უნდა იყოს დადებითი, შემდეგ კი, საზოგადოებისთვის. მან უნდა შეცვალოს ჩვენი ცხოვრების რიტმი.

**ესაა ერთადერთი გზა უწესრიგობიდან – წესრიგისკენ.**

**უდიდესია იმ ჭეშმარიტებათა რიცხვი, რომლის აღქმაც ჩვენს გონებას შეუძლია.** ჩვენ განათლებულნი ვართ და იმდენი უმაღლესი ჭეშმარიტება ვიცით, რომ მისი მეათასედიც კი, საკმარისი იქნებოდა, რომ ნებისმიერ ჩვენთაგანს სიკეთით ეცხოვრა, მაგრამ

**შეიცნო ჭეშმარიტება და იცხოვრო ჭეშმარიტად, ეს სხვადასხვა რამ არის!**

**ერთია, გაიგო მატრიცის ქმედების არსი, მეორეა, ირწმუნო ის.**

**და, თუ არსებული ქაოსის წინააღმდეგ ჩვენს აქტიურ ქმედებას, უტოპიას დაარქმევთ, მაშინ უკვე სოციალური გვამები ვართ, რომელთაც ისტორიაში საფლავის გათხრის მეტი აღარაფერი სჭირდებათ.**

მთავარია საერთო მიზანი, რომელიც ჩვენი მომავლის სიკეთეს მოემსახურება.

რიტმის დამთხვევა ნიშნავს,ის – "ჩვენიანია" და არდამთხვევა – "უცხო", ეს ჰიპოთეზა ხსნის ყველა კოლიზიას.

საიდან ჩნდება "ჩამორჩენილი" ხალხი?

რატომ ისინიც არ ვითარდებიან?

რატომაა, რომ ცივილიზაციასთან ერთად, ზნეობაც არ იზრდება?

რატომ ქრება ზოგიერთი ცივილიზაცია და რატომ გვჯობნიან რთული მექანიზმისა და სიმდიდრის შექმნაში ისინი, ვინც სახელმწიფოდ გუშინ ჩამოყალიბდნენ?

როგორც ინდივიდები ჩვენ იდეალურები არა ვართ. როგორ შევიცვალოთ? როგორ გავხდეთ უკეთესები?

ცხადია, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ურთულესია, მაგრამ ჩვენ უფლება არა გვაქვს გვერდი ავუაროთ ამ საკითხს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ესაა გადამწყვეტი ჩვენი სოციალური ყოფის გაჯანსაღებისთვის.

**ცნობიერება არ ცხოვრობს, მაგრამ მოქმედებს. მას არა აქვს პირდაპირი შეხება რეალურ სამყაროსთან.**

**ცხოვრობს და მოქმედებს მხოლოდ ნებისყოფა. მხოლოდ ნებისყოფის საშუალებით რეალიზდება ცნობიერებაში გააზრებული იდეა.**

**ეს მატრიცის გარეშე შეუძლებელია.**

დავფიქრდეთ, თუ შესაძლებელია სხეულის სილამაზის მიღწევა ვარჯიშით, მაშინ რატომ არ შეიძლება ჩვენი სულიერი ნების, სიმტკიცის გაუმჯობესება. მართლაც, თუ სხეული ჩვენ გვეკუთვნის, მაშინ რა დააშავა ჩვენმა გრძნობებმა, ნებისყოფამ, ლოგიკამ, აზროვნებამ – ისიც ხომ ჩვენია? თითქოს, ისიც იმ მასალისგან არის დამზადებული, რისგანაც სხეული, თანაც უფრო ცვალებადი და პლასტიურია.

**მატრიცის გარეშე, ესეც შეუძლებელია.**

**მატრიცას კი, რწმენა, მოყვასის სიყვარული, რაციონალიზმი ქმნის.**

**ვიმეორებთ, სხვა გზა არ არსებობს, ჯერ არავის მოუგონია ის ალქიმია, რომელიც ტალახისგან ბროლის სასახლის აშენების საშუალებას მოგვცემდა.**

და ყველაზე მნიშვნელოვანი, მონოლითის წარმოქმნის პროცესში ენერგიის უდიდესი ნაწილი მხოლოდ ჩანასახის, ანუ პირველი მატრიცული ფენის შექმნაში იხარჯება, შემდეგი პროცესი თითქმის თავისთავად თვითრეგულაციით, თვითორგანიზებით მიმდინარეობს, ანუ პირველი მატრიცული ფენა მონოლითს დამოუკიდებლად ქმნის.

**მონოლითი თვითრეგულირებადი სისტემაა.**

მაგ: ისეთ მონოლითურ სახელმწიფოებში როგორიც არის, აშშ, ნორვეგია და სხვა, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, სახელმწიფოს მეთაური, პრეზიდენტი, ბუშია, კლინტონი თუ რუზველტი, თავის არსს სახელმწიფო მაინც ინარჩუნებს.

პრობლემა მაინც რჩება.

**მეცნიერებაში უმაღლეს დონეზეა აყვანილი განმხოლოების მაქსიმუმი.**

**მეცნიერება და მეცნიერი ფსევდო-პოლიტიკისა და ფსევდო-პოლიტიკოსისგან იმით განსხვავდება, რომ მას თვალთმაქცობა არ ახასიათებს.** მას, პოლიტიკოსის მსგავსად,

ყველაფრის ცოდნაზე პრეტენზია არა აქვს. მეცნიერმა ან "იცის", ან "არ იცის", და იქ, სადაც ძალიან ბევრია "არ იცის", მეცნიერება რეკომენდაციებს, არ იძლევა (რეცეპტს ვერ გამოგიწერთ). მეცნიერი მტკიცედ პასუხობს: ჯერ ადრეა, კვლევისა და დასკვნისთვის დროა საჭირო. მთავარია არსებობდეს კითხვა, მერწმუნეთ, რომ მეცნიერება პასუხს ყველაფერზე გასცემს. მეცნიერმა იცის:

**სჯობს არაფერი თქვა, ვიდრე თქვა არაფერი.**

მეცნიერის ასეთი პატიოსნება ხელსაყრელია **ფსევდო-პოლიტიკოსისთვის**, რადგან იდეის მომხმარებელთა უმრავლესობას მოთმინება არ ჰყოფნის. ასეთი უკვე მომხმარებელი კი არა, პაციენტია. ჩვენ აქ ირონიულად არ ვამბობთ ამ სიტყვას, ის უბრალოდ, ქართულად, ტანჯულს ნიშნავს. როგორ გავაგებინოთ მას, რომ, სახელმწიფოს არსის და მისი მართვის ხელოვნების გააზრებას დრო სჭირდება.

როგორ გავაგებინოთ მას, რომ სადაც ის ცხოვრობს, არშემდგარი სახელმწიფოა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

მარკიზი დიუდეფანი (ის ცნობილია ვოლტერთან მიმოწერით) კარდინალ პილინიაკუსის საკუთარ თავთან დისკუსიას შეესწრო. კარდინალის მსჯელობის საგანი იყო წმინდა დიონისე. მის გაკვირვებას თავმოჭრილი წმინდანის საქციელი იწვევდა, რომელმაც უთავოდ საკმაოდ დიდი მანძილი გაიარა.

– დაწყნარდით, კარდინალო – ურჩია დიუდეფანმა – ასეთ მდგომარეობაში მხოლოდ პირველი ნაბიჯია წარმოუდგენლად ძნელი.

ჩვენ არ ვიცით, აწუხებდა თუ არა ჩვენი ქვეყნის ყველა კარდინალობა- განაღდებულ, ან კარდინალობის მაძიებელს "ლოგიკა", როდესაც არარსებულ სახელმწიფოში "დემოკრატიას" ამკვიდრებდა, ან დამკვიდრებას აპირებს. ალბათ, აქაც პირველი ნაბიჯია მათთვის ძნელი, თორემ შემდგომი მათი სვლა "აღმავლობისკენ" რაღა გასაკვირია.

მკაცრად შევხედოთ პრობლემას.

ვიმეორებთ, პაროდიული არმია, პოლიცია, სამართალი, ქღერადი სახელწოდების სამინისტროები და ა.შ. ქმნიან პაროდიულ სახელმწოფოს, სადაც აღმასრულებელი მთავრობა, პარლამენტი, პოლიტიკოსთა მთელი არმია არსებობს, არ არსებობს მხოლოდ შესრულებული მიზანი - და ცხადია, არც შეიძლება იყოს რამე დადებითი შედეგი, ჩვენთვის გასაგები ერთი მიზეზის გამო – **ყველაფერი არსებობს სახელმწიფოს გარდა.**

**შესაბამისად, ჩვენი ძირითადი ამოცანაა შეიქმნას პირველადი მატრიცა, ანუ გადავცდეთ კრიტიკულ ზღვარს, შემდეგ იწყება თვითრეგულაცია და კითხვა ახლა რა გავაკეთოთ? – თავისთავად იხსნება, მთავარია მატრიცის შექმნა, იმას კი, თუ შემდეგ რა უნდა გავაკეთოთ, უკვე შენ თვითონ გვეტყვი.**

პოლიტიკური ფილოსოფიის მიზანია, შექმნას სახელმწიფოს მართვის რაციონალური თეორია. **პოლიტიკა სახელმწიფოს მართვის ხელოვნებაა. ჩვენი ფსევდო-პოლიტიკოსები, რაღაც არარსებულს მართავენ, ესაა პარადოქსი**, რომელიც არც ტანჯულ ხალხსა და არც მათ ლიდერებს აწუხებთ. კიდევ ერთხელ შევეხოთ ამ პარადოქსს.

სახელმწიფო – პოლიტიკური ძალაუფლების მექანიზმია.

ჯერ კიდევ 1651 წელს ჰობბსუსმა პირველადი განმარტებით სახელმწიფო შეადარა მანქანას, მექანიზმს, შრომაში – "ლევიაფანი".

**ამგვარად, ჩვენ გვაქვს სახელმწიფო მექანიზმი, სადაც მის ნაწილებს შორის სინქრონიზაცია, შეთავსება, ნორმალური კავშირი არ არსებობს**.

ჩვენი სახელმწიფო რეალურად რაღაც ბლოკების, სისტემების, ჭანჭიკების უაზრო გროვას წარმოადგენს. ფსევდო-პოლიტიკოსების ერთი ნაწილი გვარწმუნებს, რომ ის ამ გროვას ეფექტურად მართავს; ხოლო მეორე ნაწილი გვპირდება, რომ ამას, მათზე უკეთესად მოახერხებს (ალბათ, ასეთი დაშლილი მანქანის ფინიშამდე მიყვანას შუმახერიც და მეც ერთნაირი "წარმატებით" შევძლებთ). ვიმეორებ:

**ჩვენი ფსევდო-პოლიტიკოსების მიზანია – გაცამტვერებული, არარსებული სახელმწიფოს მართვა!**

მარტივი ასახსნელია ეს პარადოქსი – **უსაფუძვლო შეპირებები ჩვენი ფსევდო-პოლიტიკოსების ძირითადი პროფესიაა**, ეს ხომ სარფიანი საქმეა.

იმ ხალხის ლოგიკა, რომლებიც ასეთი "ბრძენი" ფსევდო-პოლიტიკოსების ხელმძღვანელობით აწყობენ კრებებს, მიტინგებს, (სადაც ერთმანეთს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ) პირდაპირ საკვირველია.

ცხადია, ასეთი **ფსევდო-**პილიტოკოსების მიერ მართვის სათავეებთან ათრეული, ან უკვე იქ მყოფი, სუბიექტი, რომელიც მხოლოდ სავარძელს უფრთხილდება, ხალხისთვის არაფერს გააკეთებს. სურვილიც რომ ჰქონდეთ, მათ რეალური საფუძველი, აღსრულების მექანიზმი, არ გააჩნიათ. ტანჯულთ უნდა გავაგებინოთ, რომ:

**ჩვენი გადაუდებელი ამოცანა – ჯერ მატრიცის ჩამოყალიბება და შემდეგ სახელმწიფო მექანიზმის თავიდან შექმნა; მხოლოდ ამ ამოცანის შესრულების შემდეგ შეიძლება ფიქრი იმაზე, ეს მექანიზმი რომელი პოლიტიკური ძალაუფლების ნებას აღასრულებს.**

**ცალკეული ბლოკების, ჭანჭიკების შეცვლა უაზრობაა.**

მხოლოდ მატრიცა შექმნის სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირების საფუძველს, ანუ – ჩინოსნების პრივილეგიაზე (ძმაკაცობა, წარმოშობა, ფული) დაფუძნებული იერარქიას, იმ იერარქიით შეცვლის, რომლის შერჩევის საფუძველი იქნება პიროვნება, მისი ცოდნა, ბიოგრაფია, პროფესიული კვალიფიკაცია, პატიოსნება და უმთავრესზე უმთავრესი - პატრიოტიზმი.

როგორ ვიმოქმედოთ ტანჯულთა და გულგრილთა ტვინის ერთ უცნაურ უბანზე? – ახლავე მოგახსენებთ, რა გვაქვს მხედველობაში:

როგორც ცნობილია, ადამიანი ურთულესი ორგანიზმია. მასში მიმდინარე პროცესების ჰარმონიულობის შენარჩუნება სიცოცხლისთვის აუცილებელია. ამას ემსახურება ჩვენი ტვინის ის უნიკალური ნაწილი, რომელიც დამოუკიდებლად ჩვენგან ყოველგვარი წაქეზების, ძალდატანების გარეშე, ჩვენს ბიოლოგიურ პროცესებს, გარე ზემოქმედების გათვალისწინებით, თვითონ მართავს.

უფრო ნათლად, ცნობილია, რომ კოსმონავტებს, რომელთაც დიდი ხნის განმავლობაში უწონადობის მდგომარეობაში ყოფნა უხდებათ, ერთი შეხედვით, უცნაური პათოლოგია ეწყებათ. კოსმონავტების ძვლებიდან გამოდის კალციუმი, რომელიც ძვლის სიმაგრის განმაპირობებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. იწყება ძვლების ატროფია. ადამიანის ტვინის ის ნაწილი, რომელიც ჩვენს ბიოლოგიურ პროცესებს მართავს, როგორც უნიკალური რაციონალური მექანიზმი, იგრძნობს რა წონის გაქრობას, იმ წუთშივე იღებს გადაწყვეტილებას – შეწყვიტოს კალციუმის "შეყვანა" ძვლის ქსოვილში. მართლაც, რა საჭიროა კალციუმი, თუ ადამიანის ძვლებს დატვირთვა არა აქვს.

დიდი ხანია ჩვენი თანამოქალაქის ტვინის ამ უცნაურმა ნაწილმა სახელმწიფოს, წესრიგის უსარგებლობა ("სიმსუბუქე", "უწონადობა") იგრძნო. ამიტომ ტვინის ეს უცნაური ნაწილი ატროფიას განიცდის. მას სახელმწიფო აღარ სჭირდება.

რას იზამ, ტანჯულს ჭეშმარიტების ძიების მეცნიერული კვლევა არ ანაღვლებს, მას უნდა, რომ დღეს, არა, დღეს კი არა, ამ საათს, ამ წუთშივე შვება იგრძნოს, მას განსჯისთვის არ სცალია და აქ იწყება ტრაგედია.

**სადაც მოთხოვნაა, მაშინვე იქ გაჩნდება ფსევდო-პოლიტიკოსი და იწყება მყისიერი კარგი ცხოვრების შეპირება**.

ტანჯულნი ჩვენ ზურგს გვაბრუნებენ, მათ მიჰყვებიან და რატომღაც, არა აქვს მნიშვნელობა, რომ შემდეგ ამ კარგ ცხოვრებას, ათასწლეულების განმავლობაში ელიან.

არა, ხალხი არც უნამუსოა და არც ბრიყვი. ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ ის, უბრალოდ, მშიერია. ჩვენ გვესმის მათი, რადგან ჩვენც გვინდა სწრაფად, რაც შეიძლება სწრაფად და მართლაც, თუ გვინდა სწრაფად, მაშინ აუცილებელია გარკვეულ საკითხებზე შევთანხმდეთ.

თუ გვინდა სწრაფად, ძალიან სწრაფად, მაშინ:

**აუცილებელია სიმძლავრე. მხოლოდ სიმძლავრე იძლევა სისწრაფეს. ამ სიმძლავრეს კი, მხოლოდ მატრიცის პოტენციალი ქმნის.**

ამ პროცესს წინასწარი მომზადება და თქვენთან ერთად გააზრება სჭირდება და გვერწმუნეთ – **შედეგი ყველა მოლოდინს გადააჭარბებს.**

**იზიდას როდი აქვს სახეზე საბურველი, ეს ჩვენ გვაქვს ლიბრი გადაკრული თვალებზე.**

**რათა სიცოცხლის აზრი გავიგოთ, ცხოვრების ჩარჩოდან უნდა გავიდეთ; თანაც, არა უბრალოდ გავიდეთ, არამედ ავიდეთ რაღაც სიმაღლეზე, ანუ საჭიროა ცხოვრებაზე ავმაღლდეთ, რათა სამყარო მთლიანობაში აღვიქვათ.**

მაშინ დავრწმუნდებით, რომ ის, რაც მანამდე უაზრობად გვეჩვენებოდა, უაზრობა იმიტომ იყო, რომ ჩვენ მხოლოდ მთლიანის ფრაგმენტს ვხედავდით. ცხოვრების ფრაგმენტული აღქმა კი, ამოცანის არაცალსახა გადაწყვეტაა. ვინაიდან, ეს ნაწყვეტი რაღაც მთლიანზეა დამოკიდებული, და მთლიანის გაუაზრებლობა ცხოვრების აზრს უაზრობად წარმოაჩენს.

ცხადია, ერთის პირადი ცხოვრება (რომელიც ცხოვრების ცენტრად, ათვლის წერტილად არ შეიძლება მივიჩნიოთ), ბრმა ძალთა თარეშის სავანედ, უაზრო შემთხვევითობათა გადაკვეთის წერტილად მოგვეჩვენება.

**ვიცით – ღმერთი სიყვარულია.** ისიც გასაგებია, რომ ადამიანის სულის გახსნა, უიმედობიდან გამოსვლა, შესაძლებელია მხოლოდ **მასთან**, ცხოვრების პირველწყაროსთან მისვლით.

ადამიანები სფეროს შემადგენელ წერტილებს ვგავართ, რომლებიც ცენტრისკენ, ანუ **ღვთისკენ** ისწრაფიან. რაც უფრო ვუახლოვდებით ცენტრს, მით უფრო ახლოს ვართ ერთმანეთთან.

**ღმერთთან მისვლა ერთმანეთის პოვნას ნიშნავს.**

**მთლიანობის დარღვევა ყველას სიკვდილია**.

სიყვარული ადამიანთა ცხოვრების საფუძველია, მისი არსია და თუ, ადამიანი ამ ქვეყნიდან განცალკევებული და ჩაკეტილია, ეს ნიშნავს, რომ ის სხვისი ცხოვრების ხარჯზე თვითდამკვიდრებას ცდილობს.

ის ადამიანი, რომელიც თავის ნამდვილ არსს მთელში შეიცნობს, მიხვდება, რომ ცხოვრება სიყვარულის გარეშე, უაზრობაა; მიხვდება, რომ ადამიანი გარეგნულადაა შეკრული, სხვისგან გამოყოფილი, ჩაკეტილი სისტემა, შინაგანად – სულით კი, მთელს ერწყმის.

ადამიანი რაც უფრო უკეთ შეიცნობს საკუთარ "მეს", მით უფრო ფართოვდება მისი აღქმის უნარი და ბოლოს, ის გაითავისებს სამყაროს, როგორც მთლიანს, საკუთარ "მეს" კი – ამ მთლიანის ნაწილს.

რატომღაც, ზოგს ჰგონია, რომ ადამიანები ერთმანეთთან "ურთიერთობენ", როცა შეუსვენებლივ, მუხლმოუდრეკლად დარბიან, ბევრს ხვდებიან, გაზეთს კითხულობენ, უყურებენ თV-ს, მიტინგებზე დადიან და სიტყვით გამოდიან, ხოლო ისინი კი, ვინც საკუთარ "მეს" უღრმავდება, ხალხს განუდგა. ეს შეცდომაა.

როდესაც ადამიანი გარეგნულ ურთიერთობებზე ხურდავდება და ყველასთან საქმიან ურთიერთობაშია, სწორედ მაშინ არის ის ჩაკეტილი, ყველასგან მიტოვებული, ეულად დარჩენილი! ასეთი ვერასდროს აღიქვამს სხვის ცხოვრებას და ის, ვისაც არ შეუძლია ადამიანი უყვარდეს, ჩვენი ნათქვამის აზრს ვერ ჩაწვდება.

გალაკტიონი ღმერთთან და თავის თავთან მარტო რომ არ დარჩენილიყო, ვერასდროს გაგვაგებინებდა, თუ რა ძლიერად ვუყვარდით, თუ რა სიმდიდრე დაგვიტოვა.

აი, ესაა, თავის თავში ჩაღრმავების გზით, ჩვენთან მოსული ტრანსცენდენტული პიროვნება.

ფსევდო-პოლიტიკოსის ტელეეკრანიდან ათასებთან ურთიერთობა (ანუ "ჩემზე, როგორც ერთ მეათასედზე, ზრუნვა"), ნათლად აჩვენებს, რომ ათასებთან "მიახლოებით" ის სამუდამო მარტოობაში გადადის. არიან ადამიანები, რომლებიც მას საზოგადო მოღვაწედ აღიქვამენ. ის მათთვის ადამიანის "ბედზე მოფიქრალი" და "სამშობლოს კეთილდღეობისთვის" თავგანწირულია.

არც ერთი "პოლიტიკოსის", "საზოგადო მოღვაწის" "გრძნობა", აზრი, ლოზუნგი არ გვახსოვს.

ყველა ჩვენი "პოლიტიკოსის", "საზოგადო მოღვაწის" კრებაზე, მიტინგზე, გაზეთიდან თუ ეკრანიდან "გადმოფრქვეული" აზრები, ადამიანზე "ზრუნვის" ყველა მცდელობა, ერთად აღებული, ინფუზორიაა, იმ რამდენიმე სიტყვასთან შედარებით, რაც ნაბადწაფარებულმა, განმარტოვებულმა მამულიშვილმა თქვა:

**"ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! - მძინარიც იმას ვდუდუნებ".**

ამ ფრაზას, მეორედ წაკითხვა აღარ სჭირდება; ის უკვე ჩვენშია და ცხოვრების ბოლომდე გაგვყვება. . . და მის შემდეგაც, ჩვენში დარჩება.

ეჭვგარეშეა, რომ

**იდეათა პროპაგანდა – იდეის არსებობას მოითხოვს;**

**იდეის არსებობა მატრიცის შექმნას საჭიროებს;**

**ხალხისთვის სიკეთის მიცემა – სიკეთის ფლობას მოითხოვს.**

ხაბაზს პურის გამოსაცხობად ფქვილი სჭირდება, ფქვილს – ხორბალი; ხორბლის გარეშე, წისქვილის შენებას აზრი არა აქვს.

აბა რას მოგვიტანს წისქვილის ქვის უაზრო ბრუნვა?

ისინი კი, აშენებენ ქარის წისქვილებს, რომლებიც ხმაურით, უაზროდ ბრუნავენ და ავიწყდებათ ერთი "წვრილმანი" – ხორბლის მარცვლის დათესვა-მოყვანა; იმასაც კი, ანადგურებენ, რაც შემთხვევით ამოსულა.

**პროცესი მიზნის გარეშე, უაზრო წრებრუნვათა ნაკრებია, რომელსაც ხვალ, ხვალ თუ არა ზეგ, სიკვდილი შეაჩერებს.**

**მხოლოდ საკუთარ "მე"-ში ჩაღრმავება, ჩაფიქრება, მიზნით გაერთიანება შეცვლის ბოროტს კეთილით. მხოლოდ ასე მივალთ მთლიანთან, სიცოცხლის აზრთან, რომელიც ყველასთვის ერთი იქნება.**

**ჩვენი ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა ძირეულ ცვლილებებს მოითხოვს.**

ეს ნაშრომი კიდევ ერთხელ დააფიქრებს იმ ადამიანებს, რომლებიც ხვდებიან, რომ გადის დრო და სასიკეთოდ არაფერი იცვლება, უფრო მეტიც, ჩვენი ფანტაზიისთვის მიუღწეველი, წარმოუდგენელი რეგრესის ზღვრამდე დავეშვით; და ამ კოშმარის გავლენით ჩვენ ტკივილის გადატანა ვისწავლეთ. ჩვენი ზნეობა, არსი სასტიკმა სულიერმა თუ ყოფითმა წამებამაც ვერ გატეხა და ჩვენს ცხოვრებაში იწყება ის პერიოდი, როცა ტკივილის აღარ გვეშინია.

ჩვენ გავიზარდეთ, ავმაღლდით შიშზე, ჩვენ უფრო სწრაფად ვიზრდებით, ვიდრე ტკივილი. ჩვენი სიჯიუტე შიშზე ძლიერი აღმოჩნდა. ის, რაც საშინელებად გვეჩვენებოდა, უკვე აღარ გვთრგუნავს. ჩვენი ყოფის ამაზრზენ მდგომარეობას ვიაზრებთ, ვსწავლობთ, ვაანალიზებთ, ვათვალიერებთ, არა შიშითა და ზიზღით, არამედ კრიტიკულად; ისევე, როგორც პროფესიონალი პათანატომი გახრწნილ გვამს ათვალიერებს.

იწყება სულიერი წონასწორობა, მღელვარება თანდათან ქრება. ეს ის მდგომარეობაა, რასაც, ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა, მოუგონეს სახელი – ატარაქსია – აუღელვებლობა, სულიერი სიმშვიდის მდგომარეობა, რისკენაც გონებაგახსნილი ადამიანი უნდა მიისწრაფოდეს. ეს ის მდგომარეობაა, როდესაც გაუტეხელი სულის ადამიანი ხვდება, რომ მასში წინააღმდეგობის ძალა მატულობს; როცა გრძნობს საკუთარ ძალას, მისი იდეალების შეუნგრევლობას და ის, რაც მასში პათოლოგიურ შოკს იწვევდა, აღარ აშინებს; რადგან მას **აძლიერებს ზნეობა, თამამი ნება, გონება, სილამაზის აღქმა და სამშობლოს სიყვარული, საკუთარი თავის პოვნა, ანუ ის, რასაც სულს ვუწოდებთ.**

ჩვენ ისინი ვართ, ვისაც რწმენით ცხოვრება შეგვიძლია. ჩვენ ლოგიკისადმი, პრინციპებისადმი გონება და სმენადახშულნი არა ვართ,არც ბრმანი ვართ.

**ჩვენ შეგვიძლია თავი შევიკავოთ ისეთი გამრყვნელი ალერსისგან, რომელსაც უკვე მძორის სუნი ასდის.**

**ჩვენ სამშობლოს სული ვართ, რადგან ვხვდებით, რომ ადამიანებს კი არა, ღმერთს უნდა დავემორჩილოთ.**

ჩვენ გვსურს ასეთი სიმაღლიდან ვუყუროთ "მათ" ამაზრზენ "მიწიერ" ცხოვრებას და ეს გამარჯვებაა, რადგან ეს ზეციური სიმაღლეა.

**და ისინი, არა მარტო ჩვენი სიმართლის, ლოგიკის, ზნეობის, არამედ უდრეკი ნებისყოფის წინაშეც აღმოჩნდებიან.**

რატომ არ ეწინააღმდეგებიან ნერონებს, ავანტიურისტებს, რატომ აძლევენ მათ ყველაფრის უფლებას? – მხოლოდ იმიტომ, რომ არცერთი მათგანი მათზე უკეთესი არ იყო.

და თუ, გააზრების გარეშე, ვინმე გვპირდება, რომ ტირანს გაანადგურებს, აღტკინებულებმა, ნიშნის მოგებით, ტირანისკენ კი არ გავიხედოთ, უპირველესად ყურადღებით დავათვილიეროთ ის, ვინც ამას გვპირდება.

**"მე მინდა ვგრძნობდე აუცილებელ მოთხოვნას, ვწერო ეს სტრიქონები – თქვენი აუცილებელი მოთხოვნაა, განმსაჯოთ ამისთვის"** – ვოლტერი.

მართლაც, რა აუცილებელ მოთხოვნას უნდა ვგრძნობდეთ, რათა გააზრებული ქმედება დავიწყოთ?

რა ავირჩიოთ ცხოვრებისეული მიზნებიდან, ფასეულობებიდან მთავარ ორიენტირად?

თავიდან მოვიცილოთ შემაშფოთებელი კითხვა – რა უნდა გააკეთოს საზოგადოებამ, რომ რაიმე უკეთესობისკენ შეიცვალოს?

კითხვა ასე დავსვათ: რა უნდა გავაკეთო მე და რა – შენ?

თითქოს სამყარო უცვლელია, ყველაფერი მეორდება და თუ იქ რამე შეიცვლება, მხოლოდ შენთან ერთად. აქ არაფერია ბოლომდე განსაზღვრული, სანამ შენ არა დაიკავებ იმ ადგილს, რომელიც გეკუთვნის. უშენოდ არ იქნება წესრიგი, ჭეშმარიტება, სილამაზე. არ იქნები შენ, არ იქნება არაფერი.

მე ვხედავ, რაც უშენოდ გაკეთდა;

შენ ხედავ, რაც უჩემოდ გაკეთდა;

შედეგი ყველაფერს განსაზღვრავს.

**"ჩინებული ბევრია, რჩეული კი, ცოტა".** (მათე 22.1.14).

**"შედით ვიწრო კარიბჭით, ვინაიდან ფართოა კარიბჭე და განიერია გზა, რომელსაც დაღუპვისკენ მიჰყავს, და მრავალნი დადიან მასზე.**

**ვინაიდან ვიწროა კარიბჭე და ვიწროა გზა, რომელსაც სიცოცხლისკენ მიჰყავს და მცირედნი ჰპოვებენ მას"** (მათე 7.13-14).

**ადამიანი იჯერებს და იბრძვის მხოლოდ იმისთვის, რასაც აცნობიერებს – მთავარია რწმენა.**

**ცხოვრება დრამაა – ამ სპექტაკლში უფსკრულია ორ პოლუსს შორის. ერთ მხარეზე არის ის, ვინც ცხოვრების სცენარში საკუთარ როლს თვითონვე წერს, მეორეზე კი, ის, ვინც დინებას უაზროდ მიჰყვება.**

**მიზანი ყველაფერია. შრომისმოყვარე გენიოსიც კი, ვერაფერს შექმნის თუ ის წრეზე მოძრაობს, თუ ორიენტირი არა აქვს.**

**ნუ გშულთ სხვისი სიმდიდრე – შეიძულეთ საკუთარი სიღატაკე!**

**ნუ გვეშინია უბედურების - ის შეიძლება გადაცმული ბედნიერება აღმოჩნდეს.**

**ჩვენ შევძლებთ ვიწინასწარმეტყველოთ ხვალინდელი დღე, თუ მას დღევანდელი დღის გაგრძელებლად ვაქცევთ.**

**პატიოსნება აუცილებელია ნდობის მოსაპოვებლად. ნდობის გარეშე, მიზნამდე ვერ მივალთ.**

**ყველაფერი მთავრდება მაშინ, როცა არავის ენდობიან!**

**გვენდეთ – ჩვენ გენდობით!**

არა აქვს მნიშვნელობა შენს რწმენას, ნაციონალობას, ასაკს, სქესს, განათლებას, მნიშვნელოვანია მხოლოდ გულგრილი ხარ თუ არა. თუ გეზიზღება გულგრილობა, მაშინ:

**ნუ იკითხავ, ვის უხმობს ჩვენი ზარი? – ის შენ გიხმობს!**

ნუ იკითხავთ – მე რა შემიძლია? – შენ შეძლებ ყველაფერს თუ ჩვენთან მოხვალ.

**ჩვენ ერთად მოვძებნით უმოკლეს გზას ბედნიერებისკენ.**

თუ თქვენში არის შემოქმედებითი სული, ანუ თქვენ შეგიძლიათ აღზარდოთ შვილი და გააკეთოთ მაქსიმუმი მისი მომავლისთვის, შექმნათ სულიერი, ან მატერიალური პროდუქტი, დაწყებული ხორბლის მოყვანიდან, ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებით დამთავრებული და გიყვართ თქვენს გარშემო არსებული სამყარო, მაშინ თქვენ პალადიუმს ეკუთვნით.

ჩვენ მოგმართავთ თქვენ!

**ეს არაა თხოვნა.**

ყველაფერი ფასეული მსოფლიო ცივილიზაციაში თქვენნაირების შექმნილია: დამწერლობა და წყლის შესანახი ჭურჭელი,ეგვიპტის პირამიდები და გუთანი,ანტიკური ფილოსოფია და ლურსმანი, რომაული სამართალი და აგური.

ჩვენნაირებმა დადგეს ფეხი მთვარეზე და გამოიგონეს ნაყინი. ჩვენ შეგვიძლია ყველაფერი, მაგრამ საკუთარი აწმყოსა და მომავლის მართვას ვერ ვბედავთ, მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი თავის რწმენა გვაქვს დაკარგული.

ჩვენ გვგონია, რომ - ჩვენ საკუთარი ბედის მართვას ვერ შეძლებთ, რადგან ამის უფლებას არ გვაძლევდნენ, რადგან ეს ჩვენთვის არ უსწავლებიათ? - გვეშლება!

**ადამიანს არ შეუძლია გააკეთოს ის, რაც მისთვის არ უსწავლებიათ? - არა – ჩვენ ვერ გავაკეთებთ იმას, რასაც ვერ გრძნობთ!**

ვინ ასწავლა პითაგორას გეომეტრია? ვაჟას - ლექსების წერა? პელეს - ფეხბურთის თამაში? - მასწავლებელმა? მწვრთნელმა? - ვცდებით! მათ რომ ეს შეძლებოდათ, მაშინ ორი რუსთაველი, ან ოთხასი პელე მაინც გვეყოლებოდა.

ჩვენ სხვაზე ნაკლებად არ გვესმის განათლების, პროფესიონალიზმის აზრი და ფასი. ჩვენ ერთმანეთს შეიძლება მიზნამდე სწრაფად მისვლა, ანუ შემსრულებლობის ხარისხის ამაღლება ვასწავლოთ, თორემ მიზნის არჩევის, პრობლემაში გარკვევისა და მოგვარების სწავლას აზრი არა აქვს, ის თქვენში დაბადებიდანვე არსებობს.

საკვირველი ის არის, როგორ მოახერხა ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა ადამიანის ამოოხვრა ბგერებად დაეყო და თიხის ფილაზე ამოეკაწრა. სწორედ მან შექმნა დამწერლობა, ანუ შექმნა ადამიანთა აზრების მახსოვრობა. აი, ამის სწავლაა შეუძლებელი, თორემ კომპიუტერში თქვენი აზრის სწრაფი შეყვანის სწავლა, ორ საათშია შესაძლებელი, ამას ყველა შეძლებს.

ისეთი ცოდნა, რაც მიღებული აქვთ ჩვენს მმართველებს პარტიულ სკოლებსა, თუ ფასიან უმაღლეს სასწავლებლებში, თქვენ ორ თვეში შეგიძლიათ აითვისოთ. გვერწმუნეთ, ყველა მათი მასშტაბური სისულელე მათი "განათლების", "ჭკვიანური მსჯელობისა" და გადაწყვეტილებების შედეგია. ხოლო, ის, რომ მოხუცს საკუთარი თავის დასამარხი ფული არ მოპარო, ან ავადმყოფ ბავშვს, კეთილი ადამიანების მიერ საჩუქრად გამოგზავნილი წამალი, სისხლის ფასად არ მიყიდო, სწავლა-განათლებას არ საჭიროებს.

**ჩვენ, მართლაც, ბევრი რამ ვიცით, მაგრამ რაში გვჭირდება ფრთები, თუ ქარი არ ვიგრძენით სახეში.**

საჭიროა მხოლოდ გიყვარდეს ის, ვისაც უყვარხარ და მას შურით საფლავი არ გაუთხარო.

**შევძლოთ ერთმანეთის გატანა.**

გვჭირდება კიდევ ცოტა რამ,ინდივიდუალური და საერთო დისციპლინის ამაღლება. სწორედ,ამ დისციპლინის დეფიციტს იყენებენ ისინი თავიანთი ძლიერებისთვის,ისინი, **რომლებიც თქვენს ხარჯზე აშენებენ სასახლეებს, თითქოს, მასში მეორედ მოსვლამდე აპირებენ სიცოცხლეს და თქვენს ხარჯზე ისეთი გამალებით იკვებებიან, თითქოს, ხვალ სიკვდილი ელით.**

თქვენ იცით, რა არის თავისუფლება, მაგრამ გეზარებათ იბრძოლოთ მისთვის.

რატომ ვართ ჩუმად?

თუ სულელები ვართ, მაშინ სიჩუმე ჭკვიანურია; თუ ჭკვიანები – სისულელე.

**ჩვენ კი, საკუთარი სიჩუმით, ერის განადგურების გეგმას ხელს არ მოვაწერთ!**

თქვენ შეიძლება დღეს როგორღაც ახერხებთ სულიერი ან მატერიალური ფასეულობის შექმნას და ამით ნეტარებას განიცდით, შეიძლება გაუსაძლის ტანჯვაში ხართ, მაგრამ გახსოვდეთ:

ჩვენ შემოქმედებით, თვითგანვითარებად ჯგუფს ვეკუთვნით.

**ჩვენ ერთი სისხლის ვართ!**

ჩვენ უნდა გავითავისოთ, რომ ადამიანის შინაგანი სამყარო უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გარეგანი. მეორე პირველზე უნდა იყოს დამოკიდებული და როგორიც უნდა იყოს ის ნეტარება ან ტანჯვა, რომელსაც ჩვენ გარედან განვიცდით, მან ჩვენი შინაგანი სამყარო არ უნდა შეცვალოს.

ქვეყნის გადასარჩენად ჩვენი ინდივიდუალური აზროვნების კონსტიტუციის ძირითად ცნებებად გამოვაცხადოთ:



– თუ თქვენთვის ადამიანი საშუალებაა და არა მიზანი;
– თუ თქვენ ქვეყნის მომავალი არ გაფიქრებთ;
– თუ თქვენ შვილების ღალატის გარდა აღარაფერი შეგიძლიათ;
– თუ თქვენ დანაშაულამდე მხოლოდ იმიტომ არ მისულხართ, რომ არც შემთხვევა გქონდათ და არც გამბედაობა გეყოთ;
– თუ თქვენ იჯერებთ მხოლოდ იმას, რაც თქვენთვის სასურველია;
– თუ თქვენ განსხვავებას ვერ პოულობთ ზრდილსა და ბრიყვს შორის;
– თუ თქვენ პატიოსნებაში ზნეობის გარდა რაციონალიზმს ვერ ხედავთ;
– მაშინ თქვენ ეს ნაშრომი არ დაგაინტერესებთ, შესაბამისად, არ გვაინტერესებს თქვენი შეხედულება, ჩვენს შორის დისკუსია უსაფუძვლოა.

არასამთავრებო ორგანიზაცია
"მეცნიერება და ტექნიკა საქართველოში"

ტელ.: 893 25 61 94;
893 51 27 04.

E-mail: tamazbutkuzi@posta. ge

– ჩვენი თავისუფლების ერთადერთი გარანტია ყველას თავისუფლებაა;

– ჩვენი სულიერი ან მატერიალური სიმდიდრის შექმნისა და შენარჩუნების ერთადერთი გარანტია ყველას სულიერი და მატერიალური სიმდიდრეა;

– ჩვენი სიცოცხლისა და ღირსების ხელყოფისგან დაცვის ერთადერთი გარანტია – ყველა ჩვენგანის მიერ კანონის უზენაესობის აღიარებაა.

ნუ გვეშინია მათი, რადგან მათ
გამარჯვება არ იციან!
ნუ დავუჯერებთ მათ, რადგან სიცრუე მათი არსია!
ნუ ვითხოვთ მათგან იმას, რაც ჩვენი
გასაკეთებელია!

ნუ გვეშინია,
ნუ დავუჯერებთ,
ნუ ვითხოვთ!

გავაერთიანოთ ჩვენი პოტენციალი და ეს, ჩვენი შვილების,
ოჯახის, ერის ბედნიერებამდე მიგვიყვანს.
ამ ადამიანური ოცნების აღსრულების ერთადერთი
საფუძველია ჩვენი სიმტკიცე.
ჯაჭვის სიმტკიცეს მისი სუსტი რგოლი განსაზღვრავს.
ჩვენი ბედნიერების სიმტკიცეს –გულგრილობა.
ნუ იქნება გულგრილობა სამშობლოს
დამღუპველი სუსტი რგოლი!

## გვახსოვდეს:
## არ არსებობს სამშობლო
## სამშობლოს გარდა!

როგორც ქვემოთ შევნიშნავთ,
ბატონ თამაზ ბუთხუზის ჩინებული წიგნი
,,გაახელ თვალებს— იქნება გვიან‘‘
და პროექტი ,,გვიმარა‘‘
ზედმიწევნით შეესაბამებიან ერთურთს, მეტიც,
მათი ცალ-ცალკე განხილვა
ერთგვარი ცდომილებაცაა, ვინაიდან ბატონი თამაზის
ძალისხმევა ამ მარათონული რეფორმის
პირველი ეტაპია უცილობლად,
როცა თანამოაზრეების ჯგუფი თავის თავზე აიღებს
ქვეყნის გამოუვალი სიტუაციიდან
გამოიყვანს მისიას.
მაგრამ ეს ხომ პროექტ ,,გვიმარას‘‘მოსამზადებელი
ეტაპია არსებითად, როცა ხელსუფლებაში მონოლითური
აზროვნებით შეკრული გუნდის მოღვაწეობის
პროცესში ფართო გასაქანი მიეცემა
ჭეშმარიტი ნიჭიერებით შემკული თაობის
აღზრდა-დამკვიდრებას, როგორც სამამულო,
ისე — ზოგადკაცობრიული პრობლემების
თანადროული გადაწყვეტისათვის.

# პროექტი
# „გ ვ ი მ ა რ ა“

თქმულების თანახმად ძველთუძველეს საქართველოში, ამირანისა და აიეტის უხსოვრობის დროინდელ კოლხეთში, ცეცხლის მომთვინიერებელთა და ფოლადის მწრთობელ ხალიბების კურთხეულ მიწა-წყალზე, კირბების — ოქროს საწმისის — სარწმუნისის — კირბისის — ანბანის მესაიდუმლე კორიბანტების სამფლობელოში, პოლიფონიური საგალობლებისა და მედეას ცნების — მედიცინის შემომქმედ აია-ქვეყანასა თუ მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილ იბერიაში, თურმე სალოცავი გიგანტური ხე-გვიმრები ხარობდნენ, რომლებიც ჟამთა ტრიალში გადაჯიშდნენ, გაგვიმრუჭდნენ, გადასხვაფერდნენ და აწ ცელითაც ითიბება.



# გვიმარა

ოხვამერ ჯა რდი, მარა
დეჩიჩიო, გვიმარა?
ვეკანგარა ირიათო
თი თუთა დო თი მარას,
ოხვამერ ჯა რდი, მარა
დეჩიჩიო, გვიმარა?!
ჩელაია ნირსი ცაშე მირაყვალუ,
გოკურცხია, დიდა ინგირ გირაქვალუ,
გოლვაფირო, გოლვაფირო, ირო ფალუ,
კუჩხეფიშა წყურგილეფი ქუმოიდვალუ
ოხვამერ ჯა რდი, მარა
დეჩიჩიო, გვიმარა?!
შხურიშ ტყების გეჭარუდუ სქან ნინაშა
მუჭო ოკო ონდღულესკო ფულანდი,
ითამ კუჩხი გეიდგუმუდკო ტინტილაშა
ეკორჩვილი გილეში დო ქულანდი!
შხურიშ ტყების გეჭარუდუ სქანობურო,
ორქო ქვიშაშ კორობუაშ წესეფი,
გიკურცხინე, გიკურცხინე გოლვაფირო,
სი მუნაფას გიწილოხუნს მესეფი!
ოხვამერ ჯა რდი, მარა
დეჩიჩიო, გვიმარა?ბირგულ მუშენ გიდირკუ,
მარგალურიშ მარჩქილეს,
ქარწყექ — ჰავაქ ქიდირქუ,
ფსუა გეკოვარჩხილე!
ქიგიშინი ხიოლი,
რე მუმულიშ ყიონი,
მობალუნა ქიონი,
უზისხირე, გვიმარა!
ნჭყოლირ გური მუჭო ვემკისქილადე,
ღურა თელათ მუჭო ვემკიზგილატე,
კოლხიდაშე ლანდი ქუდოსქილადე,
უზისხირე, გვიმარა!
ჩელაია ნირსი ცაშე მირაყვალუ,
გოკურცხია, დიდა ინგირ გირაქვალუ,
გოლვაფირო, გოლვაფირო, ირო ფალუ,
კუჩხეფიშა წყურგილეფი ქუმოიდვალუ.
ოხვამერ ჯა რდი, მარა
დეჩიჩიო, გვიმარა?
გიკურცხინე, გოლუაფირო,
ვარა გიმორჯგინანა!
ქიგიშინი თი მარა,
ქარწყექ, მუსხის გიღვარა,
გემწოდირთი, გემწოჟვენგი,
გემწოსოფი, გვიმარა!
1978

ვით სულს ესატკივარა,
ვით გულს ესამძიმარა,
სად დაჰკარგე ის სიმაღლე,
სალოცავო, გვიმარა?!
ვინც ცამ დაგაწინარა,
თქვი, რამ დაგამძინარა,
სად გუგუნებს ის გრიგალი,
საით წაგამდინარა,
სალოცავი ხე იყავი,
დაჩიავდი, გვიმარა?!
შენ თეთრონი ბუერები გაგიცრია,
შენ ენგურის კვნესა გულში ჩაგიწნია,
შენ კოჭამდე ნაკადული ჩაგიცვია,
შენ ხელები მთიებამდე აგიწვდია.
სალოცავი ხე იყავი,
დაჩიავდი, გვიმარა?!
შენს ენაზე ქუხდა ოქროს საწმისი,
თუ რარიგად გამოედნოთ ფოლადი,
მოილიე ჟამი გაუსაძლისი,
როს ურჩხულის მოკარებით თრთოლავდი.
იმ საწმისზე ჩაშანთულა შენებურად,
ოქრო-ქვიშის მოპოვების წესებიც,
გაიღვიძე, ჯერ არ გადაშენებულა
ღრუბლის წვიმად მომწურავი მესეფი,
სალოცავი ხე იყავი,
დაჩიავდი, გვიმარა?!
მუხლი რისთვის გელუნვის,
კოლხურ ჰანგის გამგონეს?!
შენ, რომელიც გეყუდნის,
იმ ქარებში ჩამკონე!
გაიხსენე ხარება,
დილების გამყარება,
ვიკმარისოთ მთქნარება,
უსულგულო, გვიმარა!
ჭრილობიდან სისხლი მოგდის ტბორებად?
ძველ დიდების ლანდიღა იზმორება?!
კვდომა ისევ ყოფით აიშორება,
უსულგულო, გვიმარა!
შენ თეთრონი ბუერები გაგიცრია,
შენ ენგურის კვნესა გულში ჩაგიწნია,
შენ კოჭამდე ნაკადული ჩაგიცვია,
შენ ხელები მთიებამდე აგიწვდია.
ვინც ცამ დაგაწინარა,
თქვი, რამ დაგამძინარა?!
გაიღვიძე, შემოგევლე,
თორემ გამოგვივა რა!
ვით სულს ესატკივარა,
ვით სულს ესამძიმარა,
წამოდექი, წამოფრინდი,
წამოხეთქე, გვიმარა!
1990





პროექტ „გვიმარას“
თანამოსაგრეთა ჯგუფი







## 4. პროექტის შესრულება და განრიგი

**(თანამოსაგრეთა არასრული მოზაიკა)**

**გიული ალასანია** — პრეზიდენტი ასოციაცისა ,,ქართული კულტურა საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ'', პროფესორი;

**თამაზ ბუთხუზი** — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

**ლაშა გვასალია** — მწერალი, საქართველოს პრეზიდენტის ადმინის ტრა ციის ეროვნებათა შორის ურთიერთობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამსახურის თანამშრომელი;

**გია გვიჩია** — ბიზნესმენი, ფირმა ,,სტეპან რაზინის'' პრეზიდენტი;

**გიორგი დოლიძე** — თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების პრეზიდენტი, პროფესორი;

**ვაჟა თორდია** — ს ს ,,თბილავიამშენის'' სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;

**ფრიდონ თოდუა** — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სამედიცინო რადიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი;

**ალექსანდრე ლომაია** — საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;

**დავით ლორთქიფანიძე** — ანთროპოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის დირექტორი;

**ვახტანგ მიშველია** — ბიზნესმენი;

**ლევან მებონია** — ,,ენგურჰესის'' დირექტორი;

**გური ოტობაია** — მწერალი;

**რომან ტიკაძე** — თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემიის კოორდინატორი;

**გიორგი ფარულავა** — ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სპორტის აკადემიის ზუგდიდის ფილიალის დირექტორი;

**ჯემალ წურწუმია** — ბიზნესმენი;

**ჯონი ჭანია** — ,,ენგურჰესის'' თაღოვანი კაშხლის დირექტორი;

**ლადო ჭიპაშვილი** — საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;

**გულიკო ხარჩილავა** — ბიზნესმენი;

**ნინო ხარჩილავა** — სტუდენტი.*

---

* იბეჭდება შემოკლებით. სრულად იხ. „კირბისი“ 1, 2, 2005; პროექტის განსახორციელებლად წარმოდგენილი საზოგადოება ავტორისეულია. შემადგენლობის საბოლოო დაზუსტების შემდეგ საინიციატივო ჯგუფი დაასახელებს სამეთვალყურეო საბჭოს და პროექტის შემსრულებლებს რეგიონში.








26 3:54AM







# ფენომენური ნიჭის მოზარდი თაობის დალბენის მეთოდი

პიროვნება ათწლეულობით წასწევს ხოლმე საზოგადოებას, ხოლო ასეთი პიროვნებების გუნდი, იგივე მატრიცა — საუკუნეებით. ტალახში ჩაფლულ რუსეთს ევროპულ ფასეულობებს აზიარებს პეტრე დიდი. იგივეს მოიმოქმედებს ათა თურქი, მაგრამ ჰომეინი უკან მოაჩოჩიალებს ირანს. ხოლო ჰიტლერი რა სიკეთეს დაათენებს გოეთეს გერმანიას, გამოცდილია 50 მილიონი ზვარაკეულით.

მატრიცის შექმნის თაობაზე ბევრს მსჯელობს ბატონი თამაზ ბუთხუზი წიგნში „გაახელ თვალებს — იქნება გვიან“, მაგრამ იქ წამოწეულ პრობოლემებთან ჩვენი მიდგომები განსხვავებულია. უკეთ ზრდასრული ადამიანებისგან გამორჩევით ჩვენ მოზარდ თაობაზე ვამახვილებთ ყურადღებას და უხერხულებას სრულებით არა ვგრძნობთ, როცა საჩვენო ტვირთის ახალგაზრდა თაობას გადავულოცავთ. თურმე საკმარისი არ არის ქვეყნის გარდაქმნაზე შიშველი ცოდნის ქონა, არც — ცარიელი ენთუზიაზმი, თუკი იგი რწმენაში არ არის გადაზრდილი. .მაშ, ასე, მოზარდი თაობის მოყვანა ქვეყანაში გლობალური რეფორმების ჩასატარებლად, ობიექტური რეალობებითაა ნაკარნახევი და იგი პროექტის საკვანძო კონცეფციას წარმოადგენს.

დიდი აფეთქებიდან მოყოლებული სამყარო 12-13 მილიარდი წლისაა. ადამიანის არსებობა დროის ამ კოლოსალურ მონაკვეთში დაახლოებით 1-2 მილიონ წელს მოითვლის, ხოლო„ჰომო საპიენსი“— 60-50 ათას წელიწადს.

ჩამოვა ხიდან მაიმუნის ერთ-ერთი შტო, , ვეგეტერიანობას მოიშლის, ხორცის ჭამას მიჰყოფს ხელს და სწრაფადაც დაწინაურდება დროსა და სივრცეშიც

კანიბალიზმს უამრავი პოპულაცია მისდევს: ღორი, ნიანგი და ა.შ., მაგრამ მხოლოდ ადამიანი ეზიარება საკუთარი თავის შეცნობის რეალობას, ვინაიდან ორ ფეხზე მდგომელი არსება გახდება — „ჰომო ერექტიკუსი“. ეს მომენტი განსაკუთრებულია ამ სახეობისათვის, ფეხზე დგომა უამრავ პოპულაციას ემარჯვება: დათვს, მაიმუნს, კენგურუს და ვინ მოსთვლის, თუმცა ბორბლის შეკვრა არავის ძალუძს.

„ჰომო საპიენსი“ თავის თავს მზის შვილად აცხადებს, სინათლის ნაფოტად (მზე დედაა ჩემი) და ამას ნათლად მეტყველებენ მის მიერ შექმნილი ცივილიზაციების წყება შუმერებში, ეგვიპტეში, მაიაში, კოლხეთში... და წარმოიდგინეთ, ყველაფრის საწყისი ეზოტერიკულად, საკრალურად, ქარაგმულად ჩვენი გაგებით სამკუთხედია: თიხის ფირფიტებში სამწერლობო ერთეული — მარცვალი; პირამიდებში ამ გეომეტრიული სხეულის წიბო; ოქროს საწმისებში — კირბებში — სამკუთხა ქვის ფირფიტები კანონთა სამეტყველოდ.

თავად სამკუთხედი მზის შუქის ნაკადის გრაფიკული გამოხატულებაა. 6 ასეთი სამკუთხედის ერთი წერტილში თავმოყრა გვაძლევს სექსტოგრამას — წესიერ ექვსკუთხედს. ხოლო 2 ამნაირი სამკუთხედის შეპირაპირება გვანიჭებს დავითის ვარსკვლავს. ანუ მზის კულტის მიერ შექმნილი ადამიანი, როდესაც მიწიერ კულტურაში გარდასიახება და აირეკლება შემოქმედის მიმართულებით, სავსების ფორმულას მივიღებთ.
აბა, კარგად გავიხსენოთ სახარება, როცა აღმოსავლელ მოგვებს ვარსკვლავი მიუძღვით ჩვილი იესოსკენ. დიახაც, ამ ვარსკვლავის მეშვეობით იპოვიან ისინი ქალწული მარიამის მკერდზე მოკალათებულ ნორჩ მეუფეს ჩვენსას. მაგრამ საკითხში ჩახედულ ადამიანს ამ ვარსკვლავის გარეშეც ჩინებულად შეუძლია თვალის ერთი შევლებით ამოიცნოს პოტენციურად გენიოსი ათასებიდან, მით უფრო თუკი მადონას მკერდს ფუნჩულაფეხიანი პირმშო მიკვრია. რენესანსის მხატვრები და სკულპტორები დიდ ყურადღებას მიაპყრობენ ადამიანის სხეულის პარამეტრებს, განსაკუთ რებულს და კანონზომიერს. აქ სანიმუშოდ გამოდგება მიქელანჯელოს „მოსე“, „დავითი“; ჯოტოს „იუდას ამბორი“ და სხვ.
ადამიანი, როგორც ასეთი, არა სიმეტრიული ბიოლოგიური არსებაა. მას მარჯვენა კიდური რამდენიმე სანტიმეტრით მეტი აქვს მარცხენასთან შედარებით. ეს ყველაფერი მისი ცხოვრების რიტმის შედეგია, რომ იგი ზედმიწევნით ბუნების პროდუქტია, მზის სისტემის კანონ ზომიერების ანარეკლი, რადგანაც ჩვენს გალაქტიკაში ძირითადად ყველაფერი მარჯვნიდან მარცხნივ მოძრაობს.
მაგრამ ადამიანი ასიმეტრიულია შინაგანადაც, რაც განსაკუთრებით მის კიდურებშია აღბეჭდილი. ადამიანის შინაგანი მუხტის ფსიქოლოგიური ცენტრი ზედა კიდურების მიხედვით შუა თითზე გადის, ხოლო ქვედა კიდურების შესაბამისად ცერის მომდევნო თითზე. ანუ მარტივად თუ ვიტყვით ხელის ორგანოებთან შედარებით ფეხის ორგანოები საგრძნობლადაა ჩამორჩენილი სრულყოფის პროცესს და ადამიანი თავისი აღნაგობით ადასტურებს პროპორციას 3 : 4-თან. თუმცა ეს ნაკლული თანაფარდობაც ყველა ინდივიდისთვის როდია ნიშანდობლივი.
ხელის თითის მიხედვით კაცობრიობის 99 პროცენტი მსგავსია, ვინაიდან ხ ელი — როგორც გარეთ გამოსული ტვინი (კანტი) გაცილებით ადრეა ჩართული გაადამიანების პროცესში, ხოლო ფეხი: როგორც საყრდენი ორგანო მოკლებულია ამ ფუფუნებას და რამდენიმე ათასწლეულით იმიჯნება მათი ბუნება. თუმცა ფეხის ტერფის იდეალური აღნაგობა ბერძნულს შეესაბამება, სადაც ცერის მომდევნო თითია დაწინაურებული და ასეთი ტერფი ყოველი 10 ეგზემპლარიდან მხოლოდ ერთს გააჩნია ჩვენეული სტატისტიკით.
ადამიანს, რომელსაც ხელის შუა თითი — მესამე და ფეხის მეოთხე თითი დაწინაურებული გააჩნია, იდეალურია სადღეისო მონაცემებით. ეს პირველი ნიშანი..
ამასთან „ჰომო საპიენსისათვის“ განუზომელი მნიშვნელდობისაა თავის

ქალის აგებულება. ანთროპოლოგები განარჩევენ სამი ფორმის თავის ქალას — დოლიქოკეფალიურს (გრძელთავიანი), მეზოკრაინულს (საშუალო) და ბრაქკოკეფალურს (მოკლეთავიანს). თითეული ფორმა ამ აღნაგობათაგან მისაღებია ჩვენეული მიდგომებით, მაგრამ მაინც შუალედურს ვამჯობინებთ, რაც ჩვენს მიერ მოკვლეული ყოველი 100 ტიპიდან 30 მოეპოვება.

შუბლის თაღი რენესანსის მხატვრების მიხედვით (ჯოტო) ქრისტეს აქვს 90 გრადუსი. ამ ციფრს ანთროპო- ლოგები აზუსტებენ შემდეგნაირად: ადამიანის თავის ქალას აბსტრაქტულად ათავსებენ კოორდინატთა სისტემაში, სადაც ყურის ნახვრეტი იქს-ღერძზეა განთავსებული. ხოლო იგრეკ-ღერძის გადაკვეთა შუბლის უმაღლესი წერტილია. სადღეისო მონაცემებით კაცობრიობის უმეტესი ნაწილისათვის დამახასიათებელია 78-76 გრადუსიანი შუბლი (კაცი, ქალი). ხოლო 90-გრადუსიანი ინდივიდი ყოველი 1000 ეგზემპლარიდან ერთია. ამისი უმთავრესი მიზეზია ჩვილის გაჩენა, შობა.

შორეულ წარსულში მდედრი ფეხზე რომ წამოიმართება, მას გავა დაუვიწროვდა და ბავშვის გაჩენა პრობლემური შეექმნა. ცხოველთა სამყარო ჩვილებს არსებობისათვის სრულიად შემზადებულს აჩენს, როცა ადამიანის ნაშიერი აბსოლუტურად უმწეოა.

ანთროპოლოგები აკვირდებოდნენ შიმპანზისა და ადამიანის პირმშოებს და დაბეჯითებით ადასტურებენ, რომ 2 წლის მაიმუნს შეესაბამება ადამიანის 20 წლის ნაშიერი მორფო-ფიზიოლოგიური ასპექტით. ადამიანის შთამომავალს ამიტომაც ეხურება ყიფლიბანდი გაჩენიდან 1,5 წლის შემდეგ. რაქიტიანებში ეს მაჩვენებელი გაორმაგებულია. მაგრამ ბუნება კომპრომისს უშვებს ფეხზე წამომართული ადამიანის მიმართ და შეაფერხებს მისი ძვლოვანი სისტემის ჩამოყალიბებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ორივე დაიღუპებოდა — დედაც და ნაყოფიც, ვინაიდან მსხვილთავიანი პატარა ვერ გამოეტეოდა დედის დავიწროვებული წიაღიდან. ჰოდა, დაუშვებს ბუნება კომპრომისს ჩვილის მოვლინების გზაზე, თუმცა გნებავთ რაფინირებულ ად მოვლენილ გენოტიპს დეფორმაციები უამრავი ელობება წინ საბოლოო ჩამოყალიბებებამდე: კვება, გარემო, საქმიანობა, ოჯახის შექმნა (შეჯვარება წყვილებს შორის ხდება სიყვარულით და კიდევ — მატერიალური ინტერესებით, სადაც აბსოლუტურად იგნორირებულია ინდივიდების ანთროპოლოგიური მონაცემები), ანუ დედამიწის ზურგზე არავინაა იმდენად „დაჩაგრული", როგორც გენიოსის თვისებების მატარებელი გენოტიპი. ახლა რამდენს არა აქვს გაცნობიერებული თავისი უნარები; რამდენს არ მოაკითხავენ აღმოსავლელი მოგვები; რამდენი ვერ შეისწავლის ჭეშმარი ტების ანაბანას და ისინი ფაქტობრივა დ ეგზემპლარებამდე უნარჩუნდება მსოფლიოს და გამოდის რომ კაცობრიობა თითო-ოროლა ფენომენის ძალისხმევით მიიწევს წინ არსებობისათვის ბრძოლის ჟინით შეპყრობილ მსოფლიოში. ე.ი, გვყავს გენოტიპი, რომელსაც წინა კიდურების მესამე და ქვედა კიდურების მეოთხე თითები დანარჩენთან შედარებით

დაწინაურებული აქვს. ამასთანავე ამ გენოტიპის შუბლის მაჩვენებელი 90 გრადუსს უახლოვდება, მაგრამ ხომ არ ვიცით მისი შინაგანი წყობა? რა მასალაა ჩაღვრილი ამ რაფინირებულ ხორცის ჭურჭელში?! აქ გამოგვადგება კრიმინალისტიკაში ფრიად მიღებული თითის ანაბეჭდის პრაქტიკა, რაც სამი აღნაგობის მოეპოვება „ჰომო საპიენსს" — „მაგნიტური", „წრიული" და „ტალღოვანი." ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებს „წრიული". წრედი შეიკრა: ბერძნულ ტერფიან პიროვნებას, რომელსაც შუბლის მაჩვენებელი 90 გრადუსს მიახლოებია და კიდევ — თითის ანაბეჭდები „წრიული" მოეპოვება, ანთროპოლოგიურად სრულყოფილია ინდივიდია.

ფუტკარი მწერებს შორის კონგენიალურია. სკა თავად ქმნის დედებს, რომლებიც 30 წლის მანძილზე ამარაგებენ ოჯახს ახალ-ახალი თაობით. ფუტკრის უჯრედი რაფინირებული სექსტაგონია, წესიერი ექვსკუთხედი. აღმოჩნდა, რომ ადამიანის ტვინის ნეირონებიც ამისთანა აგებულებისაა. სექსტაგონი წვეროთი ერთ წერტილში თავმოყრილი ექვსი ტოლგვერდა სამკუთხედის ჯამია. სამყაროს 6 დღე-ღამეში (დღეი ვითარცა წელი ათასი) შექმნის ღმერთი; სამყაროში ყველა ფაზა ექვსგანზომილებიანია (პერიოდი ათწილადებში); ადამიანის ტვინის ნეირონების ბადე სიქსტაგონთა ერთობლიობაა, მათი მეშვეობით ხორციელდება პიროვნების სინქრონიზაცია და სხეულის ნებისმიერი უჯრედის მომენტალური შეგრძნობა. კაცობრიობის მიზანია სამყაროც ამდაგვარად სინქრონიზებული გახადოს, რათა წამში შევძლოთ უშორესი გალაქტიკების აღქმა. 6 ტომარაში უდიერად ჩაყრილი ნივთები გენიოსის ხელში ერთშიც ჩინებულად თავსდება, ანუ გენიოსი არის ზედმიწევნით მოწესრიგებული ინდივიდი. და როდესაც 600-700 იშვიათი უნარების ბავშვი გააცნობიერებს მათ წინაშე წამოჭრილ პრობლემებს სამშობლოს სიყვარულისა და კაცობრიული ფასეულობების ურთიერთშეხამების აუცილებლობაზე, ანუ გახდება პალადინი — სახელმწიფო ინტერესების დამცველი კაცი, ყველა პრობლემა უმალესად მოგვარდება, არა მხოლოდ საქართველოში. და წინდებული პროექტიც, რაც უფრო მალე შეიძენს მასშტაბურ ხასიათს, მით უფრო ჩქარა მოვაგვარებთ ურთიერთგამომრიცხავ დაპირისპირებებს ნებისმიერი ასპექტით; მით უფრო მივუახლოვდებით იოანე ზოსიმეს წინასწარმეტყველებას: „ყოველი ენა (ტომი) განიკითხოს (გასამართლდეს, ანუ განიწმინდოს, აღსდგეს ფერფლიდან ფენიქსივით) ამითა ენითა" (ტომით, ეთნოსით, ე.ი. ქართველებით).

პრაგმატული მოსაზრებებით, გნებავთ, ბიზნესის ინტერესებიდან გამომდინარე, პროექტის 70 პროცენტს გარკვეულ დრომდე საგულდაგულოდ ვასაიდუმლოებთ. ესენია: საყლაპავი მილის, ხორხის პრობლემა; ინიონის, „თურქული კეხის" როლი ფენომენის მოძიების გზაზე; წინა ჯირკვალთან, პროსტატასთან დაკავშირებული ნიუანსები; სუნთქვის თავისებურებებანი; კვების, ფიზიკური ვარჯიშების თუ სხვა... და კიდევ, ის მეთოდიკა, რომლითაც განგვიზრახავს ფენომენი ხალხის დაკვალიანება.

რომან ტიკაძე

# თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემია



თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემია დაფუძნდა 1993 წელს, თბილისის გარეუბანში, მუხიანის დასახლებაში. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც საქართველოში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, როცა ძმა ძმას დაერია, დები კი იმაზე კამათობდნენ, დემოკრა ტია სჯობია თუ პატრიოტიზმიო.

სამაჩაბლოში ომი მძვინვარებს, მალე ომის ხანძარი აფხაზეთსაც გადაედო. დაინგრა ქვეყნის ეკონომიკა, დაეცა ზნეობა. ბევრმა ამღვრეულ წყალში მილიონები დაიჭირა. შიმშილი და შიში მძვინვარებდა ქვეყანაში. ყველაზე მეტად სკოლები დაზარალდნენ. არნახული სიჩქარით დაიწყო საგანმანათლებლო დაწესებულებების ნგრევა. პირველ რიგში ეს სკოლის ავტორიტეტის დაცემას დაეტყო. შეიცვალა იდეოლოგია. სკოლა კი კვლავ საბჭოური მეთოდებით მუშაობდა. ახალი სიტყვის მთქმელი განათლების სისტემაში არავინ იყო. სახელმწიფოს სკოლისთვის არ ეცალა. ვარდნა იმდენად თვალნათელი შეიქნა, რომ განათლების მესვეურებმა, სკოლის მუშაკებმა ყველამ დაიწყო ფიქრი გამოსავალზე: ზოგი დაწყებითი სკოლების ცალკე გამოყოფას მოითხოვდა, ზოგი არასრული საშუალო სკოლების გაერთიანებასა და გიმნაზიების ჩამოყალიბებას. არც სწავლებაში ახალი საგნების შემოტანამ უშველა საქმეს. როცა დავრწმუნ დით, რომ საბჭოური სწავლების სისტემის ცალკეული რგოლების განახლება, თუნდაც კაპიტალური რემონ- ტი, ვერანაირ შედეგს მოგვცემდა, მუშაობა დავიწყეთ საავტორო სკოლის კონცეფციაზე, რომელიც საბოლოოდ დამოუკიდებელი, კერძო სკოლის დაფუძნებით დამთავრდა.

მე ამ დროს თბილისის 174-ე საშუალო სკოლის დირექტორი ვიყავი. საშუალება მქონდა ამავე სკოლაში დამეფუძნებინა განათლების ახალი კერა, მაგრამ მაშინვე მიუღებლად მივიჩნიე კერძო და სახელმწიფო სკოლების ერთ ჭერქვეშ არსებობა და საბაზოდ ბაგა-ბაღისშენობა შევარჩიე. სწორადაც მოვიქეცი — დასაწყისშივე აღვკვეთე კერძო სკოლის სახელ- მწიფო სექტორთან რაიმე კავშირი, რითაც კურსი ავიღე სრული დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობისკენ — ბიბლიური გამოცდი- ლებით ხომ ახალ ღვინოებს ახალ ტიკებში ასხამენ?!

საავტორო, კერძო სკოლის მაშინდელ კონცეფციაში შავით თეთრზე ეწერა საბჭოური სწავლებისმარყუჟებისგან განთავისუფლების... თავისუფლად მოაზროვნე ახალგაზრდობის აღზრდა, მასწავლებლებისათვის შემოქმედებითი პედაგოგიური აზროვნების ჩამოყალიბებაში ხელშეწყობა, ახალი საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლისათვის ახალგაზრდობის მომზადება; ახალი ალტერნატიული სახელ- მძღვანელოების მოძიება თუ შექმნა და ა.შ.

ამ დროისათვის ჩვენი უმთავრესი ამოცანა გახლდათ დაგვემტკიცებინა საზოგადოებისათვის და პირველ რიგში ჩვენი თავისათვის, რომ თუ ჭეშმა- რიტი პედაგოგები მოინდომებენ ასეთ ურთულეს დროშიც კი შესაძლებელია მომავალი თაობის თანა- მედროვე მოთხოვნათა დონეზე აღსაზრდელად ახალი ტიპის სკოლის შექმნა.

გარს შემოვიკრიბეთ თანამოაზრენი და ჭეშმარიტ მუშაობას მოწყურებული პროფესიონალი პედაგოგი. ჩვენთან ერთად პედაგოგიურ მოღვაწეობაში ჩაება ათამდე პროფესორი, ამდენივე დოცენტი. ახალ ხილს მოწყურებული საზოგადოება ინტერესით მოგვაწყდა. პირველსავე წელს ორასზე მეტი მოსწავლე ჩავრიცხეთ სკოლაში. თავიდან ყოველგვარი შერჩევის გარეშე ვიმუშავეთ. შემდეგ ჩვენი კერძო სასკოლო სტანდარტები შემოვიღეთ და ვთქვით: ჩვენი მიზანია ნიჭიერი მოზარდების და იმედის მომცემი ახალგაზრდების შემოკრება, ვისაც სურს და შეუძლია დაძლიოს სასწავლებლის სპეცპროგრამები.

წლის ბოლოს ჩავატარეთ მოსწავლეთა ატესტაცია და სკოლაში დავტოვეთ მხოლოდ ის აღსაზრდელები, რომლებიც აქტიურად ჩაებნენ ახალი სკოლის სასწავლო აღმზრდელობით ფერხულში.

ჩვენმა ასეთმა ნაბიჯმა დიდი ავტორი- ტეტი მოგვიპოვა. ყველა მიხვდა, რომ კერძო სკოლის მიზანი ფულის მოხვეჭა როდი იყო. იგი პირველ რიგში ავტორიტეტის მოპოვებისა და მოსწავლე- თათვის ჭეშმარიტი ცოდნის მიცემისათვის იბრძოდა. კიდევ უფრო მეტი მოსწავლეები შემოგვემატნენ. ჩვენმა 12-წლიანმა პრაქტიკამ დაგვანახა, **რომ როგორც კი ერთ მიკროკლიმატში მოიყრის თავს ნიჭიერი და იმედისმომცემი მოსწავლეები, მათი სასწავლო და აღმზრდელობითი და შემოქმედებითი აქტივობა განსაცვიფრებლად მატულობს**. ასეთ შემთხვევაში აღსაზრდელი მაგალითს კარგი ამხანაგებისგან იღებს. მას ხელისშემშლელი და ლაზღანდარა თანაკლასელი გვერდით არ ჰყავს. ამისთანა მოსწავლეებთან მუშაობა ნებისმიერი პედაგოგისათვის საოცნებო და სახალისოა. წარსულის ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ ერთ კლასში თავმოყრილი გვყავდა სხვადასხვა შესაძლებლობის, ნიჭის, მონდომების, უნარ-ჩვევებისა და მიდრეკილების 40-ზე მეტი ილსწავლე, და უფრო მეტი ცდომილება: ყველასგან ერთნაირად მოვითხოვდით მეცნიერების საფუძვლების შესწავლას. შეიძლება ეს ზოგიერთს დღესაც პიროვნების სოლიალური დაცვის გარანტად მიაჩნია, მაგრამ მოსწავლეთა გათანაბრების ასეთმა პრაქტიკამ სავალალო შედეგი რომ მოგვცა, მასობრივ სკოლებში, დღევანდელი სწავლების შედეგებიც მიგვანიშნებს. ჩვენ ამას კლასებში მოსწავლეთა რაოდენობის მკვეთრი შემცირება, თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობა, სრული გამჭვირვალობა და შინაგანი სიმართლე დავუპირისპირეთ. იმის გამო, რომ მოსწავლეთა აზროვნების განვითარება კამათში ყალიბდება, შევქმენით დებატების კლუბები მეოცხე კლასიდან. შემოვიღეთ მეტყველების კულტურის გაკვეთილები. მოსწავლეთა აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოსაყალიბებების მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვით- მმართველობა, რომელიც სასკოლო პარლამენტის მეშვეობით ხორციელდება. იგი მათმიერვე მიღებული მოსწავლეთა კანონებითა და სასწავლებლის შინა განაწესის საფუძველზე მართავს აღსაზრდელთა სასკოლო ცხოვრებას. მოსწავლეთა კანონებს იღებს სასკოლო პარლამენტის კანონშემოქმედებითი კომისია. ხოლო კანონების აღსრულებაზე კონტროლის ფუნქციას სკოლის მოსწავლეებითვე დაკომპლექ ტებული აღმსრულებელი სტრუტიურა — დეპარტამენტები ასრულებენ. (მაგ.: ბავშვთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი, ან სპორტისა და თავდაცვის ლდეპარტამენტი და სხვ...) ამ გზით ბავშვები ეცნობიან თანამედროვე ცხოვრების წესებს, რაც საინტერესოა და აქტიურს ხდის მათ ცხოვრებას. ეს არის საიმედო პლაცდარი ბავშვობიდან ზრდასრულ- ობაში გადასასვლელად.

ყველაზე მთავარი ყურადღება სკოლაში ექცევა სწავლებისა და სწავლისხარისხს. იმისათვის, რომ დავაინტერესოთ და სწორად ვასწავლოთ საჭიროა მასწავლებელი თვითონ იყოს მზად ყოველივესთვის. განათლების ახალმა კანონმა ნათლად გამოკვეთა თანამედროვე მასწავლებლის ფუნქცია სკოლაში, რომლის უმთავრეს მიზანს მოსწავლეთათვის თანამედროვე ხარისხის განათლების მიცმა წარმოადგენს. ამ მიზნით სკოლაში 8 წელია რაც ფუნქციონირებს სასწავლო აღმზრდელობითი პროცესების მართვის ცენტრი. აქ მუშაობენ გამოც დილი ადამიანები: შალვა ფირცხალავა, ლენა გიორგბელიძე და ფსიქოლოგი ნ. ზენაიშვილი.

ცენტრთან არსებობს პედაგოგიური რესურსების უზრუნველჰოფის ცენტრი, სადაც გაერთიანებულია ყველა პედაგოგი. შექმნილია საგნობრივი კათედრები, რომლებიც საკუთრივ შეიმუშავებენ სამუშაო გეგმებს.

მუშაობის ძირითადი ამოცანაა:

— განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების ძირითადი მიმართულებების მასწავლებლებამდე დაყვანა და ცხოვრებაში გატარება;

— განათლების შესახებ კანონის გაცნობიერ- ებდა და მისი მოთხოვნების შესრუ ლება.

გამომდინარე ზემოთქმულიდან ჩვენ მჭიდრო კავშირი დავამყარეთ განათლების სამინისტროს სარეფორმო ჯგუფთან და მოვზიდეთ საამისო რესურსები. აქტიური სწავლების მეთო დების სახელმძღვანელო, სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები (I ეტაპი), საგანმანათლებლო რესურსების ეფექტიანი გამოყენება (II ეტაპი), გამოცდილების გაზიარება. სკოლები მუშაობენ ერთად, მასწავლებელთა თანამშრომლობა და ა.შ.

სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესების მართვის ცენტრი და საგნობრივი კათედრები საჭირო ყურადღებას უთმობენ მეცადინეობის დაწყებისათვის ორგანიზებულად მომზადებას. ერთხელ კიდევ გადახედავენ და მასწავლებლებამდე დაიყვანენ პროგრამებს თითოეულ საგნებში, სასწავლო გეგმაში ცვლილებებს და რეკომენდებულ სახელმძღვანელოთა ნუსხას. თითოეული მასწავლებელი დეტალურად გაეცნობა ხელშეკრულების პირობებს და იწყება სასწავლო პროცესი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თითოეული მასწავლებლის მზადბოფნას გაკვეთილისათვის. იწყება გაკვეთილების მოსმენები. მოსმენები იწყება არა შემოწმების ეგიდით, რაც არასასიამოვნოა ნეყისმიერი პედაგოგისათვის, რომელიც დიკომფორტს უქმნის მათ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ დახმარების, დაკვირვების მიზნით. ამას ჯერ ტრენინგგავლილი მასწავლებლები და ცენტრის თანამშრომლები აკეთებენ, ხოლო შემდეგ რიგითი მასწალვბლებიც.

ეს ხდება ორი ფორმით: ერთი შედარებით გამოცდილი პედაგოგის დახმარება ნაკლებად გამოცდილ მასწავლებელზე — უნარ ჩვევების გაუმჯობესების მიზნით, მეორე — ე.წ. კრიტიკული მეგობარი. ამ დროს დამსწრე აანალიზებს საკუთარ პრაქტიკას და სახავს ახალ ღონისძიებას. ურთიერთდასწრების დროს ისინი ერთმანეთს უზიარებენ შთაბეჭდილებებს, ერთად გეგმავენ მომავალ გაკვეთილს, ანალიზის დროს უამრავი კითხვა ებადებათ ახალი მიდგომებით რომ ჩაატარონ გაკვეთილი. მათ შორის ყველაზე აქტუალურია მასწავლებლისა და მოსწავლის შორის ურთიერთობის რეალობა, საგაკვეთილო დისციპლინა, მიწოდებულ იმ მასალის ცოდნა, მოტივა- ცია, ჯგუფური მუშაობა და სხვა მრავალი...

ეს და სხვა აქტუალური საკითხები იხილება მეთოდური საბოჭ სხდომაზე, სადაც ანალიზის შემდეგ 10-15 წუთი ეთმობა სემინარულ ი ნფორმაციას მორიგი- სიახლის შესახებ. ამასთან ტარდება საჩვენე-

ბელი გაკვეთილები, რომელთა ანალიზის დროს ყურა- დღ ება ექცნევა შემდეგ კრიტერიუმებს:

გაკვეთილის დაგეგმვა და მომზადება;

მიზნების შესაბამისობა და მოსალოდნელი შედეგი;

ურთიერთობა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, მოსწავლეთა ურთიერთობა ერთმანეთთან, და თავად მოსწავლეებს შორის; მასწავლებლის როლი (ქცევა, ხმა, ჩარევის ფორმა), მოსწავლის როლი (ქცეავა, ჩართვა გაკვეთილზე) საგაკვეთილო მასალის მიწოდება, კავშირი ნასწავლ მასალასთან კითხვებისა და სავარჯიშოების მრავალფეროვნებით;

იმ მოსწავლეთა ჩართულობა გაკვეთილის პროცესში

რესურსების გამოყენება.

ცენტრის თანამშრომელთა უშუალო ამოცა ნას შეადგენს მასწავლებელთა ცალკეულ ჯგუფებთან ტრეინინგის ჩატარება, მასწავლებელთა სამეცნიერო პრაქტიკულ თუ მეთოდურ კონფერენციაზე მთავარი ყურადღება ეთმობა თემატიკის აქტუალობას, კერძოდ, იგი შეეხება ეფექტიანი სწავლეკბისა და სწავლის ძირითად საკითხებს და არა რომელიმე მწერლის შემოქმედებას. მთავარი ისტორიის მოყოლა და შემოქმედებითი თხრობა კი არაა, არამედ როგორ ვასწავლოთ აქ ისტორიაც და შემოქმე- დებაც — ცხოვრებასთან კავშირიში.

სკოლა I-VI კლასებში მუშაობს დღის გახან- გრძლ ივებული ჯგუფეების რეჟიმით, სადაც კვალი- ფიციური პედაგოგები მოსწავლე ებს ეხმარებიან მომ- დევნო დღის გაკვეთილების მომზა- დებაში. გარდა მეცადინეობისა აქ თავისუფალ დროს ბავშვები ერთობიან, ეწევიან შემოქმედებით საქმიანობას და სადილობენ კიდეც.

კლასგარეშე და კლასგარეშე აღმზრდელო- ბითი მუშაობა ორგანული შემადგენელი ნაწილია იმ სასწავლო-საალმზრდელო მუშაობისა, რომელსაც მიზანმიმართულად წარმართავს სკოლა, რაც ძირი- თადად შესწავლილი თეორიული მასალის პრაქტი- კასთან კავშირს წარმოსახავს. ასე მაგალითად, როცა ამა თუ იმ ისტორიულ მასალას ვასწავლით, მოსწავლეები, შესაძლებლობის ფარგლებში, მიგვყავს ექსკურსიაზე იმ რეგიონში, სადაც ხდებოდა აღნიშნული ისტორიული მოვლენები. როცა რომელიმე მწერლის შემოქმედებას ვასწავლით, მოსწავლეები ამ მწერლის სახლმუზეუმში მიგვყავს და ასე შემდეგ. სხვადასხვა ისტორიული, გეოგრაფიული, სპორტული და კულტურული პროგრამების განხორციელების მიზნით ეწყობა სპეციალურიი ექსპედიციები კონკრეტული ამოცა- ნების შესწავლა-განმტკიცების და ზუსტი ინფორმი- რების მიზნით.

სკოლაში შემოვიღეთ მონიტორინგის ჟურნა- ლი (დღიური), რომელიც ასახავს მოსწავლის არა მარტო აკადემიური მოსწრების, არამედ თითოეული საგაკვე- თილო პროცესების დისციპლინის ხარისხს. ყველაზე მთავარი, რაც თბილისის ნიჭიერთა კერძლ სკოლა- აკადემიაში ხდება ის არის, რომ მოსწავლეთა და მშობელთა თვალებში დიდ ნდობასა და სიყვა- რულს ვხედავთ. ჩვენი პირველი შეკითხვა მშობელთა, პედა- გოგთა და მოსწავლეთა შეკრებებზე არის: ხომ არ გვაქვს რაიმე პრობლემა, მოსაზრება ამათუიმ საკითხზე:







თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ ამ პრობლემის გადაჭრა. და თუ პრობლემის გადაჭრის მათეული გზები არ ეწინააღმდეგება განათლების კანონს სკოლის შესახებ და მშობლებთან გაფორმებულ კონტრაქტს, დირექცია ყოველთვის ითვალისწინებს მათ მოსაზრებებს.

სკოლის უმთავრეს მიღწევად მიგვაჩნია ის რომ მოსწავლეებსა და მათ მშობლებში, მასწავლებლებში შევქმნათ განწყობა, განწყობა სწავლისა და სწავლებისათვის სხვა დანარჩენი ტექნიკის — პედაგოგიური მეთოდების სწორად გამოყენება.

## ფსიქოლოგიური სამსახური სკოლაში

როგორც აქამდეც დავინახეთ სწავლება და აღზრდა ურთულესი, მრავალმხრივი პროცესია და მისი სრულყოფა სხვა მრავალ ფაქტორს შორის არსებითად არის დაკავშირებული სასკოლო თუ ჩაოჯახო სიტუაციაში ასაკობრივ-პედაგოგიური ფსიქოლოგიის ცოდნის წარმატებით გამოყენებასთან.

აღსანიშნავია, რომ ასეთი ცოდნის პრაქტი- კული მიზნით გამოყენება ყოველთვის იყო მასწავ- ლებელთა და აღმზრდელთა ინტერესის საგანი.

ფსიქოლოგიური ცოდნის სასწავლო-პედაგოგიური პროცესის ეფექტიანობაში გარკვე ული წვლილის შეტანის მიზნით თბილისის ნიჭიერთა დამოუკიდებელ საშუ ალო სკოლა — „სასწავლო აკადემიაში" ფუნქციონირებს სკოლის ფსიქოლო-გიური სამსახური, რომლის ხელმძღვანელია ბატონ ნუგზარ ზენაიშვილი.

ფსიქოლოგიური სამსახური თავის საქმია- ნობაში ერთერთ მნიშვნელოვან მომენტად მიიჩნევს სკოლამდელთა სწავლისათვის მზადების შეფასების ტესტირების სისტემის შექმნას. ასეთმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს მოზადის მოტორული (საკუთარი მოძრაობების ფლობის), ინტელექტუალური შესაძ-ლებლობისა და სოციალურ-პიროვნული მომწიფებ-ულობის დონის ფსიქოლოგიური დახასიათება, რაც„ ხელმს შეუწყობს სკოლის პედაგოგებსა და აღმზრდე-ლებს მოსწავლეებთან სწორი, ინდივიდუ ალური და დიფერენცირებული ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავებაში.

ამასთანავე, „ფსიქოლოგიური სამსახური" სათანადო ყურადღებას უთმობს ე.წ. სადიაგნოს- ტიკო მუშაობას, რომლის უპირველესი ამოცანაა ფსიქოლოგიური ტესტებითა და კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევებით სკოლაში სწავლების სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეთა კოლექტივების ზოგადი სოციალურ-ფსიქოლოგი- ური პორტრეტის შექმნა. ამ გზით მოპოვებული მასალები ხელს უწყობს ასაკობრივი ჯგუფების ფასეულობითი ორიენტაციების დახასიათებას, მოსწავლეთა სასწავლო და შემოქმე-დებითი აქტივობის მოტივების ფიქსირებას, ხოლო ყოვნელივე ეს კი თავისებურად აისახება სწავლებისა და აღზრდის მიზანმიმართულად წარმართვის საქმეში.

აღნიშნულთან ერთად ფსიქოლოგიური სამსახურის ყურადღების ერთ-ერთი ძირითადი საგანია ფსიქოლოგის საკონსულტაციო მუშაობა, ე.ი. სწავლებისა და აღზრდის პროცესის მართვის ფსიქოლოგიურ საკითხებზე პედაგოგებთან და მშობლებთან საუბარი, მშობელთა პედაგოგიზაციის ამოცანის გადაჭრა, სკოლისა და ოჯახის თანამშრომ-ლობის სისტემის შექმნა.

ამ მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა შეუძლია სალექციო მუშაობასაც, რომლის თემა- ტიკა მიმდინარე წელს ასე განისაზღვრა:

სასწავლო-შემეცნებითი აქტივობის ამაღ- ლების ფსიქოლოგიური საკითხები;

ბავშვის ნებისყოფა და მისი აღზრდა;

გარდამავალი ასაკის ფსიქოლოგია;

სასკოლო ასაკის მოსწავლეთა სექსუალური აღზრდის პრობლემები;

მოსწალეთა სოციალური ქცევები;

ავტორიტეტის ადგილი და როლი პედაგოგის საქმიანობაში.

აღნიშნული ლექციები ცნობილი სპეციალის- ტების მონაწილეობით ჩატარდება პედაგოგებისათვის, მოსწალეთა მშობლებისათვის და განესაკუთრებულ შემთხვევებში თვით მოსწავლეებისთვისაც.

გარდა აღნიშნულისა, ფსიქოლოგიური სამსახ-ური მიზნად ისახავს მშობლებისა და პედაგოგე-ბისათვის პედაგოგიური და ასაკობრივი ფსიქოლო-გიის სფეროში დაგროვილი პრაქტიკული ფასეუ-ლობის მქონე მეცნიერული გამოკვლევების საფუძვლებზე ე.წ. წერილობითი რეკომენდაციების შემუშავებას. ასეთი წერილები მზადდება დროგა-მოშვებით, კონკრეტული მიზნითა და მრავლის-მთქმელი რუბრიკით: „რას გვირჩევენ ფსიქოლო- გები" და იბეჭდება ჩვენი სკოლის კედლის გაზეთში.

სკოლას გააჩნია საკუთარი კეთილმოწყობილი შენობა. კაბინეტები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური და აუდიო-ვიდეო აპარატურით, აქვს მდიდარი ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ცენტრი, თვალსაჩინოებისა და ტექნიკურ საშუალებათა კაბინეტები, კეთილმოწყობილი სპორტული და სააქტო დარბაზები, სასდილო, სამედიცინო კაბინეტი.

სკოლამ დღემდე გამოუშვა კურსდამთავრე-ბულთა ათი თაობა. ყოველწლიურად დაახლოებით 10 — 12 ახალგაზრდა ამთავრებს სკოლას. ათივე თაობის ყველა კურსდამთავრებული უდანაკლისოდ ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში. ხოლო მიმდინარე წელს სკოლა დაამთავრა 10 ახალგაზრდამ. ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 9 კურსდამთავ-რებულმა. ცხრავე ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელი, აქედან ორმა მიიღო სახელმწიფო გრანტი.

# ღვთიური სამება

1991 წლის აგვისტო-სექტემბრის პოლიტიკური დაპირისპირებულობის მოსალოდნელ შედეგებს სულშეძრული გამოვეხმაურები „რესპუბლიკის" ფურცლებიდან, რის გამოც გამჭოლ ქარში მოვხვდები იანვრის დამდეგს — ავტომატის ჯერით დაიცხრილება ჩემი ბავშვების საძინებელი ოთახი, მაგრამ რადგანაც საქართველოს ერთიანობა, მისი მომავალი გაცილებით მეტია, ვინემ თვითშენარჩუნების ინსტინქტით პირში წყლის დაგუბების განცდა; ვინაიდან გახლეჩილი ატომგულის თემაა დღეს დუტუ მეგრელის „პატარა ქართველის" მოტივები და ოდესღაც კრიალოსანივით ასხმული „ქართლ-კახეთი-იმერეთი-გურია და სამეგრელო" მამულის აუხდენელ ოცნებად ილანდება თვალსაწიერზე კვლავაც, ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენის ერთადერთ გარანტად ისევ შეკავშირება-თანადგომისათვის, ისევ შემრთლიანება-ჰარმონიისათვის ზრუნვა მესახება უმთავრეს სარბიელად, და რადგანაც სხვა საშველიც არსაიდან ჩანს, ზედაპირზე ამოტივტივებული კონფრონტაციის სავალალო რეზულტატებს კი არ გამოვედევნები, არამედ ჩვენი გათიშულობის უჩინარ, ქვეცნობიერ, თითქოსდა სრულიად უწყინარ მიზეზთაგანს — ლექსიკოგრაფიას, უწყინარს გარეგნულად, თორემ სინამდვილეში წინააღმდეგობებით სავსეს და ზოგ შემთხვევაში— დანაშაულებრივსაც კი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ უზარმაზარი, კოლოსალური შრომაა გაწეული. ლექსიკოგრაფიამ რამდენიმე თაობის უშრეტი ენერგია და ცინცხალი უნარი შეილია ჩვენში, მაგრამ გვარების ჩამოთვლას თავს ვარიდებ, ვინძლო, იქნებ ყველა ენათმეცნიერს ვერ მივაგო საკადრისი პატივი, იქნებ გამომრჩეს რომელიმე ნებსით თუ უნებლიეთ, ასე რომ, მირჩევნია ზოგადად განვაცხადო:

— საშვილიშვილო საქმეთა ერთ ბირთვად, ერთ თაველად შეკვრის მცდელობისათვის ჩემი მრავალგზისი თაყვანი თქვენ — დედაენის უანგარო მსახურო დევ-გმირნო-მეთქი, თუმცა ბარემ აქვე დავსძენდი: ლექსიკოგრაფია, სახელდობრ — ეტიმოლოგიური, განსაკუთრებით 1938 წლიდან დაანგრევს პარტიკულარიზმის უსახურ ჩარჩოებს; სწორედ აქედან ეზიარება იგი სინთეზური აზროვნების სიმაღლეებს. დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულა ამ წელს გამოცემული, არნ. ჩიქობავას „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი", რომელიც სრულიად ახალ ჰორიზონტებს გადაუშლის ქართველური ენების სპეციალისტებს კვლევა-ძიების მეთოდებისა და საშუალებების თვალსაზრისით.

ეს კეთილგონიერი ტენდენცია შემდგომში სწორხაზოვნებით ვერ დაიკვეხნის მაინცდამაინც. არის ჩავარდნები, ზედმეტი სვლები, ველოსიპედის გამოგონება თუ ამერიკის აღმოჩენა, მაგრამ აქა-იქ ისევ წამოტივტივდებიან ხოლმე ღირსეული მემკვიდრენი სულცხონებული მეცნიერისა, ვთქვათ, როგორებიც გახლავან გ. კლიმოვი („ქართველური ენების ეტიმოლოგიური ლექსიკონი", 1964) თუ თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი — („სონანატთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში", 1965);

ასევე დიდებულია არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხუთივე ტომი კრებულთა სერიალისა „ეტიმოლოგიური ძიებანი".

ფრიად საყურადღებოა ზ. სარჯველაძისა და ჰ. ფენრიხის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი", (1990);

ამას წინათ კი მზის შუქს იხილავს კ. დანელიასა და ა. ცანავას „ქართული ხალხური სიტყვიერება", (ტ. II, 1991), რომლებშიც თავმოყრილია ქართველური ენების პრობლემებით დაინტერესებული თითქმის ყველა სპეციალისტის დაკვირვება, მოსაზრება.

ზემოთდასახელებული პუბლიკაციები გარკვეული გაგებით წინ წასწევენ ჩვენს მიზანდასახულ სწრაფვას მითოსური დედაენის სათავეებისაკენ.

ჩვენს ხელთ არსებული ქართველური ენების, იგივე ქართლურის, მეგრულისა და სვანურის ეტიმოლოგიური ლექსიკონების წყალობით კვლავაც გამოვლენილია რამდენიმე ათასი საერთო ფუძე-არქეტიპი. მათი ურთიერთშეპირისპირების მეოხებით გაშიფრულია უამრავი ხელიხელსაგოგმანები დედა სიტყვა — ქართული სულისა და ცნობიერების უდასასრულო ოაზისი.

მე თავს ვერ ვიდებ, როგორც დღემდე გამოცემული, ისე წინდებული ლექსიკონების ღირსება-ნაკლოვანებათა თუნდაც მიახლოებითი ანალიზისათვის, ვინაიდან ეს ენათმეცნიერთა პრეროგატივაა, მხოლოდ იმას დავამატებ, რომ იმპერიულ ძალებს ხელს აძლევდათ ერთიანი ქართული სულის დანაწევრება-დაქუცმაცება ქართლურ-მეგრულ-სვანურ ელემენტებად, მაგრამ თავისუფალი მამულისათვის გაშლილი ერთპიროვნული ბრძოლა ოდესმე ხომ მაინც გადაიზრდება საყოველთაოში, რომელიც თანამიმდევრულად დაასამარებს მისი დაკნინება-დაღუპვის ნებისმიერ მცდელობას!

აბა, სხვანაირად როგორ აიხსნება ის კურიოზული ფაქტიც, რომ აქამდე ვერაფრით გამოქვეყნებულა პ. ჭირაიას „ქართულ-მეგრული და მეგრულ-ქართული ლექსიკონი", ავტორი ჯერ კიდევ 1918 წელს (!) უსასყიდლოდ რომ გადასცემს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ათწლეულობით „საიმედოდ" ინახებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის საცავებში?!

ველიკორუსული შოვინიზმის დაკრულზე მოცეკვავე ზოგ ხელმძღვანელ მუშაკს მაღალი ეშელონიდან დიახაც რომ ეჩოთირება საფუძვლიანი კვლევა-ძიება სვანურ-მეგრულისა, რათა ბნელს ნათელი არ მოჰფინოს, რათა დანაფლეთებულ მამულში არ აღორძინდეს ერთარსობის იდეა, იგივე სამსახოვანი ღვთაების — მამაღმერთის, ძე ღმერთისა და სულიწმინდის დარად, ქართლურ-მეგრულ-სვანურის უფლისეული, კოსმოგონიური ერთპიროვნულობა.

რაც შეეხება პარტიკულარულად მოაზროვნე ენათმეცნიერთა რიგს, მიაჩნდა და დღესაც ჰგონია, რომ მეგრულ-სვანურის პრობლემების მიჩქმალვა-მიფუჩეჩება ახლო მომავალში გამოიწვევს მათ თანდათანობით დეგრადაციას, ასიმილაციას, ქართიზაციას, და ბოლოს, ფიზიკურ სიკვდილს. სხვანაირად, მათი შეხედულებით, საუკუნეობით დაგროვილ სატკივართა გამომზეურებამ, შესაძლოა, უფრორე გააღვივოს წარსულში შიგადაშიგ თავწამოყოფილი სეპარატისტული განწყობილებანი.

არადა, დამალული ჭირის ავადსახსენებელი შედეგებიც ნათელია მცირეოდენ გონიერთათვის ზოგადეროვნულის საზიანოდ — განა სვანური-მეგრულის გილიოტინაზე გაყვანა და წარმართული დაზვარაკება გახდება ერთიანი, თავისუფალი სამშობლოს დედაენის დღეგრძელობისა და უკვდავების საწინდარი?! აბსურდია, სიბეცე, მოჭრილი ტოტის ანდაზის თემა!

გული მწყდება იმის გამოც, რომ ზოგი მეცნიერის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში, ქართლურის, მეგრულისა და სვანურის გვერდით ლაზურიც დამოუკიდებელ ერთეულადაა შერაცხული, რაც ჩემი ღრმა რწმენით, რეალობას ნაკლებად შეესაბამება. რამდენადმე ეწინააღმდეგება ქართველური ენების აკადემიურ, ტრადიციულ გაგებას, რომლის მიხედვით დამოუკიდებელ ფორმებად არის აღიარებული საკუთრივ ქართლური, სვანური და ზანური ანუ მეგრულ-ჭანური (ლაზური).

მეგრულ-ლაზურის ღვიძლ ძმობასა და ტყუპისცალობაში მთელს საქართველოს დაარწმუნებს თურქეთის საზღვრების გახსნა. მეგრელისა და ლაზის საუბრისათვის, მიუხედავად საუკუნოვანი უკონტაქტობისა, ბარიერი არ არსებობს. ხოლო თუ შედარებით ანალიზს მივმართავთ, აქ უკვე მეცნიერულადაც დასტურდება, რომ მეტი წილი მათი ლექსიკის აქტიური თუ პასიური მარაგისა, იდენტურია. გადახრები შესამჩნევია მხოლოდ დიალექტოლოგიის ფარგლებში. მეგრული და ლაზური გაცილებით ახლოს დგანან ერთმანეთთან, ვინემ ქართლური და მისი კილოკავი თუშური.

როგორც ზემოთ ვთქვი, გაკეთებულია დიდი მამულიშვილური საქმე. ეტიმოლოგიური ლექსიკონების გაცნობისას ხშირად, ნაწილების — ქართლურის, მეგრულისა და სვანურის შეჯერების გზით, საერთო წინაპრის, მთელის — პროტოიბერიულის იღბლიანი რეანიმაციის მოწმენი ვხდებით, მაგრამ დავაკონკრეტებ, რომ ლელო ჯერჯერობით მხოლოდ სანახევროდაა გატანილი. ვგულისხმობ ეტიმოლოგიური ლექსიკონების მომავალში არა ახალ-ახალი მასალით შემდგომ განვრცობა-გაღრმავების აუცილებლობას, არამედ, ქართველურ ენათა მსგავსების მხარდამხარ მათი განსხვავებულობის წარმოჩენა-განმარტებასაც, რაც მეგრულ-სვანურში განთესილი მარგალიტების ერთიან ლექსიკონში თავმოუყრელად ლამის წარმოუდგენელია.

ვერცხლის წყლის — სინდიყის თვისებაა: დაცემისას იგი მსგავს ბურთულაკებად განიბნევა ხოლმე, მაგრამ რუდუნებით თუ შევეცდებით დაფანტულის შეერთებას, დაქუცმაცებული აღსდგება, განსხეულდება ერთმთლიანში.

უხერხულ შედარებად თუ არ ჩამომერთმევა, დაახლოებით ამგვარია დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური, სოციალური თუ თვით ლინგვისტიკური ვითარებაც.

აქვე ორიოდე სიტყვით ტრიადის ბუნებასაც შევეხები. თავი რომ დავანებოთ შუმერულ სამე-

ბას — ქრისტიანული მოძღვრების პირველწყაროს — ტრიადა ჯერ კიდევ ანტიკური წიაღიდან (პლატონი, პროკლე), მოგვიანებით გერმანული კლასიკური ფილოსოფიიდან (ჰეგელი) იღებს სათავეს და გაიაზრება, როგორც ნებისმიერი მოვლენის, განვითარების სამეტაპიანი გზა, სადაც პირველი საფეხური — თეზა, საწყისი სტადიაა, იგი უეჭველად უნდა გადაიზარდოს მის აბსოლუტურ დაპირისპირებულობაში, უარყოფაში — ანტითეზაში და უკვე მესამე ფაზაში — სინთეზში, უნდა მოხდეს ორივეს შერწყმა, შეერთება პროგრესულისაკენ, დადებითისაკენ, სრულყოფისაკენ და ასე უსასრულოდ.

ქართულ აზროვნებას, ქართულ ფენომენს საერთოდ, ხსენებულ ჭრილში თუ განვიხილავთ, შევნიშნავთ, რომ სადღაც მესამე ათასწლეულში ზედმიწევნით განხორციელებულა ჩვენში სინთეზ — I, ასევე წარმატებით ვზიარებივართ სინთეზ — II-ს მეთორმეტე საუკუნეში და მართლაც, საქართველო, როგორც პირველ, ასე მეორე სინთეზის დროს მიაღწევს სულიერ ფასეულობათა ზენიტს, კვინტენსაციას.

მას აქეთ რა ხანია ვესწრაფით სინთეზ — III — იგივე ოცდათექვსმეტი თუ რვა საუკუნის წინანდელ საქართველოს, ოღონდ უფრო მაღალ რეგისტრში აყვანილს, უფრო გლობალურს, სიღრმისეულს. აბა, სხვა რა ჯადო-თილისმა ამოაკაშკაშებდა ,,ოდოია''-ს, ,,ლილეო''-ს, ,,კრიმან- ჭულს''? აბა, სხვა რა გენია შეთხზავდა ,,ოქროს საწმისისა'' და ღვიძლ დაკორტნილი ამირანის, პრომეთეს, იგივე არამხუტუს მითებს?! აბა, სხვა რა ძალა ჩამოაქანდაკებდა სწორუპოვარ ,,ვეფხისტყაოსანს''?! დიახ, სულ ცოტა ორგზის მაინც გაგვივლია ქართველებს სინთეზის, ანუ სულიერი წონასწორობის ფაზა, შეუთავსებლის შეთავსების ლაბორატორიული პროცესი — ტროასდროინდელ ეპოქასა თუ თამარის ზეობის ჟამს.

ესამე აღზევებაც უთუოდ მოაწევს ხვალ-ზეგ, მანამდე კი სამსახოვანი, სამ და ოცამდე დიალექტსა თუ კილო-კავზე აძრახებული, მაგრამ პოტენციაში ერთარსი საქართველოს ყოველდღიურობა გვიხმობს.

ჯერ კიდევ 1988 წლის ნოემბერში ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის გამოქვეყნებით შეძრული აღტკინებით ვწერ ,,ახალგაზრდა კომუნისტში'':

,,უპრეცენდენტო ამბები ტრიალებს საქართველოში, ჩვენც ლელთ ღუნიას სანუკვარ სიტყვებთან ვართ.

ახლა საკუთრივ ერთი წინადადება:

ალბათ, მართლები არ ვიქნებით, თუ განვაცხადებთ, რომ პროექტის გამოქვეყნებამდე ქართველი ენათმეცნიერები გულხელდაკრეფილები იყვნენო. არამც და არამც. ბევრი საშვილიშვილო საქმე დაძრულა ადგილიდან.

ეს განსაკუთრებით ლექსიკოგრაფიას შეეხება. სულხან-საბას ტრადიციები კვლავაც გრძელდება.

გამოცემულია ვ. ბერიძის ,,სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა'';

თ. ბეროზაშვილის, მ. მესხიშვილისა და ლ. ნოზაძის ,,ქართული დიალექტიკის ლექსიკონი'';

პ. გაჩეჩილაძის ,,იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა'';

ა. კობახიძის ,,რაჭული ლექსიკონი'';

ს. მენთეშაშვილის ,,ქიზიყური ლექსიკონი'';

ი. სიხარულიძის ,,სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა'';

დ. და ნ.ქადაგიძეების ,,წოვა-თუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი'';

ა. ღამბაშიძის ,,ინგილოური ლექსიკონი'';

ალ. ღლონტის ,,ქართველურ კილო-თქმათა სიტყვის კონა'';

არნ. ჩიქობავას ,,ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი'';

ქ. ძოწენიძის ,,ზემო იმერული ლექსიკონი'', არაფერს ვამბობ ბიოლოგიურ, ვეტერინალურ, ზღვაოსნობის, სამხედრო, სოციოლოგიურ, ტერმინოლოგიურ, ტრანსპორტის, უცხო სიტყვათა, ფილოსოფიურ და ვინ მოსთვლის, რა ხასიათის ლექსიკონებზე...

დაბოლოს, ჩვენი ეროვნული სიამაყე — ,,ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი'' — რვატომეული.

თუკი ამას დავუმატებთ პროექტში ნავარაუდევ დიალექტოლოგიურ ლექსიკონებს: გურულისას, ფშავურისას, ხევსურულისას, წრედი შეკრულა. უმეტესი კილო-კავის ლექსიკონი სამ-ოთხ წელიწადში ხელთ გვექნება.

პლუს ყოველივეს სვანური ლექსიკონი, რომელიც, სადაც არის დღის ნათელს იხილავს და მეგრულის ლექსიკონი შექმნის პროცესში რომაა, გამბედაობაღა გვაშორებს კონგენიალურ ნაბიჯამდე — ჩავწეროთ პროექტში: არსებული მასალების საფუძველზე შეიქმნას სრულიად საქართველოს, ანუ ქართველურ ენათა და კილო-კავთა სინთეზური, აკადემიური ლექსიკონი!

ასეთი ლექსიკონი, ვგონებ, ერთადერთი იქნება მსოფლიოში, ერთადერთი და ისიც — ქართული! ჩვენი მომავალი თაობა კი მოგებული დარჩება ფრიად, ვინაიდან მზითევ-ანდერძივით მიიღებს წიგნს, რომელშიც თავს მოიყრის ზოგადეროვნული მეტყველება, ზოგადეროვნული სული, ზოგადეროვნული ცნობიერება!“

მართალია, წერილი კი გამოქვეყნდება, მაგრამ მასში განვითარებულ აზრს რატომღაც დუმილით შეხვდება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა. არადა, რა ისეთ განუხორციელებელ იდეას ვქადაგებდი, კომერციული გამოცემებით წალეკილ ამ ჩვენს მამულში, რომ პირში წყალი დაგვეგუბებინა დიდსა და პატარას?! ისეთს რას ვითხოვდი, თავი ჩაგვექინდრა?! დროა ზოგადეროვნული ლექსიკონი შევქმნათ და დამღუპველ პარიტიკულარიზმს მოვეშვათ-მეთქი!

მოგვიანებით მრავალჯერ ვცდი ამ თემის განვრცობას, თანადროულ მასალებსაც მივკრიბ-მოვკრებ, მაგრამ მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდება, ნოემბერს აპრილი დაერთობა აპრილს — ივნისი, ივნისს — აგვისტო-სექტემბერი, ამ უკანასკნელს — სუსხიანი იანვარი და საერთო მორევში გადასროლილს, მელნის სურნელი გადამავიწყდება.

ისე კი გამუდმებით მიღიტინებს სულში და კვლავაც მიხმობს შუა სიტყვაზე გაწყვეტილი საუბარი. უფრო იმიტომაც, რომ უკვე გარდახდილია რომან-ტრიადა „სიცოცხლემისჯილების“ პირველი წიგნის რედაქტორებთან დავა, რომლებიც არაფრით მანებებენ სალიტერატურო ქართულის დიალექტიზმებით „დანაგვიანებას“.

ლიტონი სიტყვა არ გეგონოთ, არც ეს განცდა მოფრენილა ნაუცბადევად. იგი წლების მანძილზე მწიფდება ჩემში და იოტისოდენადაც არ შევცდები, თუ ჩემი თვალნათელი სამეგრელოს მოკრძალებულ საყვედურს განვასახიერებ იზოლირებული დედაქართულის მომხრეთა მისამართით, იმ სამეგრელოსი, ბარბაროსული დალაშქვრების მერეც გულთან რომ უსვენია ქართველობის ხატი და მირონი; სამეგრელოსი, რომლის სამეტყველო სალაროებიდან მარგალიტების ამოსაკრებად აქეზებს აკაკი სიტყვის ქართველ ოსტატებს.

საქმე ეხება იმ ენობრივ პოზიციას, რომლის პილპილს მთელი სიმძაფრით იწვნევს სახალხო მგოსნისაგან სასიქადულო წინამორბედი ჩემი — ვაჟა: ენას რომ დაუწუნებენ და საერთო ქართველურის მაგისტრალიდან გადახვევას ლამის ღალატად შეუფასებენ. ბრძოლის ველზე მარტოდმარტო დარჩენილი გენია არ შეუდრკება წმინდა ქართულიზმის სინდრომით შეპყრობილ ავტორიტეტს. უფრო მეტიც, იგი გულშიჩამწვდომად წარმოაჩენს მთისა და ბარის ჰარმონიის საკითხს, რომ თითოეული მათგანი აუცილებელია, ოღონდ ქართული გვარისა იყოს.

ვაჟა-ფშაველას ისტორიული სიმართლისდა მიუხედავად, მისი პასუხი ვერაფრით გასცდება პრობლემის ემპირიულ ხასიათს, თუმცა ეგეც არის — რამდენადმე შეურყევს ნიადაგს ქართლურ-კახურ-იმერული დიალექტების პრიორიტეტს მშობლიური მწერლობის წინაშე, მათ აღიარებს ზოგადეროვნულის ნორმად და ნიმუშად.

ვაჟას შემოქმედებითი მეთოდი სალიტერატურო ენისაკენ გზას გაუხსნის დაგუბებულ კილო-კავებს მთიანეთისას, მაგრამ მეგრული და სვანური ხომ დამოუკიდებელი ქართული ერთეულებია უკვე ისტორიული უკუღმართობის გამოისობით და თვით საფიცარი სამეგრელოს კოლორიტის შექმნისათვის მოშველიებული ასიოდე სიტყვა საგრძნობლად გააჭიანურებს ჩემი ნაწარმოების დასტამბვას. თუმცა საბედნიეროდ, არც აქ აღმოვჩნდები პიონერი, პირველგამკვლევი: ჩვენი სასიქადულო მწერლობა იყო, არის და იქნება სამკვდრო-სასიცოცხლო არენა იდეალური სალიტერატურო ქართულისათვის.

თვით დიდოსტატი კონსტანტინეს შემოქმედებითი სავალი აღმართიც როდი მოფენილა იავარდითა და დიბა-ფარჩებით. იგი, როგორც დიდი ილია, ხმალშემართულ ომს გამოუცხადებს „აქვა დესტილატას“8 მაგვარ ფსევდო ქართულს — ეროვნულ ძირებსა და სათავეებს მოწყვეტილს.

ბატონ კონსტანტინესაც მრავლად უყიჟინებენ ე.წ. „წმინდა ქართულის“ ქომაგი დოგმატიკოსები, მერე და ვის, გენიას, რომელმაც მოახდენს ძველი და ახალი ქართულის სამაგალითო შერწყმას!

**„ილიამ ქართულ ენას შესძინა ქართლური ბუნების სიდარბაისლე** — წერს იგი ერთგან, — **ხოლო აკაკიმ იმერული სილბო. XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმე-**

**რულის, ვაჟას ფშავურის, მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი. აი, ეს იქნება იდეალური სალიტერატურო ქართული“,** — აცხადებს მწერალი. ჭირვეული ოპონენტები კი ხან მერჩულეს ენის რესტავრატორს უწოდებენ, ხანაც დიალექტიზმებისა და არქაიზმების დიდოსტატს, მაგრამ ტვირთით წელდაზნექილი ქარავანი მიუგდებს ყურს განა წუთისოფლის ღავღავს?! და ასე, თანამიმდვრულად, ახალ-ახალი ცნებით, სიტყვებით მდიდრდება დედაქართული ჩვენი.

სწორედ ბატონი კონსტანტინეს შემოტანილია ქვემეხი, კუბოკრული, ძგიდე, მეინახე, რუსიციზმების — „ორუდიეს“, „კლეტჩატის“, „კანტის“, „სოტრაპეზნიკის“ გასაძვებლად.

მოკლედ, მართლაც მეროჭიკე ბერივით მოუღლელი დიდოსტატი თავგადაკლული ეძიებდა ხალხის სულში მობინადრე განძეულობას და არსებობის კონსტიტუციურ უფლებას ანიჭებდა მათ ზოგადეროვნული სიტყვიერების უკიდეგანო იმპერიაში.

გავა ხანი, ფერს იცვლის წლები და წყლები, მაგრამ თითის ქნევას ვერც ჩემი სალიტერატურო ენა გადაურჩება.

მედავებიან სრულიად უწვრილმანესზე, მედავებიან სიტყვებზე, წინადადებათა გრამატიკულ წყობაზე, ზმნის ადგილმდებარეობაზე, მცენარეთა საკუთარ სახელებზე, რომელთა შესატყვისი დედაქართულს არ მოეძევება.

მე რომ ჩემი რედაქტორების პრეტენზიებისათვის მეგდო ყური, სარდიკიასა და მაფატიას ნაცვლად მცოცავი ბალახი უნდა მეწერა, ნოწკერიას ალაგას — სიგრძივ ნაპობი შეშა, ბოგიშბოგის მაგივრად — შორეულზე შორეული ნათესავი; ბულბულისა და იადონის სინონიმად არსად უნდა მეხსენებინა მაფშალია, და კიდევ ვინ მოსთვლის, მაგრამ სათაყვანებელი წინაპრებისაგან დაკვალიანებული სულმოკლეობას ვძლევ და ჩემს ლელოს შეძლებისდაგვარად გავიტან.

თაობების დაახლოებით ამგვარმა შემართებამ დაამკვიდრეს თანდათან სალიტერატურო ქართულში მეგრული წკვარამი და თუთარჩელა, ტყაშმაფა და თოლიგე; სვანური მახვში და მაჩუბი, მერხეული და ლამარია; გურული ჟალტამი და ღვარღვალი; იმერული ტკარცალი და გასოსიალება; ჯავახური ქველი, აჭარული ფიწალი, თუშური ფლასი, ქართლური სასინათო, რაჭული სოხანე, მესხური სულე! მთიულური სახიჩრიანი, ხევსურული საკანტალაოდ, ქიზიყური ნებრუცა და სხვა, ასე რომ, იმ უთანასწორო პაექრობების შემდეგ, ლამის საყოველთაო სულიერი ქანცგაწყვეტილობის ჟამს, უკვე თეორიულადაც მინდა შევეპასუხო ქართული სიტყვიერების თითქოსდა დიალექტიზმებით „ამღვრევისაგან“ დამცველებს.

მაინც როგორ წარმომესახება ქართველი, ქართული, საქართველო?!

ჩემი აზრით, ეს არის რაინდთა მრგვალი მაგიდა თანაბარუფლებიანი საუბრისათვის და არსებობისათვის მოგონილი, რომელ მრგვალ მაგიდასაც, აჰა, ბარემ ოცდათექვსმეტი საუკუნეა ვუსხედვართ: ხევსურები და მოხევეები, თუშები და მთიულები, გუდამაყრელები და ფშავლები, ქართლელები და კახელები, ჯავახელები და მესხები, იმერლები და გურულები, რაჭველები და ლეჩხუმელები, აჭარლები და იმერხეველები, მეგრელები და სვანები...

ბარემ სამი საუკუნეა ამ სერობისკენ მოისწრაფვიან ჩვენი სისხლხორცეული ძმები, ფერეიდნელი ქართველები თუ თურქეთის ლაზები, მოისწრაფვიან თავიანთი ენობრივი ფორმებით, გულში ჩასაკონებელი სიტყვებით, მოისწრაფვიან და ამ პროცესის შეჩერება უკვე არც მაცილს ძალუძს და მით უფრო — იმპერიებს, ვინაიდან უფლისეულია, ღვთით კურთხეული, მაცხოვრის მიერ არის ხელდასხმული.

ასე და ამგვარად, რა დროსაც ხმამაღლა ვაცხადებთ: **ქართველს, ქართულს, საქართველოს,** იმთავითვე ყველა კუთხე-კუნჭულს უნდა ვგულისხმობდეთ უკლებლივ, ყველა მხარე-უბნის ადათწესსა და ტრადიციას უნდა ვეთაყვანებოდეთ სულანთებული, თითოეული ჰანგისა და ფოლკლორის კანონმდებლობას უნდა ვადასტურებდეთ ზედმიწევნით ერთ მთელში შემჭიდროებული იმ სინდიყის დაფანტული ბურთულა-ნაწილაკების მსგავსად. სწორედ ამიტომ გადაუდებელ ამოცანად მიმაჩნდა და მიმაჩნია კვლავაც ზოგადეროვნული, ყოველი დიალექტიკურ-კილო-კავური ფორმის შემსრუტველი ლექსიკონის შექმნა და გამოცემა.

მე აქ თვალსაჩინოებისათვის მცირეოდენ მასალას მოვუხმობ და სათანადო ანალიზის შემდეგ თუ საკითხი ბუნდოვანი დარჩა, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი!

# მასალები ქართული ენის სინთეზური ლექსიკონისათვის

| ქართლური | მეგრულ-ლაზური | სვანური | **ქართული** |
|---|---|---|---|
| **ადამიანი** | კ ო ჩ ი | ამსუალდ | **ადამიანი** |
| **გოგო** | **ცირა,** ძღაბი, **კულანი** | **დინა** | **გოგო, ცირა კულანი, დინა** |
| **დედა** | **დედა,ნანა** | დედე | **დედა,ნანა** |
| **კაცი** | კოჩი | **მარე** | **კაცი,მარე** |
| **მამა** | მუმა, ბაბა | მუ,ბუა | **მამა** |
| **მგელი** | გერი | თხერე | **მგელი** |
| **მზე** | ბჟა | მიჟ | **მზე** |
| **მიწა** | **დიხა,** მიწა | გიმ | **მიწა, თიხა** |
| **სამყარო** | **ოდაბადე, დობადონა** | დეც, **ლარდა** | **სამყარო, ოდაბადე, ლარდა** |
| **მამული** | **ობადიში** | | **ობადიში** |
| **სამშობლო** | **შურობუმუ** | | **შურობუმუ** |
| **სახლი** | ყუდე, ოხორ | ქორ | **სახლი** |
| **ქარი** | **ბორია,** იხი | **ბუქუ** | **ქარი, ბორია, ბუქი** |
| **ქალი** | ოსური, **ოხორჯა** | ზურალ | **ქალი, ოხორჯა** |
| **ქმარი** | ქომონჯი | ჭაშ | **ქმარი** |
| **ღვიძლი** | ჩხონჩხი | ყვიჟე | **ღვიძლი** |
| **ყვავილი** | **პეული,** პირი | **დადალ,** დადილ | **ყვავილი, პეული,** |
| **შვილი** | **სქუა,სკირი** | **გეზალ** | **შვილი, სქუა, სკირი, გეზალ** |
| **ცოლი** | ჩილი, ოხორჯა | ხუხუ | **ცოლი** |
| **ძროხა** | **ჩხოუ,** ფუჯი | **ფურ** | **ძროხა, ჩხოუ, ფურ** |
| **წყალი** | წყარი, წკარი | **ლიც** | **წყალი, ლიც** |

ამ სიის გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ ჩემი ლინგვისტიკური ჰორიზონტი მოიკოჭლებს ქართული სიტყვათშენებლობის პრობლემათა წინაშე. ჩემი ფუნქცია იმითღა ამოიწურება, რომ იქნებ რამენაირად მივმართო საზოგადოებრივი აზრი სინთეზური ლექსიკონის შექმნის საშვილიშვილო საქმისაკენ.

დამეთანხმებით, რომ თვალის ერთი გადავლებითაც დასტურდება ბევრი ნაცნობი ფორმა, როგორც მეგრულ-ლაზურში, ისე სვანურში. ისინი წარუშლელად აღიბეჭდებიან ჩვენს ცნობიერებაში: ყუდე — დაყუდებული, ნავსაყუდელი; ბორია — ქარბორია; ბუქუ — ქარბუქი; ყვიჟე — გაყვიჟინებული, გაწიწმატებული; ფური — დედალი პირუტყვის გაგებით; ლიც — ლიცლიცი, რაც მხოლოდ წყლისათვისაა დამახასიათებელი... მოკლედ, საუკუნეების მანძილზე ვინ იცის, რანაირად, რა ტანჯვა-წამებით გაიკვალეს მათ გზა დედაქართულისაკენ?! გვხვდება სიტყვები, რომლებიც სალიტერატურო ქართულის სინონიმად არ გამოგვადგება, ასეთებია: გერი და თხერე — მგლის მნიშვნელობით; პირველი არაღვიძლ შვილს ნიშნავს ერთ-ერთი მშობლისათვის, მეორე კი თხის ასოციაციას იწვევს აშკარად; უხერხულია ბუა მამის სინონიმად:

**იხი** — იხვს მოგვაგონებს;

**ოსური** — იმას, რაც ოსი ხალხისათვისაა დამახასიათებელი;

**ჩონჩხი** — ადამიანის ძვლოვანი სისტემის ერთიანობაა ქართულში;

**პირი** — სამეტყველო ორგანოს;

**ქორი** — მტაცებელ ფრინველს.

რაც შეეხება ქმარს, ღიმილის მომგვრელია ,,**ჭაში მოვიდათ**" ვთქვათ. ასევე უპერსპექტივოა ძღაბი და ხეხუ უსიამო ჟღერადობის გამო. თავშეკავება გვმართებს ისეთი სიტყვებისაგანაც, რომელთა სახეცვლილება უმნიშვნელოა ფონეტიკური თვალსაზრისით: კაცი-კოჩი, ცოლი-ჩილი, წყალი-წყარი, მაგრამ რაოდენ სასიხარულოა, რომ დღესვე, უყოყმანოდ, დაუფიქრებლად შეგვეძლო გოგოს შესატყვისად შემოგვეტანა დინა, კულანი და ცირა; კაცის სინონიმად — მარე; სამყაროს (მამულის) პარალელურად — ოდაბადე, ობადიში, დობადონა, ლარდა, მემლექეთი, შურობუმუ; ყვავილისა — პეული, დადალი. მოკლედ, აურაცხელი განძი შეგვეძინებოდა ერთბაშად, ხელის ერთი მოსმით, რაც ახალ რეგისტრში აიტაცებდა ჩვენს ცნობიერებას. ყველაფერ ამასთან ერთად, ზოგადეროვნული სინთეზური ლექსიკონის შექმნა ცოტათი შორსმიმავალი მიზნისეულია;

როცა სვანეთის გოროზი მთების შთამომავალი თუ სამეგრელოს გადანისლული ჭორომების მემკვიდრე საუკუნეების ქარ-ცეცხლში გამოტარებულ გულისთქმას დედაენის წიაღში საიმედოდ დაბინავებულს იხილავს, მყისვე მოეხსენება კომპლექსი — ,,მე მეგრელი ვარ", ,,მე სვანი ვარ"; ისინი ზოგჯერ განზე მაცქერალი მოკვდავებიდან უმალ მამულის მაჯისცემას მიყურადებულ მეციხოვნეღმერთკაცებად გარდაისახებიან.

ესეც რომ არა, განა მეგრულისა (ლაზური) და სვანური მარგალიტების შემოსვლით რაიმე დააკლდება დედაქართულს?! ქსნისა და არაგვის შემონაკადებით მტკვარი დაკნინდა თუ პირიქით, რომ არა ისინი, და კიდევ მრავალი ათეული ღელე-მღვრიე, წყურგილე თუ რუხტუნია, ჩვენი დედამდინარე ჩააღწევს ვითომ კასპიის ზღვამდე?!

მოჭრილად რომ ვთქვათ, თუკი ამ ათასწლეულშივე ჩვენი ეროვნული ცნობიერება არ განეწყობა სალიტერატურო ქართულში მეგრულის, სვანურის და კიდევ მრავალი დიალექტური ერთეულის კანონზომიერი მიღებისათვის, თუკი თუნდაც შორსმჭვრეტელური სოციალურპოლიტიკურ სარბიელსღა ვიმყოფინებთ თვითგამოსარკვევად და თვითდასამკვიდრებლად, თუკი ამთავითვე არ ვიზრუნებთ ერთიანი ქართული სულის მონოლითურობისათვის და შედუღაბებისათვის, ვეჭვობ, ოცდამეერთე საუკუნეშიაც განხორციელდეს ესოდენ სანატრელი სინთეზ — III — ქართლოსიანთა მესამე რენესანსი.

დიახ, მრავალძარღვიან სალიტერატურო ქართულს, თავისუფალი საქართველოს საკადრის დედაენას, დიალექტებთან ერთად მეგრულისა (ლაზური) და სვანურის ფაქიზი, მართებული შემოტანით შევქნით მხოლოდ. მხოლოდ ამგვარი დამოკიდებულებით ჩამოვაყალიბებთ ზოგადეროვნულ ფსიქიკას, ფენიქსისამებრ ფერფლითშობილი, გაუბზარავი სულისკვეთების საქართველოს!

მე ჩემს შემოქმედებით პრაქტიკაში, სულმნათი წინაპრებისა არ იყოს, კარგა ხანია დავადექი ხსენებულ გზას — რომან-ტრიადის პირველსავე წიგნში თამამად დავესესხე ლექსიკურ ერთეულებს ქართლურ-კახურიდანაც, იმერულიდანაც, გურულიდანაც, სვანურიდანაც, მეგრულლაზურიდანაც და თუ აქა-იქ დიალექტიზმებით გატაცებას წამომაძახებენ, ზეციურო, მიუტევე მათ, რამეთუ არა უწყიან ქართული ენის ზოგადსაკაცობრიო მისიისა; რამეთუ დაწერილა ოდეს: **„ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“**; რამეთუ გვეწინასწარმეტყველა გულთმისნობით: **„ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“.**

# ცოტნე დადიანის საუფლოში

**„...საგანგებოდ შევჩერდებით „ტერმინალი-2000“-ის მნიშვნელობაზე ყულევში: XXI საუკუნის დამდეგის ნავთობსაცავი კომუნიკაციების გამართვა თქვენთან, აგრძელებს სუფსაში ჩაყრილი ეროვნული ენერგეტიკის აღმშენებლობის განუხრელ კურსს და როგორც მწერლისგან მიინიშნება: „დროთა ვითარებაში მარაოსავით გაიშლება იგი შავი ზღვის რეგიონებისაკენ, ანუ მოხდება აფხაზეთის უმტკივნეულო, ეკონომიკური ინტეგრაცია პოლიტიკური ბატალიებისა და აგრესიების გვერდის ავლითო.“**

**ჩვენ აბსოლუტურად ვეთანხმებით გური ოტობაიას პოზიციას და მივესალმებით სრულიად საქართველოს აღორძინების უმთავრეს მიმართულებად მწერლის მიერ ხობელების მიზანსწრაფული შრომით ტრადიციების დასახვას და რადგანაც ხობში — ცოტნე დადიანის სამშობლოში — გაღვივებული პროცესებით განუზრახავს გ. ოტობაიას „საქართველოს უკვდავების ფორმულის“ დაგვირგვინება, იმედი გვრჩება, სტუმართმოყვარეობით განთქმულ ხალხს, არ გაგიძნელდებათ ერთი უპრეტენზიო, მამულისათვის გულანთებული ქართველი მწერლის რამდენიმე თვით ჯეროვანი მეურვეობა-დაკვალიანება**“.

ჰოდა, ასეა ჩემი საქმე, ამნაირი სარეკომენდაციო წერილით მოვსდგომივარ კარზე ხობის გემგებელს, მაგრამ ვინემ აქამდე მოვაღწევ, მეროჭიკე ბერივით მართლაც უამრავი კუთხე-კუნჭული მომიჩხრეკავს ჩვენი შურობუმუ-სამშობლოსი. საქართველოს თითქმის ყველა რაიონში ქრის დღეს მომავალი აღორძინებისათვის დამახასიათებელი ნიავი-სიო:

ახალციხე თავს მოიწონებდა თამარ ბაგრატიონის მეფედ ხელდასხმის საკრალური სკულპტურით; წალენჯიხა თავს აიღერებდა ენგურზე გადებული ხიდებითა და სპორტული კომპლექსით; ონის რაიონი ,,საირმის‘‘ ულტრათანამედროვე ხაზს შემოგვთავაზებდა განსასჯელად და განსაზოგადებლად; თელავი ,,ჯი-ვი-ესის‘‘ ფეშენებელურ ნაგებობებს ამოატივტივებდა განახლების სამუმის საწინდრად... მაგრამ ეს ყველაფერი რომ ზღვაში წვეთია არსებულ შესაძლებლობებთან შედარებით?! თურქეთის შავი ბაზრის საზეიმოდ კვლავინდებურად გამოშიგნულია ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები; ჩაის პლანტაციები ტურათა ჩხავილმა და უნასების სისინმა გააჯერა ტანში დამჟრუანტელებლად ზომაზე მეტად; ხე-ტყე რომ გაედინება მიცვალებულთა პროცესიასავით რეგიონებიდან წითელი მინდვრის გაფრთხილებით და საზოგადო დაქცევის აქილევსურ ნაბიჯებს ვეღარაფრით უბამს მხარს აღმშენებლობის კუს ნატერფალები?

## ოჩიგავას ყულევი და ტერმინალი

ისედაც ნელის სვლით მიმავალ ჩვენს ,,ბულდოგს‘‘ რკინის ჭიშკართან, გაძეძგილი ჩანთებით მკლავებდაძაგრულად მომლოდინე მამაკაცთან გაჩერება არ გაუძნელდება.

უკანა სალონში თავსდება ბარგიანად.

ძარღვიანია, მაღალმაღალი, ყირმიზსახიანი და დანაკვთული სახისა.

ვაბოლებთ სამივე. საუბარიც აეწყობა.

ხავერდოვანი ტემბრით გამოირჩევა, აი, ჩელოს რომ ახასიათებს, იმგვარით.

ოჩიგავა ყოფილა გვარად, ვერც ენაძუნწობას დასწამებ.

საუბარი მონადირულ თემას დაიხვევს მაჯაზე. ტყეების გაჩანაგებას წუხს.

— ტყე არ არის, მაგრამ არც ფიჩხის და ნაფოტის ნაკლულობა გეტყობათ მაინცდამაინც. ზამთარზაფხულ ყურებიდან ამოგსდით კვამლი, — ენამწარობს ბატია ჯულუხიძე,— შვლებით გაივსო აქაურობაო, მესმის დარბაისელი ხალხისაგან. კი, მაგრამ სად იმალება ეს შველი ტყეები თუ გაჩანაგებულა? მურთაზ ტურა იქ არ ცხოვრობს, კაცო, თორსაში?

— დიახ, თორსაში ცხოვრობს, — დაუდასტურებს ირონიას ვერმიხვედრილი ყულეველი. ვხედავთ გვარიანად შეზარხოშებულა და ეს უფრორე გვიიოლებს სჯა-ბაასს, — იქ რომ შეხვალ, ხელმარჯვნივ, ბოლოს.

— იმ აბშილავას რა ჰქვია, დამავიწყდა.

— ჭიკუ მოკვდა, — თანადროულად ეპასუხება ოჩიგავა.

— ჭიკუ მოკვდა და ეს ჭიკუს ბიჭია ხომ?

— ჭიკუს ბიჭია ზვინ აბშილავა.

— ზვინ აბშილავა? — გაიკვირვებს ბატია ჯულუხიძე.

— მთლად საღ-სალამათი დაიარება.

— კეთილი.

— მე მიცნობენ ისინი ყველა, ორმოცი წელიწადია. შველის სეზონი ცოტა ხანში დაიწყება. ახლა მაკეები არიან. სულ რაღაც ორიოდე თვე და კუნძულიდან კუნძულზე მოჰყვებიან ხტომას. ხოხბის წიწილზე სხარტები გახდებიან, მაგრამ ესენიც თავიანთი საქმის მაესტროები გახლავან.

— ყვავს მისწევიხარ შველის დევნაში; ხომ არსად გიდირიჟორია, კაცო?!

— სიმღერით მოგეცათ ლხენა.

— ჯერ სხვადასხვა სიბრტყეზე ვართ, შენ— შეზარხოშებული, ჩვენ — წაუხემსავნი. მაინც რა ეღირება ეს ყველაფერი თუ გიყვარდე?

— რა ეღირება და, ჰა, ქვეყანა გაწყდეს, ორმოცდაათი, ასი ლარი. გინდა ორასი ვთქვათ.

— კრავის ფასად იშოვება თურმე, — ჩავერვევი მე;





ნუ დაგვავიწყდება, რომ უკვე კარგა ხანია ხობისწყლის ამომაღლებულ ნაპირს გამოვცდენილვართ, ველობში გავღწეულვართ, საიდანაც ზურმუხტისფერი და ამავდროულად ნისლისმაგვარ ორთქლში გახვეული ტბორი გამოჩნდება. სული წამსძლევს კვლავინდებურად: ნეტავი, რა წყაროა-მეთქი.

— ცხელწყაროს ვეძახით.

— ცხელწყაროს? მაინც რას ნიშნავს? — არ მოვეშვები.

— გაბურღეს, ნავთობს ეძებდნენ და ცხელი წყარო ამოჰყვა.

— ახლაც თბილია? — შევუჩნდები.

— მთლად მდუღარეა, გინდა ზამთარი იყოს, გინდა — ზაფხული.

— ვინ იცის, იქნებ სამკურნალოცაა, თავიანი კაცი მრავალი დანიშნულებით გამოიყენებდა. ეს დანგრეული შენობები რისია, რას ემსახურებოდა?

— აქ თევზის კონსერვს ამზადებდნენ. მოდიოდნენ როსტოვიდან, კრასნოდარიდან, საიდან არა.

— თქვენს სოფელში რამდენი მოსახლეა, ბატონო...

— პატიკო, — შემაშველებს ხელად, — ოთხმოცდაათი.

— საშუალო სკოლა თუ გაქვთ?

— როგორ არა, კაცო! უსწავლელად ვინ თქვა გამართული სიარული დუნიაზე?!

— ყულევი რატომ ჰქვია? ვგონებ ადრე რედუტკალესაც ეძახდნენ.

— ვერაფერს გეტყვით. ახალგაზრდა კი ჩამოვსახლდი ყულევში, მაგრამ არასდროს დავინტერესებულვარ ამეებით. იქით და იქით ტყეები უფროა შენახული, შველიც იქ ბინადრობს უკეთ. იქნებოდეს წესიერი ცხოვრება, აქაურობაში ყოფნას რა სჯობია, მაგრამ წელებზე ფეხს ვიდგამთ და მაინც სიდუხჭირეა.

— ესეც იქიდან წამოსული ცხელწყაროა?

— არა, ეს ხობისწყალია.

ასეთი ცისფერი და თვინიერი ჰიდრო-საოცრება იშვიათად მინახავს. რაც თავი მახსოვს ტრასაზე ამვლელ-ჩამვლელს ხობისწყალი დაწმენდილი არ შემხვედრია, ისეთი დაწდევებული მოედნიება ნაპირს გასწორებული, ლამის ჩამოვხტე მანქანიდან და გულში ჩავიკრა მშობელ დედასავით.

— ის ცხელწყარო ხობწყალს უერთდება? — ამოვღერღავ წამიერი დუმილის მერე.

— ქო, პატენი, უერთდება და მისდევს ბოლომდე. თევზსაც ეს შემოიტყუებს ხოლმე აქეთ, ქვირითის დასაყრელად.

— ნადირობა არ მიყვარს, მაგრამ თევზაობის გიჟი ვარ, — ვაგრძელებ ბატია ჯულუხიძის სამარისებურ დუმილში. იცის მიკროფონი ჩართულია და რესპოდენტის სრულყოფილად დაფიქსირებაში არ მეჩრება, — ზღვისპირა ჭურიაში ვარ ნამყოფი, კახათელ მწემსებთან მიცხოვრია თერთმეტი თვე. მენცარკოჩ იროდი სართანიასთან მიმეგობრია. ჭურია ხობის მხრიდან იწყება მგონი.

— ცამდე მართალს ბრძანებთ.

— აქედან. ჰოდა, იქ რომ არხები იყო, დღემდე არ დამვიწყნია, თუმცა ეს რა სასწაულია?! საოცრებაა თურმე ხობისწყალი ქვემო წელში.

— ღორონთიშ შურცალო ენიქვანთ.

— ეს რა მშენებლობებია? — მივჩერებივარ ახორხილ ალუმინის მილებს.

— აქ ადრე წყლის „ბაშნია" იყო. ახლა რეზერვუარებს ხომ ამჩნევ, რამდენია, სულ ტერმინალის ხალხის მოტანილია. სახე ეცვლება ადრინდელს, ალბათ, უკეთესობისკენ. აქეთკენ მოეშურება თურმე შველი, ეშინიათ მანქანების ხმაურის. მონადირის წესი სხვანაირია, იქით უნდა სდიო კუდში ტყიურს, გინდა ჭაობში ჩაგითრიოს. ჭიშკართან მომდგარს თოფს ვერ მოუღერებ.

— სხვა ნადირი თუ არის რამე, მგელი, დათვი? — ვაგულიანებ მე.

— არა, მგელი არ გამიგონია, დათვი მთლად რა სახსენებელია. ტურები კი მილიონობით მომრავლდა.

— მართლა, კაცო?! — ეს ბატიაა, სულმა წასძლია.

— ღამით გარეთ რომ დარჩე, გაგძვალავენ. მშობიარე ქალივით კივიან ესენი. ხობის წყლის შესართავთან დაიდო ბინა ტერმინალის ხალხმა. ადგილობრივი მოსახლეობა აქეთ გადმოასახლეს. სულ თოთხმეტი ოჯახია. პელეტი სახლები წამოუჭიმეს. უწყვეტად აქვთ სინათლე. მუქთად კვებავენ სამჯერ. ამას გარდა ფარაც მისცეს გვარიანად.

— კომპენსაცია, — კვლავ ბატია ჯულუხიძეა.

— 30 ათასი დოლარი მისცეს თითოეულს. გადა-

სახლებული უძახე ახლა მაგათ. თევზაობით ირჩენდნენ თავს აქამდე. ძველებური პროფესია დღესაც არ მოუშლიათ. მოტორიანი ნავებით კვლავაც გაშლიან ბადეს ზღვაში. ხეხილს ახლა რგავენ, თუმცა ბაღნარებით არც ადრე დაეკვეხნებოდათ.

— ციტრუსი თუ იყო აქ, პატიკო, ბატონო?

— ადრე რამდენიც გინდა. მხოლოდ ჩემთან შემორჩა. ჩემს ეზო-კარს თოთხმეტივე სამოსახლოზე არ გავცვლი. აქეთკენ ჩინებული თხილი ხარობს. ვენახიც თვინიერია. ნამყენ ხილს ხომ არაფერი შეედრება.

— დალევით წვეთს არა ვსვამთ, მაგრამ აქეთობისას შემოვიხედავთ თქვენთანაც. ბაღ-ვენახსაც დავათვალიერებთ და ცოცხალი შველის მოხელთების დროჟამსაც დავთქვამთ, — პირდაპირია ბატია ჯულუხიძე. მანქანას ამუხრუჭებს.

— გაიხარეთ შვილებო, სტუმარი ღვთისაა. მე აქ ჩამოვხაბარკდები. ესაა ჩვენი დედაქალაქის ცენტრი.

დავშორდებით ენაწყლიან ოჩიგავას და რამდენიმე წუთში ტერმინალის ცენტრალურ შესასვლელსაც მივადგებით.

უჩინმაჩინი უნდა იყო რკინის შლაგბაუმს გაცდე. ვეღარაფერს მშველის პრეზიდენტის პრესსამსახურის საშვი, აღარც პარლამენტის დაცელოფნებული მოწმობა წამადგება, ვეღარც მწერალთა კავშირის მანდატი უკვდავი შოთას გამოსახულებით; სანამ ტერმინალის ოფიციალური ხელისუფლება, ანუ იგივე ხელმძღვანელობა, სპეციალურ საშვს არ გაახლებთ, ვერანაირ ინფორმაციას მოიპოვებ, შეუიარაღებელი თვალით კი აფიქსირე სანახები რამდენიც გნებავს, რამდენიც მოგეგუნებება.

საგუშაგო ჯიხურთან ზღვაური წუის, იმისდა მიხედვით, შენი ყურთასმენა ამ კოკროჭინა შემინული შენობის კუთხესთან რამდენად მიმყუდროებულა.

შორეული გრუხუნი მსწრაფლ მოქროლდება სუსხიანი ქარით.

შორს რიტმულად მოძრაობენ ამწევები.

იქით და იქით შლამს ისრუტავენ სპეციალური დანადგარები გემიდან, გაავსებენ თვითმცლელებს და ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევიან ხობისწყლის საწინააღმდეგოდ. აფართოებენ და აღრმავებენ შესართავს.

შლაგბაუმის სიახლოვეს ატუზულ კოლხური იერის ორ მამაკაცს გამოვესაუბრები. ბიძა-ძმისშვილი ქვარცხავები აღმოჩნდებიან ხეთიდან. უმცროსი ავთანდილი პირწავარდნილი სპარტაკია დუგლასის განსახიერებით.

— ჩვენთან ტკბილი მანდარინი იცისო, — ბრძანებს, — მაგრამ რად გინდა, ჩაიკეტა სოხუმის გზები და იხალე ახლა თავში. სადაური ხართო, — ჩამეკითხება აქეთ. ვუპასუხებ და მყისვე მომიგებს, — თქვენათანც ჩინებული მანდარინი იცის, მაგრამ უკეთესი თხილია. თხუთმეტი დღეა აქ დავდივარ, ამ შლაგბაუმთან ვარჭვივარ სარივით, სამსახურს ვეძებ, მაგრამ მშველელი ვინ არის? ქალ-ვაჟი მყავს უმაღლეს სასწავლებელში, ჩემო, ბატონო, და იქნებ ერთი წლის ქირა მაინც გადამეხადა აქ დაზოგილი ფულით. სამასორმოცდაათ ლარამდე ანაზღაურებენ თვეში. ტანსაცმელი, ბინა და სამჯერადი კვება უფასოა. პატრონი რომ გამომჩენოდა, სიტყვისათვის, ხომ დამეზოგებოდა წელიწადში სულ ცოტა ოთხიათასი ლარი? მერე და ოთხი ათას ლარს შენ ჩვენს პირობებში ეხუმრები?!

ბატია ჯულუხიძის ხელქვეითი ჩაგვერთვება საუბარში. თავად „გენერალი“ ტერმინალის შემოვლაზეა ორხიდიანი მანქანით. „ბულდოგი“ ჩემთვის დაუტოვებია აქა-იქ მოსასვენებლად. ერაგიას მოლოდინშია ყველა და უშიშროების დაცვის ბიჭებთან თითებით ყულის გამოწევა თავმოყვარეობის შელახვაა.

„აქაც ორხელისუფლიანობაა“, ვასკვნი ჩემთვის. „შიდას ერთი დარაჯობს, გარეთას — მეორე“, ვერაფრით ვიცილებ აკვიატებულ ფიქრს და მისი ხელქვეითი ზემდეგის ჯიხურში შემოპატიჟება უყურადღებოდ მრჩება.

—... ყველაფერს რომ მოვეშვათ, — მოუსწრებს ჩემს ყურთასმენას მოსაუბრის დიალოგის ნაწყვეტი, — ფართოვდება ხობისწყლის შესართავი. ამას გარდა კიდევ არის სხვა მომენტი, ღრმავდება შესართავის წვერო, რათა ტანკერებით მოხდეს ნავთობის გადაზიდვა. ნავთობი ტერმინალში, ბუნებრივია, შემოვა რკინიგზით ფოთიდან და ეს რკინიგზა გაგრძელდება ხეთამდე.

— ხეთამდე რისთვის? — რაღაც იმედისმომცემი აზრი გამიელვებს.

— ალბათ... კი არა ნამდვილად, მოხდეს შავი ზღვის მთელი ზოლის ათვისება — ყველა მდინარის შესართავთან ტერმინალების ქსელის გაშლა. ეს იგივე აფხაზეთის შემოერთებაცაა უმტკივნეულო ეკონომიკური გზით, ანუ როგორც აქ იტყვიან ხოლმე, ეკონომიკური ინტეგრაციით, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს ამ ორ თვითმყოფად ერს შორის დათესილ სრულიად უგუნურ და გაუმართლებელ სისხლისღვრებს. გზა ამჟამად ფოთის მიმართულებითაც შენდება, — აგრძელებს ჩემი ყურთასმენის გასახარად ინკოგნიტო ზემდეგი, — რადგანაც უნდა შემოვიდეს ლიანდაგით ნავთობი რამდენიმე წელიწადში და მერე საითკენ წავა ყულევის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სამუშაოს საძებრად, მათთვის მიგვინდვია. აგერ, სასტუმრო უნდა გაშენდეს, ბატონო, გური. „ა, მოუსწრია დაკვალიანება ბატია ჯულუხიძეს“, გამკრავს გონებაში,— ახლა, რომ ხედავთ, დროებითია. ამიტომაცაა შეუბათქაშებელი. ორასორმოცდაათი მუშახელი ცხოვრობს იქ ამჟამად, 15-20 კაცი წევს ერთ ოთახში. იჭირვებენ, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, ფეხი ისე გაჭიმე, საბანი სანამდეც გწვდებოდესო. დაცვის სამსახურში ჯერჯერობით თოთხმეტი პოლიციელია. ბიჭები თავიანთ მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებენ. უცხო პირთა საშვის გარეშე ტერმინალში შეშვება ბრძანებით აკრძალულია და მოგვიტევეთ ამის გამო. ვიდრე ჩვენამდე მოაღწევდით, ალბათ, შენიშნავდით ბარაკული სტილის სასადილოებს. იქ ყოველ წუთს შეიძლება სწრაფი წახემსება: სოსისი, ერბო-კვერცხი, სხვა რამერუმე. საგადასახადო დავალიანებებს ყოველთვიურად ისტუმრებენ. რამდენადაც ვიცი თორმეტ-თორმეტ ლარს, აქვე, სასოფლო საბჭოში. ჯერ კეთილდღეობისა არაფერი გვეტ-

ყობა, მაგრამ ტერმინალის მომუშავე პერსონალი კმაყოფილია თავისი იღბლით. აგერ, ქვერცხავებს შეხედეთ, ორ კვირაზე მეტია ყოველდღიურად გვაკითხავენ. ადრე აქ სამუშაო ადგილის მაძებარი უფრო მოზრდილი ჯგუფებიც მინახავს. რატომაც არა? ყოველთვიური ჯამაგირი სამასი ლარი პატიოსნად შეენახებათ უფასო სამჯერადი კვებისა და ძილის პირობებში. ბატონმა ედუარდმა ჭიქა შამპანურით დალოცა ეს ადგილი, აქედან, — ხელს იშვერს ტერმინალის ამწეებისკენ, — დალოცა სრულიად საქართველოს აღორძინება და ვნახოთ, მომავალი რას მოგვიტანს.

მეჩვენება თითქოს ქარი ჩადგა, სუსხიც წართმევია მის უჩინარ ხვეულებს ყელ-ყურთან; მეჩვენება თითქოს ხობისწყალი უკან იხევს, ანუ იწყება სათავეებისაკენ ორაგულებისათვის დამახასიათებელი განფენის ჟამი, ეტაპი, ხანა.

სახელდახელო ფაქტები აზუზუნდება ჩემს გადანისლულ თვალსაწიერზე: ტერმინალის მშენებლობიდან, რომელიც ლამის წელიწადია შეწყობილად ხმიანებს, როგორც ცენტრალურ, ასევე ხობის ბიუჯეტში ორნახევარი მილიონი ლარია შესული. ეს მოსახლეობის დონესაც ხომ დაეტყობოდა წესით გარკვეულწილად?! გაჩნდებოდა ადგილობრივი ბიუჯეტის შემავსებელი დამატებითი წყარო. ენდემურ ჯიშებს თუკი მეტი გულისყურით მოვეკიდებით! თხილს, მეცხოველეობას, ფუტკარს, დრო-ჟამისაგან გამოცდილს, შვილივით ნაზარდ ვაზს, მეკამეჩეობას, სხვათა და სხვათა და ყოველივეს მოხერხებულად გადავახურჯინებთ ენერგომატარებლებთან, რომელი სიდუხჭირე დაგვიდგება წინ, რომელი უნუგეშობა და გულგატეხილობა?!

თოთხმეტი ახალმოსახლის მოშანდაკებულ ქუჩას ავედევნები.

ხობისწყლის ტოტის მოშიშვლებული ნაპირი ოღროჩოღროა. აი, სულ ახლახან, დაბისმაგვარ კუნძულს ქმნიდა იგი. ახლა იქ მშენებლობის ნავსაყუდელია.

სუფსის ტერმინალით დაიწყო კოლხეთის (და არა მხოლოდ კოლხეთის, იქნებ სრულიად საქართველოსი მთელს კავკასიასთან ერთად), აღორძინება. იქ უკვე გროვდება აზიური ნავთობი. ეს პროცესი ბუნებრივიც უნდა ყოფილიყო, რადგან არ არსებობს დედამიწის წიაღში აზია და ევროპა, ამერიკა და ანტარქტიდა; ის საერთოა, საყოველთაო, გულში სანუკვრად ჩასაკონებელი მთელს დედამიწასთან ერთად, ხოლო რაც მოიპოვება მის ძარღვებში, ამას ოთხივ კუთხით მიწოდება სჭირდება და აი, მაშინ იჩენს თავს აღმოსავლეთ-დასავლეთი თუ ჩრდილოეთ-სამხრეთი, მაგრამ როდესაც მიწის წიაღიდან თუ სულის ქვესკნელეთიდან ზეამოწეული ნებისმიერი საგანძური გაყოველთავდება, ჩვენც გავალთ ზოგადეროვნულიდან ზოგადსაკაცობრიო აზროვნებაზე და ეს უკვე ნებისმიერი მოქალაქის ჭეშმარიტი ბედნიერების საწინდარია.

აი, წერო აფრინდა ლელიანიდან, მაღალკანჭება.

სულ ასი ჰექტარი ყოფილა ტერმინალის ტერიტორია, კვადრატული კილომეტრისა, გეომეტრიულად. მაგრამ თუკი ამ სულისკვეთებამ ხვალ ხეთისკენ გადაინაცვლა, ზეგ— ანაკლიისკენ და მასზეგ — გუდავასკენ, განა ძნელი წარმოსადგენია, ჩვენი უხეირო გაანგარიშებით ოთხას ჰექტარს რა გრანდიოზული ჩანაფიქრი ჰქონია, რომელიც უნებლიეთ გვიბიძგებს ფადაასისაკენ, ანუ ეკონომიკური აღმშენებლობით საკუთარი მიწა-წყლის შორსმჭვრეტელური მოწყობისაკენ!

ფადაასი კოლექტიური მსვლელობაა სამშობლოს ღირსების დასაბრუნებლად ღვთაებრივ სვანურში. ვიცით ამის თაობაზე წინა გვერდებიდან, მაგრამ იგივე არ არის განა საბერიოს მრევლის ელექტროენერგიით მომსახურება აფხაზურ-ქართული მოსახლეობისათვის?! განა აქ ელექტროენერგიამაც მსგავსი გმირობა არ ჩაიდინა ჩვენი ხალხების უნებლიეთ დაზავების საქმეში? ამისი სულისჩამდგმელი და მოთავე, ხომ დიახაც ბატონი გიორგი მიქავაა, დაუვიწყარი სახალხო გმირის, უტუ მიქავას შთამომავალი?

კიდევ უამრავი ძარღვი მოეპოვება ჩვენს სხეულს მომავლის გადასარჩენად. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, ,,ბაგრატელები" და ძიკი კვარაცხელიას ლეგენდარულ სახელთან დაკავშირებული მათი რქანაყარი ჯოგი თუ დაფნა, ცემენტი, თხილის პლანტაციები? ნაადრევი გაზაფხულის სურნელი მიღიტინებს ნესტოებში, დაჩქარებული გაზაფხულისა, როცა კაცს კვირტის გამოხედვის გეშინია, ვაითუ უცაბედმა ყინვამ არ დააზროს ყოველივე და ნიავ-ქარს არ გაატანოს სამომავლო სარჩო-საბადებელიო.

დაახლოებით ასეთი შინაარსის შრომის რიტმია დღეს ,,ტერმინალი-2000"-ის ტერიტორიაზე.

გრუხუნი. მანქანების მოძრაობა ილანდება შორი სილუეტით.

წამოქცეულია ხეები, რომლებიც ხვალ და ზეგ შეშად დაიხერხება; უფრო გალარულისაგან შესაძლოა ბატია ჯულუხიძემ ყულაბა-სკამ-ლოგინიც კი გამორანდოს მამის მიმსგავსებით შვილების მომავლის გადასარჩენად.

ჩვენ უკვე მერვე წელიწადია ჯიუტად მივეშურებით აფხაზეთისაკენ; მივისწრაფვით იავარქმნილი მამულისაკენ; მივეშურები დამცრობილი ლარდასკენ, გაძიძგნული დობადონასკენ; მოვილტვით ნამუხაჯრალი აფსნისკენ ფადაასის გზით, ანუ სამშობლოს ღირსების დასაბრუნებლად კოლექტიური აღმშენებლობითი მსვლელობით.

უკანასკნელ სამოსახლომდე მოვღწეულვარ.

ამას იქით სავალი წყდება, თუმცა ჩირგვოვანებში ორიოდე ტრაქტორი მოუსვენრად დათუხთუხებს. აქედან ფოთის მიმართულებაა. ხიდსაც გამართავენ თურმე რკინიგზის შემოყვანამდე და მერე მოსახლეობას ერთი ორად გაუიოლდება.

ყველაფერს სიახლის მძაფრი სურნელი ასდის — ღობეებსაც, ეზოებსაც, სახეხილე მიწის ნაკვეთებსაც, რომლებიც საგანგებოდ გაუსუფთავებია მათთვის ტერმინალის ხელმძღვანელობას.

გეხალისება კოპწია ნალიები, საქათმეები, საღორეები, სადგომები მსხვილფეხა რქოსანი საქონელისათვის.

აივნის მოშორებით ორი დედაკაცი ფრინველს აპურებს. ახალგაზრდა უფრო ადრე შეეშვება საქმეს.

კაბის კალთებს დაიფერთხავს და ბაკისკენ გამოუყვება სახელდახელო ტროტუარს.

უცაბედი ინტერვიუსთვის დაყოლიებული რესპონდენტი ნათელა ფიფია აღმოჩნდება. შუახანს მიღწეულია. თმაში ჭაღარა უელავს აქა-იქ. სანდომიანი სახისაა, ყირმიზი, ცხვირის თხელი ნესტოებით, ნაოჭმიპარული შუბლითა და წელან დალანდული ხობისწყლისფერი თვალებით. მიღიმის ჩამწერის უქმ შრიალს თვინიერად მიჩერებული.

— ფიფიები კიდევ არიან თქვენსას?— დავარღვევ მყუდროებას.

— კი, ერთი ოჯახი, — მეტყვის გაღიმილებით, — დანარჩენი თორმეტიდან თითო მოსახლეა ქებურიები და ოდებაშოღლები, მიქაძე სამია და კიდევ— კაკულიები.

— ახალ ნერჩს გილოცავთ, ქალბატონო, ნათელა ფუძის ანგელოზს. აქვე გაგვიმხილეთ გულახდილად, ძველს თუ მისტირით, ან უფრო მარტივად, სევდას თუ გგვრით ხოლმე?! კერიის გამოცვლა არა მგონია იოლი შესაგუებელი იყოს.

— ვეჩვევით თანდათან მზის ამოსვლას. ცხოვრების პირობები ამჟამად რამდენადმე გაუმჯობესებული გვაქვს. მხოლოდ ბოსტანი და ხეხილი აკლია ჩვენს სიმყუდროვეს. საამისოდ თავად შემოაქვთ ნოყიერი მიწა, თვითონვე გვეხმარებიან მოსწორებაში, ნერგებსაც ჩავყრით, ალბათ, წლეულს და მოესწრებიან ჩვენი შვილები მათ ჩეროებს და დაშაქრულ ნაყოფს. მთელს რესპუბლიკას უშუქობა აწუხებს, ჩვენ კი სისტემატურად გვაქვს იგი.

— სასწაულია, მწერალი კაცი მეთქმის და ლამპის შუქზე მიხდება ჩხაპნა. ხელშეწყობა თვალშისაცემია, მაგრამ იმის თაობაზე რას მეტყვით, როცა ტერმინალის ამოქმედების შემდეგ ხმაურიც იმატებს, დაირღვევა თქვენი ოდინდელი სიმყუდროვე, იდილია; ნავთობის სუნით გაიჟღინთება ჰაერი. უფრო მოშორებით რისთვის არ ამჯობინეთ დასახლება, თუნდაც სოფლის ცენტრისკენ?

— ტერმინალი უცილობლად დიდი მშენებლობაა. ეს წაადგება როგორც ჩვენს რაიონს, ისე— რესპუბლიკასაც. რაც შეეხება ეკოლოგიურ დისბალასნს, არც თბილისში გაქვთ მაინცდამაინც კოჯორის თუ კიკეთის ჰაერი, მაგრამ იქიდან აყრაზე ჯერჯერობით არავის აუტკიებია თავი. ესეც რომ არა, ხომ არავის წაუღია აქედან ხობისწყალი თუ შავი ზღვის მარილიანი ჰაერი?! რა, ვერ გადასწონის ვითომ ამ ციცქნა მშენებლობის თუნდაც გაჭუჭყიანებულ ჰაერს ჟანგბადის ბალონების ოკეანე?!

— ისე ხატოვნად მსჯელობთ, ისე გმართულად, ალბათ, ფილოლოგი ბრძანდებით...

— წიგნების კითხვა მიყვარს დიახაც. ჩვენი კლასიკოსები... მურმან ლებანიძე, ანა... სწორი საუბრისათვის აუცილებელია დიპლომი?

— შეიძლება საქმეს მოგაცდინეთ და მაპატიეთ. ისე დიდი მადლობელი ვარ. გჯეროდეთ, რომ ჩემს წიგნში თქვენი სიტყვა ხელუხლებლად დარჩება.

ახალმოსახლეთა შუაწელში ველოსიპედიან ბავშვებს დავლანდავ. მომძვრალ პედალს უჩხიკინებენ. ლითონის ფურცლებისგან შეკრული მაგიდის სიახლოვეს დაწყობილ შეშასთან მორზე მოხერხებულად მოკალათებული ხელით მოვიხმობ სამივეს. მინიატურულ ჩამწერს მიაჩერდებიან.

— დედა, რა პაწუაა?! — წაეტანება ერთი.

— კასეტა სად ეტევა, დამანახე, რა! — მეხვეწება მეორე.

მესამე გაბუსხულივითაა. ვაკმაყოფილებ მათ სურვილს, კვლავ დავმუხტავ და სასაუბროდ განვაწყობ თითოეულს.

— ამ სიშორიდან დადიხართ სკოლაში, ცენტრისკენ?

— არა, აქვეა, ერთ კილომეტრზე, დაწყებითი.

— რომელი კლასელი ხართ, ბიძია? თან გვარებიც მითხარით.

— კაკულია, —მეტყვის კასეტით დაინტერესებული.

— ოდებაშოღლი, — გამიმხელს ხელმოუსვენარი.

— შენ, კაცო, — მივაჩერდები გაბუსხულს.

— ესეც კაკულიაა, — თამამობს მეკასეტე.

— აბა, რა ნიშნები გყავთ? ჩემი კოკა ფრიადოსანია, მაგალითად.

— ჩვენხელაა? — კვლავ კაკულია პირველი ყოჩაღობს.

— ცოტათი უმცროსი, მეორეკლასელია.

— მაშინ ჩვენც ხუთიანები გვყავდა, ახლა გამოგვერია თითო-ოროლა ოთხიანი, თორემ.

მიხვდებით ცეროდენათაგან საუბრის სადავე ვის ხელთაა.

— შუქი უწყვეტად გქონიათ. ტელევიზორი?

— იმათი ფულებით ვიყიდეთ, ვიდეოც.

— რვაას ლარში, — დააკონკრეტებს ოდებაშოღლი.

ბატია ჯულუხიძის ,,ბულდოგის‘‘ მომუხრუჭებით საუბრის ჩამთავრება არ დაგვცალდება.

ვემშვიდობები ბიჭებს. ხუჭუჭა ქოჩრებს ავუჩეჩავ სათითაოდ. საქართველოს სიყვარულს ვუანდერძებ.

ვეშვებით ხობისწყლის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით.

სოფლის ცენტრთან ორ მანდილოსანს შემოვიხიზნავთ, ახალგაზრდას და სანდომიანი სახისას. პედაგოგები აღმოჩნდებიან. უმცროსს ეს-ეს არის სოფლის გამგებლობაც შეუთავსებია.

ორმოციოდე მეტრში ენაწყლიანი ოჩიგავაც შემოგვიერთდება დაჩუტული ჩანთითა და გამოცარიელებული ბოცით. ქალიშვილის საპატივცემლო სუფრის გასაშლელად მოიჩქაროდა და ამიტომაც წაუყრუებდა თურმე ჩვენს სტუმრიანობას.

— წიგნს რა ერქმევა და როდის გამოვაო, — მომანათებს უფრორე აღგზნებულ სახეს. ვეტყვი, ახალ ათასწლეულს ვხსნი მისით-მეთქი.

— მე განახებთ ჩემს ოჯახს, თვალი ზედ დაგრჩებათ. რა არის ხატია რომ მიჯიკავებ? შემჭამა ამან, შემჭამა. დაწყებითი დავამთავრებინე. ნამდვილი კომუნისტია. ვიტყვი რამეს და სულ მიჯიკავებს. რა, დავმალო ათას ოთხასი ძირი თხილი რომ მაქვს? პროფესიით შოფერი

ვარ. რაც ბავშვობიდან საჭეს ჩავაფრინდი, ხელიდან არ გამიგდია. მერე სხვებსაც ვასწავლიდი. იმდენი სიკეთე ჩვენ, რაც მანქანა გამიყიდია, ჩემს ხატიას გეფიცებით, ,,ვოლგა“, ,,ნივა“, ,,მოსკვიჩი“, ,,პობედა“...

— კოლეგა, კოლეგა, — წაიღიღინებს ბატია ჯულუხიძე, მაგრამ საკმაოდ თავდამძიმებული ოჩიგავა ამ ტენორულ ეტიუდებს აინუნშიაც არ აგდებს.

— ანგული მიქავა ჩემი საყვარელი კაცია, კოჩანიერ კოჩი. რას მიჯიკავებ ხატია, სიმართლე არ უნდა მათქმევინო?!

უკვე ოჩიგავას ეზო-მამულის ტყვეობაში ვექცევით. წინ მიგვიძღვის რიხიანად. ჩიტივით დაფრინავს წლობით ნაამაგარ მამულში, თანაც ხატიას მუჯლუგუნებისგანაც დაღწეულა. ეგეც რომ არა ღვინოსაგან გვარიანად შებარბაცებულს ბატია ჯულუხიძის ბწკენები რწყილებად ეჩვენება.

— ამ ადგილას, გური, სკუა, ტრიალი მინდორი იყო. ოცდაოთხი წლის ვიყავი, როდესაც აქ დავსახლდი. ერთადერთი ლაფანის ხე იდგა მხოლოდ, ეზოში რომ განახეთ, ის ხე. ღმერთმა შეგვახვედრა ხელმეორედ, არ ურევია ყველაფერ ამაში ღმერთის განგება? ურევია და მერე როგორ? ამ უშველებელ ეზო-კარს ჩემი ხელით მოქსოვილი ,,სეტკა“ არტყია გარშემო. ოცდასამი წელიწადი ვქსოვდი ,,სეტკას“. ერთ დროს დიდი გასავალი ჰქონდა! ფული ჩეჩქვივით მქონდა. აქ ყველაფერი ჩემი ხელითაა ჩაყრილი და დარგული. მიწა თაფლივითაა. შვილებს გეფიცები შვიდას ძირზე მეტი ნამყენი მსხალი მაქვს.

— თხილი და დაფნა ერთად იშვიათად მინახავს, პატიკო, ბატონო, — ვეტყვი ღვთიური სიხარულისაგან ამჩატებული.

— ეს მსხლები მე დავთესე და მევე დავამყნი. მე ვარ მყნობელი კაცი. ჩემისთანა ეზო ისტორიაში არ ჩანს.

— სემირამიდას ცაში დაკიდული ბაღების გარდა, — ჩაურტყამს ბატია ჯულუხიძე.

— ჩემისთანა ეზო საქართველოში არ იძებნება საერთოდ. მწკრივებს შორის მიწა ამოვთხარე, ამოვამაღლე, ხეხილსაც მოვაშორე ნესტი და ორმოები კობრებით ავავსე. მე ტონობით დაფნის ფოთოლს ვაბარებდი და ამავდროულად ოცადაათ წელიწადს ვრგავდი და ვამყნობდი ხეხილს: მსხალს, ატამს, ტყემალს, ვაშლს, აბრიკოზს... ტრიალი მინდორი იყო. მწყემსმა დამიტოვა საქონლის ნაკელით გაპატივებული.

შენ გქონდეს, შვილო, ორასიოდე მანეთიც მეყოფა საფასურადო. აქ ექვსასი ძირი ნამყენი ტყემალი ხარობს. ყველაფერი საარაკო გამიკეთებია. რაც თავი მახსოვს ამათ ვრგავ და ვამყნობ. რომ მკითხეთ დაფნა ამათ შორის რატომ არისო, დაფნა, გური, სკუა, ჩვენი სულის მასაზრდოებელია, ავადმყოფობას არ აკარებს ხეხილს, გემოსაც სხვანაირს აძლევს. მერე მე ანგულის ვუთხარი: კიდევ გავკაფავ ტყეს და თუთასაც გავახარებ-მეთქი. ოთხიათასი ძირი თუთის ხე ავაშრიალე, სულ ამ ორი ხელისგულისხელა ფოთლებით. მოვიდა მერე ერთი, ნადარაიას თანაშემწე და აბრეშუმის ჭიის გეგმა დამაწერა. გაუჩნდა უკურნელი ავადმყოფობა და მოსრა სრულიად. ახლა აქ ზოგი წითელი, ზოგიც ნაცრისფერ... 

ამ ხეხილიდან გუშინ ნახევარი სატვირთო მოვკრიფე. ახლა აქ ზოგი წითელი, ზოგიც ნახშირივით ტყემლებია, ქურქენწი კი არა, კბილებს სამართებელივით რომ კვეთს, დათაფლული. შარშან რვაასი კილოგრამი თხილი მოვკრიფე. სიმინდის ყანას ახლომახლო არ ვაჭაჭანებ. მე მაგარი კაცი ვარ. ჩემისთანა ეზოს დუნიაზე ვერ იპოვი. ყველაფერი დათვლილი მაქვს...

— თევზების გარდა — იკბინება ბატია ჯულუხიძე. — მიყვარს ამათი მოფერება, გასხვლა.შემოდგომობით, აი, ამ გაშლილ მაგიდებზე ჯდომას არაფერი ჯობია. პირდაპირ ჭიქაში ცვივა თაფლივით ტკბილი მსხალი, პირის დაღება სჭირდება მხოლოდ. ტანს ვიბან კიდევ აუზში ყოველდღე. ამინდს მნიშვნელობა არა აქვს, გინდა წვიმა იყოს, გინდა ყინვა და თოვლჭყაპი. გადავეშვები და ვბათქუნობ. ახლა ფრინველ-პირუტყვისკენ გავიაროთ. სტუმრის ხეირიანი გამასპინძლება თუ გინდა, გქონდეს უნდა საჩვენებლად რაღაც სახიერი. დედაკაცებსაც ხომ უნდა შეუწყო ხელი, ყელში არ უნდა ეცე, გოჭი და ქათამი ამდენ ხანს რატომ არ შებრაწულაო. სხვები ნარდს აყანყალებენ დროის გასაყვანად. ნარდი თურქის მოგონილია. ვაჭრობა უყვართ იმათ, სხვისი ნაოფლარით ხელის მოთბობა. ქართველი კაცი კი მიწისაა. ეს არის ჩვენი ბედისწერა. კაენის ძღვენი არ ინება უფალმა, აბელის ცხვარი კი ხელად აიტაცა ზეცად. მე როდი ვამართლებ არათუ ძმის, ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას, მაგრამ მიწა მარჩენალია ჩვენი და ეფერე მას, ოჯახაშენებულო, დილიდან საღამომდე, გაზაფხულიდან ზამთრამდე...

— ვიცი, ვინ ყოფილა შენი წამალი — ხატია და მისი მუჯლუგუნი, — იხტიბარს არ იტეხს ბატია ჯულუხიძე, — ტყემლებს რომ წვერისხელა ხავსი მოუშვია, სამართებელი გამწყდარა თქვენსას?

— მე მაგარი კაცი ვარ, — თავისას დასჩემებია პატიკო ოჩიგავა, — სამი ჰექტარი ხეხილია აქ, მაგრამ უფრო მონდომებული ხუთსაც მშვენივრად გააშენებდა. ჯერ კიდევ მერჩის ღონე. იქით ხომ ხედავთ ჯაგნარის ხერხემალს, წლეულს უნდა ,,გადავაკარჩოვკო“. კომუნისტი გოგო მარგუნა ბედმა, მაგრამ ტექნიკას როგორ არ მაღირსებს მშობელ მამას?! სხვა რაღაც მიღიტინებს სულში, გამზრდელ ბებიას გეფიცებით. გადავასწორებ, გადავაბრუნებ, ნერგებს ჩავყრი და წლის ბოლოს კიდევ თუ მინახულებთ, ნახავთ, ენა დირესავით არ მქონია გადებული, ნებისმიერი სიტყვა რომ გადაუვლის, კარგიცა და ცუდიც, ბილწიცა და აუგიც. ნახავთ-მეთქი, ამას რა დიდი მოცდა უნდა! მაგარი კაცი ვარ მე! აუზში მიყვარს ბანაობა ბუნების ნებისმიერ დროს. არ გჯერათ? მომყევით, ახლავე დაგიმტკიცებთ. თქვენც ცოტათი მოხალვათდებით. მეჯიუტებით? ღმერთი არა გწამთ? კეთილი. მოვეს- წრებით ბაბაია, მოვესწრებით-მეთქი. ახლა აქეთკენ წამობრძანდით, ქოხია, მაგრამ გულღიად დაიტევს თქვენსავით სტუმრებს. რას მიჯიკავებ, ხატია?! შემჭამა ამ ურწმუნო ბაღანამ, ოცდარვა წელიწადია.









ხობის რაიონული გამგეობის თავმჯდომარეს, ბატონ რობერტ გვიჩიას სამი საზრუნავი აფორიაქებს სადღეისოდ. ეს უწინარესად ხობის ინფრასტრუქტურის შეცვლაა, ინვესტიციების მოზიდვა ადგილობრივი მუშახელის დასასაქმებლად. საამისოდ თავდაპირველად ხობის რაიონში ლუდის ქარხნის გახსნაზე ზრუნავდნენ გვიჩიები, მაგრამ მოგვიანებით გადაწყვეტილება შეცვალეს; შეთანხმდნენ, რომ ხობის რაიონს, სამეგრელოს ამჯერად საკონსერვო ქარხრნის დაარსება უფრო წაადგება. დღეს-დღეობით სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ერთი საკონსერვო ქარხანაც არ მოქმედებს, სადაც ადგილობრივი ხილის გადამუშავება შეიძლებოდეს და უცხო ქვეყნის ხელებს არ ვიყოთ მიჩერებული. არადა, ხშირ შემთხვევაში იმგვარად ხდება, რომ მოგვაქვს პესტიციდებით გაჭყეპილი პროდუქცია საზღვარგარეთიდან და სანაცვლოდ ეკოლოგიურად სუფთა ჩვენს ჭირნახულს ჩალის ფასად ვაწვდით უცხოტომელს. ჯერ ერთი, ხობის საკონსერვო ქარხნის გახსნით გაიზრდება ადგილობრივი ბიუჯეტი, არ განიავდება სახალხო დოვლათი და რაც მთავარია, გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები. ყველაფერ ამის თავმობმას სანკტ-პეტერბურგელი წარმატებული ქართველი ბიზნესმენი, ბატონ გია გვიჩია აპირებს. აქამდე ,,საირმის“ მინერალური წყლის ჩამოსხმით გაითქვა სახელი და ვინ იცის, იქნებ ხობელების კონსერვებმაც არანაკლები აღიარება მოუტანოს ბიზნესმენს...



გვიჩიების საგვარეულო იშვიათი ეკლესიურობით გამოირჩევა. რიონის დამბებთან, სადაც არაერთხელ უბობოქრია სტიქიას, საგვიჩიოს არე-განია. აქ აღმართულია კოპწია საგვარეულო ეკლესია, რომელიც ფხიზლად დარაჯობს მიწიერ თუ ზეციურ საგვიჩიოს.

და მაინც ბატონ რობერტ გვიჩიასთვის,უმთავრესი საზრუნავი ხობის მონასტრის სიწმინდეებია. ხობის ეკლესია ისტორიულად მარიამ ღვთისმშობლის სახელთანაა გაიგივებული.

დონ კრისტოფორო დე კასტელის ცნობით: ,,უფლის დიდი დედა ხოფის მონასტერშია‘‘;

ვახუშტი ბატონიშვილიც იგივეს ამტკიცებს: ,,ხოფის ეკლესიასა შინა მსუენარებს პერანგი ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა სასწაულმოქმედი‘‘;

ხოლო დონ არქანჯელო ლამბერტის რწმუნებით: ,,ხოფის მონასტერში აჩვენებენ ღვთისმშობლის პერანგს, რომელსაც აქაურები დიდ პატივს სცემენ‘‘-ო.

ბატონ რობერტისათვის არსებითი ამ სიწმინდის — ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი კვართის — ხობის მონასტერში დაბრუნებაა.

უფლისეული სამართლიანობის აღდგენა უწინარსი პირობაა საადამიანოში, რადგანაც ყოველი ნერჩი უძლურია თავისი ფუძის ანგელოზის გარეშე, ყოველი კერია და გუმბათი მორღვეულია მშობლიური აურის უქონლობით.

მესამე და აურწყავი საგანძური ბატონ რობერტისათვის ჭიჭე კოჩი გვიჩიაა — სიჭარმაგის სიხარული და ფეხბედნიერი ყოფილიყოს მისი სუფევა მამულის სადიდებლად!







НИНО ХАРЧИЛАВА

ნინო ხარჩილავა

# ქართული დიასპორა



NINO KHARCHILAVA

# ქართული დიასპორა

(ქართული დიასპორის
მოღვაწეობა ქ. მოსკოვში
70-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე)



სანამ ჩვენს მოხსენებას დავიწყებთ, საჭიროა განვმარტოთ, ავხსნათ თუ, როგორ წარმოუდგენიათ საზღვარგარეთ, კერძოდ, რუსეთში მცხოვრებ ქართველებს სიტყვა ,,დიასპორის'' მნიშვნელობა, ამ სიტყვის აზრი. დიასპორა — ჩვენთვის ნიშნავს პატარა საქართველოს უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე. მაშასადამე მას აკისრია საზღვარგარეთ, რუსეთში უდიდესი პასუხის- მგებლობა ქართული კულტურის შენახვისა და წარმოჩენისა, და ამავე დროს, რაც მთავარია, დიასპორული ორგანიზაციების მუშაობა არის სამშობლოსთან სულიერი დაახლოების საშუალება.



ისტორიულად, რუსეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს, როგორც სტრატეგიულ პარტნიორს კავკასიაში, სამხრეთ საზღვრების გასამყარებლად, ასევე როგორც მართლმადიდებელ ქვეყანას, დიდი კულტურული მემკვიდრეობის მქონეს.

საქართველო ყოველთის იყო ,,პოეზიის ოქროს აკვანი'' ისეთი გამოჩენილი რუსი პოეტებისათვის, მწერლებისათვის, როგორებიც იყვნენ: პუშკინი, გრი ბოედოვი, ლერმონტოვი, ტოლსტოი და ა.შ.



მეფის რუსეთის დროს ქართული დიასპორა მოსკოვში იყო საკმაოდ ძლიერი, რაც ხელს უწყობდა ამ ორ ერს შორის კულტურული კვშირის დამყარებას.

მაგრამ უკვე საბჭოთა კავშირის დროს, სახელმწიფო ატარებდა ინტერნაციონალურ პოლიტიკას სსრკ-ს ტერიტორიაზე, და მით უმეტეს მოსკოვში, დიასპორების წარმოქმნა, ანუ სხვაგვარად, ადამიანების გაერთიანება ეროვნების მიხედვით აკრძალული იყო. ამიერიდან საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე წარმოიშვა ხალხთა ერთობა, რომელსაც ეწოდა ,,საბჭოთა ხალხი''.



საყოველთაოდ ცნობილია ნებისმიერი ძალისხმევა, რომელიც არ ემთხვეოდა სახელმწიფოს ინტერესებს, უმალვე აღიკვეთებოდა. მაგრამ უცხო ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანს, რომელიც მიისწრაფვის სამშობლოსაკენ და გამოხატავს მზადყოფნას შეინახოს კულტურული მემკვიდრეობა ემიგრაციის სიძნელეების მიუხედავად, აქვს დიდი სიყვარული სამშობლოსადმი — უჩნდება მოთხოვნილება შეინარჩუნოს ეროვნული თვითმყოფადობა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო ეროვნული ჯგუფების გამოყოფა, ქართველი ემიგრანტები ამან ვერ შეაჩერა და 1987 წელს შეიქმნა რუსეთისა და საქართველოს ისტორიულ და კულტურულ ძეგლთა დაცვის მოყვარულთა ნებაყოფლობითი გაერთიანება ,,ძალისა''. იგი დღემდე მოღვაწეობს. თავიდანვე მისი მიზანი იყო:



ქართველი ემიგრანტების გაერთიანება;
სულიერი ფასეულობების, სიწმინდეების დაცვა;



ეროვნული თვითმყოფადობის, ტრადიციების, ენის, კულტურის და სარწმუნოების შენარჩუნება და განვითარება.

ამ წლების განმავლობაში ორგანიზაციას დიდი წვლილი მიუძღვის რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლაში. ასევე პარალელურად 1987 წელს იქმნება ,,საქართველოსა და რუსეთის სულიერი კავშირი‘‘.

,,ძალისას‘‘ და ,,სულიერი კავშირის‘‘ დამაარსებელი იყო ბატონი თამაზ ჯანდიერი.

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ,,ძალისა‘‘ ხდება საქართველოს და რუსეთის მეგობრობის საზოგადოება‘‘. ასევე ბატონმა ჯანდიერმა მიაღწია იმას, რომ წმ. გიორგის ეკლესია დაბრუნებოდა ქართველ მრევლს, სადაც წლების მანძილზე ტექნიკუმი ფუნქციონირებდა.

,,ძალისას‘‘ გარდა 1989 წელს შეიქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო საქველმოქმედო საზოგადოებრივი ორგანიზაცია: ,,მოსკოვის ქართული სათვისტომო‘‘.



ამ საზოგადოების შექმნას ბიძგი მისცა 9 აპრილის ტრაგედიამ.

ქართველები სამშობლოს ტკივილმა აიძულა შეკრებილიყვნენ და ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ მწუხარება. ეს მოხდა 1989 წლის 10 აპრილს. სხვადასხვა პროფესიის და ასაკის ქართველები შეიკრიბნენ საქართველოს კულტურის სახლში, სადაც ჩატარდა ყრილობა, რომელზეც სათვისტომოს პრეზიდენტად აირჩიეს ბატონი ავთანდილ ქორიძე. მოგვიანებით იგი შეცვალა ბატონმა თეიმურაზ სტურუამ.



ორგანიზაცია თავისი საქმიანობის დასაწყისში მეტისმეტად პოლიტიზებული იყო. პირველი რამდენიმე თვის განმავლობაში ორგანიზაცია მთელს მოსკოვში ინტენსიურად ავრცელებდა ინფორმაციას 9 აპრილის მოვლენების შესახებ. გაკეთდა დოკუმენტური ფილმის ასლები, რომელიც შემდეგ ვრცელდებოდა ქარხნებში, ინსტიტუტებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, აგრეთვე ეწყობოდა პიკეტები, მიტინგები თეთრი სახლის და არმიის გენერალური შტაბის წინ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან რთული იყო ამ აქციების ჩასატარებლად ნებართვის მიღება სახელმწიფოსგან, რომელიც ფრთხილობდა და ყველაფერს აკონტროლებდა. დროთა განმავლობაში ორგანიზაციამ აქცენტი გადაიტანა კულტურაზე.

1989 წელს დაარსდა ვაჟთა ვოკალური ანსამბლი ,,ლომისი‘‘ და დაიბეჭდა ორი გაზეთი — ,,ქართული სიტყვა‘‘ ქართულ ენაზე, რომლის მთავარი რედაქტორები იყვნენ: ბატონები გია მერკვილიშვილი და ნუგზარ შენგელია და ,, გრუზინსკოე სლოვო‘‘ რუსულ ენაზე — მთავარი რედაქტორი ვიტალი წერეთელი.



ქართული დიასპორისათვის, ისევე როგორც სხვა დიასპორებისათვის მთავარი მიზანი იყო ქართული ენის შენარჩუნება და განვითარება უცხოეთში. ამ მიზნით მოსკოვში 1988 წელს შეიქმნა საბჭოთა კავშირში პირველი ნაციონალური საგანმანათლებლო დაწესებულება — ,,ქართული საბავშვო ბაღი‘‘ ქართველი ბავშვებისათვის,რომლის დამფუძნებელი და პირველი დირექტორი იყო ქალბატონი ანა კერესელიძე.

კულტურულ სფეროში ქართული სულის და ნიჭის გაერთიანების თვალსაჩინო მაგალითი გახდა მოსკოვში ქართული ქორეოგრაფიული სკოლა ,,კოლხიდა‘‘, რომლის დამფუძნებელი გახლავთ ბატონი რევაზ ჯანიაშვილი.

ჯერ კიდევ 1949 წელს მან შექმნა ქართული ცეკვის წრე, რომელშიც მოღვაწეობდნენ მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის და ენერგეტიკული ინსიტუტის სტუდენტები. ქორეოგრაფად დაინიშნა ეგრეთწოდებული „გიტისის“ ქართველი სტუდენტი გივი ოდიკაძე, შემდეგ ბატონი რევაზ ჯანიაშვილი 1950 წელს გაგზავნეს სასწავლებლად ოდესის სამხედრო აკადემიაში. მან აქაც განაგრძო ქართული საქმე — ორგანიზება გაუკეთა ქორეოგრაფიულ წრეს, სადაც ქართულ ეროვნულ ცეკვას სწავლობდნენ ჯარისკაცები. მთავარ ქორეოგრაფად დაინიშნა ბატონი გიორგი სვანიძე. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს კომკავშირმაც და სამხედრო პირებმაც.





1953 წელს ბატონი რევაზ ჯანიაშვილისათვის შესაძლებელი გახდა მოსკოვში დაბრუნება, სადაც მას თავისი საქმის განხორციელებაში დაეხმარა რუსი კაპიტანი ხვოსტუნოვი. ბატონმა ხვოსტუნოვმა მოსკოვის ბაბუშკინის რაიონში ააშენა სკოლა, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ქორეოგრა ფიულ ჯგუფ „კოლხიდას“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამოცდაათიან წლებში ეროვნული დაჯგუფებები აკრძალული იყო, მაგრამ სახელმწიფოს არ შეეძლო გაეუქმებინა ისეთი ქორეოგრაფიული ანსამბლი როგორიც იყო „კოლხიდა“, რადგანაც მისი მთავარი მიზანი გახლდათ „ინტერნაციონალური, ესთეტიკური აღზრდა“ — ამ შემთხვევაში ხალხური მხატვრული შემოქმედების მეშვეობით, ქართული ცეკვის შესწავლის მაგალითზე. ქართველებთან ერთად ცეკვავდნენ და დღესაც ცეკვავენ რუსები, სხვა ეროვნების ახალგაზრდები.



მიუხედავად იმისა, რომ „კოლხიდა“ არ მიიჩნეოდა პოლიტიკურ ერთეულად, იგი წარმოადგენდა კულტურულ ორგანიზაციას, 1969 წელს გააუქმეს, რადგან სახელმწიფომ მოინდომა „საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის ანსამბლის“ შექმნა. 1971 წელს „კოლხიდას“ წაართვეს ეროვნული კოსტუმები და მხოლოდ შენობა დაუტოვეს. განსაკუთრებით მძიმე იყო 1974 წელი, როდესაც უმძიმესი პირობების გამო ფაქტობრივად მუშაობა შეუძლებელი გახდა.



საბედნიეროდ 1971 წლიდან 1976 წლამდე ქართული კოლექტივის შესანარჩუნებლად იბრძოდნენ რუსი მსახიობები და კულტურის სხვა მოღვაწეები. მათ შორის იყვნენ ანსამბლ „ბერიოზკას“ ხელმძღვანელი ნადეჟდა ნადეჟდინა, ასევე რუსული ქორეოგრაფიული სკოლის ხელმძღვანელი იუსტინოვა. მხოლოდ მათი დამსახურებაა, რომ „კოლხიდა“ ისევ აღორძინდა და 1979 წელს დიდი წინააღმდეგობისა და ბრძოლის შემდეგ თავისი საიუბილეო კონცერტიც ჩაატარა. ამ დროიდან „კოლხიდა“მონაწილეობდა ყველა ეროვნულ ღონისძიებაში. მან მხარი დაუჭირა და დაეხმარა დაფუძნებაში „ძალისას“.



მაშასადამე, ძვირფასო მეგობრებო, ადამიანის ცხოვრება სხვა სამშობლოში — ეს დიდი გამოცდაა ნებისმიერი ემიგრანტისათვის. მას მხოლოდ ეროვნული თვითშეგნების გრძნობა და თანამემამულეებთან ერთიანობა ეხმარება დაბრკოლების გადალახვაში, სამშობლოსადმი ერთგულების და სიყვარულის შენარჩუნებაში — ეს გახლავთ ჩვენი ერის შეკავშირების საყრდენი და საფუძველი — როგორც საქართველოსა, ასევე — საზღვარგარეთ.



ისტორია ისევ და ისევ გვკარნახობს, რომ ძალა ერთობაშია! რომ არ არსებობს სამშობლო სამშობლოს გარდა!

## რედაქტორისაგან:

„ჩვენებურების“ მეორე საერთაშორისო ფესტივალზე წარსდგება მშვენიერი ჩვენი ძმისწული წინდებული მოხსენებით და თითქოს ამით დასრულდება ყველაფერი, მაგრამ განგებას ასე არ ნებავს და ელექტრონული ფოსტებით შორეული ძაფები გაილარება ჩვენს შორის. აღმოჩნდება, რომ ნინო ხარჩილავა გამოუსწორებელი პატრიოტია. მერე ფიქრები წამიღებს, ვინატრებ ჩემთვის, რომ ეს გამოსვლა ფრაგმენტი აღმოჩნდეს ნანინატრი მამულიშვილური წიგნისა, რომლის დაბადებას რა ხანია ელის ჩვენი ჭირნახული სამშობლო.

რუსეთში ბევრმა სცადა ქართულ დიასპორასთან მისასვლელი ბილიკების მოძიება, თუმცა ის გამოცემები ვერასდროს გაცდა კომერციულ მიზანდასახულობებს პრინციპით: კრებულში მოხვდები? ფული გადაიხადე.

ამ აბსტრაქტული ეროვნული წიგნის შემქმნელს, უცილობლად მოუწევს მეტად მტკივნეული საკითხის გამოკვლევა — სამშობლოსა და პლანეტის პროპორციების განსაზღვრა ადამიანის სულში; პატრიოტიზმისა და კოსმოპოლიტიზმის თანაფარდობას ნებისმიერი მოქალაქის მეობაში.

ვისურვებდი ჩვენს ინკოგნიტო ავტორს მეტი ძალისხმევა დაეტანებინა თავისი თავისათვის, ასე იოლად არ შელეოდა მართლაცდა საშვილიშვილო თემას; ერთხელ და სამუდამოდ გადაეჭრა ასწლეულობით თვალწინ მოციგლიგე რეალობა: მაინც ვინა ვართ ქართველები დროსა და სივრცეში?! საიდან საწყისდება ჩვენი ასავალ დასავალი?! სითგან აღმოვცენებულვართ და სითკენ მივყვებით დანდობილად ჩვენს ბედისმწერალს?!

ამნაირ თხზულებაში სხარტადაა მოსატანი ქართველების ეთნოგენეზი. პროტოიბერიულ რასსა (ჰეგელი); ლუმერული ცივილიზაცია (შტაინერი), იგივე ატლანტიდელები. 12 000 წლის წინათ დედამიწამ დამანგრეველი კატასტროფა განიცადა — ასტეროდი დაეცა, რომელმაც თვალის დახამხამებაში ჩაძირა ატლანტიდის ოკეანის მასშტაბის ტერიტორია. იწყება დიდი განსახლე ბება.

ამას წინასწარმეტყველებდნენ კატასტროფამდე რამდენიმე წლით ადრე იქაური ქურუმები. ნაწარმოებში წარმოსაჩენია იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.

12000 წლის წინათ დედამიწაზე მეფდება დიდი გამყინვარება. მის ზედაპირზე დაცემული ასტეროდის ყინულოვანი მასა ჩაჩვრეტს პლანეტის ქერქს და იწყებს თანდათანობით დნობას. რაც კოლოსალურ ატმოსფეროს მოუყარის თავს. დედამიწის ღერძი 38 გრადუსითაა გადახრილი. (ჰ.წულაია). ეს ყველაფერი წარღვნის ბიბლიურ ტრადიციაში ეზოტერიკულადაა ასახული.

ნოეს კიდობანი თავისი პარამეტრების მიხედვით — სიგრძე 300 წყრთა (48 სმ.) ს იგანე — 50, სიმაღლე 30. მეტრეი) საბოლოოდ ამნაირად წარმოჩინ დება:

$$144 \times 24 \times 14{,}4 = \mathbf{49766{,}4.}$$

და როცა ამ სიდიდეს გავყოფთ მუდმივა 13-ზე, მივიღებთ:

**38 28 1, 8 64 135**.

რაც იმის მაუწყებელია, რომ ამ ასტეროდის დაჯახების შედეგად დედამიწის ღერძი თავიდან 38 გრადუსით გადახრილა, დროთა ვითარებაში ეს გადახრა 28 გრადუსამდეა შემცირებული და გარკვეული პერიოდის შემდეგ დედამიწის ღერძის გადახრა 1,8 გრადუსამდე დავა, ანუ თითქმის აღდგება ჩვენი პლანეტის თავდაპირველი იერსახე — დღე-ღამის წლიური რაოდენობა გაუტოლდება 360-ს. შუმერების შუამდინარეთში ამნაირი მასშტაბის კატასტროფა, ცხადია, ვერ მოხდებოდა, მაგრამ წმინდა წერილებმა შემოგვინახეს ხსოვნა ატლანტიდის ცივილიზაციის დაღუპვაზე და ნოეს კიდობნის მითიც კონგენიალური სემიტების წყალობით აქედან იღებს სათავეს.

ამ თვალსაზრისით საინტერესო დაკვირვებები მოეპოვებათ ქართველ ეზოტერიკებს (თ. მიბჩუანი, ზ. ქაფიანიძე) — სვანური კოშკები. მათი ქონგურები 3 X 4 = 12. ხოლო დედაბოძზე ამოტვიფრული ბორჯღალები მარადიული მოძრაობის სიმბოლო. სვანს სიკვდილივით ეშინია წყლის. ის წყალდიდობას გამორიდებული ინდივიდია. ქართული გენი, პროტოიბერიული სული მოეფინება მთელს დედამიწას — პირინეი, აპენინი, კავკასია, კორდილერია, ჰიმალაი.

ამ თვალსაზრისით სულისშემძვრელი მასალები გადანახულა დასახელებული წიგნის მომავალი ავტორისათვის — ამირანის მითი, პრომეთეს ფენომენი, იგივე წალენჯიხელების თუ სამურზაყანოელების არამხუტუს (მ. ჩიქოვანი, ლოსევი).

პრომეთე ლერწმით მოიპარავს ჰეფესტოს სამჭედლოდან ღვითიური ცეცხლის ნაპერწკალს და მისმიერვე შექმნილ ადამიანებს ჩამოუტანს საშველ-ხსნად. პრომეთე მოზილავს ადამიანების გამოსაძერწად თიხას, ხოლო მისი არყოფნის დროს ძმა ეპითემე ფრინველებს, თევზებს და ცხოველებს გამოძერწავს. უკან დაბრუნებულ პრომეთეს ადამიანის გამოსაძერწად მასალა არ გააჩნია, ამიტომაც იძულებული ხდება ცოტ-ცოტა ჩმოაციცქნოს ძმის მიერ გამოძერწილ სკულპტურებს. ამიტომაცაა ადამიანის პიროვნება ფაუნური იმპულსების ჯამი. ჩამოუტანს ცეცხლს გამოქვაბულში სიცივისაგან განადგურებულ ადამიანებს და სრულიად ახალ სიცოცხლეს მიანიჭებს მათ. გაივლის დრო. ადამიანები მხრებში გაიშლებიან. ნავსადგურები გაჩნდება ზღვის სანაპიროებთან. ქათქათა სახლების სიმრავლეა ირგვლივ. იხილავს ზევსი ყოველივეს და განრისხებული ბრძანებს: საკადრისად დასაჯონ პრომეთე. აქ პრომეთეს მეგობარი ჰეფესტო შეკრავს ტიტანს და კავკასიონის კლდეზე მიაჯაჭვავს კანდელებით, ხოლო მკერდში ალმასის ლურმანს გაუტარებს მკვიდრად, რომ თავის აშვება ვერაფრით მოახერხოს.

პრომეთე შეუვალია, მართალი. იგი არათუ ქედს იხრის ზევსის წინაშე, პირიქით — ადამანაშაულებს მას — შენი საკეთებელი მოვიმოქმედე და რისთვის უნდა მოვიხარო ქედიო. დამნაშევე ეს შენ ხარო. არც შენი ხელისუფლებაა მარადიული. ერთადერთმა მე ვიცი თუ როდის დაგამხობენო და მძვინვარე ზევსი ჯურღმულში ჩააგდებს. შემდგომ ისევ ამოიყვანს ყნელეთიდან, ოღონდ ახლა არწივს მიუჩენს. ეს უკანასკნელი ყოველდღიურად უკორტნის ღვიძლს.

პრომეთეს ჰერაკლე გაანთავისუფლებს მონობის ჯვჭვისაგან. მოკლავს ზევსის არწივს. ალმასის ლურსმანს ამოაძრობს მკერდიდან. სანაცვლოდ პრომეთეც გაუმხელს ხვაშიადს, რომ ზევსი არაფინით უნდა შეეწყვილოს თეტიდას, პირიქით მოკვდავზე უნდა გაათხოვონ იგი, რომლისგანაც დაიბადება ტროას გმირი აქილევსი.

ამით მორჩება თითქოს პროტოიბერიელთა მიჯაჭვა და ახსნა კავკასიონის კლდეზე (ზ. გამსახურდია), მაგრამ საქმე გაცილებით რთულადაა.

ყველაფერი იწყება ოქროს საწმისიდან. დედინაცვალი მოითხოვს ფრიქსეს მსხვერპლად შეწირვას, რათა ორქომენი გადარჩეს ხვატისაგან. ჰელე ამაოდ ცდილობს ძმის განთავისუფლებას. ამ დროს მათი დედა გამოაგზავნის გრძნეულ ოქროს ბეწვიან ვერძს, რომლის ფართო ზურგზე მოკალათდებიან და-ძმანი და გაიქცევიან. დარდანელის სრუტესთან ჰელე ჩამოვარდება ვერძიდან. ამიტომაც დაერქმევა მას ჰელესპონტი. ფრიქსე განაგრძლობს მსვლელობას კოლხეთისაკენ. კოლხები აღფრთოვანდებიან ოქროს ვერძით, ვინაიდან ბედნიერების მომტანია იგი ნებმისმიერი ერისათვის. ვერძს მსხვერპლად შესწირავენ ჰელიოს ღვთაებას. ხორცს თავად ინებებენ, ხოლო ტყავს ხეზე ჩამოჰკიდებენ. გაივლის წლები. ფრიქსე აიეტის ზედსიძეა. მას არსდროს ეღირსება კოლხეთიდან გასვლა. ამისთანა ვითარებაში იაზონი ამოტივტივდება ასპარეზზე, ვინაიდან მამის ხელისუფლების წამრთმევი ბიძა ამისთანა პირობას წაუყენებს: თუკი ოქროს ვერძს ჩამოიყვან, მეფედაც ეკურთხებიო. იაზონი შეასრულებს ამ დავალებას მედეას დახმარებით. მაგრამ არსი ზედ წარწერილი სიბრძნეა, რომლის წაკიხვა არ ძალუძს ბერძენს და ამისთვისაც ათავისუფლებენ ქურუმ პრომეთეს. და როდესაც მისგანაც ვერ მიიღებენ სასურველ ინფორმაციას, მოაკვდინებენ. ახლა პრიამეს სამშობლოს — ტროას მიმოლეწავენ ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად, მაგრამ იქაც ვერაფერი იძებნება, ოქროს ვერძის საიდუმლოება მასზე წარწერილი ფორმულები დახურული დარჩება ბერძნული სამყაროსათვის — ვინაიდან დაბალი განვითარების ადამიანს არ შეიძლება მაღალგანვითარებული იარაღი ჩაუდო ხელში. ეს საყოველთაო კატასტროფის მომასწავებელია,მსგავსი კატასტროფა უკვე დატყდომია თავზე დედამიწას ატლანტიდის იავარქნის სახით. (გ. ოტობაია).

ქართული დიასპორა რუსეთში: მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი. დიასპორის პარამეტრები 700 000 (ა.პუტინი). დიასპორის შემადგენლობა პროცენტებში. დიასპორის ფსიქოლოგიური სახე. აქვე გადასინჯულია ი. სტალინის „კლასიკური" ფორმუ ლა ერის განმარტების თვალსაზრისით, რომ ერი არის: ენის, სარწმუნოების, ტერიტორიისა და ეკონომიკურ ერთიანობათა კონგლომერატი. აქ 21-ე საუკუნეში ერის ცნებიდან ამოვარდნილია ტერიტორია და მას ჩაენაცვლება ინტერნეტი ანუ ინფორმაციული სიხშირე. ჩინეთის კედელმა დაკარგა მნიშვნელობა. თავის დროზე იგი აიგო როგორც ჩრდილოეთის ტომების შემოტევისაგან დამცავი მექანიზმი, ამიერიდან კი უკვე ანაქრონიზმია. ინფორმაციის შეკავება შეუძლებელია, როგოც წყლის ნაკადისა თუ მზის სხივსა.

აგრეთვე დარღვეულია ერის ცნების მთავარი ბურჯი ენა — არიან ქვეყნები, რომლებიც სხვათა ენაზე საუბრობენ, მაგრამ სამშობლო გააჩნიათ და ეროვნეული თავმომწონეობითაც გამოირჩევიან — არგენტინელები, ბრაზილელები და ა.შ. ამერიკის შეერთებულ შტატებში გუშინ თუ გუშინწინ მონათმფლობელური ურთიერთობის თეთრკანიანი და ზანგი თანამეწყვილეები არიან დღეს, როცა ამ მიწა-წყლის ნამდვილი მეპატრონენი, ინდიელები რეზერვაციებში ღაფავენ სულს (აკ. ბაქრაძე).

.. აუცილებელია ჩვენი აბსტრაქტული ავტორი შეძლებისდაგვარად გადასწვდეს დიასპორებს ირანსა და თურქეთში.

ფერეიდნელი ქართველები 300 000 აღემატება ირანში. მათ სარწმუნოება შეიცვა ლეს უკლებლივ, მაგრამ ენა შეინარჩუნეს და იერი. იმედივით ბჟუტავს მათში სამშობლოს სიყვარული, დედა საქართველო.

თურქეთის ლაზისტანსა და ქართველობაშიც იერ-აღნაგობა ქართულია, მიუხედავად სარწმუნეობრივი განსხვავებულობისა. მათშიც ბჟუტავს თავდაპირველი სამშობლოს განცდა, თუმცა ისინი ბიზნესში ფრიად წარმატებულები გახლავან და 2-3 მილიონი ლაზი საქართველოს იქით მიერთებაზე ოცნებ ობს „პატრიოტული" სულისკვეთებით.

აუცილებელია ჩვენი ინკოგნიტო ავტორი ჩაუღრმავდეს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში განთესილი ქართველობის ბედ-იღბალს. სტატისტიკური მონაცემების მოშველიებით დასადგენია ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციის სიდუხჭირე საბერძნეთში, ესპანეთსა თუ გერმანიაში. თავად აშშ-ში ჩვენი ექიმები და ინჟინრები ბავშვებისა და მოხუცების მომვლელებად არიან ჩასულები, თანაც ძირით ამერიკელების ოჯახებში კი არა, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად განსახლებულ რუს ებრაელობაში. ნინოს წაადგება უამრავი კურიოზულ მაგალითი, თუ როგორ ირჩენენ უცხოეთში თავს ქართველი ოსტაპ ბენდერები და კვაჭი კაჭანტირაძენი: პადბოროკ-ბლომანჟეთი აღჭურვილან ისინი, მძღოლები წაუმუხრუჭებენ რომელიმე ზანგ კოლეგას, დაიჯახებენ და ფულს ააცინცლავენ. ან ეროპის გაქათქათებულ მაღაზიაში ტელეკამერის წინ იღლიაში ამოიჩრიან რაიმე ნივთს, მერე მოხერხებულად მიმალავენ და გასვლისას, ოდეს გაჩხრეკვას მოსთხოვს გამყიდველი, მოიწვევენ ადამიანის უფლებათა დამცველს და ამგვარი გზით გააქვთ თავი, ან კიდევ უკიდურესი, სუტინიორობით, ტრეფიკინგითა და არატრადიციული სექსუალური მომსახურებით ლამის გაუკუღმართებულ ევროპაში. დასკვნები ფრიად სულისშემძვრელია.

ჰოდა, ჩვენი მომავლის ბელეტრისტი ბუნებრივია ერთხელაც დაუნჯებით გადაავლებს თვალს საკვლევ მასალას, მის სამკვიდრობელ ადგილს, მატუშკა რუსეთს, მოსკოვს, გადავლებს თვალს ბიზნესმენებს, მეცნიერებს, ხუბუტიებს და ბოკერიებს, სოტკილავებს და კიკაბიძეებს, დაბოლოს, ამნაირად ჩამოაყალიბებს საზრისს: ქართველთათვის უფრო უკეთესი ჰუმუსი საცხოვრებელი პირობებისა და მოღვაწეობის თვალსაზრისით, ვინემ რუსეთია, მთელს დედამიწის ზურგზე არ არსებობს. **აქედან ფორმულამდე ერთი ნაბიჯია:** რუსეთი — ქართველების მეორე სამშობლო!

დარწმუნებული ვართ უფრო ფასეული ნაწარმოები ქართველთათვის „ვეფხისტყაოსნის" შემდეგ დანამდვილებით არ იარსებებს დედამიწის ზურგზე. ასეთი წიგნის დაწერა უფლის კარნახითაა. ამნაირ თხზულებას, დანამდვილებით გვჯერა , სულ რაღაც ორ-სამ წელიწადში გაართმევს თავს ქართველების სადიდებლად და ასაღორძინებლად მომართული ჩვენი შთამომავალი, ვინაიდან წერილა: ყოველი ერი უფალმან ამხილოს ამითა ენითაო.



# მაკარ გაბრავა

**ფსიქოლოგი**

## მკურნალობის ფსიქო-აპი-ფიტო ანტისტრესული მეთოდი

**— ხალხური მედიცინა და  კოლხეთი განუყოფელი ცნებებია. მარტო ჰეკატეს ბაღი რად ღირს და თავად მედეას ფენომენი. მაგრამ მე მინდა საკითხს უფრო შორიდან შემოვუაროთ.**

**უფალი სამყაროს ექვს დღე-ღამეში ქმნიდა. მან ფლორა და ფაუნა უფრო ადრე გააშენა დედამიწაზე, ვიდრე ადამიანს გააჩენდა, ანუ შეამზადა მისი უსაფრთხო მოსვლის ფონი, შეამზადა ჟანგბადი. ამასთან სავარაუდოა, რომ ამ ბიოცენოზის სახით ცაბაოთმა ადამიანს  აფთიაქი დაახვედრა. სამოთხეში ადამიანი დახარბდა ხე ცნობადის ნაყოფს, მაგრამ მან ვერ მოახერხა სიცოცხლის ხის ნაყოფის დაგემოვნება და ამიტომაც მიისწრაფის გამუდმებით უფლისეული წალკოტისკენ. ჩვენ ნახევარ ზღაპრად მივიჩნევთ ამ პასაჟებს, სინამდვილეში კი მაცხოვარი კონგენიალურია. ადამიანს შეუქმნა ნებისმიერი სნეულების მოსარჩენი მცენარე, ოღონდ შენ ამოიცანი და შეუწონასწორე შენს ფიზიკურ-სულიერ  ვითარებას.**

**აი, დაახლოებით ის სურათი, რომელიც ადამიანს ებოძა უფლისაგან მატერიალურად. თანამედროვე ადამიანი კი ფარმაკო-ინდუსტრიის ბოძებულით იჭყიპება...**

**თავად თქვენ  როგორ უყურებთ  იატროგენულ მოვლენებს? რამდენად მართებული გგონიათ ყოველივე? აკი, უფალი სნეულებს ზღვის პირას ჩაიყვანდა ხოლმე შებინდების ჟამს და ათავისუფლებდა ავადმყოფობისაგან. თან ამისთანა ფრაზასაც დასძენდა აუცილებლად: „რწმენამან შენმან განგკურნა შენო.“  მაგრამ, მოდით, თანამიმდევრობით მივყვეთ:**

**მაინც რას წარმოადგენს ადამიანი თავის გარემომცველ სამყაროში, ჯერ პლანეტა დედამიწის და შემდეგ კოსმოსის მასშტაბით?**

მ. ბ. **:** — ადამიანად ყოფნის ძირეულ საკითხებზე კაცობრიობა დასაბამიდან ფიქრობს. ამ ტრანსცენდენტალურ ცოდნაში ქართულ გონსაც უდევს თავისი წვლილი. შევეცდები ამ ურთულეს საკითხებზე, უბრალო და გასაგები ტერმინებით გადმოგცეთ ჩემი მოსაზრებები.

სამყარო ერთიანია, მის ხილულ და უხილავ საგნებსა და მოვლენებს შორის  არსებობს იმდენად მკაცრად განსაზღვრული კავშირ-მიმართებები, რომ შეუძლებელია, ის ვინმეს, ანუ უნივერსალური გონების ჩაურევლად, თავისთავად შექმნილიყო. ადამიანი უფლის ქმნილებაა და მისი დანიშნულება

დედამიწის მოვლა-პატრონობაა. იმისთვის რომ უპატრონო რაიმეს ან ვინმეს, საჭიროა თავადაც მუდმივი განახლების პროცესში იყო. ამის გამოც, მთელი სამყაროს კანონზომიერება მიკრო მასშტაბით ჩვენშია მოცემული.

ადამიანი დროითი არსებაა. უმაღლეს ფასეულებას — სიცოცხლეს იგი ინარჩუნებს მხოლოდ მუდმივად განახლებულ მემკვიდრეობაში. ამიტომაც, ყოველი ადამიანი არსება- შივე იძულებულია გაიაროს ფიზიკური, მატერიალური და სულიერი თვითგანახლება. ფიზი- კურ განახლებას უცილებლად სჭირდება საგნობრივ-მატერიალური ყოფიერება. სწორედ ამიტომაა ცხოვრება მუდმივი ხასიათის ბრძოლა მატერიალური კეთილდღეობისათვის. ანუ ნებისმიერი ადამიანის არსებობის შინაარსი მოპოვებაა, ხოლო საზრისი — სიცოცხლის მიზ- ანი — კულტურშემოქმედება.

კულტურშემოქმედების დამკვეთია სოციუმი, საზოგადოება, ერი, ხოლო შემსრუ- ლებელი, მოქმედი სუბიექტი, პიროვნებაა. სხვადასხვა ეპოქაში, რომელიმე ეთნოსი, ხალხი, საზოგადოება, ერი, დედამიწის გარკვეულ რეგიონში კონკრეტულ ცივილიზაციებს ქმნიდა და ამით თავის ძირითად ფუნქციას ასრულებდა, ე.ი. უვლიდა და პატრონობდა დედამიწის კონკრეტულ ადგილს („ადგილის დედას").

**— დროთა ხანიერებაში ერები და ცივილიზაციები იცვლებიან, ზოგჯერ ქრებიან კიდეც.**

მ. ბ.: — მაგრამ შედარებით მუდმივი რჩება სიცოცხლე დედამიწაზე პერიოდად განახლებულ სახელმწიფოებში. ადამიანის დანიშნულება, ცხოვრების შინაარსი და ყოფნის საზრისი მუდმივ აქტივობასა და ბრძოლის პროცესში მიმდინარეობს. თვით სიციცხლე, სასიცოცხლო სისტემების, შეთანხმებული და განუწყვეტელი ერთიანობაა ინდივიდუალურ და განუმეორებელ მთელში. ამ ერთიანობას განსაზღვრავს ნერვიული და ენდოკრინული სისტემების შეთანხმებული მოქმედებები, რომლებსაც აკონტროლებს, არეგულირებს და მართავს ფსიქიკა.

ადამიანი, სადაც უნდა იყოს ის, მისგან დამოუკიდებლად თან სდევს დანიშნულება, მოქმედების შინაარსი, საზრისი და მიზანი. ამდენად ადამიანი მოტივების, ანუ მოქმედების ფასეული მიზეზების მატარებელი არსებაა. მას, როგორც ინდივიდს გააჩნია ასახვის ორგანო — ფსიქიკა. მისი მატერიალიზებული ფორმა არის ტვინი. ადამიანი ყოველთვის რომელიმე სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი, ასევე მისი ინტერესების მატარებელი და დამცველია. მას, როგორც პიროვნებას აქვს ცხოვრების გამოცდილება, იგი ატარებს გარკვეული ზომის ცოდნას და აუცილებლად არის რომელიღაცა კულტურის პროდუქტი. იგი უნებურად ჩართულია სამყაროს მუდმივ განახლებაში. განახლება ბრძოლაა, სადაც ჩვენ ვიღებთ ინფორმაციას, როგორც ფიზიკური, ასევე კოსმოსური სინამდვილიდან. ჯანმრთელი სიცოცხლე ორგანიზმის მიერ მიღებულ ინფორმაციაზე დროული რეაგირება, ადეკვატური ფორმით ადაპტირება და მათ საფუძველზე სასიცოცხლო პროცესების ორგანიზმისათვის საჭირო ერთიან რეჟიმში იძულებითი მოქცევა და მართვაა.

კონკრეტულად ნებისმიერი მოქმედი სუბიექტი ერთდროულად იღებს უამრავ ინფორმაციას ჩვენს გარშემო არსებულ საგნებსა და მოვლენებს შორის მიმდინარე პროცესებზე და მათ მიმართებებზე. მაგრამ, როგორც წესი, ყოველი ადამიანი ინფორმაციას იღებს გარკვეული ათვლის სიტემიდან, ანუ ყველა თავისი ფანჯრიდან იყურება. იგი ყოველთვის გარკვეული ასაკის, გამოცდილების, სოციალური ჯგუფის წევრი, მისი ინტერესების და ფასეულობათა მატარებელი და დამცველია ადამიანს მოვლენათა ცვალებადობის მიმართ აქვს გარკვეული წინასწარი მზაობები — განწყობები და დამოკიდებულებები, ამიტომაც ერთი და იგივე ინფორმაცია, მოვლენა, ან ფაქტი აღქმის სხვადასხვა სუბიექტში განსხვავებულ განცდათა სპექტრს, ანუ განსხვავებულ ემოციურ დატვირთვას იწვევს.

ადამიანი არ მარტო ბიოლოგიური არსებაა. იგი ამავდროულად პიროვნებაცაა. რაც იმას ნიშნავს, რომ მას გააჩნია ღირებულებები. მოვლენები იცვლება არა მარტო მატერიალურ სამყაროში, არამედ ოჯახში, მცირე სოციალურ ჯგუფებში, იქსადაც ადამიანი მოღვაწეობს, საზოგადოებაში, შენს ქვეყანაში, რომელიც შენთვის მარტო სახელმწიფო კი არაა, არამედ სამშობლოცაა, ის ცვლილებები, რომელიც ეწინააღმდეგება შენი ცხოვრების წეს-ჩვეულებებს, ძირითად ფასეულობებს, იწვევს ადამიანში უსიამოვნო, ანუ უარყოფითი შინაარსის განცდებს, რაც ბუმერანგივით გვიბრუნდება უკან და ახდენს ჩვენში ზოგადი ხასიათის სასიცოცხლო პროცესების მოშლილობას. ამ გზით ვლებულობთ მასობრივი ხასიათის ნევროზებს და ვყალიბდებით, როგორც ნევროტული საზოგადოება. ამიტომაცაა რომ დღეს ძალიან ძნელია შეხვდე ჩვენს პირობებში ჯანმრთელ ადამიანს საზოგადოების, როგორც მქონებელ, ასევე უარსებოდ დარჩენილ ფენათა შორის.

ადამიანი ერთდროულად განუწყვეტლივ იბრძვის, როგორც თვითშენახვისათვის, ასევე

თვითგანმტკიცებისათვის. ცხოვრება წინააღმდეგობრივი ბუნებისაა. ინტერესთა კონფლიქტი, განსხვავებული პიროვნული თვისებები, დამკვეთის მოთხოვნათა სირთულე, არაადეკვატური მიმართებები, პერმანენტული წარუმატებლობები, იწვევს ემოციური ფონის, ანუ განცდათა ბუნებრივი ჯანსაღი სპექტრის რღვევას. ასეთი ადამიანი ხდება აგრესიული, მას ეუფლება დარდი, სევდა, ზოგჯერ პანიკა, ხანგრძლივი ხასიათის შფოთვა, ძლიერი ფსიქიკური დაძაბულობა — სტრესი. თუ იგი დროულად ვერ გამოვა ამ სიტუა- ციიდან, დროთა განმავლობაში ჩამოუყალიბდება ნეირო, ანუ ფსიქოემოციური ტრავმა. რაც პირველ რიგში გაფრთხილების სახით ადამიანში იწვევს ფუნქციონალურ მოშლილობებს — ავადმყოფობას. თუ კი პაციენტს დროულად არ ეშველა ასეთ შემთხვევაში, იგი გადავა უფრო მძიმე ხასიათის ფორმაში, ორგანულ ცვლილებებში, ანუ დაავადებაში.

სიცოცხლე ღია თვითრეგულირებადი სისტემაა. ორგანიზმში მარეგულირებელი ფუნქციები ძირითადად დადებით ემოციებს უკავია. ღმერთი ჩვენშია, ანუ ის სიყვარულია, მიგვანიშნებს იმაზე, რომ სასიცოცხლო ფუნქციების სრულყოფილი მიმდინარეობა ჩვენში განსაზღვრულია დადებითი ემოციური სპექტრის მეშვეობით. ,,ბოროტსა სძლია კეთილმან...‘‘ ანუ კეთილი ადამიანი დიდხანს ძლებს, იმიტომ რომ ის ჯანმრთელია, რადგან მასში ემოციური ფონი, ანუ განცდათა სპექტრი არაა დარღვეული. ადამიანის ჯანმრთელობა პირველ რიგში, საკუთარ თავთან ჰარმონიაზეა დამოკიდებული. თუ არ ეწინააღმდეგება საკუთარ ,,მეს‘‘ ე.ი. თუ შენს გრძნობებსა და გონებას შორის კონფლიქტი არ არის, მაშინ შენს ორგანიზმში არ ხდება სულიერი და ფიზიკური საფუძვლების რღვევა და შედეგში აღარც ავადმყოფობა იარსებებს.

სწორედ ამ შინაარსის სიღრმისეული ანალიზი აქვს მოცემული ი.ჭავჭავაძეს ტარიელისა და ავთანდილის ფსიქოტიპების შედარებისას პუბლიკაციაში ,,აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი‘‘(1887): ,,გულისთქმა, რომელსაც ვეც ხორცი უძლებს და ვერც სული და რომელიც ჭკუას გონებას მთლად იმორჩილებს, როგორც ზარი, ელდა, მეხი, რაკი კაცს ჭკუა და გონება გამოეცლება ის მკვდარია საქმისათვის და მოქმედებისათვის... ამისთანა კაცი სუსტია, უღონოა, უქმია, ერთი სიტყვით სნეულია.‘‘

**— საკუთარი ემოციების მართვის, წონასწორობის აუცილებლობას ქადაგებს არა ერთი ძველქართული, კოლხური, თუ აღმოსავლური არაკი, მითი. ამის თაობაზე უამრავი ფილოსოფიური სკოლა მიუთითებს ბუდიზმიდან მოყოლებული: კონფუცი, ზოროასტრიზმი, მართლმადიდებლობა... დეზორიენტაციას მეგრულში აბორჯება ჰქვია, დროის შეგრძნება დაკარგული, დაბნეული, მხარაცვლილი. . ესე იგი ადამიანი რაღაც ელექტრული აღნაგობის ბალანსია. კოორდინატთა სისტემის იქს ღერძზე დადებითისკენ ერთის მიმატება იწვევს უარყოფითის ერთით ნაკლულობას და მარჯვენა მხარეს უკვე ორი ერთეულით მეტი აღმოაჩნდება ვიდრე მარცხენას, მაგრამ, დიახაც, ამ ორით ნაკლულობაა ადამიანის დეზორიენტაციის საფუძველთა საფუძველი. ჰოდა. აბორჯებული ადამიანი ცდომილ გადაწყვეტილებებს იღებს ყოველ ნაბიჯზე და ბუნებრივიცაა მისი მიზანი გაცუდებულია, ყველა შედეგი ზადიანია.**

მ. ბ.: — ელექტრლ ბალანსზე ოდნავ ქვემოთ აუცილებლად ვისაუბრებთ, ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე კვლავ მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო: ემოციების მართვე ის აუცილებელი უნარჩვევაა, რომელსაც ადამიანი ჯანმრთელობის შენარჩუნებით ცხოვრების პირადი მიზნის მიღწევამდე მიჰყავს; ვინც საკუთარი ემოციების მართვას ვერ ახერხებს, მას არამც თუ მიზნის მიღწევა არ შეუძლია, არამედ ჯერ ფიზიკურად უძლურდება და მერე აუცილებლად ავადდება.

აღზრდა და თვითაღზრდა საკუთარი ემოციების მართვის წესების დაუფლებაა. სწორედაც რომ საზოგადოებრივი აღზრდის მაიძულებელი წესებია ზოგადად მოცემული ყველა ხალხის ტრადიციულ წეს-ჩვეულებებში. დღეს ჩვენ ძალიან აქტიურად ვებრძვით ვსპობთ მათ, რის სავალალო შედეგებსაც ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში უკვე ვიმკით.

ადამიანები ყოველთვის საკუთარი ცოდვების გამო ვისჯებით, რადგან ის ყოველთვის ბუმერანგივით გვიბრუნდება უკან. მართალია, ჩვენ ყველანი ცოდვილები ვართ, მაგრამ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ დავიმორჩილოთ გულისთქმა და მოვერიდოთ ადამიანისათვის მომაკვდინებელი ძირითადი ცოდვების ჩადენას. კერძოდ: ამპარტავნობას, მუცელღორობას, ავხორცობას, შურს, აგრესიას, უსასოობას, თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ დარჩენილი სიცოცხლე ჯოჯოხეთად არ გვექცეს.

სწორი ცხოვრების წესი, კეთილი მიზანი, და სიცოცხლის სურვილ განსაზღვრავს ამ ქვეყნად ბედნიერ და ხანიერ სიცოცხლეს. ამიტომ გინდა თუ არა ეს შენ, ვალდებული ხარ აიძულო საკუთარი

თავი გახდე კეთილგონიერი და ზნეკეთილი ადამიანი. ჩემის აზრით ესაა ადამიანის ჯანმრთელობისა და მისი შენარჩუნების ყველაზე კარგი პრევენციული ზომა. რა პირობებში შეიძლება ამ შინაარსის საზოგადოებრივი გაჯანსაღების დონის მიღწევა. ალბათ, მხოლოდ მაშინ, როცა ქვეყანაში დაცული იქნება ადამიანის ყველა ძირითადი უფლება.ამიტომ სჭირდება ნებისმიერ ხალხს სახელმწიფოებრივი მოწყობა, დამოუკიდებლობა და თავისუფლება, ვინაიდან პიროვნების თავისუფლების გზა მხოლოდ ერის თავისუფლების გზაზე გადის.

**— მოვუბრუნდეთ ელექრულ ბალანსს და მის მარეგულირებელ სისტემას ოროგანიზმში.**

მ. ბ.: — ადამიანის ანატომიის შესწავლას გაცილებით უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს, ვიდრე ფსიქიკის კანონზომიერებისას. რთულია ამ ფორმატში დეტალიზირება. ამჯერად მოგახსენებთ მხოლოდ უდაო ცნობილ ფაქტებს. ნერვიული სისტემა უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოა. თოთოეულ ორგანოს, ქსოვილს თუ უჯრედს თავისი ზედამხედველი ნერვი ჰყავს. ის არა მარტო აკონტროლებს თითოეული მათგანის მუშაობას, არამედ აიძულებს მათ იმუშაონ სხეულისათვის საჭირო აუცილებელ საერთო რეჟიმში. ამით ის არეგულირებს ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებს, ანუ ინარჩუნებს მათ სიცოცხლისუნარიანობას. გასაგებია, რა ხდება ორგანიზმში, როდესაც სიცოცხლისუნარიანობაზე პასუხისმგებელი დუნდება, ზიანდება და მიუხედავად ორგანიზმის თვითორგანიზების, ფუნქციონალური ცვალებადობის, რეზერვების დუბლირების საოცარი უნარისა, ნერვიული სისტემის დაზიანებულ ნაწილს დაქვემდებარებული უბანი ,,ეთიშება‘‘ სხეულის სხვა ნაწილებს და დროთა განმავლობაში ეს აუცილებლად რომელიმე ორგანოს დაავადებით მთავრდება. ამ მაკონტროლებელი სისტემის ელექტრული ბუნებაც საკმაოდაა შესწავლილი ბიოფიზიკაში, ფიზიოლოგიაში. სხვათა შორის სულაც არაა შემთხვევითი მატყლის აქტიური გამოყენება სხვადასხვა დაავადებების დროს. მისი სწორედ ელექტრიზაციით განსაკუთრე- ბული თვისების გამო ძველ საფრანგეთში გალვანო აბაზანებს იყენებდნენ სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის.

ნერვიული სისტემის მოქმედებას ისე არაფერი აფერხებს, როგორც სტრესი და მოულოდნელი ხასიათის დიდი ძალისხმევის ემოციები. მე პირადად გამიჭირდება ისეთი სომატური დაავადების დასახელება, რომ მის მიზეზებს შორის მთავარი ადგილი სტრესს და ფსიქოემოციურ ტრამვას არ ეკავოს. აღნიშნული მოვლენებისადმი ყველაზე მგრძნობიარეა, მოგეხსენებათ სიცოცხლის კვლავწაომოების ინსტრუმენტი, ანუ სქესობრივი ორგანოები.

**— სწორედაც რომ ამ ყველაფერს აქვს გარკვეული საფუძვლები ადამიანის ანატომიიდან. ჯერ ერთი, როცა იგი ფეხზე წამოდგა, ან უფრო სწორედ ორ ფეხზე წამომდგარი ამყარებდა სქესობქრივ კავშირს თავის პარტნიორთან, რაც თანდათან ჩვევაში გადაიზარდა. ამიტომაც ეწოდა მას „ჰომო ერექტუს“. მაგრამ ამ გამართულმა სიარულმა ცნობიერ ტვინთან ერთად ადამიანს ერთი სუსტი ადგილიც დაუტოვა — წინა ჯირკვალი, პროსტატა. როდესაც იგი ცხოველურ, დაოთხილ მდგომარეობაში იყო, ეს წინა ჯირკვალი მოფარებულში იმყოფებოდა სხეულის სიღრმეში, მაგრამ გაიმარათა ადამიანი და მოშიშვლდა ისიც . ანუ ყველაზე მეტი დარტყმა მან მიიღო ბუნებისაგან: სიცივე, სიცხე, რადიაციული ფონი და ა.შ. შალის თასმების შემოხვევას წელზე დღესაც მისდევენ მაღალ სვანეთში. ამას უწინარესად პროსტატას დამცავი ფუნქცია გააჩნია. მაგრამ ჩვენმა წინაპრებმა უფრო თამამი ნაბიჯები გადადგეს და მათ დაიწყეს დისჰარმონიული ადამიანის გაწონასწორება.**

**ხელის თითების მიხედვით ადამიანის ცენტრი შუა თითზე გადის. ხოლო ფეხის კიდურების შესატყვისად კლასიკურ შემთხვევაში, ბერძნული ტერფი რომ ჰქვია, ცერის მომდევნო თითზე. როგორც წესი კლასიკურ ტერფს ეს თითი აქვს დაწინაურებული. სხვა ფორმები ყველა არასრულფასოვანია. ჰოდა, გადაწყვიტეს მისი გაწონასწორება სიმღერისა და ქორეოგრაფიის მეშვეობით, ანუ მიხვდნენ რომ წინა ჯირკვალი პირდაპირ კავშირშია ხოროხთან და ამ უკანასკნელის ჰარმონიზაციით მოახერხეს ქართველი ერის არამარტო ფიზიკური გაჯანსაღება, არამედ — გაწონასწორებაც. ამ მომენტმა გასაოცრად გარდაქმნა ჩვენი წინაპრის თავის ქალა და მისმა მოცულობითმა პარამეტრებმა საგრძგობლად გაუსწრო დანარჩენი რასის მონაცემებს. ეს ყოველივე შეუმჩნეველი არ დარჩენია ფილოსოფიას, კერძოლ, გეორგ ჰეგელს როცა აღნიშნავს, ევროპეიდული რასა ქართველებიდან იწყებაო.**

**წინა ჯირკვალისა და ხორხის ურთიერთკავშირი უეჭველია. გვაინტერესებს თქვენეული დამოკიდებულება ამ მიიმართებით. თქვენ ხომ ფილტვებს ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად მიიჩნევთ ნებისმიერი ავადმყოფობის მორჩენის გზაზე, ვინაიდან აღიარებთ, რომ ადამიანი შესაძლებლობის**

**მესამედით სუნთქავს და შესაბამისად ამდენივე ჟანგბადი მიეწოდება ტვინის უჯრედებს. ანუ ჩვენ არასწორი სუნთქვის გამო შესაძლნებლობის მესამედით ვაზროვნებთ.**

მ. ბ.: — არა ერთხელ მითქვამს, რომ გაჯანსაღების, სუნთქვითი ვარჯიშების (მედიტაციაზე რომ არაფერი ვთქვათ) უალტერნატივო, საუკეთესო საშუალება ქართული ხალხური სიმღერა და საგალობელია (კახურ ბანსა და გურულ კრიმანჭულს იოგების რომ ელი ვარჯიში შეედრება).

**— და მაინც, მკურნალობის მეთოდზე რომ გადავიდეთ, მოვუბრუნდეთ ჰარმონიას, წონასწორობას, ბალანსს.**

მ. ბ.: — აზრთა განსხვავებულ მრავალფეროვნებაში, სიცოცხლისა და ცხოვრების კანონთა ერთი შეხედვით შეუთავსებელთა თავსობადობაშია მთლიანი სამყაროს აგებულების, მისი ერთიანობისა და არსებობის ძირითადი პირობა. ამ რაობისაა სამყაროს ჰარმონია, სადაც ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. მაკრო სამყაროს ამ მოდელში გვინდა თუ არა ეს ჩვენ, მგელმა და ცხვარმაც ერთად უნდა ძოვონ. ჰარმონიის ამ უნივერსალური მოდელიდან ამოვარდნაა ავადმყოფობა. მკურნალის მოწოდებაც პაციენტის სამყაროს სრული ჰარმონიისკენ მიბრუნებაა. ეს ის კერძო მდგომარეობაა, სადაც ,,მეს'' შეგრძნებასა და გონებას არა აქვთ ერთმანეთთან კონფლიქტი.

ჩვენი სამშობლო საქართველო კოლხეთის ცივილიზაციის მესაკუთრე და იბერთა სახელმწიფოს მემკვიდრეა. ძველ ქართულ მედიცინაში, ბუნებრივია, მრავლადაა შემორ- ჩენილი კოლხური საიდუმლო სამკურნალო ზოგადი საშუალებები. უფრო მეტიც, საბოველთაოდ ცნობილია, რომ ტიბეტური მედიცინის ცოდნის დიდი ნაწილი ისტორიულად კოლხეთიდანაა გატანილი.

ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის მიზანი ადამიანის განკურნებაა. ამ ორი განსხვავებული საწყისისაგან ამოსულ სამკურნალო მიმართულებას საფუძველში არაფერი აქვთ ერთმანეთთან საწინააღმდეგო. პრობლემა აქ ჩემის აზრით მკურნალის პროფესიო- ნალიზმშია. როგორც ერთი, ისე მ ეორე მხარის წარმომადგენელს შეუძლია ადამიანისათვის როგორც ზიანის, ასევე სიკეთის მოტანა. პირველ რიგ ში აქ არჩევანი უნდა გაკეთდეს პაციენტის მდგომარეობის მიხედვით: თუ პაციენტს აღენიშნება მწვავე კლინიკური მდგომარეობა, აქ ერთმნიშვნელოვნად საქმე სამეცნიერო მედიცინის პრეროგატივაა, ვინაიდან უფრო მეტი ალბათობით შეუძლია ისხნას, გადაარჩინოს პაციენტი მოსალიდნელი საშიშროებისაგან. ხოლო, თუ ვინმეს აწუხებს რაიმე სახის ქრონიკული დაავადება, აქ არჩევანი თვით პაციენტმა უნდა გააკეთოს. გვერდითი მოვლენები შეიძლება გამოიწვიოს, როორც ფარმაკო ინდუსტრიის მიერ შექმნილმა პრეპარატებმა, ასევე თითქმის ერთი შეხედვით უწყინარმა ფიტო და აპითერაპიულმა პროდუქტმაც.

მკურნალობა ყველა შემთხვევაში ხელოვნებაა. მკურნალი უნდა იყოს პირველ რიგში ადამიანთმცოდნე, რაღაც ზომით ფსიქოლოგიც, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში პაციერტი, ანუ ადამიანია ავადმყოფი და არა რომელიმე ორგანო. უნდა დაადგინო რა აწუხებს მას. რამ მიიყვანა ის ამ მდგომარეობამდე, ამოფარებულია თუ არა იგი თავის ავადმყოფობას. უნდა თუ არა მას მკურნალობა, რამდენად მზად არის ის საამისოდ. რამდენად მართვადია ის (პაციენტს ხომ ყოველთვის სასიცოცხლო პროცესის თვითმართვის უნარი აქვს მოშლილი), და ა.შ.

მკურნალმა უნდა დააჯეროს პაციენტი საკუთარ შესაძლებლობებში, უნდა გაუჩინოს განკურნებისი სურვილი, ჩაუნერგოს მორჩენის იმედი, რომ მოუხსნას მას პანიკა, დააძლევინოს შიში, სევდა, რომ მისცეს მას რწმენა, რომელიც მკურნალს აუცილებლად ხელს შეუწყობს პაციენტის სასიცოცხლო ძალების მობილიზებაში. ბოლოს კი საჭიროა ადეკვატური სამკურნალო საშუალებების მიწოდება, რომელიც აუცილებლად გამოიღებს შედეგს — რწმენამან შენმა გადაგარჩინა შენ. ერთი სიტყვით მკურნალობა თვით მკურნალისა და პაციენტის რთული და ღრმა ადამიანური შრომატევადი თანამშრომლობაა, სადაც განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს მკურნალის პროფესიული, პიროვნული და ადამიანური თვისებები.

ჩემს მიერ შემუშავებული მკურნალობის ფსიქო-აპი-ფიტო, ანტისტრესული მეთოდი ამ პრინციპების გათვალისწინებითაა აგებული.

**— რუსთაველის იმპერატიული დასკვნა: თხა და მგელი ერთად ძოვდესო, ქართველთა და ალბათ, არა მარტო ქართველთა ოცნებაა დასაბამიდან... აი, ურთულესი დილემა კაცობრიობის თავზე. აქ ნაკლებად გამოგვადგება პროკრუსტესეული ხელოვნური დაჭიმვები და დამოკლებანი. პროკრუსტეს სარეცელი, დიახაც, დღეაპნდნელი ცდომილი მედიუმის სიმბოლო უფროა. ხოლო შენეული დამოკიდებულება მე უფლისეულ მიმართებად მიმაჩნია ადამიანური დეპრესიების ასალაგმავად.**

**საინტერესოა მაინც რა კატეგორიის პაციენტებთან გიხდებათ უფრო ურთიერთობა? როგორია მათი ზოგადი სახე? და რამდენ ხანს გრძელდება თქვენი ურთიერთობა? როგორია შედეგები? მე სასწაულების აუცილებლად მჯერა, თუკი ამ სასწაულების მოსახდენად ნოყიერი ნიადაგია შემზადებული. ზღაპრებს, სენსაციებს ჰყავთ თავიანთი მომხმარებლები.**

მ.ბ.: — ჩემს პაციენტებში ყველაზე მეტი დაავადებები ზემოთ აღნიშნული ასპექტით აღენიშნებათ. ცხადია, იგი ვლინდება სხვადასხვა ფორმით: ნერვიული და ფსიქიკური მოშლილობები; იმპოტენცია, პროსტატიტი, სექსომანია, ფრიგიდულობა, ორიენტაციის შეცვლა და ზოგიერთი კერძო ხასიათის სექსოპათოლოგიური დარღვევები — ალოპეცია, ჭარბი ცხიმიანობა — სებორეა, ეგზემა, ფსორიაზი, მარილების დაგროვება, კუჭ-ნაწლავის მოშლილობა, ჰემაროი, რევმატიზმი, გულსისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიები, თმის მამაკაცური ცვენა, ქერტლი და სხვადასხვა სახის სოკოვანი დაავადებები.

სოციალურ ფაქტორებთან ერთად ფსიქოემოციურ ტრავმაში უნდა ვეძებოთ აგრეთვე დღევანდელ დროში მოზღვავებული პროსტიტუციის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის ფარული მიზეზებიც. რამეთუ ტრამვირებული ფსიქიკა დროულად ვერ ხსნის სტრესს, რაც იწვევს აუტანელ დისკომფორტს და ბუნებრივია, ადამიანი იძულებული ხდება მიიღოს ანტიდეპრესანტები. მოგ,ეხსენებათ, მისი ხშირი მიღებისას ყალიბდება ადამიანში ფსიქოფიზიკური დამოკიდებულება. არა ყოველთვის, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, დიახაც, ასე ხდება, უკვე ახალი მეორადი დაავადების ჩამოყალიბება, მისი ფიქსირება და ქრონიკულ ფორმაში გადასვლა, რომელიც მის მატარებელ პაციენტს დროთა განმავლობაში აუცილებლად შესძენს გასაგები მიზეზების გამო კრიმინოგენურ მენტალიტეტს. სამწუხაროდ, ამ მიზეზებით ძალაუნებურად ხდება ის სოციალურად საშიში პიროვნება. ერთი სიტყვით, კრიმინოგენური მენტალიტეტის მიზეზი დევს სიცოცხლის როგორც ფსიქიკურ, ასევე სომატურ და ყოფის სოციალურ-ეკონომიკურ საფუძვლებში. დანაშაული ყველა სახელმწიფოში, ყველგან და ყოველთვის ისჯება, მაგრამ მისი პროფილაქტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების წესის გაჯანსაღებით უნდა იწყებოდეს და არა ჩაკეტილი ციხეებში ქურდულ გაგებასთან სასტიკი მეთოდებით ბრძოლაში. რადგან იქ, ბნელ ოთახში კატას ტყუილად ვეძებთ. ძაღლის თავი სინამდვილეში სულ სხვაგანაა დამარხული. და ბუნებრივია, იმ დიდი ძალისხმევის და სურვილის მიუხედავად ორმხრივი მსხვერპლის გარდა შედეგს ვერანაირს მივიღებთ.

**— გვინდა მეტი გვესაუბროთთქვენს პაციენტებზე. „თერაპიის სახლის" მომავალი თქვენეულმა პრაქტიკამ განჭვრიტა. მათაც უამრავი გამოცდილება დაუგროვდათ. არის იქ ერთი ქალბატონი, ლალი ანდრიაშვილი, რომელიც ბრონქიალური ასთმის პრობლემებზე მუშაობს. ვახსენე ჩვენი ოჯახის სამკურნალფორმო საშუალების შესახებ და სკეპტიკურად მოეკიდა ჩემს განცხადებას. არადა ათწლეულების მანძილზე დედაჩემ კლარა გელენახეს ათასობით ადამიანი მოურჩენია ბავშვიდან მოყოლებული მიხრწნილი მოხუცით დამთავრებული. საამისოდ კი 500 მილიგრამიდან ორ ლიტრამდე წამლის ხსნარია საჭირო. ამისთანა უამრავი სამკურნალო საშუალება გააჩნია კელხეთს საქართველოსთან ერთად.**

მ. გ.: — ვინც უნდა იყო შენ, გენიალური ადამიანიდან რიგით მოკვდავამდე, შეუძლებელია ცხოვრებაში არ შეხვდე სხვა ადამიანს, რომელიც რაიმე ნიშნით შენზე აღმატებულიმ არ იყოს. ასევე არ არსებობს განსხვავებული აზრი, გნებავთ სრულიად მიუღებელი, რომელიც არ შეიცავდეს რაიმე საგულისხმოს და დამაფიქრებელს. ცხადია, ასევე არ შეიძლება არსებობდეს რაიმე სახის ისეთი უნივერსალური მეთოდი, რომელიც ერთნაირად იმუშავებდა ყველგან და ყოველთვის ნებისმიერ პაციერტთან. მიმაჩნია რომ ყოველნაირ სიახლეს, თუკი ის არ არის მიმართული ადამიანისა და ადამიანურობის წინააღმდეგ, ფრთხილი, მაგრამ გულისხმიერი მოპყრობა სჭირდება. მით უფრო, რომ მას, როგორც წესი, ხშირ შემთხვევაში დროის მოთხოვნები განაპირობებენ.

ჰარმონიიდან მოწყვეტას პირველ რიგში განაპირობებს არასწორი ცხოვრების წესი, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ აუცილებლად მიგვიყვანს ამა თუ იმ დაავადებამდე, რომლის წინასწარი პროგნოზირებაც ადვილად შეიძლება. ჭკვიანი და დაკვირვებული მკურნალი აუცილებლად უნდა სწავლობდეს პაციენტის დაავადების წარომავლობას. ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ დაავადებათა თითქმის 50 პროცენტი მეორადია. ბოლომდე კი ამ შედეგს დღემდე არსებული ვერანაირი წამალი ვერ განკურნავს თუ პარალელურად არ ვიზრუნეთ დაავადების გამომწვევი ფაქტორების მიზანმიმართულ პროფილაქტიკაზე.

მეორე არსებითი მიზეზი დაბინძურებული გარემო პირობებში ცხოვრება და საქმიანობაა. დედამიწის ყველა რეგიონში ჭარბად აღინიშნება, როგორც ლოკალური, ასევე დიდმაშტაბიანი

ეკოდაბინძურებები. სამწუხაროდ დღევანდელ პირობებში ყოველივე ეს შედეგია თანამედროვე ცივილიზაციის, ასევე ხშირ შემთხვევაში ადამიანთა უმეცრებისა და დაუდევრობისა. ჩვენი ასეთი წინდაუხედაობა იწვევს, როგორც სხვადასხვა სახის დაავადებათა კონკრეტულ შემთხვევებს, ასევე კაცობრიობას უქმნის ეპიდემიისა და პანდემიის საშიშროებებს. მაგალითად, ჩვენს დღევანდელობაში ქათმის გრიპი და ა.შ.

**— მართალს ბრძანებით. ეკოსისტემა დაირღვა. ბუნებაში დისბალანსია. ჟანგბადი გაიშვიათდა. რადიაციული ფონი გაზრდილია. ვაფეთქებთ ატომურ ბომბებს მიწის თუ წყლის ქვეშ სემიპალატინსკსა და ნევადაში. ადამიანი გულმოდგინედ ჭრის იმ ტოტს , რომელზეც არხეინად იჯდა აქამდე. დედამიწაზე მომხდარი კატასტროფა დინოზავრების გაუმაძღარი მადის შედეგი ჰგონიათ მეცნიერებს. არაფერი ჰყოფნიდა მათ ღორმუცლობას და მცენარეული საფარველი პირწმინდად მოაშიშვლეს. ხელო შემდგომ, როცა გამყინვარების უჟმური დატრიალდა დედამიწაზე, კი მიაშურეს გამოქვაბულებს კვერცხების დასადებად და დადეს კიდეც ეს კვერცხები, მაგრამ ყინვამ იქაც მროასარგალა მათი სახსენებელი. ასე რომ, კლონირებასღა თუ შეუძლია დინოზავრის აღდგენა დღეს ან მათი მონათესავე პოპულაციების — ხვლიკების გენეტიკური კოდის გარდაქმნას რადიაციული ზემოქმედებით. იგივე სიტუაციაშია გვიმრის ბალახი და ხეები, ხე-გვიმრები. ადამიანი ამჩნევს თავის გარშემო არსებული ბიოსამყაროს კატასტროფულ ვითარებას და კოსმოსიკენ მიისწრაფის ახალი დედამიწის აღმოჩენის იმედით. მაგრამ მზის სისტემაში ჯერჯერობით ვერსად ფიქსირდება სიცოცხლისთვის ხელსაყრელი პლანეტა. შეგიძლიათ მიზეზთა ჩამოთვლა?!**

მ. ბ.: — მესამე მიზეზი ჭარბი მგრძნობიარობაა. ეს უქმნის ჩვენი დროის მედიცინას ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემებს. კერძოდ, ესაა სტრესის ჯანმრთელობაზე ზემოქმედება. ამ კატეგორიის ფსიქოტიპებს უჭირთ ძირითადი ფასეულობის მეორე ხარისხოვნისგან გარჩევა, რის გამოც ვღებულობთ გაუგებრობებს, ქაოსს, უარყოფითი ვალენტობის ძლიერ შეგრძნებებს. ასეთი ადამიანი განიცდიან ნამდვილი შეგრძნებების ნაკლებობას. ჩვენი ნერვიული სისქტემა ბოჭკოებისგან შემდგარი ფიზიკური სხეულია. ჩვენს სულს გარკვეული ადგილი უჭირავს სივრცეში და ის ჩვენშია მოქცეული. არ შეიძლება მას განუწყვეტლივ თრგუნავდე და არ დაისაჯო. რადგან ადამიანის არსებობის საფუძველი კეთილშობილური მიზანი და სიცოცხლის წყურვილია. ყოველ დაავადებას თან სდევს შიში, სასოწარკვეთა, პანიკა, რომელიც, როგორც წესი, ამცირებს პიროვ ნების გამოჯანმრთელების შანსს, ან სრულიად სპობს მას. ,,სასიცოცხლო ძალა'' ქვეყნად ყველაზე იდუმალი ძალაა. მას შეუძლია გამოჯანმრთელების იმედი რეალურ ბიოქიმიურ ცვლილებებად აქციოს.

ორგანიზმში მიმდინარე ბიოქიმიურ პროცესებზე არასასურველ ცვლილებებს იწვევს უარყოფითი ემოციები. დადებითი ემოციები კი პირიქით სასიკეთოდ მოქმედებენ მასზე. ე.ი. ჯანმრთელობის მომანიჭებელი ემოციებია. როგორც თქვენ ბრძანეთ, ,,თერაპიის სახლში'', ალბათ, ამ ფაქტორის გათვალისწინება ხდება მკურნალობის პროცესში. პროფესიონალმა მკურნალმა, ცხადია, მეტნაკლებად უნდა იცოდეს, როგორ გამოიწვიოს ფსიქიკური მართვის უნიკალური უნარი, დარაზმოს ,,სასიცოცხლო ძალა'' ავადმყოფობასთან საბრძოლველად.

დაავადების მიზეზების დადგენა, სწორი დიაგნოზი, ჯანმრთელი ცხოვრების წესისკენ შემობრუნება, ,,სასიცოცხლო ძალების'' მობილიზება და გააქტიურება, განკურნების ადეკვატური საშუალებების მიღება, მორჩენის რწმენა, მკურნალისადმი ნდობა, მოთმინება და შრომა (მკურნალობა ადამიანის აქტიური მოქმედება-შრომაა), ერთიანობაში განაპირობებს პაციენტის დროულ გამოჯანმრთელებას.

ნებისმიერ საზოგადოებაში გარდა დაავადებისა, არსებობს მოხუცებულობის პრობლემები. რაში ვლინდება ძირითადად იგი? ცხადია, სასიცოცხლო უნარების დაქვე- ითებაში. რა იწვევს მას ასაკობრივ ცვლილებებთან ერთად?! ძირითადად — მარილების დაგროვება, რევმატული დაავადებები და გულსისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიები. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ხალხური მედიცინის საგანძურში მე მივაგენი გენიალურ ცოდნას, რომლის მეშვეობით **ორ-სამთვიანი მკურნალობის** შემთხვევაში **ადამიანი** თვალსაჩინოდ გამოჯანმრთელდება და რამდენიმე წლითაც გაახალგაზრდავდება კიდეც. ჩემს პრაქტიკაში მე ამის მრავალი შემთხვევა მაქვს დაფიქსირებული. თუმცა ვაღიარებ, რომ მათთან მუშაობა, როგორც ფსიქოლოგიური, ისე სხვა თვალსაზრისითაც ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ჩვეულებრივ პაციენტთან.

ჩემი პაციენტების მნიშვნელოვან ნაწილს ალოპეციით, თმის მასობრივი ცვენის სხვადასხვა ფორმით დაავადებულები წარმოადგენენ. საგულისხმოა, რომ აშშ-ში ყოველწლიურად ალოპეციის

პრობლემების სამეცნიერო კვლევაზე 250 000 დოლარზე მეტი იხარჯება. სადღეისოდ ამ დაავადების სხვადასხვა ფორმების სამკურნალოდ გაერთიანებული ძალებით იბრძვიან საფრანგეთის, გერმანიის და შვეიცარიის ექიმ-მეცნიერები. მათ ერთობლივი ძალებით შექმნეს ხბოს ფარისებრი ჯირკვლისაგან დამზადებული ჰორმონალური პრეპარატი, რითაც 19 თვეში ამოჰყავთ თმა.

დაბეჯითებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ ამ დაუდგენელი ეტიოლოგიის დაავადების გენეზისიც ფსიქოემოციური ტრავმაა, რომელსაც იწვევს სტრესი, ანუ ძლიერი ფსიქიკური დაძაბულობა, რომლის შედეგად ირღვევა ორგანიზმში ნერვიულ და ენდოკრინულ სისტემათა შეთანხმებული მოქმედება. რის შედეგად იშლება სხეულში კორტიკოსტეროიდების ბუნებრივი ბალანსი. ყალიბდება ორგანიზმში თმის ტოტალური ცვენა, პოტენციის დაქვეითება და ხშირ შემთხვევაში უშვილობა. საზოგადოება ნაკლებქადაა ინფორმირებული ამ დაავადების შესახებ. ერევათ იგი (მძოვარაში), თმის ბუდობრივ ცვენაში, რომელსაც იწვევს თმის სოკო, ე.წ. კრეჭია სებორეა. მედიცინაში დღესაც საკამათოა ალოპეციის გამომწვევი მიზეზები, რაც პაციენტებში დამატებით შიშს, პანიკას და დეპრესიას იწვევს. ის შეუქცევადი შედეგები, რომლებიც მე ამ ტიპის პაციენტებთან მაქვს, დაავადების პირველ, მეორე და მესამე სტადიაში სწორედ რომ ფსიქო, აპი, ფიტო მეთოდების ერთდროული გამოყენების შედეგია.

რადგანაც თმის ცვენა, ქერტლი, ჭარბი ცხიმიანობა არ იწვევს უშუალოდ ადამიანის სიკვდილს, ერთი შეხედვით საზოგადოებრივად ნაკლებად აქტუალურია. რა არის თმა და რა იწვევს თმის ცვენას? თმა ორგანიზმის ბიოლოგიური ანტენაა. მისი მეშვეობით ორგანიზმი იღებს ინფორმაციას, როგორც ფიზიკური, ასევე კოსმოსური სინამდვილიდან. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე ხდება სასიცოცხლო ფუნქციების შეთანხმებული მართვა და ოროგანიზმის გარემოსთან შეგუება. ე.ი. თმა გარკვეული გაგებით ორგანიზმისათვის სიცოცხლის თვითშენახვის ინსტრუმენტია. დადგენილია, რომ თმიანი ადამიანები შედარებით უფრო დიდხანს ცხოვრობენ, ვიდრე უთმო, მელოტი ადამიანები. გარდა თვითშენახვისა, ჩვენ უკვე ვიცით რომ ადამიანი განუწყვეტლივ იბრძვისი თვითგან-მტკიცებისათვის. თმა აქაც გარკვეულ აქტიურ როლს ასრულებს. ვინაიდან კარგი თმა ეს ესთეტიკაა. მშვენიერი ადამიანი საზოგადოებისათვის უფრო მისაღებია და ის (კარგი გაგებით) გარკვეულწილად საშვია ადრესატისათვის საზოგადოებაში საკუთარი ადგილის მოსაპოვებლად. ნებისმიერ ადამიანს გარდა საქმიანობისა, საკუთარი ,,მეს‘‘ რეალიზაციისათვის აუცილებლდად სჭირდება საპირისპირო სქესის განმამტკიცებელი. თმიანი ადამიანი ნაკლები სასიცოცხლო ენერგიის ძალისხმევით ახერხებს სასურველი შედეგის მიღწევას. ის ნაკლებალდ კომპლექსდება და საზოგადოებაში აღწევს ,,მეს‘‘ სრულ თვითრეალიზაციას. ანუ ის ხდება წარმატებული, რომელიც პირველ რიგში აუცილებელი პირობაა ადამიანური ბედნიერებისათვის. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თმის ცვენას იწვევს ძლიერი სტრესით გამოწვეული ფსიქო- ემოციური ტრავმა, რომელთა დროსაც ადგილი აქვს ხერხემლის მალებიდან თირკმელზედა ჯირკვალზე და ფილტვებზე მიმავალი ნერვიული ძარღვების ქრონიკულ შეკავებას, მოდუნებას, რის გამო ირღვევა ენდოკრინული და ნერვიული სისტემებს შორის ბუნებრივი კავშირი, არ გამოიყოფა საჭირო რაოდენობის კორტიკოსტეროიდები და ბუნებრივია, ფილტვები და თირკმელზედა ჯირკვლები ნელ-ნელა კარგავენ კანსა და თმის მდგომარეობაზე ორგანიზმის მიერ მინდობილი მაკონტროლებელ ფუნქციას.

მეორე ძირითადი მიზეზი თმის ცვენისა არის სოკოვანი ინფექციები. თანამედროვე მედიცინაში დადგენილია, რომ არსებობს ადამიანის პარაზიტი სოკოები: კანის, ლორწოვანი გარსის რა რქოვანას (თმისა და ფრჩხილების) განსხვავებული სახეობები. უფრო მეტიც, თითოეულ მათგანს როგორც თმაზე, ისე მის განსაზღვრულ ადგილებში ჰყავს მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი სოკოები და ბაქტერიები. **როგორ დაუჯერებქლადაც არ მოგეჩვენოთ, ქართულ ხალხურ მედიცინას აქვს სოკოს, როგრც პროფილაქტიკის, ისე მისგან სრული განკურნების საშუალებები. მე პირადად მაქვს ფიტო-პროდუქტი, რომლითაც შემიძლია მოვარჩინო ნებისმიერი ადამიანი,ი ნებისმიერ ასაკში თმის სოკოსაგან და დავიცვა ყოველი მათგანი გამელოტებისაგან.**

**— თუ შეიძლება დააკონკრეტეთ თქვენი მკურნალობის ეფექტურობის საფუძვლები.**

მ. ბ.: — მკურნალობის ანტისტრესული მეთოდის საფუძვლებია:ფსიქოთერაპია დაფუძ- ნებული დ. უზნაძის განწყობის თეორიასა და კლასიკურ ფსიქოანალიზზე ;

აციენტებთან მუშაობის დროს ჩვენ საუბარში ერთად ვაცნობიერებთ დაავადების პირველ მიზეზებს. თანდათან ვადგენთ რომელია მათ შორის წამყვანი. შემდგომ ეტაპზე ჩვენ ვიწყებთ პაციენტის

აზრის დასუფთავებას. არასწორი მსოფლმხედველობა და ჭუჭყიანი აზრი ზოგჯერ თვითონაა დაავადების გამომწვევი დამატებითი ფაქტორი. მკურნალობის პროცესში ეს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული. ვინაიდან ხშირ შემთხვევაში პაციენტს თვითონ აქვს ჩართული მისთვის გაუცნობიერებლად თვითგანადგურების პროგრამა. ერთად ვაყალიბებთ ჯერ სწორ აზრს. შესაბამისად ვცდილობთ ერთობლივად შევიმუშაოთ სწორი აზრის ადეკვატური ქცევები. ამით ჩვენ ვახერხებთ შევცვალოთ მისი განწყობები, ზოგადად კი პაციენტის დამოკიდებულება, როგორც სტრესორის, ასევე სინამდვილის დანარჩენი ხილულ საგნებისა და მოვლენების მიმართ.

**სტრესორისადმი მიმართების კორექცია.** ზოგჯერ სტრესორი პაციენტისათვის იმდენად ახლობელია, რომ მისგან მომდინარე სტრესი თითოეულისათვის ლამის გარკვეული ბედისწერაა. (ნარკომანი შვილი, შვილმკვდარიმ დედა და ა.შ.) ასეთ შემთხვევაში საჭიროა სტრესორისადმი პაციენტის დამოკიდებულების შეცვლა. იგი მას მკურნალისაგან დამოუკიდებლად ვერ მოახერხებს. აქ ძალიან ფრთხილი და ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო;

**მკურნალობის ვადების სიმცირე**. განსაკუთრებული შემთხვევების გარდა ჩვენთან გამოჯანმრთელებისათვის საკმარისი დროა ერთიდან სამ თვემდე;

ძირითადი სასიცოცხლო სისტემების გაწმენდა აპი და ფიტო პროდუქტებით;

ეკოლოგიურად სუფთა, გარანტირებული ხარისხის აპი და ფიტო პროდუქცია.

სულისა და სულის ტაძრის (ორგანიზმის) ერთდროული მკურნალობა.

**— რამდენადაც ვიცი განათლებით ფსიქოლოგი ხართ. რა მიზეზებმა განსაზღვრა თქვენს მიერ ძველი ქართული მედიცინის საიდუმლოებების დაუფლება?**

მ.ბ.: — ყველა ადამიანი თავისი ბავშვობიდან მოდის. ის ისტორიული არსებაა და მა აქვს გამოვლილი რაღაც თავგადასავლები. კაცობრიობის ისტორიაც ომების, თავგადასავლების ისტორიაა. უძველეს კოლხურ სახელმწიფოს გააჩნდა ენის ორი განშტოება მეგრული და ლაზური. ჩემი გვარი გაბრა ლაზური წარმოშობისაა და როდესაც შორეულ ისტორიულ წარსულში ბიზანტიამ მიისაკუთრა დასავლეთ კოლხეთის დიდი ნაწილი, ჩემი გვარის ერთი შტო სამშობლოს იქით დარჩა . (სამწუხაროდ ეს პროცესი პერმანენტულად მიმდინარეობს დღევანდელ აფხ-ლაზეთში). ისინი საუკუნეების განმავლობაში იბრძოდნენ ტრაპიზუნტის სამთავროს მმართველობისათვის. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია მიხაელ გავრასი 1365 წ. და ჩემი გვარის ბევრი სხვა წინაპარი იმ ძველ ხანაში ბიზანტიის იმპერიის ცნობილი ექიმები იყვნენ. მათი ისტორია დაკარგული გაბერძნებული შთამომავლები დღესაც გავრასების (გავრა გაბრას წინარე გვარია), გვარით ენერგიულად იბრძვიან დღევანდელი თურქეთის იმპერიაში თვითდამკვიდრებისათვის.

პაციენტისადმი ემპათია (თანაგანცდა) ძნელია თუ იმავე მდგომარეობაში თავად არ ყოფილხარ, ან არა ხარ . სწორედ იმის გამო, რომ თავად მე ახალგაზრდობაში (19 წლის აასაკში) მოულოდნელად გავხდი ავად (ქრ. ჰეპატიტით), საოცარი სიზუსტით ვგრძნობ პაციენტის ფსიქოემოციურ მდგომარეობას. ჩემთვის ძალიან ახლობელია მორჩენილი პაციენტების მკურნალისადმი მადლიერებით აღსავსე გრძნობაც. თავის დროზე ჩემს გამოჯანმრთელებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ცნობილმა პროფესიონალებმა: **ვახტანგ ბოჭორიშვილმა, გურამ რცხილაძემ, ავთანდილ სამადაშვილმა, ვლადიმერ ჭავჭანიძემ და უშუალოდ ჩემმა მკურნალმა — უანგარო და გულისხმიერმა ექიმმა ლია შარტავამ. მახსოვს მე იმ პერიოდში თითქოს თავიდან დავუიბადე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მზრდიდნენ და მასწავლიდნენ, ამ სიტყვის ყველაზე კარგი გაგებით, ცნობილი პროფესორ-მასწავლებლები: რევაზ ნათაძე, ნინო ადამაშვილი, ლევან ნათაძე, ვენორი ქვაჩახია, შოთა ნადირაშვილი, კოკი გრიგოლავა, ოთარ ტაბიძე, გოგი მჭედლიშვილი, რუსუდან ახობაძე, გოგი კეჩხუაშვილი, აკაკი ბაინდურაშვილი, რეზო ქვარცხავა, ვაჟა გოროზია, ზურაბ კაკაბაძე, გურამ თევზაძე, მედეა შენგელაია, დალი ფარჯანაძე, გივი ქირია, ოთარ გაბიძაშვილი, აკაკი ჩხარტიშვილი, ანზორ ტყემალაძე, ვახტანგ გოგუაძე, ნიკო ჭავჭავაძე, ვლადიმერ ჭავჭანიძე** და სხვ. შემდგომში ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე მათთან ერთად ვიმუშავე სრული 23 წელი, მაგრამ წუთისოფელი ბოლომდე ვის გაახარებ?! თავი დროზე მეც მოვყევი ჩვენს სამშობლოზე გარედან თავსმოხვეულ ამა ქვეყნის დიდ გაუგებრობაში, ვნანობ რომ პიროვნული წყენა ვერ დავძლიე და ვერ ვიბრძოლე სათანადოდ საკუთარი უფლებების დასაცავად. მაგრამ ზღაპრის მსგავსად ზოგჯერ ცხოვრებაშიცაა კეთილი ბოლო. მე შევძელი მომეძია და შემევსო თითქმის ყველა ძირითად დაავადებაზე საქართველოს მასშტაბით გაბნეული საიდუმლო სამკურნალო ცოდნა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ეს გასაიდუმლოებული, გათი თოკაცებული და სამწუხაროდ მიმოფანტული სამკურნალო ცოდნა ისეთივე უნიკალური და გენიალურია, როგორც— ჩვენი პოლიფონია, ჩვენი ფოლკლორი.

რეკლამა ADVERTISEMENT რეკლამა РЕКЛАМА რეკლამა




# თერაპიის სახლი



თერაპიის სახლი



რეკლამა ADVERTISEMENT რეკლამა РЕКЛАМА რეკლამა





მედიცინას, კაცობრიობის განვითარების მანძილზე, ხელოვნების სხვადასხვა ფორმის სამკურნალოდ გამოყენების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გააჩნია. ანტიკურ საბერძნეთში ავადმყოფის მკურნალობისას მიმართავდნენ როგორც პლასტიკურ, ასევე — პოეტურ და მუსიკალურ ელემენტებს.

დღეს ევროპის მრავალ ქვეყანაში და საქართველოშიც, ხელოვნებითი თერაპია წარმატებით არის დანერგილი. თბილისში ამ მეთოდით მკურნალობენ „თერაპიის სახლში“, ფსიქიატრიული საავადმყოფოს რეაბილიტაციის ცენტრში.

მწვავე და ქრონიკული დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით „თერაპიის სახლში“ წარმატებულად გამოიყენება სამკურნალო ევრითმია. სამკურნალო ევრითმიული მოძრაობები აღძრავენ სასიცოცხლო ფუნქციებსა და თვითგანკურნების ძალებს.„თერაპიის

# რეკლამა ADVERTISEMENT რეკლამა РЕКЛАМА რეკლამა


„თერაპიის სახლს“
ექვსი ექიმი ემსახურება
ზოგადი თერაპიის, პედიატრიის და
გინეკოლოგიის პროფილით.
„თერაპიის სახლს“
გააჩნია კლინიკური
და ბიოქიმიური
ექსპრეს-ლაბორატორიები:
ულტრაბგერითი გამოკვლევა,
ელექტროკარდიოგრაფია,
ვიტალოგრაფია, და რაც მთავარია,
ისინი ამაყობენ თავიანთი
აფთიაქით, სადაც გერმანული და
შვეიცარიული ფირმების —
„ველედა“, „ვალა“ პრეპარატებისა
და კოსმეტიკური
საშუალებების გარდა,
შეგიძლიათ შეიძინოთ ადგილობრივ
ნედლეულზე დამზადებული
შიდა წარმოების
მედიკამენტები. ნათქვამია: „უკვდავების
წამალი ყურისძირას ხარობდა არ
იცოდნენ თორემო.“








# ჩვენი მილოცვა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, კაცურკაცობის განსახიერებას, ბატონ გიორგი ფარულავას



ჩვენი ჟურნალი დიდად არის დავალებული ბატონ გია ფარულავასგან. მისი მეცნიერული თვალთახედვა არაერთგზის წაგვდგომია პრაქტიკულ საქმიანობაში.

ბატონი გია სპორტის აკადემიის ფილიალს ხელმძღვანელობს ქალაქ ზუგდიდში, საიდანაც უნდა აღორძინდეს წესით ჩვენი ფენომენური ნიჭიერების ახალგაზრდობის გამოვლენა და დაკვალიანება პროექტ ,,გვიმარას'' მიხედვით. იგი განსაკუთრებულ მეცნიერულ აკადემიზთან ერთად იშვიათი ორგანიზატორული ნიჭითაც გამოირჩევა. იდეალური წესრიგის დამნერგავია ყველგან და ყველაფერში .

აკადემიელების ბიბლიოთეკა ათასობით ტომეულებს მოითვლის უკვე. კომპიუტერულმა საოცრება მ რა ხანია შეაბიჯა მათ კედლებში და სტუდენტები დღითი დღე იწაფებიან ამ სფეროშიც. ექვსი შვილის მამას, საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში აქტიურად ჩაბმულს, დრო ყოველთვის რჩებოდა მეცნიერული მოღვაწეობისათვის.

ამის ნათელ მაგალითად გამოდგება თებერვლის მიწურულს ბატონ გია ფარულავას ნაშრომი ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. დისერტაციის დაცვა შედგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. დურმიშიძის სახელობის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე. ოფიციალური ოპონენტები გახლდნენ ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები: ქალბატონი **გ. რაფავა;** ბატონები: **გ. ხატისაშვილი** და **მ. ციცქიშვილი.** სამეცნიერო კონსულტატი— **საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერის, აწ ნეტარხსენებული ავლიპ ზურაბაშვილის ღირსეული მემკვიდრე, ბატონ ზურაბ ზურაბაშვილი..**

საბჭოს ოცდაერთი წევრიდან ოცდაერთივე ხმით ბატონ გიორგი ფარულავას მიენიჭა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ახალგაზრდა კაცს სულითა და გულით ვულოცავთ ასეთ სიმაღლეზე ასვლას.

აქვე გვინდა შევეხოთ დისერტაციის ზოგიერთ ნიუანსს. იგი ეძღვნება ფოთოლხვევიების მავნე შტამებთან ბრძოლის ბიოტექნოლოგიურ გზებს. ეს მავნე მწერი განსაკუთრებით საშიშია აღმოსავლეთ საქართველოს ფლორისა თვის. შესწავლილია ათეულ ათასობით ჰექტარი ტყის, ვენახის, ბაღჩეულის ვითარება წლების მანძილზე. შემოთავაზებულია იშვიათი მამულიშვილური მნიშვნელობის წინადადებები მათ გადასარჩენად. თუმცა ყოველივე ამის შესახებ და კიდევ სხვა უამრავ აქტუალურ საკითხზე — მომდევნო ნომრის ინტერვიუში ბატონ გიორგი ფარულავასთან.


АНОНС ანონსი ANONS
ჩხოროწყუს რაიონში ფრანგმა
სპალეოლოგებმა ქართველ
სპეციალისტებთან ერთად გამოიკვლიეს
27 კილომეტრის უნიკალური მღვიმე.
ბუნების ამ საოცარი ქმნილების
სასწაულებზე — ჟურნალის მომდევნო
ნომერში მეტის დაწვრილებით
SPELEOLOGIA
КИРБИСИ კირბისი KIRBISI

# АНОНС ანონსი ANONS

## ჟურნალ „კირბისი“ სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად ასახელებს „ენგურჰესის“ გმირულ კოლექტივს

„ენგურჰესი“საქართველოს ენერგეტიკის მთავარი არტერიაა.
იგი 60 პროცენტით აკმაყოფილებს
ჩვენი მოსახლეობის ენერგომოთხოვნილებებს.
ამ კოლექტივმა გაუსაძლის პირობებში შეძლო წარმოების შენარჩუნება.
„ენგურჰესი“ ისეთნაირი არქიტექტურული აღნაგობისაა, რომ წყალი საქართველოს ტერიტორიაზე გროვდება, ხოლო ელექტროენერგია — აფხაზეთში გამოიმუშავება.
„ენგურჰესი“ თავის კონსტრუქციით მოგვაგონებს ერთგვარ ხურჯინს,
საერთო ინტერესებით ურთიერთ გადაჯაჭვულს.
მისით თვალნათლივ იხატება მომავალი საქართველოს
პოლიტიკურ სახე — შეუთავსებელთა შეთანაწყობის იშვიათი პრეცენდენტი.



ენგურჰესელებმა 2005 წლის სექტემბერში 5-მილიონიანი გრანტის მეშვეობით მოახერხეს მისაყრდნობელი ფარის შესაკეთებელი მანქანა-დანადგარის ჩაშვება თაღოვან კამხალთან. ამჟამად გამალებული სამუშაოები მიმდინარეობს მესამე აგრეგატის ასამოქმედებლად. თავიანთი გამომუშავებული ენერგიის მხოლოდ 12 პროცენტს მოიხმარენ ენგურჰესელები.
იყო პერიოდი, როცა სახელმწიფოს მათი 18 თვის სახელფასო დავალიანება ჰქონდა, მაგრამ სადღეისოდ სურათი რადიკალურადაა შეცვლილი. დროულად რიგდება ხელფასები. კეთილმოეწყო გზები, სკოლები.
„ ენგურჰესი“ საქართველოს გმირი კოლექტივია.

# КИРБИСИ კირბისი KIRBISI




გარეკანზე კოკა ფეტელავას ფოტოკოლაჟი:
„ქედუხრელი არამხუტუ" და
„ნინოს ციალი ჩრდილოეთიდან".
ჟურნალი დაიბეჭდა ციფრულ სტამბაში „ბენე" ,
ტირაჟი— 500 ცალი. ეგზ. ფასი — 40 ლარი.

